ჩაპაევი და სიცარიელე

ტვერის ბულვარი ისევ ისეთი იყო, როგორიც ორი წლის წინ, როცა აქ უკანასკნელად გახლდით – კვლავ თებერვალი, ნამქერი და დღის ნათელი, პირქუში ბინდით ერთობ უცნაურად გაჯერებული. სკამძელებზე ისევ ის უძრავი დედაბრები ისხდნენ, შავი რტოების ბადესაც ისევ ის რუხი ზეცა ჩამოსცქეროდა და მძინარე ღმერთის სიმძიმის გამო მიწაზე ჩამოცურებულ ძველ ლეიბს ჰგავდა. თუმცა სხვაობაც იყო. ახლანდელ ზამთარში ხეივნები რაღაც სრულიად ველურ ქარბუქს მიჰქონდა და არც გავიკვირვებდი, გზად ორიოდე მშიერი მგელიც რომ შემხვედროდა. ბრინჯაოს პუშკინიც ახლა ადრინდელზე უფრო მოწყენილი მეჩვენებოდა, ალბათ იმიტომ, რომ მკერდზე წითელი წინსაფარი ეკიდა წარწერით: «გაუმარჯოს რევალუციის პირველ წლისთავს». «წლისთავს» გამარჯვებას უსურვებდნენ, «რევოლუცია» არასწორად დაეწერათ, მაგრამ

ყოველივე ამას ჩემში არანაირი ირონია არ აღუძრავს – ბოლო ხანებში წითელ ფონზე ნაწერი ამგვარი აბდაუბდის მიღმა ჩამალული მრავალი დემონური სახება უკვე არაერთხელ მქონდა ამოშიფრული. ბინდდებოდა. ვნების მონასტერი ძლივსღა ჩანდა თოვლიან ნისლში. იქვე მოედანზე ორი მაღალძარიანი საბარგო ავტომობილი იდგა, ძარები ხასხასა ალისფერი ნაჭრებით შეემოსათ, ირგვლივ ბრბო მოქუჩებულიყო და ორატორის ხმაც გაისმოდა. სიტყვებს ძნელად ვარჩევდი, მაგრამ ინტონაციას აზრი ნათლად მოჰქონდა, მით უფრო, რომ «პროლეტარიატის» და «ტერორის» წარმოთქმისას «რ-რ»-ს ტყვიამფრქვევივით ისროდა. გვერდით ორმა მთვრალმა ჯარისკაცმა ჩამიარა მხრებზე მოგდებული ხიშტიანი შაშხანების რხევით. მოედნისკენ მიიჩქაროდნენ, მაგრამ ერთ-ერთი თავხედურად შემომაჩერდა, სვლა შეანელა და პირიც დააღო რაღაცის სათქმელად, თუმცა, ჩემდა და მისდა საბედნიეროდ, მეორემ სახელოზე მოქაჩა და თავისი გზით წავიდნენ. მოვტრიალდი და ბულვარზე სწრაფად დავეშვი თავქვე, თან ვმარჩიელობდი, ნეტავ ამ ჩათლახებს ჩემს გარეგნობაში ასე მუდმივად რა აეჭვებთ-მეთქი. თქმა არ უნდა, ერთობ უშნოდ და უგემოვნოდ მეცვა – ჭუჭყიანი ინგლისური განიერქამრიანი სამხედრო ფარაჯა, უკოკარდო ქუდი, დაახლოებით იმგვარი, ალექსანდრე II-ს რომ ეხურა, და ოფიცრის ჩექმა. ეტყობა, მხოლოდ სამოსში არ იყო საქმე. ირგვლივ უამრავი ჩემზე მეტად ფეთხუმი ვინმე ტრიალებდა. მაგალითად, ტვერის ბულვარზე ერთი სრულიად ჭკუასგადამცდარი ოქროსსათვალიანი ბატონი ვნახე, ხელში ხატი ეპყრა, უკაცრიელი შავი კრემლისკენ მიდიოდა და კაციშვილი ზედ არ უყურებდა. მე კი ერთთავად ალმაცერად მიცქერდნენ და მახსენებდნენ, რომ არც ფული მქონდა

და არც დოკუმენტები. წინა დღეს სადგურის ფეხსალაგში გულზე წითელი ბაფთა დავიმაგრე, მაგრამ გაბზარულ სარკეში ჩემს ანარეკლს თვალი ვკიდე თუ არა, იმწამსვე მოვიხსენი. ბაფთით უფრო სულელურად კი არა, უფრო საეჭვოდაც გამოვიყურებოდი. თუმცა ეგებ არავინ არავისზე მეტად იჭვნეულად არ მიმზერდა და ყველაფრის თავი და თავი დაძაბული ნერვები თუ დაპატიმრების მოლოდინი გახლდათ.
ჩუმად ავხითხითდი და იმავ წამს ვიღაცამ მხარზე ხელი დამკრა. გვერდზე გავხტი და მკვეთრად მოვტრიალდი, თან ჯიბეში ნაგანიც მოვისინჯე, თუმცა ჩემდა გასაოცრად გრიგორი ფონ ერნენი დავინახე, ადამიანი, რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობდი. ღმერთო, რას ჰგავდა! თავიდან ფეხებამდე შავი ტყავით შემოსილიყო, ფერდზე მაუზერი უყანყალებდა, ხელში კი რაღაც უცნაური, მეანი ბებიაქალის საკვოიაჟი ეჭირა.
– მიხარია, ჯერ კიდევ რომ გაცინება შეგძლებია, – მითხრა.
– გამარჯობა, გრიშა, – მივუგე, – არც კი მჯერა, რომ გხედავ.
– ვითომ რატომ?
– რა ვიცი. უცნაურია.
– საიდან საით გაგიწევია?
– პიტერიდან, – ვუპასუხე მე, – მაგრამ საით – ნეტავ თვითონ ვიცოდე.
– თუ ასეა, ჩემთან, – თქვა ფონ ერნენმა, – აქვე ვარ ბინაში, მარტო.
ერთმანეთს შევყურებდით, ვუღიმოდით, უაზრო სიტყვებს ვეუბნებოდით და ბულვარს თავქვე მივუყვებოდით. ერნანს, რომელიც დიდი ხანი იყო არ მენახა, წვერი მოეშვა და ხახვის ამობიბინებულ ბოლქვს დამსგავსებოდა. დაშაშრული სახე ისე უღაჟღაჟებდა, თითქოს ზედიზედ რამდენიმე ზამთარი ჯანის

გასაკაჟებლად ციგურებით სრიალში გაუტარებიაო. რამდენჯერმე გადავყროდი პეტერბურგის ლიტერატურულ სალონებში – ლექსებს წერდა თითქოსდა სოდომურ ცოდვას აყოლილი ნეკრასოვის, ან იქნებ მარქსს აყოლილი ნადსონის სტილში. ცოტა არ იყოს, მუდამ მაღიზიანებდა, საზოგადოების წინაშე კოკაინს რომ ყნოსავდა ხოლმე და თან სოციალ-დემოკრატიულ წრეებთან კავშირით ტრაბახობდა. სავარაუდოდ, ეს უკანასკნელი გარემოება, ახლანდელი ვითარებიდან გამომდინარე, სრული სიმართლე უნდა ყოფილიყო. საგულისხმო გახლდათ, რომ კაცი, რომელსაც უწინ წმიდა სამების მისტიკურ არსზე საუბარი ეხერხებოდა, ახლა ბნელეთის საუფლოს მკაფიო ნიშნებით აღბეჭდილიყო, თუმცა ამ ფერისცვალებაში გასაკვირი და მოულოდნელი არც არა იყო რა.
მრავალმა დეკადენტმა იყნოსა ახალი ხელისუფლების ჯოჯოხეთური სურნელი და მას სასწრაფოდ თავისი სამსახური შესთავაზა. უნდა მოგახსენოთ, რომ, ჩემი აზრით, ისინი ცნობიერი სატანიზმით კი არ აღიძვროდნენ – საამისოდ ერთობ ინფანტილურნი გახლდნენ – არამედ ესთეტიკური ინსტინქტით: წითელი პროგრამა ყვითელ ხიფთანს ერთობ მოუხდა.
– პიტერში რა ამბებია? – მკითხა ფონ ერნენმა.
– ეგ ხომ შენც კარგად იცი, – მივუგე მე.
– სწორია, – თქვა და მოიღუშა, – ვიცი.
ბულვარიდან ჩავუხვიეთ, ქვაფენილი გადავჭერით და სასტუმრო «პალასის» მოპირდაპირე შვიდსართულიან სახლთან აღმოვჩნდით – სასტუმროს კართან ორი ტყვიამფრქვევი იდგა, მატროსები აბოლებდნენ, ხოლო გრძელ ჯოხზე გამოსკვნილ წითელ მულეტს ქარი აფრიალებდა. ფონ ერნენმა სახელოზე დამქაჩა.
– შეხე, – მითხრა.

თავი მოვაბრუნე. სადარბაზოს გასწვრივ ქვაფენილზე შავი გრძელი ავტომობილი იდგა, თავახდილი წინა დასაჯდომითა და ვიწრო სამგზავრო კაბინით. წინა დასაჯდომს თოვლი უხვად დაჰფენოდა.
– რაო? – ვკითხე.
– ჩემია, – თქვა ფონ ერნენმა, – სამსახურებრივია.
– აჰა, – ვთქვი, – გილოცავ.
სადარბაზოში შევაბიჯეთ. ლიფტი არ მუშაობდა და ბნელ კიბეს ავუყევით, ზედ დაფენილი ნოხი ჯერაც არავის აეხია.
– რას საქმიანობ? – ვკითხე.
– ო, – თქვა ფონ ერნენმა, – ასე უცებ ვერ აგიხსნი. საქმე ბევრი მაქვს, ძალიან ბევრი. ერთი, მეორე, მესამე – სულ მოსწრებაზე ვარ. ხან იქ, ხან აქ. ვინმემ ხომ უნდა გააკეთოს გასაკეთებელი.
– კულტურის ხაზით?
თავი რაღაც უაზროდ გაიქნია და მეც აღარ ჩავაცივდი. მეხუთე სართულზე ავედით და დიდ კარს მივადექით, რომელსაც მოგლეჯილი ფირნიში ნათელ მართკუთხედად დამჩნეოდა. შევედით და ბნელ წინკარში აღმოვჩნდით. წამსვე კედელზე დაკიდებული ტელეფონი აზრიალდა. ფონ ერნენი ყურმილს დასწვდა.
– დიახ, ამხანაგო ბაბაიასინ, – ჩაჰყვირა ებონიტის ფიალას, – კი, მახსოვს... არა, ნუ გამომიგზავნით... ამხანაგო ბაბაიასინ, არ შემიძლია... მასხრობა გამოვა... მატროსებთან... სირცხვილია... რა? ბრძანებას ვემორჩილები, მაგრამ მტკიცე პროტესტს გიცხადებთ... რა?
თვალი ჩემკენ გამოაპარა და მეც უხერხულობას გავერიდე, მისაღებ ოთახში გადავინაცვლე.
იქ იატაკზე გაზეთები ეფინა, თანაც მეტწილად უკვე აკრძალული, ეტყობა, ამ ბინაში მთელი შეკვრა შემორჩენილიყო. წინა ცხოვრების სხვა კვალიც

შევნიშნე – კედელზე ჩინებული თურქული ხალიჩა ეკიდა, მის ქვეშ კი ფერადი მინანქრის რომბებით შემკული სეკრეტერი იდგა – დავინახე თუ არა, მივხვდი, რომ აქ კადეტთა სვეებედნიერ ოჯახს ებინადრა. კედელთან დიდი სარკე იდგა, გვერდით მოდერნის სტილის ჯვარცმა ეკიდა, რამაც მეყსეულად შესაბამისი რელიგიური გრძნობის შესახებ ჩამაფიქრა. სივრცის უმეტესი ნაწილი უზარმაზარ, ყვითელბალდახინიან საწოლს ეკავა, ხოლო ის, რაც ოთახის ცენტრში მრგვალ მაგიდაზე იდო, თავდაპირველად, ალბათ ჯვარცმის ზეგავლენით, ეზოთერული ქრისტიანობის მოტივებზე დალაგებულ ნატურმორტად მეჩვენა: არყით სავსე ლიტრიანი, ჰალვა – გულის ფორმის ყვითელ ქილაში და სიცარიელეში ზეაღმავალი კიბის მსგავსად ერთმანეთზე დაწყობილი შავი პურის სამი ნაჭერი, სამი თლილი ჭიქა და ჯვრის მსგავსი კონსერვის გასახსნელი დანა. სარკესთან იატაკზე ფუთები ეყარა, რომელთა დანახვაზე კონტრაბანდა გამახსენდა. ოთახი ჩექმის და ნამწვის სუნად ყარდა, ცარიელ ბოთლებს თვლა არ ჰქონდა. მაგიდას მივუჯექი.
კარმაც მალე დაიჭრიალა და ფონ ერნენი შემოვიდა. ტყავის პალტო გაიხადა და ნამდვილი სამხედრო გიმნასტურის ამარა დარჩა.
– დავალებაც არის და დავალებაც, – თქვა მან, – აგერ, ჩეკადან დარეკეს...
– ჩეკაში მუშაობ?
– ყველანაირად თავს ვარიდებ.
– საერთოდ ამ წრეში როგორ მოხვდი?
ფონ ერნენმა ხალისიანად გაიღიმა.
– მაგას რა უნდა?! გორკის დაველაპარაკე ხუთი წუთით ტელეფონზე და...
– ეგრევე მაუზერი და ავტომანქანა მოგცეს?
– მისმინე, – თქვა მან, – ცხოვრება თეატრია და ეს

ფაქტია. მაგრამ იმას აღარ ამბობენ ხოლმე, რომ ამ თეატრში ყოველდღე ახალ-ახალი პიესები იდგმება. ასე რომ, პეტია, მე ახლა ისეთ რამეს ვდგამ, ისეთს, რომ... ხელები თავზემოთ აღმართა და აათამაშა, თითქოს უხილავ ტომარაში ოქროს ფულებს აწკრიალებსო.
– პიესაშიც არაა საქმე, – თქვა მან, – თუ ამ შედარებას განვავრცობთ, უწინ დარბაზიდან სცენისკენ ლაყე კვერცხებს ისროდნენ, ახლა კი სცენიდან დარბაზში ტყვიასაც ისვრიან და ბომბებსაც. ჰოდა, აბა, დაფიქრდი, ვინ ჯობია იყო, მსახიობი თუ მაყურებელი? სერიოზული საკითხია.
– აბა, რა გითხრა, – დაფიქრებით მივუგე, – ეგ შენი თეატრი რაღაც მეტისმეტად საკიდით იწყება და, სავარაუდოდ, საკიდითვე დამთავრდება, ხოლო მომავალი, – თითი ცას მივაშვირე, – მაინც კინემატოგრაფს დარჩება.
ფონ ერნენმა ჩაიხითხითა და თავი გააქნია.
– გირჩევ, მაგ შენ სიტყვებს კარგად დაუფიქრდე, – თქვა.
– დავუფიქრდები, – მივუგე მე.
არაყი დაისხა და გადაკრა.
– უჰუ, – თქვა, – თეატრზე გამახსენდა. იცი, ვინ არის თეატრების კომისარი? მადამ მალინოვსკაია. ხომ იცნობ?
– ვერ ვიხსენებ. ვინ ოხერია მადამ მალინოვსკაია?
ფონ ერნენმა ამოიხვნეშა, წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა.
– პეტია, – პირისპირ ჩამომიჯდა და თვალი თვალში გამიყარა, – ჩვენ აქ ვხუმრობთ, ვმასხრობთ, არადა, ვხედავ, კარგად ვერ უნდა იყო. რა გჭირს? მე და შენ ძველი მეგობრები ვართ, მაგრამ ამ სიძველის მიუხედავად, მგონი, შემიძლია დაგეხმარო.
გადავწყვიტე მეთქვა:
– გამოგიტყდები, სამი დღის წინ პეტერბურგში

მომაკითხეს.
– საიდან იყვნენ?
– მაგ შენი თეატრიდან.
– ეგ როგორ? – წარბები აზიდა მან.
– როგორ და, ძალიან ჩვეულებრივად. გორეხოვაიადან მოვიდნენ სამნი, ერთი ლიტერატურულ მუშაკად გამეცნო, დანარჩენებს თავის ვინაობაზე არც არაფერი უთქვამთ. ორმოც წუთამდე ვილაპარაკეთ, ძირითადად მუშაკი საუბრობდა, მერე კი მითხრეს, საინტერესოდ ვბაასობთ, მაგრამ ახლა სხვა ადგილას მოგვიხდება მუსაიფის გაგრძელებაო. იმ სხვა ადგილას წასვლა არ მომინდა, რადგან, როგორც მოგეხსენება, იქიდან დაბრუნება ძალიან ძნელია...
– აკი მაინც დაბრუნებულხარ, – შემაწყვეტინა ფონ ერნენმა.
– არ დავბრუნებულვარ, – ვუთხარი მე, – უბრალოდ, არ წავსულვარ იქ. გამოვექეცი, გრიშა, ზუსტად ისე, ბავშვობაში მეეზოვეს რომ გამოვექცეოდი ხოლმე.
– ჰო, მაგრამ შენთან რატომ მოვიდნენ? – მკითხა ფონ ერნენმა, – პოლიტიკასთან ახლოსაც არ გაგივლია. დააშავე რამე?
– რა უნდა დამეშავებინა?! სასაცილოა. ერთი ლექსი გამოვაქვეყნე თურმე მათთვის არასასურველ გაზეთში, თან ჩემი ერთი რითმაც არ მოსწონებიათ. «ჯავშნოსანი» – «მხოლოდ წამით». წარმოგიდგენია?
– რაზეა ეგ ლექსი?
– სრული აბსტრაქციაა. დროის ნაკადი, რომელიც აწმყოს კედელს ეღვრება და ზედ ახალ-ახალ ორნამენტებს ხატავს, რომელთა ერთ ნაწილს წარსულად აღვიქვამთ, მახსოვრობა ჩაგვჩიჩინებს, გუშინდელი დღე ნამდვილად არსებობდაო, მაგრამ ვინ იცის, ეგებ თვითონ ეს მახსოვრობა ცისკრის პირველ სხივთან ერთადაა დაბადებული.

– საკმაოდ გაუგებარი ლექსია, – თქვა ფონ ერნენმა.
– ჰო, ეგრეა, – ვთქვი მე, – მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ ლექსში პოლიტიკის ნასახიც კი არსადაა. ჩემი აზრით. მაგრამ მათი აზრით – არის და სწორედ ამას მიხსნიდნენ. თან ყველაზე საზარელი ისაა, რომ იმ კონსულტანტთან საუბრის შედეგად მათ ლოგიკას ჩავწვდი, ისე ღრმად ჩავწვდი... თავზარი დამეცა, ჰოდა, ქუჩაში გამომიყვანეს თუ არა, შეშინებულმა მოვკურცხლე. მათ კი არ გავექეცი, უფრო მათებურ გაგებას...
ფონ ერნენი მოიღუშა.
– სრული სისულელეა, – თქვა, – ვიღაც იდიოტები არიან... ისე, შენც მაგარი ხარ. მოსკოვში ამისთვის ჩამოხვედი?
– რა უნდა მექნა? გაქცევისას ვისროდი. გესმის? ჩემივე შიშით ნაქსოვ აჩრდილს ვესროდი, მაგრამ გორეხოვაიაზე ამას სწორად ვერ გამიგებენ. კიდეც რომ დავუშვა, ავუხსნი და გამიგებენ-მეთქი, აუცილებლად მკითხავენ, მერედა, აჩრდილს რატომღა ესროდიო? რაო, აჩრდილები გულზე არ გეხატებიანო? მათ შორის ის აჩრდილიც, ევროპაში რომ დაეხეტებაო?
ფონ ერნენმა შემომხედა და ჩაფიქრდა. ხელისგულებს ჯერ სუფრას ისე უსვამდა, თითქოს ოფლს იმშრალებსო, მერე კი უეცრად მაგიდის ქვეშ დამალა. სახეზე უიმედობა გამოსახვოდა და მივხვდი, რომ ეს ჩვენი შეხვედრა ერთოშ უსიამოვნო დღეში აგდებდა.
– ჰო, საქმე უფრო ცუდად ყოფილა, ვიდრე ვფიქრობდი,
– ჩაიბუტბუტა, – მაგრამ კარგია, რომ მენდობი. ვფიქრობ, ყველაფერს მოვაგვარებთ... ჰო, მოვაგვარებთ... ალექსეი მაქსიმოვიჩს დავურეკავ... აბა, ხელები თავზე!
ბოლო სიტყვების აზრს მაშინღა ჩავწვდი, როცა მაუზერის ლულა დავინახე. ჩემდა გასაოცრად, ამის

შემდეგ ფონ ერნანმა გულისჯიბიდან პენსნე ამოიღო და ცხვირზე დაიკოსა.
– ხელები თავზე-მეთქი!
– რა გჭირს, გრიშა? – ვკითხე და ხელები ავწიე.
– არა.
– რა «არა»?
– ის «არა», რომ საბუთები და იარაღი მაგიდაზე დაალაგე!
– ხელებს თუ თავზე დავიწყობ, ვერსად ვერაფერს ვერ დავალაგებ.
პისტოლეტი მომიღერა.
– ღმერთო, რომ იცოდე, რა ხშირად მაქვს გაგონილი ეგ სიტყვები, – მითხრა.
– რა გაეწყობა, – ვუთხარი, – რევოლვერი პალტოშია. საოცარი ნაძირალა ყოფილხარ. თუმცა ეს ხომ ბავშვობიდან ვიცოდი. რატომ აკეთებ ამას? ორდენს მოგცემენ?
გაიღიმა.
– კორიდორისკენ იარ! – მითხრა.
გავედით. კვლავაც იარაღს მიღერებდა და თან ჩემს პალტოს ჩხრეკდა. რევოლვერი ამოიღო და ჯიბეში იტაცა. დარცხვენილი, ჩქარა ირჯებოდა, ბორდელში პირველად მისული გიმნაზისტივით. ვიფიქრე, ამგვარი მხეცობა ასე ღიად და მარტივად, ეტყობა, ჯერ არასდროს ჩაუდენია-მეთქი.
– კარი გააღე და კიბეზე დაეშვი! – მიბრძანა.
– თუ შეიძლება, პალტოს ჩავიცვამ, – ვთქვი და შიშით ვიფიქრე, ნეტავ საერთოდ თუ შეიძლება საკუთარი სიმდაბლით აღგზნებულ კაცთან ლაპარაკი-მეთქი.
– აქვე მივდივართ, – თქვა ფონ ერნენმა, – ბულვარს გადაღმა. თუმცა, კარგი, ჩაიცვი.
საკიდიდან პალტო ორივე ხელით ჩამოვხსენი, ოდნავ მოვტრიალდი, სახელოში ხელი რომ გამეყარა და იმავ

წამს, თვითონაც რომ არ ველოდი, თავზე ჩამოვაცვი. არც კი ვიცი, როგორ არ მომკლა, მაგრამ ფაქტია, ჩახმახს მაშინღა გამოჰკრა, როცა უკვე იატაკზე ეგდო და მთელი სიმძიმით ზედ ვაწექი. ტყვიამ ჩემს ფერდს რამდენიმე სანტიმეტრში ჩაუქროლა და კარს მოხვდა. პალტოს სქელ ქსოვილს მიღმა ყელში ვწვდი, პისტოლეტიანი ხელი მუხლით იატაკზე მივუჭყლიტე და სანამ იარაღს გააგდებდა, კედელს კიდევ რამდენიმე ტყვია ესროლა. ბათქაბუთქმა ლამის დამაყრუა. პალტოთი დაფარულ სახეში, მგონი, თავურიც ჩავცხე, ყოველ შემთხვევაში, ორ გასროლას შორის შუალედში პენსნეს მსხვრევის ხმა კარგად მახსოვს. ბოლოს ჩაჩუმდა, მაგრამ ყელში წაჭერილ ხელს კიდევ კარგა ხანს არ ვუშვებდი. თავს ვერ ვიმორჩილებდი, სულის მოსაბრუნებლად სუნთქვითი ვარჯიში წამოვიწყე, მაგრამ ამან მსუბუქი ისტერიკა მომგვარა – გვერდიდან დავინახე ეს სცენა – ვიღაც კაცი ამწუთს დახრჩობილ მეგობარს ზედ აჯდა და გულმოდგინედ სუნთქავდა «იზიდაში» აღწერილი რამაჩარაკის მეთოდით. წამოვდექი და უცებ აგერ ახლა ჩადენილი მკვლელობის გააზრება მთელი ძალით დამემხო თავზე.
რაღა თქმა უნდა, ნებისმიერივით, ვინც ხელისუფლებას არ ენდობოდა, მეც შეიარაღებული დავიარებოდი და ორი დღის წინ გულმშვიდად ვისროდი კიდეც, მაგრამ ის სხვა იყო, აქ კი რაღაც დოსტოევსკისეური ამბავი დატრიალდა – ცარიელი ბინა, გვამი, ზედ გადაფარებული ინგლისური პალტო და მტრულ სამყაროში გამავალი კარი, რომელსაც ეგებ ახლა ვინმე მოცლილი გამვლელი შემოაღებდა... ნებისყოფა მოვიკრიბე და ეს ფიქრები თავიდან მოვიშორე, რადგან მთელი დოსტოევშჩინა, ცხადია, ამ გვამსა და ამ დაცხრილულ კარში კი არ იყო, არამედ ჩემში, სხვისი მონანიებით დამეტასტაზებულ ჩემს ცნობიერებაში.

კიბეზე გამავალი კარი ოდნავ გამოვაღე და წამით მივაყურადე. ჩქამიც არ ისმოდა და ვიფიქრე, ეგებ ამ რამდენიმე გასროლას არც არავის ყურადღება მიუპყრია-მეთქი. ჩემი რევოლვერი ჯერაც ფონ ერნენს ედო ჯიბეში და იქ ხელის ჩაყოფის არანაირი სურვილი არ მქონდა. მისი მაუზერი ავიღე და გავსინჯე – მშვენიერი მექანიზმი იყო, ახალთახალი. თავს ძალა დავატანე და ქურთუკი მოვუქექე. «ირას» კოლოფი, მაუზერის სათადარიგო მჭიდი და პირადობის მოწმობა ვიპოვე, ჩეკას თანამშრომლის, გრიგორი ფანერნის სახელზე გაცემული. დიად, დიახ, გავიფიქრე მე, ამას ხომ ბავშვობაშივე უნდა მივმხვდარიყავი-მეთქი. ჩავიცუცქე და მისი სამეანო საკვოიაჟი გავხსენი. შიგ შეუვსებელი დაპატიმრების ორდერებით სავსე საქაღალდე, კიდევ ორი მჭიდი, კოკაინით გამოტენილი თუნუქის ქილა, რაღაც შემზარავი სამედიცინო მაშა (იმწამსვე ძირს მოვისროლე) და ფულის მოზრდილი შეკვრა აღმოვაჩინე, ერთ მხარეს დუმის ფერად-ფერადი ასიანები
, მეორე მხარეს – დოლარები. ეს ყველაფერი ძალიანაც გამომადგებოდა. გადატანილი მღელვარება ოდნავ მაინც რომ ჩამეცხრო, ნესტოები კოკაინით ამოვიტენე. ცნობიერება თითქოს სამართებლით დამისერესო და უმალ დავმშვიდდი. კოკაინი არ მიყვარდა, ერთობ მასენტიმენტალურებდა ხოლმე, მაგრამ ახლა სასწრაფოდ გონს მოსვლა მჭირდებოდა.
ფონ ერნენს ხელებში ჩავეჭიდე, კორიდორში გავახოხიალე, წიხლით ერთ-ერთი ოთახის კარი შევაღე და ის იყო, შიგ უნდა შემეთრია, რომ უცებ გავქვავდი. იმისდა მიუხედავად, რომ აქ ყველაფერი გაპარტახებულ-დარბეული იყო, ბინას ძველი, ომამდელი სინათლით გასხივოსნებული სიცოცხლის კვალი შემორჩენოდა. ყოფილი საბავშვო ოთახის

ზღურბლზე ვიდექი – კედელთან ორი პატარა საწოლი იდგა, ბამბუკის მსუბუქი ტიხრებით, იქვე კუთხეში კი ნახშირით ცხენი და ულვაშა სახე მიეხატათ, რამაც უნებლიეთ დეკაბრისტები გამახსენა. იატაკზე რეზინის წითელი ბურთი ეგდო და მის დანახვაზე ერნანი სასწრაფოდ წინ დავძარი, მეზობელი ოთახისკენ გავათრიე, სადაც მგლოვიარე სიცარიელეს დაესადგურებინა – ცენტრში შავი როიალი იდგა, სახურავახდილი, იქვე ტრიალა სკამი და მეტი არც არაფერი. ამასობაში კიდევ ახალი სულიერი მდგომარეობა დამეუფლა. ფონ ერნანი ნახევრად მჯდომარე პოზაში მივატოვე (რომ მივათრევდი, ვცდილობდი, პალტოს რუხი ქსოვილიდან სახე არ გამოსჩენოდა) და როიალს მივუჯექი. ვფიქრობდი, რა უცნაურია, რომ ეს ამხანაგი ფანერნი თან აქ არის და თან არც არის – ვინ იცის, ახლა მისი სული რა სახეცვლილებებშია გადასული-მეთქი. «ახალ სატირიკონში» სამი წლის წინ გამოქვეყნებული მისი ლექსი გამახსენდა – სახელმწიფო დუმის მორიგი დარბევის შესახებ საგაზეთო სტატია გაერითმა, ხოლო აკროსტიქში «მანე თეკელ ფარეს» იყო ჩაშიფრული. აკი ცოცხლობდა, ფიქრობდა, ანგარიშობდა რაღაცას. როიალს მივუტრიალდი და ხმადაბლა დავიწყე ჩემი საყვარელი მოცარტის ფუგა ფა მინორის დაკვრა, რომელიც მუდამ სინანულს მგვრიდა – რატომ ოთხი ხელი არა მაქვს, როგორც ამას ის დიადი გიჟი ნატრობდა-მეთქი. მელანქოლიამ შემიპყრო და ამას ფონ ერნანთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, თვალწინ მეზობელ ოთახში მდგარი ბამბუკის პაწია საწოლები მედგა და წამიერად სხვისი ბავშვობა წარმომესახა, ვიღაცის ცისკენ მიპყრობილი ნათელი მზერა, ვიღაცის უსაშველოდ მახლობელი სამყარო, ახლა რომ არარაობას დაენთქა. თუმცა დაკვრა მალევე

შევწყვიტე – როიალი აშლილიყო, მე კი, სავარაუდოდ, სიჩქარე მმართებდა. მაგრამ საით? ამ საღამოს მონარჩენი როგორ უნდა გავატარო? კორიდორში გავბრუნდი და ფონ ერნანის ტყავის პალტოს ყოყმანით დავხედე, თუმცა სხვა გზა არც მქონდა.
ჩემი მწერლური ცდების გარკვეული გამბედაობის მიუხედავად არც მთლად ისეთი დეკადენტი გახლდით, რომ სუდარადქცეული და თანაც ნატყვიარი პალტო ჩამეცვა. საკიდიდან ქურთუკი ჩამოვხსენი, საკვოიაჟი ავიღე და ოთახისკენ გავემართე, სადაც სარკე მეგულებოდა. ტყავის ქურთუკი მომერგო – მე და განსვენებული პრაქტიკულად ერთი სიმაღლისანი ვიყავით. ზედ მაუზერის ბუდიანი ქამარი გადავიკიდე და სარკეში ერთი ყოვლად ჩვეულებრივი ბოლშევიკი დავინახე. ვფიქრობ, კედელთან მიყრილი ფუთები რომ გამეჩხრიკა, უეჭველად გავმდიდრდებოდი, მაგრამ ზიზღმა არ მიმიშვა. პისტოლეტი საგულდაგულოდ გადავტენე, შევამოწმე, ბუდიდან თავისუფლად ხომ ამოდის-მეთქი და, კმაყოფილმა, ის იყო, ოთახიდან გასვლა დავაპირე, რომ უეცრად კორიდორიდან ხმა მომესმა. ვიაზრე, მთელი ამ ხნის მანძილზე კარღიაში რომ ვიმყოფებოდი და აივნისკენ მოვუსვი, რომელიც ტვერის ბულვარს გადაჰყურებდა, მის ქვეშ კი ოციოდ მეტრზე ცივი და ბნელი სიცარიელე გაწოლილიყო, მხოლოდ ფიფქები დაფარფატებდნენ. ფარნის შუქზე ფონ ერნენის ავტომობილი დავლანდე. წინა სავარძელზე საიდანღაც კაცი აღმოცენებულიყო, თავზე ბოლშევიკური ჩაფხუტი
მოასწრო-მეთქი. ქვედა აივანზე ჩაძრომა შეუძლებელი ჩანდა და მეც ისევ ოთახს მივაშურე. უკვე აბრახუნებდნენ. რაც არის, არის-მეთქი, ვიფიქრე, როდისმე ხომ უნდა დამთავრებულიყო ეს ამბავი. კარს მაუზერი მივუშვირე და დავიძახე:

– მობრძანდით!
კარი გაიღო და ოთახში ორი ყუმბარებით დახუნძლული, ბუშლატიან-ფართხუნაშარვლიანი მატროსი შემობრაგუნდა. ერთ-ერთი მათგანი, ულვაშა, ჭარმაგი იყო, მეორე კი – ნორჩი, თუმცა ანემიური სახე დასჭკნობ-დაღარვოდა. ჩემს ხელში პისტოლეტისთვის ზედაც არ შეუხედავთ.
– ფანერნი შენა ხარ? – მკითხა ულვაშა ჭარმაგმა.
– მე ვარ.
– აჰა, დაიჭი, – მითხრა და ორად გაკეცილი ქაღალდი გამომიწოდა.
მაუზერი ბუდეში ჩავიდე და ბარათი გადავიკითხე:
«ამხ. ფანერნი!
სასწრაფოდ გაემგზავრეთ მუსიკალურ სათუთუნეში ჩვენი ხაზის გასატარებლად. დასახმარებლად გიგზავნით გამოცდილ ამხანაგებს ჟერბუნოვსა და ბარბოლინს. ბაბაიასინი».
ტექსტს ქვეშ გაურკვეველი ბეჭედი ესვა. სანამ ვფიქრობდი, რა უნდა ვთქვა-მეთქი, მაგიდას მიუსხდნენ.
– ქვემოთ მძღოლი თქვენია? – ვკითხე.
– ჰო, – მიპასუხა ულვაშამ, – შენი მანქანით წავალთ. რა გქვია?
– პიოტრი, – თვალის დაუხამხამებლად მივუგე.
– მე ჟერბუნოვი ვარ, – თქვა ულვაშა ჭარმაგმა.
– ბარბოლინი, – ნაზი, ქალური ხმით წარმომიდგა ნორჩი.
პირდაპირ დავუჯექი. ჟერბუნოვმა სამ ჭიქაში არაყი ჩამოასხა, ერთი გამომიჩოჩა და შემომხედა. მივხდი, რომ ჩემგან რაღაცას ელოდა.
– მოდი, – ვთქვი და ჭიქა ავწიე, – როგორც იტყვიან, მსოფლიო რევოლუციას გაუმარჯოს!
ჩემს სადღეგრძელოს ცივად შეხვდნენ.
– უკვე გაიმარჯვა, – თქვა ბარბოლინმა, – მარაფეტი სად

არის?
– რა მარაფეტი? – ვკითხე.
– სისულელეებს მოეშვი, – მკაცრად მითხრა ჟერბუნოვმა, – ბაბაიასინმა გვითხრა, დღეს მთელი ქილა მიიღოო.
– ა, კოკაინზე მეუბნებით?! – მივხვდი და საკვოიაჟიდან ქილა ამოვიღე, – თორემ «მარაფეტი» ბევრ სხვა რამესაც ნიშნავს. ეგებ ეთერი გინდოდათ უილიამ ჯეიმსივით
– ეგ ვინღაა? – მკითხა ბარბოლინმა და თუნუქის ქილა ფართო, უხეშ ხელისგულზე დაიდო.
– ერთი ინგლისელი ამხანაგია.
ჟერბუნოვმა უნდობლად ჩაიცინა, ბარბოლინს კი სახეზე ის გამომეტყველება დაედო, მეცხრამეტე საუკუნის მხატვრები ხშირად რომ უხატავდნენ ხალხის წიაღიდან გამოსულ პერსონაჟებს – აი, სადღაც, ცხრა მთას იქით, დიდი და იდუმალი სამყარო რომ არსებობს და თუმც იქ მოხვედრის არანაირი იმედი არ მაქვს, ხანდახან მიუწვდომელზეც ვოცნებობო.
დაძაბულობა განქარდა. ჟერბუნოვმა ქილა გახსნა, სუფრიდან აღებული დანის წვერით არაყში კოკაინის უშველებელი დოზა ჩაყარა და მოურია.
ბარბოლინი თავის და ჩემს ჭიქასაც ასევე მოექცა.
– აი, ახლა მსოფლიო რევოლუციისაც აღარ შეგვრცხვება, – თქვა მან.
ეტყობა, სახეზე ეჭვი გამომიხტა, ჰოდა, ჟერბუნოვმა გაიცინა და მითხრა:
– ეს, ძმაო, ჯერ კიდევ «ავრორადან» მოდის, საწყისებიდან. «ბალტიის ჩაი» ჰქვია.
ჭიქები ასწიეს, სულმოუთქმელად გადაკრეს და მეც რაღა დამრჩენოდა – მათ მივბაძე. მყისვე ყელი გამიქვავდა. პაპიროსს მოვუკიდე, ნაფაზი დავარტყი, მაგრამ ბოლის გემო სრულებით ვერ ვიგრძენი. ასე ერთ

წუთს მუნჯად ვისხედით.
– უნდა წავიდეთ, – თქვა უცებ ჟერბუნოვმა და წამოდგა, – თორემ ივანი გაითოშება.
გაბურბუსალებულმა მონპასიეს ქილა საკვოიაჟში ჩავაბრუნე, წამოვდექი და მატროსებს გავყევი. კორიდორში შევყოვნდი და ვეცადე, ჩემი ქუდი მეპოვა, მაგრამ ამაოდ და ისევ ფონ ერნენისა დავიხურე. ბინიდან გამოვედით და ჩაბნელებულ კიბეს უსიტყვოდ ჩავუყევით. მოულოდნელად გავიაზრე, თუ რა სულიერ სიმშვიდესა და სიმსუბუქეს ვგრძნობდი და რაც მეტად მივიწევდი წინ, მით უფრო ვმშვიდდებოდი და ვმსუბუქდებოდი. მომავალზე არ ვფიქრობდი – ისიც მყოფნიდა, რომ უშუალო საფრთხე არ მემუქრებოდა, ჩაშავებულ სართულებს დაღმა მივუყვებოდი და თან მინის მიღმა მოფარფატე ფიფქების საოცარი სილამაზით ვტკბებოდი. კაცმა რომ თქვას, თვითონაც ფიფქისმაგვარი რამ გახლდით და ბედის ქარბუქი სადღაც წინ მიმერეკებოდა ორი სხვა ფიფქის კვალდაკვალ, რომლებსაც შავი ბუშლატები ეცვათ და კიბეზე ჩემ წინ მიაბოტებდნენ. უნდა ვთქვა, რომ თავსდატეხილი ეიფორიის მიუხედავად, რეალობის საღი აღქმა წამითაც არ დამიკარგავს და ერთი საყურადღებო აღმოჩენაც გავაკეთე. ჯერ კიდევ პეტერბურგში დამაინტერესა, თუ რა ძალა აკავებდა მატროსების ტანზე მასრებით დახუნძლულ მძიმე ქამრებს. მესამე სართულის კიბის უჯრედზე ერთადერთი ნათურის მბჟუტავ სინათლეზე დავინახე, რომ ჟერბუნოვს ტყვიამფრქვევის ლენტების ბიუსჰალტერივით დასამაგრებლად რამდენიმე კაუჭი ეკეთა. იქვე წარმოვიდგინე, სააბაზანოში მყოფი ორი გოგონას მსგავსად როგორ ეხმარებოდნენ ერთმანეთს ხალხის დასახოცად მიმავალი ჟერბუნოვი და ბარბოლინი ტუალეტის ამ რთული მოწყობილობის

დასამაგრებლად. ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ყოველგვარი რევოლუცია ქალური ბუნებისაა. ალექსანდრ ბლოკის ზოგიერთ ახალ განწყობილებასაც ჩავწვდი; ეტყობა, ყელიდან რაღაც შეძახილი აღმომხდა, რადგან ბარბოლინი მომიტრიალდა.
– შენ კიდევ, არ მინდაო, შე სულელო დედაკაცო, – თქვა და ოქროს კბილი გააელვა.
ქუჩაში გამოვედით. ბარბოლინმა მანქანის წინა ღია ძარაზე მჯდომ სალდათს რაღაც უთხრა, კარი გააღო და შევძვერით. მანქანა მყისვე დაიძრა. კაბინის მომრგვალებული მინის მიღმა დათოვლილი ზურგი და ქეჩის წაწვეტილი ქუდი მოჩანდა, თითქოს ჩვენი ეკიპაჟის საჭეს იბსენისეული ტროლი უზისო. ვიფიქრე, რა მოუხერხებელი კონსტრუქციის ავტოა, თან შოფრისთვის ერთობ დამამცირებელი, ავდრისთვის გახსნილი-მეთქი. თუმცა ეგებ ასე საგანგებოდ მოეწყოთ, რათა მგზავრები არა მხოლოდ ხედებით დამტკბარიყვნენ, არამედ კლასობრივი უთანასწორობის ცქერითაც.
გვერდითა სარკმელს გავხედე. უკაცრიელი ქუჩის ქვაფენილს თოვლი წარმტაცად ეფინებოდა. ალაგ-ალაგ ფარნები ანათებდნენ, ერთ-ერთის შუქმა კედელზე გაანათა ვეება გრაფიტი: «LENINE EST MERDEDE»
მანქანა რომ შეჩერდა, უკვე ცოტა გონს მოსული გახლდით. ერთი ყოვლად ჩვეულებრივი ეზოს წინ გადმოვლაგდით, სადაც ორი ავტომობილი და რამდენიმე ბედაური იდგა, მოშორებით შემზარავი ჯავშნოსანიც დავლანდე, ტყვიამფრქვევის კოშკურაზე თოვლი ქუდივით რომ ედო, მაგრამ კარგად შეთვალიერება ვერ მოვასწარი – მატროსებმა სასწრაფოდ ეზოში დურთეს თავი. ყოვლად უგვანი ეზო გადავიარეთ და შევჩერდით კარის წინ, რომელსაც ჩუქურთმებითა და ამურებით დამშვენებული აბრა

ჰქონდა:
მუსიკალური სათუთუნე
ლიტერატურული კაბარე
რამდენიმე ფანჯრიდან მჭიდროდ დაგმანული ვარდისფერი ფარდების მიღმა შუქი ჟონავდა და რომელიღაც გაურკვეველი ინსტრუმენტის ლამაზი, სევდიანი ხმაც მოისმოდა.
ჟერბუნოვმა კარი გამოაღო და მომცრო ვესტიბიულში დაკიდული მძიმე ქურქები და ფარაჯები გამოაჩინა, სულ ბოლოს ხავერდის მკვრივი ფარდა ეკიდა. ჩვენ შესახვედრად ტაბურეტიდან წითელპერანგიანი, ბოროტმოქმედისსახიანი კაცი წამოდგა.
– მოქალაქე მატროსებო, – დაიწყო მან, – აქ, ჩვენთან...
ბარბოლინმა წრიული მოძრაობით შაშხანა მხრიდან გადმოიღო და კონდახი წელსქვევით ჩასცხო. საბრალო, კედლის გასწვრივ იატაკზე გახოხდა, მის ავ სახეზე დაქანცულობა და ზიზღი გამოიხატა. ჟერბუნოვმა ფარდა გადასწია და ნახევრად ბნელ დარბაზში შევაბიჯეთ.
ენერგიის საოცარი მოზღვავება ვიგრძენი და ირგვლივ მიმოვიხედე. იქაურობა ჩვეულებრივ, ვითომ მდიდრულ, საშუალო დონის რესტორანს ჰგავდა. პატარა მრგვალ მაგიდებთან თამბაქოს სქელ კვამლში გახვეული ჭრელი პუბლიკა იჯდა. მგონი, ვიღაც ოპიუმს ეწეოდა.
ყურადღება არავინ მოგვაქცია და ჩვენც შესასვლელთან ერთ პატარა მაგიდას მივუსხედით. დარბაზის ბოლოს გაჩახჩახებული ესტრადა მოჩანდა, სადაც ხავერდის შავ ტაბურეტზე სუფთად პირგაპარსული, ფეხი ფეხზე გადადებული ფრაკიანი ბატონი იჯდა. ცალი ტერფი გაეშიშვლებინა, მარჯვენა ხელში ხემი ეჭირა და დიდი ხერხის ბლაგვ პირს უსვამდა, ხერხის ერთ სახელურს ფეხით იატაკზე ამაგრებდა, მეორე კი მარცხენა ხელში ეპყრა, ხერხს დრეკდა და აცახცახებდა. როცა ლაპლაპა

ხერხისპირზე ვიბრაციის ჩაქრობას მოიწადინებდა, წამით შიშველ ფეხს მიადებდა ხოლმე. იქვე იატაკზე ლაკის შტიბლეტი ედო შიგ ჩაჩურთული ქათქათა წინდით. ბგერა, რომელსაც ეს ბატონი თავის ინსტრუმენტიდან გამოსცემდა, ერთობ ზეციურად, მომხიბლავად და სევდიანად ჟღერდა. მგონი, რაღაც უბრალო მელოდიას უკრავდა, მაგრამ მელოდიას რა მნიშვნელობა ჰქონდა, მთავარი ტემბრი იყო, ერთი გრძელი ნოტის გულის გამმსჭვალავი ლივლივი. შემოსასვლელთან ფარდა შეირხა და თავი წითელპერანგამ შემოყო, სიბნელის მიმართულებით თითები გაატკაცუნა და ჩვენი მაგიდისკენ ვიღაცას ანიშნა, მერე მოგვიტრიალდა, ძუნწი, ფორმალური სალამი გვიძღვნა და კვლავ გაუჩინარდა. მყისვე ჩვენ წინაშე მიმტანი აღმოცენდა, ცალ ხელში ლანგრით და მეორეში სპილენძის ჩაიდნით (ასეთი ჩაიდანი სხვა მაგიდებზეც იდგა). ლანგარზე ღვეზელები ელაგა. მიმტანმა ფინჯნები დაგვიწყო, ჩაიდნიდან ჩამოასხა და მომლოდინედ გაშეშდა. საკვოიაჟიდან ალალბედზე ამოღებული ბანკნოტი გავუწოდე – მგონი, ათდოლარიანი. თავდაპირველად ვერ მივხვდი, ლანგარზე სასტვენი რატომ ედო, მაგრამ ამ დროს ერთ-ერთი მეზობელი მაგიდიდან წყნარი, მელოდიური სტვენა მომესმა და მიმტანი ამ ბგერას გაჰყვა. ჟერბუნოვმა სასმელი მოხვრიპა და უკმაყოფილოდ დაიფრუტუნა. მეც მოვყლუპე. ხანჟა
იყო – გაოლიანის ცუდი ჩინური არაყი. ღვეზელი ჩავკბიჩე, თუმცა გემო სრულებით არ მიგრძნია – კოკაინით გათიშული სისტემა ჯერაც არ ფუნქციონირებდა.
– ეს რისი ღვეზელია? – ნაზად იკითხა ბარბოლინმა, – ამბობენ, აქ ხალხი უჩინარდებაო. ემანდ მარხვა არ გაგვატეხინონ.

– მე შევჭამე, – ალალად თქვა ჟერბუნოვმა, – ძროხის ხორცია.
ამას ვეღარ გავუძელი, ქილა დავაძრე და ბარბოლინი ფხვნილის ფინჯნებში გადანაწილებას შეუდგა. ამასობაში ფრაკიანმა ბატონმა დაკვრა მოათავა, მოხდენილი მოძრაობით წინდა და ფეხსაცმელი ჩაიცვა, წამოდგა, თავი დაგვიკრა, ტაბურეტი აიღო და სცენა კანტიკუნტი ტაშის თანხლებით დატოვა. ესტრადის სიახლოვეს მდებარე მაგიდიდან ერთი კეთილშობილური გარეგნობის ჭაღარაწვერიანი კაცი წამოდგა, რომელსაც ყელზე, თითქოს ნაკბენის დამალვა უნდაო, რუხი შარფი შემოეხვია. გაოცებულმა, მე მასში ვალერი ბრიუსოვი
შევიცანი, მოხუცებული, ჩამომხმარი. ესტრადაზე ავიდა და დარბაზს მიმართა:
– ამხანაგებო! თუმცა კი ვიზუალურ ეპოქაში ვცხოვრობთ, როდესაც ქაღალდზე აკრეფილ ტექსტს საყურებელი ანუ... ჰმ... – თვალები აატრიალა, ერთხანს დადუმდა და ცხადი შეიქნა, რომ ახლა ჩვეულ იდიოტურ კალამბურს გამოისროდა, – ან თუ გნებავთ, მაყურებელი ავიწროებს... ჰმ... მაგრამ ტრადიცია ფარ-ხმალს არ ყრის და ახალ-ახალ ფორმებს დაეძებს. ის, რასაც თქვენ ახლა იხილავთ, ჩემი აზრით, ეგოპუპისტიკური პოსტრეალიზმის ერთი მკაფიო მაგალითი გახლავთ... თქვენ წინაშე გათამაშდება ერთი... ჰმ... ამოსუნთქვით დაწერილი პატარა ტრაგედია. სწორედ ასე განსაზღვრავს ამ ნაწარმოების ჟანრს მისი ავტორი, კამერული პოეტი იოან პავლუხინი. მაშ ასე – პატარა ტრაგედია «რასკოლნიკოვი და მარმელადოვი». გთხოვთ.
– გთხოვთ, – ექოსავით გაიმეორა ჟერბუნოვმა და დავლიეთ.
ბრიუსოვი ესტრადიდან ჩამოვიდა და თავის მაგიდას

დაუბრუნდა. ამასობაში ორმა სამხედროფორმიანმა კაცმა კულისებიდან სადგარზე დამაგრებული ვეება მოოქრული ლირა და ტაბურეტი გამოიტანა. მერე მაგიდაც მოაყოლეს, ზედ ლიქიორის მრგვალმუცელა ბოთლი და ორი სირჩა დაალაგეს, კულისებზე მუყაოს ნაჭრები მიამაგრეს, ერთზე «რასკოლნიკოვი» ეწერა, მეორეზე კი «მარმელადოვი», ბოლოში რბილი ნიშნით, რაც იმთავითვე შეცდომად კი არა, გარკვეულ სიმბოლურ მინიშნებად აღვიქვი. ცენტრში დაკიდეს ხუთკუთხედში ჩასმული ყოვლად გაუგებარი წარწერა «ი.ქ.ვ.ი.». მოათავეს ეს ყველაფერი სამხედროებმა და გაუჩინარდნენ. კულისებიდან გრძელქიტონიანი ქალი გამოვიდა, ლირას მიუჯდა და სიმებს აუჩქარებლად ჩამოჰკრა. რამდენიმე წუთს უკრავდა ასე, მერე სცენაზე შავ, გრძელ ლაბადებში გამოწყობილი ოთხი კაცი გამოვიდა. ცალ მუხლზე ჩაიჩოქეს და ლაბადის კალთებით სახეები დაიფარეს. დარბაზში ვიღაცამ ტაში დაცხო. ესტრადის ორსავე მხარეს თეთრი ქლამიდებით შემოსილი თითო წაგრძელებული ფიგურა აისვეტა, ბერძნული ნიღბები ეკეთათ. ერთმანეთს ნელა მიუახლოვდნენ და გაჩერდნენ. ერთ მათგანს ვარდებით შემკული მარყუჟით კისერზე ნაჯახი ჩამოეკონწიალებინა და მივხვდი, ეს რასკოლნიკოვია-მეთქი. კაცმა რომ თქვას, ამას უნაჯახოდაც მივხვდებოდი, რადგან მის გასწვრივ კულისზე გვარის აღმნიშვნელი წარწერა ეკიდა. მსახიობმა, რომელიც იმ აბრასთან შეჩერდა, ზედ რომ რბილნიშნიანი მარმელადოვი ეწერა, ხელები დინჯად აღმართა და წამღერებით დაიწყო:

– მარმელადოვი გახლავართ და, უნდა გითხრათ მართალი,
არ ვიცი, რა გზას დავადგე, სულ ამერია გზა-კვალი.

ქვეყანა შემოვიარე, ზღვაც ვიხილე და ხმელეთიც,

მაგრამ სინათლე ვერ ვპოვე, ყველგან ბოგინობს ბნელეთი.
ნათელ მზერაზე შეგატყვეთ, ალალი კაცი ბრძანდებით, და გულთან მიგაქვთ, მგონია, ჩაგრული ხალხის დარდები.
ეგებ დავლიოთ მე და თქვენ, ჭიქას შეგივსებთ...
– ვერ დავლევ...
ნაჯახიანმა მსახიობმა წამღერებითვე უპასუხა, ოღონდ ბანით, თან ხელი აღმართა და მარმელადოვისკენ გაიშვირა. იმან სასწრაფოდ სირჩა ლიქიორით შეივსო, ნიღბის ხვრელში ჩაისხა და მიუგო:
– როგორც გენებოთ. მხოლოდ გთხოვთ, გავესაუბროთ ერთმანეთს.
მაშ, გაგიმარჯოთ, ვცნობ იერს იდუმალს და ღირსებიანს,
თქვენი ლამაზი ტუჩები მდუმარედ იღიმებიან,
და საიდუმლოს მალავენ, ხელებზეც სისხლი გაცხიათ,
მე კი სულ აღარ მადარდებს, რას ვგავარ, ან რა მაცვია,
ანდა რომ სიცარიელეს ვმალავდე უტყვი მიმიკით
და ღმერთს ვბაძავდე ამგვარად... მიმიხვდით?
– მგონი, მიგიხვდით...
ჟერბუნოვმა იდაყვი გამკრა.
– რას იტყვი? – ჩამჩურჩულა.
– ჯერ ადრეა, – ჩურჩულითვე ვუპასუხე, – ვუყუროთ.
ჟერბუნოვმა თავი პატივისცემით დამიქნია. სცენაზე კი მარმელადოვი განაგრძობდა:
– ძალიან კარგი. სხვაგვარად,
თქვენც კარგად მოგეხსენებათ,
ყოველ ცისმარე დაკარგავთ სიმშვიდეს და მოსვენებას.
კეფას გაჩეხავს ნაჯახი, სისხლიან თოვლში აგდია.
წარმოიდგინეთ, ყმაწვილო?
– წარმოვიდგინე, ცხადია.
– საკუთარ სულში ჩახედვა არასდროს არ მაქვს გეგმაში,

რადგან შიგ ბნელა ისევე, როგორც ცარიელ ჩექმაში, ან ბნელ სარდაფში, რომელშიც, ხედავთ, რამდენი ქალია,
თან ყველა ქალი მკვდარია... ხომ არ გაშინებ?
– ძალიან.
რა გნებავთ ჩემგან? მითხარით, თქვენი მიზანი გამანდეთ.
– პირდაპირ გითხრათ?
– პირდაპირ. რაც არის. ჯანიც გავარდეს.
– მანამდე ეგებ შეგვესვა ცოტაოდენი სასმელი.
– ნუ შემაწუხეთ. მივდივარ. აღარ მცალია ამდენი.
– დაიცა, ჩემო ბიჭუნა, ნუ მიჯავრდები ძალიან.
– ამგვარი უაზრობისთვის, გითხარით, აღარ მცალია. მითხარით, რა გსურთ, რა გნებავთ,
მოვუღოთ ბოლო ამ ჯახირს...
– კეთილი, გეტყვით... ძვირფასო,
მინდა, მომყიდო ნაჯახი...
ამასობაში დარბაზი მოვათვალიერე. თითოეულ პატარა მრგვალ მაგიდას სამი-ოთხი ადამიანი უსხდა, ყოვლად ჭრელი პუბლიკა გახლდათ, მაგრამ უმრავლესობა, როგორც ეს კაცობრიობის ისტორიას სჩვევია, ღორისდინგიანი სპეკულანტები და ძვირფასსამოსიანი ბოზები იყვნენ. ბრიუსოვის მაგიდასთან ალექსეი ტოლსტოი
დავლანდე; მას შემდეგ, რაც არ მენახა, შესამჩნევად გასუქებულიყო, ჰალსტუხის ნაცვლად ბაფთა ეკეთა. იფიქრებდი, მთელი ეს ქონი ჩონჩხად ქცეული ბრიუსოვიდან თავის სხეულში გადაუქაჩავსო. წყვილად საზარლად გამოიყურებოდნენ. მზერა მათგან სხვა მაგიდაზე გადავიტანე და ერთგან მეტისმეტად უცნაური კაცი შევნიშნე, აპრეხილი ულვაშებითა და გიმნასტურაზე გადაჭიმული ქამრებით რომ გამოირჩეოდა. მაგიდას ცალად მისჯდომოდა, ხოლო

ჩაიდნის ნაცვლად წინ შამპანურის ბოთლი ედგა. ვიფიქრე, ვინმე ბობოლა ბოლშევიკი იქნება-მეთქი. არ ვიცი, ასე რად მეუცხოვა მისი ნებისყოფიანი სახე, მაგრამ რამდენიმე წამს თვალი ვერ მოვწყვიტე. ჩემი მზერა შენიშნა და მეც სასწრაფოდ ესტრადას გავხედე, სადაც ის უაზრო დიალოგი ისევ გრძელდებოდა:

– რას ლაპარაკობ? რად გინდა?

– ნაჯახით უნდა ვიშრომო.

ის შრომის იარაღია, მშრომელი ხალხის სიმბოლო.
ეგ ნაჯახი მე მომყიდე, სხვა მოიპარო ეგება,
მაგ შენს ჩანაფიქრს სწორედაც ნაპარი შეეფერება.

– მართლა? ახლა კი გავიგე, ეგ მინიშნება ფარული,
ცხადია, მითვალთვალებდით მზაკვრულად
გადამალული?

– ჩემო კეთილო როდიონ, თუმცა ნაჯახი გიპყრიათ,
ჭკუა არ მოგდგამთ, თუმცაღა, მრავალჯერ გამიფიქრია,
რომ სიჭაბუკე შედეგში ეძებს არსსაც და საწყისსაც,
ელტვის სიცილს და სიყვარულს,
დარდი არა აქვს
არც რისა,
სიკვდილსაც ეთამაშება... ნაჯახს რამდენად აფასებთ?

– ჯერ ის მიბრძანეთ, რად გინდათ?

– არ ამიხსნია აქამდე?

ძალა, იმედი, ნათება, მარადისობა, გრაალი,
ეგრეგორები, მზე, მთვარე და პოლარული ციალი,
სვლა ალესილი ხმლის პირზე, ჭაბუკური მზის ჭახჭახი,
თავდავიწყება, გმირობა... მოკლედ, მომეცით ნაჯახი.

– ეს მე არ მომწონს, თუმცაღა, აჰა, აიღეთ, დაგითმობთ.

– თურმე როგორი ყოფილა, ცეცხლს აფრქვევს,
გული გამითბო.

– რა უნდა მოგცეთ?

– რაც გნებავთ?

– თქვით, რაღა...

– ათი, თერთმეტი...
– წაგებაში ვარ, ცხადია, ოხ, რა ვარ ასე ჩერჩეტი, თუმცა მგონია, აქ ფულში არაა საქმე სრულიად, რაღაც ინგრევა... დაინგრა... აწ უკვე დანგრეულია..., ცივმა გრიგალმა დაბერა და სული გამიფრიალა, ვინა ხართ? ღმერთო, რას ვხედავ –
ნიღაბი სახეს
გიმალავთ.
როგორ გიბრწყინავთ თვალები! ნიღაბი ჩამოიხსენით… მარმელადოვმა ხანგრძლივი და შემზარავი პაუზა შეაგება.
– ჩამოიხსენით... ახლავე...
მარმელადოვმა ხელის ერთი მოძრაობით ნიღაბი ჩამოიგლიჯა, იმავდროულად სხეულიდან ნიღაბზე მიმაგრებული ქიტონიც ჩამოუცურდა და ხელთ მაქმანიან პანტალონებსა და ბიუსტჰალტერში გამოწყობილი ქალი შეგვრჩა, ვერცხლისფერი პარიკი ეხურა, თაგვის კუდისმაგვარი ნაწნავით.
– ვაიმე, ღმერთო, მიხსენი...
– თვით ის მოხუცი ქალია – ამ თვალებით და ამ სახით... ის არის, ვისაც ვეძებდი, ვაი, აღარ მაქვს ნაჯახი... რასკოლნიკოვმა ეს სიტყვები ძლივსგასაგონად წარმოთქვა და იატაკს დაენარცხა. იმან, რაც ამას მოჰყვა, გვარიანად შემაშფოთა. სცენაზე ორი მევიოლინე გამოვარდა და ცოფიან ტემპში შეუდგნენ რაღაც ბოშური მოტივის დაკვრას (აჰა, კვლავ ბლოკი, გავიფიქრე), ხოლო ქალბატონმა მარმელადოვმა გაშხლართულ რასკოლნიკოვს თავისი ქიტონი გადააფარა, მერე მკერდზე დაახტა და ყელში სწვდა, თან მაქმანიან დუნდულებს აღმგზნებად ატრიალებდა. წამით მომეჩვენა, რომ ყოველივე ეს რაღაც ჯოჯოხეთური შეთქმულება თუა და ახლა ალბათ ყველა მე მომჩერებია-მეთქი. დაძაბულმა მიმოვიხედე,

გიმნასტურაში გამოწყობილი ულვაშა კაცის მზერას ერთხელაც შევეჩეხე და უეცრად მივხვდი, ამან იცის, ფონ ერნანი რომ მოვკალი-მეთქი. ეგ კი არა, ჩემ შესახებ ბევრად სერიოზული რამეებიც უნდა სცოდნოდა. მინდოდა წამოვმხტარიყავი და აქედან ამეხვია. ნების წარმოუდგენელი დაძაბვითღა შევრჩი ჩემს ადგილს. საზოგადოება დუნედ უკრავდა ტაშს. ზოგი იცინოდა და თითს სცენისკენ იშვერდა, თუმცა უმეტესობა საკუთარი არყითა და საუბრით იყო გართული. რასკოლნიკოვი რომ მიახრჩო, პარიკიანი ქალი წამოხტა და ორი ვიოლინოს გიჟურ ჰანგებზე ცეკვას შეუდგა, შიშველ ფეხებს ჭერში ისროდა და ნაჯახს იქნევდა. ოთხი შავსამოსიანი, აქამდე, მთელი მოქმედების განმავლობაში უძრავ პოზებში რომ გარინდულიყვნენ, წამოიმართნენ, ქიტონგადაფარებული რასკოლნიკოვი აიღეს და კულისებისკენ გააქანეს. გამიელვა, ეს ალბათ «ჰამლეტის» ციტირებაა, ფინალში მკვდარი პრინცის გატანა ოთხ კაპიტანს რომ ევალება-მეთქი. ამ აზრმა მყისიერად გონს მომიყვანა, მივხვდი, რომ ეს ამბავი ჩემ წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება კი არა (აბა, ასე სწრაფად როგორ მოესწრებოდა), ყოვლად ჩვეულებრივი მისტიკური გამოწვევა იყო. გადავწყვიტე, მიმეღო და საკუთარ თავებში ჩაძირულ მატროსებს მივუბრუნდი.

– ბიჭებო, სტოპ! ღალატია!

ბარბოლინმა უაზროდ შემომხედა.

– ინგლისელი დედაკაცი საქმეს აფუჭებს, – ალალბედზე წამოვისროლე.

ეტყობა, ამ სიტყვებში რაღაც აზრი ამოიკითხა, რადგანაც მყისვე ხელი მხარზე დაკიდული შაშხანისკენ გააქანა. შევაკავე.

– ასე არა, ამხანაგო. მოიცა.

ამასობაში სცენას ხერხიანი ბატონი დაუბრუნდა, ტაბურეტზე დასკუპდა და დიდის ამბით შეუდგა ცალი ფეხსაცმლის გახდას. საკვოიაჟიდან ფანქარი და ჩეკას ორდერის ბლანკი ამოვიღე, ამასობაში ხერხის გამყინავი ჟღერა წამომეწია, გამიტაცა და რამდენიმე წუთში სათანადო ტექსტი მზად იყო.
– რას წერ? – მკითხა ჟერბუნოვმა, – იჭერ ვინმეს?
– არა, – მივუგე, – აქ ყველა დასაჭერია. სხვაგვარად უნდა მოვიქცეთ. შენ, ჟერბუნოვ, ბრძანება ხომ არ დაგავიწყდა, მხოლოდ ალაგმვა არ კმარა, ჩვენი ხაზის გატარება გვევალება, ასე არაა?
– ასეა, – თქვა ჟერბუნოვმა.
– ჰოდა, თუ ასეა, – ვთქვი, – შენ და ბარბოლინი კულისებში შედით, მე კი სცენაზე ავალ და ხაზს გავატარებ. გავატარებ თუ არა, განიშნებთ, თქვენც გამოხვალთ და იმისთანა რევოლუციურ მუსიკას შევასრულებთ, რომ…
ჟერბუნოვმა თითით თავის ფინჯანზე მანიშნა.
– არა, გეყოფა, – მკაცრად მივუგე მე, – თორემ ვეღარ იმუშავებ.
ჟერბუნოვის მზერაში წყენამ გაიელვა.
– არა გრცხვენია? – წამჩურჩულა, – რა, არ მენდობი? მე ხომ... მე ხომ რევოლუციისთვის სიცოცხლესაც გავწირავ!
– ვიცი, ამხანაგო, – ვუთხარი, – მაგრამ კოკაინი მერე. ჯერ საქმე. გასწით.
მატროსები წამოდგნენ და სცენისკენ გასწიეს, მტკიცედ გაბაჯბაჯდნენ, თითქოს პარკეტზე კი არა, შტორმში მოხვედრილი ჯავშნოსნის გემბანზე მიაბიჯებენო. იმწამს მათ მიმართ სიმპათიაც კი ვიგრძენი. გვერდითა კიბით თავი კულისებში დურთეს. კოკაინიანი სასმლის მონარჩენი გადავხუხე, წამოვდექი და იქით გავემართე, სადაც ტოლსტოი და ბრიუსოვი ისხდნენ. ხალხი

მიცქერდა. ბატონებო და ამხანაგებო, ვფიქრობდი და უცნაურად გაფართოებულ დარბაზს ნელა მივუყვებოდი, დღეს მეც მერგო პატივი, რომ ჩემი საკუთარი დედაბრის ცხედარზე გადამებიჯებინა, მაგრამ მაგ შეთხზულ-გამოგონილი ხელებით ვერ დამახრჩობთ-მეთქი. ჭირმა წაიღოს ეს მარადიული დოსტოევშჩინა, რუს ადამიანს სამუდამოდ რომ აჭიდებია! და ჭირმა წაიღოს რუსი ადამიანი, თავის მეტს რომ ვერაფერს ხედავს ირგვლივ!
– საღამო მშვიდობისა, ვალერი იაკოვლევიჩ. ერთობით? შემკრთალმა ბრიუსოვმა ერთხანს ვერ მიცნო, ბოლოს დაქანცულ სახეზე უნდო ღიმილი გაუკრთა.
– პეტია? – მკითხა, – თქვენა ხართ? მიხარია, რომ გხედავთ. დაბრძანდით.
– მაგიდას მივუჯექი და ტოლსტოის თავშეკავებულად მივესალმე, «აპოლონის» რედაქციაში ხშირად ვხვდებოდი ხოლმე, მაგრამ ახლოს არ ვიცნობდი. ახლა ძალიან მთვრალი იყო.
– როგორ ხართ? – მკითხა ბრიუსოვმა, – დაწერეთ რამე ახალი?
– ამისთვის სადღა მცალია, ვალერი იაკოვლევიჩ, – ვუპასუხე მე.
– ჰო, – ჩაფიქრებით გამეპასუხა და თან ჩემს ტყავის ქურთუკსა და მაუზერს სწრაფი მზერა შეავლო, – ნამდვილად ასეა... არც კი ვიცოდი, პეტია, ჩვენიანი თუ იყავით. თქვენი პოეზია ყოველთვის მომწონდა, განსაკუთრებით პირველი პატარა კრებული, «კაპიტან ლებიადნიკის ლექსები» და, რაღა თქმა უნდა, «მე»-ს სამეფოს სიმღერები», თუმცა წარმოუდგენელი რამეა... იქ სულ ცხენები და იმპერატორები გყავთ, იმ თქვენს ჩინეთში…
– Conspiration, – ვალერი იაკოვლევიჩ, – ვუთხარი, – საძაგელი სიტყვა კია, მაგრამ...
– მესმის, – თქვა ბრიუსოვმა, – მივხვდი, თუმცა,

გარწმუნებთ, ყოველთვის გული მიგრძნობდა. შეცვლილხართ. ელვას დამსგავსებიხართ... თვალებიც გიელავთ... ჰო, ბლოკის «თორმეტი» ხომ არ წაგიკითხავთ?
– წავიკითხე, – ვთქვი.
– რა აზრის ხართ?
– ფინალის სიმბოლიკას ბოლომდე ვერ ჩავწვდი, – ვთქვი, – რატომ მიუძღვის ქრისტე წითელგვარდიელთა პატრულს? ბატონ ბლოკს რევოლუციის ჯვარზე გაკვრა ხომ არ მოუსურვებია?
– მართალია, – სასწრაფოდ დამეთანხმა ბრიუსოვი, – ეს წუთია, მე და ალიოშა სწორედ ამაზე ვლაპარაკობდით. თავისი სახელის გაგონებაზე ტოლსტოიმ თვალი გაახილა, ცარიელი ფინჯანი ასწია, მერე სასტვენს გადასწვდა, პირთან მიიტანა, მაგრამ დასტვენის ნაცვლად თავი ისევ ჩამოაგდო და ძილი გააგრძელა.
– მითხრეს, – ვთქვი მე, – ფინალი შეცვალაო. ახლა პატრულს წინ მატროსი მიუძღვის, ქრისტე კი უკან მიჰყვებაო! უხილავია და გვერდულად დახრილი ჯვრით თოვლის ნამქერში მიაბიჯებსო.
ბრიუსოვი წამით დაფიქრდა, მერე კი მზერა გაუნათდა.
– ჰო, – თქვა, – ასე ჯობია. ასე უფრო ზუსტია. ქრისტე უკან მიჰყვება. უხილავია და უკან მიჰყვება, გვერდულად დახრილი ჯვრით თოვლის ნამქერში მიაბიჯებს!
– დიახ, – ვთქვი მე, – თან გეზი საპირისპირო მხარეს აქვს აღებული.
– თქვენ ასე თვლით?
– დარწმუნებული ვარ, – ვთქვი და ვიფიქრე, ამასობაში ჟერბუნოვს და ბარბოლინს კულისებში ძილი არ მოერიოთ-მეთქი, – ვალერი იაკოვლევიჩ, ერთი თხოვნა მაქვს, თუ არ შეწუხდებით, გამოაცხადეთ, ახლა თქვენ წინაშე რევოლუციური ლექსით პოეტი ფანერნი წარდგება-თქო.

– ფანერნი? – ჩამეკითხა ბრიუსოვი.
– ჩემი პარტიული ფსევდონიმია, – განვუმარტე მე.
– ჰო, – თავი დამიქნია ბრიუსოვმა, – ჩინებულია! სიამოვნებით მოგისმენთ.
– აი, ამას კი არ გირჩევთ, ჯობია, ახლავე წახვიდეთ, აქ ახლა სროლა ატყდება.
ბრიუსოვი გაფითრდა და თავი დამიკანტურა. მეტი აღარაფერი გვითქვამს, ხერხი რომ დადუმდა და იმ პეწენიკმა კაცმა ფეხსაცმელიც რომ ჩაიცვა, ბრიუსოვი წამოდგა და ესტრადაზე ავიდა.
– უახლესი ხელოვნების შესახებ დღეს ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, – თქვა მან, – ახლა ამ თემას პოეტი ფანერნი განაგრძობს, – (აქ თავი ვეღარ შეიკავა და თვალები აატრიალა) ჰმმ... გთხოვთ, ქაღალდის ვეფხვში არ აგერიოთ, ჰმმ... პოეტი ფანერნი წაგვიკითხავს რევოლუციურ ლექსს. გთხოვთ!
სასწრაფოდ დაბლა ჩამოვიდა, დამნაშავესავით გამიღიმა, ხელები გაშალა, მერე ტოლსტოის დაეჯაჯგურა და რაკიღა ეს უკანასკნელი დიდად არ შესწინააღმდეგებია, გასასვლელისკენ წაათრია. გადამდგარ მასწავლებელს ჰგავდა, რომელიც ბაწრით გაუგონარ და სულელ ნაგაზს მიაპროწიალებდა.
ესტრადაზე ავედი. განაპირას ხავერდგადაკრული ტაბურეტი დარჩენოდათ, რომელიც ძალიანაც გამომადგა. ზედ ჩექმიანი ფეხი დავდგი და ჩაჩუმებულ დარბაზს გადავხედე. სახეები ერთ დიდ სიფათად გაერთიანებულიყვნენ, თან ლაქუცა და თან გამომწვევ სიფათად, ზედ რომ გარყვნილი თვითკმაყოფილება ეხატა. უეჭველად მევახშე დედაბრის სახე იყო, არაამქვეყნიური, მაგრამ ცოცხალი. ესტრადის სიახლოვეს იოან პავლუხინი დავლანდე, გრძელთმიანი მონოკლიანი მახინჯი, გვერდით სქელ-სქელი, მუწუკებიანი ქალი ეჯდა, რომელსაც ჟღალ თმაზე ვეება

წითელი ბაფთები დაებნია და ღვეზელს ღმურძლავდა. თუ არ ვცდები, ეს თეატრების კომისარი მადამ მალინოვსკაია უნდა ყოფილიყო. ო, როგორ მძულდნენ ყველანი იმ ერთი გრძელი წამის განმავლობაში. ბუდიდან მაუზერი ამოვიღე, თავზემოთ აღვმართე, ჩავახველე და ჩვეული მანერით – წინ გაშტერებული უმეტყველო მზერითა და უინტონაციოდ – მხოლოდ სტროფებს შორის ჩასმული მოკლე-მოკლე პაუზებით – იმ ლექსის კითხვა დავიწყე, წეღან ჩეკას ბლანკზე რომ დავწერე:

რევბრძოლსონები

ამხანაგო მებრძოლებო! დღეს ვართ მგლოვიარენი,
მტერმა მოკლა ვერაგულად ამხანაგი ფანერნი,
ერთი გმირით შეცოტავდა ჩვენი ჩეკას რიგები,
ვერ მალავენ მრისხანებას ძველი ბოლშევიკები.
დაკითხვიდან მოდიოდა, ღამე იდგა უკუნი,
ერთ ადგილას შეჩერდა და გაახვია თუთუნი,
ამ დროს თეთრი ოფიცერი, მზაკვარი და ახმახი,
ჩაუსაფრდა, შეაყენა პისტოლეტის ჩახმახი.
და ესროლა გამეტებით, ავაზაკის მანერით,
გაუხვრიტა შუბლი უმალ ჩვენს ამხანაგ ფანერნის.
გმირმა წამით გაიბრძოლა, დასწვდა თავის მაუზერს,
მაგრამ შუბლში ნასროლ ტყვიას განა ვინმე გაუძლებს?
შეტორტმანდა, ძირს დაეცა, დაეხუჭა თვალები,
ახლა დროა ჩვენს მტრებს ერთად დავუბრუნოთ ვალები.
რომ სურვილი დავუკარგოთ წითელ დროშის მტერობის,
მაგ თეთრ ძაღლებს ერთად დავცხოთ ჩვენებური ტერორი!

ამ სიტყვებზე ჭაღს ვესროლე, მაგრამ ავაცდინე. მაგრამ იმწამსვე მარჯვნიდან კიდევ ერთი გასროლა გაისმა, ჭაღი დაიფშვნა და ჩემ გვერდით ჟერბუნოვის ჩახმახი გაკრთა. ცალ მუხლზე ჩაჩოქილმა აწიოკებულ

დარბაზს კიდევ რამდენჯერმე ესროლა, ადამიანები ყვიროდნენ, იატაკზე წვებოდნენ და ბოძების უკან იმალებოდნენ, მერე კი ბარბოლინიც გამოჩნდა, ტაატით მიუახლოვდა ესტრადის კიდეს, დასჭყივლა და დარბაზში ყუმბარა ისროლა, ცეცხლმა თეთრად იელვა, იქუხა, მაგიდა გადაყირავდა და წამით ჩამოვარდნილ სიჩუმეში ვიღაცამ განცვიფრებით ამოიოხრა.
უხერხული პაუზა წარმოიქმნა და მის შესავსებად კიდევ რამდენჯერმე ვბუთქე ჭერში. უცებ ისევ ის უცნაური კაცი დავინახე, მუქ გიმნასტურაში გამოწყობილი, აუღელვებლად იჯდა თავის მაგიდასთან, ჩაის წრუპავდა და, მე მგონი, იღიმებოდა კიდეც. გაწბილება მომეძალა. ჟერბუნოვმა ერთხელაც გაისროლა.
– გეყოფა! – ვუყვირე მე.
ჟერბუნოვმა, «შენ ვინ გეკითხება» თუ რაღაც ამგვარი ჩაიბურტყუნა, მაგრამ შაშხანა მაინც მხარზე გადაიკიდა.
– წავედით! – ვთქვი, მოვტრიალდი და კულისებს მივაშურე. იქ მყოფნი ჩვენს დანახვაზე აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. მე და ჟერბუნოვმა ბნელი დერეფანი გავიარეთ, მივუხვ-მოვუხვიეთ და უკანა გასასვლელის კარს მივადექით. ხალხი ქუჩაში გამოსულებსაც დამფრთხალი გაგვირბოდა. ავტომობილისკენ გავემართეთ. იმ დახუთული და გაბუღული დარბაზის შემდეგ ყინულივით ცივმა ჰაერმა ჩემზე ეთერის ორთქლივით იმოქმედა – თავბრუ დამახვია და ძილი მომგვარა. თოვლის სქელი ფენით დაფარული მძღოლი უძრავად იჯდა საჭესთან. კაბინის კარი გავაღე და მოვტრიალდი.
– ბარბოლინი სადღაა? – ვიკითხე.
– ახლავე, – ჩაიცინა ჟერბუნოვმა, – პატარა საქმე აქვს. ავტომობილში შევძვერი, გავიშხლართე და უმალ ჩამეძინა.
ქალის წივილმა გამომაღვიძა და ბარბოლინი დავინახე,

ხელში აფართხალებული, მაქმანიანი ნიფხვით მოსილი ქალი აეტატებინა, რომელსაც ნაწნავიანი პარიკი ამ ჯაჯგურში თავზე გვერდულად მოჰქცეოდა.
– ჩაიწიე, ამხანაგო, – მითხრა ჟერბუნოვმა და კაბინაში შემოძვრა, – შევსება გვაქვს.
ჩავიჩოჩე. ჟერბუნოვი ჩემკენ გადმოიხარა და მოულოდნელად ერთოშ თბილად მომმართა:
– თავიდან ვერც კი მიგიხვდი, პეტკა, შენი სული ვერ დავინახე, არადა, ყოჩაღ, კარგი სიტყვა წარმოთქვი.
პასუხად რაღაც ჩავიბუტბუტე და ისევ დავიძინე.
სიზმრად ქალის კისკისი და მუხრუჭების ღრჭიალი, ჟერბუნოვის უწმაწური გინება და ბარბოლინის გველური სისინი ჩამესმოდა, ეტყობა, იმ უბედურ ქალს ვერ იყოფდნენ.
თავი წამოვწიე და თვალწინ ჟერბუნოვის არაბუნებრივად მოლივლივე სიფათი ამომიცურდა.
– დაიძინე, პეტკა, – დაიგრგვინა სიფათმა, – ჩვენ აქ ჩამოვალთ, სალაპარაკო გვაქვს, შენ კი ივანი მიგიყვანს.
სარკმელს გავხედე. ტვერის ბულვარზე ვიდექით, ქალაქის თავის სახლთან. ნელიად თოვდა. ბარბოლინი და აკანკალებული, ნახევრად შიშველი ქალი უკვე ქუჩაში იყვნენ, ჟერბუნოვმა ხელი ჩამომართვა და მანქანიდან გადავიდა. დავიძარით.
უეცრად საოცარი მარტოობა და უმწეობა ვიგრძენი ამ გაყინულ ქვეყნიერებაზე, რომლის ბინადარნი ხან გოროხოვსკაიაზე მგზავნიდნენ და ხანაც ბნელ-ბნელი სიტყვების ზაფრით სულს მიშფოთებდნენ. ხვალ დილით, ვიფიქრე, შუბლში ტყვია უნდა ვიხალო-მეთქი.
სანამ ძილქუშის შავ ორმოში საბოლოოდ ჩავეშვებოდი, უკანასკნელად ბულვარის დათოვლილი მესერი დავინახე – ავტომობილი რომ მოტრიალდა, ლამის იყო, ზედ მიეხალა.

კაცმა რომ თქვას, მესერი მანქანის სარკმელთან ახლოს კი არ იყო, არამედ თვით სარკმელი იყო მესრიანი, უფრო სწორად, გისოსიანი და იქიდან სახეზე მზის წვრილი სხივი მეფინებოდა. გარიდება მოვინდომე, მაგრამ ამაოდ – იატაკზე ხელით დაყრდნობა რომ ვცადე, რათა მუცლიდან ზურგზე ამოვტრიალებულიყავი, გავარკვიე, რომ ორივე ხელი დაბორკილი მქონდა. რაღაც სუდარისმაგვარში ვიყავი გახვეული, გრძელი სახელოები ზურგს უკან შეეკრათ – ასეთ სამოსს, თუ არ ვცდები, «გიჟის პერანგს» ეძახიან.
ყველაფერი გასაგებია, ვფიქრობდი, ეტყობა, მატროსებმა რაღაც იეჭვეს და მანქანაში რომ ჩამეძინა, ჩეკაშიც მომაბრძანეს-მეთქი. გრეხა-გრეხით ჯერ მუხლებზე დადგომა მოვახერხე, მერე კი კედელთან მიჯდომა. გვარიანად უცნაურ კამერაში ჩავესვი – ზემოთ, ჭერთან გისოსიანი სარკმელი ჩანდა, საიდანაც ჩემი გამღვიძებელი სხივი შემოდიოდა. კედლებზე, კარზე, იატაკსა და ჭერზე რბილი ქსოვილი გადაეკრათ, ასე რომ, დიუმას სტილის რომანტიკული თვითმკვლელობა («კიდევ ერთი ნაბიჯი, მილორდ, და თავს კედელს შევახლი») გამორიცხული იყო. ეტყობა, ჩეკისტებმა განსაკუთრებით საპატიო სტუმრებისთვის ასეთი კამერები შემოიღეს-მეთქი, ვიფიქრე და, გამოგიტყდებით, წამით სიამაყეც კი ვიგრძენი.
რამდენიმე წუთი კარს მივჩერებოდი და წუხელ მომხდარის უსიამო წვრილმანებს ვიხსენებდი, მერე კი კარი გაიღო.
ზღურბლზე ჟერბუნოვი და ბარბოლინი იდგნენ, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რას ჰგავდნენ! თეთრი ხალათები ჩაეცვათ, ბარბოლინის ჯიბიდან კი ნამდვილ სტეტოსკოპს ამოეყო თავი. ამის გაძლება ვეღარ შევძელი და მკერდიდან ნერვიული სიცილი დაიძრა,

თუმცა კოკაინით დამწვარმა ყელმა იგი მშრალ ხველას დაამსგავსა. სიცილი იქვე მოვსხიპე – მომეჩვენა, ესენი ახლა მცემენ-მეთქი. სიკვდილის სულ არ მეშინოდა, ჩემს მდგომარეობაში სიკვდილი გონივრულიც იქნებოდა და ბუნებრივიც, როგორც უნიჭო სპექტაკლის მსვლელობის დროს გაჩენილი ხანძრისას თეატრიდან წასვლა. ოღონდაც საშინლად არ მინდოდა, უკანასკნელ მოგზაურობაში ხეპრეებს მუჯლუგუნებითა და პანღურებით გავეცილებინე, ჩანს, სულის სიღრმეში ჯეროვნად ქრისტიანი არ ვიყავი.
– ბატონებო, – ვთქვი, – მგონი, ხვდებით, რომ თქვენც სულ მალე დაგხოცავენ, ასე რომ, სიკვდილის ხათრით – ჩემის თუ არა, თქვენის მაინც – გთხოვთ, საქმე სწრაფად და ზედმეტი შეურაცხყოფის გარეშე აღასრულოთ. ჩემგან მაინც ვერაფერს შეიტყობთ, რადგან კერძო პირი ვარ და...
– ახლა რასაც ამბობ, – დამცინავად შემაწყვეტინა ჟერბუნოვმა, – დიდი ვერაფერია იმასთან შედარებით, რასაც გუშინ უბერავდი. რა ლექსებს ამბობდი! გახსოვს მაინც?
ლაპარაკის მანერაში რაღაც შეუსაბამო, რაღაც უსაშველოდ შემზარავი ვიგუმანე, ეტყობა, ბალტიურ ჩაის დილიდანვე მიაწვა-მეთქი.
– მეხსიერებას არ ვუჩივი, – ვუპასუხე და თვალი თვალში გავუყარე.
გადაულახავად ცარიელი მზერა შემომაგება.
– ნეტავ რას ელაპარაკები მაგ ყეყეჩს, – წვრილი ხმით წაისისინა ბარბოლინმა, – ტიმურიჩი გაერკვევა, ფულს ამაში იღებს.
– წამო, – ლაპარაკი მოამთავრა ჟერბუნოვმა და ხელი მომკიდა.
– არ შეიძლება ხელები გამიხსნათ, – ვიკითხე, – ორნი არა ხართ?

– ჰო? – ჩამეკითხა ჟერბუნოვი, – ვაითუ, დახრჩობა მოგვინდომო.
ამ სიტყვებმა თავზარი დამცა – ყველაფერი იცოდნენ. ჟერბუნოვის სიტყვები ფიზიკურად დამაწვა მხრებზე და ლამის გამსრისა.
ბარბოლინი მეორე ხელში მწვდა, იოლად წამომაყენეს და ცარიელ, ნახევრად ჩაბნელებულ კორიდორში გამიყვანეს. იქ რაღაც სამედიცინო სუნი იდგა – ეგებ სისხლის. წინააღმდეგობა არ გამიწევია და რამდენიმე წუთში ერთ ფართო ოთახში შემაგდეს, ცენტრში მდგარ ტაბურეტზე დამსვეს და აორთქლდნენ.
ჩემ პირდაპირ საქაღალდეებით დაზვინული დიდი საწერი მაგიდა იდგა, რომელსაც ინტელიგენტური გარეგნობის კაცი მისჯდომოდა, ჟერბუნოვისა და ბარბოლინის მსგავსად თეთრხალათიანი. გაფაციცებით უსმენდა შავი ებონიტის ყურმილს, რომელსაც ყურზე მხრით იკავებდა, თან მექანიკურად ქაღალდებში იქექებოდა, შიგადაშიგ თავსაც აკანტურებდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. არც მე მაქცევდა ყურადღებას.
კიდევ ერთი თეთრხალათიანი, რომელსაც წითელლამპასებიანი მწვანე შარვალი ეცვა, კედელთან სკამზე ჩამომჯდარიყო, ორ ფართო ფანჯარას შორის, რომლებზეც სქელი დამტვერილი ფარდები ეკიდა. ამ ოთახის მოწყობილობაში რაღაც მოუხელთებელი ვიგრძენი, რამაც გენერალური შტაბი გამახსენა, სადაც თექვსმეტ წელში ხშირად დავიარებოდი, რადგან თავს პატრიოტულ ჟურნალისტიკაში ვცდიდი. ოღონდაც თეთრხალათიანი ბატონის თავზე მეფე-ხელმწიფის სურათი კი არ დამინახავს, ან თუნდაც იმ პაპა კარლო მარქსისა, მთელი ევროპა რომ ბურატინოდ გადაექცია უკვე, არამედ ისეთი საშინელი რამ, რამაც ტუჩი მომაკვნეტინა. ეს გახლდათ რუსეთის დროშის ფერებში მუყაოს დიდ ნაჭერზე დაბეჭდილი პლაკატი. ზედ

ყოვლად რუსულსახიანი ლურჯი კაცი ეხატა, რომელსაც მკერდი გადახსნილი, თავის ქალა კი გადახერხილი ჰქონდა და შიგ ტვინი წითლად ღუოდა. მართალია, შიგნეული გარეთ ჰქონდა გამოყრილი და ლათინური ციფრებით დანომრილი, მაგრამ ლურჯი კაცი გულგრილად იცქირებოდა და სახეზე მშვიდი ღიმილი დაჰფენოდა, ან იქნებ ასე იმიტომ ჩანდა, რომ ლოყაც ამოჭრილი ჰქონდა და ხვრელიდან ყბა და ჩაწიკწიკებული, უნაკლო კბილები უჩანდა, ისეთი, გერმანული კბილის საწმენდი ფხვნილის რეკლამებზე რომაა ხოლმე გამოსახული.
– აბა, დაიწყე, – მითხრა თეთრხალათიანმა ბატონმა და ტელეფონის ყურმილი დაკიდა.
– მაპატიეთ? – ვკითხე.
– გაპატიეთ, გაპატიეთ, – მიპასუხა, – რამდენადაც თქვენთან ურთიერთობის გამოცდილება მკარნახობს, ჩემი სახელი უნდა შეგახსენოთ – ტიმურ ტიმუროვიჩი ვარ.
– პიოტრი. გასაგები მიზეზების გამო ხელს ვერ გართმევთ.
– არცაა საჭირო. ეჰ, პიოტრ, პიოტრ, რამ მიგიყვანათ აქამდე?
მეგობრულად, თანაგრძნობით შემომცქეროდა, აპრეხილი წვერი პროვინციელ იდეალისტს ამსგავსებდა, მაგრამ ჩეკისტების ხრიკებზე ბევრი მსმენოდა და სულში ნდობის ნასახიც კი არ გამკრთომია.
– არ მესმის, რას გულისხმობთ იმაში, თითქოს რაღაცამდე ვიყო მისული, – ვთქვი, – და თუ მაინცდამაინც ასე დგას ეს საკითხი, მაშინ მეც იქამდე ვარ მისული, სადამდეც სხვები.
– კერძოდ, ვინ სხვები?
აჰა, დაიწყო-მეთქი, ვიფიქრე.

– თქვენ ალბათ გვარები და მისამართები გაინტერესებთ, თუ სწორად გაგიგეთ. მერწმუნეთ, ვერაფრით გაგახარებთ. ჩემი თავგადასავალი, ბავშვობიდან მოყოლებული, ადამიანთაგან გაქცევის ისტორიაა, ამ კონტექსტში კი სხვების შესახებ მხოლოდ კატეგორიულად თუ იტყვი რამეს, ხომ გესმით ჩემი?
– ცხადია, – თქვა მან და ქაღალდზე რაღაც ჩაინიშნა, – სწორედაც ასეა, მაგრამ თქვენი სიტყვები წინააღმდეგობას შეიცავს, წეღან ბრძანეთ, აქამდე სხვებთან ერთად მივედიო, ახლა კი – ადამიანებს გავურბივარო.
– უკაცრავად, – ვთქვი და ფეხი ფეხზე გადავიდე, რის გამოც კინაღამ წონასწორობა დავკარგე და ტაბურეტიდან გადმოვარდი, – ეს მოჩვენებითი წინააღმდეგობაა. რაც მეტად ვცდილობ საზოგადოებას გავექცე, მით მეტად ვეჯაჭვები. თუმცაღა ამის მიზეზს ახლახან მივხვდი, ისააკის ტაძარს
ჩავუარე, გუმბათს ავხედე, იცით, ღამე იდგა, ყინვა, ვარსკვლავები... და მივხვდი.
– და რა მიზეზია?
– მიზეზი ისაა, რომ, თუ ადამიანებისგან გაქცევას ცდილობ, უნებლიეთ სხვების გაკვალულ მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებს მიუყვები, ჯერ მარტო იმიტომ, რომ უბრალოდ გაქცევა გსურს, ნამდვილ გაქცევას კი იმის ზუსტი ცოდნა სჭირდება, თუ საით გარბიხარ და საიდან. ამიტომ თვალწინ მუდამ ციხის საკანი უნდა გედგას.
– ჰო, – თქვა ტიმურ ტიმუროვიჩმა, – ჰო. რომ წარმოვიდგენ, რამდენი უნდა გელოლიავოთ, შიში მიპყრობს.
მხრები ავიჩეჩე და მის თავზემოთ პლაკატს ავხედე. მივხვდი, ზედ გენიალური მეტაფორა კი არა, ანატომიური ატლასიდან ამოღებული სამედიცინო თვალსაჩინოება იყო გამოსახული.

– ხომ იცით, – განაგრძო ტიმურ ტიმუროვიჩმა, – გამოცდილი კაცი ვარ, ჩემს ხელში მრავალსა და მრავალს გაუვლია.
– ო, ამაში ეჭვიც არ მეპარება, – მივუგე.
– ჰოდა, აი, რას გეტყვით. მე იმდენად ფორმალური დიაგნოზი არ მაინტერესებს, რამდენადაც ის შინაგანი მიზეზი, რომელიც ადამიანს თავისი სოციალურ-ფსიქიკური ნიშიდან ამოაგდებს. და, ჩემი აზრით, თქვენი შემთხვევა ძალიან გამჭვირვალეა. თქვენ, უბრალოდ, სიახლეს ვერ ეგუებით. ის თუ გახსოვთ, რამდენი წლისა ბრძანდებით?
– რა თქმა უნდა. ოცდაექვსის.
– აი, ხომ ხედავთ. თქვენ სწორედ იმ თაობისა ხართ, რომელთა ცხოვრებაც გარკვეული სოციალურ-კულტურული პარადიგმისთვის იყო დაპროგრამებული, რეალობამ კი სრულიად განსხვავებულში მოახვედრა. ხომ გესმით, რაზეც გელაპარაკებით?
– მშვენივრად, – ვუპასუხე.
– ამრიგად, სერიოზულ შინაგან კონფლიქტთან გვაქვს საქმე. მინდა ახლავე დაგამშვიდოთ – ამ დღეში მარტო არა ხართ. მსგავსი პრობლემა მეც მაქვს.
– მართლა? – ჩავეკითხე ცოტა არ იყოს დამცინავად, – და როგორ იგვარებთ?
– ჩემ შესახებ სხვა დროს ვისაუბროთ, – თქვა მან, – ჯერ თქვენი საქმე გავარკვიოთ. როგორც გითხარით, ეს ქვეცნობიერი კონფლიქტი ჩვენს დროში პრაქტიკულად ყველას აწუხებს. მე მინდა, მისი ბუნება გაიაზროთ. იცით, გარემომცველი სამყარო ცნობიერებაში აისახება და გონების ობიექტად იქცევა. ჰოდა, როცა რეალობაში დადგენილი კავშირები ირღვევა, ფსიქიკასაც იგივე ემართება. ამასთანავე, თქვენი «მე»-ს ჩაკეტილ სივრცეში წარმოუდგენელი ოდენობის ფსიქიკური ენერგია თავისუფლდება. პატარა ატომურ

აფეთქებასავით. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, თუ რა მიმართულებით გავრცელდება ეს ენერგია აფეთქების შემდეგ.
საუბარი თანდათან სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდებოდა.
– ბარემ ისიც მიბრძანეთ, რა და რა არხები არსებობს?
– მარტივად რომ ვთქვათ, არხი ორია. ერთ შემთხვევაში ფსიქიკური ენერგია გამოედინება გარე სამყაროში და ისეთ ობიექტებს მიესწრაფვის, როგორებიცაა, ვთქვათ, ტყავის ქურთუკი, ძვირფასი ავტომობილი და ასეთები... ბევრი თქვენი თანატოლი...
შევკრთი – ფონ ერნანი გამახსენდა.
– გავიგე, მაგალითები აღარ გინდათ.
– ჩინებულია. აი, მეორე შემთხვევაში კი ეს ენერგია, ამა თუ იმ მიზეზით, შიგნითვე რჩება. ეს განვითარების ყველაზე უსიამოვნო ვარიანტია. წარმოიდგინეთ სამუზეუმო დარბაზში გამომწყვდეული ხარი...
– ბრწყინვალე მეტაფორაა.
– გმადლობთ. ჰოდა, თქვენი პიროვნება თავისი მყიფე და ეგებ მშვენიერი ექსპონატებით სწორედაც ეს დარბაზია. ხოლო მძვინვარე ხარი ის გამოთავისუფლებული ფსიქიკური ენერგიაა, რომელიც ვერ დაგიმოჩილებიათ. ეს თქვენი აქ ყოფნის მიზეზიცაა. აუჰ, ვიფიქრე, რა ჭკვიანი კაცია და თან რა ნაძირალაა-მეთქი.
– მეტსაც გეტყვით, – განაგრძობდა ტიმურ ტიმუროვიჩი, – ბევრი ვიფიქრე იმის შესახებ, თუ რატომ შეუძლია ადამიანთა ნაწილს ახალი ცხოვრების დაწყება – პირობითად ამათ «ახალი რუსები» დავარქვათ, თუმცა ეს ტერმინი არცთუ მთლად დადებითია...
– გეთანხმებით, დიდი საძაგლობაა, თან ყალბი. თუ ჩერნიშევსკის ციტირება გნებავთ, შეგახსენებთ, რომ ის ამათ «ახალ ადამიანებს» უწოდებდა.

– შესაძლებელია, მაგრამ კითხვა მაინც ძალაშია: რატომ მიესწრაფვიან ერთნი სიახლეებს, სხვები კი გამქრალი სამყაროს აჩრდილებთან არარსებულ ანგარიშსწორებას ირჩევენ?
– დიდებულად ბრძანეთ. ბალმონტისებურად
– კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ. პასუხი, მგონი, ერთობ უბრალოა, ეგებ პრიმიტიულადაც კი მიიჩნიოთ. შორიდან დავიწყებ. ადამიანის, ქვეყნის, კულტურისა და ასეთების არსებობა მუდმივ მეტამორფოზებს განიცდის. ისინი ზოგჯერ დროში ხანგრძლივად განფენილნი და, ამდენად, შეუმჩნეველნი არიან, ხანდახან კი მეტად ხისტ ფორმას იძენენ – ისე, როგორც ახლა ხდება. კულტურათა შორის სიღრმისეულ სხვაობას სწორედ ამ მეტამორფოზებთან ურთიერთობა განსაზღვრავს. მაგალითად, ჩინეთი, რომლისთვისაც თქვენ ჭკუას კარგავთ…
– ეგ საიდანღა მოიგონეთ? – ვკითხე და ვიგრძენი, თუ როგორ მომეკუმშა ზურგს უკან დაბმული მუშტები.
– აი, თქვენი დოსიე, – თქვა ტიმურ ტიმოროვიჩმა და მაგიდიდან ყველაზე სქელი საქაღალდე აიღო, – სწორედ ახლა ვათვალიერებდი.
საქაღალდე კვლავ მაგიდაზე მიაგდო.
– დიახ, ჩინეთი. თუ გახსოვთ, მთელი მათი მსოფლაღქმა იმაზეა აგებული, რომ სამყარო დეგრადირდება, ოქროს საუკუნიდან აძრული უკუნისა და უდროობისკენ თავქვე მიექანება. მათთვის აბსოლუტური ეტალონი წარსულშია დარჩენილი და ყოველი სიახლე ბოროტებად აღიქმება, როგორც ამ ეტალონისგან კიდევ ერთი დაშორება.
– მაპატიეთ, – ვთქვი, – მაგრამ ეს ზოგადად კულტურის თვისებაა. ენაშიც კია ასახული. მაგალითად, ინგლისურში. ჩვენ ვართ, ასე ვთქვათ, «descendants of the past», რაც დაღმასვლას აღნიშნავს, და არა «ascendant»-ს –

აღმასვლას.
– შესაძლებელია, – თქვა ტიმურ ტიმუროვიჩმა, – უცხო ენებიდან მხოლოდ ლათინური ვიცი. მთავარი სხვაა. როდესაც ცნობიერების ეს ტიპი კონკრეტულ პიროვნებაში ხორციელდება, ადამიანი საკუთარ ბავშვობას ერთგვარ დაკარგულ სამოთხედ აღიქვამს. თუნდაც ნაბოკოვი ავიღოთ. მისი გაუთავებელი რეფლექსია ადრეულ ასაკზე ჩემი აზრის დამადასტურებელ კლასიკურ მაგალითად გამოდგება. ხოლო განკურნების, რეალურ სამყაროზე გადართვის კლასიკურ მაგალითად კი მისივე, ასე ვთქვათ, კონტრსუბლიმაცია გამოგვადგება, რომელიც ერთობ ოსტატურად განახორციელა, როცა მიუღწეველი და ეგებ არც არასდროს არსებული სამოთხე გოგონას, ჯერაც ბავშვის მიმართ უბრალო, მიწიერი და, ცოტა არ იყოს, გარყვნილი ვნებით ჩაანაცვლა. თუმცაღა ერთი შეხედვით...
– ბოდიში, რომელ ნაბოკოვს გულისხმობთ? – შევაწყვეტინე მე, – კონსტიტუციური დემოკრატების ლიდერს?
ტიმურ ტიმუროვიჩმა ხაზგასმული შემწყნარებლობით გამიღიმა.
– არა, – თქვა, – მის შვილზე ვლაპარაკობ.
– ტანიშევსკელ ვოვკაზე? ისიც აიყვანეთ? მაგრამ ის ხომ ყირიმშია? და გოგონები რაღა შუაშია, რას მიედ-მოედებით?
– ჰო, კარგი, ყირიმშია და ყირიმში იყოს, – თქვა ტიმურ ტიმუროვიჩმა, – ჩვენ ახლა ყირიმზე კი არა, ჩინეთზე ვლაპარაკობთ. იმას მოგახსენებდით, კლასიკურ ჩინურ მენტალობას ყოველი წინსვლა დეგრადაციად წარმოუდგენია-მეთქი. მეორე გზაც არის – ევროპული, და ენობრივი მაგალითებით ამას ვერასდიდებით ვერ უარყოფთ. რა ხანია რუსეთი ამ გზაზე დადგომას

ლამობს, მერამდენედ ცდილობს, დასავლეთთან ეს ყოვლად ალქიმიური და უიღბლო საქორწინო კავშირი გააფორმოს.
– შესანიშნავი ნათქვამია.
– გმადლობთ. ამ შემთხვევაში იდეალი წარსულში კი არ არის ჩარჩენილი, არამედ პოტენციურად მომავალშია დავანებული. ეს კი არსებობას აზრს სძენს. გამიგეთ? განვითარების, პროგრესის, სრულყოფილებისკენ სწრაფვისა და წინსვლის იდეა. პიროვნულ დონეზეც იგივეა, მაშინაც კი, როდესაც ინდივიდუალური პროგრესი ყოვლად უმნიშვნელო წვრილმანებში გამოიხატება, მაგალითად, ბინის გარემონტებაში, ავტომანქანის ახლით შეცვლაში. ეს ცხოვრების გაგრძელების საშუალებას გვაძლევს. თქვენ კი ამ გაგრძელების ფასი არ გსურთ, გადაიხადოთ. ის მეტაფორული ხარი, რომელიც წეღან ვახსენეთ, თქვენს სულში დაძრწის, ყველაფერს ლეწავს და ანადგურებს, რადგანაც არ გსურთ, რომ თავი რეალობას ანდოთ. გძულთ პოზა, რომლის მიღებასაც დროება გაძალებთ. თქვენი ტრაგედიის მიზეზი სწორედ ესაა.
– თქვენი მსჯელობა, რაღა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა, მაგრამ ერთობ ბუნდოვანი, – ვთქვი მე და კედელთან მჯდარ სამხედრო პირს გავხედე, – თანაც ხელები დამიბუჟდა. რაც შეეხება პროგრესს, მის ნამდვილ არსს მოკლედ აგიხსნით.
– გთხოვთ.
– თქვენს ნათქვამს თუ, უბრალოდ, ძალიან შევამოკლებთ, ცვლილებებს ზოგი სხვებზე სწრაფად ეგუება. ეგაა და ეგ. მაგრამ იმაზე თუ გიფიქრიათ როდისმე, თვით ეს ცვლილებები რატომღა ხდება? ტიმურ ტიმუროვიჩმა მხრები აიჩეჩა.
– მე გეტყვით. იმედია, სადავოდ არ მიიჩნევთ, რომ რაც მეტად ფლიდი და უნამუსოა ადამიანი, მით უფრო

იოლად ცხოვრობს.
– დიახ, ამას სადავოდ არ მივიჩნევ.
– იოლად კი იმიტომ ცხოვრობს, რომ ცვლილებებს სწრაფად ეგუება.
– დავუშვათ, ასეა.
– ჰოდა, არსებობს უსინდისო მზაკვრობის ისეთი დონე, მოწყალეო ბატონო, როცა ადამიანი ცვლილებებს წინასწარვე განჭვრეტს, უფრო ადრე, ვიდრე ისინი რეალობაში განხორციელდება და ამის წყალობით სხვებზე სწრაფადაც ეგუება. მეტიც, ყველაზე დახვეწილი ნაძირლები ცვლილებებს იქამდე ეგუებიან, ვიდრე ეს ცვლილებები მოხდებოდეს.
– მერე და რა?
– რა და, ის, რომ ამქვეყნად ყველა ცვლილება სწორედაც ამ დახვეწილი ნაძირლების წყალობაა. ისინი მართლა მომავალს კი არ ჭვრეტენ, არამედ თვით ქმნიან ამ მომავალს, იქით მიცოცავენ, საიდანაც, მათი აზრით, ქარმა უნდა დაუბეროს. ქარსაც რაღა დარჩენია – სწორედ იქიდან უნდა დაუბეროს, საითაც ეს ბატონები გახოხდებიან.
– ვითომ რატომ?
– აბა, როგორ. აკი აგიხსენით, ყველაზე ამაზრზენ, გაიძვერა და უნამუსო არამზადებზე ვლაპარაკობ-მეთქი. ეგებ ჰგონიათ, რომ ყველას დაარწმუნებენ, ქარი მაინცდამაინც იქიდან დაუბერავს, საითაც ჩვენ გადავხოხდითო?! მით უმეტეს, რომ ზემოხსენებული ქარი მხოლოდ ამ იდიომის შიგნით უბერავს... რაღაც ძალიან გავილექსე. მართალი გითხრათ, გადაწყვეტილი მქონდა, სანამ არ დამხვრეტენ, ხმას არ ამოვიღებ-მეთქი.
კედელთან მჯდარმა სამხედრო პირმა ჩაახველა და ტიმურ ტიმუროვიჩს დიდმნიშვნელოვნად შეხედა.
– არ გაგაცანით, – თქვა ტიმურ ტიმუროვიჩმა, – ეს

პოლკოვნიკი სმირნოვია, სამხედრო ფსიქიატრი. აქ სხვა საქმეზეა, მაგრამ თქვენმა შემთხვევამ დააინტერესა.
– პატივს მდებთ, პოლკოვნიკო, – ვუთხარი და თავი დავუკარი.
ტიმურ ტიმუროვიჩი ტელეფონისკენ დაიხარა და თითი რომელიღაც ღილაკს დააჭირა.
– სონეჩკა, ძვირფასო, ოთხი კუბი, როგორც ყოველთვის, – თქვა მან, – აქვე, ჩემთან, სანამ პერანგშია, მერე კი ეგრევე პალატაში.
ტიმურ ტიმუროვიჩი მომიტრიალდა, ღრმად ამოიხვნეშა და წვერი მოიქექა.
– ჯერჯეროობით ფარმაკოლოგიური კურსის გაგრძელება მოგვიწევს, – თქვა, – გამოგიტყდებით, ამას საკუთარ მარცხად აღვიქვამ, პატარა მარცხად, მაგრამ მაინც. მე ვთვლი, რომ კარგი ფსიქიატრი წამლებს უნდა ერიდებოდეს, რადგან... როგორ აგიხსნათ... წამალი კოსმეტიკაა, პრობლემას კი არ ხსნის, არამედ მხოლოდ უცხო თვალს უმალავს. მაგრამ თქვენს შემთხვევაში სხვა ვერაფერი მომიფიქრებია. თვითონ უნდა დამეხმაროთ. წყალწაღებულის გადასარჩენად მხოლოდ ხელის გაწოდება ხომ არ კმარა, თუ გაწვდილ ხელს თვითონაც არ ჩაებღაუჭა.
ზურგს უკან კარი გაიღო და ფრთხილი ნაბიჯის ხმა მომესმა. მხარზე ქალის თითების რბილი შეხება ვიგრძენი და პატარა ცივი ნესტარი «გიჟის პერანგის» გავლით ჩამესო კანში.
– სხვათა შორის, – ხელების ფშვნეტით თქვა ტიმურ ტიმუროვიჩმა, – უნდა მოგახსენოთ, რომ საგიჟეთის ჟარგონზე დახვრეტას სწორედ იმას ეძახიან, რაც ახლა გაგიკეთეთ – ამინაზინისა და პერეპიტინის ჩვეულებრივ ხსნარს, ოღონდ ეგრეთ წოდებულ სულფაზინის ჯვარს, ანუ ოთხმაგი დოზის ინიექციას... იმედია, აქამდე არ

მივა ჩვენი საქმე…
იმ ქალის დასანახად, ნემსი რომ მიჩხვლიტა, თავი არ მიმიბრუნებია. იმ დაჩეხილ ლურჯ-წითელ-თეთრ კაცს ვუცქერდი პლაკატზე და როდესაც მან, თავის მხრივ, შემომხედა, გამიღიმა და თვალი ჩამიპაჭუნა, სწორედ მაშინ შორიდან ტიმურ ტიმუროვიჩის ხმაც ჩამესმა:
– დიახ, პირდაპირ პალატაში. არა, ხელს არ შეგიშლით. რაღაც ზემოქმედება ხომ მაინცაა... ამ სკამზე მალე ხომ თვითონაც უნდა დაჯდეს.
ვიღაცებმა ხელი ჩამჭიდეს (მგონი, ჟერბუნოვი და ბარბოლინი იყვნენ), პერანგი გამაძრეს და რაღაც საკაცის მაგვარზე ქვიშიანი ტომარასავით გადამდეს. მერე თვალწინ კარის ჩარჩომ ჩამიარა და კორიდორში აღმოვჩნდით.
ჩემი გახევებული სხეული ნომრიანი კარების გასწვრივ მისრიალებდა, უკან კი გადაცმული მატროსების დეფორმირებული ლაპარაკი და სიცილი მომდევდა – თუ არ ვცდები, ქალებზე უწმაწურად მსჯელობდნენ, მერე ჩემზე გადმოხრილი ტიმურ ტიმუროვიჩის სახე დავინახე – თურმე გვერდით მომყვებოდა.
– პიოტრ, თქვენ, მართალია, პუშკინი არ ბრძანდებით, მაგრამ მაინც მესამე განყოფილებაში დაბრუნება გადაგიწყვიტეთ, – თქვა და კმაყოფილმა ჩაიცინა, – იქ ამჟამად ოთხი კაცია, თქვენიანად ხუთნი იქნებიან. იცით, რა არის პროფესორ კანაშნიკოვის ჯგუფური თერაპიის მეთოდი? ანუ ჩემი?
კარებისა და ზედ დაკრული ნომრების ქროლვა-ციმციმი აუტანელი შეიქნა და თვალები დავხუჭე.
– უბრალოდ რომ აგიხსნათ, ეს არის ავადმყოფთა ერთობლივი ბრძოლა გამოსაჯანმრთელებლად. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი პრობლემები დროებით კოლექტიურდება, ანუ სეანსის მონაწილეები გარკვეული ვადით თქვენს მდგომარეობას გაიზიარებენ,

ასე ვთქვათ, გაგიიგივდებიან. როგორ გგონიათ, რა შედეგს მივიღებთ?
ვდუმდი.
– უბრალოდ, – განაგრძო ტიმურ ტიმუროვიჩმა, – სეანსის დასრულების შემდეგ ურთიერთმოქმედების ეფექტი წარმოიქმნება, მონაწილეთა ერთობლივი გამოსვლა ახლახან რეალობად აღქმული მდგომარეობიდან. კაცმა რომ თქვას, ეს ადამიანისთვის დამახასიათებელი ჯოგური ინსტინქტის სამედიცინო მიზნით გამოყენებაა. სეანსის დროს თანამონაწილეები ერთხანს, შესაძლოა, თქვენი იდეებითა და განწყობილებებით განიმსჭვალონ, მაგრამ სეანსის დასრულებისთანავე მიგატოვებენ და თითოეული საკუთარ მანიას დაუბრუნდება. ჰოდა, იმ მომენტში, თუკი პათოლოგიური ფსიქომასალა, მოხერხდება და, ზედაპირზე კათარზისულად ამოვა, პაციენტი თავისი ავადმყოფური წარმოდგენების ფარდობითობას გაისიგრძეგანებს და საკუთარ პიროვნებას მათთან აღარ გააიგივებს. აქედან კი სრულ გაჯანსაღებამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება.
მის სიტყვებში ჩადებულ აზრს ძნელად ვწვდებოდი. ეგებ არც იყო. მაგრამ რაღაც-რაღაცები მაინც მეჭედებოდა გონებაში. წამალი სულ უფრო და უფრო ძლიერ ზემოქმედებდა – ირგვლივ ვეღარაფერს ვხედავდი, სხეული უგრძნობ მძიმე, უაზრო განურჩევლობაში ჩაინთქა. ყველაზე უარესი კი ის გახლდათ, რომ კანქვეშ შეშხაპუნებულმა პრეპარატმა ჩემზე კი არა, ვიღაც სხვა ადამიანზე იმოქმედა, ან კიდევ სხვა ადამიანად გადამაქცია და შიშნეულად ვიგუმანე, იმ სხვა ადამიანის განკურნება მართლაც შესაძლებელია-მეთქი.
– დიახ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, – დამიდასტურა ტიმურ ტიმუროვიჩმა, – და განგკურნავთ კიდეც, ეჭვი არ შეგეპაროთ. საერთოდაც, «საგიჟეთის» ცნება თავიდან

ამოიგდეთ, ყოველივე მხოლოდ საინტერესო თავგადასავლად აღიქვით. მით უფრო, რომ ლიტერატორი ბრძანდებით. აქ ხანდახან ისეთ რამეს გაიგონებ, რომ არ ჩაიწერო, ცოდვაა. აგერ ახლა თქვენს პალატაში მეტად საინტერესო მოვლენა გელით – მარიას ჯგუფური სეანსი. ხვდებით?
უარის ნიშნად თავი გავიქნიე.
– თუმცა, ჰო, რასაკვირველია, – თქვა, – მაინც ძალიან საინტერესო შემთხვევაა. ნამდვილი შექსპირული ფსიქოდრამაა. ერთი შეხედვით, ერთმანეთს ცნობიერების უაღრესად განსხვავებული ობიექტები ხვდებიან – მექსიკური მელოდრამატული ტელესერიალი, ჰოლივუდური ბლოკბასტერი და უმწიფარი რუსული დემოკრატია. გაგიგიათ ეს მექსიკური «საპნის ოპერა» სახელწოდებით «უბრალოდ მარია»? არ გახსოვთ? გასაგებია. მოკლედ, თავისი თავი სწორედ ეს პერსონაჟი მარია ჰგონია. მთლად ბანალური შემთხვევა იქნებოდა, რომ არა რუსეთთან არაცნობიერი თვითგაიგივება, პლუს აგამემნონის კომპლექსი ანალური დინამიკით. ერთი სიტყვით, მთლად ჩემი პროფილითაა – ცრუ პიროვნების გაორება. ღმერთო, რამსიგრძე კორიდორები აქვთ-მეთქი, გავიფიქრე.
– რა თქმა უნდა, სეანსში სრულფასოვნად მონაწილეობის თავი არ გექნებათ, – მესმოდა ტიმურ ტიმუროვიჩის ხმა, – ასე რომ, შეგიძლიათ იძინოთ. ოღონდაც არ დაგავიწყდეთ, რომ მალე თვით თქვენ მოგიწევთ მთხრობელის როლის შესრულება. ამასობაში ალბათ რომელიღაც ოთახში შემაგორეს – კარმა გაიჭრიალა და შეწყვეტილი საუბრის ნაწყვეტსაც მოვკარი ყური. ტიმურ ტიმუროვიჩი სიბნელეს მიესალმა და რამდენიმე ხმამ პასუხიც გასცა. მე უხილავ საწოლზე გადამაწვინეს, თავქვეშ ბალიში დამიდეს და საბანი

დამახურეს. ერთხანს ყურთასმენამდე მოფრენილ ფრაზებს ვუსმენდი (ტიმურ ტიმუროვიჩი ვიღაცებს ჩემი ხანგრძლივი არყოფნის მიზეზს უხსნიდა), მერე კი სრულად გავითიშე, რადგან ერთი მეტად მნიშვნელოვანი პირადი ხასიათის ჰალუცინაცია მეწვია. არ ვიცი, რა ხანი დავყავი საკუთარ სინდისთან განმარტოებულმა, თუმცა რაღაც მომენტში ჩემი ყურადღება კვლავ ტიმურ ტიმუროვიჩის მონოტონურმა დუდუნმა მიიპყრო:
– ყურადღებით უცქირეთ ამ ბურთულას, მარია. თქვენ სავსებით მშვიდად ხართ. თუ პირის სიმშრალეს გრძნობთ, ეს თქვენთვის გაკეთებული პრეპარატის ზემოქმედებით აიხსნება და მალე გაგივლით. გესმით ჩემი?
– დიახ, – ხმა უფრო კაცის წვრილ ტენორს ჰგავდა, ვიდრე ქალის ჩახლეჩილ მეცოსოპრანოს.
– ვინ ხართ?
– მარია, – მიუგო ხმამ.
– გვარი?
– უბრალოდ მარია.
– რამდენი წლის ხართ?
– თვრამეტისად მთვლიან, – უპასუხა ხმამ.
– იცით, სად იმყოფებით?
– ვიცი. საავადმყოფოში ვარ.
– აქ რატომ აღმოჩნდით?
– შეჯახების გამო, რაღა თქმა უნდა. არც კი ვიცი, საერთოდ ცოცხალი როგორ გადავრჩი, რას წარმოვიდგენდი, ასეთი კაცი თუ იყო.
– რას შეეჯახეთ?
– ოსტანკინოს ტელეანძას.
– რას ამბობთ? ეგ როგორ მოხდა?
– გრძელი ამბავია.
– არაფერია, – თქვა ტიმურ ტიმუროვიჩმა, – არსად არ

გვეჩქარება. მოყევით, ჩვენ კი მოგისმენთ. რით დაიწყო ამბავი?
– იმით, რომ სანაპიროზე სასეირნოდ წავედი.
– მანამდე სად იყავით?
– არსადაც არ ვყოფილვარ.
– კარგი, განაგრძეთ.
– ჰო, მოკლედ, მივდივარ, მივდივარ და უცებ – რაღაც კვამლია, მივდივარ, იმატებს...
უცებ შევამჩნიე, რომ, რაც უფრო მეტად ვაყურადებდი ამ შორეულ სიტყვებს, აზრს მით უფრო მეტად ვეღარ ვიგებდი. აზრი სიტყვებს თითქოს თოკით ჰქონდა გამობმული და ეს თოკი სულ გრძელდებოდა და გრძელდებოდა. საუბარს ვეღარ მივდევდი, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარც ჰქონდა, რადგან ამ დროს თვალწინ რაღაც ბუნდოვანი სურათი ამომიტივტივდა – კვამლით გაბუღული სანაპირო, იქვე მიმავალი მხარბეჭიანი ქალი, გადაცმულ კაცს რომ ჰგავდა. ვიცოდი, რომ მარია ერქვა, თან ვხედავდი და თანაც სამყაროს მისი თვალთახედვითაც აღვიქვამდი. მიმდევნო წამს უკვე იმასაც მივხვდი, რომ მისი ყველა ფიქრი და გრძნობაც გადმომეცემოდა: ფიქრობდა, რაც გინდა თქვი და, დიდი ვერაფერი გასეირნება გამომივიდაო, რადგან მზიანი დილა, რომელიც ამ ცოდვიან ქვეყანაზე ახლად მოვლინებულს შეგებებოდა, ახლა უკვე ეშმაკმა იცის, რით შეცვლილიყო. თან ისე შემპარავად, რომ ვერც კი შეემჩნია. თავიდან კვამლის სუნი ეცა და იფიქრა, ალბათ ხმელ ფოთლებს წვავენო. მერე დამწვარი რეზინის სიმყრალე გამოერია და ბოლის ნისლივით სქელი ტალღებიც დაიძრა, კიდევ და კიდევ, სანამ ყოველივე არ დაფარა სანაპიროს თუჯის მოაჯირისა და უახლოესი სივრცის რამდენიმე მეტრის გარდა. მალე მარიას მოეჩვენა, სამხატვრო გალერეის გრძელ დარბაზს მივუყვებიო – გარემოს სეგმენტები

ყოვლისმომცველი სიბნელიდან დროდადრო გამოანათებდა ხოლმე და გაცვეთილი ყოფითობით აქტუალური ხელოვნების ობიექტებს ჰგავდა – მაგალითად, აბრა წარწერით «ვალუტის გაცვლა», ჯაყვებით დასერილი სკამძელები და უამრავი ცარიელი ქილა იმის დასტურად, რომ ახალი თაობა მეტწილად ლუდს ირჩევს. კვამლიდან ამოყვინთავდნენ და კვლავ უჩინარდებოდნენ ავტომატებით შეიარაღებული შეშფოთებული ადამიანები, რომლებსაც თავი ისე ეჭირათ, თითქოს მარიას ვერც კი ამჩნევდნენ და მარიაც ამითვე პასუხობდა. უამათოდაც ბევრი ჰყავდა მზრუნველი და გამხსენებელი. მილიონები. ათეულ მილიონობით ადამიანი ფიქრობდა მარიაზე, ეგებ მეტიც, ზუსტი რაოდენობა მარიამ არ იცოდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, ყველა თაყვანისმცემლის გულს უნისონში რომ ეფეთქა, ბევრად უფრო ძლიერ ხმას გამოსცემდა, ვიდრე ის გამაყრუებელი აფეთქებები, გაღმიდან რომ მოისმოდა. მიმოიხედა და ელვარე თვალები მოჭუტა, ნეტა რა ხდებაო. სადღაც მახლობლად, – ზუსტად რა ადგილას, კვამლის გამო ვერ გაიგებდი, – დროგამოშვებით გრუხუნს ძაღლების ყეფა და ხალხის ღრიალი ერთვოდა, სტადიონზე გატანილ გოლს რომ მოჰყვება ხოლმე, ისეთი.
მარიამ აღარ იცოდა, რა ეფიქრა – ეგებ მდინარის გადაღმა კინოს იღებდნენ, ეგებ ახალი რუსები ურთიერთობებს არკვევდნენ, აქაოდა, ვინ უფრო ახალიაო. ნეტავ მალე გაიყონ, რაც გასაყოფი აქვთო, გაიფიქრა და ამოიოხრა, თორემ, ვინ იცის, კიდევ რამდენი ლამაზი ბიჭი დაეცემა ასფალტზე და გულიდან გადმოდენილ სისხლსაც ზედ დაანთხევსო.
როგორ უნდა გავუიოლო ცხოვრება თითოეულ ამათგანს, ვინც აგერ ახლა ამ კვამლში ფართხალებს, ლამის მზე რომ დაუბნელებიაო, ფიქრობდა მარია.

ნათელი, გამჭვირვალე, სადა აზრები მოსდიოდა თავში – აგერ, სადა კაბაში გამოწყობილი, ერთ ჩვეულებრივ ბინაში შედის, მასპინძლებს მისი სტუმრობის ხათრით საგულდაგულოდ რომ დაულაგებიათ. აგერ, თვითონაც, მაგიდასთან სამოვარს უსხედან და შესციცინებენ და მარიამ იცის, რომ ახლა არაფრის თქმა საჭირო არ არის, მხოლოდ უნდა ჩამოჯდეს და ალერსით შეაჩერდეს, თან, შეძლებისდაგვარად, აზუზუნებულ კინოკამერას ყურადღება არ მიაქციოს. ან კიდევ: აგერ საავადმყოფოს პალატა, დაბინდული ადამიანები მოუხერხებელ საწოლებზე დაუწვენიათ, ხოლო მარიას გამოსახულება კედელზე ისე დაუკიდიათ, რომ ყველას შეეძლოს დანახვა. მწოლიარენი უცქერენ და საკუთარ ტკივილებსა თუ უბედურებას დროებით ივიწყებენ…
რა მშვენიერი იყო ეს ყოველივე, მაგრამ მარია ეჭვობდა, ეგებ საკმარისი არ არისო – წუთისოფელს მკაცრი და შეურყეველი ძალა სჭირდება, რომ ბოროტებას წინ აღუდგეს. კი მაგრამ, საიდან ეს ძალა? ან როგორი ძალაა საჭირო? ამ კითხვების პასუხი მარიამ არ იცოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ სწორედ ამისთვის მიაბიჯებდა ახლა ამ გატანჯული ქალაქის სანაპიროზე.
ქარმა წამით გაფანტა კვამლი და მარიას მზის სხივი დაეფინა. თვალები ხელით მოიჩრდილა და უეცრად მიხვდა, თუ სად უნდა ეპოვა პასუხი – რაღა თქმა უნდა, იმ უამრავ გულსა და გონებაში, რომლებმაც მას უხმეს და აიძულეს, ამ გაბუღულ სანაპიროზე აღმოცენებულიყო. ყველანი ცნობიერების ერთ დიდ ოკეანედ გაერთიანებულიყვნენ, მილიონობით თვალით უმზერდნენ ტელეეკრანებს და ახლა მთელი ეს ოკეანე მარიას თვალწინ გადაშლილიყო. მზერა მოავლო და თავიდან დამხმარე ვერავინ ვერ შენიშნა. არა, რასაკვირველია, ცნობიერების ეს ოკეანე უძლეველ ძალას ფლობდა და თან მეტწილად ერთგვაროვანს, რის

გამოც გარკვეული გმირის იერსახე იკვეთებოდა – ჭაბუკი მომცრო თავითა და განიერი მხრებით, ორბორტიან ჟოლოსფერ პიჯაკში გამოწყობილი, ფეხები გან-გან დაუდგამს და დაბალი, გრძელი ავტომობილის გვერდით მტკიცედ აღმართულა. ოღონდაც მანქანა ერთობ ბუნდოვანი და ჰაერში გადღაბნილია, რადგან თითოეულ იმ ადამიანს, ვის სულებსაც მარია ახლა ხედავს, იგი სულ სხვადასხვა მოდელისა და მარკის მანქანად ჰყავთ წარმოდგენილი. ასეთივე იყო ახალგაზრდა კაცის სახეც – ერთობ მიახლოებითი, ბუნდოვანი, მხოლოდ ვარცხნილობა – ოდნავ ხვეული, მოკლედ შეკრეჭილი წაბლისფერი თმა მოჩანდა მკაფიოდ. პიჯაკი კიდევ უკეთესად –კარგად თუ დააკვირდებოდით, ღილებზე წარწერების ამოკითხვასაც კი შეძლებდით. მაგრამ მარიას ღილებისთვის არ ეცალა, მთავარი ის კი არ იყო, ზედ რა ეწერა, არამედ ამ უსაზღვრო ძლიერებისა და მისი მოკრძალებული სიყვარულის შეერთება. შეჩერდა, გრანიტის ტუმბას დაეყრდნო, ერთ-ერთს მრავალთაგან, მესრის გისოსებს სექციებად რომ ანაწილებდნენ. გამოსავალი კვლავაც მარიასადმი ნდობით აღვსებულ სულთა და გონთა წიაღ უნდა ეძებნა, თუმცა ამჯერად ზუსტად იცოდა, ზოგადი აზრები საქმეს ვერ უშველიდა. საჭირო იყო... «ნუთუ მათ შორის ერთ ჭკვიან დედაკაცს მაინც ვერ ვიპოვი», – გაიფიქრა. და ჭკვიანი ქალიც უმალ გამოინახა. მარიამ მისი არც სახელი იცოდა, არც ვინაობა და არც გარეგნობა – სურათი გაკრთა წამიერად: მაღალი წიგნის კარადები, ქაღალდებით დაზვინული მაგიდა ზედ საბეჭდი მანქანით, კედელზე დაკიდული საოცრად გრძელი და დაგრეხილი ულვაშებით დამშვენებული პირქუში კაცის ფოტოსურათი; ეს ყოველივე შავ-თეთრად ჩანდა, თან ისე ციმციმებდა და იბრიცებოდა, გეგონება, მარია ძველისძველი

ტელევიზორის ყუთში ზის და ერთი ბეწო, სიგარეტისკოლოფისხელა ეკრანიდან გარეთ იცქირებაო, თანაც ეს ტელევიზორი ოთახის ცენტრში კი არ იდგა, არამედ სადღაც კუთხეში იყო მიყუჟული. თუმცაღა ეს გამოსახულებაც ისე სწრაფად გაუჩინარდა, მარიამ დაკვირვებაც კი ვერ მოასწრო და მყისვე ფიქრმა გაიტაცა. ამ ხილვას მარიამ ვერაფერი გაუგო, მით უფრო, რომ ზმანება ერთობ დრომოჭმული და პირქუში ჩანდა, თითქოს საკუჭნაოში ძველი შირმა წაიქცა და მტვრის ბუქი დააყენაო. დაასკვნა, ეტყობა, ძლიერ დანაგვიანებულსა და არც მთლად ნორმალურ ცნობიერებასთან მაქვს საქმეო და ხილვის დასრულებისთანავე საოცარი შვება იგრძნო. მისი სულის ვარდისფერ სიცარიელეში დარჩენილი ნალექი არცთუ მთლად გასაგები სიტყვებისგან შედგებოდა. აი, რა სიტყვები იყო: «მშვენიერი ქალბატონი» (გასაგები იყო, ვინც იგულისხმებოდა), «უცნობი ქალი» (ასევე), ამას ციმციმით მოსდევდა სიტყვა «საქმრო» (რატომღაც ასომთავრულით), მერე «სტუმარი» (ასევე), მერე – გაუგებარი სიტყვათშეთანხმება «ალქიმიური ქორწინება», დაბოლოს, სრულიად ბუნდოვანი: «დასვენება ამაოა, ვაკაკუნებ!» ამით ფიქრი დასრულდა და ერთხელაც იელვა ფოტომ, რომელზეც გამოსახული იყო გახევებულსახიანი კაცი, რომელსაც ულვაშები გრძლად ისე გადმოჰკიდებოდა, თითქოს ულვაშები კი არა, პირდაპირ ცხვირქვეშ ჩამოზრდილი წვერიაო. დაბნეულმა მარიამ მიიხედ-მოიხედა, ირგვლივ მეტწილად კვლავ კვამლი ტრიალებდა. იფიქრა, ეგებ სადმე ახლომახლო ის კარია, რომელზეც უნდა დავაკაკუნოო და სიბნელეში რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯი გადადგა. ირგვლივ უმალ სიშავე შემოეჯარა, შეაშინა და უკან, სანაპიროსკენ გააქცია. იქ ცოტა სინათლე მაინც იყო. «კიდეც რომ დავაკაკუნო,

გაიფიქრა, განა გამიღებს ვინმე?» უკნიდან ძრავას გუგუნი მოესმა. მარია სანაპიროს მესერს აეკრა და შიშით დაელოდა, აბა, ამ კვამლიდან რა გამოყოფს თავსო. რამდენიმე წამში გრძელმა შავმა მანქანამ ჩაუარა – ფერადი ლენტებით მორთულმა «ჩაიკამ» – და მიხვდა, რომ საქორწინო კორტეჟს ხედავდა. შიგ დაფიქრებული, მდუმარე ადამიანები ისხდნენ, ფანჯრებიდან რამდენიმე ავტომატის ლულა გამოეყოთ, მანქანის სახურავზე კი ორი დიდი და მომცრო ოქროსფერი ბეჭედი დაემაგრებინათ. მარიამ მზერით გააცილა და შუბლზე ხელი შემოიკრა. აბა, რა, მიხვდა. ჰო, სწორედ ასეა, ორი შეერთებული ბეჭედი, საქმრო, სტუმარი, სპონსორი. ალქიმიური ქორწინება – მართალია, გაუგებარია, «ალქიმიური» რას ნიშნავს, მაგრამ, რამე რომ იყოს, კარგი ადვოკატი ჰყავს. მარიამ თავი გააქნია და გაიღიმა. როგორ მოხდა, რომ აქამდე ესოდენ უბრალო, მაგრამ უმთავრეს რამეს ვერ მიხვდა? აბა, საერთოდ რაზე ფიქრობდა? მიიხედ-მოიხედა, ქვეყნიერების ოთხი მიმართულების მიხედვით გეზი ამოირჩია და ხელები დასავლეთისკენ გაიწოდა (რაღაცნაირად ცხადი იყო, რომ საქმრო დასავლეთიდან გამოჩნდებოდა).
– მოდი! – ვედრებით ჩაიჩურჩულა და მყისვე იგრძნო, რომ სამყაროში რაღაც სიახლე გაჩენილიყო.
ახლა შეხვედრას უნდა დალოდებოდა. წინ გაიჭრა და სიხარულით შეიგრძნო, თუ როგორ მცირდებოდა მანძილი საქმრომდე – ორივემ იცოდა, რომ ერთსა და იმავე სანაპიროზე ერთმანეთისკენ მიაბიჯებდნენ, მაგრამ საქმრო, მარიასგან განსხვავებით, არ ჩქარობდა, რადგან ბუნებით აუჩქარებელი გახლდათ. მარია რაღაც სასწაულით გადაევლო კვამლიდან უეცრად აღმოცენებულ თავახდილ საკანალიზაციო ლუკს, ნაბიჯი შეანელა და აჩქარებით შეუდგა ჯიბეების

ქექვას. მოულოდნელად იაზრა, რომ თან არც სარკე ჰქონდა, არც კოსმეტიკის ჩანთა. წამით სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, შეეცადა, გაეხსენებინა, ახლომახლო სადმე გუბე ხომ არ დამინახავს, რომელშიც საკუთარ გამოსახულებას შევათვალიერებდიო. თუმცა, უიმედობა სწრაფადვე განქარდა – მარიას მოაგონდა, რომ საქმროს წინაშე ისეთად შეეძლო წარდგომა, როგორადაც მოისურვებდა. ერთხანს ფიქრობდა. აჯობებს, საქმრომ სულ ნორჩი გოგონა იხილოსო, გადაწყვიტა, ორი ჟღალი ნაწნავით, ჭორფლითა და... და... კიდევ ერთი საყვარელი დეტალიღა იყო მოსაფიქრებელი, რაღაც გულუბრყვილო შტრიხი – საყურეები? ბეისბოლისტის კეპი? დრო იწურებოდა და უკანასკნელ წამს მარიამ ღია ვარდისფერი ყურსაცვამები მოირგო, მისი ღაწვების ფერს რომ ეხამებოდა. წინ გაიხედა. კვამლის ნაფლეთებში ლითონმა იელვა და იმავ წამს მიიმალა. მერე უფრო ახლოს გამოჩნდა და კვლავ უკუნს შეერია. უცებ ქარმა დაუბერა, ბუღი გაფანტა და მარიამ მაღალი, მბრწყინავი ფიგურა დალანდა, მისკენ მომავალი. იმავდროულად შენიშნა თუ მოეჩვენა – თითოეულ ნაბიჯზე მიწა იძვროდა. რკინის კაცი მასზე ბევრად მაღალი ჩანდა და მისი მშვიდი, ლამაზი სახე არავითარ გრძნობას არ გამოხატავდა. მარია შეშინდა, უკან დაიხია – ზურგს უკან თავღია ლუკი ეგულებოდა, თვალს ვერ აცილებდა ლითონის ტორსს, ვეებერთელა ყინულმჭრელის ქიმივით რომ ახლოვდებოდა. ის იყო, უნდა დაეყვირა, რომ ლითონის კაცი საოცრად გადასხვაფერდა. ჯერ მის ბრჭყვიალა თეძოებზე ზოლიანი ტრუსი გაჩნდა, მერე თეთრი მაისური, მერე სხეულს ჩვეულებრივი, ადამიანის გარუჯული კანის ფერი დაედო და იქვე იადონისფერი შარვლით, ზოლებიანი პერანგით, ჰალსტუხით და

წარმოუდგენლად ლამაზი ჟოლოსფერი ორბორტიანი, ოქროსღილებიანი პიჯაკით შეიმოსა. მარიაც, როგორც იქნა, დამშვიდდა, მაგრამ ჟოლოსფერი პიჯაკით დატკბობა ვერ მოასწრო, რადგან იგი უმალ გრძელმა რუხმა ლაბადამ დაფარა, სტუმრის ტერფები – შავმა ფეხსაცმელებმა, თვალები კი სარკისებრმა მზის სათვალემ. მხოლოდ მოკლედ შეჭრილი ჟღალი თმა არ შეცვლილა და სიხარულით სულშეგუბებულმა მარიამ საქმროში არნოლდ შვარცნეგერი შეიცნო – აქამდე როგორ ვერ მიხვდა, რომ სხვა არც არავინ იქნებოდა. იდგა და მდუმარედ უცქერდა მუქი კვადრატული შუშებიდან, ბაგეზე ძლივსშესამჩნევი ღიმილი დაჰფენოდა. მარიამ სათვალეში საკუთარი გამოსახულება დაინახა და ყურსაცვამები გაისწორა.
– ო, ქალწულო მარიამ, – ხმადაბლა თქვა შვარცნეგერმა, – მისი ძლიერი ხმა განცდებს არ გამოხატავდა, მაგრამ სასიამოვნოდ კი ჟღერდა.
– არა, ძვირფასო, – თქვა მარიამ, მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და შეტყუპებული ხელები მკერზე მიიდო, – მე უბრალოდ მარია ვარ.
– უბრალოდ მარია, – გაიმეორა შვარცნეგერმა.
– დიახ, – თქვა მარიამ, – შენ კი არნოლდი?
– შურე, – თქვა შვარცნეგერმა.
მარიამ ის იყო, რაღაცის სათქმელად პირი დააღო, უცებ გაარკვია, რომ სათქმელი არც არაფერი ჰქონდა. შვარცნეგერი კვლავ მდუმარედ შესცქეროდა და უღიმოდა. მარია დაიბნა და გაწითლდა და მაშინ შვარცნეგერმა ალერსიანად, მაგრამ ღონივრად მიატრიალა და თან გაიყოლა.
მარიამ ახედა და თავისი სახელგანთქმული სულელურ-იდუმალი ღიმილი სტყორცნა. შვარცნეგერმა მხარზე ხელი გადახვია. სიმძიმემ კინაღამ წელში გაზნიქა და იმავ წამს მეხსიერებაში მოულოდნელი სურათი

ამოუტივტივდა – ლენინი, რომელიც შაბათობაზე მორს მოათრევს. ნახატზე ლენინის მხარს ზემოთ მხოლოდ მორის კიდე მოჩანდა და მარიამ გაიფიქრა, ეგებ სინამდვილეში კუნძი კი არა, ვიღაც ძალუმი არსების ხელია და ლენინსაც სხვა რაღა დარჩენოდა, ღიმილით უნდა აეხედა, უმწეო ღიმილით, როგორც ახლა მე შევღიმი შვარცნეგერსო. იქვე მიხვდა, რა სისულელეს ვფიქრობო და შეეცადა, აბეზარი სურათი თავიდან ამოეგდო.
შვარცნეგერმა შეხედა.
– ისეთი თვალები გაქვს, – უთხრა მონოტონურად, – გეგონება, აივაზოვსკიმ დაგხატაო.
მარია შეკრთა, ამ სიტყვებს არ ელოდა და შვარცნეგერი, ეტყობა, მიხვდა ამას. მერე კი ძალიან უცნაური რამ მოხდა – ან იქნებ სინამდვილეში არც მომხდარა და მარიას მხოლოდ მოელანდა – შვარცნეგერის მუქი სათვალის მინებზე ძლივსშესამჩნევი ასოები აციმციმდა, მორბენალი სტრიქონივით და თან მოკლედ გაკრეჭილ თავშიც რაღაც აუხმაურდა, თითქოს კომპიუტერული ჰარდ-დისკი ჩართესო. მარია შეშინდა, მაგრამ იქვე გაიხსენა, რომ შვარცნეგერი მასავით პიროობითი არსება იყო, ათასობით იმ რუსის ცნობიერებისგან მოქსოვილი, რომელიც ახლა მასზე ფიქრობდა, ხოლო ფიქრები ადამიანებს შესაძლოა ნაირ-ნაირი ჰქონოდათ.
შვარცნეგერმა მეორე ხელი ასწია და თვალწინ ჰაერში თითები აათამაშა, თითქოს საჭირო სიტყვები კლავიატურაზე აკრიფაო.
– არა, – თქვა ბოლოს, – თვალები კი არა, მარგალიტები გაქვს!
მარია მიეკრო და მიმნდობად ახედა. შვარცნეგერმა ნიკაპი კისერში ჩამალა, თითქოს უნდა, მარია სათვალეში ჩაახედოსო.

– აქ ბევრი კვამლია, – თქვა, – ამ სანაპიროზე რატომ დავდივართ?
– არ ვიცი, – მიუგო მარიამ.
შვარცნეგერი მოტრიალდა და მარია მესერს მოაშორა. პირდაპირ კვამლისკენ დაიძრნენ. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მარია შეშინდა, რადგან კვამლი ისე გამკვრივდა, რომ სულ აღარაფერი აღარ ჩანდა, თვით შვარცნეგერიც კი – მხოლოდ მისი ხელის იმ ნაწილს ხედავდა, რომელიც მხარზე ჰქონდა ჩამოდებული.
– ეს ამდენი კვამლი საიდანაა? – იკითხა მარიამ, – თითქოს არაფერი იწვის.
– სი-ენ-ენ-ი, – მიუგო შვარცნეგერმა.
– რამეს წვავენ?
– არა, – თქვა შვარცნეგერმა, – გადმოსცემენ.
აჰა, მიხვდა მარია, ეტყობა, ყველა, ვინც ჩემზე და შვარცნეგერზე ფიქრობს, ახლა სი-ენ-ენ-ს უყურებს, სი-ენ-ენ-ი კი, თავის მხრივ, ამ დროს რაღაც კვამლს უჩვენებს. ნეტა როდის დაამთავრებენ ამ კვამლის ტრანსლაციასო.
– არა უშავს, – გაისმა კვამლში გაუჩინარებული შვარცნეგერის ხმა, – მალე დამთავრდება.
მაგრამ კვამლს ბოლო არ უჩანდა. მიდიოდნენ, სანაპიროს შორდებოდნენ. მარიამ უცებ გაიფიქრა, შვარცნეგერის ნაცვლად ეგებ უკვე ვინმე სხვა მომყვება გვერდით, დავუშვათ, სულაც ის, ვინც შაბათობაზე ლენინს მხარზე ხელს ხვევდაო და ამ აზრმა ისე დააფრთხო, რომ უნებლიეთ ყურსაცვამები გაისწორა და მუსიკა ჩართო. უცნაური, დაჩეხილი ჰანგი გაისმა – ხან გიტარა და საყვირები მღეროდნენ სიყვარულზე, ხანაც გრძელი მგლისებრი ელექტრონული ყმუილი ჩაირთვებოდა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ადამიანების ხმაში ათქვეფილი შორეული აფეთქებების გაგონებას მაინც ამის მოსმენა სჯობდა.

უეცრად კვამლიდან ვიღაცის ფიგურა გამოვარდა და მარიას მკერდში ძლიერი მუჯლუგუნი უთავაზა. მარიამ შეჰყვირა და ჭრელსამოსიან-ავტომატიანი დაინახა, მარიას შეხედა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს შვარცნეგერმა ქალის მხრიდან ხელი ჩამოიღო, კაცს თავზე მოჰკიდა, კისერი მძლავრად მოუგრიხა და მისი მომჩვარული სხეული თვალთახედვის ფარგლებს გარეთ მოისროლა. მერე ხელი კვლავ მარიას მხარს დაუბრუნდა და მარია დაკუნთულ ტორსს მიეხუტა.
– ოჰ, ეს კაცები, – ჩუმად ჩაილაპარაკა.
კვამლი ნელ-ნელა იფანტებოდა. მარიამ კვლავ შეძლო დაენახა ჯერ შვარცნეგერის სახე და მერე მისი ვეება ტანიც, გახსნის წინ ქანდაკებაზე ჩამოფარებული ნაჭერივით რომ მალავდა ღია რუხი ფერის ლაბადა.
– არნოლდ, – ჰკითხა მარიამ, – სად მივდივართ?
– განა არ იცი? – კითხვა შეუბრუნა შვარცნეგერმა.
მარია გაწითლდა და გაირინდა.
«ნეტა ეს ალქიმიური ქორწინება რაღაა? – გაიფიქრა, – ხომ არ მეტკინება? ეგებ მერე ამტკივდეს? თუმცა არ გამომიცდია თუ რა?»
აიხედა და მის ღაწვებზე სახელგანთქმული ფოსოები შენიშნა – შვარცნეგერი უღიმოდა. მარიამ თვალები დახუჭა და წარმოუდგენლად ბედნიერი დაიძრა იქით, საითაც მხარზე დადებული ხელი წაიყვანდა.
თვალი მაშინღა გაახილა, როდესაც შვარცნეგერი შეჩერდა. კვამლი თითქმის გამქრალიყო. უცნობ ქუჩაზე იდგნენ, ძველ, გრანიტისკედლებიან სახლებს შორის. ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მხოლოდ შორს, სადაც სანაპირო ქუჩა ზოლივით გაწოლილიყო, წაკუზული ავტომატიანი ადამიანები ფუსფუსებდნენ. შვარცნეგერი ადგილს რაღაც უცნაურად ტკეპნიდა. მარიამ იეჭვა, ეგებ რაღაც გაურკვეველი წარმოშობის ყოყმანს შეუპყრიაო, და შეეშინდა, ვაითუ, ჩემ გამო

ორჭოფობსო. «სასწრაფოდ რამე რომანტიკული უნდა ვუთხრა, – გაიფიქრა, – ოღონდაც რა? სულერთია, რამე».
– იცი, არნოლდ, – თქვა და გვერდზე მიეხუტა, – მე უცებ... არ ვიცი, ეგებ სასაცილოდაც არ გეყოს, მაგრამ ნებას მაძლევ, გულწრფელად რომ გითხრა რაღაც?
– რა თქმა უნდა, – თქვა შვარცნეგერმა და მუქი მინები მისკენ მიმართა.
– როცა შენ გვერდით ვარ, ცაში აფრენის სურვილი მიპყრობს! ასე მგონია, ცა აქვეა, ხელის ერთ გაწვდენაზე!
შვარცნეგერმა ზემოთ აიხედა.
კვამლის ნაფლეთებში მართლაც ელვარებდა ნათელი ცის პატარა ფრაგმენტი – ძალიან ახლოაო, ვერ იტყოდი, მაგრამ არც მაინცდამაინც მიუწვდომელი ჩანდა.
«ვაიმე, – გაიფიქრა მარიამ, – რა სისულელეს ვროშავ».
მაგრამ უკან დახევა გვიანღა იყო.
– შენ, არნოლდ, შენ არ გინდა ცაში აფრენა?
შვარცნეგერი წამით დაფიქრდა.
– უარს არ ვიტყოდი, – თქვა მან.
– მეც ხომ წამიყვან? – მარიამ მორცხვად ჩაიღიმა, – ხომ იცი, როგორი მიწიერი ვარ.
შვარცნეგერი კიდევ ერთი წამით დაფიქრდა.
– O.K. – თქვა, – წაგიყვან ცაში.
მიმოიხედა, თითქოს რაღაც მხოლოდ მისთვის გასაგებ ორიენტირებს დაეძებსო და, ეტყობა, იპოვა კიდეც, რადგან უყოყმანოდ სტაცა ხელი მარიას და წინ გააქანა.
პოეტური აბსტრაქციიდან მოქმედებაზე ამ უსწრაფესმა გადასვლამ მარია გააოგნა, მაგრამ იქვე იაზრა, ნამდვილი მამაკაცი სწორედაც ასე უნდა იქცეოდესო.
შვარცნეგერი ძველი სტალინური ბაღის გასწვრივ მიარბენინებდა. რამდენიმე ნაბიჯის მერე მარიამ მის სწრაფ სვლას ფეხი აუწყო, ლაბადის სახელოზე მოეჭიდა და სწრაფი ცუნცულით მიჰყვა. მიხვდა, ნაბიჯს

თუ შევანელებ, შვარცნეგერის ხელი გალანტურად შემოთავაზებულ საყრდენს განემსგავსება, ფოლადის ბერკეტად იქცევა და უმოწყალოდ გამაფრიალებსო. ამ აზრმა უსაზღვრო ბედნიერების გრძნობით აღავსო. ეს ბედნიერების გრძნობა ჭიპის ქვეშ ჩაესახა და მერე მთელ სხეულს ტალღებად მოეფინა.
შენობის კიდეს რომ მიაღწიეს, შვარცნეგერმა ტრიუმფალური თაღის მსგავს სადარბაზოში შეუხვია. ეზოში რომ აღმოჩნდნენ, მარიას მოეჩვენა, სადღაც სხვა ქალაქში გავჩნდითო. დილის სიმშვიდეს ჩქამიც არ არღვევდა, არც კვამლი იყო სადმე, ვერც კი წარმოიდგენდი, რომ სულ ახლოს ავტომატიანი კაცები დაძრწოდნენ. შვარცნეგერმა მშვენივრად იცოდა, სადაც მოჰყავდა. საქანელებიან მომცრო საბავშვო მოედანს შემოუარეს და ჟანგიან გარაჟებს შორის, ვიწრო ქუჩაბანდების ლაბირინთში შერგეს თავი. მარიას შიშითა და სიტკბოებით შეზავებული ფიქრი ეწვია, ეგებ სადმე აქ, სწრაფად და უგერგილოდ შედგეს ის რაღაც ალქიმიური ქორწინებაო, მაგრამ უცებ ვიწრო შუკით სხვადასხვა სიმაღლის, ნაირფერი თუნუქის კედლებით ყოველი მხრიდან შემოზღუდულ ცარიელ სივრცეში გავიდნენ. თუმცაღა სივრცე არცთუ მთლად ცარიელი იყო. ძირს, წესისა და რიგის მიხედვით, ბოთლები ეყარა, კიდევ ორი ნახმარი საბურავი, «ლადას» დაჩეჩქვილი კარი და კვაზიმექანიკური ნაგვის დიდი რაოდენობა, რომელიც გარაჟების სიახლოვეს მუდამ უხვად მოიპოვება ხოლმე. გარდა ამისა, თვითმფრინავიც იყო. მთელ ამ თავისუფალ სივრცეს ავსებდა, მაგრამ მარიამ სულ ბოლოსღა შენიშნა – ალბათ იმიტომ, რომ მისი ტვინი რამდენიმე წამის განმავლობაში თვალებით მიღებულ სიგნალებს ჰალუცინაციად მიიჩნევდა და საგულდაგულოდ ფილტრავდა. მარია შეშინდა. «ნეტა ეს თვითმფრინავი საიდანღა გაჩნდა აქ? – გაიფიქრა, –

თუმცა, მეორე მხრივ, აქ არც შვარცნეგერი უნდა იყოს. მაინც ძალიან უცნაური ამბავია».
– ეს რა არის? – იკითხა.
– ვერტიკალური აფრენა-დაშვების გამანადგურებელია, «ჰარიერი», – უთხრა შვარცნეგერმა, – მოდელი «A-4».
მარიამ მის ღაწვებზე სახელგანთქმული ფოსოები შენიშნა – შვარცნეგერი იღიმოდა. მარიამ წარბები შეიჭმუხნა, შიში მის სულში ამ უზარმაზარი, მინის და ლითონის მწერის მიმართ ეჭვიანობამ ჩაანაცვლა, რადგან, ცხადია, ამ მწერს შვარცნეგერის გულში მარიაზე ნაკლები ადგილი არ ეკავა.
შვარცნეგერი თვითმფრინავისკენ დაიძრა. ფიქრებში დანთქმული მარია შეყოვნდა, მაგრამ შვარცნეგერმა ისე ღონივრად გაითრია, როგორც ტრაქტორმა მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო აგრეგატი.
– კი მაგრამ, ერთადგილიანი რომაა?! – მინის სახურავს ქვემოთ ეული სკამის დანახვა გააპროტესტა მარიამ.
– ეგ არაფერი, – უთხრა შვარცნეგერმა, ხელი სტაცა და თვითმფრინავის ფრთაზე მსუბუქად შეასკუპა.
მარია წამოდგა და დურალუმინის დამრეც სიბრტყეზე აღიმართა. დაუბერა ქარმა, სამოსი აუფრიალა და მარიამ გაიფიქრა, რომანტიკული როლები ყოველთვის კარგად გამომდისო.
– შენ? – ჰკითხა.
მაგრამ შვარცნეგერი უკვე კაბინაში ჩამჯდარიყო, ისე სწრაფად და მოხერხებულად, რომ მარიამ იფიქრა, ეს ან დამონტაჟებულია, ან კომბინირებული გადაღებაა.
კაბინიდან თავგამოყოფილმა გაიღიმა და მარიას ცერითა და საჩვენებელი თითით რგოლი დაანახვა.
მარიამ იფიქრა, ეს ალბათ საქორწინო ბეჭდად უნდა მივიჩნიოო.
– ფიუზელაჟზე დაჯექი, – თქვა შვარცნეგერმა, – ფრთების ბოლოში. წარმოიდგინე, თითქოს კარუსელია.

ნუ გეშინია, ვითომ სათამაშო ცხენზე ზიხარ.
– შენ რა, აპირებ რომ...
შვარცნეგერმა თავი დაუქნია.
მისი სათვალის შავი მინები მარიას სულში ძვრებოდნენ. მიხვდა, ჩემი ბედი სწორედ ახლა წყდებაო. დიახ, რაღა თქმა უნდა, გამოცდა იყო. შვარცნეგერს რომ გვერდში ქალი სჭირდებოდა, ის არც მშიშარა უნდა ყოფილიყო და არც ბანალური, მხოლოდ მოსაწყენი სექსუალურ-ყოფითი მრავალსერიანი ინტრიგებისთვის გამოსადეგი. სასიკვდილო საფრთხეს უშიშრად უნდა შეხვედროდა და ღიმილის იქით გრძნობები არაფრით გაემჟღავნებინა. გაღიმება სცადა, თუმცა მიხვდა, რაღაც მთლად კარგად ვერ გამომდისო.
– შესანიშნავი ჩანაფიქრია, – თქვა, – ოღონდაც ხომ არ გავიყინები?
– მალე დავეშვებით, – მიუგო შვარცნეგერმა, – დაჯექი.
მარიამ მხრები აიჩეჩა და ფრთხილი ნაბიჯით დაიძრა ფიუზელაჟისკენ, თევზის ხერხემალივით რომ ამობურცულიყო ფრთების სიგლუვეზე და ზედ მოკრძალებით მოკალათდა.
– No, – უთხრა შვარცნეგერმა, – ასე ქალურად მხოლოდ მაშინ დაჯდები, როცა კალიფორნიაში გადავუფრენთ რანჩოს, ახლა კი ნორმალურად მოთავსდი, თორემ ქარი გადმოგაგდებს.
მარია წამით შეყოყმანდა.
– მიტრიალდი, – თქვა.
შვარცნეგერმა ცალყბად ჩაიღიმა და მიტრიალდა. მარია დურალუმინის ქედს უნაგირივით გადააჯდა. ფეხებს შორის ცივი და დანამული ლითონი იგრძნო, წამოიწია, ქურთუკი ამოიგო და უეცრად მოეჩვენა, სხეულის უნაზესი ნაწილები რკინის კაცის კუთხოვან ბარძაყებს მივაჭირეო – ეგებ ქარის მიერ წაქცეული ძერჟინსკის, ან კიდევ რომელიღაც ჯოჯოხეთური რობოტისასო. შეკრთა

და ეს ხანმოკლე ჰალუცინაცია იქვე დასრულდა. სამაგიეროდ, ახლა ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მაცივრიდან ახლად გამოდგმულ ტაფაზე იჯდა. სულ უფრო და უფრო აღარ მოსწონდა ეს ყველაფერი.
– არნოლდ? – გასძახა, – დარწმუნებული ხარ, რომ სწორად ვიქცევით?
ამ სიტყვებს სულ სხვა გარემოებისთვის ინახავდა, მაგრამ ახლა ისინი უნებლიეთ მოსწყდნენ ბაგეებს. შვარცნეგერი რამდენიმე წამით დაფიქრდა.
– ხომ ამბობდი, ცაში მინდაო, – თქვა მან, – მაგრამ თუ გეშინია...
– არა, – თავი ხელში აიყვანა მარიამ, – ოდნავაც არ მეშინია. უბრალოდ, შენი შეწუხება არ მინდა.
– მაგაზე ნუ იდარდებ, – თქვა შვარცნეგერმა, – ახლა, იცოდე, დიდი ხმაური ატყდება, ასე რომ, ჯობია, ყურსაცვამები გაიკეთო. ჰო, მართლა, რას უსმენ?
–»ჯიჰად კრიმზონს»,
– თქვა მარიამ და პაწია ვარდისფერი ყურსაცვამები მოირგო.
შვარცნეგერს სახე გაუქვავდა. კიდევ კარგი, ქარი წყალბადის ზეჟანგით გაღიავებულ თმას უფრიალებდა, თორემ მარია იფიქრებდა, გადამღები ჯგუფის რომელიმე წევრმა ალბათ ნამდვილი შვარცნეგერი მანეკენით შეცვალაო.
– მოხდა რამე? – იკითხა შიშით.
შვარცნეგერი ერთხანს არ გატოკებულა. მისი სათვალის მინებზე უცნაური წითელი ათინათები ათამაშდა – მარიამ იფიქრა, ეს, ეტყობა, გარაჟების მიღმა ამოწვერილი ნეკერჩხლების დამჭკნარი ფოთლების ანარეკლიაო.
– არნი! – შეეხმიანა.
შვარცნეგერს რამდენჯერმე ტუჩი შეუკრთა, მერე კი, ჩანს, მოძრაობის უნარი დაუბრუნდა, თავი

ძლივძლივობით მოატრიალა, თითქოს საკისარში, რომელზეც კისერი აქვს დამაგრებული, ქვიშა ჩასცვენიაო.
– კრიმზონ ჯიჰადი? – იკითხა მან.
– «ჯიჰად კრიმზონი», – მიუგო მარიამ, – ნუსრატ ფატეხ ალი ხანი და რობერტ ფრიპი. რა იყო?
– არა, – თქვა შვარცნეგერმა, – ისეთი არაფერი.
თავი კაბინაში ჩაყო. დაბლა, თვითმფრინავის ლითონის ღიპს ქვემოთ ელექტრული ზუზუნი გაისმა, რომელიც რამდენიმე წამში ჯოჯოხეთურ ღრიალად იქცა. მარიას მოეჩვენა, საცაა ყურსაცვამები ტვინში შემეტენებიანო. მერე რბილად შეირყნენ. გარაჟები ძირს და უკან დარჩნენ...
«ჰარიერი» ნავისებრი ტორტმანით პირდაპირ ვერტიკალურად ადიოდა – მარიას არც კი წარმოედგინა, თვითმფრინავს ასე ფრენა თუ შეეძლო. იფიქრა, თვალებს თუ დავხუჭავ, ნაკლებად შემეშინდებაო, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ შიშს სძლია და წუთის შემდეგ ისევ გამოიჭყიტა.
იმწამსვე მისკენ მქროლავი ფანჯარა დაინახა, ისე ახლოს იყო, რომ ოთახში ჩართული ტელევიზორის ეკრანზე მარიამ გარკვევით დაინახა ტანკი, ლულას რომ უღერებდა მარიას. ტანკმა გაისროლა, ხოლო თვითმფრინავი მყისვე დაიხარა და კედელს გასცდა. ფრთაზე დაცურებული მარია შიშით აწივლდა, მაგრამ თვითმფრინავი სწრაფადვე გასწორდა.
– ანტენას ჩაეჭიდე! – შვარცნეგერი კაბინიდან გადმოყუდებულიყო და ხელს უქნევდა.
მარიამ დაიხედა და ფიუზელაჟიდან გამოწვერილი ლითონის მოგრძო, ზემოდან ოდნავ გამსხვილებული საგანი დაინახა – აქამდე როგორ ვერ შევნიშნეო, გაიფიქრა. პატარა, ვიწრო ფრთას მიაგავდა და მარიას, ცოტა არ იყოს, უხამსი ასოციაცია აღუძრა, თუმცაღა

ბევრად იმაზე დიდი იყო, რაც ცხოვრებაში ენახა. ამ მძლავრი შვერილის მხოლოდ დანახვამაც კი შიში იმ ხალისიან აღფრთოვანებად გადაუქცია, რომელიც დაქანცულ მიგელებთან, დაუბანელ ლიონიებსა და მთვრალ ივანებთან ურთიერთობას მუდამ აკლდა ხოლმე. ახლა ყოველივე სხვაგვარად იყო: ანტენის გამსხვილებული თავი პატარ-პატარა ნახვრეტებს მოეფინა, რაც გარკვეულად შხაპს ამსგავსებდა და, იმავდროულად, არამიწიერი სიცოცხლის ფორმებსა თუ სიყვარულზე დაგაფიქრებდათ. მარიამ თითით მიანიშნა და შვარცნეგერს კითხვის თვალით გახედა. იმან თავი დაუქნია, გულღიად გაუღიმა და კბილებზე მზის ათინათი აუელვარდა. მარიამ იფიქრა, აი, ბავშვობის ოცნება მისრულდებაო. რომელიღაც ფილმის ერთ-ერთ სერიაში იგი დიდხანს ათვალიერებდა ზღაპრების წიგნს და წარმოიდგენდა, რომ დრაკონსა თუ ვეება ფრინველზე ამხედრებული ცაში დაფრინავდა – და ახლაც ხომ სწორედ ეს ხდებოდა. იქნებ მთლად არაო, იფიქრა და ხელისგული ლითონის შვერილს დაადო, ოცნება ყოველთვის ოდნავ სხვაგვარად ცხადდება, ვიდრე ამას წარმოვიდგენთ ხოლმეო.
თვითმფრინავი ოდნავ გადაიხარა და მარიამ შენიშნა, რომ ეს ხელით ანტენის შეხებასთან იყო დაკავშირებული. თან თვითმფრინავის მოძრაობასაც მეტი აღმაფრენა შეატყო, თითქოს ანტენა მისი სხეულის ყველაზე მგძნობიარე ნაწილი ყოფილიყო. მარიამ ფოლადის ღერძს ხელი გაუსვა და მისი წვერი მუჭში მოიქცია. «ჰარიერმა» ფრთები ნერვიულად შეარხია და კიდევ რამდენიმე მეტრით ზევით აფრინდა. მარიამ იფიქრა, ეს თვითმფრინავი ზუსტად საწოლზე დაბმული მამაკაცივით იქცევა, მკლავებში ჩემი მოგდება რომ არ შეუძლია და მხოლოდ სხეულის აწევ-დაწევითღა მეპასუხებაო – მსგავსებას ისიც

აძლიერებდა, რომ თვითონ მარია სწორედ ფრთებს უკან იჯდა, ასე რომ ჰგავდა განზე გაშლილ, ჩვეულებრივად დაკუნთულ, მაგრამ უძრავად შეკრულ ფეხებს. სასიამოვნო, მაგრამ მეტად ღვლარჭნილი შედარება გამომდის, ამას მერჩია, ამ ვეებერთელა ფრინველის ნაცვლად იქ, გარაჟებს შორის სადმე ერთი პატარა საწოლი გვენახაო. მაგრამ შვარცნეგერთან ალბათ სხვანაირად არც შეიძლებაო, ფიქრობდა. კაბინას გახედა – ბევრი არაფერი ჩანდა, რადგან მინა მზეს ირეკლავდა. თითქოსდა სავარძელში იჯდა და ხელების მოძრაობის ტაქტში თავსაც აქეთ-იქით ატრიალებდა.

«და, აი, იმ ტიპს, – გაიფიქრა მარიამ და ანტენას მეორე ხელიც მოჰკიდა, – აი, ლითონისგან რომ იყო გაკეთებული და ფორმას რომ ნებისმიერად იცვლიდა, ნეტავ კინოში რა სახის სამუშაო ჰქონდა? ალბათ ათასნაირი».

თვითმფრინავი კი ამასობაში სულ ზევით და ზევით მიიწევდა. სახურავები შორს, დაბლა მოიტოვეს და მარიას თვალწინ მოსკოვის დიდებული პანორამა გადაეშალა. ეკლესიების გუმბათები ყოველი მხრით ელვარებდნენ და ქალაქი უზარმაზარ ტყავის ქურთუკს ჰგავდა, უაზროდ მოფენილს აურაცხელი ლითონის ღილით. მოსკოვის თავზე კვამლი ბევრად ნაკლები ტრიალებდა, ვიდრე იქ, მაშინ, სანაპიროზე. ალაგ-ალაგ კი ამობოლქვილიყო სახლებს ზემოთ, მაგრამ ძნელად მიხვდებოდით, ხანძარი იყო თუ მიწისკენ დაშვებული ღრუბელი. თითოეული შემადგენლის სიმახინჯის მიუხედავად, ჯამში, ქალაქი ლამაზად ჩანდა და ვერ გაიგებდი, რატომ. რუსეთის საქმე მუდამ ასეა, გაიფიქრა მარიამ, თან ხელებით შიშველ ლითონს ეფერებოდა – ისე მოგწონს, ლამისაა იტირო, მაგრამ, თუ კარგად დაუკვირდები, ის, რაც ასე მოგწონს,

უეჭველად გულს აგირევსო.
უეცრად თვითმფრინავი მის ქვეშ ატორტმანდა და მარიამ იგრძნო, თუ როგორ აყანყალდა მის მუჭში ღერძის ზემო ნაწილი. ხელი გაუშვა და მყისვე ლითონის ნახვრეტებიანი ბუნიკი ანტენას მოსწყდა, ფიუზელაჟს დაეცა და ძირს გადავარდა, წეღანდელი სიმძლავრისაგან მხოლოდ ერთი მოკლე ხრახნიანი მილიღა დარჩა, საიდანაც ორი გაწყვეტილი მავთული ამოშვერილიყო საცოდავად, ერთი ლურჯი და მეორე წითელი.
მარიამ კაბინას გახედა. მინის მიღმა შვარცნეგერის ქერა კეფა მოჩანდა. თავიდან მარიამ იფიქრა, ეტყობა, ვერაფერი შეამჩნიაო, მერე კი, ვაითუ, გული წაუვიდაო, დაბნეულმა მიმოიხედა და შენიშნა, რომ თვითმფრინავის ცხვირი ნელა, გაუბედავად ტრიალდებოდა და სწორად მივმხვდარვარო, დაასკვნა. დაუფიქრებლად გადაგორდა ფიუზელაჟიდან ფრთებს შორის მდებარე ბრტყელ მოედანზე (თანაც ანტენის ნარჩენმა ქურთუკი გაუხია) და კაბინისკენ გახოხდა. სარკმელი ღია იყო და ფრთაზე მწოლიარე მარია გაჭირვებით წამოიწია.
– არნი! არნი! – დაიყვირა.
პასუხი არ იყო. ფრთხილად დადგა ოთხზე და ქარით აშრიალებული კეფა დაინახა.
– არნი! – ერთხელაც უხმო.
შვარცნეგერმა თავი მოაბრუნა.
– მადლობა ღმერთს! – აღმოსკდა მარიას.
შვარცნეგერმა სათვალე მოიხსნა.
მარცხენა თვალი ოდნავ მოეჭუტა და მასში ნათლად გამოსჭვიოდა ურთულეს გრძნობათა გამა – სწორი პროპორციით შეზავებული სიცოცხლისმოყვარეობა, ძლიერება, ბავშვებისადმი ჯანსაღი სიყვარული, ამერიკული მანქანათმშენებლობისადმი მორალური

მხარდაჭერა იაპონიასთან მძიმე კონკურენციაში, სექსუალური უმცირესობების უფლებათა აღიარება, ფემინიზმის მსუბუქი ირონიზება და მშვიდი გააზრება, რომ დემოკრატია და იუდეურ-ქრისტიანული ფასეულობები ამქვეყნიურ ბოროტებას უეჭველად დაამარცხებენ.
მაგრამ მარჯვენა თვალი სულ სხვანაირი გახლდათ. თვალსაც ვერ ეტყოდი. სისხლმიმხმარი ამობრუნებული ბუდიდან მარიას ლითონის სამაგრზე მორგებული მინის ვეება ლინზა მისჩერებოდა, თანაც კანქვეშა მავთულებზეც იყო გამობმული. ლინზის ცენტრიდან გამოვარდნილი დამაბრმავებელი სხივი მარიას შიგ თვალში ეტაკა. შვარცნეგერმა გაიღიმა. მისი სახის მარცხენა ნაწილმა სწორედ ის გამოხატა, რაც გაღიმებული არნოლდ შვარცნეგერის სახეს უნდა გამოეხატა – რაღაც მოუხელთებლად ეშმაკური და თან ბავშვური, იმწამსვე რომ მიგახვედრებდა, ეს კაცი ცუდ საქმეს არასოდეს ჩაიდენს და თუ მაინც ზოგჯერ რამდენიმე ახვარს სულს გააფრთხობინებს, ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც კამერა რამდენჯერმე სხვადასხვა რაკურსით გვიჩვენებს იმათ ნაძირლობასო.
მაგრამ ეს ღიმილი სახის მხოლოდ მარცხენა მხარეს ეფინა, მარჯვენა კვლავაც უცვლელად ცივი, მოთვალთვალე და საშიში ჩანდა.
– არნოლდ, – თქვა დაბნეულმა მარიამ და წამოდგა, – არნოლდ, რას აკეთებ? გეყოფა.
მაგრამ შვარცნეგერმა პასუხი არ აღირსა, იმავ წამს თვითმფრინავი მკვეთრად დაყირავდა და მარია ფრთაზე დააგორა. ქალი გზად რამდენჯერმე დაეჯახა სახით რაღაც გამოშვერილებს, ბოლოს კი ფეხქვეშ საყრდენიც გამოეცალა. იფიქრა, ალბათ ძირს ვვარდებიო და თვალები დახუჭა, რათა მისკენ მსრბოლავი ხეები და სახურავები არ დაენახა, მაგრამ

რამდენიმე წამი ისე გავიდა, არც არაფერი მომხდარა. ჩაესმა, რომ ძრავა ისევ ყურისძირში უღმუოდა და თვალი გაახილა. თურმე ფრთის ქვეშ ჩამოკიდულიყო – ქურთუკის კაპიუშონი რაღაც შვერილს გამოსდებოდა, რომელშიც მარიამ რაკეტა შეიცნო. თავისი გამსხვილებული თავით იმ ანტენას ჰგავდა, რომელთანაც რამდენიმე წუთის წინ მარიამ საქმე დაიჭირა. ამის დანახვაზე გადაწყვიტა, ეტყობა, შვარცნეგერი, უბრალოდ, ჩემთან სიყვარულობანას თამაშს განაგრძობსო, მაგრამ ეს მეტისმეტი იყო – სახე უეჭველად დაულურჯდებოდა, გახეთქილი ტუჩებიდან კი სისხლი სდიოდა.

– არნოლდ! – დაიყვირა ხელების ქნევით, ცდილობდა, სახე კაბინისკენ მიებრუნებინა, – კმარა! არ მინდა ასე! გაიგე? მე ასე არ მინდა!

როგორც იქნა, მოახერხა კაბინისა და შვარცნეგერის მოღიმარი სახის დანახვა.

– არ მინდა ასე, გესმის?! შენ რომ გინდა, მე ისე მტკივა!

– ჰო? – ჩაეკითხა შვარცნეგერი.

– ჰო, არა! არა!

– O.K. – თქვა შვარცნეგერმა, – You are fired.

იმავ წამს მისი სახე უკან გაქროლდა და უსაშველო ძალამ მარია სწრაფად მოაშორა თვითმფრინავს, რომელიც თვალის დახამხამებაში პაწია ვერცხლისფერ ფრინველად იქცა, რომელთანაც გამონაბოლქვის გრძელი შლეიფი აკავშირებდა. მარიამ წინ გაიხედა და მისკენ ელვის სისწრაფით მსრბოლავი ოსტანკინოს ტელეანძის შპილი დაინახა. მისი გამსხვილებული შუა ნაწილი სწრაფად იზრდებოდა და შეჯახებამდე წამით ადრე მარიამ ნათლად დაინახა ვიღაც თეთრხალათიანი და ჰალსტუხიანი ადამიანები, მაგიდასთან რომ ისხდნენ და გაოცებით შეჰყურებდნენ სქელი მინის სიღრმიდან. ჯერ ჭიქა დაიმსხვრა, მერე იატაკს რაღაც მძიმედ

დაენარცხა და ხმამაღალი მოთქმა გაისმა.
– ფრთხილად, ფრთხილად, – თქვა ტიმურ ტიმუროვიჩმა, – ესეც ასე.
რაკიღა მივხვდი, რომ გაგრძელება აღარ იქნებოდა, თვალი გავახილე. მხედველობა ასე თუ ისე დამბრუნებოდა, ახლო მანძილზე ყველაფერს მკვეთრად ვარჩევდი, თუმცა მოშორებით მყოფ საგნებს ბუნდოვნად ვხედავდი. საერთო ხედი კი ისეთი ჩანდა, თითქოს ვეება საახალწლო ნაძვისხის მოსართავი ელვარე ბურთულის შიგნით ვიმყოფებოდი, მის კედლებზე კი მთელი გარემომცველი სამყარო იყო დახატული. ჩემ პირდაპირ, ორი საფეხურით მაღლა ტიმურ ტიმუროვიჩი და პოლკოვნიკი სმირნოვი აღმართულიყვნენ.
– ჰო, – ჩაილაპარაკა ვიღაცამ იქით, კუთხეში, – ასე გაიცნეს ერთმანეთი არნოლდ შვარცნეგერმა და უბრალოდ მარიამ.
– ნება მიბოძეთ, თქვენი ყურადღება მივაპყრო, – უთხრა პოლკოვნიკმა სმირნოვმა ტიმურ ტიმუროვიჩს და ჩაახველა, – პაციენტის მუდმივი ხილვის აშკარად ფალიკურ ხასიათს. სულ ყ... ელანდება. შენიშნეთ? ეს ანტენაო, ეს რაკეტაო, ეს ოსტანკინოს ტელეანძაო.
– თქვენ, სამხედროები, მეტისმეტად სწორხაზოვნები ხართ, – გაეპასუხა ტიმურ ტიმუროვიჩი, – ყველაფერი ასე მარტივად როდი გახლავთ. ნათქვამია, რუსეთს გონებით ვერ ჩასწვდებიო და ვერც მის სექსუალურ ნევროზამდე დაყვანას მოახერხებთ. ასე რომ, ნუ ავჩქარდებით. მთავარია, რომ საქმე კატასტროფის ეფექტთან გვაქვს, თუმცა ოდნავ შესუსტებულთან.
– დიახ, – დაეთანხმა პოლკოვნიკი, – აი, სკამიც კი გატყდა.
– სწორედაც, – უპასუხა ტიმურ ტიმუროვიჩმა, – როცა დაბლოკილი პათოლოგიური მასალა ცნობიერების

ზედაპირზე ამოდის, დიდი წინააღმდეგობის გადალახვა უწევს, ამიტომაც ხშირია კატასტროფული ხილვები, ამგვარი შეჯახებები. ეს ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ სწორ გზაზე ვდგავართ.
– ეგებ კონტუზიის ბრალია? – იკითხა პოლკოვნიკმა.
– რა კონტუზიის?
– ეტყობა, თქვენთვის საქმის ვითარება არ ამიხსნია. იცით, როდესაც თეთრს სახლს ესროდნენ, რამდენიმე ჭურვი ფანჯრებში შეცვივდა. ჰოდა, ერთი მათგანი ბინას მოხვდა, სადაც ამ დროს...
პოლკოვნიკი ტიმურ ტიმუროვიჩისკენ გადაიხარა და ყურში უჩურჩულა.
– გამიგეთ... – ნაწყვეტ-ნაწყვეტ მესმოდა მისი სიტყვები, – ყველაფერი დაილეწა... ჯერ გვამებთან ერთად გაასაიდუმლოეს, მერე კი, ბიჭოს, თურმე ინძრევა... რა თქმა უნდა, უძლიერესი შერყევაა...
– მერე აქამდე სად იყავით, თქვე კაი ხალხო?! ეს ხომ სულ სხვა სურათს იძლევა! – უსაყვედურა ტიმურ ტიმუროვიჩმა, – მე კი აქ შიშით ლამისაა გავთავდე… ჩემკენ გადმოიხარა, თავისი ორი სქელი თითით ქუთუთო ამიწია და თვალში ჩამხედა.
– როგორ ხართ?
– რა ვიცი, – მივუგე, – ამაზე უფრო საინტერესო ხილვებიც მქონია ცხოვრებაში. მაგრამ... როგორ გითხრათ... მაგრამ სიზმრისეულმა სიმსუბუქემ, რომლითაც ამ ბოდვის რეალობაში რამდენიმე წუთით ჩავეწერე, სიამოვნება მომგვარა.
– აი, ხომ ხედავთ? – მიუბრუნდა ტიმურ ტიმუროვიჩი პოლკოვნიკ სმირნოვს.
იმან თავი უხმოდ დაუქნია.
– მე, საყვარელო, შენთვის აზრების გამოთქმა არ მითხოვია, გკითხე, თავს როგორ გრძნობ-მეთქი, – მითხრა ტიმურ ტიმუროვიჩმა.

– გმადლობთ, კარგად, – მივუგე, – ოღონდაც მეძინება. მართალს ვეუბნებოდი.
– დაიძინეთ.
ზურგი შემაქცია.
– ხვალ დილით, – ჩემთვის უხილავ მომვლელ ქალს მიმართა მან, – ოთხი კუბი ტაურეპამი გაუკეთეთ, გეთაყვა, უშუალოდ წყლის პროცედურების წინ.
– შეიძლება რადიო ჩართოთ? – იკითხა წყნარმა ხმამ კუთხეში.
ტიმურ ტიმუროვიჩმა კედელზე ჩამრთველი გაატკაცუნა, მერე ოფიცერს ხელი გამოსდო და გასასვლელისკენ დაიძრა. თვალები დავხუჭე და მივხვდი, რომ ხელახლა მათი გახელის თავი აღარ მქონდა.
– ჩვენი ძმები და ამხანაგები, – გაისმა მამაკაცის სევდიანი სიმღერა, – რომ შეიწირა ომმა წყეულმა, ასე მგონია, რაღაც განგებით თეთრ წეროებად გადაქცეულან...
მოსწყდა თუ არა უკანასკნელი სიტყვა რეპროდუქტორს, პალატაში ერთი ალიაქოთი შეიქნა.
– სერდიუკი დაიჭირეთ? – შიგ ყურში ჩამყვირა ვიღაცამ.
– რა წეროები მოგინდათ? დაგავიწყდათ თუ როგორაა?
– შენ თვითონ არ სთხოვე, ჩართეო? – უპასუხა სხვა ხმამ, – ახლავე გადავრთავთ.
ჩამრთველმა ერთხელაც გაიტკაცუნა.
– წავიდა დრო, – იკითხა ჭერიდან შემპარავმა ხმამ, – როდესაც რუსული პოპმუსიკა პროვინციულის სინონიმი იყო? თავად განსაჯეთ, «დანამატის ანთება» რუსული სინამდვილისთვის იშვიათი სუფთად ქალური ჯგუფია. მათი სასცენო აღჭურვილობის სრული კომპლექტი იმდენსვე იწონის, რამდენსაც ტანკი «T-90». ამას გარდა, ყველანი ლესბოსელები არიან, ორი მათგანი კი ინგლისური სტრეპტოკოკითაა ინფიცირებული. ამ ულტრათანამედროვე თვისებების მიუხედავად,

«დანამატის ანთება» მეტწილად კლასიკურ მუსიკას ასრულებს, თუმცაღა საკუთარი ინტერპრეტაციით. ახლა თქვენ მოისმენთ, თუ რა უქნეს ჩვენმა გოგონებმა ავსტრიელი კომპოზიტორის, მოცარტის მელოდიას, რომელიც ბევრი ჩვენი მსმენელისათვის ფორმანის ფილმითა და ამავე სახელწოდების იმ ავსტრიული ლიქიორითაა ცნობილი, რომლის ბითუმად იმპორტირებით ჩვენი სპონსორი, ფირმა «მესამე თვალია» დაკავებული.
მერე ველური მუსიკა აჟღერდა – თითქოს ქარბუქმა ციხის ღუმელში დაუბერაო. მადლობა ღმერთს, უკვე თავდავიწყებაში გახლდით ჩაძირული. ჯერ მიმდინარე ამბების შესახებ მძიმე ფიქრებმა წამიღო, მერე ცოტა ხნით შავსათვალიანი ამერიკელი მეზმანა, რომელმაც უბედური მარიას თავგადასავალი განაგრძო. ამერიკელმა თვითმფრინავი ეზოში დასვა, საიდანღაც ნავთი გააჩინა, მოასხა და ცეცხლი წაუკიდა. ჟოლოსფერი პიჯაკი, ჩამუქებული სათვალე, იადონისფერი შარვალი კოცონში შეყარა და მოკლე საცურაო ტრუსის ამარა დარჩა. ცოტა ხანს თავისი ნავარჯიშები კუნთები აათამაშა, შემდეგ კი ბუჩქებში დიდხანს დაეძებდა რაღაცას, მაგრამ ვერ იპოვა. მერე ჩემს სიზმარში რაღაც გამორჩენილი იყო და როცა კვლავ გაგრძელდა, ის ამერიკელი უკვე დაფეხმძიმებულიყო – ეტყობა, მარიასთან შეხვედრას უქმად არ ჩაევლო. ამასობაში შიშისმომგვრელ, ლითონის პირობითსახიან ფიგურადაც ქცეულიყო და მის გამობერილ მუცელს კაშკაშა მზე აელვარებდა.
3
მელოდია, რომელიც ჩემს ყურთასმენამდე აღწევდა, ჯერ თითქოს კიბეზე არბოდა, მერე ერთხანს ადგილს ტკეპნიდა და ბოლოს თავგანწირვით უკან, თავქვე ეშვებოდა, რის გამოც ბგერებს შორის გაფანტული

დუმილის ნამცეცები უკეთ მესმოდა. პიანისტის თითები მელოდიას იმორჩილებდნენ, კვლავ კიბის საფეხურებზე აყენებდნენ და ყოველივე თავიდან იწყებოდა, ოღონდაც ერთი სართულით ქვემოთ. ადგილი, სადაც ეს ამბავი ტრიალებდა, ტვერის ბულვარის რვა ნომერი სახლის კიბეს მიაგავდა, ოღონდაც სიზმარში კიბე თვალუწვდენელ მანძილზე უსასრულოდ ადი-ჩამოდიოდა და, ეტყობა, არც არასოდეს მთავრდებოდა. უეცრად მივხვდი, რომ აქ ნებისმიერ მელოდიას თავისი ზუსტი აზრი უნდა ჰქონოდა. ეს გარემოება, ნაწილობრივ, თვითმკვლელობის შესაძლებლობას მეტაფიზიკურად გამორიცხავდა. წარმოვიდგინე, რომ ყველანი ბგერები ვართ, უხილავი პიანისტის თითებიდან გამოფრენილნი, ერთი გრანდიოზული სიმფონიის უბრალო მოკლე ტერციები, ნარნარი სექსტები და დისონანსური სეპტიმები და ამ სიმფონიის მთლიანი აღქმა არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია. ამ აზრმა უსაზღვრო სევდა მომგვარა და ასე დარდიანი გულით ამოვყვინთე ძილის ტყვიისფერი ღრუბლებიდან.
რამდენიმე წამის განმავლობაში ვცდილობდი, დამედგინა, სად ვიმყოფები და რა ხდება ამ უცნაურ ქვეყნიერებაზე, სადაც უკვე ოცდაექვსი წელია, ყოველ დილას უხილავმა ძალამ აუცილებლად სადღაც უნდა მომისროლოს-მეთქი. ტყავის შავი მძიმე ქურთუკი მეცვა, გალიფე და ჩექმები. ბარძაყზე რაღაც მედებოდა უხეშად, შევტრიალდი, ხელით მაუზერის ხის ბუდე მოვსინჯე და მიმოვიხედე. თავზე აბრეშუმის ბალდახინი დამმხობოდა, ულამაზესი ყვითელი ფოჩებით გაწყობილი. ფანჯრიდან უღრუბლო ლურჯი ცა და შორს ზამთრის მზის ცივი სხივებით ბაც წითლად შეფერილი სახურავები მოჩანდა. ფანჯრის პირდაპირ, ბულვარის გადაღმა, თუნუქის გუმბათი დავინახე, რომელიც

ლითონის ვეება ორსულს მივამსგავსე. იქვე ვიაზრე, რომ მუსიკა არ დამსიზმრებია – მკაფიოდ მოისმოდა კედელს იქიდან. ნეტავ აქ როგორ აღმოვჩნდი-მეთქი, დავფიქრდი და უცებ სხეულში თითქოს ელდენმა დამიარა – წამში მომაგონდა წუხანდელი ამბები. მივხვდი, რომ ფონ ერნანის ბინაში ვიყავი. საწოლიდან წამოვფრინდი, კარს ვეცი და ადგილზე გავირინდე. კედლის იქით, იმ ოთახში, სადაც ფონ ერნანი დავტოვე, ვიღაც როიალზე უკრავდა, თანაც მაინცდამაინც მოცარტის ფუგა ფა მინორს, რომლის თემაც გუშინ საღამოს გამახსენა კოკაინმა და მელანქოლიამ. თვალთ დამიბნელდა – წარმოვიდგინე ცხედარი, რომელსაც ზედ წაფარებული პალტოდან ხელები ამოუყვია და თითებს კლავიშებზე აკაკუნებს. წუხანდელი კოშმარი გრძელდება-მეთქი, გავიფიქრე. აუწერელი მღელვარებით მოვათვალიერე ოთახი, თვალი ვკიდე ჯვარცმული ქრისტეს ვერცხლის მოხდენილ ფიგურას, რომლის დანახვაზე deja vu-ს მსგავსი გრძნობა დამეუფლა – თითქოს ეს ლითონის სხეული ერთხელ სიზმრად მენახა. ჯვარცმა ჩამოვხსენი, ბუდიდან მაუზერი დავაძრე და კორიდორში ფეხაკრეფით გავედი. დაახლოებით ასე განვსჯიდი – თუ დავუშვებ, რომ როიალზე მიცვალებული უკრავს, მაშინ ისიც დასაშვებია, რომ ჯვრით შევაშინებ-მეთქი. როიალიანი ოთახი კარღია დამხვდა. უჩუმარი ნაბიჯებით მივუახლოვდი და შევიხედე. როიალს მხოლოდ კიდე მოუჩანდა. რამდენჯერმე ღრმად ჩავისუნთქე, კარი წიხლით შევაღე და ოთახში შევაბიჯე, ცალ ხელში მძიმე ჯვარი მეპყრა, მეორეში ჩახმახშემართული იარაღი. პირველად კუთხიდან გამოჩრილი ფონ ერნანის ჩექმები დავინახე, მშვიდად განისვენებდა თავისი რუხი ინგლისური სუდარის ქვეშ. როიალისკენ შევბრუნდი. შავ გიმნასტურაში

გამოწყობილი მამაკაცი, რომელიც გუშინ რესტორანში ვნახე, კლავიატურას მისჯდომოდა. ორმოცდაათისა იქნებოდა, აპრეხილი ხშირი ულვაში და შეჭაღარავებული საფეთქლები ჰქონდა. ჩემი შესვლა თითქოს ვერც კი შეამჩნიაო – თვალდახუჭული მთელი არსებით მუსიკას მისცემოდა. მართლაც დიდებულად უკრავდა. როიალის სახურავზე მუარის წითელი ლენტით შემკული უნატიფესი კრაველის ფაფახი და შესანიშნავ ქარქაშში ჩაგებული უცნაური მოყვანილობის ხმალი შევნიშნე.
– დილა მშვიდობისა, – ვთქვი და მაუზერი დავუშვი. როიალთან მჯდომმა დაკვირვებით შემათვალიერა. შავი თვალები და ისეთი გამჭოლი მზერა ჰქონდა, რომ მის ფიზიკურ ზეწოლასთან გამკლავება გამიჭირდა. ჩემს ხელში ჯვრის დანახვაზე ოდნავ გაიღიმა.
– დილა მშვიდობისა, – თქვა და დაკვრა განაგრძო, – მოხარული ვარ, რომ დილიდანვე სულზე ზრუნვა დაგიწყიათ.
– აქ რას აკეთებთ? – ვკითხე და ჯვარცმა როიალის თავზე ხმლის გვერდით დავდე.
– ვცდილობ, – მიპასუხა, – ერთი საკმაოდ რთული პიესა დავუკრა, მაგრამ, სამწუხაროდ, ოთხი ხელისთვისაა დაწერილი, ჰოდა, ახლა სწორედ ის პასაჟი ახლოვდება, რომელსაც მარტო ვერ გავუმკლავდები. ეგებ კეთილი ინებოთ და დამეხმაროთ. თუ არ ვცდები, ეს ნაწარმოები უნდა იცოდეთ.
თითქოსდა რაღაც ტრანსში ჩავარდნილმა, მაუზერი ბუდეში ჩავიდე, გვერდში ამოვუდექი, მომენტი შევარჩიე და თითები კლავიშებს შევახე. კონტრაპუნქტი თემას ძლივს მივაწიე, თანაც რამდენჯერმე შევცდი. მერე თვალი ისევ ფონ ერნანის გაფარჩხულ ფეხებს ვკიდე და მიმდინარე მოვლენის სრული აბსურდულობა გავიაზრე. განზე გავხტი და სტუმარს ჯიქურ

მივაშტერდი. დაკვრა შეწყვიტა და ერთხანს უძრავად იჯდა – თითქოს ფიქრში ღრმად ჩაძირულაო. მერე გაიღიმა, ხელი გაიწოდა და როიალის სახურავიდან ჯვარცმა აიღო.
– რა დიდებულია, – თქვა, – ვერა და ვერ მივმხვდარვარ, რამ მოაფიქრა ღმერთს, ადამიანი ამქვეყნად ამ ულაზათო ტანით გაეჩინა. არ ჯობდა, სრულყოფილ მელოდიად მოსულიყო, რომლის მოსმენა არასოდეს მოგვბეზრდებოდა?
– თქვენ ვინ ბრძანდებით? – ვკითხე.
– ჩაპაევი, – მიპასუხა უცნობმა.
– თქვენი გვარი არაფერს მეუბნება, – ვუთხარი მე.
– სწორედ ამიტომ არ ვმალავ, – თქვა, – სახელად კი ვასილი ივანოვიჩი მქვია. იმედია, არც ეს გეუბნებათ რამეს.
წამოდგა, წამოიმართა და სახსრები ხმამაღლა გაატკაცუნა. ძვირფასი ინგლისური ოდეკოლონის ძლივსშესამჩნევი არომატი შევიგრძენი.
– წუხელ, – მითხრა მან და თვალი მომაშტერა, – «მუსიკალურ სათუთუნეში» საკვოიაჟი დაგრჩენიათ. აგერ, ინებეთ.
ძირს დავიხედე და როიალის ფეხთან მიდებული ფონ ერნანის შავი საკვოიაჟი დავინახე.
– მადლობას მოგახსენებთ, – ვუთხარი, – ბინაში როგორ შემოაღწიეთ?
– მინდოდა ზარი დამერეკა, – თქვა, – მაგრამ, ეტყობა, გაფუჭებულია. გასაღები კარში იყო გარჭობილი. ვნახე, რომ გეძინათ და მოცდა გადავწყვიტე.
– გასაგებია, – ვთქვი.
სინამდვილეში კი მაინც ვერაფერი ვერ გავიგე. ან ჩემი ადგილსამყოფელი საიდან გაიგო? ან საერთოდ ვისთან მოვიდა – ჩემთან თუ ფონ ერნანთან? ვინ იყო და რა უნდოდა? და რაც მთავარია, რაღა ამ დაწყევლილ ფუგას

უკრავდა მაინცდამაინც? ეჭვობდა რამეს (სიმართლე ითქვას, პალტომიფარებული, კუთხეში მიგდებული გვამი ყველაზე ნაკლებად მაღელვებდა – ჩეკისტის ბინაში ეს ინვენტარი არავის გააოცებდა)?
ჩაპაევი თითქოს ფიქრს მიმიხვდაო:
– უეჭველია, ხვდებით, – მითხრა, – რომ მხოლოდ თქვენი საკვოიაჟის გამო არ მოვსულვარ. დღეს აღმოსავლეთის ფრონტზე მივემგზავრები. იქ დივიზიას ვმეთაურობ. კომისარი მჭირდება. წინამორბედმა, ასე ვთქვათ, მასზე დაკისრებული იმედები არ გაამართლა. გუშინ თქვენი აგიტაცია ვნახე და კარგი შთაბეჭდილება დამიტოვეთ. სხვათა შორის, ბაბაიასინიც ძალიან კმაყოფილია. მინდა, რომ ჩემდამი დაქვემდებარებულ სამხედრო ნაწილებში პოლიტიკურ მუშაობას თქვენ უხელმძღვანელოთ.
გიმნასტურის ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ფურცელი ამოიღო და გამომიწოდა. გამოვართვი და წავიკითხე: ამხ. ფანერნის. ამხ. ძერჟინსკის ბრძანების თანახმად, დაუყოვნებლივ გადაყვანილი ხართ აზიის ცხენოსანი დივიზიის მეთაურის, ამხ. ჩაპაევის განკარგულებაში პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. ბაბაიასინი.
ტექსტის ქვემოთ ჩემთვის უკვე ცნობილი იისფრად გადღაბნილი ბეჭედი იჯდა. ნეტა ეს ბაბაიასინი ვიღა ოხერია-მეთქი, გავიფიქრე აფორიაქებულმა და ქაღალდს თვალი ავაშორე.
– ბოლოს და ბოლოს რა გქვიათ? – თვალების ჭუტვით მკითხა ჩაპაევმა, – გრიგორი თუ პიოტრი.
– პიოტრი, – მოვილოკე გამშრალი ტუჩები, – გრიგორი ჩემი ძველი ლიტერატურული ფსევდონიმია. ამის გამო სულ გაუგებრობაში ვარ. ზოგი ძველებურად გრიგორის მეძახის, ზოგიც – პიოტრს.
თავი დამიქნია, მერე როიალიდან ფაფახი და ხმალი

აიღო.
– მოკლედ, პიოტრ, – მითხრა, – ეგებ არც მთლად იოლი საქმე იყოს, მაგრამ ჩვენი მატარებელი დღესვე გადის. რას ვიზამთ, ომია. მოსკოვში რამე მოსამთავრებელი საქმეები ხომ არ გრჩებათ?
– არა, – ვუპასუხე მე.
– ასეთ შემთხვევაში, გთავაზობთ, ახლავე გავემგზავროთ. ახლა ივანოვოს ფეიქართა პოლკის ჩაბარგებას უნდა მივხედო და კარგი იქნება, თუ თქვენც დაესწრებით, შესაძლოა, სიტყვის წარმოთქმაც მოგიხდეთ. ბევრი ბარგი გაქვთ?
– მხოლოდ ეს, – მივუთითე საკვოიაჟზე.
– ჩინებულია. დღესვე ვუბრძანებ, შტაბის ვაგონში მომარაგების აღრიცხვაზე აგიყვანონ.
კარისკენ გაემართა.
საკვოიაჟი ავიღე და კორიდორში გავყევი. თავში ნამდვილი ქაოსი მქონდა. ამ კაცის, აგერ, ახლა წინ რომ მიმიძღოდა, რატომღაც მეშინოდა. ვერ ვხვდებოდი, ვინ იყო – მანერებით წითელ მეთაურს სულ არ ჰგავდა, თუმც კი ნამდვილად ერთ-ერთი მათგანი უნდა ყოფილიყო, თან ხელმოწერა და ბეჭედი ქაღალდზე იგივე იყო, რაც გუშინ, ანუ ამ კაცს დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა, რათა სისხლიანი ძერჟინსკისთვის და ამ შავბნელი ბაბაიასინისთვისაც ერთ დღეში გადაწყვეტილება გამოეტყუებინა.
წინკარში ჩაპაევი შეყოვნდა და საკიდიდან ალისფერი მოლივლივე მუარის სამი ზოლით დამშვენებული გრძელი ცისფერი ფარაჯა ჩამოხსნა. ფარაჯის ასეთი მორთულობა წითელარმიული მოდის ბოლო ფასონი გახლდათ, თუმცა, ეს სამკერდე შესაკრავი ზოლები ჩვეულებრივი წითელი მაუდისგან მზადდებოდა. ფარაჯა ჩაიცვა, ფაფახი დაიხურა, მაუზერი გადაიკიდა, ხმალი დაიმაგრა და მომიტრიალდა. მკერდზე უცნაური

ტიპის ორდენი დავუნახე – ვერცხლის ბურთულებიანი ვარსკვლავი სხივების ზონდზე. ზედ არც გამოსახულება ჩანდა და არც არაფერი ეწერა. ჩაპაევმა ჩემი მზერა დაიჭირა.
– საახალწლოდ მორთულხართ, – ვუთხარი.
გულღიად გაიცინა.
– არა, – მითხრა, – ეს ოქტომბრის ვარსკვლავის ორდენია.
– არასდროს მსმენია.
– თუ გაგიმართლებთ, თქვენც მიიღებთ, – თქვა, – მზად ხართ?
– ამხანაგო ჩაპაევ, – ჩვენი საუბრის ოფიციალური ტონით ვისარგებლე მე, – ერთი რამ მინდა გკითხოთ, თუმცა შესაძლოა, ჩემი შეკითხვა უცნაურად მოგეჩვენოთ.
– ყურადღებით გისმენთ, – თქვა, ზრდილად გაიღიმა და გრძელი ყვითელი თათმანი ქარქაშზე დაიტყაპუნა.
– გამიმხილეთ, რატომ უკრავდით როიალზე? მაინცდამაინც იმ ნაწარმოებს რატომ უკრავდით?
ჩაპაევმა ულვაშებში ჩაიღიმა.
– იცით რა, – თქვა, – ოთახში რომ შემოვიხედე, გეძინათ. ჰოდა, ძილში უსტვენდით ამ ფუგას, თუმცა, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ მთლად სწორად. მე კი მოცარტი ძალიან მიყვარს, ერთ დროს კონსერვატორიაში დავდიოდი და მუსიკოსის კარიერისთვის ვემზადებოდი. მას შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა? ეს ამბავი ასე რატომ გაღელვებთ?
– ისე, – ვთქვი, – უბრალოდ. ერთი უცნაური დამთხვევის გამო.
გარეთ გამოვედით. გასაღები მართლაც კარში იყო ჩატოვებული. მექანიკურად გადავატრიალე, ჯიბეში ჩავიდე და ჩაპაევს კიბეზე კვალში ჩავუდექი, თან ვფიქრობდი, მე ხომ სტვენა არასდროს მჩვეოდა, მით

უფრო ძილში-მეთქი.
მზიან, გაყინულ ქუჩაში გამოვედით თუ არა, გრძელი რუხ-მწვანე ჯავშნოსანი დავინახე, სწორედ ის, გუშინ «მუსიკალური სათუთუნის» მახლობლად რომ იდგა. მანამდე ასეთი მანქანა არსად მენახა, ჭეშმარიტად გამანადგურებელ მეცნიერებათა ბოლო მიღწევა გახლდათ. კორპუსი მომრგვალებული სამაგრებით მოფენილიყო, წინ ძრავას უაზრო დინგი გაეშვირა, ორი ფარით დამშვენებული; ოდნავ უკან დაქანებული ფოლადის ფართო შუბლი, რომელზეც ამოჭრილი ორი სათვალთვალო ხვრელი ბუდას სანახევროდ მოჭუტულ თვალებს მიაგავდა, მრისხანედ მიეშვირა ნიკიტას მოედნისკენ, ზემოდან ტყვიამფრქვევის ცილინდრული კოშკურა ედგა, ტვერის ბულვარისკენ დამიზნებული, ლულას აქეთ-იქიდან ლითონის ორი დამცავი ღერძი ეფარებოდა. ბორტში მომცრო კარი იყო ამოჭრილი. ბავშვებს ალყაში მოექციათ – ვინ ციგით იყო, ვინ ციგურებით და უნებლიეთ გავიფიქრე, სანამ ეს იდიოტი უფროსები მათ მიერვე გამოგონილი სამყაროს გადაკეთებით იყვნენ დაკავებულნი, ბავშვები რეალობაში ცხოვრებას განაგრძობენ დათოვლილ მთებსა და მზის შუქთან, გაყინულ წყალსაცავთა შავ სარკეებთან და დათოვლილი ეზოების მისტიკურ მდუმარებასთან ერთად-მეთქი. და თუმცა ეს ბავშვებიც სიგიჟის იმავე ბაცილით იყვნენ შეპყრობილნი, მთელ რუსეთს რომ მოსდებოდა, – ამას კი მათი მზერა ამჟღავნებდა, რომლითაც ჩემს მაუზერსა და ჩაპაევის ხმალს უცქერდნენ, – მათ სუფთა თვალებში ჯერ კიდევ ენთო იმის ხსოვნა, რაც მე რა ხანია დამვიწყებოდა. ეგებ ეს იმ ყოვლის საწყისის გაუაზრებელი ხსოვნა იყო, რომლისგანაც, ცხოვრების სამარცხვინო უდაბნოში უკვე მავალნი, ჯერ ძალიან შორსაც ვერ წასულიყვნენ. ჩაპაევი ჯავშნოსანს მიუახლოვდა და ბორტზე

მიუბრახუნა. ძრავა ჩაირთო და მანქანის უკანა ნაწილი ნაცრისფერ კვამლში გაეხვია. ჩაპაევმა კარი გამოაღო. იმავ წუთს ზურგს უკნიდან მუხრუჭების ღრჭიალი მომესმა. ჩვენ მახლობლად მანქანა შეჩერდა, იქიდან ოთხი შავი ტყავისპალტოიანი კაცი გადმოხტა და იმ სადარბაზოში გაუჩინარდა, საიდანაც სულ ახლახან გამოვედით. ტანში გამცრა, ჩემ დასაჭერად ხომ არ მოსულან-მეთქი. ალბათ ასე იმიტომ მომეჩვენა, რომ ამ ოთხმა წუხანდელი შავლაბადიანი მსახიობების კვარტეტი გამახსენა, სცენიდან რასკოლნიკოვის ცხედარი რომ გაასვენა. ერთი მათგანი კართან შეჩერდა და ჩვენკენ გამოიხედა.
– დაუჩქარეთ, – დამიძახა ჩაპაევმა ჯავშნოსნიდან, – გაიყინა აქაურობა.
საკვოიაჟი შიგ შევაგდე, სასწრაფოდ უკან მივყევი და კარიც მივიჯახუნე.
ამ მრისხანე მანქანის ინტერიერმა ერთი ნახვით მომხიბლა. მცირე სივრცე, რომელიც მძღოლის კაბინისგან ტიხრით გამოეყოთ, ნორდ-ექსპრესის კუპეს ჰგავდა – ორი მომცრო ტყავის დივანი, შუაში პატარა მაგიდა და იატაკზე დაფენილი ნოხი, სივიწროვის მიუხედავად, სიმყუდროვეს ქმნიდა. ჭერში ამოჭრილ მრგვალ ხვრელში შალითაგადაფარებული ტყვიამფრქვევის მასიური კონდახი მოჩანდა, კოშკურაზე აჟურული ხვეული კიბე ადიოდა, იქ კი ფეხების მისაბჯენიანი მბრუნავი სკამი დაემაგრებინათ. ყოველივე ამას პატარა ელნათურა ანათებდა და მის სინათლეზე ჩარჩოს კუთხეებით კედელზე მიხრახნილი ნახატი შევნიშნე, ჯონ კონსტებლის
სტილით შესრულებული პეიზაჟი – მდინარე, შორს – საავდრო ღრუბელი და რომანტიკული ნანგრევები.
ჩაპაევი ყურმილს დასწვდა და ჩასძახა:
– სადგურში წავიდეთ!

ჯავშნოსანი რბილად დაიძრა, მოძრაობა შიგნით თითქმის არ იგრძნობოდა.
ჩაპაევი დივანზე ჩამოჯდა და მანიშნა, შემომიერთდიო.
– დიდებული მანქანაა, – გულწრფელად შევაქე.
– დიახ, – თქვა ჩაპაევმა, ჩინებული ჯავშნოსანია, მაგრამ ტექნიკა არ მიყვარს. თქვენ რომ ჩემი ცხენი ნახოთ... მაგიდის ქვეშიდან ნარდის დაფა ამოაძვრინა.
– ტრიკ-ტრაკის პარტიაზე რას იტყვით? – მკითხა.
მხრები ავიჩეჩე. დაფა გადახსნა და შავ-თეთრი ქვების დაწყობას შეუდგა.
– ამხანაგო ჩაპაევ, – ავლაპარაკდი, – რა საქმის გაკეთება დამევალება? რა საკითხებია?
ჩაპაევმა ულვაში ფაქიზად გაისწორა.
– იცით, რა, პიოტრ, ჩვენი დივიზია რთული ორგანიზმია. ვფიქრობ, ნელ-ნელა მის ცხოვრებაში ჩაერთვებით და საკუთარ ადგილსაც მიაგნებთ. ნიშას, ასე ვთქვათ. როგორს და რანაირს, ამაზე ჯერ ლაპარაკი ნაადრევი მგონია, მაგრამ თქვენი წუხანდელი საქციელით ვასკვნი, რომ მამაცი ხართ და სიტუაციის არსსაც სწორად ხვდებით. ასეთი ხალხი გვჭირდება. თქვენი სვლაა. კამათლები გავაგორე, თან ვფიქრობდი, როგორ უნდა მოვიქცე-მეთქი. ამ კაცის წითელ მეთაურობას ვერ ვიჯერებდი – რატომღაც ვფიქრობდი, იმავე გიჟურ თამაშშია გაბმული, რომელშიც მე, ოღონდაც ჩემთან შედარებით უფრო ხანგრძლივად, ვირტუოზულად და ეგებ უნებურად კი არა, საკუთარი განზრახვითაც-მეთქი. მეორე მხრივ, ეს ჩემი ვარაუდები მხოლოდ მისი საუბრის ინტელიგენტურ მანერასა და მაჰიპნოზებელ თვალებს ემყარებოდა, რაც თავისთავად არაფერსაც არ ნიშნავდა: განსვენებული ფონ ერნანიც, მაგალითად, ძალიანაც ინტელიგენტი გახლდათ, ხოლო ჩეკას მეთაური ძერჟინსკი ოკულტურ წრეებში განთქმული ჰიპნოტიზიორი იყო. თანაც, ვფიქრობდი, საკითხის ასე

დაყენებაც სისულელეა – განა არსებობს რომელიმე წითელი მეთაური, რომელიც მართლა წითელი მეთაური იქნებოდა? ყოველი მათგანი ტყავიდან ძვრებოდა, რათა გარკვეული ინფერნალური ეტალონისთვის მიეგბაძა ზუსტად ისე, როგორც წუხელ ამას მე ვაკეთებდი, ოღონდაც მუდმივ რეჟიმში. ეს მე ვერ აღვიქვამ ჩაპაევს იმ როლში, რომელსაც მისი სამხედრო აღკაზმულობა გულისხმობს, თორემ სხვები ალბათ მშვენივრად აღიქვამენ-მეთქი. ამას ბაბაიასინის ბრძანება და იმ ჯავშნოსნის არსებობაც ადასტურებდა, რომლითაც აგერ ახლა ვმგზავრობდით. ჩემგან რა უნდოდა, არ ვიცოდი, მაგრამ გადავწყვიტე, ჯერჯეროობით თამაშის შემოთავაზებული წესები მიმეღო, მით უფრო, რომ მის მიმართ ინსტინქტური ნდობა დამებადა. რატომღაც მეგონა, ეს კაცი ჩემზე მრავალი საფეხურით მაღლაა ასული ყოფიერების იმ უსასრულო კიბეზე, ამ დილით რომ მესიზმრებოდა-მეთქი.
– რამ ჩაგაფიქრათ? – მკითხა ჩაპაევმა და კამათლები გააგორა, – ეგებ რამე აზრი გაწუხებთ?
– უკვე აღარ, – მივუგე, – მითხარით, ბაბაიასინი ადვილად შემელია?
– წინააღმდეგი იყო, – თქვა ჩაპაევმა, – ძალიან გაფასებთ. ძერჟინსკის ჩარევა მომიხდა.
– რა, – ვკითხე, – იცნობთ?
– კი.
– ამხანაგო ჩაპაევ, შემთხვევით, ილიჩსაც
ხომ არ იცნობთ? – მსუბუქი ირონიით ვკითხე მე.
– საკმაოდ ახლოს, – მიპასუხა.
– მაჩვენებთ? – ვთქვი.
– რატომაც არა. თუ გნებავთ, ახლავე.
ეს კი მეტისმეტი იყო. გაოგნებულმა შევხედე, მაგრამ ოდნავაც არ შემცბარა. დაფა გვერდზე გასწია, ქარქაშიდან ხმალი ნარნარად ამოიღო და მაგიდაზე

დადო. უნდა ითქვას, ერთობ უცნაური ხმალი კი იყო. ვერცხლის გრძელი, მოვარაყებული ვადა ჰქონდა, ზედ ორ ფრინველს შორის რგოლში ჩასმული კურდღელი იყო გამოსახული, დანარჩენი კი ნატიფი ორნამენტით იყო მოკაზმული. ვადას ნეფრიტის ბუნიკი აჯდა, რომელსაც აბრეშუმის ძაფისგან ნაქსოვი სქელი ზონარი ჰქონდა შებმული, ლილისფერი ფოჩით დაბოლოებული. ვადას რკინის შავი წინფარი ჰქონდა. ალესილი ხმლისპირი გრძელი იყო და ოდნავ მორკალული, მოკლედ, ჩვეულებრივი ხმალი კი არა, რაღაც აღმოსავლური ყამა უფრო ეთქმოდა. თუმცა კარგად დათვალიერება ვეღარ მოვასწარი, რადგან ჩაპაევმა შუქი გამორთო.

სრულ სიბნელეში აღმოვჩნდით. ვერაფერს ვხედავდი, მხოლოდ ძრავას თანაბარი ხმაური მესმოდა (სხვათა შორის, ამ შეჯავშნულ ავტომობილში ხმის იზოლაცია უმაღლესი დონისა გახლდათ – ქუჩიდან ერთი ბგერაც კი არ შემოდიოდა) და მსუბუქ რყევას ვგრძნობდი.

– ხმლის პირს დახედეთ, – მითხრა.

ფოლადის ზოლზე გაჩენილ ბუნდოვან მოწითალო ანარეკლს დავაკვირდი. შიგ რაღაც უცნაური სიღრმე შევნიშნე – თითქოს ოდნავ დაორთქლილ შუშაში ვიცქირებოდი და იქ გრძელ, ცუდად განათებულ კორიდორს ვხედავდი. გამოსახულებას სუსტი თრთოლა გადაევლო და კორიდორში გაღეღილ ფრენჩში გამოწყობილი დაქანცული ნაბიჯით მიმავალი კაცი დავინახე. გაუპარსავი იყო და მელოტი, მოკლე ჟღალი წვერი ნიკაპთან მოუვლელ ბულანჟესა და ულვაშებს ერწყმოდა. დაიხარა, სხარტი ხელები წინ გაიწვდინა და იატაკზე დიდთვალება ნაღვლიანი კნუტი დავინახე. გამოსახულება საოცრად მკვეთრად ჩანდა, მაგრამ დაბრეცილად, თითქოს ნაძვის ხის მოსართავ პრიალა ბურთულაში ირეკლებაო. ჩემდა უნებურად დამახველა

და ლენინმა – ცხადია, ის გახლდათ, – ჩემკენ გამოიხედა. მივხვდი, მხედავდა – თვალებში წამით შიში გაუკრთა, მერე კი შიგ ეშმაკები ჩაისახლა, დამნაშავესავით ცალყბად ჩაიღიმა, თითი დამიქნია და მითხრა:
– სად ხარ, მისიუს
ჩაპაევმა ასანთი შებერვით ჩააქრო და სურათი გაქრა. თვალი მოვკარი, როგორ მოცოცხა კორიდორში კნუტმა და უცებ მივხვდი, რომ ეს ყველაფერი ხმლისპირზე სულაც არ დამინახავს, უბრალოდ, რაღაც ჩემთვის ყოვლად გაუგებარი ძალის წყალობით მე თვითონაც იქ გახლდით და შემეძლო, ფისოს ხელითაც კი შევხებოდი. შუქი აინთო. გაოგნებულმა ჩაპაევს შევხედე. მან ხმალი ქარქაშში ჩააგო.
, – მითხრა.
– უყვარს ვლადიმირ ილიჩს ჩეხოვი
– ეს რა იყო? – ვკითხე.
ჩაპაევმა მხრები აიჩეჩა.
– ლენინი, – თქვა მან.
– იმანაც დამინახა?
– არა მგონია, – თქვა ჩაპაევმა, – სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მან ვიღაცის იქ ყოფნა შეიგრძნო, მაგრამ ეს დიდად არ გააკვირვებდა. მიჩვეულია. ძალიან ბევრი ვინმე უთვალთვალებს.
– კი, მაგრამ თქვენ... ეს როგორ... ჰიპნოზი იყო?
– ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, – თქვა და თავი კედლისკენ გაიქნია, ყველაფერში იმას ვგულისხმობ, რაც ირგვლივ არსებობსო.
– ვინ ხართ ბოლოს და ბოლოს? – ვკითხე.
– ამას უკვე დღეს მეორედ მეკითხებით, – თქვა, – აკი გითხარით, გვარად ჩაპაევი გახლავართ. ჯერჯეროობით სხვას ვერაფერს გეტყვით. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. ჰო, პრივატულ საუბარში შეგიძლიათ ვასილი ივანოვიჩი დამიძახოთ, თორემ ეს «ამხანაგო ჩაპაევ» მეტისმეტად

პომპეზურია.
პირი კიდევ დავაღე რაღაცის საკითხავად, მაგრამ უეცრად შევჩერდი. მივხვდი, რომ ჩაციება კარგ შედეგს არ გამოიღებდა, პირიქით, საქმეს წაახდენდა. ჩემი აზრი როდი გახლდათ, ვგრძნობდი, რომ თავშეკავების ამ იმპულსს ყოვლად გაუგებარი გზით თვით ჩაპაევი ჩამაგონებდა.
ჯავშნოსანმა სვლას უკლო. საკონტაქტო ყურმილიდან მძღოლის გაბზარული ხმა გაისმა:
– სადგურზე ვართ, ვასილი ივანოვიჩ!
– ძალიან კარგი! – გაეპასუხა ჩაპაევი.
ჯავშნოსანი რამდენიმე წუთის განმავლობაში ნელა მანევრირებდა და ბოლოს გაჩერდა. ჩაპაევმა ფაფახი დაიხურა, დივნიდან წამოდგა და კარი გააღო. კაბინაში ცივი ჰაერი, ზამთრის მოწითალო სხივი და ასობით ადამიანის გუგუნი შემოიჭრა.
– საკვოიაჟი აიღეთ, – თქვა ჩაპაევმა და მიწაზე მსუბუქად დაეშვა. ჯავშნოსნის მყუდრო ბინდბუნდის მერე, სინათლისგან თვალმოჭუტული, კაბინიდან გამოვძვერი და მივყევი.
იაროსლავლის ვაგზალზე აღმოვჩნდით, ზედ შუა მოედანზე. ყოველი მხრიდან აღელვებული, ნაირგვარად მოსილი და შეიარაღებული ხალხი შემოგვჯაროდა, უსწორმასწორო მწკრივებად დაწყობილიყვნენ. მავანი წითელი მეთაურები ხმალგაშიშვლებულნი მწყობრის წინ დააბიჯებდნენ. ჩაპაევის გამოჩენას შეძახილებით დახვდნენ, საერთო გუგუნმაც იმატა და რამდენიმე წამში გამაყრუებელმა «ურამ» მოედანს რამდენჯერმე შემოუარა.
ჯავშნოსანი გადაჯვარედინებული დროშებით მორთული, ეშაფოტის მსგავსი ტრიბუნის მახლობლად იდგა. ზედ რამდენიმე სამხედრო ასულიყო და ერთმანეთს ეთათბირებოდა. ჩვენს დანახვაზე ტაში

დაუკრეს. ჩაპაევი ჭრიალა საფეხურებით სასწრაფოდ ავიდა მათთან. ვცდილობდი, არ ჩამოვრჩენოდი, კვალში ვედექი. ჩაპაევი ორიოდ სამხედროს ნაჩქარევად მიესალმა (ერთ-ერთ მათგანს ქამრებიანი წავის ქურქი ეცვა), ეშაფოტის მესერს მიუახლოვდა და ყვითელთათმანიანი ხელი აღმართა, სიჩუმე იყოსო.
– ბიჭებო! – წამოიწყო რიხიანად, – თქვენ იცით, აქ რატომაც ხართ შეკრებილნი. აბა, რა გეცრუოთ, ყველაფერს ნახავთ, ყველაფერს გამოცდით. უამისობა არ იქნება. სწორს არ ვამბობ? ფრონტზე ყოფა გეტირებათ, აბა, ფაფის საჭმელად კი არავინ გეპატიჟებათ...
მის პლასტიკას დავაკვირდი – ლაპარაკისას აქეთ-იქით თანაბრად ტრიალდებოდა და წინ გაწვდილ ყვითელთათმანიან ხელს ენერგიულად იქნევდა. სიტყვებს სულ უფრო და უფრო სწრაფად წარმოთქვამდა, ისე რომ აზრით ვეღარც კი ვეწეოდი, მაგრამ, თუ იმით ვიმსჯელებდით, როგორ უსმენდნენ კისერწაწვდილი მუშები და თავებს როგორ უკანტურებდნენ, თან შიგადაშიგ კმაყოფილად იღრიჭებოდნენ, უნდა დაგვესკვნა, რომ მათი სულისა და გულისათვის საამო რასმე ამბობდა.
ვიღაცამ სახელო ჩამომქაჩა. შემკრთალმა მოვიხედე და ხშირულვაშიანი ტანმოკლე ახალგაზრდა დავინახე, სიცივისაგან სახეაღაჟღაჟებული, წყალწყალა ჩაისფერი თვალებით ჯიქურ შემომყურებდა.
– ფ-ფუ, – თქვა მან.
– რაა? – ჩავეკითხე.
– ფ-ფურმანოვი, – თქვა და კოტიტათითებიანი განიერი ხელი გამომიწოდა.
– კეთილი, – მივუგე და ჩამოვართვი.
– მე ფეიქართა პოლკის კ-კომისარი ვარ, – მითხრა, – ე-ერთად მუშაობა მოგვიწევს. თქვენ ა-ახლა სიტყვით

უნდა გამოხვიდეთ, ე-ეცადეთ, მოკლედ მოჭრათ. მალე უნდა გავემგზავროთ.
– ძალიან კარგი, – ვთქვი.
ხელებზე დამხედა იჭვნეულად.
– პ-პარტიული ხართ?
თავი დავუქნიე.
– დ-დიდი ხანია?
– ასე, ორი წელი იქნება, – მივუგე.
ფურმანოვმა ჩაპაევს გახედა.
– არწივია, – თქვა, – ოღონდაც თვალყურის დევნება უნდა. ა-ამბობენ, ხშირად უბერავსო. მაგრამ მ-მეომრებს უყვართ. ე-ესმით მისი.
მოედანზე თავშეყრილ ადამიანებზე მანიშნა, ჩაპაევის სიტყვებს ყურადღებით რომ ნთქავდნენ.
– ოღონდაც სირცხვილი არ ჭამოთ, აი, რა არის მთავარი!.. უერთმანეთოდ ვერაფერს გახდებით... თუ არადა, ომის ნაცვლად ფაფის ჭამა გამოგივათ. მოკლედ, წინ უნდა ვიაროთ, აი, სულ ესაა ჩემი სათქმელი, ჩემი სამეთაურო დახელდახელება... ახლა კი კომისარი დაგელაპარაკებათ.
ჩაპაევი მესერს მოსცილდა.
– აბა, ჰე, პეტკა, – ხმამაღლა მიბრძანა.
მესერს მივუახლოვდი.
მძიმე სანახავები იყვნენ ეს ადამიანები, მით უფრო, თუ მათი ბედ-იღბლის მძიმე მარშრუტებს წარმოვიდგენდით. ბავშვობიდან მოტყუებულნი იყვნენ. მათთვის არსებითად არაფერი იცვლებოდა იმით, რომ ახლა სხვაგვარად ატყუებდნენ, მაგრამ ამ სიცრუეთა სიტლანქე და პრიმიტიულობა, ძველისაც და ახლისაც, ჭეშმარიტად დაუნდობელი გახლდათ. მოედანზე მდგომთა გრძნობები და აზრები ისევე ამაზრზენი იყო, როგორც მათი ძონძები და სასიკვდილოდაც კი შემთხვევითი ადამიანების სულელური კლოუნადა

მიაცილებდათ. კი მაგრამ, ვიფიქრე, განა ჩემი საქმე კი სხვაგვარადაა? განა მე კი მესმის – და თუ მგონია, რომ მესმის, კიდევ უარესი, – თუ რა ძალები წარმართავენ ჩემს ცხოვრებას? და თუ არ მესმის, მაშინ რით ვჯობივარ მთვრალ პროლეტარს, რომელსაც სიტყვა «ინტერნაციონალისთვის» სასიკვდილოდ აგზავნიან? იმით, რომ გოგოლი, ჰეგელი ან კიდევ ვიღაც გერცენი წამიკითხავს? სასაცილოა-მეთქი.
არადა, რამე უნდა მეთქვა.
– ამხანაგო მუშებო! – ვიყვირე, – თქვენმა კომისარმა, ამხანაგმა ფურმანოვმა მთხოვა, მოკლედ მოჭერიო, რადგან მალე გავდივართო. ვფიქრობ, საუბრის დრო კიდევ ბევრი გვექნება, ახლა კი მხოლოდ იმას გეტყვით, რაც ჩემს გულს ცეცხლში აგიზგიზებს. დღეს მე, ამხანაგებო, ლენინი ვნახე. ვაშა!
მოედანმა ვრცლად დაიგუგუნა. ხმაური რომ ჩაცხრა, განვაგრძე:
– ახლა კი, ამხანაგებო, უკანასკნელ დარიგებას ამხანაგი ფურმანოვი მოგცემთ!
ფურმანოვმა თავი დარბაისლურად დამიკრა და მესერს მიუახლოვდა. ჩაპაევი სიცილითა და ულვაშის გრეხით წავისქურქიან სამხედროს ესაუბრებოდა. შენიშნა, რომ ვუახლოვდებოდი და სამხედროს მხარზე ხელი დაჰკრა, დანარჩენებს თავი დაუქნია და ტრიბუნიდან ძირს დაეშვა. ფურმანოვი ალაპარაკდა:
– ამხანაგებო! აქ ყოფნის წუთებიღა დაგვრჩა. ბოლო ზარი დარეკავს და ყველანი მარმარილოს ძლევამოსილი ნაპირისკენ გავემართებით, იმ კლდისკენ, რომელზეც ჩვენს სიმტკიცეს ამოვტვიფრავთ...
ენა აღარ ებმოდა, ნარნარად, წამღერებით მეტყველებდა.
მუშათა მწკრივმა გზა დაგვითმო (ახლოდან რომ

შევხედე, მთელი ჩემი მათდამი თანაგრძნობა კინაღამ მყისიერად აორთქლდა). სადგურისკენ გავემართეთ. ჩაპაევი სწრაფად მიიწევდა წინ. ძლივს ვეწეოდი, შიგადაშიგ სალმის ნიშნად ყვითელთათმანიანი ხელი ფაფახთან მიჰქონდა. ყოველი შემთხვევისთვის, ეს ჟესტი ავიტაცე და მალე ისე გვარიანად ავითვისე, რომ ცოტა ხანში ვაგზალზე მორიალე ამ ზე- თუ ქვე-ადამიანებს შორის თავი მეც ერთ-ერთ მათგანად აღვიქვი. პლატფორმას მივუახლოვდით და გაყინულ მიწაზე ჩავხტით. აქედან სამანევრო ლიანდაგებზე მდგარი დათოვლილი ვაგონების ლაბირინთი იწყებოდა. ყოველი მხრიდან დაქანცული ადამიანები გვიცქერდნენ, მათი ერთფეროვანი სახეების უიმედო მანჭვა გაფიქრებინებდათ, რაღაც ახალი რასა წამოქმნილაო. სოლოვიოვის ერთი ლექსი გამახსენდა და გამეცინა.

– რაო? – მკითხა ჩაპაევმა.

– არაფერი, – ვთქვი, – მივხვდი, თუ რას ნიშნავს პანმონგოლიზმი.

– ეგ რაღაა?

– მოძღვრებაა ასეთი, – ვთქვი, – ჩინგიზ-ყაენის დროს პოლონეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

– ბიჭოს, – თქვა ჩაპაევმა, – ეს რა საინტერესო სიტყვები გცოდნიათ.

– მაგაში ვერ შეგედრებით. ხომ ვერ ამიხსნიდით, რას ნიშნავს დახელდახელება?

– რა? – მოიღუშა ჩაპაევი.

– დახელდახელება.

– ეს საიდანღა მოიტანეთ?

– თუ არ ვცდები, ტრიბუნიდან ბრძანებდით, ჩემი სამეთაურო დახელდახელებაო...

– აჰ, – გაიღიმა ჩაპაევმა, – აი, თურმე რა. იცით, პიოტრ, როცა მასებს ელაპარაკები, არანაირი მნიშვნელობა არა

აქვს, თვითონ გესმის თუ არა შენ მიერვე წარმოთქმული სიტყვები. მთავარია, სხვებს ესმოდეთ. უბრალოდ, ბრბოს მოლოდინი უნდა გაუმართლო. ზოგიერთი ამას იმ ენის შესწავლით აღწევს, რომელზეც მასა მეტყველებს, მაგრამ მე ჯიქურ ვმოქმედებ. ასე რომ, თუ გნებავთ, გაიგოთ, რა არის «დახელდახელება», მე კი არ უნდა მკითხოთ, არამედ იმათ, მოედანზე რომ დგანან. ვიფიქრე, მესმის, რასაც მეუბნება-მეთქი. მე თვითონაც მსგავსი დასკვნები დიდი ხნის წინ მქონდა გაკეთებული, ოღონდაც ხელოვნების შესახებ ერთგვაროვანი და უმიზნო საუბრებისას. ჩემი ხელობის გადამკიდე, ლიტერატურულ წრეებში უამრავ უმძიმეს იდიოტთან მიწევდა ურთიერთობა და ამიტომ მათ მსჯელობებში მონაწილეობის უნარი იმგვარად განვივითარე, რომ საუბრის საგანს მაინცდამაინც ღრმად არ ჩავწვდომოდი, თანაც თავისუფლად მეჟონგლიორა ისეთი უგერგილო სიტყვებით, როგორებიცაა «რეალიზმი», «თეუგრია»
. ჩაპაევისეული ტერმინოლოგიით ეს იმ ენის სწავლას ნიშნავდა, რომელზეც მასა მეტყველებს. თვითონ, როგორც მივხვდი, იმ სიტყვების ცოდნითაც კი არ იწუხებდა თავს, რომლებსაც თვითონ წარმოთქვამდა, თუმცა ვერ გამეგო, ამას როგორ ახერხებდა. ეგებ რაღაც ტრანსის მსგავსში ვარდებოდა, სხვათა მოლოდინის ემანაციას შეიგრძნობდა და ბრბოსთვის გასაგებ სიტყვიერ ვარაყებად გარდაქმნიდა.
გზის მონარჩენი უსიტყვოდ გავლიეთ. ჩაპაევს სულ უფრო და უფრო შორს მივყავდი; ორჯერ-სამჯერ გავძვერით ცარიელი, ჩამკვდარი მატარებლების ქვეშ. სიჩუმე იდგა, მხოლოდ შორიდან მოისმოდა ორთქლმავლების უსიცოცხლო კივილი. ბოლოს, როგორც იქნა, იმ მატარებელთან შევჩერდით, რომლის ერთი ვაგონი ჯავშნიანი გახლდათ. მისი სახურავის

მილიდან ამოვარდნილი კვამლი სიმყუდროვეს გაგრძნობინებდა, კარში კი ჩლუნგი, აზიური ტიპის სახით გუშაგი ბოლშევიკი იდგა – რატომღაც დანახვისთანავე ბაშკირად მოვნათლე.
ბაშკირმა სამხედრო სალამი მოგვცა. გვერდი ავუარეთ, ვაგონში ავედით და მოკლე კორიდორში აღმოვჩნდით. ჩაპაევმა ერთ კარზე მიმითითა.
– ეს თქვენი კუპეა, – მითხრა და ჯიბიდან საათი ამოიღო, – თქვენი ნებართვით, მცირე ხნით დაგტოვებთ – რამდენიმე განკარგულება მაქვს გასაცემი.
ორთქლმავალი და სატვირთო ვაგონები უნდა ჩაგვიბან.
– მაგათი კომისარი თვალში არ მომდის, – ვთქვი, – აი, ის, ფურმანოვი. მომავალში ალბათ ერთმანეთს ვერ შევეწყობით.
– თავს ნუ აიტკივებთ იმით, რაც აწმყო არ არის, – თქვა ჩაპაევმა, – მომავალში, რომლის შესახებაც ლაპარაკობთ, ჯერ მოხვედრაა საჭირო. შეიძლება ისეთ მომავალში აღმოჩნდეთ, სადაც არავითარი ფურმანოვი არ იქნება. ან ეგებ ისეთ მომავალში ამოყოთ თავი, სადაც თქვენ თვითონ არ იქნებით.
ვდუმდი, არ ვიცოდი, რა მეპასუხა ამ უცნაურ ნათქვამზე.
– მოეწყვეთ და დაისვენეთ, – თქვა, – ვახშმად შევხვდებით.
კუპეში საოცრად მშვიდი ვითარება დამხვდა. ჯავშნიან კედელში დატანებულ ფანჯარაზე ფარდა ეკიდა, მაგიდაზე მიხაკებიანი ვაზა იდგა. დაქანცულობა მომეძალა; დივანზე რომ დავჯექი, ერთხანს ვეღარც კი გავინძერი. მერე გამახსენდა, რამდენიმე დღე იყო, არ მებანავა და კორიდორში გამოვედი. ჩემდა გასაკვირად პირველი შეღებული კარი სააბაზანოსი აღმოჩნდა. ნეტარებით გადავივლე ცხელი შხაპი (წყალს, ეტყობა, ნახშირის ღუმელი აცხელებდა), კუპეში დავბრუნდი და დაგებული ლოგინი აღმოვაჩინე, მაგიდაზე კი ცხელი ჩაი

მელოდა. გეახელით, დივანზე გავიშხლართე და საგულდაგულოდ გახამებული ზეწრის არომატით რეტდასხმულს მყის ჩამეძინა.
რომ გავიღვიძე, თითქმის დაბნელებულიყო. ვაგონი თანაბრად ირწეოდა, ბორბლებქვეშ რელსებს გაჰქონდათ რახრახი. მაგიდაზე ცარიელი ჩაის ჭიქის მაგივრად, ღმერთმა იცის, საიდან, რაღაც შეკვრა გაჩენილიყო. საუცხოო ლაკის პრიალა ფეხსაცმელი აღმოჩნდა, პერანგი, საცვლები და რამდენიმე ჰალსტუხი – ასარჩევად. აღარაფერი მიკვირდა. კოსტიუმი და ფეხსაცმელი ზუსტად მომერგო, მცირე ყოყმანის შემდეგ შავწინწკლებიანი ჰალსტუხი ამოვირჩიე, კედლის კარადაში ჩასმულ სარკეში ჩავიხედე და ერთობ კმაყოფილი დავრჩი, თუმცა შთაბეჭდილებას რამდენიმე დღის გაუპარსავი წვერი აფუჭებდა. ვაზიდან მოლილისფრო მიხაკი ამოვაძრე, ყუნწი დავუმოკლე და ყვავილი ღილკილოში ჩავიმაგრე. ო, რა მიუღწევლად და დიდებულად წარმომიდგა იმწამს უწინდელი პეტერბურგული ცხოვრება!
კორიდორში გამოვედი, ბოლო კარს მივუახლოვდი და მივაკაკუნე. არავინ გამომხმაურებია. შევაღე და დიდი სალონი დავინახე. ცენტრში სამ კაცზე გაშლილი, მსუბუქი ვახშმითა და ორი ბოთლი შამპანურით გაწყობილი მაგიდა იდგა, ზედ მატარებლის მოძრაობას აყოლილი სანთლები ირწეოდნენ. ჰაერს სიგარის სუნი დაჰკრავდა. კედლებს ღია ფერის ოქროსყვავილებიანი შპალერი ამშვენებდა, მაგიდის პირდაპირ დიდი ფანჯრის ოთხკუთხედს ნელა კვეთდნენ ღამის ფარნები. უკნიდან ჩქამი მომესმა. შევკრთი და მოვტრიალდი. ის ბაშკირი იყო, რომელიც ადრე ვაგონის კარში იდგა. უმეტყველოდ შემომხედა, კუთხეში მდგარი ვერცხლისფერრუპორიანი გრამოფონი დაქოქა და ნემსი დატრიალებულ დისკზე დაუშვა. შალიაპინის

ლითონისებრი ბანი აჟღერდა, ვაგნერს ასრულებდა. ვიფიქრე, ნეტა მესამე თანამეინახედ ვინ იგულისხმეშა-მეთქი, თან პაპიროსი ამოვიღე. დიდხანს მარჩიელობა არ დამჭირვებია. კარი გაიღო და ჩაპაევი გამოჩნდა. შავი ხავერდის პიჯაკი ეცვა, თეთრი პერანგი და ზედ – მოელვარე მუარის ალისფერი ბაფთა, ფარაჯის ლამპასებთან შეხამებული. კვალში გოგონა მოჰყვებოდა – ისე მოკლედ შეჭრილი თმით, ვარცხნილობა არც კი ეთქმოდა. მუქი ხავერდით დაფარულ პაწია, ნორჩ მკერდზე მსხვილი მარგალიტის მძივი ეკიდა, განიერი და ძალუმი მხრები ჰქონდა, თეძოები კი ოდნავ ვიწრო. თვალებს ოდნავ აელმებდა, რაც ისედაც მშვენიერ თვალებს კიდევ უფრო ულამაზებდა. სილამაზის ეტალონად გამოდგებოდა, მაგრამ ქალური სილამაზისა – არა. ჩემი რისკიანი ფანტაზიაც კი ვერ გაბედავდა ამ თვალებთან, სახესთან და მხრებთან ერთად სარეცელში ჩაგორებას. ტრიპერიან თივაში წამოსაწვენი ქალი როდი იყო! თუმცა ყინულზე, ციგურებზე შემდგარს იოლად წარმოიდგენდი. რაღაც გამომაფხიზლებელი სილამაზე ჰქონდა, უბრალო და ოდნავ სევდიანი, დეკორატიულ-ცოდვილ კდემამოსილებაზე კი არ მოგახსენებთ, რომელიც ჯერ კიდევ ომამდელ პეტერბურგში მქონდა ყელში ამოსული – არა, ეს ნამდვილი, ბუნებრივი, თვითშეცნობილი სრულყოფილება გახლდათ, რომლის მიმართ ვნება მოსაწყენი უხამსობაა, რიგითი პოლიციელის პატრიოტიზმივით.
შემომხედა და ჩაპაევს მიუბრუნდა. მოშიშვლებულ ყელზე მარგალიტმა იელვა.
– ესაა ჩვენი ახალი კომისარი? – იკითხა.
ოდნავ ყრუ, მაგრამ საამო ხმა ჰქონდა. ჩაპაევმა თავი დაუქნია.
– იცნობდეთ, – თქვა, – პიოტრი, ანა.

წამოვდექი, მისი გრილი ხელი ავიღე და კოცნა დავუპირე, მაგრამ არ დამანება, პეტერბურგულ emancipe სტილში ხელის ფორმალურად ჩამორთმევა მაკმარა. მისი თითები რამდენიმე წამით მუჭში მოვიქციე.
– დიდებული მეტყვიამფრქვევეა, – თქვა ჩაპაევმა, – ასე რომ, გირჩევთ, არ გააღიზიანოთ.
– ნუთუ ამ ნაზ თითებს კაცისკვლა შეუძლიათ? – ვთქვი და ხელი ვუშვი.
– გააჩნია, – თქვა ჩაპაევმა, – სიკვდილს რას უწოდებთ.
– ნუთუ შესაძლოა ამ საკითხზე სხვადასხვა შეხედულება არსებობდეს?
– ო, რასაკვირველია, – თქვა ჩაპაევმა. სუფრას მივუსხედით. ბაშკირმა საეჭვოდ მოულოდნელი სისხარტით გახსნა შამპანური და ასევე ჩამოასხა.
– ერთი სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ, – თქვა ჩაპაევმა და თავისი ჰიპნოზური მზერა მომაბჯინა, – ეს იმ საზარელ დროებას გაუმარჯოს, რომელშიც გავჩნდით და ვცხოვრობთ და კიდევ ყველას გაუმარჯოს, ვინც ასეთ ჟამსაც კი არ იშლის და თავისუფლებას მიელტვის.
მისი ნათქვამი მთლად ლოგიკური არ გახლდათ, აკი ჩვენი დროება საზარელი სწორედ იმიტომ გახდა, რომ მავანნი ამ ეგრეთ წოდებულ თავისუფლებას მიელტვიან. ყველას გაუმარჯოსო?! ვის? რისთვის? მაგრამ ჩემი აზრის გამოთქმას შამპანურის მოსმა ვამჯობინე (ამ უბრალო რეცეპტს მუდამ ვიყენებდი, თუ სუფრაზე შამპანური მოიძევებოდა, საუბარი კი პოლიტიკას შეეხებოდა). ორიოდე ყლუპის შემდეგ უეცრად მივხვდი, მშიოდა და ჭამას შევუდექი. გამოუთქმელმა გრძნობამ აღმავსო. ის, რაც ახლა ხდებოდა, იმდენად დაუჯერებელი გახლდათ, რომ ლამის იყო, დამეჯერებინა, როგორც სიზმარში, როცა ფანტასტიკური ხილვების მორევში გადაშვებული

გონება მაგნიტივით მიიზიდავს უძველესი სამყაროს რომელიმე ცნობილ დეტალს და მთელ ყურადღებას მასზე გადაიტანს, რის წყალობითაც ყველაზე აწეწილი კოშმარიც კი ყოველდღიურ რუტინას ემსგავსება. ერთხელ დამესიზმრა, რომ რაღაც სამწუხარო ვითარებათა გამო პეტრე-პავლეს ტაძრის შპილის ანგელოზად ვიქეცი და გამჭოლი ქარისგან თავი რომ მეხსნა, პიჯაკის ღილის შეკვრას ვლამობდი, მაგრამ ვერ ვახერხებდი, თანაც ის კი არ მიკვირდა, უცებ პეტერბურგის თავზე, ღამის ბნელ ზეცაში რომ აღმოვჩნდი გამოკიდული, არამედ ის, რომ ერთ ჩვეულებრივ ღილს ვერასდიდებით ვერ ვიკრავდი. ახლაც რაღაც ამგვარს განვიცდიდი – მომხდარის არარეალურობა თითქოს ჩემი ცნობიერების სქოლიოში ჩაწერილიყო, ხოლო საღამო სრულიად ჩვეულებრივი გახლდათ და ვაგონის მსუბუქი რწევა რომ არა, თავისუფლად ვიფიქრებდი, რომ პეტერბურგის ერთ პატარა კაფეში ვისხედით, ფანჯრებს მიღმა კი სწრაფად ჩავლილი ეტლების ფარნები ჩაგვიქროლებდნენ ხოლმე.
მდუმარედ მივირთმევდი და შიგადაშიგ თვალს ანასკენ ვაპარებდი. ჩაპაევი საზიდრებსა და ტყვიამფრქვევებზე ელაპარაკებოდა და ისიც მოკლე პასუხებს აძლევდა, მაგრამ მისი ცქერით ისე ვიყავი გართული, რომ საუბრის არსი ყურადღების მიღმა მრჩებოდა. ქალის სრულიად მიუღწეველი სილამაზე სევდას მგვრიდა, ვიცოდი, მისკენ ხელების ვნებიანი გაწოდება ისეთივე უაზრობა გახლდათ, როგორიც ტოლჩით ზღვის ამოხაპვა.
ვახშამი დასრულდა, ბაშკირმა თეფშები აალაგა და ყავა მოგვართვა. ჩაპაევი საზურგეზე გადაწვა და სიგარა გააბოლა. კეთილი და ძილმორეული სახით მიცქერდა და იღიმებოდა.

– პიოტრ, – მითხრა, – შეშფოთებული და, უკაცრავად პასუხია, დაბნეულიც კი ჩანხართ. კომისარი... ხალხს უნდა გაუძღვეთ, გესმით? ასე ვთქვათ, მეხივით დაუნდობელი უნდა იყოთ... საკუთარ ძალებში აბსოლუტურად დარწმუნებული... ყოველთვის.
– საკუთარ თავში სავსებით დარწმუნებული გახლავართ,
– ვთქვი, – თქვენში არა ვარ სავსებით დარწმუნებული.
– თურმე რა ყოფილა! რა გაეჭვებთ?
– გულახდილობის ნებას მრთავთ?
– ცხადია. მეც და ანასაც თქვენი გულახდილობის დიდი იმედი გვაქვს.
– არ მჯერა, რომ მართლა წითელი მეთაური ხართ.
ჩაპაევმა მარცხენა წარბი აზიდა.
– მართლა? – თითქოს ალალად გაიოცა, – რატომ?
– არ ვიცი, – ვთქვი, – ეს ყველაფერი მასკარადს მაგონებს.
– არ გჯერათ, პროლეტარიატს თუ თანავუგრძნობ?
– არა, რატომ, ეგ მჯერა. დღეს ტრიბუნაზე მე თვითონაც თანაგრძნობას განვიცდიდი, მაგრამ მაინც...
უცებ მივხვდი, რომ აღარ ვიცოდი, რის თქმა მინდოდა. სუფრაზე დუმილი ჩამოწვა, მხოლოდ კოვზის სუსტი წკარუნი ისმოდა – ანა ყავას ურევდა.
– აბა, ვინ ჰგავს წითელ მეთაურს? – მკითხა ჩაპაევმა.
– ფურმანოვი, – ვთქვი მე.
– მაპატიეთ, პიოტრ, მაგრამ თქვენ დღეს უკვე მეორედ ახსენებთ ამ გვარს. ვინ არის ფურმანოვი?
– აი, ის ფხიზელთვალება ბატონი, – ვთქვი, – ფეიქრებს ჩემამდე სიტყვით რომ მიმართა.
ანამ ტაშს შემოჰკრა.
– სხვათა შორის, ფეიქრები სულ დაგვავიწყდა. ვასილი ივანოვიჩ, დროა, მოვინახულოთ.
ჩაპაევმა თავი დაუქნია.
– დიახ, დიახ, – თქვა, – მართალი ბრძანდებით, ანა. ახლა

სწორედ ეს მინდოდა შემომეთავაზებინა, მაგრამ პიოტრმა ყველაფერი დამავიწყა.
მომიტრიალდა.
– ამ თემას უეჭველად კიდევ დავუბრუნდებით. ახლა კი, თუ გნებავთ, კომპანია გაგვიწიეთ.
– სიამოვნებით.
– მაშინ მომყევით, – თქვა ჩაპაევმა და წამოდგა.
საშტაბო ვაგონიდან მატარებლის ბოლოსკენ გავემართეთ. ახლა კიდევ უფრო მეტად მეუცნაურებოდა ყოველივე, რაც ჩემს თავს ხდებოდა. ჩვენი მომდევნო რამდენიმე ვაგონი ცარიელი გახლდათ. არც შუქი ენთო, არ ჩქამი გაისმოდა. არ მჯეროდა, რომ კაკლის ხის ამ პანელთა მიღმა, ჩაპაევის სიგარის ნათებას გაპრიალებული ზედაპირებით რომ ირეკლავდნენ, წითელ მებრძოლებს ეძინათ. ვცდილობდი, სულაც არ მეფიქრა ამაზე.
ერთი ვაგონი ჩვეულებრივი ტამბურით კი არ მთავრდებოდა, არამედ ტორსფენილი კარით, რომლის ფანჯარაშიც უკუსვლით მიქროდა ზამთრის შავი ღამე. ბაშკირმა ერთხანს საკეტი აწვალა და გააღო; მყისვე კორიდორში რელსების მჭახე რახრახი და წვრილ ფიფქთა მსუსხავი კორიანტელი შემოიჭრა. კარს მიღმა პატარა, შემოღობილი და გადახურული სივრცე აღმოჩნდა, ტრამვაის უკანა ბაქნის მსგავსი, მერე კი მომდევნო ვაგონის მუქი სხეული მოჩანდა – არანაირი გადასასვლელი არ ჩანდა და გაუგებარი გახლდათ, როგორ აპირებდა ჩაპაევი თავისი ახალი მეომრების მონახულებას.
ბაქანზე სხვების კვალდაკვალ გავედი. ჩაპაევი მოაჯირს გადაეყუდა, სიგარა ღრმად მოქაჩა და ქარმა რამდენიმე კაშკაშა ჟოლოსფერი ნაპერწკალი გამოაფრქვია.
– მღერიან, – თქვა ანამ, – გესმით?
ხელი ასწია, თითქოს უნდა, თმა ქარისგან დაიცვასო,

მაგრამ იქვე დაუშვა – მისი მოკლედ შეჭრილი თმა ამ მოძრაობას აზრს უკარგავდა. გავიფიქრე, ეტყობა, ვარცხნილობა ახლახან შეუცვლია-მეთქი.
– გესმით? – გაიმეორა მან და ჩემკენ შემობრუნდა. მართლაც, ვაგონების ხმაურში საკმაოდ ლამაზი და ხმაშეწყობილი სიმღერა მოისმოდა. მივაყურადე და სიტყვებიც კი გავარჩიე:
მჭედლები ვართ, კერპს ვმსახურობთ,
ხელთ გვიპყრია მძიმე ურო.
ჩვენი ბედი უნდა ვკვეროთ,
თავში უნდა ჩაგცხოთ, მტერო!
– უცნაურია, – ვთქვი, – თუ ფეიქრები არიან, რატომ მღერიან, მჭედლები ვართო? ან კერპი რაღა შუაშია?
– კერპი კი არა, გრდემლი, – თქვა ანამ.
– გრდემლი? – ჩავეკითხე, – აჰა, გასაგებია, მჭედლები რახან ვართო, მაგრამ სინამდვილეში ხომ ფეიქრები არიან? რა აბდაუბდაა.
უცნაური ტექსტის მიუხედავად, ზამთრის ღამიდან ამოხეთქილი ეს სიმღერა რაღაც ძველებურად და მომხიბლავად ჟღერდა, ეგებ თვით ჰანგი გახლდათ ასეთი, ანდა იქნებ ბევრი მამაკაცის ხმათა ერთობაში იყო საქმე, ქარის შხუილში, დათოვლილ მინდვრებსა თუ ცაზე მოკიაფე თითო-ოროლა ვარსკვლავში. მატარებელმა მოუხვია და ვაგონების ჩაბნელებული ჯაჭვი გამოჩნდა – ეტყობა, მგზავრები სრულ უკუნში მღეროდნენ და ეს შთაბეჭდილებას აღრმავებდა, საერთო სურათს კიდევ უფრო გასაოცრად და იდუმალებით აღსავსედ წარმოაჩენდა.
– რაღაც სკანდინავიური უნდა იყოს, – ვთქვი, – იცით, იქ ერთი ღმერთი ჰყავდათ, რომელსაც მაგიური ურო ჰქონდა, იარაღად იყენებდა. მგონი, უფროს ედაშია . ჰო, ჰო. სხვა ყველაფერიც ემთხვევა. განა ეს დათრთვილული ვაგონი, ჩვენ წინ რომ მიქრის, თორის

ურო არ არის, უხილავ მტერს რომ სტყორცნის?! თვითონ ღმერთი თორი კი უკან მოგვდევს და თავს ვერასდიდებით ვერ დავაღწევთ, ვერც ვერასგზით ვერ შევაჩერებთ.
– მდიდარი წარმოსახვა გქონიათ, – თქვა ანამ, – თუკი ეს ბინძური ვაგონი ასეთ აზრებს აღგიძრავთ.
– ცხადია, არაფერსაც არ აღმიძრავს, – ვთქვი, – უბრალოდ, მწადია, თავი მოვიწონო. სინამდვილეში სულ სხვა რამეს ვფიქრობ.
– მაინც რას? – მკითხა ჩაპაევმა.
– იმას, რომ ადამიანი რაღაცით ამ მატარებელს ჰგავს. მისჯილი აქვს სამარადისოდ ათრიოს წარსულიდან ჩაბნელებული, საზარელი, ვინ იცის, ვისი ანდერძით დატოვებული ვაგონების მძიმე ჯაჭვი, ხოლო იმედების, ეჭვებისა და შიშების ამ ხმაურიან მწკრივს თავის სიცოცხლეს უწოდებს. არც არანაირი სხვა გზა არ ჩანს, თავდასაღწევი.
– რატომ? – თქვა ჩაპაევმა, – არის გზა.
– იცით, რა გზაა? – ვკითხე.
– ცხადია, – თქვა ჩაპაევმა.
– იქნებ მიჩვენოთ?
– სიამოვნებით, – თქვა ჩაპაევმა და თითები გაატკაცუნა. ბაშკირმა, თითქოს ამ სიგნალს ელოდაო, ფარანი ძირს დადგა, მესერს ქვეშ გაძვრა, ვაგონთა ბმის რომელიღაც ბნელში უხილავ დეტალებს მისწვდა და ხელები ააფათურა. რაღაცამ ხმამაღლა გაიჟღრიალა და ბაშკირი კვლავაც მოქნილად დაბრუნდა ბაქანზე. მოპირდაპირე ვაგონი ნელა ჩამოგვშორდა. ჩაპაევს შევხედე. მზერა მშვიდად გამისწორა.
– აცივდა, – მითხრა, თითქოს არაფერი მომხდარაო, – სუფრას დავუბრუნდეთ.
– წამოგეწევით, – ვუპასუხე.
ბაქანზე მარტო დავრჩი და ერთხანს შორეთს

გავცქეროდი. ჯერაც მოისმოდა ფეიქართა სიმღერა, თუმცა ვაგონები ყოველწამიერ სულ უფრო და უფრო შორს რჩებოდნენ; უცებ მომეჩვენა, რომ მათი მწკრივი გაქცეული ხვლიკის მოგლეჯილ კუდს ჰგავდა. დიდებული სურათი იყო. ო, ნეტა მართლა შესაძლებელი ყოფილიყო ოდითგანვე ჩემი სულის მწამებელი საკუთარი «მეების» მატყუარა ბანდაც ისევე ადვილად მომეშორებინა, როგორც ის ხალხი მოისროლა ჩაპაევმა. მალე შემცივდა. ვაგონში შევედი, კარი გამოვიხურე და უკან ხელის ცეცებით დავბრუნდი. საშტაბო ვაგონს რომ მივაღწიე, ისეთი დაღლილობა მომეძალა, რომ პიჯაკიდან ფიფქების ჩამოფერთხვაც კი დამეზარა, ჩემს კუპეს მივაშურე და საწოლზე გავიშხლართე. სალონიდან, სადაც ჩაპაევი და ანა ისხდნენ, მათი ხმები და სიცილი მესმოდა. შამპანურმა იბუთქა.

– პიოტრ! – დამიძახა ჩაპაევმა, – რა დროს ძილია, შემოგვიერთდით!

ბაქანზე დანაბერი ცივი ქარის მერე კუპეს თბილი ჰაერი საოცრად მსიამოვნებდა. ისიც კი მომელანდა, თითქოს ჰაერი კი არა, წყალი იყო და, როგორც იქნა, ამდენი დღის ნანატრი ცხელი აბაზანის მიღება მეღირსა-მეთქი, ვფიქრობდი. როცა ეს განცდა სრულიად გარეალურდა, მივხვდი, რომ უკვე მეძინა. შალიაპინის ნაცვლად გრამოფონმა ისევ მოცარტის ის ფუგა ააჟღერა, რომლითაც დღევანდელი დღე დაიწყო და ამანაც მიმანიშნა, სიზმარში ხარო. ვიცოდი, რომ ძილს არ უნდა დავნებებოდი, მაგრამ ვეღარას ვხდებოდი, წინააღმდეგობა შევწყვიტე და თავით გადავეშვი როიალის იმ მინორულ ბგერებს შორის დარჩენილ სიცარიელეში, რომლებმაც დილიდანვე ესოდენ მომხიბლეს.

– ჰეი, გაიღვიძეთ!
ვიღაც მანჯღრევდა. თავი ავწიე, თვალი გავახილე და სრულიად უცნობი სახე დავინახე – მრგვალი, მსუქანი, კარგად მოვლილი წვერით დამშვენებული. თავაზიანად მიღიმოდა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, საპასუხო გაღიმება არ მსურდა. მივხვდი, რატომაც. ამ მოვლილი წვერისა და სუფთად გადაპარსული თავის ერთობ კონტრასტული შეხამების გამო. ეს ბატონი, ახლა ჩემკენ რომ გადმოხრილიყო, იმ ყველაფრით მოვაჭრე სპეკულანტებს ჰგავდა, ომის დაწყებისთანავე რომ გაავსეს პეტერბურგი. როგორც წესი, მალოროსიელები იყვნენ და ორი ძირითადი თვისებით გამოირჩეოდნენ – უსაზღვრო სიცოცხლისუნარიანობით და ქალაქში მოდად ქცეული ოკულტური ამბებით დაინტერესებით.
– ვლადიმირ ვოლოდინი, – გამეცნო წვეროსანი, – შეგიძლიათ, უბრალოდ ვოლოდინი დამიძახოთ. რაკიღა მეხსიერების დაკარგვა კიდევ ერთხელ გადაგიწყვეტიათ, როგორც წინა შემთხვევებში, ჩემს თავს ამჯერადაც ხელახლა წარმოგიდგენთ.
– პიოტრი, – ვთქვი.
– გირჩევთ, მკვეთრ მოძრაობებს მოერიდოთ, პიოტრ, – მითხრა ვოლოდინმა, – სანამ გეძინათ, ოთხი კუბი ტაურეპამი გაგიკეთეს, ასე რომ, პირქუში დილა მოგელით. თუ გარემომცველი ხალხი ან საგნები თქვენში დეპრესიას და ზიზღს გამოიწვევს, ნუ გაგიკვირდებათ.
– არა, ძვირფასო, – ვთქვი მე, – დიდი ხანია, აღარაფერი აღარ მაკვირვებს.
– არა, – მითხრა მან, – მე სხვა რამეს ვგულისხმობ. შესაძლოა მოგეჩვენოთ, რომ მიმდინარე სიტუაცია წარმოუდგენლად საძაგელი, სრულიად აუტანელი, არაადამიანური და უაზროა. სიცოცხლესთან შეუთავსებელიც კი.

– მერედა, რა?
– ყურადღებას ნუ მიაქცევთ. იცოდეთ, რომ ნემსის ბრალია.
– ვეცდები.
– ძალიან კარგი.
უცებ შევნიშნე, რომ ეს ვოლოდინი სრულიად შიშველი იყო, მეტიც, სველი გახლდათ და თეთრი კაფელის იატაკზე ჩაცუცქულს წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. თუმცა ყოველივე ამაში ყველაზე აუტანლად მისი ერთგვარი თავისუფალი პოზა მეჩვენა, მანერა, რომლითაც თავისი გრძელი, დაძარღვული ხელი კაფელზე იმგვარად დაეყრდნო, მაიმუნი გეგონებოდათ. თანაც ეს დაუდევრობა მიგახვედრებდათ: ირგვლივ სწორედ ის სამყაროა, სადაც ბანჯგვლიანი, ბრგე მამაკაცები სწორედაც ასე უნდა ისხდნენ იატაკზე, და თუ ვინმე ამას მისაღებ ნორმად არ მიიჩნევს, ცხოვრება გაუჭირდებაო. ეტყობა, ნემსის შესახებ მართალი უთქვამს. ჩემი გადასახედიდან მართლაც რაღაც უცნაურობა ხდებოდა. რამდენიმე წამის განმავლობაში ვოლოდინს განცალკევებით აღვიქვამდი, ყოველგვარი ფონის გარეშე, როგორც პასპორტის სურათზე გამოსახულს. მისი სახე და ფიგურა გამოწვლილვით რომ შევისწავლე, დავფიქრდი, ნეტა ეს ყველაფერი სად ხდება-მეთქი. რაკიღა მოქმედების ადგილი გამახსენდა, ისიც უმალ გამოიკვეთა-მეთქი, ვიაზრე. დიდ ოთახში ვიყავით, სულ თეთრი კაფელით მოპირკეთებულში, იატაკზე თუჯის ხუთი აბაზანა იდგა. მე განაპირაში ვიწექი. წყალი აქაც და, როგორც ზიზღნარევად ვიგრძენი, დანარჩენებშიც საკმაოდ ცივი ესხა. ვოლოდინმა ბოლო კეთილი ღიმილი მტყორცნა და ყოვლად ამაზრზენი მოქნილობით, ასე ჩაცუცქულმა პირდაპირ მეზობელ აბაზანაში ისკუპა, თან წვეთიც არ გაუშხეფებია.

ვოლოდინის გარდა სხვა აბაზანებში კიდევ ორნი იწვნენ – გრძელთმიანი, ცისფერთვალება, მეჩხერწვერიანი ქერა ყმაწვილი, ძველი სლავური მითოსის რაინდს რომ ჰგავდა და ერთიც ზედმეტად განვითარებული მუსკულატურის მქონე მუქთმიანი, ქალურად სახეფერმკრთალი ჯეელი. მოლოდინით შემომცქეროდნენ.
– ეტყობა, მართლა ვერ გვიხსენებთ, – თქვა ქერაწვერიანმა ცოტა ხნის შემდეგ, – სემიონ სერდიუკი.
– პიოტრი, – მივუგე.
– მარია, – თქვა ჯეელმა განაპირა აბაზანიდან.
– რა ბრძანეთ?
– მარია, მარია, – უკმაყოფილოდ გამიმეორა, – სახელია ასეთი. მწერალი ერიხ მარია რემარკი არ გაგიგიათ? მის პატივსაცემად დამარქვეს.
– ეგეთი მწერალი არ გამიგია, – ვუპასუხე, – ეტყობა, ახალია ვიღაც.
– კიდევ რაინერ მარია რილკე იყო. არც ის გაგიგიათ?
– არა, რატომ? გამიგია და წაკითხულიც მაქვს.
– ჰოდა, ის რაინერ მარია იყო, მე კი უბრალოდ მარია ვარ.
– მაპატიეთ, – ვთქვი, – თქვენი ხმა მეცნობა. შემთხვევით, თქვენ ხომ არ ყვებოდით იმ უცნაურ ამბავს თვითმფრინავის, რუსეთ-დასავლეთის ალქიმიური ქორწინებისა და ასეთების შესახებ?
– დიახ, მე, – მიპასუხა მარიამ, – რა ნახეთ მაგ ამბავში უცნაური?
– ისეთი არაფერი, – ვთქვი, – ოღონდაც მეგონა, რომ ქალი ხართ.
– გარკვეული აზრით, ვარ კიდეც, – მიპასუხა მარიამ, – როგორც ჩვენი მასპინძელი ბრძანებს, ჩემი მეორე «ცრუ» პიროვნება უეჭველად ქალია. თქვენ შემთხვევით ჰეტეროსექსუალი შოვინისტი ხომ არ ბრძანდებით?

– არა, რას ბრძანებთ, – ვთქვი, – უბრალოდ, მიკვირს, რა იოლად თანხმდებით, რომ თქვენი მეორე პიროვნება «ცრუა». ამის მართლა გჯერათ?
– საერთოდ არაფრის არ მჯერა, – თქვა მარიამ, – ყველაფერი ტვინის შერყევის გამო მემართება. აქ კი იმიტომ გამომამწყვდიეს, რომ ჩვენი მასპინძელი დისერტაციას წერს.
– ვინ მასპინძელი? – გაოცებით ვკითხე. ამ სიტყვას მეორედ ამბობდა.
– ტიმურ ტიმუროვიჩი, – მიპასუხა მარიამ, – განყოფილების გამგე. სწორედ «ცრუ» პიროვნების შესწავლითაა დაკავებული.
– მთლად ეგრე არაა, – ჩაერია ვოლოდინი, – თემას, რომელსაც ამუშავებს, ეწოდება «ცრუ პიროვნების გაორება». ამასთანავე, თუკი მარიას შემთხვევა საკმაოდ უბრალო და მარტივია, და საერთოდაც, ამას ცრუ პიროვნების გაორებას ძნელად თუ უწოდებს, სამაგიეროდ, თქვენ, პიოტრ, მისთვის ყველაზე ძვირფასი ექსპონატი ხართ. იმიტომ, რომ თქვენი ცრუ პიროვნება ისე დეტალურადაა განვითარებული, რომ ნამდვილი პიროვნება ლამის ბოლომდე გადაწონოს და გამოდევნოს. თან რა გაორებაა?! ერთი სიამოვნებაა!
– არც ეგრეა საქმე, – როგორც იქნა, ხმა ამოიღო სერდიუკმა, – პიოტრის შემთხვევა არცთუ მაგდენად რთულია. სტრუქტურის თვალსაზრისით მარიასგან თითქმის არ განსხვავდება. იქაც და აქაც გაიგივებაა, მარიასი – სახელთან, პიოტრისა კი – გვართან, ოღონდაც პიოტრს უფრო ძლიერი გამოდევნა აქვს. თავის გვარი არც კი ახსოვს. ფანერნი თუ რაღაცა ვარო, აუჩემებია.
– და რა გვარი ვარ? – ვიკითხე შეშფოთებულმა.
– თქვენი გვარია პუსტოტა, – მიპასუხა ვოლოდინმა, – თქვენი შეშლილობაც იმას უკავშირდება, რომ თქვენივე

პიროვნების არსებობას უარყოფთ, რადგან თავიდან ბოლომდე გამოგონილით ჩაგინაცვლებიათ.
– თუმცა სტრუქტურულად რთული შემთხვევა არ არის, – დაუმატა სერდიუკმა.
გავღიზიანდი, ეს უგვანი ფსიქოპათი ჩემს შემთხვევას რთულის კლასიფიკაციას რომ არ ანიჭებდა, ცოტა არ იყოს, მწყინდა.
– ბატონებო, რა ექიმებივით ლაპარაკობთ, – ვთქვი, – თქვენი ასეთი მსჯელობა, ცოტა არ იყოს, შეუსაბამობა ხომ არ არის?
– რა შეუსაბამობა?
– ყველაფერი სწორი იქნებოდა, – ვთქვი, – თეთრი ხალათები რომ გცმოდათ. თუ ასეთი ჭკვიანები ბრძანდებით, ამ აბაზანებში რაღას წევხართ?
ვოლოდინი ერთხანს უხმოდ მომჩერებოდა.
– მე უბედური შემთხვევის მსხვერპლი ვარ.
სერდიუკი და მარია ხმამაღლა ახითხითდნენ.
– რაც შემეხება მე, – თქვა სერდიუკმა, – საერთოდ არანაირი ცრუ პიროვნება არ გამაჩნია. ალკოჰოლიზმის ფონზე ჩვეულებრივი სუიციდის მცდელობა მქონდა. აქ კი იმიტომ გამომკეტეს, რომ დისერტაციისთვის თქვენ სამნი საკმარისი არ ხართ. მოკლედ, აქ სტატისტიკის გამო ვარ.
– დაიცა, დაიცა, – თქვა მარიამ, – ახლა გაროტაზე შენი გამოტეხის დროა. აბა, ერთი ჩამოყაჭე, რა ალკოჰოლური სუიციდიო.
ამასობაში საფუძვლიანად გავითოშე, თან ვერ გამეგო, ნემსის გამოისობით, რომელსაც, ვოლოდინის თქმით, ყოფიერება ჯოჯოხეთად უნდა ექცია, თუ მართლა ძალიან ცივ წყალში ვიწექი. მადლობა ღმერთს, კარი გაიღო და ორი თეთრხალათიანი კაცი შემოვიდა. გამახსენდა, რომ ერთი გვარად ჟერბუნოვი იყო, მეორე კი ბარბოლინი. ჟერბუნოვს დიდი ქვიშის საათი

მოჰქონდა, ბარბოლინს კი თეთრეულის ზვინი.
– აბა, ამოვძვრეთ! – მხიარულად დასძახა ჟერბუნოვმა და ქვიშის საათი დაგვანახვა. დიდი ხაოიანი პირსახოცებით რიგრიგობით გაგვამშრალეს და ერთნაირი ზოლიანი პიჟამების ჩაცმაში დაგვეხმარნენ, რამაც სიტუაციას რაღაც სამხედრო-საზღვაო ელფერი შესძინა. მერე გარეთ გაგვიყვანეს და გრძელ კორიდორს გავუდექით. აქაურობა მეცნო, უფრო სწორად, აქ დატრიალებული გაურკვეველი სამედიცინო არომატი მეცნაურა.
– მითხარით, – ჩუმად მივმართე გზად ჩემს კვალში ჩამდგარ ჟერბუნოვს, – აქ რატომ ვარ?
გაოცებულს თვალები დაუმრგვალდა.
– ვითომ არ იცის, – თქვა.
– არ ვიცი, – ვთქვი, – ლამისაა ვიფიქრო, ავად ვარ-მეთქი, მაგრამ რისგან? დიდი ხანია, აქ ვარ? და კონკრეტულად რაში მედება ბრალი?
– ეგ ყველაფერი ტიმურ ტიმუროვიჩს უნდა ჰკითხოთ, – თქვა ჟერბუნოვმა, – სალაყბოდ არ გვცალია. საშინლად დავითრგუნე. თეთრ კართან შევჩერდით, ზედ რომ «7» ეწერა. ბარბოლინმა გასაღები მოარგო და შიგ შეგვიშვა. დიდ, ოთხსაწოლიან ოთახში აღმოვჩნდით. კედელთან მიდგმულ საწოლებზე ლოგინები გაეშალათ, გისოსებიან ფანჯარასთან მაგიდა იდგა, იქვე კი – ხელ-ფეხის დასამაგრებელი ელასტიკური ღვედებით აღჭურვილი ტახტი თუ დაბალი სავარძელი. ამ მარყუჟების მიუხედავად, ეს დგამი არცთუ შემაშინებლად გამოიყურებოდა, ხაზგასმით სამედიცინო იერი ჰქონდა და საკმაოდ სულელური სახელიც კი მოვუფიქრე – «ურولოგიური სავარძელი».
– მაპატიეთ, – მივმართე ვოლოდინს, – რას ნიშნავს თქვენ მიერ წარმოთქმული სიტყვა «გაროტა»?
ვოლოდინმა შემომხედა და კარისკენ მანიშნა.

შევტრიალდი. იქ ტიმურ ტიმუროვიჩი იდგა.
– გაროტა? – წარბები აზიდა მან, – გაროტა, თუ არ ვცდები, სავარძელს ჰქვია, რომელშიც შუა საუკუნეების ესპანეთში სიკვდილმისჯილებს ახრჩობდნენ. ხომ ასეა? რეალობის რაოდენ პირქუში, დამთრგუნველი აღქმაა! თუმცა, თქვენ ხომ, პიოტრ, ამ დილით ინიექცია გაგიკეთეს, ასე რომ, გასაკვირიც არაფერია, მაგრამ თქვენ, ვლადიმირ? თქვენი გამკვირვებია.
ლაპარაკ-ლაპარაკში ტიმურ ტიმუროვიჩმა ჟერბუნოვს და ბარბოლინს ხელით ანიშნა, დაგვტოვეთო, თვითონ კი ოთახის სიღრმეში შემოიწია.
– ეს გაროტა სულაც არ არის, – თქვა, – ეს ჩვენი ჯგუფური თერაპიის ჩვეულებრივი ტახტია. თქვენ, პიოტრ, როცა იზოლატორიდან დაგვიბრუნდით, ერთ ასეთ სეანსს უკვე მაშინვე დაესწარით, მაგრამ იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყავით, რომ საეჭვოა, რამე გახსოვდეთ.
– რატომ? – ვთქვი, – რაღაც-რაღაცები მახსოვს.
– მით უკეთესი. ორი სიტყვით აგიხსნით, თუ რა ხდება. ჩემ მიერ დამუშავებულ მეთოდს შეგვიძლია პირობითად ტურბოიუნგიანური ვუწოდოთ. იუნგის შეხედულებებს, იმედია, იცნობთ.
– უკაცრავად, ვისას?
– კარლ გუსტავ იუნგის. კეთილი, ვხედავ, რომ თქვენი ფსიქიკური აქტივობა ცრუ პიროვნების მხრივ მძლავრი ცენზურის ქვეშაა მოქცეული. ხოლო ვინაიდან ეგ თქვენი ცრუ პიროვნება ათას ცხრაას თვრამეტ თუ ცხრამეტ წლებშია განთავსებული, გასაკვირი არაა, რომ არ გახსოვდეთ, თუმცა ეგებ იუნგის სახელი საერთოდაც არ გსმენიათ?
მხრები ღირსების დაუკარგავად ავიჩეჩე.
– მარტივად გიხსნით, რომ იყო ერთი ფსიქიატრი, გვარად იუნგი. მისი თერაპიული მეთოდი უბრალო

პრინციპს ეყრდნობოდა. ის ცდილობდა, პაციენტის ცნობიერების ზედაპირზე თავისუფლად ამოეზიდა სიმბოლოები, რომელთა მიხედვითაც დიაგნოზის დასმას შეძლებდა. ცხადია, სათანადო გაშიფვრის შემდეგ.
აქ ტიმურ ტიმუროვიჩმა ეშმაკურად ჩაიღიმა.
– ჩემი მეთოდი კი ოდნავ სხვაა, – თქვა, – თუმცა საფუძველი იგივეა. გესმით, იუნგს სადმე შვეიცარიაში უნდა წაეყვანეთ, მთის სანატორიუმში, შეზლონგში უნდა ჩაეწვინეთ, თქვენთან თვეობით უნდა ესაუბრა და კაცმა არ იცის, რამდენი უნდა ეცადა, სანამ სიმბოლოები ზედაპირისკენ დაიძვროდნენ. შენ კი შეზლონგის ნაცვლად ამაში ჩაგაბრძანებთ, – ტიმურ ტიმუროვიჩმა ხელი ხედებიანი ტახტისკენ გაიწოდა, – მერე ერთ პატარა ნემსს გიჩხვლეტთ და სიმბოლოებსაც ხელად ვნახავთ, რადგან მყისვე უდიდესი ოდენობით ამოტივტივდებიან. ამის მერე მათი გაშიფვრა და თქვენი განკურნება ჩვენზეა. გასაგებია?
– მეტ-ნაკლებად, – ვთქვი, – მაინც როგორ უნდა გაშიფროთ?
– ამას თქვენ თვითონ ნახავთ, პიოტრ, თქვენ თვითონ. სეანსები ჩვენთან პარასკეობითაა, ასე რომ, სამ... არა, ოთხ კვირაში თქვენი რიგი დადგება. სხვათა შორის, მინდა გითხრათ, ამას მოუთმენლად ველი – თქვენთან მუშაობა ძალიან საინტერესოა, ძალიან. თუმცა ეს ყოველ თქვენგანს ეხება, მეგობრებო.
ტიმურ ტიმუროვიჩმა გაიღიმა და ოთახი ლაღი სიყვარულით აღავსო, მერე თავი დაგვიკრა და მარჯვენა ხელით თავის თავს მარცხენა ხელი ჩამოართვა.
– ახლა კი მეცადინეობის დროა, – თქვა.
– რა მეცადინეობის? – ვკითხე.
– როგორ თუ რა მეცადინეობის?! – საათს დახედა, – უკვე ორის ნახევარია. სამკურნალო-ესთეტიკური

პრაქტიკუმის დროა.
თუ არ ჩავთვლით, ამ სამკურნალო-ესთეტიკურ პრაქტიკუმზე უფრო საძაგელი და მომაბეზრებელი ცხოვრებაში არაფერი მინახავს, თუმცა ეგებ ესეც ნემსის ბრალი იყო. პრაქტიკუმი ჩვენი პალატის მეზობლად მდებარე დიდ, ნახევრად ბნელ ოთახში გაიმართა. კუთხეში მდგარი მაგიდა ფერადი პლასტილინის ნაჭრებით აევსოთ, იქვე ეყარა თიხის ცხენების მახინჯი ფიგურები, დაახლოებით ისეთები, ძერწვის ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები რომ ქმნიან ხოლმე, აგრეთვე ქაღალდის გემები, დამტვრეული თოჯინები და ბურთები. ამ ხარახურის ცენტრში არისტოტელეს მოზრდილი თაბაშირის ბიუსტი აღმართულიყო, მოპირდაპირე მხარეს კი ყავისფერ მუშამბაგადაკრულ სკამებზე ჩვენ ვისხედით, მუხლებზე პლანშეტები გველაგა. ესთეტიკური თერაპიის არსი ის გახლდათ, რომ ამ ბიუსტს პლანშეტზე მიბმული, თანაც უსაფრთხოებისთვის რბილ რეზინში გახვეული ფანქრებით გვახატვინებდნენ.
ვოლოდინს და სერდიუკს კვლავაც თავიანთი ზოლიანი პიჟამები ეცვათ, მარიას კი ქურთუკი გამოეცვალა და ჭიპამდე ჩახსნილი მაისური მოერგო. ეტყობოდათ, პროცედურა სამივეს შეეთვისებინა და ფანქრებს მუყაოზე მოთმინებით დაატარებდნენ. ყოველი შემთხვევისთვის დაუდევრად მოვხაზე ნაჩქარევი ჩანახატი და ირგვლივ მიმოვიხედე. ჩანს, ნემსი მოქმედებას განაგრძობდა – აქაც იგივე მემართებოდა, რაც სააბაზანოში. რეალობას სრულყოფილად ვერ აღვიქვამდი, გარემომცველი სამყაროს შემადგენელი ელემენტები მხოლოდ მაშინ აღმოცენდებოდა ხოლმე, როდესაც თვალს მივაპყრობდი და მზარდი თავბრუსხვევის მსგავსი განცდა მაფიქრებინებდა, ამ საგნებს ჩემი მზერა წარმოქმნის-მეთქი. უცებ შევნიშნე,

რომ ოთახის კედლები მომცრო ფურცლებზე დახატული ნამუშევრებით იყო მოფენილი. მათ შორის ერთობ საინტერესო ნაწარმოებებსაც იპოვიდა კაცი. მათი ერთი ნაწილი აშკარად მარიას ხელიდან უნდა ყოფილიყო გამოსული: გაუბედავი, ბავშვური ნაჯღაბნი, რომელიც სხვადასხვა ვარიაციით აეროპლანის თემას ასახავდა თავის ვეება ფალიკური შვერილიანად. ზოგ ვარიანტში თვითმფრინავი კუდზე გახლდათ შემდგარი, რის გამოც გამოსახულებაში საკმაოდ მკრეხელური ქრისტიანული ობერტონები ჟღერდა. მთლიანობაში მარიას ნახატები უღიმღამო ჩანდა. სამაგიეროდ, სხვა ციკლი უაღრესად საინტერესოდ მივიჩნიე და მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ავტორი უეჭველ მხატვრულ ტალანტს ამჟღავნებდა. ამ ნახატებს იაპონური თემატიკა აერთიანებდა, ოღონდაც ერთობ უცნაურად, უთანაბროდ – ნახატების უმრავლესობა – შვიდი-რვა ცალი, თითქოს საქვეყნოდ ცნობილ გამოსახულებათა გადმოცემას ცდილობდა: წელსქვემოთ უხამსად ჩახდილი ორხმლიანი სამურაი, კისერზე ქვა რომ გამოუბამს და უფსკრულის პირას დამდგარა. ორ-სამ სურათზე დასასვენებლად ჩამოქვეითებული მხედრები ეხატა მთების ფონზე. ავტორს მთები ტრადიციულ იაპონურ სტილში შეუდარებელი ოსტატობით გამოესახა. ცხენები ხეებზე მიებათ, ხოლო მხედრები, რომლებიც გზას ეშურებოდნენ, ახლა ბალახებზე დამსხდარიყვნენ და ლამბაქებიდან რაღაც სასმელს შეექცეოდნენ. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ეროტიკულ თემაზე შესრულებულმა ნახატმა მომგვარა – დაბნედილი მამაკაცი მომცრო ცისფერი ქუდით და მის ქვეშ გაწოლილი ქალი ფართოყვრიმალებიანი სლავური სახით. ამ სახეში რაღაც საშინელება ამოვიკითხე.
– მომიტევეთ, ბატონებო, – ვეღარ შევიკავე თავი, – ეს იაპონური თემატიკის ნამუშევრები ვისია?

– სემიონ, – ჰკითხა ვოლოდინმა, – ვისია შენი ნახატები? ალბათ საავადმყოფოსია.
– ეს თქვენ დახატეთ, ბატონო სერდიუკ?
– დიახ, – მიპასუხა სერდიუკმა და კაშკაშა ცისფერი თვალები შემომანათა.
– დიდებულია, – ვთქვი, – ოღონდაც, ცოტა არ იყოს, პირქუშია.
პასუხი არ გამცა.
ნახატების მესამე სერია – ცხადია, ვოლოდინის ნამუშევრები, უსიუჟეტოდ, იმპრესიონისტულ სტილში გახლდათ შესრულებული. ერთგვარ გამჭოლ თემას აქაც ამოიკითხავდით – რაღაც სამი გადღაბნილი მუქი სილუეტი ცეცხლსა თუ აფეთქებას გარს შემორტყმოდა, ზემოდან კი ნათლის სვეტი დაშვებულიყო. კომპოზიციურად კოცონის ირგვლივ მსხდომ ცნობილ სამ მონადირეს მიაგავდა, ოღონდაც თითქოს ეს წუთია, ფუგასურ ბომბზე აფეთქებულანო.
ახლა მეორე კედელს შევხედე და შევკრთი. ეს გახლდათ ჩემს ცხოვრებაში deja vu-ს ყველაზე მძაფრი შემთხვევა. რა წამსაც პაწია ფერადი ფიგურებით ერთიანად აჭრელებულ ორმეტრიან მუყაოს ნაჭერს შევხედე, მყისვე ჩემსა და ამ უცნაურ ობიექტს შორის მჭიდრო კავშირი შევიგრძენი. სკამიდან წამოვდექი და მივუახლოვდი. პირველად მუყაოს ზევითა ნაწილს ავხედე, საბრძოლო გეგმას მიაგავდა, ისტორიის სახელმძღვანელოებში რომ ხატავენ, იმდაგვარს. გეგმის ცენტრში ლურჯად დაშტრიხული ოვალი მოჩანდა, მსხვილი წარწერით – «შიზოფრენია». ოვალისკენ სამი განიერი წითელი ისარი მიემართებოდა – ერთი ზედ ეჯინებოდა, დანარჩენი ორი კი ფლანგებიდან ერტყმოდა რკალებად. ისრებზე «ინსულინი» და «სულფაზინი» ეწერა, ოვალიდან დაბლა დაშვებულ ლურჯ ისარზე კი «ავადმყოფობა უკან იხევს».

ეს გეგმა რომ შევისწავლე, მერე ნახატის ქვედა ნაწილებსაც ჩავხედე. უამრავი პერსონაჟით, დეტალების სიუხვითა და გამოსახულების სირთულით ტოლსტოის რომან «ომისა და მშვიდობის» ილუსტრაციას ჰგავდა – იმგვარ ილუსტრაციას ვგულისხმობ, ზედ რომ ყველა გმირი და მთელი სიუჟეტი დატეულიყო. თანაც ერთობ ბავშვური ნახატი გახლდათ, რადგანაც სწორედ ბავშვებს სჩვევიათ აზროვნებისა და პერსპექტივის კანონების ასე ბუნებრივად დარღვევა. მუყაოს მარჯვენა ნაწილი დიდი ქალაქის გამოსახულებას ეკავა. ისააკის ტაძრის ხასხასა ყვითელი გუმბათით პეტერბურგი ვიცანი. ქუჩები ზოგან დაწვრილებით ეხატა, ალაგ-ალაგ კი უბრალო ხაზებით აღენიშნათ, როგორც გეგმაზე, იქვე მოჩანდა ნაირგვარი ისრები და პუნქტირები, რაც, როგორც ჩანს, ვიღაცის ცხოვრების ტრაექტორიას ასახავდა. პეტერბურგიდან პუნქტირის კვალს იქვე გამოსახულ ასეთივე სავარაუდო მოსკოვისკენ მივყავდით. იქ ხაზგასმით მხოლოდ ორი ადგილი გამოერჩიათ – ტვერის ბულვარი და იაროსლავლის ვაგზალი. სადგურიდან რელსების ორმაგი წვრილი ძაფი ფურცლის ცენტრისკენ მიემართებოდა, ფართოვდებოდა, იზრდებოდა, მოცულობით ფორმას იძენდა და პერსპექტივის წესების დაცვით შესრულებულ ნახატად გარდაიქმნებოდა. რელსები ხასხასა თავთუხისფერი ხორბლის ყანებით დაფარული ჰორიზონტისკენ მიექანებოდნენ და ზედ ორთქლის ბოლქვებში გახვეული მატარებელი ეხატა. დაწვრილებით. ორთქლმავალი რამდენიმე პირდაპირ მოხვედრილ ყუმბარას შემოეტრიალებინა, მისი კასრისმაგვარი სხეულის ხვრელებიდან კვამლის მძიმე ბუღი გამოდიოდა, კაბინიდან კი მკვდარი მემანქანე გადმოკიდებულიყო. ორთქლმავლის უკან ბაქანი ჩანდა,

ზედ ჯავშნოსანი მანქანა იდგა (ო, ვერც კი გეტყვით, მის დანახვაზე გული რარიგ ამიჩქროლდა), ტყვიამფრქვევის კოშკურა ხორბლის ყვითელ ტალღებს დამიზნებოდა, ლუკი ახდილიყო და იქიდან მოკლედ თმაშეკრეჭილ ანას ამოეყო თავი. ტყვიამფრქვევის ნეკნებიანმა ხორთუმმა ყანის მხარეს ცეცხლი გამოაფრქვია, სწორედ იქით, საითაც ბაქანზე ჯავშნოსნის გვერდით მდგომი ჩაპაევის ხმალმა მიანიშნა. ჩაპაევს წოწოლა ფაფახი ეხურა და რაღაც გაბანჯგვლული შავი ლაბადა ეცვა, ყელთან შეკრული და ტერფებამდე დაშვებული. ერთობ თეატრალურ პოზაში იდგა.
ნახატზე მატარებელს რკინიგზის სადგურამდე მისასვლელად მხოლოდ რამდენიმე მეტრი აკლდა. სადგურის დიდი ნაწილი ფურცლის მიღმა დარჩენილიყო, ბაქნის მესერიღა ჩანდა და წარწერა: «სადგური ლოზოვაია».
სურათზე მტრის მოძებნა ვცადე, რომელსაც თავისი კოშკურიდან ანა ტყვიას უშენდა, მაგრამ მარტო ძალიან მიახლოებით მოხაზული, ხორბლის მაღალ ყანაში მხრებამდე ჩამალული სილუეტი შევნიშნე. შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ნახატის ავტორს რიგიანად წარმოდგენილიც კი არ ჰქონდა, თუ ვის წინააღმდეგ იყო მიმართული საბრძოლო მოქმედებები, ან რატომ. რაც შეეხება თვით ავტორს, სამწუხაროდ, სავარაუდო აღარაფერი გახლდათ. სურათის ქვეშ მსხვილად ეწერა:
ბრძოლა სადგურ ლოზოვაიასთან
იქვე კი განსხვავებული კალიგრაფიით:
ჩაპაევი ლაბადაში, პეტკა გიჟის პალატაში
იქ მყოფთ მკვეთრად მივუტრიალდი:
– ყური მიგდეთ, ბატონებო, არ გეჩვენებათ, რომ ამ თქვენი საქციელით წესიერების საზღვრებს

გადასცდით, ჰა? მეც რომ ასე მოგქცეოდით, მაშინ რას იტყოდით?!
ვოლოდინმა და სერდიუკმა თვალი ამარიდეს. მარიამ საერთოდაც ისე დაიჭირა თავი, თითქოს ჩემი სიტყვები არც კი გაუგონიაო. ერთხანს ვუცქირე, თან ვმარჩიელობდით, ნეტა ეს სისაძაგლე რომელმა ჩაიდინა-მეთქი, მაგრამ ვერც ერთს ვერაფერი შევატყვე. მართალი გითხრათ, ამას ძალიანაც არ შევუწუხებივარ, უფრო მოსაჩვენებლად გავუბრაზდი. ძირითადად სურათი მაინტერესებდა. ერთი შეხედვით, რაღაც დაუსრულებლობის განცდა შემომიჩნდა. ისევ მუყაოს გავხედე და ერთხანს ვცდილობდი, დამედგინა, ნეტა რა მაწუხებს-მეთქი. ვარაუდით ბრძოლის სქემასა და მატარებელს შორის მდებარე მონაკვეთს დავადგი თვალი – მოზრდილ მონაკვეთზე არაფერი არ ეხატა, რაც ერთგვარ შემსრუტავ სიცარიელეს ქმნიდა. მაგიდასთან მივედი, იქ მიყრილ ხარახურაში სანგინის ნაჭერსა და ნახშირის თითქმის ხელუხლებელ ფანქარს მივაგენი. ნახევარი საათის განმავლობაში აფეთქებული შრაპნელის ლაქებით ვავსებდი ცას თავთავების თავზე. სულ ერთნაირ შავ ლაქებს ვხატავდი – ნახშირით მოხაზული ღრუბლის ფონზე ჭურვების აქეთ-იქით გაფრენილ ნამსხვრევებს, სანგინის გრძელ კვალს რომ ტოვებდნენ. შედეგად ვან გოგის ერთი ცნობილი ტილოს მსგავსი რამ გამოვიდა, ოღონდ იმ ტილოს სახელწოდებას ვერ ვიხსენებდი, აი, პურის ყანას უხეშად და სქლად მოხაზული ასო «v»-ს მსგავსი უამრავი ყორანი რომ დასტრიალებს თავს. ამქვეყნად მხატვრის ბედი რა უსასოოა-მეთქი, გავიფიქრე. ამ აზრმა თავდაპირველად ერთგვარი მწარე სიტკბო მაგრძნობინა, მაგრამ იქვე აუტანელი სიყალბეც მოაყოლა. არა მხოლოდ მისი ბანალურობის, არამედ კიდევ რაღაც კორპორაციული უსინდისობის გამოც:

ყველა ხელოვანი ერთთავად ამაზე ლაპარაკობს და ამით საკუთარ თავს ეგზისტენციალურად განსაკუთრებულ კასტის წევრად წარმოაჩენს. მერედა, რატომ? განა, ვთქვათ, მეტყვიამფრქვევე ქალის, ანდა სანიტრის ბედი სხვაგვარია? ან იქნებ მათში ნაკლები მტანჯველი აბსურდი ტრიალებს? ან საერთოდაც რა კავშირშია ერთმანეთთან არსებობის უსაშველო ტრაგედია და ადამიანის საქმიანობა?
ჩემს მეზობლებს მივუბრუნდი. სერდიუკი და მარია არისტოტელეს ბიუსტს ჩაღრმავებოდნენ (მარიას დაძაბულობისგან ენის წვერიც კი გამოეყო), ხოლო ვოლოდინი ჩემ მიერ ნახატში შეტანილ ცვლილებებს ყურადღებით აკვირდებოდა. ჩემი მზერა რომ შეამჩნია, მორიდებით გამიღიმა.
– ვოლოდინ, – დავიწყე მე, – შეიძლება, ერთი რამ გკითხოთ?
– პატივი დამდეთ.
– რა პროფესიისა ბრძანდებით?
– მეწარმე გახლავართ, – თქვა ვოლოდინმა, – ახლებურად «ნოვო რუსი». ყოველ შემთხვევაში, ადრე ეს გახლდით. რატომ მკითხეთ?
– იცით, რა ვიფიქრე... აი, ამბობენ, მხატვრის ტრაგედია, მხატვრის ტრაგედიაო. და რატომ ვითომ მხატვრის? რა ნამუსია? გესმით, რაშია საქმე? მხატვრები ასე თუ ისე გამოჩენილი ხალხია, ამიტომაც მათი უბედურება ყველამ უნდა შეიტყოს და საყოველთაო განხილვის საგნად იქცეს. მაგრამ, აბა, ვის გაახსენდება ვიღაც... არა, მეწარმეც შეიძლება გაახსენდეთ... დავუშვათ, ვინმე მატარებლის მემანქანე? რა ტრაგიკული ცხოვრებაც არ უნდა ჰქონდეს?!
– საკითხს სწორი მხრიდან არ უდგებით, პიოტრ, – მითხრა ვოლოდინმა.
– ანუ?

– ცნებებს ერთმანეთში ურევთ. ტრაგედია მხატვარს და მატარებლის მემანქანეს კი არ ატყდება თავს, არამედ ტრაგედია მხატვრისა და მატარებლის მემანქანის თავში ხდება.
– მაპატიეთ?
– გაპატიებთ, გაპატიებთ, – ჩაიბუტბუტა ვოლოდინმა და თავის პლანშეტზე დაიხარა.
რამდენიმე წუთის განმავლობაში მისი ნათქვამი ვერ გავიაზრე, მერე კი მივხვდი, რაც მითხრა, მაგრამ ნემსით გამოწვეული მოთენთილობის გამო ამ მიხვედრას ჩემს არსებაში არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია.
ჩემს მუყაოს მივუბრუნდი, ზედ ყანის თავზე გაუმჭვირვალე კვამლის რამდენიმე სვეტი დავხატე, რასაც მთელი ნახშირი მივახარჯე და რამაც შრაპნელთა აფეთქების ამსახველ ლაქებთან შეხამებით სურათს ერთგვარი უსასოობის განცდა შესძინა. თავი ცუდად ვიგრძენი და ამიტომ ჰორიზონტზე საგულდაგულოდ მხედართა პაწია ფიგურები ჩამოვამწკრივე, რომლებიც მტერს ჭენებით უჭრიდნენ გზას.
– თქვენში ბატალისტი სახლობს, – შენიშნა ვოლოდინმა, რომელიც დროდადრო თავის პლანშეტს სწყდებოდა, რათა ჩემი მუყაოსთვის შეევლო თვალი.
– ამას ვინ მეუბნება?! – მივუგე, – ეს თქვენ არა ხართ, გაუთავებლად აფეთქებულ კოცონს რომ ხატავთ?
– აფეთქებულ კოცონს?
კედელზე ვანიშნე, მისსავე ნახატებზე.
– თქვენ თუ ეს აფეთქებული კოცონი გგონიათ, მაშინ მე სათქმელი აღარაფერი მაქვს, – მიპასუხა ვოლოდინმა, – მართლა აღარაფერი.
– აბა, რა არის?
– ეს ზეციური ნათლის გარდამოსვლაა, – მიპასუხა, – ვერ ხედავთ, რომ ზემოდან გადმოდის? ეს ხომ სპეციალურად მაქვს ხაზგასმული.

გონებაში რამდენიმე თანმიმდევრულმა დასკვნამ ჩამიქროლა.
– თუ სწორად მივხვდი, აქ სწორედ ამ ციური ნათლის გამო მკურნალობთ?
– სავსებით სწორი მიხვედრაა, – თქვა ვოლოდინმა.
– არ მიკვირს, – თავაზიანად მივუგე, – იმთავითვე ვიგუმანე, რომ არაჩვეულებრივი ადამიანი ბრძანდებით. მაინც რას გაბრალებენ? იმას, რომ ეს ნათელი იხილეთ? თუ იმას, რომ ეცადეთ, მის შესახებ სხვებისთვის გეამბნათ?
– იმას, რომ მე თავად ვარ ეს ნათელი, – თქვა ვოლოდინმა, – რაც ასეთ შემთხვევებში სავსებით ჩვეულებრივი ამბავია.
– იმედია, მეხუმრებით, – ვთქვი, – მე სერიოზულად გეკითხებით?
ვოლოდინმა მხრები აიჩეჩა.
– ორი თქვენი ხნის ასისტენტი მყავდა, – მიპასუხა, – ასე ვთქვათ, ერთგვარი რეალობის ასენიზატორები. ჩვენს დროში ბიზნესი ამის გარეშე არ კეთდება. აქ სწორედ ისინი არიან გამოსახულნი – ხედავთ ამ ორ ჩრდილს? ჰო. მოკლედ, წესად გავიხადე, მათთან მაღალ მატერიებზე მელაპარაკა. ჰოდა, ერთხელაც ისე მოხდა, რომ ტყეში წავედი და იქ ვაჩვენე... არც კი ვიცი, როგორ აგიხსნათ... რაც არის და როგორც არის. მე კი არ ვაჩვენე – თვითონ დაინახეს. აქ სწორედ ეს მომენტია დახატული. ამან იმ საცოდავებზე ისე იმოქმედა, რომ ერთ კვირაში ჩამიშვეს. თანაც ამ იდიოტებს, თითოეულს სულ ცოტა ათი-ათი სული ჰყავდათ დაბრედილი, მაგრამ მიიჩნიეს, რომ ეს იმასთან რა მოსატანია, რა ცნობებსაც ჩვენ მივაწვდითო. ასეთი დამპალი ინსტინქტები ამოძრავებს ადამიანებს, მერწმუნეთ.
– მართალი ბრძანებაა, – დავეთანხმე და ჩემს საფიქრალს ჩავუღრმავდი.

* * *

სადილად ბარბოლინმა პატარა სასადილოში წაგვიყვანა, რომელიც ცოტათი იმ სააბაზანოს ჰგავდა, ოღონდაც აბაზანების ნაცვლად აქ პლასტიკატის ერთნაირი მაგიდები იდგა და კედელში საჭმლის მოსაწოდებელი სარკმელი იყო გამოჭრილი. მხოლოდ ერთი მაგიდა იყო გაწყობილი. საჭმელს ხმის ამოუღებლად შევექცეოდით. სუპი რომ შევხვრიპე და ფაფაზე გადავედი, უეცრად შევამჩნიე, რომ ვოლოდინს თეფში განზე გაუდგამს და ჯიქურ შემომცქერის. თავდაპირველად ვეცადე, ყურადღება არ მიმექცია, მაგრამ ვეღარ მოვითმინე, თვალი გავუსწორე და მეც მივაშტერდი. მშვიდობიანად გამიღიმა, აქაოდა, ცუდი თვალით არ გიცქერიო, და მითხრა:

– იცით, პიოტრ, მეჩვენება, თითქოს ოდესღაც ერთმანეთს ერთოშ მნიშვნელოვან ვითარებაში შევხვედრივართ.

მე მხრები ავიჩეჩე.

– ვინმე ისეთს ხომ არ იცნობთ, წითელი სახე, სამი თვალი და თავის ქალების ყელსაბამი ჰქონდეს? – მკითხა, – კოცონთა შორის რომ ცეკვავდეს? ჰა? მაღალ-მაღალს? მოღუნულ ხმლებს იქნევს ხოლმე აქეთ-იქით?

– ეგებ ვიცნობ კიდეც, – ზრდილობიანად ვუპასუხე, – ოღონდაც ვერ ვხვდები, ვისზე მეუბნებით. ძალიან ზოგადად ახასიათებთ. ეგეთი შეიძლება, ვინც გინდა, ის აღმოჩნდეს.

– გასაგებია, – თქვა ვოლოდინმა და თავის თეფშს ჩახედა.

ხელი ჩაიდნისკენ გავიწოდე, მინდოდა დამესხა, მაგრამ მარიამ თავი გააქნია.

– არ გირჩევთ, – მითხრა ჩუმად, – ბრომია. ბუნებრივ სექსუალობას ანადგურებს.

უნდა ითქვას, ვოლოდინი და სერდიუკი ამ ჩაის

გემრიელად ხვრეპდნენ.
ნასადილევს პალატაში დავბრუნდით და ბარბოლინმა მაშინვე დაგვტოვა. სამივე ჩემი მეზობელი, ჩანს, მიჩვეული იყო აქაურ რეჟიმს. დაწვნენ და დაიძინეს. მეც გავიშხლართე და დიდხანს ვიყურებოდი ჭერში, უაზროდ ყოფნის ჩემთვის იმ უჩვეულო მდგომარეობით ვტკბებოდი, რომელიც, სავარაუდოდ, დილანდელი ინიექციის შედეგი უნდა ყოფილიყო.
ერთიცაა, მთლად უაზროს ვერ ვუწოდებდი, თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ, მართალია, არაფერს არ ვფიქრობდი, მაგრამ გარე გამღიზიანებლებზე ურეფლექსოდ მაინც ვრეაგირებდი, თანაც რაკიღა ჩემს თავში წარმოქმნილ სრულ უაზრობას ვაფიქსირებდი, მაინც ფიქრად უნდა ჩაითვალოს, რომ ვფიქრობდი, აი, ახლა სულ არაფერს არ ვფიქრობ-მეთქი.
გამოდიოდა, რომ სრული უაზრობა შეუძლებელია, რადგან ვერანაირად ვერ ფიქსირდება. შეიძლება ითქვას, იგი არყოფნის ტოლფასია.
ეს განსაცვიფრებელი მდგომარეობა სრულებით არ ჰგავდა გონების შინაგან, ყოფით, რუტინულ ფეთქვას. სხვათა შორის, მუდამ მიკვირდა იმ ხალხის, ვინც საკუთარ ფსიქიკურ პროცესებს არ უღრმავდება. ასეთებს დიდხანს შეუძლიათ ყოფნა გარე გამღიზიანებელთაგან იზოლირებულად, ყოველგვარი რეალური მოთხოვნილებების გარეშე, მერე კი უეცრად და სრულიად უმიზეზოდ თვითნებური ფსიქიკური პროცესი აღეძვრებათ და რეალურ სამყაროში ყოვლად მოულოდნელ საქციელს ჩაიდენენ. გარეშე თვალისთვის ეს ძნელი დასანახია: წამოწოლილა კაცი თავისთვის მხარ-თეძოზე ერთი საათი, მეორე, მესამე, მერე უცებ წამოხტება, ფეხებს ჩუსტებში გაუყრის და მხოლოდ იმიტომ გაექანება გაურკვეველი მიმართულებით, რომ მისი ფიქრი ყოვლად გაუგებარ

მიზეზთა გამო რომელიღაც თვითნებურ გეზს ირჩევს. არადა, უმრავლესობა სწორედ ასეთია და სწორედ ეს მთვარეულები განაგებენ ჩვენი სამყაროს ბედ-იღბალს. ჩემი საწოლის ირგვლივ ოთხივ კუთხით განფენილი ქვეყნიერება სხვადასხვაგვარ ხმებს აევსო. ზოგიერთ მათგანს ვცნობდი – სართულით ზემოთ ჩაქუჩი კაკუნებდა, სადღაც შორს ქარი დარაბას ახეთქებდა, ყვავები ყრანტალებდნენ, – თუმცა ბგერათა უმეტესობის წარმოშობა დაუდგენელი გახლდათ. საოცარია, რა ბევრ რაიმეს ხვდება ადამიანი, როგორც კი წამით დაუცარიელდება გაქვავებული ნაგვით გამოტენილი ცნობიერება! ისიც კი არ ვიცით, თუ საიდან აღწევს ჩვენს სმენას ხმათა უდიდესი ნაწილი. რაღა უნდა ვთქვათ დანარჩენზე, რა აზრი უნდა მოვუნახოთ ჩვენს ბედისწერასა და საქციელს მხოლოდ იმ მცირედზე დაყრდნობით, რაც გვგონია, რომ ვიცით! ეს იგივე იქნებოდა, სხვა პიროვნების შინაგანი ცხოვრების ახსნა ტიმურ ტიმუროვიჩივით სულელური სოციალური გამონაგონით რომ გვეცადა-მეთქი, გავიფიქრე და უცებ ჩემი საქმის სქელტანიანი ტომი გამახსენდა, მაგიდაზე რომ ედო. მერე კიდევ მომაგონდა, რომ ბარბოლინს წასვლისას კარის ჩაკეტვა დაავიწყდა. მყისვე, ნახევარ წამში, გიჟური გეგმა დავისახე. მიმოვიხედე. დასვენების საათის დაწყებიდან სულ რაღაც ოცი წუთი იყო გასული. სამივე მეზობელს ეძინა. ისე ჩანდა, მთელ შენობაში ყველა ძილს წაეღო – მთელი ამ ხნის განმავლობაში პალატასთან ერთ სულიერსაც კი არ გაუჭაჭანია. საბანი ფრთხილად გადავიხადე, ფეხები ჩუსტებში წავყავი, წამოვდექი და ფეხაკრეფით მივაღწიე ჯერ კარს და მერე კორიდორს.

– საით? – წამომეწია ჩურჩული ზურგში.

მოვტრიალდი. კუთხიდან მარიას თვალი ყურადღებით მიმზერდა – თავზე გადახურული საბნის ამბრაზურიდან

იჭყიტებოდა.
– ტუალეტში, – ჩურჩულითვე დავუბრუნე.
– ნუ მიჰქარავ, – დამისისინა, – აგერ ღამის ქოთანი. თუ დაგიჭირეს, ოცდაოთხ საათს იზოლატორში გაატარებ.
– სირცხვილს სიკვდილი მირჩევნია, – სისინითვე დავუბრუნე და დერეფანში გავსხლტი.
იქ არავინ იყო.
გაჭირვებით გავიხსენე, რომ ტიმურ ტიმუროვიჩის კაბინეტი რომელიღაც ნახევრად მრგვალი ფანჯრის სიახლოვეს მდებარეობდა, საიდანაც ვეება ხის კენწერო მოჩანდა. კორიდორი შორს მიდიოდა და მარჯვნივ უხვევდა, იქ კი ლინოლეუმზე დღის სინათლის ნათელი ათინათები დაფენილიყო. ხოხვით მივედი მოსახვევამდე და ფანჯარაც იქ დამხვდა. კაბინეტის კარიც მყის ამოვიცანი – მოოქრული სახელური ჰქონდა. რამდენიმე წამი გასაღების ჭუჭრუტანაზე ყურმიდებულმა გავატარე. კაბინეტიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ბოლოს, როგორც იქნა, კარის შეღება გავბედე. შიგ არავინ იყო. მაგიდაზე რამდენიმე საქაღალდე ეწყო, მაგრამ ჩემი, ყველაზე სქელი (ზუსტად მახსოვდა, როგორიც იყო), თავის ადგილას აღარ იდო. სასოწარკვეთილმა ირგვლივ მიმოვიხედე. პლაკატიდან ის დაჩეხილი ბატონი არაადამიანური ოპტიმიზმით მიცქერდა. ცუდად გავხდი. შევშინდი. რატომღაც ავიკვიატე, საცაა კაბინეტში სანიტრები შემოვლენ-მეთქი. უკვე გასაქცევად ვიყავი მზად, როდესაც უეცრად მაგიდაზე, ფურცლებქვეშ ერთი გახსნილი საქაღალდე შევნიშნე. «წყლის პროცედურებამდე დანიშნული აქვს ტაურეპამის ინიექციების კურსი. მიზანი – სამეტყველო-სამოძრაო ფუნქციების კუპირება ფსიქომოტორული კომპლექსის პარალელურ აქტივაციასთან ერთობლიობით...» კიდევ რამდენიმე ლათინური სიტყვაც ეწერა. ფურცლები განზე გავწიე, მუყაოს ყდა

გადავშალე და ამოვიკითხე: «საქმე: პიოტრ პუსტოტა». ტიმურ ტიმუროვიჩის სავარძელში ჩავეშვი. პირველი ჩანართი ცალკე რვეული გახლდათ, ისეთი ძველთაძველი, რომ იისფერი მელანი სულ მთლად გამოხუნებულიყო და რაღაც ისტორიული ფერი შეეძინა, ისეთი, როგორსაც იმ ჟამგადასულ დოკუმენტებში თუ შევხვდებით, რომლებშიც ხსენებული პირები იმქვეყნად დიდი ხნის წინ გადასახლებულან. კითხვა დავიწყე.

«ადრეულ ბავშვობაში ფსიქიკურ გადახრებს არ უჩიოდა. სიცოცხლისმოყვარე, ალერსიანი, კონტაქტური ბავშვი იყო. კარგად სწავლობდა, ლექსებს წერდა, რომლების განსაკ. ესთეტ. ღირებულებას არ შეიცავდნენ. პირველი პათოლ. გადახრა დაფიქსირებულია 14 წლის ასაკში. შენიშნულია ჩაკეტილობა და უმიზეზო გაღიზიანებადობა. მშობლების თქმით, «ოჯახს განუდგა», იმყოფებოდა ემოც. გაუცხოებაში. მეგობრებთან ურთიერთობა შეწყვიტა, რასაც იმით ხსნიდა, რომ მას გვარის – «პუსტოტას» გამო დასცინოდნენ. მისი თქმით, იმავეს შვრებოდა გეოგრაფიის მასწავლებელიც, რომელიც ხშირად მას «ცარიელ ადამიანად» მოიხსენიებდა. სწავლას საგრძნობლად უკლო. იმავდროულად უმატა ფილოსოფიური ლიტერატურის ინტენსიურ კითხვას. გაეცნო იუმის, ბერკლის, ჰაიდეგერის თხზულებებს, რომლებშიც ამა თუ იმ ასპექტში განხილულია სიცარიელესა და არარასთან დაკავშირებული ფილოსოფიური საკითხები. ამის შედეგად დაიწყო სულ უბრალო ყოფითი მოვლენების «მეტაფიზიკური» აღქმა, განაცხადა, რომ თანატოლებს «ცხოვრებისეულ ბრძოლაში სიმამაცით» აღემატება. გაკვეთილებს ხშირად აცდენდა, რის შემდეგაც ოჯახმა ექიმს მიმართა. ფსიქიატრთან კონტაქტზე იოლად მიდის. მიმნდობია.

თავის შინაგან სამყაროზე ამბობს შემდეგს: მას «მსოფლაღქმის განსაკუთრებული კონცეფცია» გააჩნია. ავადმყოფი «გამოწვლილვით და ხანგრძლივად» ფიქრობს გარემომცველი ობიექტების შესახებ. აღწერს რა თავის ფსიქიკურ ქმედებას, აცხადებს, რომ მისი ფიქრი «თითქოს იჭრება და ღრმავდება ამა თუ იმ მოვლენაში». საკუთარი აზროვნების ამ თავისებურების გამო მას შეუძლია გააანალიზოს ნებისმიერი დასმული კითხვა, ყოველი სიტყვა, ყოველი ასო-ბგერა, დაალაგოს და დაწვრილებით გაარჩიოს, ამავდროულად მის თავში არსებობს «მრავალი «მე»-ს საზეიმო ქორო, რომლებიც ერთმანეთს ეკამათებიან. გაუბედაობამ შეიპყრო, რასაც ხსნის, პირველ რიგში, «ჩინური სიძველის» გამოცდილებით, და აგრეთვე იმით, რომ «შინაგანი ცხოვრების მრავალფეროვანი გამებისა და ფერების ქარბუქში გარკვევა ძნელი საქმეა». მეორე მხრივ, მისივე სიტყვებით, ფლობს «თავისუფალი აზრის განსაკუთრებულ აღმაფრენას», რომელიც მას «ყველა დანარჩენ ადამიანზე მაღლა აყენებს». ამის გამო უჩივის მარტოობას და იმას, რომ გარშემო მყოფებს მისი არ ესმით. ავადმყოფის თქმით, მასთან «რეზონანსში» აზროვნება არავის ძალუძს». მიიჩნევს, რომ შეუძლია დაინახოს და იგრძნოს «მოკვდავთათვის» მიუწვდომელი ფენომენები. მაგალითად, ფარდის ან სუფრის ნაკეცებში, შპალერის ნახატში და ა.შ. შეამჩნიოს ხაზები, ვარაყები და ფორმები, რომლებიც «სიცოცხლის სილამაზეს» წარმოქმნიან. ეს, მისივე თქმით, მისი «უდიდესი წარმატებაა», ანუ ისაა, რის ხათრითაც იგი ყოველდღიურად «არსებობის იძულებით გმირობას» სჩადის.
თავის თავს წარსულის ყველა დიდი ფილოსოფოსის ერთადერთ მემკვიდრედ აცხადებს. ხანგრძლივად ვარჯიშობს «ხალხის წინაშე წარმოსათქმელი სიტყვის»

მოსამზადებლად. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჰოსპიტალიზებას არ უჩივის, რადგან დარწმუნებულია, რომ მისი «თვითგანვითარება», საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, მაინც «სწორი გზით წარიმართება».
ვიღაცას რამდენიმე იისფერი სიტყვათშეთანხმების ქვეშ სქელი ფანქრით ხაზები გაესვა. შემდეგ გვერდზე გადავშალე – მორიგი სათაური «ორგანოლეპტური ჩვენებები» გახლდათ. ტექსტი ლათინური გამოთქმებით იყო გადატვირთული. სწრაფად ვფურცლავდი გვერდებს. იისფრად ნაწერი რვეული საქაღალდეში არც კი ჩაეკერებინათ – როგორც ჩანს, აქ რომელიღაც სხვა საქმიდან გადმოედოთ. აკინძული ფურცლების ყველაზე სქელ დასტას ზემოდან ერთი გვერდი ერთვოდა. ზედ ეწერა:
პეტერბურგის პერიოდი
(ბოდვის ყველაზე მეტად დაბეჯითებული
მახასიათებლის პირობითი სახელდება.
განმეორებითი ჰოსპიტალიზაცია)
მაგრამ ტექსტის ამ მეორე ნაწილში ერთი სიტყვის წაკითხვაც ვერ მოვასწარი. კარს მიღმა ტიმურ ტიმუროვიჩის ხმა გაისმა, ჩემთვის უცნობ თანამოსაუბრეს რაღაცას ანჩხლად უხსნიდა. მაგიდაზე ქაღალდებს პირვანდელი მდგომარეობა დავუბრუნე და ფანჯარას ვეცი – რატომღაც ფარდის უკან დამალვა განვიზრახე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფანჯარასთან ძალიან ახლოს ეკიდა. ტიმურ ტიმუროვიჩის ბურდღუნი კარს მოუახლოვდა – მგონი, ერთ-ერთ სანიტარს ტუქსავდა. გასაღების ჭუჭრუტანას მივეპარე და გავიჭვრიტე. არავინ ჩანდა – ეტყობა, კაბინეტის პატრონი და მისი თანამოსაუბრე კუთხეში, რამდენიმე მეტრში იდგნენ. ჩემს მომდევნო მოქმედებებს მეტწილად ინსტინქტი წარმართავდა. კაბინეტიდან

სასწრაფოდ გამოვედი, ფეხაკრეფით მოპირდაპირე კართან გადავირბინე და თავი რომელიღაც მტვრიან, ბნელ საკუჭნაოში ვდურთე. სულზე გავასწარი. ტიმურ ტიმუროვიჩი ჩაჩუმდა და წამის შემდეგ ჩემი მხედველობის, ანუ ჭუჭრუტანის არეში გამოჩნდა. ხმადაბლა შეიგინა და კაბინეტში გაუჩინარდა. ოცდათხუთმეტამდე დავითვალე (წარმოდგენა არ მაქვს, რატომ მაინცდამაინც ოცდათხუთმეტამდე – ცხოვრებაში ამ რიცხვთან არაფერი მაკავშირებდა), მერე კორიდორში გამოვვარდი და პალატისკენ უჩუმრად მოვკურცხლე.
ჩემი დაბრუნება არავის შეუნიშნავს – კორიდორში კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მეზობლებს ეძინათ. რამდენიმე წუთითღა მოვასწარი ჩაწოლა და გაღვიძების მაუწყებელი მელოდიური სიგნალიც აჟღერდა. იმავ წამს ბარბოლინი შემოვიდა და თქვა, პალატაში ტარაკანები უნდა დავხოცო, ამიტომ დღეს კიდევ ერთი სამკურნალო-ესთეტიკური პრაქტიკუმი ჩაგიტარდებათო. ეტყობა, საგიჟეთის ატმოსფერო ადამიანში მორჩილებას ბადებს. აღშფოთება, როგორ შეიძლება არისტოტელეს ზედიზედ ამდენი ხატვაო, აზრადაც არავის მოსვლია. მარტო მარიამ ჩაიბუზღუნა ცხვირში რაღაც გაუგებრად პირქუში საყვედური. შევატყვე, ცუდ ხასიათზე გაღვიძებოდა. ეგებ რამე დაესიზმრა – თვალი გაახილა თუ არა, სარკეში თავისი ანარეკლის შესწავლას შეუდგა და, ეტყობა, მაინცდამაინც არ ეჭაშნიკა – რამდენიმე წუთის განმავლობაში თვალებს ისრესდა. ესთეტიკური პრაქტიკუმის ოთახში დიდი დაგვიანებით შემოვიდა და არისტოტელეს დახატვა აზრადაც კი არ გაუვლია, განსხვავებით დანარჩენებისაგან, რომელთა შორის მეც გახლდით. კუთხეში დაჯდა, თავზე ყვითელი ლენტი მოიხვია, რომელსაც, სავარაუდოდ, მისი ვარცხნილობა

მისსავე ფსიქიკურ განზომილებაში აბობოქრებული ქარიშხლებისგან უნდა დაეცვა, და თან ისე გვათვალიერებდა, თითქოს პირველად გვხედავსო. ქარის რა გითხრათ და, ატმოსფერო ოთახში აშკარად უარესდებოდა. ვოლოდინი და სერდიუკი მარიას ზედ არ უყურებდნენ და მეც ვიფიქრე, წვრილმანებს ყურადღება არ უნდა მივაქციო-მეთქი. მაგრამ დუმილი აუტანელი მეჩვენა და ხმის ამოღება გადავწყვიტე.
– მაპატიეთ, ბატონო სერდიუკ, საუბარი რომ გაგიბათ, ხომ არ გაჯავრდებით? – ვკითხე.
– რას ბრძანებთ? – თავაზიანად მიპასუხა, – თქვენს განკარგულებაში გახლავართ.
– ღვთის გულისათვის, უტაქტობაში არ ჩამომართვათ, მაგრამ აქ რისთვის აღმოჩნდით?
– განდგომილობისთვის.
– მართლა? ჰქონდათ კი განდგომილებისთვის ჰოსპიტალიზების უფლება?
სერდიუკმა გამომცდელად შემათვალიერა.
– გააფორმეს, როგორც თეთრი ცხელების ფონზე განვითარებული სუიციდურ-მოხეტიალე სინდრომი. თუმცა ეს რას ნიშნავს, არც არავინ იცის.
– დაწვრილებით მიამბეთ, – ვთხოვე.
– მოსაყოლი ბევრი არაფერია. ნაგორნი შოსეზე ერთ სარდაფში ვიწექი ჩემთვის, საამისოდ პირადული და ერთობ მნიშვნელოვანი მიზეზები მქონდა, მეტისმეტად ფხიზელ გონებაზე გახლდით. ამ დროს კი ფარნიანი და ავტომატიანი ძაღლი დამადგა, საბუთებიო. წარვუდგინე. რა თქმა უნდა, ფული მომთხოვა. რაც მქონდა, მივეცი – ოცი ათასი. ფული აიღო და არ მიდის, მიედ-მოედება. კედლისკენ გადაბრუნება და მისი დავიწყება მსურდა, მაგრამ ამის მაგივრად საუბარი გავუბი. რა არის, რო გამყვლიფე, ზემოთ ბანდიტები დაილია-მეთქი? ყბედი ძაღლი აღმოჩნდა, მერე გავიგე, ფილოსოფიის

ფაკულტეტი ჰქონია დამთავრებული. ბანდიტების მეტი რა არისო. ოღონდაც წესრიგს არ არღვევენო. ეგ როგორ-მეთქი? აი, ეგრეო. ნორმალურ ბანდიტს რომ შეხედავ, იოლად დაინახავ, რომ მარტო იმას ფიქრობს, ნეტა ვინმე მომაკვლევინა და გამაძარცვინაო. ვისაც გაძარცვავს, წესრიგს არც ის არღვევს, წევს თავისთვის თავგატეხილი და ფიქრობს, აი, ასეა საქმეო, გამძარცვეს და მომკლესო. შენ კიდეო, მეუბნება, წევხარ აქ და იოლად ვხედავ, რასაც ფიქრობო. ამქვეყნად არაფრის არ გწამს, ყველაფერი გეეჭვებაო.
– თქვენ რა უთხარით?
– რა უნდა მეთქვა, – მიპასუხა სერდიუკმა, – ავდექი და, ეგებ მართლა მეეჭვება-მეთქი. აკი ამბობდნენ აღმოსავლელი ბრძენკაცები, სამყარო ილუზიააო. აღმოსავლელ ბრძენკაცებს ეს აზრი იმიტომ მივაწერე, რომ მის პრიმიტიულ დონეზე დავმდგარიყავი. გაწითლდა კიდეც და მეუბნება – აბა, ეს რა გამოდის, მე უნივერსიტეტში დიპლომი ჰეგელის შესახებ დავწერე და ახლა აქ ავტომატით დავიარები, შენ კი რაღაც ამოგიკითხავს პოპულარულ ჟურნალში და გგონია, სარდაფში წოლა და სამყაროს რეალობაში ეჭვის შეტანა შეგიძლიაო? მოკლედ, სიტყვა სიტყვას მოჰყვა, ჯერ იმათთან, მერე აქ. მუცელზე ნაჩხაპნი მიპოვეს – ერთხელ ბოთლის ნამსხვრევით გავიჭერი, ჰოდა, სწორედ ეს განაკაწრი გააფორმეს სუიციდად.
– აი, პირადად მე, – მოულოდნელად ჩაერია საუბარში მარია, – ყველას, ვისაც სამყაროს რეალობაში ეჭვი შეაქვს, გავასამართლებდი. ასეთები საგიჟეთში კი არა, ციხეში უნდა ისხდნენ, ან კიდევ უარესში.
– ეგ რატომ? – ჰკითხა სერდიუკმა.
– აგიხსნა? – ავად მიუგო მარიამ, – მოდი აქ და აგიხსნი. თვითონვე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, სერდიუკს დაელოდა და დაკუნთული ხელით ქუჩისკენ ანიშნა.

– ხედავ, «მერსედეს-600» რომ დგას?
– ვხედავ, – თქვა სერდიუკმა.
– ეგებ ეგეც ილუზიაა?
– სავსებით შესაძლებელია.
– იცი, ვინ უზის მაგ ილუზიის საჭეს? ჩვენი საგიჟეთის კომერციული დირექტორი. პატარა ვოვჩიკას ეძახიან, მეტსახელად კი ნიცშეანელი ჰქვია. გინახავს?
– მინახავს.
– მერე?
– ნამდვილი ბანდიტია.
– ჰოდა, აბა, დაფიქრდი – ამ ბანდიტმა ეგებ ათი კაცი მოკლა, რომ ასეთი მანქანა ეყიდა. ესე იგი, იმ ათმა კაცმა თავი სულ ტყუილად წააგო, იმიტომ რომ ყველაფერი ილუზიაა? რას გაჩუმებულხარ? გესმის, საქმეს რა სუნი აუვიდა?
– მესმის, – პირქუშად თქვა სერდიუკმა და თავის სკამს დაუბრუნდა.
მარიას, ეტყობოდა, ხატვის გემო გაეგო. პლანშეტი აიღო და დანარჩენებს შეუერთდა.
– არა, – თქვა და არისტოტელეს ბიუსტს თვალმოჭუტულმა გახედა, – თუ გინდა, ოდესმე აქედან გახვიდე, გაზეთებს უნდა კითხულობდე, თანაც გრძნობებითა და განცდებით. სამყაროს რეალობა კი არ უნდა გაეჭვებდეს. ქვეყნიერება ახლა ყოვლად რეალური და გასაგები გახდა. შეიგნე?
სერდიუკი უსიტყვოდ ხატავდა.
– არ მეთანხმები?
– ძნელი სათქმელია, – პირქუშად მიუგო სერდიუკმა, – რეალურიაო, რომ ამბობ, ამაში არ გეთანხმები. ხოლო გასაგები რომაა, ეგ ისედაც დიდი ხანია ვიცი. ოდესღაც ყნოსვით მივხვდი.
– ბატონებო, – ავლაპარაკდი მე, რადგან ჩხუბის მოახლოება ვიგუმანე და გადავწყვიტე, საუბარი

ნეიტრალურ მხარეს წამეყვანა, – ხომ არ იცით, რაღა მაინცდამაინც არისტოტელეს გვახატვინებენ?
– ა, მაშ, ეს არისტოტელეა? – თქვა მარიამ, – რა სერიოზულია. ვინ იცის, რატომ, ალბათ, უბრალოდ, ხელთ მოხვდათ.
– ნუ სულელობ, მარია, – თქვა ვოლოდინმა, – აქ შემთხვევით არაფერი ხდება. შენ არ იყავი, წეღან ყველაფერს რომ თავისი სახელი დაარქვი? არ იცი, საგიჟეთში რატომ ვსხედვართ? ცდილობენ, რეალობაში დაგვაბრუნონ. ჰოდა, არისტოტელესაც იმიტომ ვხატავთ, რომ ეს ჩვენი «მერსედეს-600»-იანი რეალობა, რომელშიც შენ, მარია, გინდა რომ სწრაფად გაგწერონ, სწორედ მაგან გამოიგონა.
– რა, მანამდე არ არსებობდა? – იკითხა მარიამ.
– არ არსებობდა, – მოუჭრა ვოლოდინმა.
– ეგ როგორ?
– ვერ გაიგებ, – თქვა ვოლოდინმა.
– შენც აიღე და ეცადე ამიხსნა, – თქვა მარიამ, – ეგებ გავიგო.
– აბა, მითხარი, რატომაა ეგ «მერსედესი» რეალური? – ჰკითხა ვოლოდინმა.
მარია რამდენიმე წამს დაძაბული ფიქრობდა.
– იმიტომ, რომ რკინისაა, – თქვა ბოლოს, – გაიგე? მიხვალ და ხელს მოჰკიდებ.
– ანუ შენ ამბობ, რომ რეალობას გარკვეული სუბსტანცია ქმნის, რომლისგანაც ნივთია დამზადებული?
მარია დაფიქრდა.
– პრინციპში ეგრეა, – თქვა.
– ჰოდა, არისტოტელესაც ამიტომ ვხატავთ. იმიტომ, რომ მანამდე არავითარი სუბსტანცია არ იყო.
– აბა, რა იყო?
– რა იყო და, იყო ერთი მთავარი ზეციური ავტომობილი,

– თქვა ვოლოდინმა, – რომელთანაც ეგ შენი ექვსასიანი «მერსედესი» უბრალოდ ნაგავია და სხვა არაფერი. ეს ზეციური ავტომობილი აბსოლუტური სრულყოფილება იყო და ერთიანად შეიცავდა ავტომობილთან დაკავშირებულ ყოველგვარ ცნებას თუ სახეს. ხოლო ეგრეთ წოდებული რეალური ავტომობილები, რომლებიც ძველი საბერძნეთის გზებზე დაქროდნენ, მის უბრალო აჩრდილებად ითვლებოდნენ. პროექციებად. გაიგე?
– მერე რა, რომ გავიგე?
– რა და, არისტოტელე ადგა და ბრძანა, ეს მთავარი ზეციური ავტომობილი, რა თქმა უნდა, არსებობსო, და ყველა მიწიერი მანქანა, ცხადია, ყოფიერების მრუმე და მრუდე სარკეში მისი მახინჯი ანარეკლიაო. იმ დროში ამ მოსაზრების უარყოფას ვერავინ გაბედავდა, მაგრამ პირველსახის და ანარეკლის გარდაო, თქვა არისტოტელემ, კიდევ ერთი რამეც არსებობსო. ის მასალაო, რომელიც ამ ავტომობილის ფორმაში მოექცევაო, თავისთავად არსებული სუბსტანციაო. ჰოდა, სამყარო სწორედაც რომ ამ სუბსტანციამ გაარეალურა. აქედან დაიწყო მთელი ეს დედა მოტ...ლი საბაზრო ეკონომიკა, იმიტომ რომ ამქვეყნად ყველა ნივთი უბრალო ანარეკლი იყო, ჰოდა, აბა, მითხარი, ანარეკლის რეალობაზე რა უნდა ვილაპარაკოთ? რეალური ხომ მხოლოდ ისაა, რაც ანარეკლებს წარმოქმნის.
– იცით, რა, – ხმადაბლა შევნიშნე, – ეს რთული საკითხია. ვოლოდინმა ჩემს სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია.
– გაიგე? – ჰკითხა მარიას.
– გავიგე, – მიუგო მარიამ.
– რა გაიგე?
– გავიგე, რომ ნატურალური გიჟი ხარ. ავტომობილებს ძველ საბერძნეთში რა უნდოდათ?

– ფუი, – თქვა ვოლოდინმა, – ეს ხომ წვრილმანია. თანაც სწორია. შენ აქედან მართლა მალე გაგწერენ.
– ღმერთმა ქნას, – თქვა მარიამ.
სერდიუკმა თავი ასწია და მარია მზერით გაბურღა.
– შენ ამ ბოლო ხანს, – თქვა, – სულ მთლად გაძაღლდი, მარია. გაიგე?! ასე ვთქვათ, სულიერ პლანში.
– აქედან უნდა გავაღწიო, გესმის? არ მინდა, მთელი ცხოვრება აქ დავლპე. ათი წლის მერე ვის რაღად დავჭირდები?!
– შტერი ხარ შენ, მარია, – ზიზღით უთხრა სერდიუკმა, – ნუთუ იმდენი მაინც არ გაგეგება, რომ არნოლდთან შენი რომანი მხოლოდ აქაა შესაძლებელი?!
– წესიერად ილაპარაკე! თორემ ამ ბიუსტით თავს გაგიხეთქავ და მაგ ყარყატის სიფათს აგახევ!
– აბა, მიდი ერთი, შე სირჩიტა, – თქვა გაფითრებულმა სერდიუკმა და წამოდგა, – მიდი აბა, სცადე!
– მეტი საქმე არა მაქვს, ვცადო, – წამოდგა მარიაც, – კი არ ვცდი, სიფათსაც აგახევ და თავსაც გაგიხეთქავ. მაგ სიტყვებისთვის მოსაკლავი ხარ.
მაგიდიდან ბიუსტი აიღო.
შემდეგ ყველაფერი წამებში მოხდა. მე და ვოლოდინი წამოვხტით, ვოლოდინმა სერდიუკისკენ გაქანებულ, ბრაზით სახედამანჭულ მარიას ხელი სტაცა. მარიამ ბიუსტი აღმართა და სერდიუკისკენ კიდევ გაიწია. ხელი ვკარი და დავინახე, რომ ვოლოდინი ახლა სერდიუკს ეცა, ხელები ისე გაუკავა, თუ მარია ბიუსტს ჩასცხებდა, საბრალო, სახესაც კი ვერ დაიფარავდა. ვოლოდინს ხელებში ვწვდი და ვეცადე, გულხელდაკრეფილი, თვალდახუჭული, ნეტარად მოღიმარი სერდიუკი გადამერჩინა. უეცრად შევნიშნე, რომ თავზარდაცემული ვოლოდინი ჩემს ზურგს უკან იცქირებოდა. თავი მივატრიალე და თაბაშირის მკვდარი სახე დავლანდე, დამტვერილი თვალბუდეები დაეპრაწა და ნელა

ეშვებოდა ჩემს თავზე, თითქოს ბუზებით დახუნძლული ბათქაშის ზეციდან დაეშვაო.

5

გონს რომ მოვედი, მეხსიერებას არისტოტელეს ბიუსტიღა შემორჩენოდა. თან დაბეჯითებით ვერც ვამბობ, გონს მოვედი-მეთქი. ეს რაღაც მორცხვი ორაზროვნება ჯერ კიდევ ბავშვობაში დამჩემდა: ვინ მოვედი? სად მოვედი? რაც მთავარია – საიდან მოვედი? გონება ისე ირწეოდა ხოლმე, როგორც ბანქოს სათამაშო მაგიდა მდინარე ვოლგაზე მცურავ გემში. ასაკის მატებასთან ერთად მივხვდი, რომ სინამდვილეში სიტყვები «გონს მოსვლა» «სხვებთან მისვლას» აღნიშნავს, იმიტომ რომ სწორედ ეს სხვები არიან, დაბადებიდან მოყოლებული, ერთთავად რომ ჩაგჩიჩინებენ, რა ძალა უნდა დაატანო თავს, მათთვის სასურველი ფორმა რომ მისცე.

მაგრამ ამაში როდია საქმე. ვფიქრობ, ეს გამოთქმა ჩემი მდგომარეობის გამოსახატად მთლად შესაფერი არ გახლავთ, რადგან ცნობიერება რომ დამიბრუნდა, ბოლომდე გამოფხიზლებული არც ვიყავი, თითქოს ძილ-ღვიძილს შორის ვიყავი გაჩხერილი, სიზმარ-ცხადის იმ საყოველთაოდ ცნობილ არამატერიალურ სამყაროში, სადაც გარემომცველი საგნები მხოლოდ ცნობიერებაში წამიერად გაჩენილი და იქავ გამქრალი ხატები და ხილვებია, ხოლო ის, ვისაც ეს ხილვები და ხატები ებადება, არც კი არსებობს. ადამიანები ჩვეულებრივ ამ მდგომარეობას სწრაფად გამოივლიან ხოლმე, მე კი რატომღაც რამდენიმე გრძელი წამის განმავლობაში შიგ გავიჭედე; ფიქრით ძირითადად არისტოტელეს ვუტრიალებდი. ერთმანეთთან დაუკავშირებელი და უაზრო აზრები რიალებდნენ. ბოლშევიზმის იდეოლოგიური წინაპარი თვალში არასოდეს მომდიოდა, მაგრამ გუშინდელის გამო

პირადი წყენა გულში არ მდებია, ეტყობა, მისი გამოგონილი სუბსტანციის ცნება ისეთი სუბსტანციურიც არ იყო, რომ ჩემთვის რაიმე სერიოზული ვნება მოეყენებინა. საყურადღებოა, რომ ამ გარემოებას ჩემს ძილ-ღვიძილში, წყალი რომ არ გაუვა, ისეთი მტკიცებულება მოეპოვებოდა – როცა ბიუსტი თავზე დამეფშვნა, გაირკვა, რომ შიგნიდან ცარიელი ყოფილა. აი, პლატონის ბიუსტი რომ მომხვედროდა, გაცილებით მძიმე დაზიანებას მივიღებდი-მეთქი, გავიფიქრე. ისიც მომაგონდა, მხრებზე თავი რომ მედგა და სიზმრის უკანასკნელი ფრაგმენტებიც სწრაფად განქარდა. გაღვიძების პროცესი ჩვეულებრივ ადამიანურ სქემას დაუბრუნდა – გაცხადდა, რომ მთელი ეს ფიქრები თავში დისლოცირებულიყო, ხოლო თვით თავი სასტიკად მტკიოდა. თვალები ფრთხილად გავახილე. ჯერ ანა დავინახე, ჩემს საწოლთან მჯდომს ხელში ჰამსუნის პატარა ტომი ეჭირა და კითხვით გართულმა ვერ შენიშნა, რომ გავიღვიძე. ერთხანს ვუცქერდი წამწამებიდან. პირველ შთაბეჭდილებას ამ ახალმა დანახვამ ბევრი ვერაფერი შემატა, ანკი რა უნდა შემატებოდა. ეგებ მისი განურჩევლად სრულყოფილი სილამაზე კიდევ უფრო მტანჯველად აღვიქვი და სევდიანად გავიფიქრე, ასეთი ქალი კაცს თუ შეიყვარებს, ეს ან ულვაშგაწკეპილი კომივოიაჟერი ან არტილერიის სახეღაჟღაჟა მაიორი იქნება, რადგან ამას იგივე მექანიზმი წარმართავს, რომელიც სკოლის მოწაფე ლამაზ გოგონებს უშნო დაქალებს ამოარჩევინებს-მეთქი. ცხადია, აქ საკუთარი სილამაზის კონტრასტულად ხაზგასმის სურვილი კი არ მოქმედებს (როგორც ამას ივან ბუნინი ახსნიდა), არამედ კეთილმოწყალე თანაგრძნობა. უნდა ითქვას, მცირედი ცვლილებები მაინც შევამჩნიე. შესაძლოა, განათების

გამო მეჩვენებოდა, თითქოს თმა უფრო დამოკლებოდა და გაღიავებოდა. გუშინდელი შავი კაბის ნაცვლად რაღაც უცნაური ნახევრად სამხედრო ფორმა ეცვა – შავი კაბა და განიერი ქვიშისფერი ფრენჩი, რომლის სახელოზე გრაფინიდან ასხლეტილი და ფერად ათინათებად გაშლილი მზის სხივები თრთოდნენ; გრაფინი მაგიდაზე იდგა, მაგიდა – ოთახში, რომელიც ადრე არასოდეს მენახა. ყველაზე საოცარი კი ის გახლდათ, რომ გარეთ ზაფხული იყო – ფანჯრის მინები შუადღის ხვატში ალივლივებულ ალვის ხეთა კენწეროების შევერცხლილ მწვანეს შეეღება.
ოთახი, სადაც ვიმყოფებოდი, პროვინციული სასტუმროს იაფფასიან ნომერს ჰგავდა – მაგიდა, ორი ნახევრად რბილი სავარძელი, პირსაბანი კედელზე და აბაჟურიანი ლამპა. რას არ ჰგავდა ეს ოთახი და, ზამთრის ღამეში მიმქროლი მატარებლის იმ კუპეს, სადაც გუშინ საღამოს დავიძინე.
იდაყვს დავეყრდენი. ეტყობა, ჩემი ამოძრავება ანასთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა – წიგნი იატაკზე დაუვარდა და დაბნეული მომაცქერდა.
– სად ვარ? – ვიკითხე და საწოლში წამოვჯექი.
– ღვთის გულისათვის, დაწექით, – მითხრა და ჩემკენ გადმოიხარა, – ყველაფერი კარგადაა, არაფერი გემუქრებათ.
ხელის მსუბუქი მოძრაობით ბეჭებზე დამცა.
– ის მაინც გამაგებინეთ, სად ვწევარ? ან ზაფხული რატომაა?
– დიახ, – თქვა და სკამზე დაბრუნდა, – ზაფხულია. სულ არაფერი არ გახსოვთ?
– ყველაფერი მშვენივრად მახსოვს, – ვთქვი, – ოღონდაც ის ვერ გამიგია, როგორ მოხდა, რომ მატარებლით ვმგზავრობდი, ახლა კი უცებ ამ ოთახში გავჩნდი.
– ხშირად ბოდავდით, – თქვა, – მაგრამ გონს არც

ერთხელ არ მოსულხართ. მეტწილად კომაში იყავით.
– რა კომაში? მახსოვს, შამპანურს ვსვამდით და შალიაპინი მღეროდა... მერე ფეიქრებიც... მერე კიდევ ის უცნაური ბატონი... ამხანაგი... მოკლედ, ჩაპაევი. აიღო და ვაგონები ჩახსნა.
თითქმის მთელი წუთი ანა თვალებში უნდობლად მიცქერდა.
– რა უცნაურია, – თქვა ბოლოს.
– რა არის უცნაური?
– ის, რომ ეგ გახსოვთ. და მერე?
– მერე?
– ჰო, მერე. მაგალითად, სადგურ ლოზოვაიასთან ბრძოლა გახსოვთ?
– არა, – ვთქვი.
– და მანამდე?
– მანამდე?
– ჰო, მანამდე. ლოზოვაიასთან ბრძოლისას თქვენ ხომ უკვე ესკადრონს მეთაურობდით.
– რომელ ესკადრონს?
– თქვენ, პეტია, ლოზოვაიასთან ნამდვილი გმირობა ჩაიდინეთ. თქვენი ესკადრონით მარცხენა ფლანგიდან რომ არ დაგერტყათ, ყველას დაგვხოცავდნენ.
– დღეს რა რიცხვია?
– სამი ივნისია, – თქვა, – ვიცი, რომ თავში მიღებულმა ჭრილობამ იცის ასე... მაგრამ გასაგები იქნებოდა, მეხსიერება საერთოდ რომ დაგეკარგათ, ასეთი სპონტანურობა კი მართლაც გასაოცარია. თუმცა ექიმი ხომ არა ვარ. ეგებ ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე.
ხელები თავზე მოვიკიდე და შევკრთი – ხელისგულები თითქოს მოკლე ბეწვებით დაფარულ ბილიარდის ბურთს შევახეო. გადახოტრილი გახლდით, ტიფიანივით. კიდევ ერთი უცნაურობაც აღმოვაჩინე – რაღაც უთმო წანაზარდი კანზე. თითებით მოვისინჯე და

მივხვდი – მოგრძო ნაიარევი იყო, მთელ თავის ქალას გარდიგარდმო რომ სერავდა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს თავზე გუმერაბიკით ტყავის ქამრის ნაჭერი დამაწებესო.
– შრაპნელია, – თქვა ანამ, – გვარიანი ნაჭრილობევი კია, მაგრამ დიდი არაფერი. ტყვიამ გაგკაწრათ, ძვალს არც კი შეხებია. მაგრამ ძლიერი კონტუზია კი მიიღეთ.
– ეგ როდის მოხდა? – ვკითხე.
– ორ აპრილს.
– და მას შემდეგ გონზე არ მოვსულვარ?
– კი, რამდენჯერმე, წამიერად. ეგ იყო და ეგ. თვალები დავხუჭე და შევეცადე, მეხსიერებაში იმის სულ მცირე ნაწილი მაინც მომეძიებინა, რაზეც ანა ლაპარაკობდა, მაგრამ იმ უკუნეთში, სადაც ვიყურებოდი, არაფერი ჩანდა ქუთუთოებს მიღმა მორიალე ზოლებისა და ლაქების გარდა.
– არაფერი არ მახსენდება, – ვთქვი და ერთხელაც მოვიფათურე ხელები თავზე, – არაფერი. მხოლოდ სიზმარი მახსოვს – სადღაც პეტერბურგში, რომელიღაც პირქუშ დარბაზში თავში არისტოტელეს ბიუსტს მირტყამენ. თითოეულ ჯერზე იმსხვრევა, მაგრამ მერე ყველაფერი ისევ თავიდან იწყება... გოთიკა... თუმცა ახლა კი ვხვდები, საქმე რაშიცაა.
– საერთოდ, საკმაოდ დამაინტრიგებლად ბოდავთ ხოლმე, – თქვა ანამ, – გუშინ ნახევარი დღის განმავლობაში ვინმე მარიას ახსენებდით, ჭურვი მოხვდაო. თუმცა საკმაოდ აბდაუბდა ამბავი გამოდის – მაინც ვერ მივხვდი, ის მარია თქვენთვის ვინ იყო. უეჭველად, ომის გზებზე შეეყრებოდით ერთიმეორეს.
– არც ერთ მარიას არასდროს არ შევყრივარ, თუკი, რა თქმა უნდა, ერთ ამასწინანდელ კოშმარს არ ჩავთვლით...
– დამშვიდდით, – თქვა ანამ, – ეჭვიანობას არ ვაპირებ.

– საწყენია, – მივუგე და ფეხები იატაკზე გადმოვაწყვე, – გთხოვთ, ეპატაჟად ნუ ჩამითვლით, ასე საცვლებისამარა რომ გესაუბრებით.
– თქვენი წამოდგომა არ შეიძლება..
– თავს ჩინებულად ვგრძნობ, – მივუგე, – შხაპის მიღება და ჩაცმა მინდა.
– ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.
– ანა, – ვთქვი, – რაკიღა ესკადრონს ვმეთაურობ, წესით, დენშჩიკი უნდა მყავდეს.
– რაღა თქმა უნდა, გყავთ.
– სანამ ჩვენ აქ ვსაუბრობთ, ალბათ ღორივით დათვრებოდა. შეგიძლიათ, აქ მომგვაროთ? და კიდევ – ჩაპაევი სად არის?
გაგიკვირდებათ და, ჩემი დენშჩიკი (ერთი სიტყვაძუნწი ქერათმიანი, აწოწილი, კავალერისტის დაბრეცილ და მოკლე ფეხებზე შემდგარი ახმახი) მართლაც მთვრალი აღმოჩნდა. ტანისამოსი მომართვა – რუხ-მწვანე უსამხრეებო კიტელი (სამაგიეროდ, სახელოზე ბრძოლაში მიღებული ჭრილობის გამო საპატიო ნიშანი მიეკერებინათ), ლურჯი გალიფე და რბილი ტყავის დაბალყელიანი ჩექმა. ამას გარდა საწოლზე დამიყარა შავი ბეწვის ფაფახი, ხმალი, რომელზეც ამოტვიფრული იყო წარწერა «პიოტრ პუსტოტას, საბრძოლო მამაცობისთვის», ბუდეში ჩადებული ბრაუნინგი და ფონ ერნენის საკვოიაჟი, რომლის დანახვაზე, ცოტა არ იყოს, გულს შემომეყარა. მისი შიგთავსი ხელუხლებლად დამხვდა, მხოლოდ კოკაინი ქილაში ოდნავ შეცოტავებულიყო. ამას გარდა, საკვოიაჟში პატარა დურბინდი და ბლოკნოტი ვიპოვე, აშკარად ჩემი ნაწერით ერთ მესამედზე შევსებული. შენიშვნების დიდი ნაწილი სრულიად გაუგებარი გახლდათ – ცხენებს, თივას და იმ ადამიანებს შეეხებოდა, ვისი სახელებიც არაფერს მეუბნებოდა. თუმცა თვალში

ისეთი ფრაზებიც მომხვდა, რომელთა მსგავსსაც სხვა დროსაც ხშირად ვწერდი ხოლმე: «ქრისტიანობა და სხვ. რელიგ. შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სხვადასხვაგვარ ობიექტთა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღ. ენერგ. ასხივ. რა დამაბრმავებლად ანათებს ჯვარცმული ღმერთის ფიგურა! და რამხელა სიბრიყვეა, ქრ. პრიმიტიულ სისტემად მიგაჩნდეს! თუ კარგად დავფიქრდებით, რევოლუცია რუსეთში რასპუტინმა კი არა, მისმა მოკვლამ მოიტანა».
ორი ფურცლის მერე კი:
«ცხოვრებაში ყოველი «წარმატება» დროის იმ ინტერვალს უნდა შევუფარდოთ, რომელშიც მათ მივაღწიეთ; თუ ეს ინტერვალი მეტად გრძელია, მაშინ მიღწევათა უმრავლესობა მეტ-ნაკლებად აზრს კარგავს; ნებისმიერი მიღწევა (მით უფრო, პრაქტიკული) ნულის ტოლი აღმოჩნდება, თუკი სიცოცხლის ხანგრძლივობას შევუფარდებთ, რადგანაც სიკვდილის შემდეგ მნიშვნელობა აღარაფერს არ გააჩნია. არ დამავიწყდეს წარწერა ჭერზე».
ჭერზე წარწერა, ეტყობა, სამუდამოდ დამვიწყებოდა. იყო დრო, ამგვარი ჩანაწერებით თვეში ერთ ასეთ წიგნაკს ვავსებდი და თითოეული მათგანი სამომავლოდ გამოსადეგი მნიშვნელოვანი აზრებით იყო სავსე. მაგრამ, როდესაც ეს მომავალი ჩამოდგა, დარაბებს მიღმა სულ სხვა ცხოვრება გახურდა და საქმე ისე აეწყო, რომ გათოშილ ტვერის ბულვარზე აღმოვჩნდი, რევოლვერით პალტოს ჯიბეში. ვიფიქრე, კიდევ კარგი, იქ ძველ მეგობარს შევხვდი-მეთქი.
შევიმოსე (დენშჩიკმა ფეხსახვევები არ მომიტანა და ამიტომ ზეწრის დახევა მომიხდა) და ერთხანს ვყოყმანობდი, მაგრამ ბოლოს ფაფახიც დავიხურე – საძაგლად ყარდა, მაგრამ ჩემი გადახოტრილი თავი მეტად დაუცველ ობიექტად მივიჩნიე. ხმალი საწოლზე

დავტოვე, პისტოლეტი კი ბუდიდან ამოვიღე და ჯიბეში ჩავიდე – ვერ ვიტან იარაღით ხალხის დაფრთხობას, თანაც ჯიბიდან უფრო იოლი დასაძრობია. პირსაბანს ზემოთ დაკიდულ სარკეში საკუთარ თავს შევხედე და კმაყოფილი დავრჩი – ფაფახმა ჩემს გაუპარსავ სახეს რაღაც ველური სიამაყე შესძინა.
ანა ქვემოთ იდგა, მომრგვალებულ, განიერ კიბესთან, რომლითაც ჩემი ოთახიდან დაბლა დავეშვი.
– ეს რა სახლია? – ვკითხე, – მემამულის მიტოვებულ სასახლეს ჰგავს.
– არის კიდევაც, – თქვა, – შტაბი გვაქვს და არა მარტო – აქვე ვცხოვრობთ კიდეც. მას შემდეგ, რაც ესკადრონი ჩაიბარეთ, პიოტრ, ბევრი რამ შეიცვალა.
– მაინც სადაა ჩაპაევი?
– ქალაქიდანაა გასული, – თქვა ანამ, – მალე უნდა დაბრუნდეს.
– ჰო, მართლა, რა ქალაქია? – ვკითხე.
– ალტაი-ვიდნიანსკი ჰქვია. ირგვლივ სულ მთებია. ვერც კი ვხვდები, ასეთ ადგილებში ქალაქები როგორ ჩნდება. მთელ საზოგადოებას რამდენიმე ოფიცერი, ორი ყოვლად უცნაური პეტერბურგელი პიროვნება და ადგილობრივი ინტელიგენცია შეადგენს. მოსახლეობას ომისა და რევოლუციის შესახებ საუკეთესო შემთხვევაში რაღაც მაინც აქვს გაგონილი. გარეუბნებში ბოლშევიკები შფოთავენ, ერთი სიტყვით, გვარიანი საღორეა.
– ჩვენ რაღას ვაკეთებთ აქ?
– ჩაპაევს დაელოდეთ, – მითხრა ანამ, – ყველაფერს აგიხსნით.
– მაშინ, თქვენი ნებართვით, ქალაქში გავისეირნებ.
– არ შეიძლება თქვენთვის, – დაბეჯითებით შემეწინააღმდეგა ანა, – აბა, დაფიქრდით, ეს წუთია, რაც თვალში გამოიხედეთ. ისევ შეტევა რომ მოგივიდეთ ან

კიდევ რამე. უცებ შუა ქუჩაში გული რომ წაგივიდეთ?
– მიხარია, რომ ასეთ მზრუნველობას იჩენთ, – ვთქვი, – მაგრამ თუ მართლა გული შეგტკივათ, კომპანიონობა გამიწიეთ.
– სხვა რა დამრჩენია, – ამოიოხრა მან, – საით ისურვებთ?
– რაიმე რესტორაცია თუა აქ სადმე, – ვთქვი, – პროვინციებში რომ იციან, კასრში გაქუცული პალმითა და გრაფინში თბილი ხერესით? დროული იქნება. ოღონდ ყავაც უნდა ჰქონდეთ.
– არის აქ ერთი ადგილი, – თქვა ანამ, – მაგრამ პალმები არა აქვთ. ვფიქრობ, არც ხერესი ექნებათ.
ქალაქი ალტაი-ვიდნიანსკი ძირითადად ერთმანეთისგან კარგა მოშორებით მდგარი, მაღალი ფიცრის მესრებით შემოღობილი და გაფოთლილ ხეებში ჩამალული ერთ-ორ სართულიანი ხის სახლებისგან შედგებოდა. ცენტრისკენ, საითაც მე და ანა დაქანებული, მოკირწყლული ქუჩით დავეშვით, ქვის სახლებიც შეგვხვდა, როგორც წესი, ორსართულიანები; რამდენიმე მხატვრულად მოვარაყებული თუჯის მესერიც შევნიშნე და სახანძრო კოშკიც, რომელსაც ძლივსშესამჩნევი გერმანული იერი ედო. მთლიანობაში ერთი ჩვეულებრივი პროვინციული პატარა ქალაქი გახლდათ, ქალწულებრივად მომხიბლავი, წყნარი, ნათელი, აყვავებულ იასამნებში ჩაძირული. ირგვლივ ყოველი მხრიდან მთები შემოსჯარვოდნენ, თითქოს ამ მთებისგან შექმნილი თასის ფსკერზეა გაშენებულიო – ცენტრალური მოედანი ალექსანდრე II-ის გასაცოდავებული ძეგლითურთ ქალაქის ყველაზე დაბალ წერტილში მდებარეობდა. რესტორანი «აზიის გული», სადაც ანამ მიმიყვანა, ფანჯრებით სწორედ ამ ძეგლს გადაჰყურებდა. ყოველივე ამისგან ერთი კარგი პოემა შეიქმნებოდა-მეთქი.

რესტორანში გრილოდა და სიწყნარე იდგა. პალმები კასრებში არსად იყო, სამაგიეროდ, კუთხეში დათვის ფიტული იდგა ხელში ალებარდით. დარბაზში თითქმის არავინ იჯდა.
ერთ მაგიდასთან ორი საკმაოდ ფეთხუმი ოფიცერი სვამდა – მე და ანამ რომ ჩავუარეთ, ერთი შემოგვხედეს და იქვე თვალი გულგრილად აგვარიდეს.
გამოგიტყდებით, ვერ გამეგო, მავალდებულებდა თუ არა ჩემი ამჟამინდელი რანგი, რომ მათთვის ცეცხლი გამეხსნა, მაგრამ ანას მშვიდი რეაქციით დავასკვენი, რომ ამის აუცილებლობა არ იყო, თანაც მუნდირებიდან სამხრეები აეხიათ. მეზობელ მაგიდას მივუსხედით. შამპანური შევუკვეთე.
– აკი ყავა გინდოდათ, – თქვა ანამ.
– დიახ, – ვთქვი, – დღისით სასმელს საერთოდ არ ვეკარები.
– აბა, ახლა რაშია საქმე.
– მხოლოდ თქვენი ხათრით, გამონაკლისის სახით. ანამ ჩაიცინა.
– კეთილი, პიოტრ. ოღონდაც ერთი რამ მინდა გთხოვოთ. ჩემი გულის მონადირებას ნუღარ ეცდებით. ქალაქში, სადაც წყალი და ნავთი პრობლემაა, დაჭრილ კავალერისტთან რომანის პერსპექტივა ჭკუაში სრულებით არ მიჯდება.
სხვას არც არაფერს ველოდი.
– რა გაეწყობა, – ვთქვი, როდესაც ოფიციანტმა მაგიდაზე ბოთლი ჩამოდგა, – თუ ჩემში მხოლოდ დაჭრილი კავალერისტის დანახვა გნებავთ, ასე იყოს. ოღონდ მაშინ ისიც ამიხსენით, მე თქვენში ვინ უნდა დავინახო?
– მეტყვიამფრქვევე, – თქვა ანამ, – უფრო სწორად, თუ გნებავთ, ლუისისტი. დისკიანი «ლუისის»
– იცით, მე, როგორც კავალერისტს, თქვენი პროფესიის

ატანა არა მაქვს. ცხენოსანთა რაზმისთვის ტყვიამფრქვევით შეტევაზე უარესი პერსპექტივა არ არსებობს. მაგრამ, რადგანაც ლაპარაკი თქვენ შესახებაა, მოდი, მეტყვიამფრქვევის საქმიანობას გაუმარჯოს.
ჭიქები ერთმანეთს მივუჭახუნეთ.
– მითხარით, ანა, – ვკითხე, – ვინ არიან ეს ოფიცრები მეზობელ მაგიდასთან? საერთოდაც, ამ ქალაქში რა ხელისუფლებაა?
– საერთოდ, – თქვა ანამ, – ქალაქი წითლებს აქვთ დაკავებული, მაგრამ თეთრებიც არიან. ან პირიქითაც შეგვიძლია თქმა, რომ ქალაქი თეთრებმა აიღეს, მაგრამ წითლებიც არიან. ასე რომ, ნეიტრალური ჩაცმულობა ყველას სჯობია... აი, დაახლოებით თქვენნაირი.
– ჩვენი პოლკი სადღაა?
– უფრო ზუსტად, დივიზია. ჩვენი დივიზია ბრძოლებშია გაფანტული. ახლა სულ ცოტა ხალხი შემოგვრჩა, დაახლოებით ერთი ესკადრონის მესამედი. მაგრამ ვინაიდან ახლო-მახლო დიდძალი ოდენობით არც მტერი მოგვეპოვება, შეგვიძლია თავი უსაფრთხოდ დავიგულოთ. აქ სიმშვიდეა, სიწყნარე. დადიხარ ქუჩებში, ხედავ გუშინდელ მტრებს და ფიქრობ, – ნუთუ ის მიზეზი, რომლის გამოც რამდენიმე დღის წინ ერთმანეთის დახოცვას ვცდილობდით, რეალურიაო.
– მესმის თქვენი, – ვთქვი, – ომში გული ქვავდება, მაგრამ საკმარისია, აყვავებული იასამანი დაინახო, მყისვე მოგეჩვენება, რომ ყუმბარების წივილი, მხედრების ყვირილი, დენთის სუნი, სისხლის სუნთან შეზავებული, არარეალურია, მირაჟია, სიზმარია და სხვა არაფერი.
– სწორედაც, – თქვა ანამ, – მაგრამ საკითხავი ისაა, თვით ეს აყვავებული იასამანი არის რეალური? ეგებ ისიც ასეთივე სიზმარია.
ვინ იცის-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ამ თემაზე საუბრის

გაგრძელება აღარ ვისურვე.
– მითხარით, ანა, რა ხდება ახლა ფრონტებზე? საერთო მდგომარეობას ვგულისხმობ.
– მართალი გითხრათ, არ ვიცი. როგორც ახლა ამბობენ ხოლმე, საქმის კურსში არ ვარ. გაზეთები აქ არ არის, ჭორები ნაირ-ნაირია. თანაც, იცით, მომბეზრდა. იღებენ და კარგავენ რაღაც გაუგებარ, ველურსახელიან ქალაქებს: ბუგურუსლანს, ბუგულმას და კიდევ... რა ჰქვია... ბელებეის. სად არის ეს ყველაფერი, ვინ იღებს, ვინ კარგავს, გაუგებარია და, რაც მთავარია, არ მაინტერესებს. ომი, რაღა თქმა უნდა, ომია, მაგრამ ომზე ლაპარაკი ერთგვარ mauve genre-ად იქცა.ზოგადად, მე მგონი, ჰაერში დაღლა იგრძნობა. ენთუზიაზმის დაცემა.
დიდი ხნით დავდუმდი და მის სიტყვებს ჩავუფიქრდი. სადღაც შორს, ქუჩაში, ცხენმა დაიჭიხვინა. მერე მეეტლის გაბმული ყვირილიც მოისმა. ერთ-ერთმა ოფიცერმა მეზობელი მაგიდიდან, როგორც იქნა, გაიკეთა ნემსი ვენაში. უშედეგოდ ცდილობდა ამას ბოლო ხუთი წუთის განმავლობაში, უკან იზნიქებოდა, რათა მაგიდის ქვეშ დამალული თავისი ხელები დაენახა – მისი სკამი ერთთავად ორ ფეხზე ბალანსირებდა და შიგადაშიგ მეჩვენებოდა, ჰა-ჰა და, წაიქცევა-მეთქი. ბოლოს ნემსი ნიკელის კოლოფში შეინახა, კოლოფი – იარაღის ბუდეში.
თვალების პრიალზე შევატყვე, შპრიცში მორფი ესხა. ერთი-ორი წუთის განმავლობაში სკამზე ქანაობდა, მერე იდაყვებით მაგიდას დაეხეთქა, თავის მეგობარს ხელში დასწვდა და წარმოუდგენელი გულწრფელობით მიმართა:
– ახლა ვფიქრობდი, ნიკოლაი... იცი, რატომ იმარჯვებენ ბოლშევიკები?
– რატომ?

– იმიტომ, რომ მათი მოძღვრება ცოცხალი და მხურვალეა, – თვალები დახუჭა და თითები საწყალობლად აამოძრავა, აქაოდა, საჭირო სიტყვას ვერ ვპოულობო, – ექსტაზითაა აღსავსე და რაღაც ადამიანური სიყვარულით. ბოლშევიზმს თუ ბოლომდე მიიღებ, გულში ჩამარხულ უმაღლეს სასოებას გაგიღვიძებს, ასე არ არის?
მეორე ოფიცერმა იატაკზე დააფურთხა.
– იცი, რას გეტყვი, ჟორჟ, – პირქუშად უთხრა, – ერთი შენი დეიდა ჩამოეხრჩოთ სამარაში და მერე ვნახავდი, რომელ უმაღლეს სასოებაზე იჭიკჭიკებდი.
პირველმა ოფიცერმა თვალები დახუჭა და რამდენიმე წამს იყუჩა. მერე უცებ თქვა:
– ამბობენ, ქალაქში ბარონი იუნგერნი უნახავთო. ცხენზე ამხედრებული, წითელ ხალათში, გულზე ოქროს ჯვრით და არავისიც არ ეშინოდაო...
ანა ამ დროს სიგარეტს უკიდებდა – ამ სიტყვების გაგონებაზე შეკრთა, ლამის ასანთი ხელიდან გაუვარდა. გადავწყვიტე, საუბრით შევიქცევ-მეთქი.
– მითხარით, ანა, რა ხდებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში? ანუ იმ დღიდან მოყოლებული, რაც მოსკოვიდან გამოვემგზავრეთ?
– ვიომეთ, – მითხრა, – ბრძოლებში თავი გამოიჩინეთ, ჩაპაევს ძალიან დაუახლოვდით, მთელ ღამეებს საუბარში ატარებდით. მერე კი დაგჭრეს.
– საინტერესოა, ნეტა რას ვლაპარაკობდით?
ანამ თამბაქოს კვამლის ჭავლი ჭერში ააბოლა.
– ბარემ თვით მას დაელოდეთ. თქვენი საუბრების შინაარსზე ჩემი ვარაუდები და მიხვედრები მაქვს, მაგრამ ახლა ამ საკითხებში ჩაძიება არ მინდა. ეს მხოლოდ თქვენ ორს გეხებათ.
– ზოგადად მაინც მიმანიშნეთ, ანა, – ვთქვი.
– ჩაპაევი ერთ-ერთი ყველაზე ღრმა მისტიკოსია, ვინც

კი ოდესმე მსმენია. ვფიქრობ, თქვენი სახით გულისხმიერი მსმენელი გაიჩინა, ეგებ მოწაფეც. მეტიც, ეჭვი მაქვს, რომ თქვენს თავს დატეხილი უბედურებაც იმ საუბრებს უკავშირდება.
– არაფერი მესმის.
– რა გასაკვირია, – თქვა ანამ, – რამდენჯერმე მეც დამელაპარაკა, მაგრამ ვერც მე გავიგე ვერაფერი. ერთი რამ კი ზუსტად ვიცი, თავისუფლად შეუძლია მიმნდობი თანამოსაუბრე რამდენიმე საათში სრულ სიგიჟემდე მიიყვანოს. ბიძაჩემი მართლაც არაჩვეულებრივი ადამიანია.
– მაშ, ბიძათქვენია, – ვთქვი, – აი, თურმე რა. მე კი ლამისაა მეფიქრა, რომ სულ სხვა სახის ურთიერთობა გქონდათ.
– ეგ რამ... თუმცა, რაც გნებავთ, ის იფიქრეთ.
– ღვთის გულისათვის, მომიტევეთ, – ვთქვი, – დაჭრილი კავალერისტის შესახებ რომ მითხარით, ვიფიქრე, ალბათ ჯანმრთელი კავალერისტითაა-მეთქი გატაცებული.
– კიდევ ერთი ასეთი თავხედური პასაჟი და, თქვენ მიმართ ყოველგვარ ინტერესს დავკარგავ, პიოტრ.
– მაშ, ინტერესი მაინც გქონიათ. მადლობა ღმერთს.
– სიტყვას ნუ გამოეკიდებით.
– რატომ არ უნდა გამოვეკიდო იმ სიტყვას, რომელიც მომეწონება.
– მისივე უსაფრთხოებისთვის, – თქვა ანამ, – დიდხანს იწექით უგრძნობლად და ამასობაში წონაში ისე მოიმატეთ, რომ საბრალო სიტყვამ, შესაძლოა, თქვენს სიმძიმეს ვერ გაუძლოს.
სიტყვას ძნელად თუ მოუგებდი, მაგრამ ახლა მეტისმეტად შემომიტია.
– ძვირფასო ანა, – ვთქვი, – არ მესმის, რატომ ცდილობთ, რომ დამამცირეროთ. ზუსტად ვიცი, თავს

იკატუნებთ. სინამდვილეში ჩემ მიმართ გულგრილი სულაც არ ბრძანდებით – ამას მაშინვე მივხვდი, როცა გონს მოვეგე და ჩემს სასთუმალთან მჯდარი დაგინახეთ. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ამაღელვეთ.
– ვშიშობ, იმედი გაგიცრუვდებოდათ, თუ გიამბობდით, იქ რატომ ვიჯექი .
– მართლა? გულწრფელობის გარდა დაჭრილის საწოლთან ჯდომას რა მოტივი უნდა ჰქონოდა?! არ ვიცი, რა, ზრუნვა?
– მეუხერხულებოდა, მაგრამ მაიძულეთ. აქ მოწყენილობაა, თქვენ კი ერთობ წარმტაცად ბოდავდით. გამოგიტყდებით, თქვენ მოსასმენად მოვდიოდი ხოლმე, გასართობად. ახლა რასაც მელაპარაკებით, გაცილებით ნაკლებადაა საინტერესო. ამას არ მოველოდი. გონს მოსასვლელად ათამდე დავითვალე. მერე ერთხელაც. არ მიშველა – ამ ქალის მიმართ უმაღლესი ხარისხის, სუფთა და ნათელი სიძულვილით განვიმსჭვალე.
– ერთ ღერ სიგარეტს ხომ ვერ მომაწევინებდით? გახსნილი პორტსიგარი გამომიწოდა.
– გმადლობთ, – ვთქვი, – თქვენთან საუბარი მეტად საინტერესო იყო.
– მართლა?
– დიახ, – ვთქვი და ვიგრძენი, ხომ სიგარეტი ხელში მითრთოდა. ამან სულ მთლად გამაცოფა, – თქვენ მე შთამაგონეთ.
– ეგ როგორ?
– აი, მაგალითად, რამდენიმე წუთის წინ თქვენ იასამნის რეალურობაში ეჭვი შეიტანეთ, თუმცა იასამნით სავსეა ქალაქი. უჩვეულო აზრი იყო, თანაც სუფთად რუსული.
– რა ნახეთ აქ სპეციფიკურად რუსული?
– რუსი ხალხი დიდი ხანია მიხვდა, რომ ცხოვრება სიზმარია. იცით, რას ნიშნავს სიტყვა «ძუკუბა»?

– ვიცი, – გამიღიმა ანამ, – თუ არ ვცდები, დემონია, რომელიც ქალად გადაიქცევა და მამაკაცებს ხიბლავს ხოლმე. რა შუაშია?
ისევ ათამდე დავითვალე. განწყობა არ შემცვლია.
– სწორედაც რომ შუაშია. რუსები ამბობენ, ყველა ქალი ძუკნააო, სიტყვა «ძუკნა» შემოკლებული «ძუკუბაა». კათოლიციზმიდანაა შემოსული. ხომ გახსოვთ – ცრუ დიმიტრი მეორე
, პოლონელთა გარემოცვა, ერთი სიტყვით, არეულობა. სწორედ იქიდან მოდის. სხვათა შორის, პანმონღოლიზმიც ამავე წარმოშობისაა – ახლახან ვფიქრობდი ამის შესახებ... დიახ... თუმცა თემას გადავუხვიე. მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ თვით ფრაზა «ყველა ქალი ძუკნაა», – ეს სიტყვები გულახდილი ნეტარებით წარმოვთქვი, – ნიშნავს, რომ ცხოვრება, როგორც თქვენ ბრძანებთ, არსებითად სიზმარია. ჰოდა, ძუკნებიც სიზმრის მოჩვენებები არიან, უფრო ზუსტად, ქალები.
ანამ ნაფაზი დაარტყა. ღაწვები შეეფაკლა და ბოროტი უნდა ვყოფილიყავი, რომ არ მეღიარებინა, თუ რარიგ მოუხდა სიწითლე მის ფერმკრთალ სახეს.
– ვფიქრობ ახლა, – თქვა, – შეგასხათ ეს შამპანური სიფათში თუ არა?
– რა მოგახსენოთ, – მივუგე, – მე თქვენ ადგილას ამას არ ვიზამდი. ჯერ ერთმანეთს ასეც არ გავშინაურებივართ. იმავ წამს გამჭვირვალე წვეთები მარაოდ შემომეფრქვა სახეში – ჭიქა თითქმის სავსე ჰქონდა და მისი შიგთავსი ისეთი ძალით მომესხა, ცოტა ხანს თვალშიც კი ვეღარ გამოვიხედე.
– მაპატიეთ, – თქვა დაბნეულმა, – ეს თქვენ თვითონ...
– არაფერია, – ვუთხარი.
შამპანურს ერთი მოსახერხებელი თავისებურება ახასიათებს – თუ ბოთლს ხელში აიღებთ, ყელს ცერით

დაუგმანავთ და რამდენჯერმე ღონივრად შეანჯღრევთ, თითქვეშიდან გამოდენილი მძლავრი ჭავლი იქამდე იჩქეფებს, ვიდრე ბოთლი მთლად არ დაიცლება. თუ არ ვცდები, ეს მეთოდი ჯერ კიდევ ლერმონტოვმა იცოდა – ერთი სტრიქონი აქვს, რომელშიც ამგვარი პირადი გამოცდილებაა გადმოცემული: «ვით ძველთაძველი ბოთლი ინახავს შუშხუნა ღვინის მჩქეფარ შადრევნებს». რა თქმა უნდა, ძნელია იმ კაცს მიუხვდე, რომელიც ბოროტებისკენ მიიდრიკა, შედეგად კი ვიღაც ჰუსარების მფრინავ პოლკოვნიკზე პოემა დაწერა. ასე რომ, ახლა არ მოვყვები მტკიცებას, ლერმონტოვი ქალებს შამპანურით წუწავდა-მეთქი, თუმცაღა ვთვლი, რომ ამის ალბათობა საკმაოდ მაღალია, მით უფრო, თუ სქესობრივი საკითხებისადმი მის მუდმივ ლტოლვასა და იმ თან მოკრძალებულ, თან დაუძლეველ ასოციაციებს გავითვალისწინებთ, რომელსაც ეს ოპერაცია მუდამ იწვევს, როცა ობიექტად ახალგაზრდა, ლამაზი ქალია შერჩეული. გამოგიტყდებით, მე ამ ასოციაციათა სრულფასოვან მსხვერპლად ვიქეცი. შამპანურის დიდი ნაწილი ანას ფრენჩსა და კაბას მიესხა. თავიდან სახეში დავუმიზნე, მაგრამ ბოლო წამს რაღაც უცნაურმა კეთილგონიერებამ ჭავლი ქვემოთ დამაშვებინა.

თავის გალუმპულ ფრენჩს დახედა და მხრები აიჩეჩა.

– იდიოტო, – წყნარად მითხრა, – საგიჟეთშია თქვენი ადგილი.

– არცთუ ორიგინალური აზრია, – ვთქვი და დაცლილი ბოთლი მაგიდაზე დავდგი.

დამთრგუნველი დუმილი ჩამოწვა. ურთიერთობათა შემდგომ რკვევას აზრი აღარ უჩანდა, ჩუმად ჯდომას და ერთმანეთის ყურებას – მით უფრო. ალბათ ანაც იმავეს გრძნობდა, მთელ რესტორანში მხოლოდ ერთმა მსუქანმა ბუზმა, მეთოდურად რომ ეხეთქებოდა

ფანჯრის მტვრიან მინას, იცოდა, თუ რა უნდა ექნა. მდგომარეობიდან მეზობელ მაგიდასთან მჯდომმა ერთ-ერთმა ოფიცერმა გამოგვიყვანა (ამ დროისათვის მათი არსებობაც კი გადავიწყებული მქონდა, თუმცა დარწმუნებული ვარ, არც მათ იცოდნენ, თუ რა უნდა ექნათ – საერთოდ), სწორედ იმან, ნემსი რომელმაც გაიკეთა.
– მოწყალეო ბატონო, – მომესმა მისი ღირსებით აღსავსე ხმა, – ნებას მომცემთ, რაღაც გკითხოთ?
– პატივი დამდეთ, – ვთქვი და მივუბრუნდი.
ხელში გახსნილი შავი საფულე ეჭირა და ლაპარაკისას შიგ ისე იცქირებოდა, გეგონება, ტექსტი დაუმალავს და იქიდან კითხულობსო.
– ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ, – თქვა, – შტაბსკაპიტანი ოვეჩკინი. შემთხვევით თქვენს საუბარს ყური მოვკარი. ცხადია, უნებურად. ხმამაღლა ლაპარაკობდით.
– დიახ. და მერე?
– მართლა გგონიათ, რომ ყველა ქალი მირაჟია?
– იცით, რა, – ვეცადე რაც შეიძლება თავაზიანად მეპასუხა, – ეს საკმაოდ რთული თემაა. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ მეთანხმებით, რომ მთელი სამყარო მირაჟია, მაშინ ქალების გამონაკლის და განსაკუთრებულ კატეგორიად მიჩნევას არავითარი საფუძველი არ გააჩნია.
– მაშ, მირაჟები არიან, – სევდიანად წარმოთქვა მან, – ასეც ვიცოდი. აგერ ერთი ფოტო მაქვს, ნახეთ. სურათს დავხედე. ზედ ერთი ყოვლად ჩვეულებრივი ქალი იყო გამოსახული, ქოთანში ჩარგული გერანის გვერდით იჯდა. შევამჩნიე, რომ ფოტოსკენ თვალი ანამაც გამოაპარა.
– ეს ჩემი საცოლე ნიურაა, – თქვა შტაბსკაპიტანმა, – უფრო სწორად, ყოფილი საცოლე. ახლა სად არის, წამოდგენა არ მაქვს. ვიხსენებ გარდასულ დღეებს –

ყველაფერი ცოცხლად წარმომიდგება თვალწინ. პატრიარქის ტბორებთან, ციგურებით, კიდევ ზაფხულში – აგარაკზე... სინამდვილეში კი ყველაფერი გაქრა, მოუბრუნებლად, და რომ არც არასდროს არსებულიყო, ვითომ რა შეიცვლებოდა ქვეყნიერებაზე? გესმით, რა საშინელებაა? არაფერი არ შეიცვლებოდა.
– მესმის, – ვთქვი, – დამეწმუნეთ, ნამდვილად მესმის.
– გამოდის, ნიურაც მირაჟია.
– დიახ, ასე გამოდის, – დავეთანხმე.
– აჰა, – თქვა და თავის თანამეინახეს, რომელიც გაღიმებული აბოლებდა, კმაყოფილმა გახედა, – მაშასადამე, თუ სწორად გაგიგეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩემი საცოლე ნიურაც ძუკნაა?
– რაა?
– ასე არ გამოდის? – თქვა შტაბსკაპიტანმა ოვეჩკინმა და თავის ამხანაგს კიდევ ერთხელ გახედა, – თუ ცხოვრება სიზმარია, მაშინ ყველა ქალი მხოლოდ გვესიზმრება. ჩემი საცოლე ნიურა ქალია, მაშასადამე, ისიც სიზმარია.
– დავუშვათ ასეა, მერე?
– წეღან არ თქვით, «ძუკნა» შემოკლებული «ძუკუბააო»? დავუშვათ, ნიურა, როგორც ქალი, მაღელვებს და თან მირაჟია – ხომ გამომდინარეობს აქედან აუცილებელი დასკვნა, რომ ნიურა ძუკნაა? გამომდინარეობს. მაგრამ ის თუ იცით, მოწყალეო ხელმწიფევ, რა შედეგი მოსდევს ამგვარი სიტყვების საჯაროდ წარმოთქმას? ყურადღებით შევხედე. ოცდაათ წლამდე იქნებოდა, დიდრონი, თავთავებივით ულვაშები მოეშვა, ოდნავ შემელოტებული მაღალი შუბლი და ცისფერი თვალები ჰქონდა. მის გარეგნობაში პროვინციული დემონიზმის მუხტი ისე აშკარად იგრძნობოდა, რომ ბრაზი მომერია.
– ყური მიგდეთ, – ვთქვი და თან ხელი ჯიბეში ჩავიცურე, პისტოლეტისკენ, – ნუ აჭარბებთ, თუ შეიძლება. პატივი არ მაქვს თქვენს საცოლეს ვიცნობდე და მის შესახებ

არანაირი აზრი არ გამაჩნია.
– იმგვარი ზოგადი ვარაუდის უფლებასაც ვერავის მივცემ, – თქვა შტაბსკაპიტანმა, – რომლიდანაც შესაძლო დასკვნის სახით გამოვა, რომ ჩემი საცოლე ნიურა ძუკნაა. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ აქ მე მხოლოდ ერთადერთ გამოსავალსღა ვხედავ.
თვალებით მბურღავდა, თან ხელი იარაღის ბუდეს დაადო და ნელ-ნელა გახსნა დაუწყო. ვიფიქრე, დავასწრებ და ვესვრი-მეთქი, მაგრამ მომაგონდა, რომ ბუდეში შპრიციანი კოლოფი ედო. სიცილი მომერია.
– ნემსი უნდა მიჩხვლიტოთ? – ვკითხე, – გმადლობთ, მაგრამ მორფის ატანა არა მაქვს. ადამიანს აშტერებს.
შტაბსკაპიტანმა ბუდეს ხელი უშვა და თავის კომპანიონს გახედა – ჩასუქებულ, სიცხისგან სახეაღაჟღაჟებულ ახალგაზრდა კაცს, ყურადღებით რომ ადევნებდა თვალყურს ჩვენს საუბარს.
– შეეშვი, ჟორჟ, – თქვა მან, გოროზად წამოდგა და ქარქაშიდან ხმალი დააძრო, – ამ ბატონს მე უნდა ვუჩხვლიტო.
ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა – ალბათ წამის მერე დაუნანებლად მივახვრეტდი, მით უფრო, რომ მისი სახის ფერი აპოპლექსიისკენ მიდრეკილებას მიანიშნებდა და დიდი ხნის სიცოცხლე მაინც არ ეწერა. მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა.
კარის მხრიდან ხმამაღალი შეძახილი გაისმა:
– ყველანი ადგილებზე! არ გაინძრეთ, თორემ გესვრით! მოვიხედე. შემოსასვლელში მაღალ-მაღალი, მხარბეჭიანი კაცი იდგა, რუხ კოსტიუმსა და ჟოლოსფერ პერანგში გამოწყობილი, მისი სახე ნებასა და ძალას ასხივებდა, პატარა, ჩავარდნილი ნიკაპი რომ არ ჰქონოდა, ანტიკურ ბარელიეფს დაამშვენებდა. თავგადახოტრილს ორივე ხელში რევოლვერები ეპყრა. ოფიცრები ადგილზე გაქვავდნენ, გადაპარსული ბატონი

ჩვენს მაგიდას სწრაფად მოუახლოვდა და შეჩერდა, თან ორივე ლულა იმათ თავებს მიაბჯინა. შტაბსკაპიტანმა თვალები აახამხამა.
– სდექ, – თქვა კაცმა, – აბა... სიწყნარე...
უეცრად სახეზე მრისხანება დაეფინა და ზედიზედ ორჯერ დააწვა სასხლეტებს. ორივე იარაღმა ფუჭად დაიჩხაკუნა.
– რუსული რულეტის შესახებ თუ გსმენიათ, ბატონებო? – იკითხა, – ჰა?
– გვსმენია, – მიუგო სახეღაჟღაჟამ.
– ჩათვალეთ, რომ ახლა თამაშობთ, მე კი ვითომ კრუპიე ვარ. პატივი მაქვს, გაცნობოთ, რომ ორივე დაფის მესამე ბუდეში საბრძოლო მასრები აწყვია. რაც გითხარით, თუ გაიგეთ, მანიშნეთ!
– როგორ განიშნოთ? – იკითხა შტაბსკაპიტანმა.
– ხელების აწევით, – თქვა გადაპარსულმა ბატონმა. ოფიცრებმა ხელები აწიეს. ძირს დაცემული ხმლის ჟღარუნმა შემაკრთო.
– აქედან წაეთრიეთ! – თქვა უცნობმა, – თანაც, შეეცადეთ, უკანმოუხედავად. ვერ ვიტან, უკან რომ იყურებიან ხოლმე.
ოფიცრებმა აღარ გაამეორებინეს – ცქვიტად და ღირსეულად მოუსვეს, მაგიდაზე დაუცლელი ჭიქები და აბოლებული პაპიროსი დატოვეს. წავიდნენ თუ არა, უცნობმა ნაგანები ჩვენს მაგიდაზე დააწყო და ანასკენ, რომელიც, როგორც მეჩვენა, ერთოშ კეთილგანწყობით უცქერდა, დარბაისლურად დაიხარა.
– ანა, – თქვა და ხელზე ეამბორა, – რა კარგია, რომ შეგხვდით.
– გამარჯობა, გრიგორი, – თქვა ანამ, – დიდი ხანია, ჩამოხვედით?
– ეს წუთია, – თქვა თავგადახოტრილმა ბატონმა.
– თქვენი რაშებია, ფანჯრის ქვეშ რომ ჭიხვინებენ?

– ჩემებია.
– ხომ გამაჭენებინებთ?
კაცმა გაუღიმა.
– მიყვარხართ, გრიგორი, – თქვა ანამ.
გადაპარსული კაცი მომიბრუნდა და ხელი გამომიწოდა.
– გრიგორი კოტოვსკი
– პიოტრ პუსტოტა, – მივუგე და ხელი ჩამოვართვი.
– აჰ, ეს თქვენ ბრძანდებით ჩაპაევის კომისარი? ლოზოვაიასთან დაჭრილი? მსმენია თქვენ შესახებ. გულითადად მახარებს, ჯანმრთელს რომ გხედავთ.
– ჯერ მთლად არ გამოჯანმრთელებულა, – თქვა ანამ და წამით გამომხედა.
კოტოვსკი ჩვენს მაგიდას მიუჯდა.
– მაინც რა უსიამოვნება მოგივიდათ იმ ბატონებთან?
– სიზმრის მეტაფიზიკაზე წავიკამათეთ, – ვთქვი.
კოტოვსკის მხიარულად გაეცინა.
– პროვინციულ რესტორნებში ასეთ თემებზე ლაპარაკი სად გაგონილა. ჰო, თუმცა გავიგე, ლოზოვაიაშიც ყველაფერი სადგურის ბუფეტში რაღაც ლაპარაკით დაწყებულა.
მხრები ავიჩეჩე.
– არ ახსოვს, – თქვა ანამ, – ძლიერი კონტუზიის შედეგად მეხსიერება ნაწილობრივ დაკარგული აქვს.
– იმედია, ჭრილობას მალე მოიშუშებთ, – თქვა კოტოვსკიმ და მაგიდიდან ერთ-ერთი რევოლვერი აიღო. დაფი გადახსნა, ჩახმახი რამდენჯერმე შეაყენა და დაუშვა, ხმადაბლა შეიგინა და თავი უკმაყოფილოდ გადააქნია. ჩემდა გასაოცრად შევნიშნე, რომ ყველა ბუდე მასრით იყო დატენილი.
– ეშმაკს წაუღია ეს ტულის ნაგანები, – თქვა და შემომხედა, – ვერ ენდობი. ერთხელ მათ გამო მაგარ შარში გავეხვიე...
იარაღი უკან, მაგიდაზე მიაგდო და თავი ისე გაიქნია,

თითქოს შავბნელ აზრებს იშორებსო.
– ჩაპაევი რას შვრება?
ანამ ხელი ჩაიქნია.
– სვამს, – თქვა, – საშინელებას ატრიალებს. გუშინ ქუჩაში გამოვარდა, პერანგისამარა, ხელში მაუზერით, ცას სამი ტყვია ესროლა, მერე ცოტა ხანს დაფიქრდა, ახლა სამჯერ მიწას დაახალა და დასაძინებლად წავიდა.
– მაღლა-მაღლა დაფრენს, – თქვა კოტოვსკიმ, – არ გეშინიათ, რომ ამ მდგომარეობაში შეიძლება თიხის ტყვიამფრქვევიც აამოქმედოს?
ანამ ცერად გამომხედა და იმწამსვე თავი ზედმეტად ვიგრძენი. ეტყობა, ისინიც ასე თვლიდნენ – ხანგრძლივი პაუზა თანდათან აუტანელი გახდა.
– ჰო, მართლა, პიოტრ, რა აზრის იყვნენ ის ბატონები სიზმრის მეტაფიზიკაზე? – მკითხა ბოლოს კოტოვსკომ.
– არაფერი ისეთის, – ვუპასუხე, – შტერები არიან. მაპატიეთ, სუფთა ჰაერზე მინდა გასვლა, თავი ამტკივდა.
– ჰო, გრიგორი, – თქვა ანამ, – მოდი, პიოტრი შინამდე მივაცილოთ და საღამოს პროგრამა მერე მოვიფიქროთ.
– გმადლობთ, – ვთქვი, – მარტოც შევძლებ, აქვეა, გზაც კარგად მახსოვს.
– შეხვედრამდე, – თქვა კოტოვსკიმ.
ანამ არც კი შემომხედა. წამომდგარიც არ ვიყავი, გატაცებით განაგრძეს საუბარი. კართან მივედი და მოვიხედე: ანა კისკისებდა და კოტოვსკის ხელზე ხელს ისე უცაცუნებდა, თითქოს ეუბნებოდა, კარგი, გეყოფა, ამდენს ნუ მაცინებო.
რესტორნიდან რომ გამოვედი, რესორებიანი მსუბუქი ეტლი დავინახე, შიგ ორი ნაცრისფერი ცხენი იყო შებმული. კოტოვსკის ეკიპაჟი უნდა ყოფილიყო. კუთხეში შევუხვიე და იმ ქუჩას ავუყევი, რომლითაც მე და ანა ცოტა ხნის წინ აქეთ დავეშვით. დღის სამი საათი იყო და საშინლად ცხელოდა. ვფიქრობდი, მას შემდეგ,

რაც გამოვიღვიძე, რამდენი რამ შეიცვალა-მეთქი – მშვიდი და წყნარი განწყობა უკვალოდ გამქრალიყო. ყველაზე უარესი კი ის გახლდათ, რომ კოტოვსკის ცხენები თავიდან ვერ ამოვიგდე. სასაცილოა, ასეთმა წვრილმანმა როგორ უნდა დამთრგუნოს-მეთქი. სიმართლე ითქვას, მინდოდა, იმ ნორმალურ მდგომარეობას დავბრუნებოდი, როცა ასეთი რამეები მართლა სასაცილოდაც არ მეყოფოდა, მაგრამ ვერ ვახერხებდი, რადგან თავს სულით ხორცამდე დამცირებულად ვგრძნობდი. ცხადია, ამის მიზეზი კოტოვსკი და მისი ბედაურები სულაც არ გახლდათ. ანა იყო ყველაფრის მიზეზი, მისი მოუხელთებელი და გამოუთქმელი სილამაზე, პირველი დანახვისთანავე რომ მაიძულა მეფიქრა, ამ მშვენიერების პატრონს უეჭველად ღრმა და ფაქიზი სული ექნება-მეთქი. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ რაღაც ცხენების გამო ანას გული მათი პატრონისკენ გაუწევდა. არადა, სწორედაც ასე იყო საქმე. საერთოდაც, ვფიქრობდი, ყველაზე უცნაური ისაა, რომ, მგონია, ქალს სხვა რამ სჭირდება-მეთქი. რას ამბობ? რა სულიერება, რის სულიერებაო. ისეთი სიცილი ამიტყდა, მახლობლად მობორიალე ქათმები დავაფრთხე. აი, ეს კი საინტერესო ამბავია-მეთქი, ვიფიქრე, საკუთარ თავს ხომ არ მოვატყუებდი, როცა ნამდვილად ასე მიმაჩნდა. კარგად თუ დავუკვირდებოდი, გამოდიოდა, რომ ჩემში იყო რაღაც, რასაც შეეძლო, ამ ქალის ყურადღება მიეპყრო და მის გულში ნებისმიერი წყვილი ბედაურის მფლობელზე მაღლა დავეყენებინე, მაგრამ თვით საკითხის ასე დაყენება უკვე თავისთავად გახლდათ დიდი უხამსობა – ამ დაშვებით წყვილ ცხენსა და ჩემში არსებულ ერთობ მაღალ ფასეულობებს ერთ დონეზე ვაყენებდი. ეს ორი რამ თუ ერთი დონისაა, მაშინ ანამ რატომღა უნდა განასხვავოს? და კაცმა რომ თქვას, ასეთს რას

წარმოადგენს ეს რაღაც «ჩემში არსებული რამ», რომ ანამ ყველაფერს ამჯობინოს? საერთოდაც რა არის ჩემი შინაგანი სამყარო? ის, რასაც მე ვფიქროშ და განვიცდი? საკუთარი თავი ისე შემძაგდა, რომ ამოვიკვნესე. მეყოს ეს ბაქიბუქი-მეთქი, ვიფიქრე. უკვე რამდენი წელია, ჩემი მთავარი პრობლემა სწორედაც ისაა, რომ ამ ფიქრებსა და განცდებს თავი მე თვითონ როგორმე დავაღწიო, რომ ეს ეგრეთ წოდებული ჩემი შინაგანი სამყარო სადმე სანაგვეზე მოვისროლო. მაგრამ თუნდაც წამით დავუშვათ, რომ იგი რაღაცით ღირებულია, თუნდაც ესთეტიკური თვალსაზრისით, ეს მაინც არაფერს არ ცვლის, რადგან ადამიანში არსებული მშვენიერება მეორე ადამიანისთვის მიუწვდომელია, მეტიც, თვით მისთვისაა მიუწვდომელი, ვისშიც ეს მშვენიერება ბუდობს. განა შესაძლებელია, შინაგანი მზერა საკუთარ თავს მიაპყრო და თქვა – აი, ესაა, რაცაა, ეს იყო, არის და იქნებაო? განა შესაძლებელია, ამ მშვენიერებას დაეუფლო, ან გაარკვიო, საერთოდაც ვისი საკუთრებაა? ან არის კი ვინმესი? კოტოვსკის ბედაურებთან რას მივა მოუხელთებელი «რაღაც», რასთანაც არანაირი საერთო არ გამაჩნია და რაც მხოლოდ და მხოლოდ წამით დამინახავს ცხოვრების გზაზე? რა უფლებით ვამტყუნებ ანას, თუ ვერ ხედავს იმას, რასაც აგერ უკვე დიდი ხანია, თვითონვე ვეღარ ვხედავ? მართლა რა სიბრიყვეა – თვით იმ იშვიათ წამებშიც კი, როდესაც, ეგებ მთავარი მიპოვია და ნათლად შემიგრძნია, განა შემძლებია მისი გამოხატვა? არანაირად. ხომ არის ხოლმე, იტყვის კაცი ზუსტ ფრაზას ფანჯრიდან დაისის შემხედვარე, ეგ არის და ეგ. თვითონაც დიდი ხანია გულს მირევს, რასაც დაისების და აისების დანახვისას ვამბობ. ჩემს სულს არანაირი განსაკუთრებული სილამაზე არ გააჩნია, ამ დროს კი, პირიქით, ანაში დავეძებ იმას, რაც მე თვითონ არა მაქვს-მეთქი. ანას რომ ვხედავ, ჩემგან მხოლოდ

ყოვლის შთანმთქმელი სიცარიელე რჩება, რომელსაც მხოლოდ მისი არსებობა ავსებს, მისი ხმა, მისი სახე. ჰოდა, რა უნდა შევთავაზო კოტოვსკის ბედაურებით გასეირნების სანაცვლოდ? ჩემი თავი? თუ ის, რომ მასთან სიახლოვეში მინდა იმ კითხვის პასუხი ვიპოვო, რომელიც ჩემს სულს სატანჯველად მოვლინებია? ეს ხომ აბსურდია. მაგას ჯობდა, მე თვითონაც მესეირნა კოტოვსკის ბედაურებით.
შევჩერდი და გზისპირას სიპ ქვაზე ჩამოვჯექი. პაპანაქება იდგა. გულგატეხილი და დათრგუნული ვიყავი. არ მახსოვს, თავი ასე საზიზღრად მეგრძნოს. შამპანურის მჟავე სიმყრალე, ჩემს ფაფახს რომ გასჯდომოდა, იმწამს ჩემივე სულის ჭეშმარიტ სავიზიტო ბარათად მესახებოდა. ირგვლივ გულგრილი და მაბრუებელი ზაფხული იდგა, სადღაც ზარმაცად ყეფდნენ ძაღლები, ციდან კი მზე მიწას ტყვიამფრქვევით უშენდა სხივებს. როგორც კი გონებაში ამ შედარებამ გამიელვა, იქვე ისიც გამახსენდა, რომ ანა თავის თავს მეტყვიამფრქვევეს უწოდებდა; თვალებზე ცრემლი მომადგა და სახე ხელისგულებში ჩავმალე.
რამდენიმე წუთის შემდეგ წამოვდექი და კვლავ აღმართს შევუდექი. შვება ვიგრძენი, მეტიც, ყველა აზრი, სულ ახლახან ჩემს სულში რომ ჩაიქროლა და თითქოს ბოლომდე გადამთელა, უეცრად ნატიფი სიამოვნების წყაროდ გადამექცა. სევდა, რომლითაც მოცული გახლდით, წარმოუდგენლად ტკბილი აღმოჩნდა და მე ვიცოდი, ერთი საათიც არ გაივლიდა, მას კვლავ მოვუხმობდი, მაგრამ ამაოდ.
სასახლეს მივაღწიე. ჭიშკარზე რამდენიმე ცხენი მიებათ, რომლებიც წასვლისას არ შემინიშნავს. გარდა ამისა, ერთი ფლიგელის საკვამურიდან კვამლი ამოდიოდა. შესასვლელთან შევჩერდი. იქით აღმართი

მოსახვევში, ხშირ სიმწვანეში იკარგებოდა, არც ერთი სახლი არ ჩანდა და ვერ გაიგებდი, სად მიდიოდა. არც არავის ნახვა არ მსურდა. ეზოში შევედი და ნელი ნაბიჯით შენობას ირგვლივ შემოვუარე.
– მოდი, შუბლი მომიშვირე, შე სულელო დედაკაცო! – გაისმა მამაკაცის ბოხი ღრიალი მეორე სართულიდან. ეტყობა, ბანქოს თამაშობდნენ.
სახლის კუთხემდე მივედი, მოვუხვიე და უკანა ეზოში აღმოვჩნდი. მოულოდნელად თვალწინ ბუნების წარმტაცი სურათი გადამეშალა – კედლიდან რამდენიმე მეტრში მიწა დაბლა ეშვებოდა და ხეების ჩრდილში ჩაფლულ მდელოს ქმნიდა, სადაც ნაკადული მიჩუხჩუხებდა, მოჩანდა ორი-სამი სამეურნეო ნაგებობის სახურავი, მოშორებით კი თივის ვეება ზვინი აღმართულიყო – ზუსტად ისეთი, ჟურნალ «ნივას» ფურცლებზე დაბეჭდილ იდილიური ჟანრის ნახატებზე რომ იყო ხოლმე გამოსახული. უცებ საშინლად მომინდა, ამ თივაში ჩავგორებულიყავი და იქით გავეშურე. ათიოდე ნაბიჯიღა მრჩებოდა, როცა ხეებიდან მოულოდნელად თოფიანი კაცი გამომიხტა და გზა უსიტყვოდ გადამიღობა.
ჩემ წინ სწორედ ის ბაშკირი იდგა, რომელიც საშტაბო ვაგონის რესტორანში გვემსახურებოდა, მერე კი ფეიქრებიანი ვაგონები ჩახსნა, ოღონდაც ამჯერად სახეს მეჩხერი შავი წვერი უფარავდა.
– მომისმინეთ, – ვუთხარი, – ჩვენ ხომ ვიცნობთ ერთმანეთს. თივაში ჩაწოლა მინდა, სხვა არაფერი. გპირდებით, თამბაქოს არ მოვწევ.
ბაშკირი, თითქოს ჩემი ნათქვამი არც კი გაუგონიაო, უმეტყველო თვალებით მომჩერებოდა. შევეცადე, გვერდი ამევლო, მაგრამ უკან დაიწია, შაშხანა აღმართა და ხიშტი ყელზე მომაბჯინა.
შემოვტრიალდი და უკან წამოვეხეტე. გამოგიტყდებით,

ამ ბაშკირის საქციელში რაღაც შემაშინებელი ამოვიკითხე – ხიშტი რომ მომიღერა, თითქოს შუბი ყოფილიყოს და წარმოდგენა არ ჰქონოდეს, რომ ამ იარაღით სროლაც იყო შესაძლებელი. ამიტომაც იმგვარი ველური სტეპის ძალა გამოაფრქვია, რომ ბრაუნინგი ჩემს ჯიბეში უვნებელ საბავშვო სათამაშოდ მომეჩვენა. თუმცა ეს ყველაფერი ნერვების ამბავი გახლდათ. ნაკადულს რომ მივაღწიე, უკან მოვიხედე. ბაშკირი აღარსად ჩანდა. წყლის პირას ჩამოვჯექი. ჩემი ფაფახი დიდხანს ვრეცხე. უცებ შევნიშნე, რომ ნაკადულის რაკრაკს თითქოს რაღაც უცნაური ინსტრუმენტის ჟღერა ერთვოდა, ხმადაბალი და საამო. უახლოესი ქოხიდან (სახურავზე ამოჩრილი მილის მიხედვით შიგ აბანო უნდა ყოფილიყო) სიმღერა ისმოდა:

– თეთრი პერანგით ნელა მივდივარ ველზე...

და წეროები, როგორც სამრეკლოს ჯვრები...

ეს სიტყვები რაღაცნაირად გულში ჩამწვდა და გადავწყვიტე მენახა, ვინ მღეროდა. ფაფახი გავწურე, ქამარში ჩავიმაგრე, ფარდულს მივუახლოვდი და დაუკაკუნებლად შევაღე. შიგნით ახლად გარანდული ფიცრებით შეკრული ფართო მაგიდა და ორი სკამძელი დამხვდა. მაგიდაზე შემღვრეული სითხით სავსე ვეება ბოთლი, ჭიქა და რამდენიმე თავი ხახვი ეწყო. უახლოეს სკამძელზე ჩემკენ ზურგით თეთრპერანგამოჩაჩული კაცი იჯდა.

– ბოდიშს მოვიხდი, – ვთქვი, – ამ ბოთლში შემთხვევით ვოდკა ხომ არ ასხია?

– არა, – თქვა კაცმა უკანმოუხედავად, – სამოგონია. ჩაპაევი გახლდათ.

მოულოდნელობისგან შევკრთი.

– ვასილი ივანოვიჩ!

– პეტკას გაუმარჯოს, – თქვა და ღიმილად დაიღვარა, –

ვხედავ, წამომდგარხარ.
წარმოდგენა არ მქონდა, როდის აქეთ ვიყავით ერთმანეთთან «შენობით», თუმცა ამას გარდა სხვაც ბევრი რამ ამომვარდნოდა მეხსიერებიდან. ჩაპაევი ოდნავ ეშმაკურად მიმზერდა, შუბლზე სველი კულული ჩამოშლოდა, პერანგი ჭიპამდე ჩაეღეღა, ნაბახუსევი ჩანდა და იმდენად აღარ ჰგავდა ჩემს ხსოვნაში შემორჩენილ იერსახეს, რომ რამდენიმე წამით დავფიქრდი კიდეც, რამე ხომ არ მეშლება-მეთქი.
– ჩამოჯექი, პეტკა, ჩამოჯექი, – თქვა ჩაპაევმა და მეორე სკამძელზე მანიშნა.
– მითხრეს, ვასილი ივანოვიჩი ქალაქიდანაა გასულიო, – ვთქვი და დავჯექი.
– ერთი საათის წინ დავბრუნდი, – თქვა, – და პირდაპირ აბანოში ვდურთე თავი. სიცხეში მისწრებაა. ჩემსას რას კითხულობ, შენი მითხარი. როგორ ხარ?
– ნორმალურად, – ვთქვი.
– ამდგარხარ, ფაფახიც დაგიხურავს და ქალაქშიც გაგივლია. შეეშვი ამ «გმირობანას». შენზე ამბობენ, მეხსიერება ჩაეყლაპაო, მართალია?
– დიახ, – ვთქვი, თან შევეცადე ეს ბუფონადური ფრაზეოლოგიური უცნაურობები არაფრად ჩამეგდო, – ვინ მოასწრო ენის მოტანა?
– სემიონმა, შენმა დენშჩიკმა. მართლა არაფერი აღარ გახსოვს?
– მოსკოვში მატარებელში რომ ჩავსხედით, ეგ მახსოვს,
– ვთქვი, – დანარჩენი, თითქოს ნაჯახით ჩამოსხიპესო. იმასაც კი ვერ ვიხსენებ, ერთმანეთს შენობით როდის აქეთ მივმართავთ.
ჩაპაევი რამდენიმე წუთის განმავლობაში სახეს თვალმოჭუტული მითვალიერებდა, თითქოს ჩემ იქით გამჭოლად იცქირებაო.
– ჰო, – თქვა ბოლოს, – ყველაფერი გასაგებია. ცუდი

ამბავია. პეტკა, ასე მგონია, რაღაცას მიჰქარავ.
– მაინც რას?
– არა, თუ გინდა, მიჰქარე, – იდუმალი ხმით მითხრა ჩაპაევმა, – ახალგაზრდა კაცი ხარ. «შენობითზე» კი მე და შენ სადგურ ლოზოვაიაზე გადავედით, ბრძოლის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე.
– მაინც რა ბრძოლა იყო ასეთი, – ვკითხე დაღონებულმა,
– ბევრჯერ შემახსენეს, არადა, ვერ ვიგონებ, ეგ არის, მყისვე თავი ამტკივდება ხოლმე.
– ჰოდა, თუ გტკივდება, შენც ნუ დაფიქრდები. დალევა ხო გინდა? აიღე და დალიე.
ბოთლიდან ჭიქაში ჩამომისხა, გამიპიპინა და ჩემკენ გამოაჩოჩა.
– იდღეგრძელეთ, – ირონიულად წარმოვთქვი და გადავკარი. მიუხედავად შემაშინებელი სიმღვრივისა, სამოგონი დიდებული გამოდგა, მგონი, რაღაც ბალახებზე იყო დაყენებული.
– ხახვი გინდა?
– ჯერ არა, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა, ცოტა ხანში იმ მდგომარეობასაც მივაღწიო, როცა სამოგონზე ხახვის დაყოლების სურვილი გიჩნდება.
– რატომ მოგიწყენია? – მკითხა ჩაპაევმა.
– არაფერია, – ვუპასუხე, – ვფიქრობ.
– მაინც რას ფიქრობ?
– ვასილი ივანოვიჩ, ნუთუ მართლა გაინტერესებთ, რას ვფიქრობ?
– აბა რა, – თქვა ჩაპაევმა, – მაგას რა თქმა უნდა?!
– რას ვფიქრობ და, ვასილი ივანოვიჩ, იმას ვფიქრობ, რომ ლამაზი ქალის სიყვარული მუდამ წყალობაა, იმიტომ რომ ასეთი სიყვარულის ღირსი არავინ არ შეიძლება იყოს.
– ბიჭოს, ბიჭოს! – მანჭვით თქვა ჩაპაევმა.
– მორჩით მასხრობას, – ვთქვი, – მე სერიოზულად

გელაპარაკებით.
– სერიოზულად? – მკითხა ჩაპაევმა, – კეთილი. მაშინ მისმინე – წყალობა ყოველთვის რაღაც ერთიდან მომდინარეობს და მეორესთან მიემართება. აი, როგორც ეს პატარა თხრილი. ახლა მითხარი, ვისგან მოდის და ვისთან მიდის ეგ შენი წყალობა? დავფიქრდი. ვხვდებოდი, საითაც უმიზნებდა. თუ ვიტყოდი, სილამაზე და მშვენიერება მახინჯსა და ტანჯულს შეიწყალებს-მეთქი, იმწამსვე მკითხავდა, იცის კი სილამაზემ, რომ სილამაზეა, და თუ იცის, მაშინ ეგ რაღა სილამაზე გამოდისო. ამ საკითხზე ფიქრში არაერთი გრძელი პეტერბურგული ღამე მითენებია, მაგრამ პასუხისთვის ვერ მიმიგნია. თუ ვიტყოდი, რომ სილამაზემ არ იცის, რომ სილამაზეა-მეთქი, მიპასუხებდა, აბა, მაშინ წყალობა რაღა შუაშიაო. აშკარად არ იყო მარტივი კაცი ჩაპაევი.
– მოდი, ასე ვთქვათ, ვასილი ივანოვიჩ – ვიღაცის და რაღაცის მიერ ვიღაცის და რაღაცის მიმართ წყალობა კი არა, არამედ წყალობის აქტი, თავისთავად მოცემული. ასე ვთქვათ, ონტოლოგიური წყალობა.
– და ეგ შენი ენტო ლოგიკური წყალობა სად ხდება? – მკითხა ჩაპაევმა, დაიხარა და მაგიდის ქვეშიდან კიდევ ერთი ჭიქა ამოიღო.
– ასეთი კამათისთვის მზად არ ვარ.
– მაშინ კიდევ დავლიოთ, – თქვა ჩაპაევმა.
დავლიეთ. რამდენიმე წამის განმავლობაში იჭვნეულად ვუცქერდი ხახვის თავს.
– აბა, – თქვა ჩაპაევმა ულვაშების წმენდით, – მითხარი, სად ხდება ეგ შენი წყალობა?
– თუ შეძლებთ, რომ სერიოზულად დამელაპარაკოთ, მაშინ გეტყვით.
– ჰო, მიდი, მიდი, მითხარი.
– სიმართლე გითხრათ, არავითარი წყალობა არ

არსებობს. უბრალოდ, ასეთი სიყვარული წყალობად აღიქმება.
– სად აღიქმება?
– ცნობიერებაში, ვასილი ივანოვიჩ, ცნობიერებაში, – სარკაზმით მივუგე.
– ანუ, უბრალოდ რომ ითქვას, თავში, არა?
– უხეშად თუ ვიტყვით, დიახ.
– და სიყვარული სადღა ხდება?
– იქვე, ვასილი ივანოვიჩ, უხეშად თუ ვიტყვით.
– ჰოდა, – თქვა კმაყოფილმა ჩაპაევმა, – ესე იგი შენ გაინტერესებს, სიყვარული ყოველთვის წყალობაა თუ არა, ასეა?
– დიახ.
– სიყვარული ხომ შენს თავშია?
– დიახ.
– და ეგ შენი წყალობაც?
– დიახ, ასე გამოდის, ვასილი ივანოვიჩ. მერედა, რა?
– ამ დღეში როგორ ჩაიგდე თავი, პეტკა, რომ დამჯდარხარ და მე, შენს საბრძოლო მეთაურს, მეკითხები, ის, რაც ჩემს თავში ხდება, ყოველთვის ხდება თუ არაო?!
– სოფისტიკაა, – ვთქვი და გადავხუხე, – წმინდა წყლის სოფისტიკაა. და საერთოდაც, თავს რატომ ვიწვალებ? ეს ყველაფერი ერთხელ ხომ უკვე გადამხდა პეტერბურგში, მუქმეწამული კაბით მოსილი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ასევე დგამდა ცარიელ ჭიქას სუფრაზე და მეც ზუსტად ასევე მივძვრებოდი ჯიბეში ცხვირსახოცის ამოსაღებად…
ჩაპაევმა ისეთი ხველა ატეხა, ჩემი ხმა გადაფარა და მეც ჩუმად, ღმერთმა იცის, ვის გასაგონად, ტირადა ასე დავასრულე:
– რას ვერჩი იმ გოგოს? განა არ ვიცი, რომ წარსულს ვეღარ დავაბრუნებ? შესაძლოა, გარეგნულად

ყველაფერს ზედმიწევნით მიბაძო, მაგრამ რაც იყო, ის აღარ განმეორდება, აღარასოდეს...
– რაებს ჩმახავ, პეტკა, – თქვა ჩაპაევმა და ჩაიცინა, – რა ჭიქაო, რის კაბაო?
– თქვენ, რა, ვასილი ივანოვიჩ, – ვკითხე, თავს ძლივს ვიკავებდი, რომ არ ავფეთქებულიყავი, – ამ დღეებში ტოლსტოი ხომ არ გადაგიკითხავთ? გინდათ, რომ ხეპრედ გამოჩნდეთ?
– არავითარი ტოლსტოების გადაკითხვა ჩვენ არ გვჭირდება, – თქვა ჩაპაევმა, – შენ კიდევ, თუ ანკას გამო იტანჯები, მაშინ გეტყვი, რომ ყველა დედაკაცს თავისი გასაღები უნდა მოარგო. ანკას გულისთვის ჩამოხმი ასე? ხომ გამოვიცანი?
თვალები ორ წვრილ, ეშმაკურად მოციმციმე ჭუჭრუტანად გადაექცა. მერე უეცრად მაგიდას მუშტი დასცხო.
– პასუხი გაეცი, როცა დივიზიის მეთაური გეკითხება! ცხადი შეიქნა, რომ მის დღევანდელ გუნება-განწყობილებას ვერაფერს მოვუხერხებდი.
– მოვრჩეთ ამაზე, – ვთქვი, – მოდი, ვასილი ივანოვიჩ, თითოც დავლიოთ.
ჩაპაევმა ჩაიხითხითა და ჭიქები შეავსო.
მომდევნო რამდენიმე საათი ბუნდოვნად მახსოვს. მაგრად გამოვთვერი. მე მგონი, ომზე ვილაპარაკეთ – ჩაპაევმა პირველი მსოფლიო მოიგონა. დამაჯერებლად ყვებოდა გერმანული კავალერიის, მდინარეზე რაღაც პოზიციის, მომწამვლელი გაზით შეტევის, ტყვიამფრქვევებიანი წისქვილების შესახებ. ერთხელ ძლიერ აღეგზნო და თვალების ბრიალით იყვირა:
– ოჰ, რომ იცოდე, პეტკა, ომში მე რა ვარ, მაგრამ შენ ეს საიდან უნდა იცოდე! ჩაპაევს სამად სამი დარტყმა აქვს, გაიგე?!
თავი მექანიკურად დავუკანტურე, უყურადღებოდ

ვუსმენდი.
– დარტყმა პირველი – სად!
მაგიდას მუშტი ისეთი ძალით დასცხო, ბოთლი კინაღამ გადმოაგდო.
– მეორე – როდის!
ისევ ძლიერად დაუშვა მუშტი მაგიდაზე.
– და მესამე – ვინ!
სხვა სიტუაციაში ამას სპექტაკლად აღვიქვამდი, მაგრამ სიცხემ და სამოგონმა ისე მომადუნა, რომ ყვირილისა და ბრაგუნის მიუხედავად, სკამძელზე მიმეძინა და რომ გავიღვიძე, უკვე ბნელოდა, შორიდან კი ცხვრების ბღავილი ჩამესმოდა.
მაგიდიდან თავი ავიღე და მიმოვიხედე. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს პიტერში, მეეტლეების ტრაქტირში ვიმყოფებოდი. მაგიდაზე ნავთის ლამპა ენთო. ჩაპაევი ისევ იქ იჯდა, ჭიქით ხელში, კედელზე თვალმიშტერებული რაღაცას ღიღინებდა. თვალები მასაც თითქმის იმ სამოგონივით ამღვრეოდა, ნახევრად დაცლილ ბოთლში რომ ესხა. მისივე მანერით ხომ არ გამოველაპარაკო-მეთქი, ვიფიქრე და გადაჭარბებული სითამამით მაგიდას მუშტი დავცხე.
– აბა, ახლა თქვენ მითხარით, ვასილი ივანოვიჩ, ოღონდ მართლა. წითელი ხართ თუ თეთრი?
– მე? – ჩაპაევმა კედლიდან მზერა ჩემზე გადმოიტანა, – გითხრა?
მაგიდიდან ორი თავი ხახვი აიღო და უსიტყვოდ გაფცქვნა დაუწყო. ერთი სულ გაატყავა, მეორეს კი კანის მხოლოდ ერთი თხელი ფენა შემოაცალა და მოწითალო-მოიისფრო ფურცელი გაუშიშვლა.
– უყურე, პეტკა, – თქვა და ხახვები წინ დაილაგა, – აი, ორი თავი ხახვი. ერთი წითელი და მეორე თეთრი.
– მერე?
– აბა, თეთრს შეხედე.

– შევხედე.
– ახლა წითელს.
– მერე, რა?
– ახლა ორივეს.
– ვუყურებ, – ვთქვი.
– ჰოდა, თქვი ახლა, წითელი ხარ თუ თეთრი?
– მე? ეს როგორ?
– წითელ ხახვს როცა უყურებ, წითელი ხდები?
– არა.
– და თეთრს რომ უყურებ, თეთრი ხარ?
– არა, – ვთქვი, – არა ვარ.
– კარგი, განვაგრძოთ, – თქვა ჩაპაევმა, – გეოგრაფიული რუკა ხომ არსებობს. ეს მაგიდა ცნობიერების გამარტივებული რუკაა. აი, წითლები, აი, თეთრები. მაგრამ განა იმის გამო, რომ ფერებს აღვიქვამთ, ჩვენ თვითონაც ვფერადდებით? და რა არის ჩვენში, რასაც შეუძლია, ფერი მოგვანიჭოს?
– საით გაუტიეთ, ვასილი ივანოვიჩ. ესე იგი არც წითლები, არც თეთრები. მაშ, ვინ გამოვდივართ?
– პეტკა, სანამ რთულ საკითხებს მიადგებოდე, ჯერ მარტივ ამბებში უნდა გაერკვე. «ჩვენ» ხომ უფრო რთულია, ვიდრე «მე»? ასე არაა?
– ასეა, – ვთქვი.
– «მე»-ს რას ეძახი?
– ალბათ ჩემს თავს.
– შეგიძლია მითხრა, ვინ ხარ?
– პიოტრ პუსტოტა.
– ეგ სახელია, ის ვინაა, ვისაც ეს სახელი ჰქვია?
– შეიძლება ითქვას, – ვუპასუხე მე, – რომ «მე» ფსიქიკური პირია, ჩვევების, გამოცდილების ერთობლიობა... ცოდნისაც, გემოვნებისაც.
– ეგ ჩვევები ვიღასია, პეტკა? – შემომიტია ჩაპაევმა.
– ჩემია, – მხრები ავიჩეჩე მე.

– წეღან არა თქვი, თვითონ მე ჩვევების ერთობლიობა ვარო. თუ ჩვევები შენია, გამოდის, რომ თვით ჩვევები ჩვევების ერთობლიობისა ყოფილა.
– სასაცილოდ კი გამოდის, – ვთქვი, – მაგრამ არსებითად მართლაც ასეა.
– ბარემ ისიც მითხარი, ჩვევებს რა ჩვევები აქვთ ხოლმე?
ბრაზი მომერია.
– საკმაოდ პრიმიტიული საუბარი გამოგვივიდა. აკი იმით დავიწყეთ, რომ უნდა გამერკვია, თუ არსებითად ვინ ვარ. თუ გნებავთ, შემიძლია საკუთარი თავი... ლეიბნიცს თუ დავესესხები, მონადად ჩავთვალო.
– ის ვინღაა, ვინც საკუთარ თავს მაგ მანდად თუ რაღაცად თვლის?
– თვით მონადა თვლის, – მივუგე და მტკიცედ გადავწყვიტე, თავი ხელში ამეყვანა.
– კეთილი, – თქვა ჩაპაევმა და თვალები ცბიერად მოჭუტა, – ვინ რა არის, მერე გავარკვიოთ. ახლა, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მოდი ის ვთქვათ, თუ «სად». მითხარი ერთი, ეგ მანდა სად ცხოვრობს?
– ჩემს ცნობიერებაში.
– შენი ცნობიერება სადღაა?
– აი, აქ, – თითი თავში ჩავიკაკუნე.
– თავი სადღაა?
– მხრებზე.
– მხრები?
– ოთახში.
– ოთახი სადღაა?
– სახლში.
– სახლი?
– რუსეთში.
– რუსეთი სად არის?
– რუსეთი გასაჭირშია, ვასილი ივანოვიჩ.

– მაგას შეეშვი, – დამიბღვირა, – მაშინ იხუმრებ, როცა მეთაური გიბრძანებს.
– სად უნდა იყოს, დედამიწაზეა.
– დედამიწა სადაა?
– სამყაროში.
– სამყარო სადღაა?
წამით დავფიქრდი.
– სამყარო თავისთავშია.
– ეს თავისთავი სადღაა?
– ჩემს ცნობიერებაში.
– ჰოდა, რა გამოდის, პეტკა, შენი ცნობიერება შენსავე ცნობიერებაშია?
– ეგრე გამოდის.
– კარგი, – თქვა ჩაპაევმა და ულვაშები გადაიგრიხა, – ახლა ყურადღებით მომისმინე. ეგ შენი ცნობიერება რა ადგილასაა?
– ვერ ვიგებ, ვასილი ივანოვიჩ. ადგილის ცნება თავადვეა ცნობიერების ერთ-ერთი კატეგორია, ასე რომ...
– სად არის ეს ადგილი? ადგილის ცნება რა ადგილასაა?
– დავუშვათ, ამას ადგილი საერთოდაც არ ეთქმის, ეს, ასე ვთქვათ, რე...
ენა დამება. აჰა, ვიფიქრე, აი, თურმე საით უმიზნებს. თუკი მე სიტყვა «რეალობას» წარმოვთქვამ, ის ყველაფერს ისევ ჩემს აზრებამდე დაიყვანს, მერე კი შემეკითხება, ეგ შენი აზრები სადღააო. ვეტყვი, ჩემს თავში-მეთქი და... გამბიტია. რა თქმა უნდა, შემიძლია, ციტატები მოვიშველიო, მაგრამ ნებისმიერი სისტემა, რომელსაც მოვიხმობ, გავიფიქრე მოულოდნელად, ან გვერდს აუვლის, ან საეჭვო ლათინიზმებით ამოავსებს ამ აზრობრივ ღრიჭოს-მეთქი. ჩაპაევი მართლაც, არაჩვეულებრივი კაცი იყო. ცხადია, არსებობს ნებისმიერი კამათის დაუმარცხებლად დასრულების

უებარი საშუალება, მოპაექრე კლასიფიკაციაში მოაქციო და განუცხადო, მე სათქმელი არაფერი მაქვს, რადგან ყველაფერი, რასაც შენ ამბობ, დიდი ხანია საქვეყნოდ ცნობილია, სახელად ესა და ეს ჰქვია, მაგრამ ადამიანის აზროვნება დიდი ხანია წინ წავიდა და ეგ შენი შეხედულებები უკან მოიტოვაო. მაგრამ შემრცხვა – თვითკმაყოფილ სტუდენტ გოგონას დავმსგავსებოდი, შიგადაშიგ ფილოსოფიის სახელმძღვანელო რომ გადაუფურცლავს. აკი ამ ცოტა ხნის წინ მე თვითონ ვუთხარი ბერდიაევს, რაც მან რუსული კომუნიზმის ბერძნული ფესვების თაობაზე მთვრალი საუბარი გამიბა, ფილოსოფიას უმჯობესია ტყვილოსოფია ერქვას-მეთქი.

ჩაპაევს ჩაეცინა.

– მაინც სად «წინ» წავიდა ადამიანის აზროვნება?

– ჰა? – ვთქვი დაბნეულმა.

– რის წინ? ეს «წინ» სადღაა?

ვიფიქრე, ეტყობა, წეღან დაბნეულობისგან ჩემს ფიქრებს ხმამაღლა თუ წარმოვთქვამდი-მეთქი.

– მოდი, ვასილი ივანოვიჩ, როცა გამოვფხიზლდებით, მერე ვილაპარაკოთ. ფილოსოფოსი ხომ არა ვარ. ჯობია, დავლიოთ.

– ფილოსოფოსი რომ ყოფილიყავი, საჯინიბოში ნეხვის წმენდის გარდა სხვა საქმეს არ გაღირსებდი. არადა, ესკადრონი ჩაგაბარე. შენ ხომ ლოზოვაიასთან სულ, სულ ყველაფერს მიხვდი. ახლა რაღა დაგეტაკა? შიში თუ სიხარული?

– არაფერი არ მახსოვს, – ვთქვი და უცებ ვიგრძენი, რომ ნერვები საცაა დამაწყდებოდა, – არ მახსოვს.

– ეჰ, პეტკა, – ამოიოხრა ჩაპაევმა და ჭიქებში სამოგონი ჩამოასხა, – არც კი ვიცი, რა გიყო. ჯერ ის გაარკვიე, თვითონ რა გინდა.

დავლიეთ. მაგიდიდან უნებურად ხახვი ავიღე და

მადიანად ჩავკბიჩე.
– წამოდი, ძილის წინ სუფთა ჰაერი ჩავყლაპოთ, – თქვა ჩაპაევმა და პაპიროსს მოუკიდა.
– კარგი იქნება, – მივუგე და ხახვის თავი მაგიდაზე დავაბრუნე.
სანამ მეძინა, წამოწვიმა – სახლისკენ ამავალ სველ ფერდობზე ფეხი ცურავდა. ეტყობა, ძალიან მთვრალი ვიყავი, რადგან თითქმის ბოლომდე აფოფხებული მოვსრიალდი და ნამიან ბალახებში ჩავეთხლიშე. კისერი უკან გადავაგდე და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შევხედე. ისეთი ლამაზი იყო, რამდენიმე წამს უსიტყვოდ ვიწექი ზურგზე და ზევით ვიყურებოდი. ჩაპაევმა ხელი გამომიწოდა და წამოდგომაში დამეხმარა. სწორ ადგილს რომ ავაღწიე, კვლავ ავიხედე და უცებ გავიფიქრე, ეშმაკმა იცის, უკანასკნელად ვარსკვლავები როდის ვნახე, თუმც კი მუდამ თავზემოთ არიან, არადა, თავის აწევას რა უნდოდა-მეთქი. სიცილი ამივარდა.
– რა იყო? – მკითხა ჩაპაევმა.
– არაფერი, – ვთქვი და თითი ზეცას ავაშვირე, – რა სილამაზეა.
ჩაპაევმა აიხედა და გადაბანცალდა.
– სილამაზე? – დაფიქრებით ჩამეკითხა, – და რა არის სილამაზე?
– რა არის და, – ვთქვი, – ესაა, რაცაა. სილამაზე გაცნობიერების უმაღლეს საფეხურზე მყოფი ნებელობის უსრულყოფილესი ობიექტივაციაა.
ჩაპაევი ერთხანს ისევ ზეცას აჰყურებდა, მერე მზერა ჩვენ წინ მდებარე დიდ გუბეზე გადაიტანა და შიგ ნამწვი გადააფურთხა. წყლის გლუვ ზედაპირზე არეკლილ სამყაროში ნამდვილი კატასტროფა დატრიალდა – ყველა თანავარსკვლავედი შეირხა და წამით გადღაბნილ ციაგად გადაიქცა.

– ორი რამ მაოცებდა მუდამ, – თქვა, – ვარსკვლავიანი ცა ჩვენ ზემოთ და ემანუელ კანტი ჩვენ შიგნით.
– ვასილი ივანოვიჩ, როგორ მოხდა, რომ კაცს, რომელსაც კანტი შოპენჰაუერისგან ვერ გაურჩევია, დივიზიის მეთაურობა ანდეს?
ჩაპაევმა მზერით გამბურღა და ის იყო, რაღაცის სათქმელად პირი დააღო, რომ ამ დროს ქვაფენილზე ბორბლების გრიალი და ცხენების ჭიხვინი მოგვესმა. სახლს ეტლი უახლოვდებოდა.
– კოტოვსკი და ანა იქნებიან, – ვთქვი, – თქვენს მეტყვიამფრქვევეს, ვასილი ივანოვიჩ, ეტყობა, ძლიერი მამაკაცები მოსწონს.
– რა, კოტოვსკი ქალაქშია? რატომ აქამდე არ მითხარი.
მოტრიალდა და სწრაფად დაიძრა, ჩემკენ არც კი მოუხედავს. ნელა მივყევი, შენობის კუთხეს მივაღწიე და შევჩერდი. სადარბაზოსთან კოტოვსკის ეტლი იდგა, თვითონ კოტოვსკი კი ანას გადმოსვლაში შველოდა. მოახლოებულ ჩაპაევს სამხედრო სალამი მისცა, მის შესახვედრად ნაბიჯი წინ გადადგა და ერთმანეთს გადაეხვივნენ. ხმამაღალი შეძახილებისა და ბეჭებზე ხელის ტყაპუნის შემდეგ, რაც ბუნებრივია ორი ისეთი ადამიანის შეხვედრისას, რომელთაგანაც თითოეული ცდილობს დაამტკიცოს, ამ ცხოვრების ძნელბედით გზებზე, აი, ასე ვაჟკაცურად და ხალისიანად დავაბიჯებო. ასე ხალისიან-ვაჟკაცურად გაემართნენ სახლისკენ, ანა კი ეტლთან შეყოვნდა. უეცარ იმპულსს აყოლილმა მისკენ გავწიე, გზად ყუმბარების ცარიელ კოლოფს წამოვედე და კინაღამ ისევ დავეცი, თან ვფიქრობდი, ამ საქციელს ვინანებ-მეთქი.
– ანა, მომიცადეთ! გთხოვთ!
შეჩერდა და თავი ჩემკენ მოატრიალა. ღმერთო, რა ლამაზი იყო იმწამს.
– ანა! – არეულად ავლაპარაკდი და ხელები რატომღაც

გულზე დავიკრიფე, – მერწმუნეთ, რომ მე... იმის მოგონებაც კი მზარავს, რაც რესტორანში ჩავიდინე. მაგრამ აღიარეთ, რომ ამის საბაბი თქვენ შექმენით. მესმის, რომ ეს მუდმივად თვითდამამკვიდრებელი სუფრაჟიზმი თქვენი ბუნებრივი თვისება როდია, უბრალოდ, თქვენ გარკვეულ ესთეტიკურ ფორმულას მისდევთ, ისიც ხანგამოშვებით...
უცებ ხელის კვრით მომიშორა.
– წადით, პიოტრ, ღვთის გულისათვის, – მითხრა და უსიამოვნოდ შეიშმუშნა, – ხახვის სუნი აგდით. ყველაფერს გაპატიებდით, მაგრამ ამას ვერ ავიტან. მოვტრიალდი და შინისკენ მოვკურცხლე. ლოყები ისე მიხურდა, კაცი ზედ პაპიროსს მოუკიდებდა და სანამ ჩემს ოთახს მივაღწევდი – არც კი ვიცი, იმ სიბნელეში ეს როგორ მოვახერხე, – ჩაპაევს უკანასკნელი სიტყვებით ვთათხავდი თავის ხახვიან-სამოგონიანად. საწოლს დავემხე და კომისმაგვარ მდგომარეობაში ჩავვარდი, რაღაც იმდაგვარში, როგორიდანაც იმ დილას გახლდით გამოსული.
ცოტა ხანში კარზე ვიღაცამ მომიკაკუნა.
– პეტკა, – გაისმა ჩაპაევის ხმა, – სად ხარ?
– არსად, – ჩავიბუტბუტე პასუხად.
– აი! – მოულოდნელად აღრიალდა ჩაპაევი, – ყოჩაღ! ხვალ მწყობრის წინაშე მადლობას გამოგიცხადებ. თურმე ყველაფერი მშვენივრად გესმის! რა იყო, მთელი საღამო რომ თავს სულელად მაჩვენებდი?
– რას გულისხმობთ?
– თვითონ მიხვდი. ახლა რას ხედავ?
– ბალიშს, – ვთქვი, – თანაც ცუდად. ახლა თავიდან ნუღა ამიხსნით, ბალიში შენს ცნობიერებაშიაო.
– ყველაფერი, რასაც ვხედავთ, ჩვენს ცნობიერებაშია, პეტკა. ამიტომაც ვერაფრით ვერ ვიტყვით, თვითონ ჩვენი ცნობიერება სადმე არისო. ჩვენ არსად არ ვართ

იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ არსებობს ადგილი, რომელზეც ვიტყოდით, იქ ვიმყოფებითო. ამიტომაც არსადაც არ ვართ. გაგახსენდა?
– ჩაპაევ, – ვთქვი, – მარტო მინდა ყოფნა.
– შენი საქმის შენ იცი. ხვალ დილით კიტრივით უნდა იყო. შუადღისას გავდივართ.
იატაკის ჭრაჭუნით გაუყვა კორიდორს. ერთხნობას მის სიტყვებზე ვფიქრობდი – ჯერ ამ «არსად»-ზე, მერე კი იმ გაუგებარ «გავდივართ»-ზე, სახვალიოდ რომ გამომიცხადა. ცხადია, შემეძლო, ოთახიდან გავსულიყავი და ამეხსნა, რომ არსად გამსვლელი არ გახლდით, რადგან არსად არ ვიყავი, მაგრამ არ გავედი – საშინელი ძილქუში მომეძალა, ყველაფერი უმნიშვნელო და მოსაწყენი გახდა. დავიძინე და დიდხანს მესიზმრებოდა ანას ნატიფი თითები, ტყვიამფრქვევის ნეკნებიან ლულას რომ ეფერებოდა. ისევ კაკუნმა გამომაღვიძა.
– ჩაპაევ, ხომ გთხოვეთ, ბრძოლის წინ დამასვენეთ-მეთქი!
– ჩაპაევი არ ვარ, – გაისმა კარს იქით, – კოტოვსკი ვარ. იდაყვებზე წამოვიწიე.
– რა გნებავთ?
– აუცილებლად უნდა დაგელაპარაკოთ.
ჯიბიდან პისტოლეტი ამოვიღე, საწოლზე დავდე და საბანი გადავაფარე. ეშმაკმა იცის, რა უნდა, გული მიგრძნობს, ეს ვიზიტი ანას გამოა-მეთქი.
– მობრძანდით.
კარი გაიღო და კოტოვსკი შემოვიდა. ახლა სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა – ფოჩებიანი ხალათი ეცვა, ქვემოთ კი პიჟამის ზოლიანი შარვალი მოუჩანდა, ერთ ხელში სამსანთლიანი შანდალი ეჭირა, ანთებული, მეორეში კი შამპანურის ბოთლი და ორი მაღალფეხიანი ჭიქა – შამპანურის დანახვაზე, ეჭვი, ანა ჩემი საქციელის

შესახებ შესჩივლებდა-მეთქი, უფრო მეტად განმიმტკიცდა.
– დაბრძანდით.
სავარძელზე ვანიშნე.
ბოთლი და შანდალი მაგიდაზე დადგა და დაჯდა.
– შეიძლება მოვწიო?
– რა თქმა უნდა.
გააბოლა და რაღაც უცნაური ჟესტით მელოტ თავზე ხელი ისე გადაისვა, თითქოს უხილავი კულული შუბლზე გადაიწიაო. ვიფიქრე, ეს მოძრაობა სადღაც მინახავს-მეთქი და იქვე გამახსენდა – სად და, ჩაპაევის ჯავშნოსან მატარებელში. ანაც ზუსტად ასე ისწორებდა თმას. აზრად გამიელვა, ეგებ ორივე რომელიმე უცნაური სექტის წევრია, რომლის მეთაურიც ჩაპაევია და ეს უთმობა მათი რიტუალია-მეთქი, მაგრამ მომდევნო წამს უკვე ისიც ვიაზრე, ჩვენ ყველანი ისედაც ამ სექტის წევრები ვართ, ვინც კი რუსეთის თავს დატეხილ მორიგ თავისუფლებასა და მის თანმხლებ ტილებს ვზიარებივართ-მეთქი. გამეცინა.
– რაშია საქმე? – მკითხა კოტოვსკიმ და წარბი აზიდა.
– ჩვენს ახლანდელ ცხოვრებას დავუფიქრდი. თავებს ვიპარსავთ, ტილები რომ არ ავიკიდოთ. ხუთი წლის წინ ამას წარმოვიდგენდით? დაუჯერებელია.
– საოცარია, – თქვა კოტოვსკიმ, – ახლა მეც სწორედ ამაზე ვფიქრობდი, რაც რუსეთს დაემართა. ამიტომაც შემოგიარეთ. ერთგვარი იმპულსია. მინდა დაგელაპარაკოთ.
– რუსეთზე?
– დიახ, – თქვა.
– რაღაა სათქმელი, – ვთქვი, – ყველაფერი დღესავით ნათელია.
– არა, მაინტერესებს, ვისი ბრალია?
– არ ვიცი, – ვთქვი, – თქვენ ვისი გგონიათ?

– ინტელიგენციის, რა თქმა უნდა.
სავსე ჭიქა გამომიწოდა.
– ინტელიგენტს, – თქვა მან და კოპები მრისხანედ შეიკრა, – განსაკუთრებით, რუს ინტელიგენტს, რომელსაც მხოლოდ სხვის კმაყოფაზე შეუძლია ცხოვრება, ერთი საძაგელი თვისება აქვს – ყოველთვის თავს ესხმის იმას, რაც გულის სიღრმეში მართალი და კანონიერი ჰგონია. ბავშვივით, მშობლების წყენინებას რომ არ ერიდება, რადგან იცის, დიდი-დიდი კუთხეში დააყენონ. უცხოების უფრო ეშინია. ეს საძაგელი კლასიც ასევეა.
– მგონი, თქვენს მოსაზრებას ბოლომდე ვერ ჩავწვდი.
– ინტელიგენტი, მართალია, აბუჩად იგდებს იმპერიის საფუძვლებს, რომელთა ნიადაგზეც თვითონვეა აღმოცენებული და თან ამავე დროს მშვენივრად იცის, რომ ამ საფუძვლებში ზნეობრივი კანონი ცოცხლობს.
– ნუთუ? ეს როგორ?
– როგორ და, ისე, რომ, თუკი იმპერიის საფუძვლებში ჩადებული ზნეობრივი კანონი მოკვდებოდა, მაშინ ინტელიგენტი მის ფეხით გათელვას ვეღარ გაბედავდა. ამას წინათ დოსტოევსკის გადავხედე და იცით, რა ვიფიქრე?
უნებლიეთ ჟრჟოლამ დამიარა.
– რა? – ვკითხე.
– სიკეთე თავისი ბუნებით ყოვლად მიმტევებელია. აბა, დაუკვირდით ყველა ამ დღევანდელ ჯალათს. წინათ ციმბირის სოფლებში გადაასახლებდნენ ხოლმე და ისინიც დილიდან საღამომდე კურდღლებსა თუ მწყერებზე ნადირობით ერთობოდნენ. არა, ინტელიგენტი სიწმინდეებს უშიშრად თელავს, ინტელიგენტს მხოლოდ ერთადერთი რამის ეშინია – ბოროტებასა და მის ფესვებზე საუბარს გაურბის, რადგან სრულიად სამართლიანად მიიჩნევს, ამ

საკითხში პირველსავე ტელეგრაფის ბოძთან დედა მოეტ...ება.
– ბოროტებასთან თამაში სასიამოვნოა, – მხურვალედ განაგრძობდა კოტოვსკი, – არავითარი რისკი, სარგებელი კი – იცოცხლე. აი, საიდან ჩნდება ნაძირალა მოხალისეთა ვეება არმია, ზემო-ქვემოს და მარჯვენა-მარცხენას მიზანმიმართულად რომ ურევენ ერთმანეთში, გესმით? სულიერების ეს ანგარებიანი სუტენიორები, ეს პირწავარდნილი ჩერნიშევსკები, გამოხოხებული რახმეტოვები, გახრწნილი პეროვსკაიები, დაკოკაინებული კიბალჩიჩები, ყველანი ეგენი...
– გასაგებია.
კოტოვსკიმ შამპანური მოყლუპა.
– ჰო, მართლა, პიოტრ, – სასხვათაშორისოდ თქვა კოტოვსკიმ, – რაკი სიტყვამ მოიტანა, გავიგე, კოკაინი ჰქონდაო.
– დიახ, – ვთქვი, – მართალია, რაკიღა საუბარში თვითონ ამოგვიხტა.
საკვოიაჟში ხელი ჩავყავი, ქილა ამოვიღე და მაგიდაზე დავდგი.
– მიირთვით.
მეტი პატიჟი არ დასჭირვებია. მაგიდაზე ფხვნილი თეთრ ზოლებად დაყარა, მშენებლებისგან დაუმთავრებლად მიტოვებული ორი მაგისტალური გზატკეცილივით. ყველა აუცილებელი მანიპულაციის შემდგომ სავარძელში გადაწვა. ზრდილობისთვის წუთით ვაცადე, მერე კი ვკითხე:
– რუსეთზე ხშირად ფიქრობთ?
– ოდესაში რომ ვცხოვრობდი, დღეში სამჯერ მაინც ვფიქრობდი ხოლმე, – ყრუდ ხმით თქვა კოტოვსკიმ, – იქამდე, რომ ხშირად ცხვირიდან სისხლიც კი მდიოდა.
მერე შევეშვი.

– ახლა რა მოხდა, დოსტოევსკიმ შეგაცდინათ?
– არა, – თქვა, – ერთმა შინაგანმა დრამამ. მოულოდნელი აზრი მეწვია.
– მითხარით, გრიგორი, თქვენს ბედაურებს ძალიან უფრთხილდებით?
– რატომ მეკითხებით? – მკითხა.
– გნებავთ, გავცვალოთ. თქვენს ეტლში ნახევარ ქილას მოგცემთ.
კოტოვსკიმ ფიცხელი მზერა მტყორცნა, მერე ქილა ხელში აიღო, შიგ ჩაიხედა და თქვა:
– დიდი მაცდური ვინმე ბრძანებულხართ. მაინც რად გინდათ ის ჩემი ბედაურები?
– სასეირნოდ, სხვა რად უნდა მინდოდეს?!
– რა გაეწყობა, – თქვა კოტოვსკიმ, – თანახმა ვარ. სხვათა შორის, ბარგში შემთხვევით სააფთიაქო სასწორი მაქვს...
– თვალით აიღეთ, – ვთქვი, – იოლად მაქვს ნაშოვნი.
ჯიბიდან ვერცხლის პორტსიგარი ამოიღო, პაპიროსები ამოყარა, მერე ჯაყვა დააძრო და დანის პირით, რომელსაც პატარა ნიჩაბივით ხმარობდა, ფხვნილის ნაწილი გადაიყარა.
– ხომ არ გადმოგებნევათ?
– ნუ დარდობთ, ეს პორტსიგარი ოდესიდან მომყვება. სპეციალურია. ბედაურები თქვენია.
– გმადლობთ.
– ჩვენს შეთანხმებას გაუმარჯოს.
– სიამოვნებით, – ჭიქა ავწიე მე.
შამპანური გამოცალა, წამოდგა, პორტსიგარი ჯიბეში დამალა და ხელი შანდალს მოჰკიდა.
– ერთი სიტყვით, დიდი მადლობა საუბრისათვის. ღვთის გულისათვის, მაპატიეთ ეს ღამეული შემოჭრა.
– ღამე მშვიდობისა. შეიძლება ერთი შეკითხვა დაგისვათ? რაკიღა თქვენ თვითონ ახსენეთ. რა შინაგანი

დრამაა, რომელსაც კოკაინი შველის?
– რუსეთის დრამასთან შედარებით არაფერია, – თქვა კოტოვსკიმ, სამხედრო ყაიდაზე თავი ოდნავ დამიკრა და წავიდა.
ერთხანს დაძინება ვცადე, მაგრამ ამაოდ. ჯერ კოტოვსკიზე ვფიქრობდი – უნდა ითქვას, სასიამოვნო შთაბეჭდილება დამიტოვა. თავისი სტილი ჰქონდა. მერე ფიქრით ჩაპაევთან გადავინაცვლე. ჩვენი საუბარი და მისეული «არსად» გავიხსენე. ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი მარტივი გახლდათ – მთავაზობდა, გამერკვია, მე ვარსებობდი სამყაროს წყალობით თუ სამყარო არსებობდა ჩემი წყალობით. ცხადია, ეს ყველაფერი ბანალური დიალექტიკის დონეს ვერ სცდებოდა, მაგრამ ერთ შემაშინებელ ნიუანსსაც შეიცავდა, რაზეც ოსტატურად მიმანიშნა თავისი თითქოსდა იდიოტური შეკითხვებით ადგილის შესახებ, სადაც ეს ყოველივე ხდება. თუ სამყარო ჩემში არსებობს, მაშინ თვით მე სადღა ვარ? და თუ მე სამყაროში ვარსებობ, მაშინ ჩემი ცნობიერება სად, რა ადგილას მდებარეობს? ვფიქრობდი, შეიძლებოდა თქმულიყო, რომ, ერთი მხრივ, სამყარო ჩემშია, მეორე მხრივ კი, მე ვარ მასში, და ეს აზრობრივი მაგნიტის ორი პოლუსია, მაგრამ საოცრება ის გახლდათ, რომ თვით ამ მაგნიტს, ამ დიალექტიკურ დიადას ვერსად ჩამოკიდებდი. არსად იყო ადგილი, სადაც ის იარსებებდა. რადგან მის არსებობას სჭირდებოდა, არსებულიყო ვიღაც, ვის ცნობიერებაშიც აღმოცენებას შეძლებდა. იმ ვიღაცას კი ზუსტად ასევე არსად შეეძლო არსებულიყო, რადგან ყოველგვარი «სადმე» მხოლოდ ცნობიერებაში უნდა გაჩენილიყო, რომელსაც სხვა ადგილი, გარდა თავისივე შექმნილისა, არსად გააჩნდა... მაგრამ, მანამ იყო, სანამ თავის თავს ადგილს შეუქმნიდა? თავის თავში? მაგრამ სად?

უეცრად მარტო ყოფნის შემეშინდა. მხრებზე კიტელი მოვიხურე, კორიდორში გავედი, ფანჯრიდან შემომავალი მთვარის შუქით განათებული დაბლა ჩამავალი კიბის მოაჯირი დავინახე და დავიძარი. ცხენებჩახსნილი ეტლი კართან ახლოს იდგა. ირგვლივ ბარე ორჯერ შემოვუარე, მისი ნატიფი ხაზებით ვტკბებოდი, თითქოს მთვარის სინათლე დამატებით მომხიბვლელობას ანიჭებდა. მახლობლად ცხენმა დაიფრუტუნა. მოვიხედე და ჩაპაევი დავლანდე – ფაშატთან იდგა და ჯაგრისით ფაფარს ვარცხნიდა. მივედი და გვერდში ამოვუდექი. შემომხედა. საინტერესოა, ვიფიქრე, ახლა რომ ვკითხო, მისი «არსად» სად მდებარეობს, ნეტავ რას მიპასუხებს- მეთქი. უეჭველად ამ სიტყვის თავისივე თავით ტავტოლოგიური განმარტება მოუწევდა და ზუსტად იმავე გასაჭირში ჩავარდებოდა, როგორშიც მე ჩამაგდო.
– არ გძინავს? – მკითხა ჩაპაევმა.
– არა, – ვთქვი, – ვერ ვარ რაღაც.
– რა იყო, სიცარიელე არასდროს არ გინახავს? მივხვდი, რომ სიტყვა «სიცარიელე» სწორედ ის «არსად» გახლდათ, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ სიცოცხლეში პირველად ვიაზრებდი.
– არა, – მივუგე, – არასოდეს არ მინახავს.
– აბა, მაშინ რა გინახავს, პეტკა? – თანაგრძნობით მკითხა ჩაპაევმა.
– მოდი, სხვა თემაზე გადავიდეთ, – ვთქვი, – ჩემი ბედაურები სად არიან?
– თავლაში, – თქვა ჩაპაევმა, – ეს როდის აქეთ არიან «შენები» და არა კოტოვსკისა?
– უკვე თხუთმეტი წუთია, რაც ჩემები გახდნენ. ჩაპაევმა ჩაიხითხითა.
– გრიგორის უფრთხილდი, – თქვა, – არც ისეთი უვნებელია, როგორიც შეიძლება ერთი შეხედვით

გეჩვენოს.
– ამას უკვე მივხვდი, – მივუგე, – იცით, ვასილი ივანოვიჩ, თქვენი სიტყვები თავიდან არ ამომდის. ჩიხში შეყვანის დიდი ოსტატი ბრძანდებით.
– დიახაც, – მიპასუხა ჩაპაევმა და ულაყის გაბურდულ ფაფარს ჯაგრისი ძლიერად გადაუსვა, – ეგ მეხერხება. მერე კი იმ ჩიხში მიმწყვდეულს ტყვიამფრქვევსაც ვუშენ ხოლმე...
– დიახ, მაგრამ, მე მგონი, არც მე ვარ თქვენზე ნაკლები...
– მიდი, აბა, სცადე.
– კეთილი, – ვთქვი, – მეც დაგისვამთ თანმიმდევრულ შეკითხვებს ადგილმდებარეობის შესახებ.
– მიდი, დამისვი, დამისვი, – ჩაიბუტბუტა ჩაპაევმა.
– თავიდან დავიწყებ. აი, ახლა ცხენს ვარცხნით. სად არის ეს ცხენი?
ჩაპაევმა გაოცებით შემომხედა.
– შენ რა, პეტკა, სულ გამოშტერდი?
– რა ბრძანეთ?
– სად არის და, ვერ ხედავ, აგერაა.
ერთხანს ვდუმდი. საქმის ამგვარ განვითარებას არ მოველოდი.
ჩაპაევმა თავი უნდობლად გააქნია.
– იცი, რას გეტყვი, პეტკა, – თქვა, – წადი, რა, დაიძინე.
სულელურად გავიღიმეჭე და სახლისკენ გავწიე. საწოლს რის ვაი-ვაგლახით მივაგენი, ზედ დავეგდე და ნელ-ნელა ჩავეშვი მორიგ კოშმარში, რომლის გარდაუვალობაც ჯერ კიდევ კიბეზე ამოსვლისას შევიგრძენი.
დიდხანს არ მალოდინა. ცისფერთვალება ქერა კაცი დამესიზმრა, რომელიც ბალთებით უცნაურ, სტომატოლოგიურის მსგავს სავარძელზე იყო დაბმული. სიზმარში ზუსტად ვიცოდი, რომ მისი გვარი სერდიუკი გახლდათ და ის, რაც ახლა ამ კაცის თავს ხდებოდა,

მალე მეც უნდა დამმართნოდა. სერდიუკს ხელებზე ნაირფერი მავთულები ჰქონდა მიერთებული, რომლებიც, თავის მხრივ, იატაკზე მდებარე საზარელი შესახედაობის დინამომანქანიდან გამოდიოდა. ძილში ისიც ცხადად ვიაზრე, რომ ამ მანქანას ასეთად ჩემი გონება წარმომისახავდა. დინამოს სახელურებს ზედ დახრილი ორი თეთრხალათიანი კაცი ატრიალებდა. თავიდან ნელა და სავარძელს მიჯაჭვული კაციც მხოლოდ კრთოდა და ტუჩებს იკვნეტდა, მაგრამ თანდათანობით თეთრხალათიანებმა სახელურის ტრიალი ააჩქარეს და უბედურს სხეული ერთიანად აუძაგძაგდა. ბოლოს მოთმინებაც დაელია.
– კმარა! – ვედრებით წარმოთქვა.
მაგრამ მტანჯველებმა კიდევ უფრო აუჩქარეს.
– დინამო გამორთეთ, – მთელი ხმით აყვირდა კაცი, – გამორთეთ დინამო!
დინამო! დი-ნა-მო! დი-ნა-მო!
6
– შემდეგი გაჩერება სადგური «დინამო», – გაისმა დინამიკში. მოპირდაპირე მხარეს მჯდომმა მგზავრმა – ერთობ უცნაური გარეგნობის მქონე ჩოფურა, მრგვალსახიანმა კაცმა, ბამბის ბინძური ხალათი რომ ეცვა და მწვანე საღებავით დასვრილი ჩალმა ეხურა – სერდიუკის რამდენიმეწუთიანი თვალმიშტერებული უაზრო მზერა დაიჭირა, ყური მოიქექა, ორი თითი ჩალმასთან მიიტანა და ხმამაღლა თქვა:
– ჰაილ ჰიტლერ!
– ჰიტლერ ჰაილ, – ზრდილობიანად მიუგო სერდიუკმა და განზე გაიხედა.
სრულიად გაუგებარი გახლდათ, თუ ვინ იყო ეს ტიპი და რატომ მგზავრობდა მეტროთი, როცა მისი სიფათის პატრონი სულ ცოტა «ბე-ემ-ვე»-ში უნდა მჯდარიყო. ხალათიანი კაცის თავზემოთ სარეკლამო პლაკატი

ეკიდა, გადაქექილი წარწერით: «წყლის გარეშე სიცოცხლე არ არსებობს», ოღონდაც «წ» წაშლილიყო, ბოლოში კი ვიღაცას ძახილის ნიშანი დაესვა. სერდიუკმა თანაგრძნობით ამოიოხრა, თვალი მარჯვნივ გააპარა და გვერდით მჯდომი მეზობლის მუხლებზე გადაშლილი წიგნის კითხვას შეუდგა. აკრძალული ბროშურა იყო, გაზეთგადაკრული, ზედ ბურთულიანი კალმით წაეწერათ: «იაპონური მილიტარიზმი». სავარაუდოდ, ეს ბროშურა რაღაც ნახევრად გასაიდუმლოებული საბჭოთა სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო. ფურცლები სიძველისგან გაყვითლებოდა, შრიფტიც უცნაური ჩანდა, თან შიგ კურსივით აკრეფილი არაერთი იაპონური სიტყვაც ჩაერთოთ. «სოციალური ვალდებულებანი, – ამოიკითხა სერდიუკმა, – მათ ადამიანური მოვალეობა ბუნებრივ გრძნობასთან აქვთ გადაჯაჭვული, რაც გამჭოლ დრამატულ ემოციურობას წარმოქმნის. ამგვარი მოვალეობა იაპონელთათვის გამოხატულია გამოთქმებში «ონ» და «ჰირი», რომელნიც წარსულისთვის დღემდე არ მიუბარებიათ. «ონ» – მშობლების მიმართ ბავშვის «მადლიერების გამოხატულებაა», სიუზერენის მიმართ – ვასალის, სახელმწიფოს მიმართ – მოქალაქისა. ხოლო «ჰირი» «მოვალეობა, ვალდებულებაა», რომელიც თითოეულ ადამიანს საზოგადოებაში თავისი ადგილისა და მდგომარეობის შესაბამისად ეკისრება. აგრეთვე იგი საკუთარი თავის წინაშე ვალდებულებასაც გულისხმობს: პატიოსნებას, პიროვნებისა და სახელის ღირსებას. ადამიანი მზად უნდა იყოს «ონ»-ისა – და «ჰირის» – ამ სოციალური, პროფესიული და ადამიანური კოდექსის – სამსხვერპლოზე საკუთარი სიცოცხლე უყოყმანოდ მიიტანოს».
მეზობელმა, ეტყობა, შენიშნა, რომ სერდიუკი მის წიგნში იჭყიტებოდა და ლამის სახეზე აიფარა, თან

სანახევროდ მოხურა, რომ ტექსტი არავის დაენახა. სერდიუკმა თვალები დახუჭა. «იმიტომაც ცხოვრობენ ნორმალურად, – გაიფიქრა, – რომ მოვალეობა მუდამ ახსოვთ. ჩვენსავით დღედაღამ არყით კი არ ტყვრებიან». ცნობილი არ არის, თუ რა ხდებოდა მის თავში მომდევნო რამდენიმე წუთის განმავლობაში, მაგრამ, როდესაც მატარებელი «პუშკინსკოე»-ზე შეჩერდა, სერდიუკი ვაგონიდან სულში აღმოცენებული დალევის სურვილით გამოვიდა, დალევისაც კი არა, უფრო ჩასკდომის. თავდაპირველად ეს სურვილი ჩამოუყალიბებელ-გაუცნობიერებელი გახლდათ და რაღაც მიუღწევლის, თითქოს სამუდამოდ დაკარგულის გამო მოგვრილ ბუნდოვან სევდად აღიქმებოდა, ხოლო ნამდვილი ფორმა მაშინღა მიიღო, როცა სერდიუკი ჯავშნიანი კიოსკების გრძელი ბატარეის წინაშე აღმოჩნდა, რომლის სათვალთვალო ხვრელებიდანაც მტრის ტერიტორიას ერთგვაროვანი უმეტყველო კავკასიური სახეები უცქერდნენ. რომელიმე კონკრეტულ სასმელზე არჩევანის შეჩერება ძნელი აღმოჩნდა. ასორტიმენტი თუმც მრავალფეროვანი, მაგრამ მეორეხარისხოვანი გახლდათ. სერდიუკმა დიდხანს იყოყმანა, სანამ ერთ კიოსკში პორტვეინ «ლივადიის» ბოთლი არ დაინახა. მან სერდიუკს დანახვისთანავე ერთი დავიწყებული, სიჭაბუკის დროინდელი დილა გაახსენა: რაღაც ყუთებით გავსებული შუკა ინსტიტუტის ეზოში, მზე ყვითელ ფოთლებზე და მოხითხითე თანაკურსელები, პორტვეინის ზუსტად ასეთ ბოთლს ერთიმეორეს რომ გადასცემდნენ (თუმცა ეტიკეტი მაშინ ოდნავ განსხვავებული ჰქონდა). კიდევ სერდიუკს გაახსენდა, რომ უცხო თვალთაგან მოფარებულ იმ შუკაში მოსახვედრად ჟანგიან მესერში უნდა გამძვრალიყავი და ქურთუკი დაგესვარა. მაგრამ აქ მთავარი პორტვეინი

და მესერი კი არა, მეხსიერებაში გაელვებული და გულში სევდის აღმძვრელი ის თვალუწვდენელი შესაძლებლობები და მარშრუტები იყო, რომელსაც იმ პატარა ეზოს შემომსაზღვრელი მესრის მიღმა ოთხივ მხარეს გადაშლილი სამყარო იტევდა. ამ მოგონებას კი ყოვლად აუტანელი აზრი მოჰყვა – იმის შესახებ, რომ სამყარო მას შემდეგ თავისთავად სულაც არ შეცვლილა, უბრალოდ, მისი იმ კუთხით დანახვა, რაც მაშინ სულ იოლად ხერხდებოდა, ახლა შეუძლებელი გამხდარიყო: ვეღარ გაძვრებოდი მესერში, ვერაფრით, და, კაცმა რომ თქვას, გასაძრომიც აღარსად იყო, სიცარიელის ის ნაჭერი მესერს შიგნით დიდი ხანია ცხოვრებაგამოვლილი თუთიის კუბოებით ამოივსო. მაგრამ თუკი სამყაროს იმ კუთხით დანახვა აღარ შეიძლებოდა, სამაგიეროდ, იმავე გრადუსით სავსებით შესაძლებელი გახლდათ. კიოსკის ამბრაზურაში ფული შეაძვრინა, იქიდან გამოყოფილ მწვანე ყუმბარას ხელი სტაცა, ქუჩა გადაკვეთა, გვერდი აუარა გუბეებს, გაზაფხულის მოსაღამოებულ ცას რომ აირეკლავდნენ, მწვანე პუშკინის პირდაპირ სკამძელზე მოკალათდა და პლასტმასის საცობი ბოთლს კბილებით მოაგლიჯა. პორტვეინს ზუსტად ისეთივე გემო აღმოაჩნდა, ადრე რომ ჰქონდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ რუსეთის ყოფა-ცხოვრების უღრმეს საფუძვლებს რეფორმები არ შეხებია. ცვლილებების ვითომ ხმაურიანმა გრიგალმა მხოლოდ ზედაპირზე გადაიქროლა. სერდიუკმა რამდენიმე ბარაქიანი ყლუპით ბოთლს ბოლო მოუღო და გრანიტის ბორდიურს იქით აკურატულად მოისროლა. ერთმა მოინტელიგენტო დედაბერმა, აქამდე თავი რომ ისე ეჭირა, ვითომ გაზეთს ვკითხულობო, ახლა გეზი სწორედ იმ ბორდიურისა და ბოთლისკენ აიღო.
სიმთვრალე თავისი არსით უპიროვნო და

კოსმოპოლიტურია. რამდენიმე წუთის შემდეგ მოსულ კაიფს არაფერი ეცხო იმისა, რასაც კვიპაროსების, ანტიკური თაღებისა და მუქ ლურჯ ცაზე აკაშკაშებული ვარსკვლავების ესთეტიკა გულისხმობდა. არაფერში იგრძნობოდა, რომ პორტვეინი მარცხენა სანაპიროზე იყო ჩამოსხმული და აზრადაც კი გაუელვა, ეს პორტვეინი მარჯვენა სანაპიროზე ჩამოსხმული რომ ყოფილიყო, ანდა სულაც სადღაც მოლდოვაში, გარემომცველი სამყარო მაინც ასეთნაირად შეიცვლებოდაო. არადა, სამყარო მართლაც შესამჩნევად შეცვლილიყო – ისე მტრულად აღარ გამოიყურებოდა, გამვლელები ამქვეყნიური ბოროტების ადეპტებიდან მათ მსხვერპლებად ისე ქცეულიყვნენ, რომ ვერც კი მიმხვდარიყვნენ. ერთ წუთში ამ ამქვეყნიურ ბოროტებას ავი რამ საქმე დამართნოდა – სადღაც გამქრალიყო, ანდა სრულიად უმნიშვნელო გამხდარიყო. სიმთვრალემ ნეტარების ზენიტს მიაღწია, რამდენიმე წუთის განმავლობაში უმაღლეს წერტილზე დაივანა, მერე კი მთვრალი აზრების ჩვეულმა ტვირთმა სერდიუკი უკან, რეალობაში დააბრუნა. მახლობლად სამმა სკოლის მოსწავლემ ჩაიარა, სმენას გარდატეხილი ხმები მოსწვდა, განსაკუთრებით, ენერგიულად გამეორებული სიტყვა «ბაზარი». მათი ზურგები იქით მხარეს მიიწევდნენ და პატარავდებოდნენ, საითაც ტროტუართან მიყენებული იაპონური ჯიპ-ამფიბია იდგა, ცხვირზე დიდი ჯალამბრით. ზედ ჯიპის თავზე, ტვერის ბულვარის მეორე მხარეს, «მაკდონალდსის» ლოგო ამოჩრილიყო და უხილავი გალავნის ყვითელ კოშკურას მიაგავდა. სერდიუკი ფიქრობდა, ეს ყველაფერი ერთად – მიმავალი მოსწავლეების ზურგები, ჯიპი და ყვითელი ასო M რაღაცით დეინეკას ნახატს, «მომავალ მფრინავებს» მაგონებსო. ისიც კი ცხადი იყო, თუ რით

აგონებდა – პერსონაჟთა შემდგომი ბედ-იღბლის განსაზღვრულობით, რაც ორსავე შემთხვევაში სრულიად ნათელი გახლდათ. მომავალი მძარცველები მიწისქვეშა გადასასვლელმა შთანთქა, სერდიუკი კი კვლავ ამ თემას უტრიალებდა: ამერიკული ფილმი «მოკალი ჰოლანდიელი» გაახსენდა, სადაც ოცდაათიანი წლების ნიუ-იორკად ახლანდელი მოსკოვი გადაიღეს – ფილმის ერთ სცენაში განგსტერის ბინას სწორედ «მომავალი მფრინავების» რეპროდუქცია ამშვენებდა, რაც ნაწარმოებს ბნელსა და შემზარავ მრავალმნიშვნელოვნებას ანიჭებდა. სიმართლე ითქვას, პოლიტიკაზე სერდიუკს დიდხანს არ უფიქრია და მალე აზრით მეტროში იაპონელებზე წაკითხულ ნაწყვეტს დაუბრუნდა.
«იაპონელები, – ფიქრობდა სერდიუკი, – დიადი ხალხია! წარმოგიდგენია – ორი ატომური ბომბი ჩაარტყეს, კუნძულები წაართვეს, მაგრამ გადარჩნენ... ჩვენც რაღა სულ ამ ამერიკას მივჩერებივართ? საერთოდ, რა ჯანდაბად გვინდა ეს ამერიკა? იაპონიისკენ უნდა ვიაროთ – თან მეზობლები ვართ. პირდაპირ ღმერთი გვკარნახობს. იმათაც სჭირდებათ ჩვენთან დამეგობრება, ამერიკას ერთად მივაწვებოდით... ატომურ ბომბსაც გავუხსენებდით და ბელოვეჟსკაია პუშჩასაც
რაღაც მოუხელთებელი, თუმცა არაწინააღმდეგობრივი ლოგიკით ეს აზრები კიდევ ერთი ბოთლის ყიდვის გადაწყვეტილებად გარდაიქმნა. სერდიუკი ერთხანს ფიქრობდა, რა ავიღოო. პორტვეინი აღარ უნდოდა. მარცხენა სანაპიროს მოლივლივე ადაჟიოს მერე ჭკუაში გრძელი, მშვიდი ანდანტე დაუჯდა – რაღაც უბრალო და უნაპირო მოესურვა, როგორც «კინომოგზაურთა კლუბში» ნანახი ოკეანე, ანდა, საკუთარი ვაუჩერი რომ აქციაზე გადაცვალა, იმ აქციის გარანტიაში ჩადებული

ხორბლის თვალშეუდგამი რუსული ყანა. რამდენიმე წუთს იფიქრა და ჰოლანდიური სპირტის ყიდვა გადაწყვიტა, ოღონდაც ჯიხურისკენ მიმავალი მიხვდა, რომ ეს არჩევანი წეღან გახსენებულმა ფილმმა განაპირობა.
მერედა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას. ისევ იმ ჯიხურს მიადგა, ბოთლი გახსნა, პლასტმასის ჭიქა ნახევრად გაავსო, დალია, დათუთქული პირით ჰაერს დაეწაფა და გაზეთი გახია, რომელშიც მისაყოლებლად ნაყიდი ჰამბურგერი იყო გახვეული. ამ დროს თვალში უცნაური ემბლემა შეეჩხირა – ოვალში ჩახატული ასიმეტრიულფურცლებიანი წითელი ყვავილი, რომლის ქვეშაც განცხადება გამოეკრათ:
«იაპონური ფირმის, «ტაირა ინკორპორეიტედის» მოსკოვის განყოფილება აწარმოებს თანამშრომელთა მიღებას კონკურსის საფუძველზე. აუცილებელია ინგლისური ენისა და კომპიუტერის ფლობა».
სერდიუკმა თავი მოატრიალა. წამით მოეჩვენა, რომ ამ განცხადების გვერდით მეორეც იყო დაბეჭდილი, იმავე ნიშნით. გაზეთის ფურცელს გულდასმით დააკვირდა და მიხვდა, რაშიც ყოფილიყო საქმე. ოვალი მართლაც ორი იყო – ყვავილს შემოვლებული ხაზის გვერდით ხახვის რგოლი, პურის ყუიდან ამოჩრილი რუხი ხორცის ნაჭერი, ზედ დანის კვალი რომ დამჩნეოდა და სისხლიანი კეტჩუპის ნაკადი გადაღვროდა. სერდიუკმა კმაყოფილებით შენიშნა, რეალობის სხვადასხვაგვარი პლასტებში, აგერ, უკვე ერთმანეთს ერწყმიანო. გაზეთს განცხადება ფრთხილად მოახია, ზედ წასმული კეტჩუპი ალოკა, ორად დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო.
მერე ყველაფერი ჩვეული გზით განვითარდა. სერდიუკი გულის ძმარვამ და დილის ნაცრისფერმა შუქმა გააღვიძა. ძირითადი გამღიზიანებელი, ცხადია, მაინც სინათლე გახლდათ. როგორც ყოველთვის, ახლაც

ასე ჩანდა, თითქოს სადეზინფექციოდ ქლორი შეურიესო. მიმოიხედა და მიხვდა, რომ შინ იყო, ხოლო წუხელ, ეტყობა, სტუმრები სწვეოდნენ (ვინ, არ ახსოვდა). რის ვაი-ვაგლახით წამოდგა იატაკიდან, ტალახში ამოვლებული ქურთუკი და ქუდი მოიშორა, წინკარში გავიდა და საკიდზე მოათავსა. ამის მერე გაიფიქრა, ეგებ მაცივარში ლუდი იყოსო – ცხოვრებაში რამდენჯერმე ასე მომხდარა კიდეც. მაგრამ როცა მაცივრამდე რამდენიმე მეტრიღა რჩებოდა, კედელზე ტელეფონი აზრიალდა. სერდიუკმა ყურმილი აიღო და «ალოს» თქმა დააპირა, მაგრამ ლაპარაკის მცდელობაც კი ისეთი სატანჯველი გამოდგა, რომ ოხვრით მხოლოდ «ოხ-ე-ე» თუ რაღაც ამდაგვარი გამოთქვა.
, – მკვირცხლად გაეპასუხა ყურმილი, – ბატონი სერდიუკი ბრძანდებით?
– დიახ, – თქვა სერდიუკმა.
– გამარჯობა. მე ოდა ნობუნაგა ვარ, გუშინ ვისაუბრეთ, უფრო სწორად, ამ ღამით, წუხელ. თქვენ პატივი დაგვდეთ და დაგვირეკეთ.
– დიახ, – თქვა სერდიუკმა და თავისუფალი ხელი თავში შემოიკრა.
– მე თქვენი წინადადება ბატონ ესიცუნე კავაბატას გავაცანი და დღეს, სამ საათზე ინტერვიუზე გელოდებათ.
ხმა არ ეცნობოდა, ცხადი იყო, უცხოელი ლაპარაკობდა – თუმცა უაქცენტოდ, მაგრამ ისეთ პაუზებს აკეთებდა, თითქოს თავის ლექსიკურ მარაგში შესაფერის სიტყვებს დაეძებსო.
– დიდი მადლობა, – თქვა სერდიუკმა, – რომელ წინადადებას გულისხმობთ?
– რომელიც გუშინ შემოგვთავაზეთ, უფრო სწორად, დღეს.
– ა-ა, – თქვა სერდიუკმა, – ა-ა!

– მისამართი ჩაინიშნეთ, – თქვა ოდა ნობუნაგამ.
– ახლავე, – თქვა სერდიუკმა, – ერთი წუთით, კალამს ავიღებ.
– ტელეფონთან კალამი არ გაქვთ? – დაუფარავი ბრაზით ჰკითხა ნობუნაგამ, – საქმიან კაცს უნდა ჰქონდეს.
– ვიწერ.
– მეტრო «ნაგორნაია», მარჯვენა გასასვლელი, მერე რკინის ღობეა. იქ სახლს მიაგნებთ, შესასვლელი ეზოდანაა. ზუსტი მისამართი – პიატიხლებნის შესახვევი, ნომერი ხუთი. იქ ის არის... ფირფიტა.
– გმადლობთ.
– მე უკვე ყველაფერი მოგახსენეთ, როგორც იტყვიან, საენერა, – თქვა ნობუნაგამ და ყურმილი დაკიდა. მაცივარში ლუდი არ აღმოჩნდა.
დათქმულ დრომდე დიდი ხნით ადრე სადგურ «ნაგორნაიადან» მიწის ზედაპირზე რომ ამოვიდა, სერდიუკმა მაშინვე დაინახა დაფხავებული თუნუქის ღობე, მაგრამ არ სჯეროდა, ალბათ ის არ არის, რომელზეც ბატონი ნობუნაგა ლაპარაკობდა – ძალიან გათხუპნილი და შეუხედავიაო. ერთხანს ახლომახლო იბორიალა, იშვიათ გამვლელებს აჩერებდა და ეკითხებოდა, პიატიხლებნის შესახვევი სად არისო. არავინ არ იცოდა, ანდა, ეგებ უმალავდნენ, ძირითადად ნელ-ნელა მოცუხცუხე შაოსანი დედაბრები ხვდებოდნენ. ირგვლივ ველური მიდამო გადაშლილიყო, სარეველათი სავსე, თითქოს ოდესღაც, უხსოვარ წარსულში აქაურობა ინდუსტრიული რაიონი ყოფილიყოს, აწ დაბომბილი. ბალახიდან ალაგ-ალაგ ჟანგიანი რკინები ამოშვერილიყო, ირგვლივ ტრიალი სივრცე იყო, ცადამხობილი. შორს კი, ჰორიზონტზე, ტყის მუქი ზოლი მოჩანდა. ამ ბანალური ნიშან-თვისებების მიუხედავად, რაიონი ერთობ უჩვეულოდ გამოიყურებოდა. დასავლეთით გაიხედავდით, მწვანე

ღობისკენ და, თვალწინ ქალაქის ტიპური პანორამა გადაგეშლებოდათ, მაგრამ მზერას თუ აღმოსავლეთს მიაპყრობდით, მხოლოდ ვეება მინდორს დაინახავდით, რომელზეც სახრჩობელების მსგავსი რამდენიმე ფარანი აღმართულიყო – თითქოს სერდიუკმა ორი რუსეთის – პოსტინდუსტრიულისა და პრეისტორიულის – საიდუმლო საზღვარზე ამოყო თავიო. ეს იმ რაიონს არ ჰგავს, სადაც სერიოზული უცხოური კანტორები ოფისებს ხსნიან, ალბათ, ორიოდე წარუმატებელი იაპონელი თანამშრომლისგან შემდგარი რამე პაწაწინა ფირმააო (რატომღაც «შვიდი სამურაის» პერსონაჟი გლეხები გაახსენდა). ამიტომაც დაინტერესდნენ მთვრალი კაცის სატელეფონო ზარითო, გაიფიქრა სერდიუკმა და ამ უნიათო ადამიანების მიმართ, რომლებსაც საკუთარი ცხოვრების კეთილმოწყობა ვერ მოეხერხებინათ, თბილი თანაგრძნობის ტალღამ გადაუარა, თანაც, თუკი აქეთობას მთელი გზა ნანობდა, რატომ წვერი არ გავიპარსეო, ახლა დარწმუნდა, რომ არც გაუპარსავობა წაახდენდა საქმეს.
ბატონი ნობუნაგას მითითება, იქ სახლს მიაგნებთო, მხედველობის არეში მოხვედრილ რამდენიმე სახლთაგან ნებისმიერს მიესადაგებოდა. სერდიუკმა რატომღაც გადაწყვიტა, ალბათ მე რომ ვეძებ, აი, ეს ნაცრისფერი რვასართულიანია, პირველ სართულზე განთავსებული შემინული გასტრონომითო. მართლაც, ეზოში ორწუთიანი ბორიალის შემდეგ კედელზე თითბრის მომცრო კვადრატი შენიშნა: «ტაირას სავაჭრო სახლი», იქვე ზარის პაწია ღილაკსაც მიაგნო, შეუმჩნევლად რომ ჩამალულიყო უსწორმასწორო კედელში. აბრიდან ერთ მეტრში უზარმაზარ ანჯამებზე მწვანედ შეღებილი რკინის უხეში კარი ეკიდა. დაბნეულმა სერდიუკმა მიიხედ-მოიხედა. ამ კარის გარდა აბრის სიახლოვეს მხოლოდ თუჯის

საკანალიზაციო ლუკი მდებარეობდა, ძირს, ასფალტზე, და იქ კი ტიარას სავაჭრო სახლი ვერ განთავსდებოდა. დაელოდა, სანამ სამს ორი წუთი დააკლდებოდა და დარეკა. კარი იმწამსვე გაიღო. შესასვლელში გადაულახავი კამუფლაჟიანი ახმახი იდგა, ხელში რეზინის ჯოხით. სერდიუკმა თავი დაუკრა, მოსვლის მიზეზის ასახსნელად პირი დააღო და ასევე დარჩა. კარს მიღმა არაჩვეულებრივი ვესტიბიული დაინახა: სკამი და მაგიდა, ზედ ტელეფონი, კედელზე კი პანო, რომელზეც უსასრულობაში მიმავალი კორიდორი იყო გამოსახული. კარგად რომ დააკვირდა, მიხვდა, რომ ეს პანო კი არა, ნამდვილი კორიდორი იყო, რომელიც შუშის კარით იწყებოდა და მართლაც უსასრულობაში მიემართებოდა. ძალიან უცნაური რამ იყო – კედლებზე ფარნები ეკიდა და ბრინჯის თხელი ქაღალდით დამზადებული ბრეზიდან მოციმციმე ნათელი კრთოდა, იატაკზე ყვითელი ქვიშა სქელ ფენად ეფინა, ზედ კი ერთმანეთის მიყოლებით, თითქოს ერთი მთლიანი უსასრულო ნოხიაო, დაჩეხილი ბამბუკის ვიწრო ჭილოფები დაეგოთ. ფარნებზე ხასხასა წითელი საღებავით იგივე ემბლემა ეხატა, რაც გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას – ოვალში ჩასმული ყვავილი ოთხი რომბისებრი ფურცლით, რომელთაგან ორი – ჰორიზონტალურად – დანარჩენ ორზე უფრო გრძელი იყო. კორიდორი უსასრულობაში კი არ მიემართებოდა, როგორც ეს თავიდან ეჩვენა, არამედ ტალღისებურად (ამგვარ დაგეგმარებას მოსკოვურ სახლში სერდიუკი პირველად ხედავდა) უხვევდა მარჯვნივ და ამიტომ ბოლო არ მოუჩანდა.
– აქ რა დაგიკარგავს? – დაარღვია დუმილი დარაჯმა.
– ბატონ კავაბატასთან შეხვედრა მაქვს დანიშნული, – გონს მოეგო სერდიუკი, – სამ საათზე.
– დროზე შემოდი, თორემ არ უყვართ, დიდხანს ღია

რომაა.
სერდიუკმა შეაბიჯა, დარაჯმა კარი დახურა და მასიური საკეტის ვენტილისმაგვარი სახელური მოატრიალა.
– შეგიძლიათ გაიძროთ, – თქვა, – აგე, გეტა.
– რა? – ვერ გაიგო სერდიუკმა.
– გეტა, მაგათი ჩუსტები. შიგნით მარტო მაგით დადიან, წესი აქვთ ასეთი.
სერდიუკმა იატაკზე ჩამწკრივებული რამდენიმე წყვილი ხის ფეხსაცმელი დაინახა, ერთი შეხედვით მძიმე და სატარებლად უხერხული – სახარაზო კალაპოტის მსგავსი, თოკის ორი თასმით შესაკრავი – ასეთს მხოლოდ შიშველ ფეხზე თუ ჩაიცვამდა, რადგან თასმას ცერსა და შუათითს შორის უნდა გაევლო. ერთი კი გაიფიქრა, მცველი ალბათ მეხუმრებაო, მაგრამ იქვე კუთხეში მილაგებული რამდენიმე წყვილი შავი ლაკის ფეხსაცმელიც შენიშნა შიგ ჩაჩრილი წინდებით. დაბალ სკამზე ჩამოჯდა და ფეხზე გახდას შეუდგა. ეს პროცედურა რომ მოამთავრა, წამოდგა და დააფიქსირა, რომ გეტას წყალობით სიმაღლე ათიოდე სანტიმეტრით მომატებოდა.
– ახლა შეიძლება? – იკითხა.
– შეიძლება. ფარანი აიღეთ და პირდაპირ კორიდორს გაყევით. ოთახი ნომერი სამი.
– ფარანი რად მინდა? – გაუკვირდა სერდიუკს.
– ასეთი წესია, – აუხსნა დარაჯმა, კედლიდან ერთ-ერთი ფარანი ჩამოხსნა და გაუწოდა, – ჰალსტუხს სიცივის გამო ხომ არ ატარებ.
სერდიუკმა, რომელმაც ამ დილით მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ჰალსტუხი გაიკეთა, ეს არგუმენტი სარწმუნოდ მიიჩნია. ამასთან იფიქრა, ფარანში ჩავიხედავ და ვნახავ, შიგ ნამდვილი ცეცხლი ანთია თუ არაო.
– ოთახი ნომერი სამი, – გაუმეორა დარაჯმა, – ოღონდაც

იქ იაპონური ციფრებია. იქ შედით, სადაც სამი ხაზია, ისეთი, როგორიც «ზეცის» ტეტრაგრამაზე.
– აჰა, – თქვა სერდიუკმა, – გასაგებია.
– და არავითარ შემთხვევაში არ დააკაკუნოთ. რამენაირად ანიშნეთ, რომ კართან დგახართ – ჩაახველეთ, ან თქვით რამე. და დაელოდეთ, სანამ პასუხს არ გაგცემენ.
ფარანმომარჯვებული სერდიუკი წეროსავით მაღალი ნაბიჯებით დაიძრა. ძლივს მიდიოდა, ჭილოფები ფეხქვეშ მტრულად ჭრაჭუნებდა და შერცხვა, ალბათ დარაჯი მიყურებს და სიცილით კვდებაო. ტალღისებრი მოსახვევის იქით ნახევრად განათებული მომცრო დარბაზი აღმოჩნდა, ჭერში შავი განივი კოჭებით. თავდაპირველად სერდიუკმა ვერანაირი კარი ვერ აღმოაჩინა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ კედლის მაღალი პანელები სწორედაც გასაწევი კარი უნდა ყოფილიყო. ერთ ასეთ პანელზე ქაღალდის ფურცელი მიემაგრებინათ. სერდიუკმა ფარანი მიუახლოვა და ტუშით დახატული ხაზები დაინახა. ესეც ნომერი სამიო, იფიქრა.
კარს მიღმა მშვიდი მუსიკა ისმოდა, უჩვეულო ტემბრის მქონე რაღაც უცნობი სიმებიანი საკრავის ჟღერა – უცნაური, ალბათ ძველებურ ჰარმონიაზე მორგებული სევდიანი და გაწელილი მელოდიააო, იფიქრა სერდიუკმა. ჩაახველა, რასაც კედლის იქით არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია. ერთხელაც ჩაახველა, უფრო ხმამაღლა და გაიფიქრა, ერთხელაც თუ მომიწია, ვარწყევო.
– შემობრძანდით, – გაისმა ხმა კარს მიღმა.
სერდიუკმა ტიხარი მარცხნივ გასწია და დაინახა, რომ ოთახში იატაკზე უბრალო მუქი ჭილოფები იყო დაგებული. კუთხეში მიყრილ ფერად-ფერად ბალიშებზე შავკოსტიუმიანი, უფეხსაცმლო კაცი დაჩოქილიყო.

უცნაურ, რეზონატორიანი მოგრძო ბარბითის მსგავს ინსტრუმენტზე სწორედ ის უკრავდა. სერდიუკისკენ არც კი გამოუხედავს. სახეზე მონგოლოიდს არ ჰგავდა, უფრო რაღაც სამხრეთული სიფათი ჰქონდა (სერდიუკის გონება სავსებით კონკრეტული მიმართულებით გაქანდა – დონის როსტოვში თავისი შარშანდელი მოგზაურობა გაახსენდა). იატაკზე ერთსანთურიანი ელექტროღუმელი იდგა ზედ ტევადი ქვაბით, იქვე კი შავი, ოვალური ფაქსის აპარატი, კედლის ხვრელიდან გამომავალ მავთულებზე მიერთებული. სერდიუკი ოთახში შევიდა, ფარანი ძირს დადო და კარი დახურა. კოსტიუმიანმა კაცმა სიმს ბოლოჯერ გამოჰკრა, სამყაროდან სამუდამოდ მიმავალი უკანასკნელი ნოტი ანთებული მზერით გააცილა და თავისი ინსტრუმენტი იატაკზე ფრთხილად დაასვენა. ფრთხილად და გამოზომილად მოძრაობდა, თითქოს რაიმე უხერხული და მკვეთრი ჟესტით ვინმე აქ მყოფის, თუმც სერდიუკისთვის უხილავის, შეურაცხყოფას ერიდებაო. პიჯაკის გულისჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, თვალებიდან ცრემლები მოიწმინდა და სერდიუკს მოუტრიალდა.
ერთხანს ერთმანეთს შეჰყურებდნენ.
– გამარჯობა, მე სერდიუკი ვარ.
– კავაბატა, – თქვა კაცმა.
წამოხტა, სერდიუკთან მიირბინა და ხელი ხელზე მოჰკიდა. ცივი და მშრალი ხელისგული ჰქონდა.
– გთხოვთ, – თქვა და სერდიუკი ბალიშებისკენ წაათრია,
– დაბრძანდით, გთხოვთ, დაბრძანდეთ.
სერდიუკი დაჯდა.
– მე... – წამოიწყო, მაგრამ კავაბატამ შეაწყვეტინა:
– არაფრის გაგონება არ მინდა. ჩვენთან, იაპონიაში ასეთი ტრადიციაა, ძალიან ძველი ტრადიცია, რომელიც დღემდე ცოცხლობს: თუ სტუმარი ფარნითა და გეტათი

გეწვიათ, მაშასადამე, გარეთ ღამე და უამინდობაა, ამიტომ პირველ რიგში შემთბარი საკე უნდა შესთავაზოთ.
ამ სიტყვებით კავაბატამ ქვაბიდან მუცელგაბერილი და ყელწვრილი ბოთლი დააძრო. ჰერმეტული საცობით იყო დაბეჭდილი, ბოთლისპირზე კი გრძელი ძაფი ება, რომლითაც კავაბატამ ქვაბიდან ამოითრია. საიდანღაც ორი ცალი უხამსი სურათებით მოხატული ფაიფურის პატარა ფინჯანიც გააჩინა – ლამაზი ქალები, რომლებსაც არაბუნებრივად დიდი წარბები ჰქონდათ, რთულ პოზებში აძლევდნენ სერიოზულ ცისფერქუდიან მამაკაცებს.
კავაბატამ ჭიქები პირთამდე შეავსო.
– გთხოვთ, – თქვა და სერდიუკს ერთი ჭიქა მიაწოდა.
სერდიუკმა გადაკრა. სითხე ყველაზე მეტად ვოდკას ჰგავდა, ოღონდ ბრინჯის ნახარშის გემო დაჰკრავდა. გარდა ამისა, ცხელი იყო, რის გამოც სერდიუკმა იქვე, ჭილოფზე ამოარწყია. ისეთმა სირცხვილმა და ზიზღმა მოიცვა, რომ აიღო და უბრალოდ თვალები დახუჭა.
– ო, – თავაზიანად თქვა კავაბატამ, – გარეთ, ეტყობა, ნამდვილი ქარიშხალია.
და ტაშს შემოჰკრა.
სერდიუკმა გამოიჭყიტა. ოთახში ორი ასული გაჩენილიყო, სამოსით იმ ჭიქებზე გამოსახულებს ჰგავდნენ, მეტიც, ისეთივე აზიდული წარბები ჰქონდათ – სერდიუკი დააკვირდა და მიხვდა, რომ წარბები შუბლზე ტუშით ჰქონდათ მიხატული. ერთი სიტყვით, ისეთი სრული მსგავსება იყო, რომ, კიდევ კარგი, სერდიუკს ახლახან გადატანილი სირცხვილი აკავებდა, თორემ ვინ იცის, თავაშვებული ფიქრები საით წაიყვანდნენ.
გოგონებმა დასვრილი ჭილოფები აკეცეს, ახლები დააგეს და კარს უკან გაუჩინარდნენ – იმის კი არა, რომლითაც სერდიუკი აქ შემოვიდა, არამედ სხვა კარს

უკან; თურმე კიდევ ერთი კედლის პანელიც მოძრავი კარი ყოფილიყო.
– გთხოვთ, – თქვა კავაბატამ.
სერდიუკმა ახედა. იაპონელი საკეს ახალ ულუფას უწვდიდა.
საწყლად გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.
– ამჯერად, – თქვა კავაბატამ, – ყველაფერი კეთილად ჩაივლის.
სერდიუკმა დალია. მართლაც, ამჯერად სხვაგვარად მოხდა – საკე ნარნარად ჩაეშვა კუჭში და სხეულში მაცოცხლებელი სითბო გაავრცელა.
– იცით, რაშია საქმე, – თქვა სერდიუკმა, – მე...
– ჯერ ერთიც, – თქვა კავაბატამ.
იატაკზე ფაქსმა გაიწკრიალა და იეროგლიფებით აჭრელებული ფურცელი შობა. კავაბატამ ბოლომდე გამოძრომა დააცადა, მერე მანქანას ფურცელი მოახია და შიგ ჩაინთქა. სტუმარი თითქოს გადააავიწყდაო. სერდიუკმა მიმოიხედა. ოთახის კედლები ერთნაირ ხის პანელებს დაეფარა და ახლა, როცა საკემ გუშინდელი ნოსტალგიური შეტევის შედეგები გააუქმა, თითოეული ეს პანელი უეჭველად კარიაო, ფიქრობდა, ვინ იცის, რომელ იდუმალებაში გამავალიო. თუმცა, ერთი პანელი, რომელზეც გრავიურა ეკიდა, კარი აშკარად არ უნდა ყოფილიყო.
გრავიურა ისეთივე უცნაური გახლდათ, როგორიც სხვა დანარჩენი ბატონი კავაბატას ოფისში. ეს იყო ქაღალდის ვეება ფურცელი, რომლის ცენტრშიც მკრთალი, სწორი ხაზებით მოხაზული სურათი თითქოს თავს იყრიდა, მკვრივდებოდა და ბლანტდებოდა. ნახატზე უფსკრულის პირას მდგარი შიშველი კაცი იყო გამოსახული (ძლიერ სტილიზებული ფიგურა გახლდათ, თუმცა მამაკაცი რომ იყო, საკმაოდ რეალისტურად გამოკვეთილი სასქესო ორგანო მიგახვედრებდათ).

კისერზე რამდენიმე განსხვავებული კალიბრის მძიმე გირი ეკიდა, თითო ხელში კი თითო ხმალი ეპყრა; თვალები თეთრი ჩვრით ჰქონდა ახვეული, ფეხქვეშ კი ციცაბო ფერდობი დაშვებულიყო. კიდევ რამდენიმე წვრილმან დეტალსაც შენიშნავდით – ნისლში ჩაფლული მზე, ჩიტები ცაში და შორს პაგოდის სახურავი, მაგრამ ამ რომანტიკული გადახვევების მიუხედავად, გრავიურა სულში ძირითადად უსასოობის განცდას ტოვებდა.
– ეს ჩვენი სახალხო მხატვარი აკეტი მიცუხიდეა, – თქვა კავაბატამ, – სწორედ ის, ამ ცოტა ხნის წინ თევზმა ფუგუმ რომ მოწამლა. როგორ ფიქროობთ, ეს გრავიურა რა თემაზეა შექმნილი?
სერდიუკმა თვალი ნახატზე გამოსახულ კაცს ააყოლა – შიშველი სირიდან გულზე დაკიდებულ გირებამდე.
– ჰო, რა თქმა უნდა, – თქვა სერდიუკმა თავისდა მოულოდნელად, – სირი და გირი, ანუ «ონი» და «ჰირი».
კავაბატამ ტაში შემოკრა და გაიცინა.
– საკეს კიდევ ხომ არ მიირთმევთ, – თქვა.
– იცით, – მიუგო სერდიუკმა, – სიამოვნებით, მაგრამ ეგებ ჯერ ინტერვიუსთვის მიგვეხედა, თორემ დავთვრები…
– ინტერვიუ უკვე დავასრულეთ, – თქვა კავაბატამ და ჭიქები შეავსო, – იცით რაშია საქმე – ჩვენი ფირმა ძალიან დიდი ხნისაა, ისეთი ძველია, რომ, თუ გეტყოდით, არც კი დაიჯერებდით. ჩვენთვის მთავარი ტრადიციებია. ჩვენთან, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ძალიან ვიწრო კარით შემოდიან, მაგრამ თქვენ ახლახან ამ ვიწრო კარში საკმაოდ თამამად შეაბიჯეთ.
გილოცავთ.
– რომელ კარში?
კავაბატამ გრავიურაზე მიუთითა.
– აი, ამაში, – თქვა, – ერთადერთში, რომელსაც «ტაირა ინკორპორეიტედში» შევყავართ.

– მთლად კარგად არ მესმის, – თქვა სერდიუკმა, – ჩემი წარმოდგენით, თქვენ ვაჭრობით უნდა იყოთ დაკავებული და თქვენთვის...
კავაბატამ ხელი აღმართა.
– სამწუხაროდ, ხშირად შემინიშნავს, რომ ნახევარი რუსეთი საძაგელი დასავლური პრაგმატიზმითაა შეპყრობილი. ცხადია, ეს თქვენ არ გეხებათ, მაგრამ ვიცი, რასაც ვამბობ.
– პრაგმატიზმი ცუდი რითაა? – ჰკითხა სერდიუკმა.
– ძველად, – თქვა კავაბატამ, – ჩვენს ქვეყანაში ჩინოვნიკებს დიდ თანამდებობებზე დასანიშნად გამოცდას აბარებინებდნენ, რომლებზეც მათ მშვენიერების შესახებ თხზულება უნდა დაეწერათ. მეტად ბრძნული პრინციპი იყო – თუკი ადამიანი იმაში ერკვევა, რაც ყოველგვარ ბიუროკრატიულ მანიპულაციაზე მაღლა დგას, მაშინ, ცხადია, ამ მანიპულაციებს თავს იოლად გაართმევს. რაკიღა თქვენი გონება ელვის სისწრაფით ჩასწვდა ამ ნახატში ჩაშიფრულ უძველეს ალეგორიას, მაშინ თქვენთვის რაღაც ქაღალდები და ზედნადებები რაღა ბედენაა? არც არაფერი. მეტიც, თქვენი პასუხის გამო თქვენთან ჭიქის აწევას დიდ პატივად მივიჩნევ. მიირთვით, უარს ნუ მეტყვით.
ერთიც რომ დალია, სერდიუკი თავისდა მოულოდნელად გუშინდელი დღის მოგონებებში დაინთქა – თურმე პუშკინის მოედნიდან ჩისტიე პრუდიზე წასულა. თუ რატომ, რა მიზნით, ეს მთლად ნათლად აღარ ახსოვდა – მხოლოდ გრიბოედოვის ძეგლი შემორჩენოდა მეხსიერებას, ერთობ უცნაური რაკურსით, თითქოს სკამძელის ქვეშ მწოლიარემ დაინახაო.
– ჰო, – წარმოთქვა ჩაფიქრებულმა კავაბატამ, – კაცმა რომ თქვას, შემაშინებელი ნახატია. ცხოველებისგან

მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით დადგენილი წესებითა და რიტუალებით განვსხვავდებით. მათი დარღვევა სიკვდილზე უარესია, რადგან მხოლოდ მათი წყალობით ვართ დაცულნი იმ უფსკრულისა და ქაოსისგან, ჩვენს ფერხთით რომ დაუღია ხახა და რომელსაც, თვალს თუ ავახელდით, უეჭველად დავინახავდით.
თითი გრავიურისკენ გაიშვირა.
– მაგრამ ჩვენ იაპონიაში სხვა ტრადიციაც გვაქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხანდახან საჭიროა სულ ერთი წამით საკუთარ თავში ჩავღრმავდეთ და ყველა ტრადიციას გავერიდოთ; როგორც ამბობენ, ბუდასა და მარას დავეხსნათ, რათა რეალობის განუმეორებელი გემო შევიგრძნოთ. ასეთ წამებში ზოგჯერ ხელოვნების საოცარი ქმნილებები იბადება...
კავაბატამ ერთხელაც გახედა უფსკრულის პირას მდგარ ხმლებიან კაცს და ამოიოხრა.
– დიახ, – თქვა სერდიუკმა, – ახლა ისეთი ცხოვრებაა, რომ ადამიანი ყველაფერს განუდგა. ტრადიციები კი... კი, ზოგჯერ ეკლესიებში დაიარებიან, მაგრამ ძირითადად ტელევიზორს უყურებენ და ფულზე ფიქრობენ.
იგრძნო, საუბრის თამასა ძალიან დაბლა დავუშვი და სასწრაფოდ რაიმე ჭკვიანური უნდა ვთქვაო.
– ალბათ, – განაგრძო და კავაბატას ცარიელი ჭიქა გაუწოდა, – ეს იმიტომ ხდება, რომ რუსი კაცი თავისი ბუნებით მეტაფიზიკური ძიებისკენ მიდრეკილი არ არის და ალკოჰოლიზმში შეზავებული უღმერთობით კმაყოფილდება, რაც, მართალი თუ გნებავთ, არის კიდევაც ჩვენი მთავარი სულიერი ტრადიცია.
კავაბატამ ჩამოასხა.
– თავს ნებას მივცემ, ამ საკითხში ბოლომდე არ დაგეთანხმოთ, – თქვა, – და, აი, რატომ. ამას წინათ ჩვენი რუსული რელიგიური კოლექციისთვის შევიძინე...

– აგროვებთ? – ჰკითხა სერდიუკმა.
– დიახ, – თქვა კავაბატამ, წამოდგა და ერთ-ერთ სტელაჟს მიუახლოვდა, – ეს ჩვენი ფირმის პრინციპთაგანია – მუდამ ვცდილობთ, ღრმად ჩავწვდეთ იმ ერის სულს, რომელთანაც საქმეს ვიჭერთ. ის როდი გვაქვს მიზნად, რომ რაიმე დამატებითი შემოსავალი მოვიხვეჭოთ... რუსულად როგორ უნდა ვთქვა? მენტალობის გააზრებით. სწორია?
სერდიუკმა თავი დაუქნია.
– არა, – განაგრძო კავაბატამ და რომელიღაც დიდი საქაღალდე გახსნა, – ამ შემთხვევაში გვინდა, ჩვენი ყოფითი საქმიანობა ხელოვნების დონეზე ავიყვანოთ. გამიგეთ, თუ თქვენ ტყვიამფრქვევების პარტიას სიცარიელეში ყიდით, საიდანაც კაცმა რომ არ იცის, რა გზებით ნაშოვნ ფულს იღებთ, მაშინ სალარო აპარატისგან რითღა განსხვავდებით? მაგრამ, თუკი იმავე პარტიას იმ ადამიანებს მიჰყიდით, რომელთა შესახებაც იცით, რომ მკვლელობებს შემოქმედის სამი იპოსტასის წინაშე ინანიებენ, მაშინ ყიდვა-გაყიდვის უბრალო აქტი ხელოვნების დონეზე ადის და სულ სხვა თვისობრიობას იძენს. მათთვის კი არა, თქვენთვის. სამყაროსთან, რომელშიც მოქმედებთ, ჰარმონიას, ერთიანობას ამყარებთ და კონტრაქტის ქვეშ დასმული თქვენი ხელმოწერაც ასეთსავე ეგზისტენციალურ სტატუსს იძენს... სწორი რუსულით ვამბობ?
სერდიუკმა თავი დაუქნია.
– ისეთსავე ეგზისტენციალურ სტატუსს, როგორიც მზის ამოსვლას, სრუტეს ან ქარში ბალახის რხევას აქვს... ჰო, წეღან რა მკითხეთ?
– თქვენი კოლექციის შესახებ.
– ჰო, მართლა, გნებავთ, ნახოთ?
სერდიუკს კალკის დამცავი ფენით დაფარული დიდი ფურცელი გაუწოდა.

– ოღონდაც ფრთხილად, გთხოვთ.
სერდიუკმა ფურცელი გამოართვა. დამტვერილი რუხი მუყაოს ნაჭერი იყო, ერთი შეხედვით, საკმაოდ ძველი ჩანდა. ზედ წითელი საღებავით, ტრაფარეტის გამოყენებით, სიტყვა «ღმერთი» იყო დაბეჭდილი.
– ეს რა არის?
– ეს XX საუკუნის დასაწყისის რუსული კონცეპტუალური ხატია, – თქვა კავაბატამ, – დავიდ ბურლიუკის ნამუშევარი. გაგიგიათ?
– ისე, ყურმოკვრით.
– უცნაურია, მაგრამ რუსეთში ნაკლებად იცნობენ, – თქვა კავაბატამ, – თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. აბა, დაუკვირდით!
სერდიუკმა ფურცელს ერთხელაც დახედა. ასოებს თეთრი ხაზები აჩნდა, რაც, როგორც ჩანს, იმ ქაღალდის ზოლების კვალი იყო, რომლებითაც მუყაოზე ტრაფარეტი დაემაგრებინათ. თითქოს დაუდევრად დაუბეჭდავთო, წარწერას გადღაბნილი საღებავის ლაქები აჩნდა და ყოველივე ეს ერთობ უცნაურად ჩექმის ნაკვალევს მიაგავდა.
სერდიუკმა კავაბატას მზერა იგრძნო და ამოიხვნეშა:
– მდაااა!
– ნახეთ, რამდენი აზრია ჩადებული, – განაგრძობდა კავაბატა, – დაიცათ, ნურაფერს იტყვით, ვეცდები, განვმარტო, რასაც მე ვხედავ და თუ რამე გამომრჩა, თქვენ შეავსეთ, კარგი?
სერდიუკმა თავი დაუქნია.
– ჯერ ერთი, – თქვა კავაბატამ, – თვით ის ფაქტი, რომ სიტყვა «ღმერთი» ტრაფარეტითაა დაბეჭდილი. სწორედ ასე აღწევს იგი ბავშვობისას ადამიანის ცნობიერებაში – მილიარდობით ტვინში ჩაბეჭდილ ტრაფარეტულ ანაბეჭდად. თანაც აქ ბევრი რამ თვით იმ ზედაპირზეცაა დამოკიდებული, რომელსაც ტვიფარი

ედება – თუ ქაღალდი უსწორმასწორო და ხეშეშია, ანაბეჭდი გაიდღაბნება, ხოლო თუ ზედ უკვე რაიმე სხვა სიტყვები წერია, მაშინ კაცმა არ იცის, რა შედეგს მივიღებთ. ამიტომაც ამბობენ, ყველას თავისი ღმერთი ჰყავსო.
– გარდა ამისა, ნახეთ, რა დიდებულია ამ ასოების სიტლანქე – კუთხეებით თვალებს გვიკაწრავს. დაუჯერებელიც კია, ვინმემ იფიქროს, რომ სწორედ ეს ექვსასოიანი სიტყვაა მარადიული სიყვარულის და სიკეთის პირველწყარო და ამქვეყნიური არსებობა ნაწილობრივ სწორედ ამ სიყვარულისა და სიკეთის გამოძახილია. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ანაბეჭდი, ყველაფერზე მეტად შინაურ ცხოველზე დასადებ დამღას რომ მიაგავს, ერთადერთი რამაა, რის იმედიც ცხოვრებაში ადამიანს დარჩენია. მეთანხმებით?
– დიახ, – თქვა სერდიუკმა.
– მაგრამ სულ ეს რომ იყოს მაგ ნაწარმოების ღირსება, ახლა ხელთ რომ გიპყრიათ, მაშინ ვიტყოდით, არაფერი განსაკუთრებული მასში არ არისო – ამგვარ იდეათა მთელი სპექტრი სოფლის კლუბებში წაკითხულ ნებისმიერ ათეისტურ ლექციაზე გაისმის ხოლმე. მაგრამ აქ კიდევაა ერთი პატარა დეტალი, რომელიც ამ ხატს ჭეშმარიტად გენიალურ ქმნილებად ხდის – არ მოგერიდებით და ვიტყვი – რუბლიოვის «სამებაზე» აღმატებულადაც. ცხადია, გესმით, რასაც ვბედავ, მაგრამ ნება მიბოძეთ, სათქმელი ბოლომდე თვითონვე მოგახსენოთ.
კავაბატამ საზეიმო პაუზა გააკეთა.
– ცხადია, სიცარიელის იმ ზოლებს ვგულისხმობ, ტრაფარეტისგან რომ დარჩენილა. მაგათ გადაღებვას რა უნდოდა, მაგრამ მაშინ ეს ნაწარმოები ის არ იქნებოდა, რაც ახლაა. დიახ. ადამიანი უცქერის სიტყვას, აზრიდან თანდათან ფორმაზე გადადის და

უეცრად სიცარიელეებს ამჩნევს, არც არაფრით შევსებული რომ არ არის. ჰოდა, სწორედ იქ, არსად თუ იპოვი იმას, რაზეც ეს უზარმაზარი და უშნო ასოები მიგვანიშნებენ, რადგანაც სიტყვა «ღმერთი» იმას აღნიშნავს, რისი აღნიშვნაც შეუძლებელია.
ეს უკვე თითქმის ეკჰარტია ან... თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს. მრავალნი ცდილობენ, ეს აზრი სიტყვებით განმარტონ. თუნდაც ლაო-ძი. გახსოვთ ბორბალი და მანები? ან ჭურჭელი, რომელიც მხოლოდ მასში არსებული სიცარიელით ფასობს? მე კი გეტყვით, რომ თითოეული სიტყვა ასეთივე ჭურჭელია და საქმეც ისაა, რამხელა სიცარიელის დატევას მოახერხებს. ხომ მართალს ვამბობ?
– დიახ, – თქვა სერდიუკმა.
კავაბატამ შუბლიდან კეთილშობილი ოფლის წვეთები მოიწმინდა.
– ახლა კიდევ ერთხელ შეხედეთ კედელზე დაკიდებულ გრავიურას, – თქვა.
– კეთილი, – თქვა სერდიუკმა.
– ხედავთ, როგორაა აგებული? რეალობის სეგმენტი, სადაც «ონი» და «ჰირია» მოთავსებული, ცენტრშია, ირგვლივ კი სიცარიელეა, საიდანაც ყველაფერი გამოდის და უკან ბრუნდება. ჩვენ, იაპონელები, სამყაროს მისი გაჩენის შესახებ ზედმეტი შეკითხვებით არ ვაწუხებთ. ჩვენ ღმერთს ცნება «ღმერთის» ტვირთით არ ვამძიმებთ, მაგრამ, ამის მიუხედავად, გრავიურაზე გამოსახული სიცარიელე იგივეა, რაც ბურლიუკის ხატზე. განა ეს მნიშვნელოვანი დამთხვევა არ არის?
– რა თქმა უნდა, – თქვა სერდიუკმა და კავაბატას ცარიელი ჭიქა გაუწოდა.
– მაგრამ ამგვარ სიცარიელეს დასავლეთის რელიგიურ მხატვრობაში ვერსად ნახავთ, – თქვა კავაბატამ და დაასხა, – იქ ყველაფერი მატერიალური ობიექტებითაა

სავსე, რაღაც პორტიერებით, ნაკეცებით, სისხლით სავსე პაწია ტაშტებით და ღმერთმა იცის, რით აღარ. რეალობის უნიკალური ხედვა, ხელოვნების ამ ორ ნაწარმოებში რომაა ასახული, ჩვენ და თქვენ გვაერთიანებს. ამიტომაც ვთვლი, რომ რუსეთს აუცილებლად აღმოსავლეთთან ალქიმიური დაქორწინება სჭირდება.
– გეფიცებით, – თქვა სერდიუკმა, – გუშინ სწორედ ამაზე ვფიქრობდი...
– სწორედ აღმოსავლეთთან, – თქვა კავაბატამ, – და არა დასავლეთთან. გესმით? რუსული სულის წიაღში იგივე სიცარიელე კიაფობს, რაც იაპონურისაში. სწორედ ამ სიცარიელისგან წარმოიქმნება სამყარო, წარმოიქმნება ყოველწამიერ. თქვენ გაგიმარჯოთ.
დალიეს. კავაბატამ ცარიელი ჭიქა ხელში შეათამაშა.
– დიახ, – თქვა, – ჭურჭლის ფასი, ცხადია, სიცარიელეშია. თუმცა კერძოდ ამ ჭურჭლისა ბოლო რამდენიმე წუთში ერთობ გაიზარდა. ღირებულებასა და ღირებულების არქონას შორის ბალანსი ირღვევა, ეს კი დაუშვებელია. ბალანსის დარღვევა ყველაფერზე უარესია.
– დიახ, – თქვა სერდიუკმა, – სწორია. მეტი აღარაა?
– შეგვიძლია წავიდეთ და ავიღოთ, – მიუგო კავაბატამ, – მაგრამ ფეხბურთი გამოგვრჩება...
– გიყვართ?
– «დინამოს» ვგულშემატკივრობ, – უთხრა კავაბატამ და თვალი ძალიან ძმაბიჭურად ჩაუკრა.
გაქექილკაპიუშონიან ქურთუკსა და რეზინის ჩექმებში კავაბატა იაპონელს სულ აღარ ჰგავდა. ახლა ნამდვილად დონის როსტოვიდანააო, იტყოდით, თან ჩამოსვლის მიზანსაც მიუხვდებოდით და არც მთლად ღირსეული მიზანი რომ იქნებოდა, ამასაც გაიფიქრებდით. სხვათა შორის, სერდიუკმა რა ხანია იცოდა, რომ მოსკოვის ქუჩებში შემხვედრ უცხოელთა

უმრავლესობა სინამდვილეში მართლა უცხოელები კი არ არიან, არამედ წვრილმანი ვაჭრუკანები, ცოტაოდენი ფული რომ მოუპარავთ და მერე მაღაზია «კალინკა-სტოკმანში» დაუხარჯავთ. ნამდვილი უცხოელები, რომლებიც მოსკოვში სასტიკად მომრავლდნენ, უსაფრთხოების მიზნით უკვე მრავალი წელია ისე იცვამენ, რომ ჩვეულებრივი ადგილობრივი გამვლელისგან ვერავინ განასხვაოს. მათი უმეტესობა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს რიგითი მოსკოველი გამვლელი, ორი აზრი არ არსებობს, სი-ენ-ენ-ისგან იღებდა. სი-ენ-ენ-ი კი რეფორმების გადამწვარ უდაბნოში მოხეტიალე დემოკრატიის კვალდაკვალ მობორიალე მოსკოველების ჩვენებისას ასიდან ოთხმოცდაათ შემთხვევაში ამერიკის საელჩოს გადაცმული თანამშრომლების მსხვილ ხედებს გადასცემდა, რამდენადაც ეს უკანასკნელნი გაცილებით უფრო ბუნებრივად გამოიყურებოდნენ, ვიდრე უცხოელებად გადაცმული მოსკოველები. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ კავაბატა როსტოვიდან ჩამოსულს ჰგავდა, უფრო ზუსტად კი სწორედ ამ მსგავსების წყალობით და განსაკუთრებით იმიტომაც, რომ სახით იაპონელს მაინცდამაინც არ ჰგავდა, შეხედვისთანავე ნათელი იყო, რომ იგი ის პირწავარდნილი იაპონელი გახლდათ, საკუთარი ოფისიდან წუთით რომ გამოსულა მოსკოვურ ბინდბუნდში.
ამას გარდა, კავაბატას სერდიუკი ერთ-ერთი იმ მარშრუტით მიჰყავდა, რომლითაც მხოლოდ უცხოელები სარგებლობდნენ – ჩაბნელებულ გამჭოლ ეზოებსა თუ სადარბაზოებში, ან კიდევ მავთულის ჩახეულ ღობეებში ძვრებოდა, რის გამოც სერდიუკს რამდენიმე წუთში ორიენტაცია დაეკარგა და თავის სწრაფ მეგზურს ბოლომდე მიენდო. მალე ერთ ბნელ

დაკლაკნილ ქუჩაზე გავიდნენ, სადაც რამდენიმე ჯიხური იდგა და სერდიუკი მიხვდა, დანიშნულების ადგილზე ვართო.
– რა ავიღოთ? – ჰკითხა.
– მე მგონი, ლიტრი საკე, – თქვა კავაბატამ, – სწორედ ეგ გვჭირდება. ჰო, და რამე მისაყოლებელიც.
– საკე? – ჰკითხა გაოცებულმა სერდიუკმა, – აქ აქვთ საკე?
– სწორედ აქ, – თქვა კავაბატამ, – მოსკოვში სულ სამად სამი ჯიხურია, სადაც ნორმალური საკე იყიდება. აბა, რა გგონიათ, ოფისი აქ რატომ გავხსენით?
«ხუმრობს», – გაიფიქრა სერდიუკმა და ვიტრინას შეხედა. ყოვლად ჩვეულებრივი საქონელი გამოეფინათ, ეგ იყო მხოლოდ, ბოთლების რიგში რამდენიმე ბოთლს იეროგლიფებით სავსე უცნობი სახეობის ეტიკეტი ჰქონდა მიკრული.
– შავი საკე, – უთხრა კავაბატამ ჯიხურის სარკმელს, – დიახ, ორი.
ერთი ბოთლი სერდიუკს მიაწოდა და იმანაც ჯიბეში ჩაიტენა, მეორე თავისთვის დაიტოვა.
– ახლა ერთი საქმეღა დაგვრჩა, – თქვა კავაბატამ, – მცირეხნიანი.
ჯიხურების რიგს გაუყვნენ და მალე რკინა-კავეულის მომცრო პავილიონთან აღმოჩნდნენ, რომელსაც სულ ერთიანად დახვრეტილი კარი ება, – ან ტყვიით, ან ლურსმნით, ან, ჩვეულებისამებრ, ერთითაც და მეორითაც. პავილიონის ორივე ფანჯარას დეკორატიული გისოსი იცავდა – ქვემო კუთხეში ნახევრად მორკალული ლითონის წნელი და მისგან ყოველმხრივ გამომავალი დაჟანგული სხივები. კარს ზემოთ აბრა ეკიდა:
«საქონელი სახრისთვის» ან იქნებ «სახლისთვის» – სადავო ასო «რ»-სა და «ლ»-ს შორის შუალედურად

მოეხაზათ.
შიგნიდან პავილიონი ისევე გამოიყურებოდა, როგორც სხვა ყველა მისნაირი – თაროებზე ემალის საღებავების და ოლიფის ქილები ელაგა, იქვე კაფელის ფილების ნიმუშები ეკიდა, ერთი დახლი სხვადასხვა მოდელის მოლაპლაპე სასეიფე კლიტეებით დაზვინულიყო. მაგრამ კუთხეში, გადაბრუნებულ პლასტმასის აბაზანაზე ისეთი რამ იდო, რაც სერდიუკს აქამდე არასდროს ენახა.
ეს იყო შავი კირასა, ლაკგადასმული, მოელვარე და ოქროს ინკრუსტაციებით მორთული. გვერდით რქიანი მუზარადიც მოეთავსებინათ, კისრის დამცავი ფირფიტების მარაოთი აღჭურვილი და ისიც შავი ლაკით ალაპლაპებული. მუზარადს შუბლზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი ეკეთა.
კირასის ზემოთ, კედელზე რამდენიმე სხვადასხვა სიგრძის ხმალი და ასიმეტრიული მშვილდი ეკიდა. სანამ სერდიუკი ამ არსენალს ათვალიერებდა, კავაბატამ გამყიდველს ხმადაბალი საუბარი გაუბა. თითქოს რაღაც ისრებზე ლაპარაკობდნენ. მერე კავაბატამ – კედლიდან თეთრი რომბებით მორთულ ქარქაშში ჩაგებული გრძელი ხმალი ჩამომიხსენითო. ქარქაშიდან სანახევროდ ამოსწია და პირი ფრჩხილით მოუსინჯა (სერდიუკმა შეამჩნია, თუ რა სიფრთხილით ეპყრობოდა ხმალს კავაბატა და ცდილობდა, ალესილ ლითონს თითითაც კი არ შეხებოდა). სერდიუკს მოეჩვენა, კავაბატამ ჩემი არსებობა სულ დაივიწყაო და თავის შეხსენება გადაწყვიტა.
– მითხარით, – მიმართა კავაბატას, – რას ნიშნავს ეს ვარსკვლავი მუზარადზე? ვფიქრობ, რაღაც სიმბოლოა.
– დიახ, დიახ, – თქვა კავაბატამ, – სიმბოლოა, თან ძალიან ძველი. ეს ოქტომბრის ვარსკვლავის ორდენის ერთ-ერთი ემბლემაა.

სერდიუკმა ჩაიცინა.
– ეგ რა ორდენია? – იკითხა, – პრეისტორიულ მწველავებს აჯილდოებდნენ?
კავაბატა ხანგრძლივი მზერით მიაშტერდა და პირის კუთხე ირონიის სატყორცნად ასწია.
– არა, – თქვა, – ეს ორდენი არასდროს არავისთვის მიუნიჭებიათ. უბრალოდ, ზოგიერთი ადამიანი უცებ ხვდებოდა ხოლმე, რომ მისი ტარების უფლება მუდამ ჰქონდა.
– რისთვის უნდა ეტარებინათ?
– არაფერი არ არსებობს, რისთვისაც მისი ტარება შეიძლებოდეს.
– აბა, იდიოტები ყოფილან, – გრძნობით წარმოთქვა სერდიუკმა.
კავაბატამ ხმალი ქარქაშში მკვეთრი მოძრაობით ჩააგო. ჰაერში მყისვე უხერხულობა დატრიალდა.
– ხუმარა ყოფილხართ, – თქვა სერდიუკმა ამ უხერხულობის გასაქარვებლად, – ბარემ გეთქვათ, შრომის წითელი დროშისააო.
– ასეთი ორდენი არ მსმენია, – თქვა კავაბატამ, – ყვითელი დროშის ორდენი მართლაც არსებობს, მაგრამ ის სულ სხვა სფეროდანაა. და რატომ გგონიათ, რომ ვხუმრობ. როცა ვხუმრობ, მოსაუბრეს წინასწარ ჩუმი სიცილით ვაფრთხილებ ხოლმე.
– მაპატიეთ, რაღაც არასწორად ვთქვი, – თქვა სერდიუკმა, – უბრალოდ, დავთვერი.
კავაბატამ მხრები აიჩეჩა და ხმალი გამყიდველს მიაწოდა.
– აიღებთ? – ჰკითხა გამყიდველმა.
– ამას არა, – თქვა კავაბატამ, – ის პატარა შემიხვიეთ.
სანამ კავაბატა ფულს იხდიდა, სერდიუკი ქუჩაში გამოვიდა. საზიზღარი გრძნობა აჰყვა, თითქოს რაღაც გამოუსწორებელი სისულელე ჩაედინა, მაგრამ

რამდენჯერმე ცას რომ ახედა, საიდანაც გაზაფხულის ნამიან ვარსკვლავებს უკვე გადმოეხედათ, დამშვიდდა. მერე თვალში ისევ ის მეჩხერი წნელ-სხივები შეეჩხირა ფანჯრის გისოსზე და სევდიანად გაიფიქრა, რუსეთიც, არსებითად, ამომავალი მზის ქვეყანააო – თუნდაც იმიტომ, რომ ბოლომდე აქ მზე არც არასდროს ამოსულაო. გადაწყვიტა, ამ დაკვირვებას კავაბატას გავუზიარებო, მაგრამ სანამ ის იღლიაში ამოდებული შეფუთული ხმლით პავილიონიდან გამოვიდოდა, ამასობაში სერდიუკს ეს გადაწყვეტილება თავიდან ამოუფრინდა და მას დალევის სურვილი ჩაენაცვლა. კავაბატა, ეტყობა, მყისვე მიუხვდა, კარს რამდენიმე მეტრით გაშორდა, ხმალი ასფალტის ხვრელიდან თავამოყოფილი შავი ხის ძირას დადო და თქვა:
– მოგეხსენებათ, იაპონიაში საკეს ვაცხელებთ და თანაც ბოთლიდან არავინ არასდროს არ სვამს – ეს რიტუალს დიამეტრალურად ეწინააღმდეგება. ქუჩაში სმა ხომ საერთოდაც სამარცხვინოა. მაგრამ არის ერთი უძველესი ხერხი, რომელიც ამის საშუალებას ღირსების დაუკარგავად იძლევა. ამ ხერხს «დასასვენებლად ჩამომხდარი მხედარი» ჰქვია. «მხედრის დასვენებადაც» შეგვიძლია ვთარგმნოთ. ჯიბიდან ბოთლი ისე ამოიღო, სერდიუკისთვის თვალი არ მოუცილებია.
– თქმულების თანახმად, – განაგრძო, – დიდი პოეტი არივარა ნარიხირა თავის დროზე ისეს პროვინციაში სანადირო საქმეთა ელჩად მიავლინეს. წინ შორი გზა ედო, იმ დროებაში ცხენებით მგზავრობდნენ და რამდენიმე დღე უნაგირზე უნდა გაეტარებინა. ზაფხული იდგა. ნარიხირა მეგობრების თანხლებით მგზავრობდა და მისი ამაღლებული სული სევდას და სიყვარულს აღევსო. როდესაც მხედრები იღლებოდნენ, ცხენებიდან ჩამოხდებოდნენ, რათა ძალა უბრალო საჭმლითა და

საკეს რამდენიმე ყლუპით აღედგინათ. ყაჩაღების ყურადღება რომ არ მიეპყროთ, კოცონს არ აჩაღებდნენ და ამიტომ საკეს ცივად სვამდნენ. თან ერთმანეთს საუცხოო ლექსებს უკითხავდნენ იმის შესახებ, რასაც ირგვლივ ხედავდნენ და რაც გულში უდუღდათ. მერე კი გზას განაგრძობდნენ...
– ეს ტრადიციად იქცა. როცა საკეს ამ წესით მიირთმევ, დიდებული წინაპრები უნდა გაიხსენო და მათი მოგონება ნელ-ნელა შენი გულიდან ამოღვრილ ნათელ სევდად გადააქციო, თან ამქვეყნიური წარმავლობა უნდა გაიაზრო, თან სამყაროს სილამაზით მოიხიბლო. მოდით, ერთად...
– სიამოვნებით, – თქვა სერდიუკმა და ხელი ბოთლისკენ გააპარა.
– ნუ აჩქარდებით, – თქვა კავაბატამ და ბოთლი მოარიდა, – ამ რიტუალში პირველად მონაწილეობთ, ასე რომ, ნება მიბოძეთ, მის შემადგენელ მოქმედებათა თანმიმდევრობა და მათი მნიშვნელობა გაგაცნოთ. მე მომბაძეთ, მე კი, ჩემი მხრივ, მომხდარის სიმბოლურ მნიშვნელობას აგიხსნით.
კავაბატამ ბოთლი ხმლის გვერდით დადგა.
– წესი მოითხოვს, რომ ჯერ ცხენი უნდა დავაბათ, – თქვა, ხის დაბალ ტოტს მისწვდა, სიმაგრე მოუსინჯა და ხელები ისე დაატრიალა, თითქოს ზედ აღვირი დაახვიაო. სერდიუკი მიხვდა, მეც იგივე უნდა მოვიმოქმედოო და კავაბატას ყურადღებიანი მზერის კონტროლქვეშ მანიპულაცია სამაგალითოდ გაიმეორა.
– არა, – თქვა კავაბატამ, – ასე გაწვალდება.
– ვინ? – ჰკითხა სერდიუკმა.
– თქვენი ცხენი. ძლიერ მაღლა მიაბით. ბალახს როგორღა მოძოვს? ეს ხომ არა მხოლოდ თქვენი, არამედ ამ ერთგული თანამგზავრის შესვენებაცაა. სერდიუკს სახეზე გაოგნება გამოეხატა. კავაბატამ

ამოიოხრა.
– გაიგეთ, – მოთმინებით წარმოთქვა მან, – ამ რიტუალის შესრულებით თითქოს ჰეიანის ეპოქაში ვინაცვლებთ, ახლა ჩვენ ისეს პროვინციაში მივემგზავრებით, ზაფხულია. გემუდარებით, აღვირი დაბლა ჩამოიტანეთ.
სერდიუკმა გადაწყვიტა, არ შესწინააღმდეგებოდა. ჯერ ზემოთა, მერე კი ქვემოთა ტოტის ირგვლივ ხელები დაატრიალა.
– ეს სულ სხვა საქმეა, – უთხრა კავაბატამ, – ახლა ლექსები უნდა შევთხზათ იმის შესახებ, რაც ირგვლივ გვაკრავს.
თვალები დახუჭა, რამდენიმე წამს დუმდა, მერე კი გრძელი ხორხისმიერი ფრაზა გამოთქვა, რომელშიც სერდიუკმა ვერც რიტმი იგრძნო, ვერც რითმა.
– ეს დაახლოებით იმას ასახავს, რაზეც ვლაპარაკობდით, – განმარტა კავაბატამ, – როგორ ძოვენ უხილავი ცხენები უხილავ ბალახს და რომ ეს უფრო რეალურია, ვიდრე ასფალტი, რომელიც, არსებითად, არც კი არსებობს. მაგრამ ყველაფერი სიტყვათა თამაშზეა აგებული. ახლა თქვენი ჯერია.
სერდიუკს გულზე სიმძიმე დააწვა.
– არც კი ვიცი, რა ვთქვა, – მოიბოდიშა, – ლექსები არასდროს არც მიწერია და არც მყვარებია. ან კი სიტყვები რა საჭიროა, როცა ცაზე ვარსკვლავებია.
– ო, – წამოიძახა კავაბატამ, – დიდებულია! ბრწყინვალეა! თან რამხელა სიმართლეა! სულ ორმოცდაორი მარცვალია და მთელ წიგნად ღირს!
ნაბიჯი უკან წარდგა და ორჯერ თაყვანისცემით მოიხარა.
– კიდევ კარგი, ლექსი მე პირველმა წავიკითხე, – თქვა, – თორემ თქვენ შემდეგ ვეღარც კი გავბედავდი! სად დაეუფლეთ ტანკის ხელოვნებას?
– ისე, უბრალოდ, – პასუხს თავი აარიდა სერდიუკმა.

კავაბატამ ბოთლი გაუწოდა. სერდიუკმა რამდენიმე დიდი ყლუპის შემდეგ უკან დაუბრუნა. იაპონელმაც მოიყუდა – მცირე ყლუპებით სვამდა, ეტყობა, ამაშიც რაღაც საკრალური აზრი იდო, მაგრამ სერდიუკმა ყოველი შემთხვევისთვის შეკითხვებისგან თავი შეიკავა. სანამ კავაბატა სვამდა, სიგარეტი გააბოლა. ორი-სამი ნაფაზის შემდეგ თავდაჯერება დაუბრუნდა და, ცოტა არ იყოს, შერცხვა კიდეც, რა გაუბედავად ვიქცევიო.
– ჰო, მართლა, რაც შეეხება ცხენს, – თქვა, – მაღლა კი არ მიმიბამს. უბრალოდ, ამ ბოლო დროს ხშირად ვიღლები და სამ-სამი დღით ვისვენებ ხოლმე, ჰოდა, ჩემს ცხენს გრძელი აღვირი რომ არ ჰქონდეს, პირველსავე დღეს ირგვლივ მთელ ბალახს გამოჭამდა…
კავაბატას სახე შეეცვალა. ერთხელაც მოიკაკვა თაყვანისცემის ნიშნად, გვერდზე გავიდა და მუცელზე ქურთუკი გაიღეღა.
– რას აპირებთ? – ჰკითხა სერდიუკმა.
– ძალიან მრცხვენია, – თქვა კავაბატამ, – ასეთი შეცდომის შემდეგ ცოცხლად დარჩენის უფლება აღარ მაქვს.
ასფალტზე დაჯდა, გახვეული ხმალი გახსნა, ქარქაშიდან ამოაძრო და თავს ზემოთ ანთებული ნეონის ფარნის შუქმა ხმლისპირზე ლილისფერი ათინათი გააელვა. სერდიუკი, როგორც იქნა, განზრახვას მიუხვდა და ხელები გაუკავა.
– გეხვეწებით, ნუ იზამთ, – სრულიად გულწრფელი შიშით წამოიძახა, – წვრილმანებს ასეთ მნიშვნელობას რატომ ანიჭებთ?
– შეძლებთ პატიებას? – გრძნობით ჰკითხა კავაბატამ და წამოდგა.
– გემუდარებით, დაივიწყოთ ეს სულელური გაუგებრობა. ამასთანავე, ცხოველების სიყვარული კეთილშობილების ნიშანია და სასირცხვო სულაც არ

არის.
კავაბატა წუთით დაფიქრდა და შუბლი გაეხსნა.
– მართალი ბრძანდებით, – თქვა, – მართლაც განა იმის თქმა მსურდა, თითქოს რაიმეში თქვენზე უკეთ ვერკვეოდე, არამედ დაქანცული ცხოველის მიმართ სიბრალული მამოძრავებდა. შესაძლოა, სულელურად გამომივიდა, მაგრამ ღირსება არ დამიკარგავს.
ხმალი კვლავ ქარქაშში ჩააგო, გადაბანცალდა და ისევ ბოთლს დაეწაფა.
– როცა ორ კეთილშობილ მამაკაცს შორის წვრილმანი გაუგებრობა წარმოიქმნება, მისი გაცამტვერება იოლია, თუკი ორივე გონიერების მახვილით შეიარაღდება, ასე არაა? – იკითხა და ბოთლი სერდიუკს გაუწოდა.
სერდიუკმა ჩაცალა.
– რა თქმა უნდა, იოლია, – თქვა, – აბა, რა.
კავაბატამ თავი აიღერა და ცას მეოცნებე მზერით ახედა.
– სიტყვები რა საჭიროა, როცა ცაზე ვარსკვლავებია, – წამოიძახა გამოთქმით,– ოჰ, რა დიდებული სიტყვებია. იცით, ძალიან მინდა, ეს გასაოცარი მომენტი რაიმე ჟესტით აღვნიშნო. ცხენები ხომ არ აგვეშვა? დაე, მშვენიერ ველზე იბალახონ, ხოლო ღამით მთებში გაინავარდონ. განა მათ თავისუფლება არ დაიმსახურეს?
– მეტად გულისხმიერი ადამიანი ბრძანდებით, – უთხრა სერდიუკმა.
აბანცალებული კავაბატა ხეს მიუახლოვდა, ხმალი იშიშვლა და ელვისებური მოქნევით ქვედა ტოტს ჩასცხო. ტოტი ასფალტს დაენარცხა. კავაბატა ხელების ქნევას მოჰყვა და რაღაც დაუნაწევრებელი შეძახილი ამოუშვა. სერდიუკი მიხვდა, ცხენებს ერეკებაო. მერე კავაბატა დაბრუნდა, ბოთლი აიღო და შიგ ჩარჩენილი რამდენიმე წვეთი დანანებით გადაყლაპა.
– აცივდა, – აღნიშნა სერდიუკმა, ირგვლივ მიმოიხედა და

ინსტინქტურად იგრძნო, ჰა და ჰა, სადაცაა მოსკოვის სუსხიანი ჰაერიდან მილიციის პატრული აღმოცენდებაო, – ოფისში ხომ არ დავბრუნდეთ?
– რა თქმა უნდა, – უპასუხა კავაბატამ, – იქ ვითოხლაოთ.
ოფისში დაბრუნება სერდიუკის მეხსიერებამ ვერ შემოინახა. გონს რომ მოვიდა, ისევ იმ ოთახში ისხდნენ, საიდანაც მოგზაურობა დაიწყეს. იატაკზე მოკალათებულები ღრმა თასებიდან ატრიის წვნიანს მიირთმევდნენ. მართალია, ახალი ბოთლი უკვე სანახევროდ დაეცალათ, მაგრამ სერდიუკი თავს სრულიად ფხიზლად გრძნობდა და სულიერ აღმავლობას განიცდიდა. ეტყობა, კავაბატაც ჩინებულ გუნებაზე იდგა, რამეთუ ხმამაღლა მღეროდა:
– ახალგაზრდა-აა ტიუნაგონი-იი თავგატეხილი მიჰყავთო-ოო...
ამასთან ტაქტში ოჰასის ჩხირებს
იქნევდა, რის გამოც ვერმიშელის ჭიაყელები ოთახში ყოველ მხარეს დაფრენდნენ. ზოგიერთი მათგანი სერდიუკს ეცემოდა, მაგრამ იმას არ სწყინდა. კავაბატამ ჭამა მოამთავრა, თასი გვერდზე გასწია და სერდიუკს მიუბრუნდა.
– აბა, მითხარით, – თქვა, – რა უნდება მოგზაურობიდან შინ დაბრუნებულ ადამიანს ჭამა-სმის შემდეგ?
– არ ვიცი, – თქვა სერდიუკმა, – ჩვენში ტელევიზორს რთავენ ხოლმე.
– ა-ა-არა, – თქვა კავაბატამ, – ჩვენ, იაპონელები მსოფლიოში საუკეთესო ტელევიზორებს ვაწარმოებთ, მაგრამ ეს როდი გვიშლის ხელს, გავიაზროთ, რომ ტელევიზორი მსოფლიო ნაგავსაყრელის კედელში გაჭრილი ერთი პატარა უბრალო სარკმელია და სხვა არაფერი. მე იმ უბედურებს არ ვგულისხმობ, მთელი ცხოვრება კანალიზაციის უსასრულო ნაკადს რომ მისჩერებიან და თავს ცოცხლად მხოლოდ მაშინ

გრძნობენ, როცა ნაცნობ კონსერვის ქილას დაინახავენ. მე იმ ხალხს ვგულისხმობ, რომელიც ჩვენს საუბარში ხსენებას იმსახურებს.
სერდიუკმა მხრები აიჩეჩა.
– თავში არაფერი მომდის, – თქვა.
კავაბატამ თვალები მოჭუტა, სერდიუკისკენ მიიწია, გაუღიმა და წამით მართლაც ცბიერ იაპონელს დაემსგავსა.
– გახსოვთ, ამ ცოტა ხნის წინ, ცხენები რომ ავუშვით, მდინარე ტენძიონი გადავლახეთ და რასიომონის კარიბჭეს მივაშურეთ, ჩვენი სულები რას მიელტვოდნენ?
სერდიუკი შეკრთა.
«ცისფერია, – გაიფიქრა, – აქამდე როგორ ვერ მივხვდი?!»
კავაბატა უფრო ახლოს მიუჩოჩდა.
– ეს ხომ იმ მცირერიცხოვან გრძნობათაგანია, რისი განცდაც ადამიანს ჯერ კიდევ შეუძლია. ამასთანავე, აკი შევთანხმდით, რუსეთს აღმოსავლეთთან ალქიმიური დაქორწინება სჭირდებაო.
– სჭირდება, – თქვა დაძაბულმა სერდიუკმა, – ცხადია. სწორედ გუშინ ვფიქრობდი ამის შესახებ.
– ძალიან კარგი, – თქვა კავაბატამ, – მაგრამ განა არსებობს ისეთი რამ, რაც ხალხებსა და ქვეყნებს ემართებოდეთ და იმავდროულად ამ ქვეყნებში მცხოვრებ და ამ ეროვნებათა შემადგენელ თითოეული ადამიანის ცხოვრებაში არ მეორდებოდეს? რუსეთი ხომ თქვენ ბრძანდებით. ასე რომ, თუ გულწრფელად ლაპარაკობთ, რაშიც ეჭვიც კი არ მეპარება, მაშინ მოდი ეს რიტუალი დაუყოვნებლივ შევასრულოთ. ჩვენი სიტყვები და აზრები, ასე ვთქვათ, საწყისთა სიმბოლური შერწყმით განვამტკიცოთ...
კავაბატა დაიხარა და თვალი ჩაუკრა.

– ამას გარდა, ერთად მუშაობა მოგვიხდება, მამაკაცებს კი არაფერი ისე არ აახლოებს, როგორც...
თვალი ერთხელაც ჩაუპაჭუნა და გაუღიმა. სერდიუკმაც უნებურად დაუბრუნა ღიმილი, თან იფიქრა, კავაბატას პირში ერთი კბილი აკლიაო, თუმცა სხვა გარემოებები უფრო მნიშვნელოვანი ჩანდა; ჯერ ერთი, სერდიუკს შიდსის საფრთხე მოაგონდა, მეორეც, გაახსენდა, რომ არც მთლად სუფთა საცვლები ეცვა. კავაბატა წამოდგა, კარადასთან მივიდა და მცირეოდენი ძებნის შემდეგ სერდიუკს რაღაც ჩვარი გაუწოდა. ეს ზუსტად ისეთი ლურჯი ქუდი იყო, საკეს ჭიქებზე დახატულ კაცებს რომ ეხურათ. კავაბატამ მეორე ქუდი თვითონ დაიხურა და სერდიუკს ანიშნა, მომბაძეო. მერე ტაში შემოკრა. მყისვე კედლის ერთი პანელი განზე გაქანდა და სერდიუკს ერთობ აღვირახსნილი მუსიკა მოესმა. პანელს იქით, პატარა საკუჭნაოსმაგვარ ოთახში გრძელი, ფერადი კიმონოებით შემოსილი ოთხი თუ ხუთი ასული იდგა, ხელთ მუსიკალური ინსტრუმენტები ეპყრათ. წამით სერდიუკს მოეჩვენა, კიმონოები კი არა, გრძელი, ცუდად შეკერილი ხალათები აცვიათ, წელზე პირსახოცები შემოურტყამთ და ისე აუკეცავთ, რომ კიმონოებისთვის მიემსგავსებინათო, მაგრამ ბოლოს მაინც დაასკვნა, კიმონო სწორედაც ასეთი ხალათია და სხვა არაფერიო. გოგონები თავის აქეთ-იქით ქნევითა და ღიმილით უკრავდნენ – ერთი ბალალაიკაზე, მეორე პალეხის მოხატულ კოვზებს აკაკუნებდა, დანარჩენ ორს კი პლასტმასის პატარა გარმონები ეჭირა, რომლებიც საშინელ, გამყინავ ხმას გამოსცემდნენ და ეს ბუნებრივიც გახლდათ, რადგან ამგვარ გარმონებს დასაკრავად კი არ აკეთებენ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ საბავშვო ზეიმებზე ხალისიანი განწყობა შექმნან. გოგონები, ცოტა არ იყოს, ძალდატანებით იღიმოდნენ, სახეზე კი ფერუმარილი ერთობ სქლად წაესვათ.

იაპონური არც მათ სახეებს ეცხო რაიმე. ჩვეულებრივ რუს ქალებს ჰგავდნენ, არცთუ ლამაზებს. ერთ-ერთმა სერდიუკს თავისი თანაკურსელი მაშა მოაგონა.
– ქალი, სემიონ, – წარმოთქვა დაფიქრებულმა კავაბატამ, – ჩვენ დასაღუპად შექმნილი სულაც არ არის. იმ საოცარ წამს, ოდეს თავის სხეულებს მოგვატმასნიან, ჩვენი სულები ბედნიერების იმ ქვეყანაში ინაცვლებენ, საიდანაც მოვსულვართ და სადაც სიკვდილის შემდეგ წავალთ. მიყვარს ქალები და არც ამის ხმამაღლა თქმას ვერიდები. მუდამ, როცა ერთ მათგანს ვერწყმი, მე თითქოს...
სიტყვა აღარ დაასრულა, ტაში შემოკრა და გოგონები ასე ცეკვა-ცეკვით, წინ, სიცარიელეში მომზირლები, სერდიუკისკენ მწკრივად გამოქანდნენ.
– გადავლახეთ მეექვსე ხაზი, მეხუთე, მეოთხე და, აი, ჩვენი ცხენები მარცხნივ უხვევენ, საითაც ნისლში ნანატრი სუძაკუს სასახლე მოჩანს, – ამბობდა კავაბატა, თან შარვალს იკრავდა და სერდიუკს ყურადღებით შესჩერებოდა.
სერდიუკმა სასთუმლიდან თავი წამოსწია. ეტყობა, რამდენიმე წუთით ძილმა წამიღოო, რადგან კავაბატა აშკარად იმ მოთხრობას უამბობდა, რომლის დასაწყისი სერდიუკს არ ახსოვდა. საკუთარ თავს დახედა – მხოლოდ ძველი, რეცხვისაგან გაცრეცილი მაისური ეცვა, ოლიმპიური სიმბოლიკით. დანარჩენი ტანსაცმელი ირგვლივ იყო მიმოყრილი. გოგონები – გაწეწილები, ნახევრად შიშვლები და ვნებისგან დაცლილები კუთხეში, ადუღებულ ჩაიდანთან ფუსფუსებდნენ. სერდიუკი სასწრაფოდ შეუდგა ჩაცმას.
– მერე, სასახლის მარცხენა ფრთასთან, – განაგრძობდა კავაბატა, – მარჯვნივ მოვუხვევთ და მანათობელი კარიბჭისკენ გავემართებით... ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი პოეტური განწყობა

ესათნოება თქვენს სულს ყველაზე მეტად. თუკი მარტივ და უშუალო ნოტს ხართ აყოლილი, მაშინ პირდაპირ მიქრიხართ, მაგრამ, თუ ფიქრებით ამქვეყნიური ამაოებისგან შორს ხართ, მაშინ მარცხნივ შეუხვევთ და მარადიული სიმშვიდის კარიბჭეს მიადგებით. დაბოლოს, თუ თავქარიანი ჭაბუკი ხართ და სიამოვნებას ელტვით, მარჯვნივ ჩაუხვევთ და სიხარულის ჭიშკარს გაივლით.
კავაბატას დაჟინებული მზერის გამო შემცბარმა სერდიუკმა შარვალი ამოიცვა, პერანგი და პიჯაკი მოირგო და ჰალსტუხის განასკვა დააპირა, მაგრამ აებლანდა, თავი დაანება და ჯიბეში ჩაიჩურთა.
– მაგრამ მერე, – განაგრძო კავაბატამ და თითი საზეიმოდ აღმართა (საკუთარ სათქმელს იმდენად დაენთქა, რომ სერდიუკი მიხვდა, შესაცბუნებლად და ასაჩქარებლად არაფერი მრჯისო), – მერე, იმპერატორის სასახლეში სულერთია, რომელი კარიდანაც გნებავთ შეხვიდეთ, მაინც ერთსა და იმავე ეზოში აღმოჩნდებით. წარმოგიდგენიათ, რამხელა სიბრძნეა ეს იმ ადამიანისთვის, ვისაც ასეთი ნიშნების ენა გაეგება. რა გზითაც უნდა ვლიდეს თქვენი გული, რაგინდ რა გეზიც უნდა დაგისახოთ თქვენმა სულმა, მუდამ ერთთან ბრუნდებით! დაიმახსოვრეთ, როგორაა თქმული – ყველა საგანი ერთს უბრუნდება, ხოლო თვით ერთი რაღას უბრუნდება? ჰა?
სერდიუკმა იატაკს მზერა მოსწყვიტა.
– სად ბრუნდება თვითონ ერთი? – კითხვა გაიმეორა კავაბატამ და თვალები ჭუჭრუტანებივით დაუწვრილდა.
– აქ, აქ, – მოქანცულად უპასუხა სერდიუკმა.
– ო, – თქვა კავაბატამ, – როგორც ყოველთვის, ზუსტად და ღრმად ბრძანეთ. და, აი, სწორედ იმ სამი იშვიათი მხედრისათვის, რომელნიც ამ ჭეშმარიტებას ჩასწვდენიან, იმპერატორის სასახლის პირველ ეზოში

ნარინჯთან ერთად წყვილში დარგულია... თქვენ ნარინჯის გვერდით რას დარგავდით?
სერდიუკმა ამოიოხრა. იაპონური მცენარეებიდან მხოლოდ ერთი იცოდა.
– როგორ თუ რას... საკურას, – თქვა, – აყვავებულ საკურას.
კავაბატამ ნაბიჯით უკან დაიხია და უკვე მერამდენედ იმ საღამოს განმავლობაში თაყვანისცემის ნიშნად თავი დაუხარა. თვალებზე ცრემლი მოსდგომოდა.
– დიახ, დიახ, – თქვა კავაბატამ, – სწორედ ასეა. ნარინჯი და ალუბალი პირველ ეზოში. მერე ფრთოსანი არომატების საუფლოში – გლიცინიები, გაქვავებული ყვავილების საბრძანებელში – ქლიავი, ათინათების სავანეში – მსხალი. ო, სირცხვილი მე, რომ დამამცირებელი დაკითხვა შეგკადრეთ! მერწმუნეთ, ჩემი ბრალი არ არის, ჩვენი...
გოგონებს გადახედა, ჩაიდნის ირგვლივ ჩამომსხდრებს, და ტაში ორჯერ შემოკრა. იმათ ჩაიდანს ხელი დასტაცეს, იატაკზე მიმოფანტული სამოსი წამოკრიფეს და იმ საკუჭნაოში გაუჩინარდნენ, საიდანაც მოვიდნენ; ტიხარი მიიხურა. ფაქსზე შემორჩენილი რამდენიმე თეთრი წვეთის გარდა ცოტა ხნის წინათ ამ ოთახში მოგიზგიზე ვნების ხანძრისგან აღარაფერი დარჩენილიყო.
– ჩვენი ფირმის წესია ასეთი, – დაასრულა კავაბატამ, – აკი მოგახსენეთ, რომ სიტყვა «ფირმა» ზუსტი თარგმანი არ გახლავთ. «კლანი» უფრო შეეფერება. მაგრამ ეს ტერმინი კონტექსტის გარეშე ეჭვსა და შიშს თესავს. ამიტომაც ჯერ უნდა გავარკვიოთ, თუ ვისთან გვაქვს საქმე და დეტალებს მერეღა ჩავუღრმავდეთ. და თუმცა თქვენს შემთხვევაში ყველაფერს ნათელი მაშინვე მოეფინა, როდესაც ის ჯადოსნური ლექსი წარმოთქვით...

კავაბატა გაირინდა და რამდენიმე წამის განმავლობაში ტუჩებს აცმაცუნებდა. სერდიუკი მიხვდა, ცისა და ვარსკვლავების შესახებ ფრაზას იმეორებსო. თვითონ სერდიუკს უკვე აღარ ახსოვდა.
– დიდებული სიტყვებია. ასე რომ, მაშინვე ყველაფერს ნათელი მოეფინა. მაგრამ წესი წესია. თანაც მკაცრი, და ვალდებულება მაიძულებდა, დადგენილი შეკითხვები დამესვა თქვენთვის. ახლა, აი, რა უნდა გითხრათ, – განაგრძობდა კავაბატა, – რაკიღა უკვე მოგახსენეთ, ჩვენი ფირმა სინამდვილეში კლანია-მეთქი, შესაბამისად თანამშრომლებიც თანამშრომლები კი არ არიან, არამედ კლანის წევრები. მათზე დაკისრებული მოვალეობებიც სხვა ჩვეულებრივი დაქირავებული მუშაკების მოვალეობებისგან განსხვავებულია. პირდაპირ გეტყვით: იაპონიაში ერთ-ერთი უძველესი კლანის წევრად გიღებთ. ვაკანტური თანამდებობა, რომელსაც თქვენ დაიკავებთ, «ჩრდილოელ ბარბაროსთა საკითხებში მენეჯერის თანაშემწეა». ეგებ ეს სახელწოდება საწყენად მიიღოთ, მაგრამ ტრადიცია, რომლიდანაც ის მომდინარეობს, ქალაქ მოსკოვზე უფროსია. სხვათა შორის, ლამაზია, განსაკუთრებით ზაფხულობით.
თანამდებობა კი სამურაის წოდებას ეკუთვნის. უაზნო და უბირი მას ვერ დაიკავებს. ამიტომაც, თუ თანახმა ხართ, მაშინ სამურაის წოდებას მოგანიჭებთ.
– და რა უნდა გავაკეთო?
– რთული არაფერი, – თქვა კავაბატამ, – საბუთები, კლიენტები. გარეგნულად ისევე, როგორც სხვა ფირმებშია, ოღონდაც იმ პირობით, რომ მოვლენებისადმი თქვენი შინაგანი დამოკიდებულება კოსმიურ ჰარმონიას უნდა შეესაბამებოდეს.
– ხელფასი?
– წლიურად ორას ორმოცდაათი კოკუ ბრინჯი, – თქვა

კავაბატამ და წამით თვალები მოხუჭა. ითვლიდა, – თქვენებურ დოლარებში ორმოც ათასამდე გამოდის.
– დოლარებში მივიღებ?
– როგორც ისურვებთ, – თქვა კავაბატამ და მხრები აიჩეჩა.
– თანახმა ვარ, – თქვა სერდიუკმა.
– ასეც ვიცოდი. ახლა მითხარით, მზად ხართ, რომ ტაირას კლანის სამურაი გახდეთ?
– მზად ვარ და თანაც როგორ.
– მზად ხართ თქვენი სიკვდილ-სიცოცხლე ჩვენს კლანს დაუკავშიროთ?
«აბა, ამათ ჰქონიათ რიტუალები, თუ ჰქონიათ, – გაიფიქრა სერდიუკმა, – ნეტავ ტელევიზორებს როდისღა აკეთებენ?»
– მზად ვარ.
– მზად ხართ, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეშვენის, ამ ცხოვრების ეფემერული ყვავილი უფსკრულის პირს მდგარმა სიცარიელეში მოისროლოთ, თუ თქვენი ჰირი ამას მოგთხოვთ? – ჰკითხა კავაბატამ და გრავიურაზე ანიშნა.
სერდიუკმა შეხედა.
– მზად ვარ, – თქვა, – რაღა თქმა უნდა. ყვავილის უფსკრულში გადაგდებას რა უნდა.
– დაიფიცეთ.
– ვფიცავ.
– კარგია, – თქვა კავაბატამ, – ჩინებულია. ახლა ერთი პატარა ფორმალობაღა დაგვრჩა და მეტი აღარაფერი. იაპონიიდან თანხმობა უნდა მივიღოთ, მაგრამ ამას სულ რამდენიმე წუთი დასჭირდება.
ფაქსს მიუჯდა, ქაღალდის დასტიდან სუფთა ფურცელი ამოაძრო, მერე კი უეცრად მის ხელში ფუნჯი გაჩნდა. სერდიუკმა პოზა შეინაცვლა. იატაკზე დიდხანს ჯდომისგან ფეხები დაუბუჟდა და იფიქრა, კავაბატას

უნდა ვკითხო, უფლება მექნება თუ არა, სამსახურში პაწაწინა ტაბურეტი მოვიტანოო. მერე ირგვლივ მიმოიხედა, ეგებ სადმე საკეა დარჩენილიო, მაგრამ ბოთლი, რომელშიც ცოტა სასმელი ეგულებოდა, სადღაც გამქრალიყო. კავაბატა ფურცელს უკირკიტებდა და სერდიუკს კითხვა მოერიდა, ვაითუ, რიტუალი დავარღვიოო. ახლახან დადებული მაღალფარდოვანი ფიცი მოაგონდა. «ღმერთო, – გაიფიქრა, – რანაირი ფიცი აღარ მიმიცია ცხოვრებაში. კომუნისტური პარტიის საქმისთვის ვიბრძოლებ-მეთქი, ბავშვობიდან მოყოლებული თუ დავითვლი, ხუთჯერ მაინც დამიფიცავს. მაშას ხომ შევფიცე, ცოლად შეგირთავ-მეთქი? შევფიცე. წუხელ, ჩისტიე პრუდის შემდეგ, იმ იდიოტებთან რომ ვსვამდი, ხომ დავპირდი, ჩემი ფულით კიდევ ერთ ბოთლს ავიღებ-მეთქი. ახლა კიდევ, აი, სადამდე მივიდა საქმე. ყვავილი უფსკრულში».
ამასობაში კავაბატამ ფურცელზე ფუნჯის ტრიალი მოამთავრა, სული შეუბერა და სერდიუკს უჩვენა. ზედ შავი ტუშით დიდი ქრიზანთემა ეხატა.
– ეს რა არის? – იკითხა სერდიუკმა.
– ო, – თქვა კავაბატამ, – ეს ქრიზანთემაა. ხომ გესმით, როცა ჩვენს ოჯახში შევსებაა, ეს ტაირის მთელი კლანისთვის ისეთი სიხარულია, რომ იეროგლიფებს ვერ ვანდობთ. ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელობას ცნობას ქაღალდზე დახატული ყვავილის სახით ვუგზავნით. თანაც ეს სწორედ ის ყვავილი გახლავთ, რომლის შესახებაც წეღან ვსაუბრობდით. ის თქვენი ცხოვრების სიმბოლოა, რომელიც ამიერიდან ტაირის კლანის საკუთრებაა და, ამავდროულად, თქვენ მიერ სწრაფწარმავალი ეფემერულობის საბოლოო გააზრებას ადასტურებს...
– გასაგებია, – თქვა სერდიუკმა.
კავაბატამ ფურცელს სული ერთხელ კიდევ შეუბერა,

მერე ფაქსის ჭრილში შეაცურა და ძალიან გრძელი ნომრის აკრეფას შეუდგა.
მესამე ცდაზე გამოუვიდა. ფაქსი აზუზუნდა, კუთხეზე მწვანე ნათურა აუციმციმდა და ფურცელი ნელ-ნელა ჭრილმა შეისრუტა.
კავაბატა აპარატს დაძაბული მიშტერებოდა, გაუნძრევლად, პოზის შეუცვლელად. რამდენიმე გაწელილმა, მომქანცველმა წუთმა ჩაიარა, მერე კი ფაქსი კვლავ აზუზუნდა და მისი შავი წიაღიდან სხვა ფურცელმა ამოყვინთა. სერდიუკი მიხვდა, პასუხიაო.
კავაბატამ ფურცელს ბოლომდე ამოცურება დააცადა, მანქანიდან გამოაძრო, დახედა და მზერა აუჩქარებლად სერდიუკზე გადაიტანა.
– გილოცავთ, – თქვა, – სულითა და გულით გილოცავთ! შესანიშნავი პასუხია.
– ფურცელი სერდიუკს გაუწოდა. ზედ სხვა ნახატი აღმოჩნდა – ამჯერად ეს იყო გრძელი, მოხრილი ნაყშებიანი ჯოხი, რომელსაც ცალი მხრიდან რაღაც შვერილები გამოსჩროდა.
– ეს რა არის? – იკითხა.
– ხმალი, – საზეიმოდ მიუგო კავაბატამ, – თქვენი ახალი ცხოვრებისეული სტატუსის სიმბოლო და რაკიღა ამ მოლაპარაკების სხვაგვარ დაბოლოებას არც ველოდი, ნება მიბოძეთ, თქვენი, ასე ვთქვათ, მოწმობა გადმოგცეთ.
ამ სიტყვებით კავაბატამ სერდიუკს სწორედ ის, რკინა-კავეულის პავილიონში შეძენილი მოკლე ხმალი გაუწოდა.
კავაბატას დაჟინებული მზერის ბრალი თუ იყო, ან იქნებ ალკოჰოლით გადატვირთულ ორგანიზმში მიმდინარე ქიმიური რეაქციის შედეგი, სერდიუკმა უცებ მთელი სიცხადით გაისიგრძეგანა მიმდინარე მომენტის დიდმნიშვნელოვნება და საზეიმო ხასიათი. მუხლის

მოყრა მოუნდა, მაგრამ დროზე გაახსენდა, რომ ასე იაპონელები კი არ იქცეოდნენ, არამედ შუა საუკუნეების ევროპელი რაინდები, თანაც, თუ დავუფიქრდებით, თვითონ რაინდები კი არა, ოდესის კინოსტუდიის მიერ გადაღებულ რომელიღაც სრულიად აუტანელ ფილმში მონაწილე მსახიობები. ამიტომ უბრალოდ გაიწოდა ხელები და ჭეშმარიტად მომაკვდინებელი ცივი იარაღი ფრთხილად აიღო. ქარქაშზე ნახატი აღმოაჩინა, აქამდე რომ არ შეენიშნა. შავ ლაკში დატანებული ოქროს ძაფით მოხაზული სამი გაფრენილი წეროს ულამაზესი კონტური სიმსუბუქესა და სწრაფვას ასხივებდა.
– ამ ქარქაშში თქვენი სულია, – თქვა კავაბატამ. კვლავაც თვალებში მიშტერებოდა.
– რა ლამაზი ნახატია, – თქვა სერდიუკმა, – იცით, ერთი სიმღერაც კი გამახსენდა, წეროებზე. როგორ იყო: «მათ მწკრივში ერთი მცირე ადგილი, ეგებ ჩემი ადგილი იყოს...»
– დიახ, დიახ, – აიტაცა კავაბატამ, – ანდა რაში სჭირდება ადამიანს დიდი ადგილი? უფალო შაკიამუნე, მთელი ეს სამყარო თავის პრობლემებიანად ორ წეროს შორის თავისუფლად ეტევა, მეტიც, იოლად გაიბნევა ნებისმიერი მათგანის ფრთის ბუმბულებს შორის... რა პოეტური საღამოა! ცოტა კიდევ ხომ არ დაგველია? ის ადგილი ვადღეგრძელოთ, რომელიც, როგორც იქნა, წეროების მწკრივში დაიკავეთ.
კავაბატას სიტყვები სერდიუკს ავის მომასწავებლად ენიშნა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია, საიდან უნდა იცოდეს კავაბატამ, რომ ეს სიმღერა დაღუპული ჯარისკაცების სულებს ეძღვნებაო.
– სიამოვნებით, – თქვა სერდიუკმა, – ოღონდაც ცოტა მოგვიანებით. მე...
ამ დროს კარზე უხეშად დააბრახუნეს. კავაბატა მოტრიალდა და რაღაც დაიძახა იაპონურად. პანელი

გაიწია, სამხრეთული ტიპის მამაკაცი გამოჩნდა, რაღაც თქვა და კავაბატამ თავი დაუქნია.
– რამდენიმე წუთით უნდა დაგტოვოთ, – უთხრა სერდიუკს, – რაღაც მნიშვნელოვანი ცნობებია. თუ გნებავთ, ამ ალბომთაგან რომელიმე გადაათვალიერეთ, – თაროზე ანიშნა, – ან, უბრალოდ, საკუთარ თავთან დარჩით.
სერდიუკი დათანხმდა. კავაბატა სწრაფად გავიდა და პანელი მიიხურა. სერდიუკი სტელაჟებს მიუახლოვდა და ნაირფერი ყდების გრძელ რიგს გახედა, მერე ოთახის კუთხეს მიაშურა, ჭილოფზე დაჯდა და თავი კედელს მიაყრდნო. გრავიურებისადმი ინტერესის ნიშანწყალიც კი აღარ შემორჩენოდა.
შენობაში სიჩუმე გამეფებულიყო. ზემოდან კედელზე ბრახუნის ხმა მოისმოდა – ეტყობა, რკინის კარს კიდებდნენ. პანელს მიღმა გოგონები ძლივსგასაგონი ჩურჩულით იგინებოდნენ – ყურისძირში იყვნენ, მაგრამ სალანძღავი სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო – ერთმანეთზე დადებული რამდენიმე ყრუ ხმა ერთ წყნარ, ხმადაბალ შრიალად შერწყმულიყო, თითქოს კედელს მიღმა ბაღია და აყვავებული ალუბლის ფოთლებს ნიავი ეთამაშებაო.
სერდიუკი ჩუმმა ზმუილმა გააღვიძა. რამდენი ეძინა, არ იცოდა, ეტყობა, კარგა ხანს – ოთახის ცენტრში მჯდომ კავაბატას გაპარსვა და ტანისამოსის გამოცვლა მოესწრო. თეთრი პერანგი ეცვა, თმა უკან კოხტად გადაევარცხნა. სერდიუკი ზუსტად მისმა ზმუილმა გააღვიძა – რაღაც უნდილ მელოდიას ღიღინებდა, გრძელი კვნესისმაგვარს. ხელთ გრძელი ხმალი ეპყრა და თეთრი ჩვრით წმენდდა. სერდიუკმა შეამჩნია, რომ კავაბატას გაღეღილი პერანგიდან უთმო მკერდი და მუცელი მოუჩანდა. სერდიუკმა გაიღვიძაო და კავაბატა გულითადი ღიმილით მიუტრიალდა.

– გამოიძინეთ? – ჰკითხა.
– არც კი მძინებია, – თქვა სერდიუკმა, – ისე, უბრალოდ...
– ჩაგთვლიმათ, – თქვა კავაბატამ, – გასაგებია. ამ ცხოვრებაში ყველანი ვთვლემთ, მხოლოდ უკანასკნელ წუთს ვიღვიძებთ. გახსოვთ, ოფისში რომ ვბრუნდებოდით და ნაკადული გადავლახეთ?
– დიახ, – თქვა სერდიუკმა, – მილიდან ბატარა მდინარე რომ მოედინებოდა.
– მერე რა, რომ მილიდან,... მთავარია ბუშტულები წყალში, გახსოვთ?
– დიახ, დიდრონი ბუშტულები.
– დიახ, – თქვა კავაბატამ, ხმლისპირი თვალებთან მიიტანა და ყურადღებით დააცქერდა, – ეს ცხოვრება ჭეშმარიტად იმ ბუშტულებს ჰგავს. ასე არ არის? სერდიუკმა იფიქრა, კავაბატა მართალიაო და ძალიან მოუნდა იაპონელისთვის რამე ისეთი ეთქვა, რომ ეგრძნობინებინა, თუ რაოდენ კარგად ესმოდათ ერთმანეთისა.
– იქ ისეთი, – თქვა და იდაყვზე წამოიწია, – იმას ჰგავს... იმ ბუშტულების ფოტოსურათს, კომოდს უკან რომ ჩავარდნილა და ვირთხებს დაუხრავთ...
კავაბატამ ისევ გაიღიმა.
– ნამდვილი პოეტი ბრძანდებით, – თქვა, – ორი აზრი არ არის.
– თანაც, – აღმაფრენით განაგრძო სერდიუკმა, – დიდი შანსია, რომ ვირთხებმა იქამდე შესანსლეს, ვიდრე ფოტო ჯერ გამჟღავნებულიც კი არ იყო.
– მშვენიერია, – თქვა კავაბატამ, – მშვენიერი. მაგრამ ეს სიტყვის პოეზიაა. თუმცა ქცევის პოეზიაც არსებობს და იმედი მაქვს, თქვენი ბოლო უსიტყვო ლექსი იმათზე ნაკლები არ იქნება, რომლებითაც მთელი დღეა სიამოვნებას მანიჭებთ.
– რას გულისხმობთ? – ჰკითხა სერდიუკმა.

კავაბატამ ხმალი ჭილოფზე ფაქიზად დადო.
– ცხოვრება ცვალებადი რამაა, – დაფიქრებით თქვა მან, – დილით არავინ იცის, თუ რა იქნება საღამოს.
– მოხდა რამე?
– ვაი, რომ მოხდა. მოგეხსენებათ, ბიზნესი ომია. ტაირას კლანს მტერი ჰყავს, ძლიერი მტერი. მინამოტო.
– მინამოტო? – ჩაეკითხა სერდიუკი და ტანში გასცრა, – მერე?
– ახლა გვაცნობეს, ვერაგული ღალატის შედეგად «მინამოტო გრუპმა» ტოკიოს ბირჟაზე «ტაირა ინკორპორეიშენის» აქციათა საკონტროლო პაკეტი იყიდაო. ამ საქმეში ერთი ინგლისური ბანკი და სინგაპურის მაფია ურევია, მაგრამ ეს როდია მთავარი. გაგვანადგურეს. მტერი გამარჯვებას ზეიმობს.
სერდიუკი ერთხანს დუმდა. ნეტავ ყოველივე ეს რას უნდა მოასწავებდესო. კარგს რომ არაფერს მოასწავებდა, დღესავით ნათელი გახლდათ.
– მაგრამ მე და თქვენ, – თქვა კავაბატამ, – ტაირას კლანის ორი სამურაი ხომ ვერ დავუშვებთ, რომ ამ ცვალებადმა ლანდებმა, ამ ყოფიერების ბუშტულებმა ჩვენი სულები დააჭმუნოს.
– ვ-ვერა, – თქვა სერდიუკმა.
კავაბატამ მძვინვარედ ჩაიხითხითა და თვალები დააკვესა.
– ვერა, – თქვა, – მინამოტო ჩვენს დამცირებასა და სირცხვილს ვერ ნახავს. ეს ქვეყანა კაცმა ისე უნდა დატოვოს, როგორც ღრუბლებს მიღმა გაფრენილი წეროები ტოვებენ. დაე, ამ მშვენიერ წუთს ჩვენს გულებს არც ერთი წვრილმანი გრძნობა აღარ შემორჩეს.
მკვეთრი მოძრაობით იატაკზე იმ ჭილოფიანად მოტრიალდა, რომელზეც იჯდა და სერდიუკს თავი დაუკრა.

– თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს, – თქვა, – მუცელს რომ გამოვიფატრავ, თავი მომკვეთეთ!
– რა?
– თავი, თავი მომკვეთეთ. ჩვენში ამას ბოლო პატივისცემას ეძახიან და სამურაის, რომელსაც ამ თხოვნით მიმართავენ, უარის თქმის უფლება არა აქვს, რადგან უარი სამუდამო შერცხვენას ნიშნავს.
– მაგრამ მე არასდროს... ანუ აქამდე...
– იოლია. ერთი და მორჩა. შ-შ-შ-უ!
ხელები სწრაფად დაიქნია.
– ვშიშობ, ვერ მოვახერხებ, – თქვა სერდიუკმა, – ამ სფეროში არანაირი გამოცდილება არ გამაჩნია.
კავაბატა დაფიქრდა, მერე უცებ მოიღუშა, თითქოს მეტად მძიმე საფიქრალი გასჩენიაო. ხელი ტატამს დაჰკრა.
– კარგია, რომ ამ ცხოვრებას მალე დავტოვებ, – თქვა და სერდიუკს დამნაშავესავით ახედა, – როგორ შეიძლება, კაცი ჩემსავით უხეში და გაუთლელი იყოს!
ხელები სახეზე აიფარა და აქეთ-იქით რწევას მოჰყვა.
სერდიუკი ფრთხილად წამოდგა, ფეხაკრეფით მივიდა კართან, პანელი გამოსწია და კორიდორში გამოვიდა.
ბეტონი შიშველ ფეხებს უსიამოდ უყინავდა და თავზარდაცემული სერდიუკი უეცრად მიხვდა, რომ სანამ ის და კავაბატა საეჭვო ქუჩაბანდებში საკეს საძებრად დაბორიალებდნენ, მისი ფეხსაცმელები და წინდები კორიდორში, შესასვლელთან განისვენებდნენ, იქ, სადაც დილით დატოვა, ხოლო რა ეცვა ფეხზე ხეტიალისას, აღარ ახსოვდა, სწორედ ისევე, როგორც არ ახსოვდა, ან როგორ გავიდა კავაბატასთან ერთად ქუჩაში, ანდა როგორ დაბრუნდა უკან.
«სასწრაფოდ, სასწრაფოდ აქედან უნდა დავახვიო, – გაიფიქრა და დერეფნის კუთხეში შეუხვია, – მთავარია, მოვტყდე, დანარჩენს მერე მოვიფიქრებ».

დარაჯი სერდიუკის შესახვედრად ტაბურეტიდან წამოიმართა.
– ამ შუაღამეს საით გაგიწევიათ? – მთქნარებით ჰკითხა,
– დილის ოთხის ნახევარია.
– საქმეზე ლაპარაკი გაგვიგრძელდა, – თქვა, – გასაუბრება გვქონდა.
– კი, ბატონო, – თქვა დარაჯმა, – საშვი.
– რა საშვი?
– გასაშვები.
– აკი ყოველგვარი საშვის გარეშე შემომიშვით.
– ეგრეა, – თქვა დარაჯმა, – აი, გაშვებას კი საშვი უნდა.
სანთური მრუმე შუქს აფენდა კედელთან მიწყობილ სერდიუკის ფეხსაცმელს. ერთ მეტრში კარი იყო, კარს იქით, თავისუფლება. სერდიუკმა ფეხსაცმელებისკენ ბაწია ნაბიჯი გადადგა, მერე კიდევ. დარაჯი გულგრილად უცქერდა მის შიშველ ფეხებს.
– თანაც კიდევ რა არის, იცით, – თქვა და რეზინის ხელჯოხი აათამაშა, – ჩვენთან რეჟიმია. სიგნალიზაცია. რვამდე დაკეტილია. გააღებ და – ეგრევე ძაღლები დაგვადგებიან. ბაზარი, ოქმები. ასე რომ, ვერ გავაღებ. ან ხანძარი უნდა იყოს, ან წყალდიდობა.
– მაგრამ ეს სამყარო ხომ, – წაელაქუცა სერდიუკი, – წყლის ბუშტულებს წააგავს.
დარაჯმა გაიცინა და თავი გააქნია.
– რა ვქნა, – თქვა, – მესმის, სადაც ვმუშაობთ... მაგრამ ჩემიც გაიგე. აიღე და წარმოიდგინე, რომ წყალში მაგ ბუშტულებთან ერთად ინსტრუქციაც მოცურავს და ჯერჯეროობით ერთ ბუშტულაში ასე ირეკლება, თერთმეტზე ვიკეტებით და რვაზე ვიხსნებითო. მორჩა და გათავდა.
სერდიუკმა დარაჯს ხმაში ყოყმანი შეატყო და გადაწყვიტა ცოტა კიდევ მისწოლოდა იმავე მიმართულებით.

– ბატონ კავაბატას თქვენი საქციელი უეჭველად გააკვირვებს, – თქვა, – ასეთი სერიოზული ფირმის დაცვის წევრს უბრალო რამეების ახსნა არ უნდა სჭირდებოდეს. ნუთუ არ გესმით, რომ ირგვლივ ყოველივე მირაჟია...
– მირაჟია, მირაჟია, – დაფიქრდა დარაჯი და კედლის მიღმა მდებარე რომელიღაც წერტილს თვალი გაუშტერა, – ვიცი. პოსტზე პირველად კი არ ვდგავარ, ყოველ კვირას ინსტრუქტაჟს გვიტარებენ. მაგრამ, ვიმეორებ, ეს კარი რეალურია. ვთქვა, რასაც ვფიქრობ?
– მიდი, თქვი.
– ჩემი აზრით, არავითარი სუბსტანციური კარი არ არსებობს, ცარიელი ბუნების მქონე აღქმითი ელემენტების ერთობლიობაა და მეტი არაფერი.
– სწორედაც! – თქვა გახარებულმა სერდიუკმა და კიდევ ერთი მოკლე ნაბიჯი გადადგა ფეხსაცმლისკენ.
– მაგრამ რვამდე მე ამ ერთობლიობას არ გავაღებ, – თქვა დარაჯმა და ხელისგულზე რეზინის ჯოხი დაირტყა.
– რატომ? – ჰკითხა სერდიუკმა.
დარაჯმა მხრები აიჩეჩა.
– შენთვის კარმაა, – თქვა, – ჩემთვის კი დრაჰმა, თუმცა სინამდვილეში ორივე ერთი ფეხია. სიცარიელე. სიცარიელე კი მართლაც არ არის არაფერი.
– ჰო-ო, – თქვა სერდიუკმა, – მართლა სერიოზული ინსტრუქციები მიგიღია.
– აბა, როგორ?! იაპონიის უსაფრთხოების სამსახურმა ჩამიტარა.
– მე რა ვქნა? – ჰკითხა სერდიუკმა.
– რა უნდა ქნა?! რვა საათამდე უნდა მოიცადო. საშვის აღება არ დაგავიწყდეს.
სერდიუკმა ერთხელაც შეათვალიერა დარაჯის განიერი მხრები და ხელჯოხი, მერე ნელა მოტრიალდა და უკან გზას გაუყვა. აუტანელი გრძნობა არ ტოვებდა, თითქოს

დარაჯისთვის სათქმელი სიტყვები, რომლებიც მას კარის გაღებას აიძულებდა, წესით, ბუნებაში უნდა არსებობდეს, მაგრამ მე ვერ მიპოვიაო. «სუტრები რომ მეკითხა, ახლა კარგად ვიქნებოდი», გაიფიქრა დარდიანად.
– შენა, – შეეხმიანა ზურგს უკან დარაჯი, – უგეტოდ ნუ დადიხარ. იატაკი ბეტონისაა. თირკმელს გაიცივებ.
კავაბატას კაბინეტთან დაბრუნებულმა პანელი უხმაუროდ გასწია და შენიშნა, რომ იქაურობა სასმელისა და ქალის ოფლის სუნად ყარდა.
კავაბატა ისევ ისე იჯდა იატაკზე, ხელები სახეზე აეფარებინა და აქეთ-იქით ირწეოდა. ჩანს, სერდიუკის არც წასვლა გაუგია, არც მოსვლა.
– ბატონო კავაბატა, – ჩუმად დაუძახა სერდიუკმა. კავაბატამ ხელები დაუშვა.
– ცუდად ხართ?
– ძალიან ცუდად, – თქვა კავაბატამ, – საშინლად ვარ. ასი მუცელი რომ მქონოდა, ასივეს დაუყოვნებლივ გამოვიფატრავდი. ასეთი სირცხვილი ცხოვრებაში არ მიჭამია.
– მაინც რაშია საქმე? – თქვა სერდიუკმა და იაპონელის წინ მუხლებზე ზრდილობიანად დაეშვა.
– ეს როგორ გაკადრეთ, რომ უკანასკნელი სამსახურის გაწევა გთხოვეთ. იმაზე განა ვიფიქრე, რომ, თუ სეპუკუს პირველად მე შევასრულებდი, მაშინ თქვენ უკანასკნელ სამსახურს ვეღარავინ გაგიწევდათ. ჰოი, რამხელა სირცხვილია.
– მე? – ჩაეკითხა სერდიუკი და წამოდგა, – მე-ე??
– ჰო, თქვენ, – თქვა კავაბატამ, თვითონაც წამოდგა და ანთებული მზერა სერდიუკს მიაპყრო, – თქვენ ვიღა მოგაჭრით თავს, გრიშა?
– ვინ გრიშა?
– დარაჯი. ახლა არ ელაპარაკებოდით. მაგას მხოლოდ

თავისი ხელჯოხით თავის გახეთქვა შეუძლია. წესებით კი, მოკვეთაა საჭირო, თანაც უბრალოდ მოჭრა კი არა, ისე რომ კანზე დაეკიდოს. წარმოგიდგენიათ, თუ გაგორდება, რას დაემგვანება? დაბრძანდით, დაბრძანდით.
კავაბატამ თვალებიდან იმხელა ჰიპნოზური ძალა გამოასხივა, რომ სერდიუკი დაუყოვნებლივ დაჯდა ჭილოფზე – მზერის ასარიდებლად ძალა არ ეყო.
– საერთოდაც, ჩანს, არ იცით, თუ რას გვასწავლის მარადისობაში უშიშარი დაბრუნების მოძღვრება სეპუკუს შესახებ, – თქვა კავაბატამ.
– რას?
– მუცლის გაფატვრას. წარმოგიდგენიათ, როგორ ხდება?
– არა, – სერდიუკი გახევებული სახით კედელს მისჩერებოდა.
– სხვადასხვა ხერხი არსებობს. ყველაზე უბრალო – ჰორიზონტალური ჭრაა. ეს ისე. ვარიანტს, როგორც ამბობენ, შერცხვენამდე არაფერი უკლია. ბუდა ამიდას დაინახავ. ეს კი იგივეა, აღთქმულ მიწაზე «ზაპროჟეცით» რომ ჩახვიდე. ვერტიკალური ჭრა ცოტა უკეთესია, lower-middle class-ის სტილშია. სიცოცხლის ბოლოს თავს მეტის უფლება უნდა მისცე. შეიძლება, ჯვარი ჯვარზე გამოიყენო. აქ ორი გზაა – პირდაპირი ჯვარი და დიაგონალური. არ გირჩევთ. იცით, ქვემოდან ზემოთ თუ გაჭრით, ქრისტიანულ ალუზიებს ამოიკითხავენ, თუ დიაგონალზე – ანდრიას დროშააო, იტყვიან. ეგებ შავი ზღვის ფლოტისო, დააყოლონ. მაგრამ თქვენ ხომ საზღვაო ოფიცერი არ ბრძანდებით?
– არა, – უმეტყველო სახით დაუდასტურა სერდიუკმა.
– მეც მანდა ვარ – ეს არ გამოგადგებათ. ორი წლის წინ მოდაში ორმაგი პარალელური ჭრა შემოვიდა, მაგრამ ძალიან რთული რამეა. ასე რომ, მე გირჩევთ გრძელ

ირიბ ჭრას ქვევიდან ზევით, მარჯვნივი დახრით, ბოლოს ცენტრთან მცირე დატრიალებით. სუფთა ესთეტიკური თვალსაზრისით უნაკლო ვარიანტია. თქვენ მერე, სავარაუდოდ, მეც ამას ავირჩევ.
სერდიუკმა წამოდგომა სცადა, მაგრამ კავაბატამ მხარზე ხელი დაადო და ადგილზე დააბრუნა.
– სამწუხაროდ, ყველაფრის სიჩქარეში კეთება გვიხდება, – თქვა და ამოიოხრა, – არც თეთრი შირმებია, არც საჭირო მოსაწევი. არც იარაღშემართული მეომრები გვყვანან, მოედნის კიდეზე რომ დაგველოდონ... გრიშა კი არის, მაგრამ, აბა, ეგ რა მეომარია... თანაც მეომრები სინამდვილეში საჭირონი სულაც არ არიან. მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქმედებენ, თუ სამურაი ფიცს გატეხს და სეპუკუზე უარს იტყვის. მაშინ ძაღლივით ჩაქოლავენ. ასეთი შემთხვევა ცხოვრებაში არც კი მინახავს, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზი უნდა იყოს – შემოსაზღვრული კვადრატის პარამეტრზე ხმალამოღებული ადამიანები დგანან და მზე ფოლადზე ათინათებს ათამაშებს. ისე, თუ გნებავთ, გრიშას მაინც დავუძახებ. სემიონსაც მეორე სართულიდან. თავდაპირველ რიტუალს რომ დავუახლოვდეთ.
– არ გვინდა, – თქვა სერდიუკმა.
– სწორია, – თქვა კავაბატამ, – დიახაც, სწორია. რა თქმა უნდა, გესმით, რომ ყოველ რიტუალში გარეგნული გაფორმება კი არა, შინაგანი არსია მთავარი.
– მესმის, მესმის, ყველაფერი მესმის, – თქვა ბრაზმორეულმა სერდიუკმა.
– ამიტომაც დარწმუნებული ვარ, ყველაფერი დიდებულად ჩაივლის.
კავაბატამ იატაკიდან რკინა-კავეულის პატარა მაღაზიაში ნაყიდი მოკლე ხმალი აიღო, ქარქაშიდან ამოაძრო და ერთი-ორჯერ ჰაერი შხუილით გააპო.

– წავა, – თქვა, – ჰო, ახლა რა. მუდამ ორი პრობლემა დგება ხოლმე: ჭრის შედეგად ზურგზე არ უნდა დაეცეთ – ძალიან უშნო იქნება, ძალიან, მაგრამ მე მოგეხმარებით. მეორე – ხმალი ხერხემალს არ უნდა შეეხოს. ამიტომ წვერი ძალიან ღრმად არ უნდა ჩაისოთ. მოდი, ასე ვქნათ...
ფაქსის ტექსტებიანი რამდენიმე ფურცელი აიღო – მათ შორის სერდიუკმა ის ქაღალდიც შენიშნა, ზედ რომ ქრიზანთემა ეხატა – ერთმანეთზე დააწყო, ორად გადაკეცა და ხმლის პირს ისე კოხტად დაახვია, რომ გაშიშვლებული მხოლოდ შვიდიდან ათ სანტიმეტრამდე წვერი დაუტოვა.
– აი, ასე. მაშასადამე, მარჯვენით ვადას ჩაბღუჯავთ, მარცხენით – აი, ამ ადგილს. მაგრად არ უნდა დაირტყათ, თორემ გაიჭედება და... ჰო, მერე კი ზემოთ და მარჯვნივ. თქვენ ახლა ალბათ შინაგანი მობილიზება გჭირდებათ. დრო ცოტა გვაქვს, მაგრამ ყველაფერი მოესწრება.
სერდიუკი გახევებული იჯდა და კედელს უცქერდა. თავში დუნე აზრები უტრიალებდა, კავაბატას ხელი უნდა ვკრა, კორიდორში გავარდე და... მაგრამ კარი დაკეტილია და ხელჯოხიანი გრიშაც იქაა. კიდევ ვიღაცა სემიონიც ყოფილა მეორე სართულზე. პრინციპში, მილიციაში დარეკვაც შეიძლება, მაგრამ კავაბატას ხმალი აქვს... არც მოვიდოდა მილიცია ამ შუაღამისას, მაგრამ ყველაზე ცუდი სხვა იყო – ყველა ამ ქცევის შედეგად გარდაუვალად დადგებოდა წამი, როდესაც კავაბატას სახეზე ჯერ გაოცება გამოეხატებოდა, მერე კი – ზიზღი. დღეს იყო რაღაც, რასაც არ ეღალატებოდა და სერდიუკმა ისიც კი იცოდა, თუ რა იყო ეს – წამი, როდესაც ცხენები ხის ტოტებს მიაბეს და მერე ერთმანეთს ლექსები წაუკითხეს. და მიუხედავად იმისა, რომ არც ცხენები იყო ნამდვილი და არც ლექსები, თვით

ის წამი ნამდვილი იყო, სამხრეთით მობერილი ნიავიც, ზაფხულის მალე დადგომას რომ იუწყებოდა, ვარსკვლავები ცაზე – ეს ყველაფერი მართლა იყო, უეჭველია, სწორედ ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო. ის სამყარო კი, რვა საათზე გაღებულ კარს მიღმა რომ ელოდა…

სერდიუკის ფიქრებში მცირე პაუზა ჩამოდგა და მყისვე ყოველი მხრიდან ჩუმი ბგერები ჩაესმა. ფაქსთან მჯდარ კავაბატას მუცელი უბუყბუყებდა და სერდიუკმა გაიფიქრა, ეგ თავის პროცედურას იოლად და ბრწყინვალედ ნამდვილად შეასრულებსო. არადა, სამყარო, რომლის დატოვებაც იაპონელს მოუწევდა – თუ ამ სიტყვაში ყველაფერ იმას ვიგულისხმებდით, რასაც ადამიანი ცხოვრებაში იგრძნობს და გამოცდის – ცოტათი მაინც უფრო მიმზიდველი გახლდათ, ვიდრე მოსკოვის აყროლებული ქუჩები, რომლებიც ფილიპ კირკოროვის ვოკალის თანხლებით ყოველდღე იჭრებოდნენ სერდიუკის ცხოვრებაში. მიხვდა, კირკოროვი იმიტომ გამახსენდა, რომ კედლის მიღმა, სადაც გოგონები არიან, მისი ერთი სიმღერა გაისმისო. მერე ყურთასმენას ჯერ კამათი, მერე კი დაგუდული ქვითინი მოსწვდა, ბოლოს ტელევიზორის პროგრამების გადასართველმაც გაიტკაცუნა.

უხილავ ტელევიზორში ახალ ამბებს გადმოსცემდნენ, თანაც სერდიუკს მოეჩვენა, რომ არხი კი არ გადაირთო, არამედ კირკოროვმა სიმღერა შეწყვიტა და ხმადაბლა ლაპარაკი დაიწყო. მერე ერთი გოგონა აღელვებით აჩურჩულდა:

– ნახე, ნაღდად! ისევ მთვრალია! შეხედე, ტრაპზე როგორ ადის! გეუბნები, გახეული მთვრალია-მეთქი!

სერდიუკი კიდევ რამდენიმე წამს ფიქრობდა.

– ერთი მაგათიც, – გადაჭრით წარმოთქვა, – მოიტა ხმალი.

კავაბატა სწრაფად მიუახლოვდა, ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და ხმალი გაუწოდა.
– დამაცადე, – თქვა სერდიუკმა და პიჯაკის ქვეშ პერანგი შეიხსნა, – მაისურში შეიძლება?
კავაბატა დაფიქრდა.
– იყო ასეთი შემთხვევები. ათას ოთხას ორმოცდა თოთხმეტში ტაკედა კაცუერიმ ოკეხაძამას ბრძოლა რომ წააგო, მუცელი ტანგაუხდელად გამოიფატრა. ასე რომ, მოსულა.
სერდიუკმა ხმალს ხელი მოჰკიდა.
– არა, – თქვა კავაბატამ, – აკი ვთქვი, მარჯვენა ვადაზე, მარცხენა შემოხვეულ ქაღალდთან-მეთქი. აი, ასე.
– უბრალოდ გავჭრა, ხომ?
– ერთი წუთით, ერთი წუთით. ახლავე.
კავაბატამ ოთახში გადაირბინა, თავისი დიდი ხმალი აიღო და სერდიუკთან დაბრუნდა. ზურგს უკან დაუდგა.
– შეგიძლიათ ღრმად არ ჩაჭრათ. აი, მე კი მომიწევს. მე ხომ სეკუნდანტი არ მეყოლება. ბედი გქონიათ. ალბათ კარგი ცხოვრება გაგივლიათ.
სერდიუკმა ძლივსშესამჩნევად გაიღიმა.
– ჩვეულებრივი, – თქვა, – როგორც ყველას.
– სამაგიეროდ, მეომარივით მოკვდებით, – თქვა კავაბატამ, – ერთი სიტყვით, მე მზად ვარ. სამამდე დავითვალოთ.
– კარგი, – თქვა სერდიუკმა.
– ღრმად ჩავისუნთქოთ და, – თქვა კავაბატამ, – წავედით. ერთი... ორი...
სერდიუკს უცებ გაახსენდა, რომ მაინც ვერ დაადგინა, შემოსასვლელში რომ ფარანი იყო, შიგ ნამდვილი ცეცხლი ენთო თუ არა, მაგრამ ახლა უკვე, ცხადია, გვიანღა იყო.
– ორ-ნახევარი... სამი-ი!
სერდიუკმა ხმალი მუცელში შეირჭო.

ქაღალდი მაისურს მიებჯინა. განსაკუთრებული ტკივილი არ უგრძნია, მაგრამ ლითონი ძალიან ცივი იყო.
იატაკზე ფაქს-მანქანა აწკრიალდა.
– ასე, – თქვა კავაბატამ, – ახლა ზემოთ და მარჯვნივ. თამამად, თამამად...
სერდიუკმა ფეხები აასავსავა.
– ახლა სწრაფი მოტრიალება ცენტრისკენ და ორივე ხელით სიღრმეში! აი, ეგრე, ეგრე... სწორია... ორი სანტიმეტრიც და...
– აღარ შემიძლია, – ამოილუღლუღა სერდიუკმა, – მეწვის!
– აბა, როგორ გინდა, – თქვა კავაბატამ. – ახლავე
– ალო! დიახ! სწორია, დიახ. დიახ, მეცხრე მოდელი, ორი ათასი აქვს გავლილი.
სერდიუკმა ხმალი გააგდო და ორივე ხელი გასისხლიანებულ მუცელზე იტაცა.
– ჩქარა! – ამოიხრიალა მან, – ჩქარა.
კავაბატა მოიღუშა და ხელით ანიშნა, დამაცადეო.
– რაო? – ჩაჰყვირა ყურმილს, – როგორ თუ სამ-ნახევარჯერ ძვირია! ერთი წლის წინ ხუთი ათასი მაქვს მიცემული.
ნელ-ნელა, როგორც კინოთეატრში სეანსის დაწყებისას, სერდიუკს თვალთახედვა ჩაუქრა. ერთხანს კიდევ იატაკზე იჯდა, მერე კი გვერდზე გადაწვა – სანამ მარჯვენა მხრით იატაკს შეეხებოდა, სხეულიდან ყველა შეგრძნება გაიკრიფა; მხოლოდ ყოვლისმომცველი ტკივილიღა დარჩა.
– რა დარტყმული? სად არის დარტყმული? – ჩაესმოდა წითელი მოციმციმე სიბნელიდან, – ბამპერზე ორად ორი ნაჩხაპნია, ეგ რა დარტყმულია?! რაო? რაო? სირი თავი გაბია, შე მძღნერო, ახვარო! რაო? წადი, შენი დედაც მ...!

ყურმილი აპარატს დაეხეთქა და ფაქსმა იმწამსვე ხელახლა დარეკა.
სერდიუკმა შეამჩნია, რომ სივრცე, საიდანაც ტელეფონის წკრიალი და კავაბატას გინება მოისმოდა და სადაც საერთოდ რამე ხდებოდა, მისგან ძალიან შორს მდებარეობდა და რეალობის იმგვარად უმნიშვნელო სეგმენტი გახლდათ, რომ დიდი ძალისხმევა იყო საჭირო ამ სეგმენტში მომხდარი მოვლენების აღსაქმელად. თანაც ამ ძალისხმევას არავითარი აზრი არ გააჩნდა და სერდიუკმა გაიგო, რომ ცხოვრება სწორედ ამგვარი ძალისხმევა ყოფილა. მთელი მისი ხანგრძლივი, სევდით, იმედითა და შიშით აღსავსე ადამიანური არსებობა მარტოოდენ სწრაფწარმავალი აზრი აღმოჩნდა, მხოლოდ ერთი წამით რომ მიიპყრო მისივე ყურადღება, ახლა კი სერდიუკი (სინამდვილეში კი არც არავითარი სერდიუკი) უთვისებო სიცარიელეში მიცურავდა და გრძნობდა, თუ როგორ უახლოვდებოდა რაღაც უზარმაზარს, საიდანაც აუტანელი სიცხე იფრქვეოდა. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ ეს უზარმაზარი და ცეცხლში გახვეული რამ ზურგიდან უახლოვდებოდა და იმის დანახვა, თუ სინამდვილეში რა სახე ჰქონდა, სრულიად შეუძლებელი გახლდათ. ეს შეგრძნება იმდენად აუტანელი აღმოჩნდა, რომ სერდიუკმა გააფთრებით დაუწყო ძებნა წერტილს, რომელსაც მისთვის ნაცნობი სამყარო შერჩენოდა. რაღაც სასწაულით მოახერხა კიდეც ამ წერტილის პოვნა და თავში ზარივით დაეცა კავაბატას ხმა:
– კუნძულებზე არც კი სჯეროდათ, რომ მოახერხებდით. მაგრამ მე ვიცოდი. ახლა კი ნება მიბოძეთ, უკანასკნელი სამსახურიც გაგიწიოთ. ოს-ს-ს!
ამის შემდეგ დიდხანს აღარც აღარაფერი იყო – დიდი ხანიც არ ეთქმოდა, იმიტომ რომ დრო გამქრალიყო.

მერე ხველა გაისმა, იატაკის ჭრიალი და ტიმურ ტიმუროვიჩმა თქვა:
– ჰოდა, ასე, სენია. ასე გიპოვეს კალორიფერთან ხელში ვარდით. ის მაინც თუ გახსოვს, ვისთან ერთად სვამდი? ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა.
– ტატიანა პავლოვნა, – თქვა ტიმურ ტიმუროვიჩმა, – ორი კუბი, თუ შეიძლება. დიახ.
– ტიმურ ტიმუროვიჩ, – მოულოდნელად ალაპარაკდა ვოლოდინი, – ეს ხომ სულები იყვნენ.
– მართლა? – ზრდილობიანად ჰკითხა ტიმურ ტიმუროვიჩმა, – რა სულები?
– ტაირის სახლიდან. ეს კიდევ ისე იქცეოდა, თითქოს სიკვდილს დაეძებსო. ჰო, ეტყობა, მართლა დაეძებდა.
– მაშინ ცოცხალი რატომღაა? – იკითხა ტიმურ ტიმუროვიჩმა.
– მაისური ეცვა, ოლიმპიური სიმბოლიკით. მოსკოვის ოლიმპიადა ხომ გახსოვთ? ბევრი პატარ-პატარა ემბლემით. მაისურიდან ჭრიდა.
– მერე რა?
– ეგებ მაგიური იეროგლიფებია. წამიკითხავს, ერთ ბერს წერილობითი საფარი დაახატეს, მხოლოდ ყურები დაავიწყდათო და როცა ტაირის სულები ეწვივნენ, მარტო ყურები წაიღეს, რადგან დანარჩენს ვერ ხედავდნენო.
– რისთვის მოვიდნენ? იმ ბერს ვგულისხმობ.
– ფლეიტაზე უკრავდა კარგად.
– აჰ, ფლეიტაზე, – თქვა ტიმურ ტიმუროვიჩმა, – ერთობ ლოგიკურია. კი მაგრამ, არ გიკვირთ, აჩრდილები რომ «დინამოს» გულშემატკივრობენ?
– გასაკვირი რაა, – უპასუხა ვოლოდინმა, – ზოგი აჩრდილი «სპარტაკს» გულშემატკივრობს, სხვები ცსკა-ს. «დინამომ» რაღა დააშავა?

– დინამა! დინამა! საით მიდიხარ, შენი დედაც! საწოლიდან წამოვხტი. ვიღაც ყმაწვილს შიშველ ტანზე დაძონძილი ფრაკი მოეცვა, ეზოში ცხენს დასდევდა და ღრიალებდა:
– დინამა! გაჩერდი, შე შტერო! საით?!
ფანჯრის ქვეშ ცხენები ფრუტუნებდნენ და უამრავი ჯარისკაცი ირეოდა – წითელგვარდიელები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ აქ არ ყოფილან. სიმართლე ითქვას, წითელგვარდიელები რომ იყვნენ, მხოლოდ უგვანობით თუ მიხვდებოდით – ვის რა ეცვა, მეტწილად სამოქალაქო ტანსაცმელი, საიდანაც გამომდინარეობდა, რომ საკუთარ ეკიპირებაზე ძარცვა-გლეჯით ზრუნავდნენ. შუაგულ ბრბოში მდგარი კაცი, რომელსაც ნაჭრის ბუდიონურა ეხურა ზედ ირიბად დაკერებული წითელი ვარსკვლავით, ხელებს იქნევდა და რაღაც განკარგულებებს იძლეოდა. ივანოვოელი ფეიქრების კომისარ ფურმანოვს მიაგავდა საოცრად, იაროსლავლის ვაგზალზე, მიტინგისას რომ გავიცანი, ოღონდაც ამას მთელ ყვრიმალზე მუქწითელი ნახმლევი აჩნდა.
თუმცა ამ ჭრელი პუბლიკის ცქერით დიდხანს არ მოვცდენილვარ – ყურადღება ეზოს ცენტრში მდგარ ეტლს მივაპყარი. სწორედ ამ დროს შიგ ოთხ შავრას აბამდნენ. გრძელი, ღია ლანდო იყო, დაბერილი საბურავებით, რესორებითა და ტყავგადაკრული, ძვირფასი ხისგან დამზადებული, რბილი სავარძლებით, რომლებსაც მოოქრული ვარაყების კვალი შემორჩენოდათ. რაღაც ენით უთქმელ ნოსტალგიას ასხივებდა ეს მდიდრული ნივთი, ეს არარაობაში სამუდამოდ დანთქმული სამყაროს ნამსხვრევი, სამყაროსი, რომლის ბინადარნიც მერმისში გადაბარგებას სწორედ ასეთი სატრანსპორტო საშუალებებით გულუბრყვილოდ იმედოვნებდნენ.

არადა, ისე გამოდიოდა, რომ მომავალში მოგზაურობა მხოლოდ თვით ამ სატრანსპორტო საშუალებებს მოეხერხებინათ და ისიც იმ ფასად, რომ ჰუნების საბრძოლო ეტლებს დამგვანებოდნენ. აი, სწორედ ასეთი ასოციაციები გამიჩინა ლანდოს კოფოზე დამაგრებული ტყვიამფრქვევ «ლუისის» სამი გადაბმული ლულის დანახვამ.
ფანჯარას მოვშორდი, საწოლზე ჩამოვჯექი და უცებ გამახსენდა, რომ ასეთ საბრძოლო ეტლებს ჯარისკაცები უცნაურ სიტყვას – «ტაჩანკას» – ეძახიან. იდუმალი და ბნელი წარმომავლობის ტერმინია-მეთქი, ვფიქრობდი, თან ჩექმებს ვიცვამდი და ფიქრით სავარაუდო ეტიმოლოგიურ ვარიანტებს დავეძებდი, მაგრამ ამაოდ. სამაგიეროდ, მახვილგონივრული კალამბური ამომიტივტივდა – «ტაჩანკა» – «touch Anka». მაგრამ ანასთან წუხანდელი საუბრის უბრალო გახსენებამაც კი ისე გამაწითლა და დამაღონა, რომ აბა ამ კალამბურს ვისღა გავუმხელდი?!
აი, ამგვარი ფიქრებით ჩავირბინე კიბეზე და ეზოში გავედი. ვიღაცამ მითხრა, კოტოვსკიმ გთხოვა, შტაბში შემომიაროსო, და მეც დრო რომ აღარ დამეკარგა, იქით გავწიე. ბეღელთან, რომელშიც შტაბი მოეწყოთ, სადარაჯოდ ორი შავ ფორმაში გამოწყობილი მებრძოლი იდგა, რომ ჩავუარე, გაიჯგიმნენ და სამხედრო სალამი მიძღვნეს. მათი დაძაბული სახეები რომ დავინახე, მივხვდი, კარგად მიცნობდნენ – სამწუხაროდ, კონტუზიას ჩემი მახსოვრობიდან მათი ვინაობა ამოეშალა.
ბოლომდე ღილებშეკრულ ყავისფერ ფრენჩში გამოწყობილი კოტოვსკი მაგიდას მისჯდომოდა. მარტო იყო. სახეზე მკვდრისფერი ედო, გეგონება, ჰუდრის სქელი ფენა მიუყრიაო. ეტყობა, დილიდანვე კოკაინით იყო გამსკდარი. მაგიდაზე გამჭვირვალე ცილინდრი

იდგა, რომელშიც რაღაც აქროლადი თეთრი ნივთიერება ტრიალებდა და პაწია ღრუბლის სახით ზემოთ მიიწევდა. ეს ლამპა იყო, რომელიც სპირტქურისა და მინის გრძელი კოლბისგან შედგებოდა, შიგ კი შეფერილ გლიცერინში ცვილის ნაჭრები ტივტივებდა. პეტერბურგში ასეთი სანათები ხუთიოდე წლის წინ გავრცელდა. კოტოვსკიმ ხელი გამომიწოდა. ოდნავ უცახცახებდა.
– ამ დილით, – თქვა და ნათელი თვალები მომაპყრო, – სულ იმას ვფიქრობ, ნეტა სიკვდილის შემდეგ რა ცხოვრება გველის-მეთქი.
– გგონიათ, რომ საერთოდ რაიმე გველის? – ვკითხე.
– შესაძლოა, ჩემი აზრი სწორად ვერ ჩამოვაყალიბე, – თქვა კოტოვსკიმ, – უბრალოდ რომ ვთქვა, სიკვდილსა და უკვდავებაზე ვფიქრობდი.
– ასეთ გუნებაზე რამ დაგაყენათ?
– ო, – მითხრა კოტოვსკიმ ცივი ღიმილით, – ერთი ამბის შემდეგ, რომელიც ოდესაში შემემთხვა, არსებითად სულ ასეთ გუნებაზე ვარ... თუმცა ეს იქით იყოს. ხელები გულზე დაიკრიფა და ნიკაპით ლამპაზე მიმანიშნა.
– აი, ამ ცვილს დაუკვირდით, – თქვა, – თვალი მიადევნეთ, რა მოსდის. სპირტქურაში რომ გაცხელდება, მისი წვეთები უცნაურ ფორმას იღებენ და ზემოთ ილტვიან. მაღლა ცივდებიან, რაც მეტად ამოიწევენ, მით მეტად ნელა მოძრაობენ, ბოლოს კი ჩერდებიან და ისევ იქ ცვივიან, საიდანაც ამოვიდნენ, ხშირად ზედაპირამდე ვერც კი აღწევენ.
– ამაში რაღაც პლატონური ტრაგიზმი იმალება, – ვთქვი დაფიქრებულმა.
– შესაძლოა. მაგრამ მე ამაზე არ ვლაპარაკობ. წარმოიდგინეთ, თითქოს გაცივებული წვეთები, ლამპაში ზემოთკენ რომ ილტვიან, გონიერი არსებები არიან.

ასეთ შემთხვევაში მყის თვითიდენტიფიკაციის პრობლემა წარმოექმნებოდათ.
– უდავოდ.
– ჰოდა, ყველაზე საინტერესოც აქედან იწყება. თუ რომელიმე ამ ცვილის წვეთს მიაჩნია, აი, ეს ფორმა ვარო, მაშინ თავს მოკვდავად ჩათვლის, რადგან ფორმა იშლება. მაგრამ თუ ხვდება, რომ ცვილია, მაშინ რა დაემართება?
– არაფერი, – მივუგე.
– სწორედაც, – თქვა კოტოვსკიმ, – მაშინ ის უკვდავია. მაგრამ მთელი ფოკუსი ისაა, ცვილი ხომ ვერ ხვდება, რომ ცვილია. საკუთარი ბუნებრივი საწყისის გააზრება პრაქტიკულად შეუძლებელია. როგორ უნდა დავინახოთ ის, რაც ოდითგანვე თვალწინ გვიდევს? იმ დროიდან, როცა ჯერ თვით თვალების ხსენებაც კი არ იყო. ამიტომაც ცვილი მხოლოდ თავის ფორმას აღიქვამს და ფიქრობს, მე ვარ ეს ფორმაო, გამიგეთ? მაგრამ ფორმა შემთხვევითი რამ არის – ათასობით სხვადასხვა გარემოებისგან ყალიბდება.
– დიდებული ალეგორიაა, მაგრამ რა გამოდის მანდედან? – ვკითხე და რუსეთის ბედზე ჩვენი წუხანდელი საუბარი გამახსენდა, რომელიც მან ასე იოლად შეწყვიტა კოკაინის გამო. ალბათ ახლაც უნდა, რომ დარჩენილი ფხვნილი გამომტყუოს და ლაპარაკი ნელ-ნელა იქით მიჰყავს-მეთქი.
– რა გამოდის და, ის, რომ ცვილის წვეთს უკვდავების ერთადერთი გზა დარჩენია – თავისი თავი წვეთად კი არა, ცვილად მიიჩნიოს. მაგრამ, რადგანაც ეს ჩვენი წვეთი მხოლოდ საკუთარ ფორმას აღიქვამს, ამიტომ მთელი სიცოცხლე უფალ ცვილს ევედრება, ფორმა გადამირჩინეო, თუმცაღა ცვილს ამ ფორმასთან არავითარი კავშირი არ გააჩნია. თანაც ცვილის თითოეულ ცალკე აღებულ წვეთს იგივე თვისებები

ახასიათებს, რომლებიც მთლიანობაში ცვილის მთლიან მასას. გამიგეთ? ყოფიერების დიადი ოკეანის წვეთი თავად არის ოკეანე, ოღონდაც წვეთის შექმნამდე წამით უწინარეს ქმნილი. მაგრამ, როგორ გინდა, ეს ყველაფერი ცვილის იმ ნამცეცებს შეაგნებინო, ყველაფერზე მეტად საკუთარ სწრაფწარმავალ ფორმას რომ მისტირიან? როგორ გინდა, მათ ეს აზრი ჩააწვეთო? სწორედ აზრები მიგვაქანებენ ხსნისკენაც და დაღუპვისკენაც. მგონი, უპანიშადებშია ნათქვამი, გონება სხეულის ეტლში შებმული ცხენიაო...
თითები გაატკაცუნა, თითქოს თავში ბრწყინვალე აზრი მოუვიდაო და ცივად შემომხედა:
– რაკიღა სიტყვამ ეტლები და ცხენები მოიტანა, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ნახევარი ქილა კოკაინი ორ ორლოვურ ბედაურში...
უეცრად ყურებში მკვეთრი ბათქი მეტაკა და შემაზანზარა. კოტოვსკის წინ მდგარი ლამპა აფეთქდა, მაგიდას და რუკას გლიცერინის შადრევანი გადმოაფრქვია. კოტოვსკი წამოიჭრა, ხელში საიდანღაც, თითქოს ილუზიონისტიაო, ნაგანი გაიჩინა. კარში მონიკელებული მაუზერით შეიარაღებული ჩაპაევი გამოჩნდა. აშურმიანი რუხი კიტელი და ტყავდაკრული, სამმაგლამპასიანი შავი გალიფე ეცვა, ირიბლენტიანი ფაფახი ეხურა, მკერდზე ვერცხლის პენტაგრამა უელავდა (გამახსენდა, «ოქტომბრის წითელი ვარსკვლავის» ორდენიაო) და კისერზე პატარა შავი დურბინდი ეკიდა.
– კარგად ამბობდი, გრიშა, ცვილის წვეთებიო, – ჩახლეჩილი ტენორით წარმოთქვა, – ოღონდაც ახლა რაღას იტყვი? ის შენი ყოფიერების ოკეანე რა იქნა? განცვიფრებულმა კოტოვსკიმ მზერა იმ ადგილას გადაიტანა, სადაც ახლახან ლამპა იდგა. რუკაზე ვეება ცხიმიანი ლაქა გადღაბნილიყო. კიდევ კარგი,

სპირტქურის პატრუქი აფეთქებისას ჩაქრა, თორემ ხანძარს ვერ გადავურჩებოდით.
– ფორმაც, ცვილიც... ვისი შექმნილია? – მრისხანედ იკითხა ჩაპაევმა, – მიპასუხე!
– გონების, – მიუგო კოტოვსკიმ.
– სად არის? მიჩვენე.
– გონება ლამპაა, – თქვა კოტოვსკიმ, – იყო.
– გონება თუ ლამპაა, აჰა, გატყდა. ახლა სადღა მიდიხარ?
– აბა, რა არის გონება? – იკითხა დაბნეულმა კოტოვსკიმ.
ჩაპაევმა ერთხელაც გაისროლა. ტყვიამ მაგიდაზე მდგარი სამელნე ლურჯი ნამის ღრუბლად აქცია. რატომღაც წამით თავბრუ დამეხვა.
კოტოვსკის თეთრ ყვრიმალებს ღაჟღაჟა წითელი ლაქები დააჩნდა.
– ჰო, – თქვა, – ახლა გავიგე. შენ გამაგებინე, ვასილი ივანოვიჩ, კარგად ამიხსენი.
– ეჰ, გრიშა, – ნაღვლიანად თქვა ჩაპაევმა, – რას აკეთებ? ხომ იცი, რომ შეცდომის უფლება არა გაქვს. არა. რადგან ისეთ ადგილებში მოგიწევს ყოფნა, სადაც არავინ არაფერს აგიხსნის. იქ ყველაფერი შენი ჭკუით უნდა აკეთო.
კოტოვსკი წამოდგა და ბეღლიდან თავჩაქინდრული გავარდა.
– მივემგზავრებით, – თქვა ჩაპაევმა, აბოლებული მაუზერი ბუდეში შეინახა, – შენი ეტლით ხომ არ წავსულიყავით, წუხელ გრიშკას რომ გამოსტყუე? გზად ვილაპარაკოთ.
– სიამოვნებით, – ვთქვი.
– ჰოდა, ცხენების შებმაც ვუბრძანე უკვე, – თქვა ჩაპაევ-მა, – გრიშკა და ანკა კი ტაჩანკით წამოვლენ.
ეტყობა, სახეზე ჩრდილმა გადამირბინა, რადგან ჩაპაევი მხიარულად ახარხარდა და ზურგში მთელი ძალით წამითაქა. ეზოში გამოვედით,

წითელგვარდიელების ბრბოში გავიარეთ და საჯინიბოსთან აღმოვჩნდით.
იქ ყოველი კავალერისტისთვის ნაცნობი საგანგაშოდ მხიარული გნიასი იდგა, საბრძოლველად მიმავალი რაზმის შეკრებისთვის ნიშნეული. მეომრები უნაგირებს ამაგრებდნენ, ნალებს ამოწმებდნენ და ერთმანეთს ხალისიანად ეხმიანებოდნენ, მაგრამ ამ სილაღის მიღმა ფხიზელი შემართება და სულის სიმების უკიდურესი დაძაბულობა გამოსჭვიოდა. ადამიანთა გრძნობები თითქოს ცხენებსაც გადასდებოდათ – ფლოქვებს მიწაზე სცემდნენ, შიგადაშიგ ჭიხვინებდნენ, ლაგამის გამოფურთხებას ლამობდნენ, ამ მცდელობისას მუქ, ანდამატურ თვალებს აელმებდნენ და რაღაც გიჟურ სიხარულს ასხივებდნენ.
მოახლოებული საფრთხის ჰიპნოზი მეც შევიგრძენი. ჩაპაევი ორ მეომარს რაღაცას უხსნიდა, მე კი ერთ ცხენს მივუახლოვდი, კედელში ჩამაგრებულ რგოლზე რომ დაებათ და თითები ფაფარში შევუცურე. ეს წამი მკაფიოდ დამახსომდა – ხშირი, სქელი ბეწვები თითებს შორის, ახალთახალი უნაგირის მომჟავო სუნი, კედელზე მზის შუქის ლაქა ჩემი სახის სიახლოვეს და წამის საბოლოო, გარდაუვალი რეალობისა თუ სისავსის საოცარი, შეუდარებელი განცდა. ალბათ ამ გრძნობის გამოსახატად ამბობენ ხოლმე, მთელი სხეულით ჩავისუნთქეო, ან კიდევ – სრულყოფილი ცხოვრებაო. და თუმცა ეს ამბავი სულ ერთ წამს გრძელდებოდა, კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ ეს სრული და ნამდვილი ცხოვრება თავისივე ბუნების გამო ერთ წამზე მეტხანს არც შეიძლება, რომ გრძელდებოდეს.
– პეტკა! – დამიყვირა ჩაპაევმა უკნიდან, – დაუჩქარე!
ცხენს კისერზე ხელი მოვუთათუნე და ეტლისკენ დავიძარი, თან თვალი ტაჩანკისკენ გავაპარე, რომელშიც ანა და კოტოვსკი ისხდნენ. ანას

წითელკანტიანი თეთრი ქუდი ეხურა და ქამრიან-ბუდიანი სადა გიმნასტურა ეცვა. წითელლამპასიანი ლურჯი რეიტუზი მაღალყელიან, ზონრიან ფეხსაცმელში ჩაეტანებინა. ასე გამოწყობილი მოზარდ ტანმოვარჯიშეს ჰგავდა. ჩემი მზერა შეამჩნია და ზურგი შემაქცია. ჩაპაევი უკვე ეტლში ჩამჯდარიყო. წინ კი სწორედ ის სიტყვაძუნწი ბაშკირი წამოსკუპებულიყო, მეტსახელად «ბათი», რომელიც ოდესღაც მატარებელში შამპანურს გვისხამდა, მერე კი თივის ზვინთან სულელურად დარაჯობისას კინაღამ ხიშტზე წამომაგო. ჩაპაევს გვერდით მივუჯექი თუ არა, ბაშკირმა აღვირი მოზიდა, დაიფრუტუნა და ჭიშკარში გავედით. ტაჩანკა, რომელშიც ანა და კოტოვსკი ისხდნენ, უკან გამოგვყვა, მერე ცხენოსნებიც დაიძრნენ. მარჯვნივ შევუხვიეთ და ქუჩას ავყევით. კაცმა რომ თქვას, ქუჩა კი არა, შარა იყო, რადგან ჩვენი სახლის მერე სასახლის მიმდებარე მამული გაჭიმულიყო. ციცაბო აღმართის შემდგომ მარჯვნივ მოვუხვიეთ და მწვანე კედლებს შორის აღმოვჩნდით. გზის თავზე გადახლართული ტოტების მწვანე გვირაბში შევედით. უცნაური ხეები ვეება ბუჩქებს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხეებს. გვირაბი ერთობ გრძელი გამოდგა, ანდა იქნებ ასეთ შთაბეჭდილებას ჩვენი ნელი სვლა ქმნიდა. ტოტებს შორის მზე იჭვრიტებოდა და დილის ნამის უკანასკნელ წვეთებს აციმციმებდა, ირგვლივ ისეთი მკვეთრი და დამაბრმავებელი სიმწვანე სუფევდა, რომ რაღაც მომენტში ორიენტაციაც კი დამეკარგა – მომეჩვენა, თითქოს მწვანე ჭაში ნელა ვცვიოდით. თვალები რომ დავხუჭე, ამ შეგრძნებამ მაშინღა გამიარა.
ტევრი ისევე მოსხეპით დასრულდა, როგორც დაიწყო. მთაში გაჭრილ გრუნტის შარაზე გავედით. მარცხნიდან დამრეცი ხრამი მოგვყვებოდა, მარჯვნიდან კი საოცრად ლამაზი, მკრთალ-ლილისფერი შიშველი კლდის

კედელი დაგვყუდებოდა, ნაპრალებში ალაგ-ალაგ მომცრო ხეები რომ ამოსჩროდა. აღმართს საათის მეოთხედი მოვანდომეთ. ჩაპაევი თვალდახუჭული იჯდა, ხელები იატაკზე დაბჯენილი ხმლის ვადაზე დაეწყო. თითქოს რაღაც საკითხს ღრმად დაუფიქრებია, ან კიდევ თვლემსო. უცებ თვალი გაახილა და მომიტრიალდა.
– კოშმარები რომ გტანჯავდა, გადაგიარა?
– ისევ მტანჯავენ, ვასილი ივანოვიჩ, – მივუგე.
– ისევ იმ საავადმყოფოზე?
– ნეტა მარტო ეგ იყოს, – ვთქვი, – იცით, თითოეულ სიზმარში ყოველივე ელვის სისწრაფით და იოლად იცვლება. წუხელ, მაგალითად, იაპონია დამესიზმრა. მანამდე კი ის საავადმყოფო და, იცით, რა მოხდა? იმ ჯალათმა, იქ რომ მბრძანებლობს, მთხოვა, დაწვრილებით დამეწერა, რაც აქ ხდება. ასე მითხრა, საქმეს ასე სჭირდებაო. წარმოგიდგენიათ?
– წარმომიდგენია? – თქვა ჩაპაევმა, – მერე რატომ არ უჯერებ?
გაოცებულმა შევხედე.
– სერიოზულად მეუბნებით?
თავი დამიქნია.
– რატომ?
– ახლა არ მითხარი, ჩემს კოშმარებში ყველაფერი ფანტასტიკური სისწრაფით იცვლებაო?! ხოლო ყოველი ერთგვაროვანი მოქმედება, რომელიც სიზმრად მეორდება, ერთგვარი დაფიქსირებული ცენტრის შექმნის საშუალებას გვაძლევს. ჰოდა, სიზმარიც უფრო რეალურდება. სიზმარში ჩანაწერების კეთებაზე უკეთესი რა უნდა მოიფიქროს კაცმა.
დავფიქრდი.
– კი, მაგრამ, რაში მჭირდება კოშმარების ცენტრის დაფიქსირება, თუკი მსურს, რომ ამ კოშმარებს თავი დავაღწიო?

– სწორედაც ამისათვის. იმიტომ, რომ თავი მხოლოდ რაიმე რეალურს შეიძლება დააღწიო.
– დავუშვათ. მაგრამ შეიძლება აქაურ ამბებზე ყველაფერი დავწერო?
– აბა, რა.
– ჩანაწერებში როგორ მოგიხსენიოთ?
ჩაპაევმა გაიცინა.
– არა, პეტკა, საგიჟეთი ტყუილად არ გესიზმრება. რა მნიშვნელობა აქვს, სიზმრად გაკეთებულ ჩანაწერებში რას მიწოდებ?
– მართლაც, – ვთქვი და თავი იდიოტად ვიგრძენი, – უბრალოდ, შემეშინდა, ვაითუ... არა, მართლა ვაფრენ, მგონი.
– რაც გინდა, ის დამიძახე, – თქვა ჩაპაევმა, – თუნდაც ჩაპაევი.
– ჩაპაევი? – ჩავეძიე.
– რატომაც არა. შეგიძლია, ისიც დაწერო, – ღიმილით მითხრა, – რომ ულვაშები მაქვს და ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე გადავიგრიხე.
და მართლაც თითების ფაქიზი მოძრაობით ულვაშები გადაიგრიხა.
– მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ეგ რჩევა მეტწილად რეალობას ეხება, – თქვა, – სიზმრები უნდა ჩაიწერო, სანამ დაწვრილებით გახსოვს.
– რა დამავიწყებს, – ვთქვი, – ვიღვიძებ და ვხვდები, რომ უბრალოდ კოშმარი იყო, მაგრამ სანამ გესიზმრება... არც კი მესმის, მართლა რომელია სინამდვილე, ეს ეტლი, რომლითაც ახლა მივემგზავრებით, თუ ის კაფელში ჩასმული ჯოჯოხეთი, სადაც ღამღამობით თეთრხალათიანი ეშმაკები მაწვალებენ.
– და მართლა რომელია სინამდვილე? – კითხვა შემომიბრუნა და კვლავ დახუჭა თვალები, – მეეჭვება, რომ ამ კითხვას პასუხი მოუძებნო, იმიტომ რომ,

სინამდვილეში, არავითარი «სინამდვილე» არ არსებობს.
– ეგ როგორ? – ვკითხე.
– ეჰ, პეტკა, პეტკა, – თქვა ჩაპაევმა, – ერთ ჩინელ კომუნისტს ვიცნობდი, სახელად ცე ჩუანი ერქვა. ხშირად ერთსა და იმავე სიზმარს ხედავდა – თითქოს წითელი პეპელა იყო და ბალახებს შორის დაფარფატებდა. ჰოდა, რომ გაიღვიძებდა, ვეღარ გაეგო, პეპელას ესიზმრა, რევოლუციურ საქმიანობას ვეწეოდიო, თუ იატაკქვეშელმა ნახა ძილში, ყვავილებს თავს ვევლებოდიო. ჰოდა, ერთხელაც ეს ცე ჩუანი მონღოლეთში საბოტაჟისთვის რომ დააპატიმრეს, დაკითხვაზე თქვა, პეპელა ვარ, რომელსაც ეს დაკითხვა ესიზმრებაო. დაკითხვას თვით ბარონი იუნგერნი აწარმოებდა, ის კი ფართო თვალსაწიერის კაცი იყო და შემდეგი კითხვა ასე დაუსვა, ეგ პეპელა კომუნისტებს რატომ ემხრობაო. იმან უპასუხა, სულაც არ ემხრობაო, მაშინ ჰკითხეს, პეპელა ძირგამომთხრელ საქმიანობას რატომღა ეწევაო, იმან კი უპასუხა, ყველაფერი, რასაც ადამიანი აკეთებს, ისეთი საზიზღრობაა, სულ არ აქვს მნიშვნელობა, ვის მიემხრობიო.
– მერე რა მოუვიდა?
– არაფერი. კედელთან მიაყენეს და გააღვიძეს.
– თვითონ რაღა ქნა?
ჩაპაევმა მხრები აიჩეჩა.
– ალბათ ფარფატი გააგრძელა.
– მესმის, ვასილი ივანოვიჩ, მესმის, – ვთქვი და დავფიქრდი.
გზამ ერთხელაც მოუხვია და მარცხნივ ქალაქის თავბრუდამხვევი ხედი ამოტივტივდა. ჩვენი მამული ყვითელ წერტილად ქცეულიყო, ნარგავები კი ღია მწვანე ზოლად, რომლის გავლასაც დიდი დრო დავუთმეთ. მთის მოშიშვლებული ფერდები ყოველი

მხრიდან მოჯარულიყვნენ და ფიალის მსგავს ჩაღრმავებას ქმნიდნენ, რომლის ფსკერზეც ქალაქი ალტაი-ვიდნიანსკი ჩაწოლილიყო. წარუშლელ შთაბეჭდილებას თვითონ ქალაქი კი არა, სწორედ ამ ფერდობებით შექმნილი ფიალის პანორამა ტოვებდა, თვითონ ქალაქი ულაზათო იყო და წვიმით ორმოში ჩარეცხილ ნაგვის გროვას ჰგავდა. ხალხი არ ჩანდა, სახლებსაც სანახევროდ ეფარებოდა ჯერაც გაუფანტავი დილის ნისლის ნარჩენები. უეცრად, ჩემდა გასაოცრად, მივხვდი, რომ მე იმ სამყაროს ნაწილი გახლდით, გიგანტური სანაგვე ორმოს ფსკერზე რომ გაწოლილიყო, სადაც რაღაც გაუგებარი სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, სადაც ვიღაცები ხარბად ისაკუთრებდნენ პაწია ულაზათო სახლებს, ირიბად დაღობილ ბოსტნებს, ფერადსარეცხიან თოკებს, რათა მყარად დამკვიდრებულიყვნენ ყოფიერების ამ მართლა ფსკერზე. ის ჩინელი სიზმრის კაცი გავიხსენე, ჩაპაევმა რომ მიამბო და ერთხელაც გადავიხედე დაბლა. ირგვლივ უძრავად განფენილი სამყაროსა და ქვეყნიერების შესწავლით დაკავებული ზეცის მშვიდი მზერის წინაშე საოცრად ცხადად ჩანდა, თუ რარიგ ჰგავდა ორმოს ფსკერზე ჩავარდნილი ეს პატარა ქალაქი მსოფლიოს ყველა დანარჩენ ქალაქს. ყველა ამგვარადვე ხრამშია ჩავარდნილი, ეგებ თვალით უხილავში, მაგრამ ყველა ქალაქი ასეთსავე უფსკრულშია ჩაჩეხილი-მეთქი, ვფიქრობდი. ყველა ჯოჯოხეთის უზარმაზარ ქვაბში იხარშება, რომელიც, როგორც ამბობენ, დედამიწის ცენტრში ბობოქრობს, ყველა ერთი კოშმარის სხვადასხვა ვარიანტია და ამას არც არაფერი ეშველება-მეთქი.
– შენც რომ მაგ შენი კოშმარებიდან იმ ჩინელივით გამოგაღვიძონ, პეტკა, – მითხრა თვალდახუჭულმა ჩაპაევმა, – მხოლოდ და მხოლოდ ერთი სიზმრიდან

მეორეში გადაინაცვლებ. მთელი მარადისობაა, რაც ასე დაძრწიხარ. მაგრამ, თუ შეიგნებ, რომ ყველაფერი, რაც გემართება, მხოლოდ სიზმარია, მაშინ რაღა მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რა დაგესიზმრება? ხოლო როცა ამის შემდგომ გამოიღვიძებ, ეს უკვე ნამდვილი გამოღვიძება იქნება. სამუდამოც, თუკი, რასაკვირველია, თვითონ მოისურვებ.
– რატომაა ყველაფერი, რაც მემართება, სიზმარი?
– იმიტომ, ჩემო პეტკა, – თქვა ჩაპაევმა, – რომ სხვა არაფერი არ არსებობს.
აღმართი ავიარეთ და გაშლილ ზეგანზე გავედით. შორს, ჰორიზონტზე, ტიტველი ბორცვების ხაზს მიღმა, ლურჯი, იისფერი და ლილისფერი მთები აღმართულიყო, მათ წინ კი ვეება სივრცე გადაშლილიყო, მწვანე ბალახითა და ფერადი ყვავილებით დაფარული. მქრქალი, გახუნებული ფერები ჭარბობდა, მაგრამ იმდენი ყვავილი ჩანდა, რომ საერთო ტონად მწვანე კი არა, უფრო მეტად ჩალისფერი დომინირებდა. ისეთი ლამაზი იყო, რამდენიმე წუთით ჩაპაევის ნათქვამიც გადამავიწყა და სხვა ყველაფერიც, ოღონდ, უცნაურია და, იმ ჩინელის გარდა. ყვავილთა ბაცი ლაქების შემხედვარემ, ეტლის გასწვრივ რომ მიცურავდნენ, წარმოვიდგინე, როგორ იფარფატებდა ამ არემარეზე, ხანდახან კი, ძველი ჩვევა თავს შეახსენებდა, მოასურვებდა ეფედრას ვიწრო ყლორტებზე ანტისამთავრობო პროკლამაციები გაეკრა და ყოველ ჯერზე შეკრთებოდა, როცა გაახსენდებოდა, რომ დიდი ხანია აღარ ჰქონდა არანაირი პროკლამაცია. ანდა, კიდეც რომ ჰქონოდა, ვინ იყო იმათი წამკითხავი? თუმცა მალე ყვავილებით ტკბობა შეუძლებელი შეიქნა. ეტყობა, ჩაპაევმა მეეტლეს ანიშნა და იმანაც სწრაფად გაგვაქანა. ირგვლივ ყოველივე ფერად ზოლებად გადაიქცა. კოფოზე წამომართული ბაშკირი ცხენებს

შეუბრალებლად მიერეკებოდა, მათრახს უტყლაშუნებდა და გაუგებარ ენაზე ხორხისმიერ სიტყვებს გაჰყიოდა.
პირწმინდად სიმბოლურ გზას მივუყვებოდით. მართალია, მის ზედაპირზე ყვავილი ნაკლები ამოსულიყო, ვიდრე მინდორზე და ცენტრში, ალაგ-ალაგ ბორბლების ძველ ნაკვალევსაც შენიშნავდით, მაგრამ მთლიანობაში ამ გზის დანახვა იოლი საქმე როდი იყო. ამისდა მიუხედავად, ეს ბალახბულახში ჩამალული გზა თითქმის არ გვანჯღრევდა – მინდორი იდეალურად სწორი და რბილი გახლდათ. ჩვენი პატარა რაზმის არიერგარდში მყოფი შავოსანი მხედრები გზიდან გადავიდნენ, წამოგვეწივნენ და აქეთ-იქიდან ორ ჯგუფად ამოგვიდგნენ. ახლა ცხენებს ჩვენ გვერდით ბალახზე მოაჭენებდნენ. სვლას ტყვიამფრქვევიანმა ლანდომაც უმატა და თითქმის წამოგვეწია. შევამჩნიე, რომ კოტოვსკი თავის მეეტლეს ზურგში ხელჯოხს უკაკუნებდა და ჩვენზე ანიშნებდა. აშკარად დოღი გაგვიმართეს. რაღაც მომენტში ლამის იყო, გადაგვასწრეს. ყოველ შემთხვევაში, გვერდში მოგვყვებოდნენ, რამდენიმე მეტრის დაცილებით. ტაჩანკის ბორტზე ემბლემა შევნიშნე – კლაკნილი ხაზით შუაზე – შავად და თეთრად – გაყოფილი წრე თავ-თავისი საპირისპირო ფერის თითო მოზრდილი წერტილით. იქვე თეთრი საღებავით, მსხვილი, უხეშად გამოყვანილი ასოებით მიეწერათ:
ღამეა თუ დღეა,
მაინც ერთი ყლეა.
ჩვენმა ბაშკირმა ცხენებს ცეცხლი შეუნთო და ტაჩანკა ჩამოვიტოვეთ. წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, რომ ანა იმ ეტლით მგზავრობას დასთანხმდა, რომელზეც ასეთი უხამსობა ეწერა. წამის შემდეგ კი ვიგუმანე და დავიჯერე კიდეც, ეს სიტყვები ლანდოს ალბათ თვითონ დააწერა-

მეთქი. მე ხომ, არსებითად, ამ ქალის შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდი!
სტეპში მიქროდა ჩვენი რაზმი მხედართა ველური ყივილისა და სტვენის თანხლებით. ალბათ ამგვარად ხუთი-ექვსი ვერსი დავფარეთ – ჰორიზონტზე მდგარი ბორცვები იმდენად მოგვიახლოვდა, უკვე ზედ კლდეებსაც ვამჩნევდით და ხეებსაც. მინდვრის ზედაპირიც ბორბლებქვეშ უფრო უსწორმასწორო გახდა, ვიდრე აქამდე იყო – შიგადაშიგ მაღლა შეგვისროდა ეტლიანად და მეშინოდა კიდეც, ემანდ კისერი არ მოვიტეხოთ-მეთქი. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაპაევმა ბუდიდან მაუზერი ამოიღო და ჰაერში გაისროლა.
– აბა, კმარა! – დაიღრიალა, – ნაბიჯით იარ!
მეეტლემ დაამუხრუჭა. მხედრებმა, თითქოს უფრთხიან, ეტლის უკანა ბორბლებზე გამავალი უხილავი მიჯნა არ დავარღვიოთო, სიჩქარეს მკვეთრად მოუკლეს და ჩამოგვრჩნენ. ანას და კოტოვსკის ლანდოც უკან დარჩა და რამდენიმე წუთის შემდეგ ისევე დავწინაურდით, როგორც მგზავრობის დასაწყისში.
ბორცვების მხარეს კვამლის ვერტიკალური სვეტი დავინახე – თეთრი და ბლანტი, ისეთი, ცეცხლს ბლომად ბალახისა და ხმელი ფოთლების ერთბაშად დაყრისას რომ აუდის ხოლმე. ყველაზე უცნაური ის გახლდათ, რომ ზემოთ არ ფართოვდებოდა, რის გამოც მარმარილოს მაღალ თეთრ კოლონას ჰგავდა, ცამდე აზიდულს. ამ სვეტამდე ერთი ვერსიღა გვრჩებოდა, თვით კოცონს კი ბორცვები მალავდა. რამდენიმე წუთს კიდევ ვიარეთ და გავჩერდით. გზამ ორ მომცრო, ციცაბო ბორცვთან მიგვიყვანა, რომელთა შორის გასასვლელი ძლიერ ვიწროვდებოდა და ბუნებრივ ჭიშკარს ქმნიდა, თვით ბორცვები კი ისე სიმეტრიულად აღმართულიყვნენ, თითქოს ძველთაძველი კოშკებიაო.

თითქოს რელიეფის ცვლილების საზღვარს აღნიშნავდნენ – ჩვენ წინ ბორცვები აღმართულიყვნენ, იქით და იქით მთებად აზიდულები. ჩანს, მიჯნა მხოლოდ რელიეფს როდი საზღვრავდა – სახეში ქარმა შემომიბერა და გაოცებულმა გავხედე ცაში ზედმიწევნით ვერტიკალურად აზიდულ კვამლის სვეტს, რომლის უხილავი წყარო შორს აღარ უნდა ყოფილიყო.
– რატომ გავჩერდით? – ვკითხე ჩაპაევს.
– ველოდებით, – თქვა.
– ვის? მტერს? – ვკითხე.
არ მიპასუხა. უცებ გამახსენდა, რომ ხმალი შინ დამრჩენოდა და თან მხოლოდ ბრაუნინგი მქონდა, ასე რომ, თუ საქმე ცხენოსნებთან გვექნებოდა, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. თუმცა, რაკიღა ჩაპაევი ეტლში კვლავაც მშვიდად იჯდა, ჯერ საფრთხე ახლოს არ უნდა ყოფილიყო.
მიმოვიხედე. ანას და კოტოვსკის ლანდო გვერდში ამოგვდგომოდა. კოტოვსკის თეთრი სახე დავლანდე – გულხელდაკრეფილი უძრავად იჯდა უკანა სავარძელში. სცენაზე გამოსულ ოპერის მომღერალს ჰგავდა. ანას ზურგიდან ვხედავდი – ტყვიამფრქვევებს უკირკიტებდა და ვიფიქრე, ამას იმიტომ კი არ სჩადის, რომ სასროლად მოამზადოს, არამედ კოტოვსკის გვერდით ჯდომა მობეზრებია-მეთქი. ჩვენი თანმხლები მხედრები, თითქოს ამ ბორცვის ჭიშკარს უფრთხიანო, მოშორებით დამდგარიყვნენ, სილუეტებად ძლივს ვხედავდი.
– მაინც ვის ველოდებით? – გავიმეორე შეკითხვა.
– შავ ბარონთან გვაქვს შეხვედრა დანიშნული, – მიპასუხა ჩაპაევმა, – ვფიქრობ, პიოტრ, ამ ამბავს ვერასოდეს დაივიწყებთ.
– რა უცნაური მეტსახელია. ნამდვილი სახელიც უნდა ჰქონდეს.
– დიახ, – თქვა ჩაპაევმა, – მისი ნამდვილი სახელი

იუნგერნ ფონ შტერნბერგია
– იუნგერნი? – ჩავეძიე, – უნ-გერნი... რაღაც გამიგია... შემთხვევით, ფსიქიატრიასთან რაიმე საერთო ხომ არა აქვს? სიმბოლოების განმარტებები ხომ არ დაუწერია?
ჩაპაევმა დაკვირვებით შემათვალიერა.
– არა, – თქვა, – რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ყოველგვარი სიმბოლო ჭირის დღესავით ეჯავრება.
– ჰო, – ვთქვი, – გამახსენდა. ეს ისაა, ჩინელი რომ დახვრიტა.
– ისაა, – თქვა ჩაპაევმა, – შუა მონღოლეთის მცველია. მასზე ამბობენ, ომის ღმერთის რეინკარნაცია�აა. ადრე აზიის ცხენოსანთა დივიზიას მეთაუროობდა, ახლა ტიბეტელ კაზაკთა საგანგებო პოლკს.
– არასოდეს მსმენია, – ვთქვი, – «შავ ბარონს» რატომ ეძახიან?
ჩაპაევი დაფიქრდა.
– მართლაც რატომ, – თქვა, – რაც არ ვიცი, არ ვიცი. თვითონ მას ჰკითხეთ, უკვე აქაა.
შევკრთი და შემოვბრუნდი.
ორ ბორცვს შორის, ვიწრო გასასვლელში რაღაც უცნაური საგანი გამოჩნდა. დავაკვირდი და მივხვდი – არქაული და უცნაური ტახტრევანი იყო – მრგვალსახურავიანი, ოთხსახელურიანი კაბინა, ჟამთა სვლისგან გამწვანებული ბრინჯაოსგან ჩამოსხმულს ჰგავდა, ზედ აურაცხელი ნეფრიტის ფირფიტა ჰქონდა დაკრული, რომლებიც კატის თვალებივით ჯადოსნურად ელვარებდნენ. ირგვლივ არავინ ჩანდა, ვისაც აქამდე ეს ტახტრევანი შეუმჩნევლად მოეტანა, იფიქრებდით, უჩინარი მზიდავები, რომელთა ხელისგულებსაც ეს სახელურები გაუპრიალებიათ, ბორცვის ჭიშკრის უკან დამალულანო.
ტახტრევანი მორკალულ ფეხებზე იდგა, რის გამოც რაღაც სამსხვერპლო ჭურჭელს მიაგავდა, ან კიდევ ოთხ

მოკლე ხიმინჯზე მდგარ ქოხს. ქოხს მართლა ძალიან ჰგავდა – მწვანე აბრეშუმის თხელი ბადის ფარდები ეკიდა. მათ მიღმა კი უძრავად მჯდომი კაცის სილუეტი გამოსჭვიოდა.
ჩაპაევი ეტლიდან ჩამოხტა და ტახტრევანს მიუახლოვდა.
– გამარჯობა, ბარონ, – თქვა.
– მოგესალმებით, – გაისმა ბოხი ხმა ფარდის იქიდან.
– თქვენთან კვლავ სათხოვარი მაქვს, – უთხრა ჩაპაევმა.
– ვიმედოვნებთ, საკუთრივ თქვენთვის არც ამჯერად მთხოვთ რამეს.
– ასეა, – თქვა ჩაპაევმა, – გრიგორი კოტოვსკი ხომ გახსოვთ?
– მახსოვს, – თქვა ხმამ ტახტრევნიდან, – რა მოუვიდა?
– ვერაფრით ვერ ავუხსენი, თუ რა არის გონება. ამ დილით ისე გამომიყვანა მოთმინებიდან, რომ ხელი იარაღზე გავიკარი. რისი თქმაც შეიძლებოდა, ვუთხარი, ასე რომ, ახლა დემონსტრირებაა საჭირო, ბარონ, რამე ისეთის, რის იგნორირებასაც ვეღარ შეძლებს.
– სულ ერთნაირი პრობლემები გაქვთ, ძვირფასო ჩაპაევ. სადაა ის თქვენი პროტეჟე.
ჩაპაევსკი კოტოვსკის მოუტრიალდა და ხელი დაუქნია. ტახტრევნის ფარდა გაიხსნა და დავინახე ორმოციოდე წლის ქერა მამაკაცი, მაღალი შუბლი და უფერული ცივი თვალები ჰქონდა. დაბლა დაშვებული თათრული ულვაშებისა და გაუპარსავი წვერის გამო ერთობ ინტელიგენტური სახის პატრონი გახლდათ. მისი სამოსელი, ყოვლად უცნაური, თან ანაფორას რომ ჰგავდა და თან ფარაჯაზე ემოსა, ფასონით მონღოლურ ხალათს მოგაგონებდა, გრძლად და მომრგვალებულად ამოჭრილს, ფარაჯას არც კი მივამსგავსებდი, ზედ გენერლის ზიგზაგებიანი სამხრეები რომ არ ჰქონოდა დამაგრებული. გვერდზე ზუსტად ისეთი ხმალი ეკიდა,

როგორიც ჩაპაევს ჰქონდა, მხოლოდ ვადაზე მიმაგრებული ფუნჯი შავი კი არა, ლილისფერი იყო. მკერდზე კი სამი ვერცხლის ვარსკვლავი ჩაემწკრივებინა. ტახტრევნიდან მკვირცხლად გამოძვრა (ჩემზე თითქმის ერთი თავით მაღალი აღმოჩნდა).
– ეს ვინ არის?
– ეს ჩემი კომისარი პიოტრ პუსტოტაა, – მიუგო ჩაპაევმა,
– თავი გამოიჩინა სადგურ ლოზოვაიასთან ბრძოლაში.
– მაგ ამბებმა ჩემამდეც მოაღწია, – თქვა ბარონმა, – აქ იმავე საქმეზეა?
ჩაპაევმა კვერი დაუკრა. იუნგერნმა ხელი გამომიწოდა.
– სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, პიოტრ.
– ჩემთვისაც დიდი პატივია, ბატონო გენერალო, – ვუპასუხე და ხელი ჩამოვართვი. ძლიერი მკლავი და მშრალი ხელისგული ჰქონდა.
– უბრალოდ ბარონი დამიძახეთ, – თქვა იუნგერნმა და მოახლოებულ კოტოვსკის მიუტრიალდა.
– გრიგორი, რა ხანია, არ მინახიხარ...
– გამარჯობა, ბარონ, – უთხრა კოტოვსკიმ, – თქვენი ნახვა გულით მახარებს.
– ფერი ისე წაგსვლიათ, რომ, ეტყობა, მთელი სისხლი ჩემთან შეხვედრის სიხარულით გულში დაგიგუბებიათ.
– არა, ბარონ, ეს რუსეთზე ფიქრისგან მჭირს.
– ისევ თქვენსაზე ხართ. მოდი, დროს ნუღა დავკარგავთ, ერთი აქეთ გავისეირნოთ.
ბორცვთა ჭიშკრისკენ ანიშნა. კოტოვსკიმ ნერწყვი გადაყლაპა.
– პატივი დამდეთ, – მიუგო.
იუნგერნმა ჩაპაევს კითხვის თვალით შეხედა. იმან რაღაც შეკვრა მიაწოდა.
– ორია?
– დიახ.
იუნგერნმა შეკვრა სამოსის ფართო ჯიბეში ჩაიდო,

კოტოვსკის მხარზე ხელი გადახვია და ჭიშკრისკენ წაიყვანა. გასასვლელში გაუჩინარდნენ, მე კი ჩაპაევს მივუბრუნდი.
– ამ ჭიშკრის იქით რა არის?
ჩაპაევმა გაიღიმა.
– არ მინდა შთაბეჭდილება წაგიხდეთ.
ჭიშკრის მხრიდან რევოლვერის ყრუ გასროლა გაისმა. წამის შემდეგ ბარონი მარტო გამოჩნდა.
– ახლა თქვენი რიგია, პიოტრ, – თქვა.
ჩაპაევს კითხვის თვალით მივაჩერდი, თვალმოჭუტულმა თავი თანხმობით დამიქნია, თან ისეთი უჩვეულო ენერგიით, თითქოს ნიკაპით მკერდში ლურსმანს ირჭობსო.
ბარონისკენ ნელა დავიძარი.
გამოგიტყდებით, მეშინოდა. ის კი არა, რომ რაიმე საფრთხე ვიგუმანე, თუმცა ეგებ სწორედ საფრთხეს ვგრძნობდი, მაგრამ ისეთს არა, დუელის ან ბრძოლის წინ რომ განიცდი ხოლმე, როცა იცი, რომ, თუ მოგივა, საშინელება პირადად შენ მოგივა. ამჯერად კი ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს საფრთხე მე კი არა, საკუთარი თავის შესახებ ჩემს შეხედულებებს ემუქრებოდა. საშიშს არაფერს ველოდი, მაგრამ, აი, ის «მე», რომელიც საშიშს არაფერს ელოდა, უცებ უფსკრულის თავზე მოსიარულე მუშაითად მეჩვენა, ნიავის პირველსავე წამოქროლვაზე თოკზე მდგომი რომ გაირინდება.
– ჩემს ბანაკს გიჩვენებთ, – მითხრა ბარონმა, როდესაც მივეახლე.
– ყური დამიგდეთ, ბარონ, თუ ჩემს გამოფხიზლებას ისევე აპირებთ, როგორც ის ჩინელი გამოაღვიძეთ...
– რას ბრძანებთ? – გაიღიმა ბარონმა, – ჩაპაევმა ალბათ ათასი საშინელება გიამბოთ ჩემზე. ეგეთი როდი ვარ.
ხელი გამომდო და ბორცვთა ჭიშკრისკენ შემატრიალა.

– კოცონებს შორის გავისეირნოთ, – თქვა, – ბიჭები მოვინახულოთ.
– ვერანაირ კოცონს ვერ ვხედავ, – ვთქვი.
– ვერა? – თქვა, – აბა, კარგად დაუკვირდით.
ერთხელაც გავხედე ორ ჩამორეცხილ ბორცვს შორის დარჩენილ ვიწრო გასასვლელს. ამ დროს ბარონმა ზურგში ხელი მკრა, წინ გავფრინდი და მიწას დავენარცხე. ისე მკვეთრად მიბიძგა, წამით მეგონა, კუტიკარი ვარ, რომელიც წიხლით შეაღო და ანჯამებიდან ჩამოგლიჯა-მეთქი. იმწამსვე რაღაც მხედველობითმა კრუნჩხვამ დამიარა, თვალები დავხუჭე და სიბნელეში კაშკაშა ლაქები აათინათდნენ, როგორც ხდება ხოლმე, როდესაც თითით ქუთუთოს დავაწვებით, ანდა როცა თავს სწრაფად მოვატრიალებთ. მაგრამ თვალი გავახილე თუ არა, ეს სინათლე მყისვე გაუჩინარდა. ვერ გავიგე, სად ვიმყოფებოდი – ბორცვები, ზაფხულის საღამო – ყველაფერი აორთქლებულიყო, ირგვლივ მკვრივი უკუნი იდგა და ეს ბნელეთი, სადამდეც მზერას მიუწვდენდი, კაშკაშა კოცონებით იყო გავსებული. არაბუნებრივად მწყობრი თანმიმდევრობით განლაგებულიყვნენ, თითქოს იმ უხილავ ბადეში ჩაუწყვიათ, სამყაროს რომ აურაცხელ კვადრატებად ყოფსო. კოცონებს ერთმანეთისგან ორმოცდაათი მეტრი აცილებდა, ასე რომ, ერთთან თუ ჩამოჯდებოდი, მეორესთან მსხდომებს ვეღარ გაარჩევდი – მხოლოდ ბუნდოვან სილუეტებს დალანდავდი, მაგრამ დაბეჯითებით ვერც მათ რაოდენობას დაადგენდი, ვერც იმას, საერთოდ ადამიანები იყვნენ თუ არა. ყველაზე უცნაური კი ის გახლდათ, რომ მინდორი, რომელზეც ვიდექით, ასევე გასაოცრად გადასხვაფერდა – ახლა ფეხქვეშ იდეალურად გლუვი სიბრტყე გვეგო, რაღაც გამხმარი ბალახის მსგავსით დაფარული, არც

ამობურცული იყო სადმე რამე, არც ჩაღრმავებული და ირგვლივ მოგიზგიზე ცეცხლის იდეალურად სწორი მოხაზულობაც ამასვე ადასტურებდა.
– ეს რა არის? – დაბნეულმა ვიკითხე.
– აჰა, – თქვა ბარონმა, – ახლა, მგონი, როგორც იქნა, დაინახეთ.
– დავინახე, – ვთქვი.
– ეს იმქვეყნიური სამყაროს ის ერთ-ერთი ფილიალია, – თქვა იუნგერნმა, – რომელიც მე მაბარია. აქ ძირითადად ისინი ხვდებიან, ვინც სიცოცხლეში სამხედრო პირი იყო. ვალჰალა ხომ გაგიგიათ?
– გამიგია, – მივუგე და ბავშვური სურვილი მომეძალა, ბარონს ანაფორის კალთაზე ჩავბღაუჭებოდი.
– სწორედ ეს გახლავთ. სამწუხაროდ, აქ მხოლოდ მეომრები კი არა, ყველა ის ნაგავი ხვდება, რომელიც სიცოცხლეში ბევრ ტყვიას ისროდა. ბანდიტები, მკვლელები – რანაირ გასაოცარ ნაძირალას არ შეხვდებით. ამიტომაც სიარული და შემოწმება მიწევს. ხანდახან თავი მეტყევე მგონია.
ბარონმა ამოიხვნეშა.
– თუმცა, მახსოვს, – ოდნავ სევდიანი ხმით წარმოთქვა მან, – ბავშვობაში მინდოდა კიდეც, რომ მეტყევე გამოვსულიყავი... იცით, რა, პიოტრ, სახელოზე ჩამეჭიდეთ. აქ ძნელი სასიარულოა.
– ვერაფერი გამიგია, – ვთქვი და შვება ვიგრძენი, – თუ ნებას მომცემთ, ჩაგეჭიდებით.
მართლაც ჩავეჭიდე სახელოზე და დავიძარით. ერთ უცნაურობას იმთავითვე მივაქციე ყურადღება – ბარონი საკმაოდ ნელა მიაბიჯებდა, დაახლოებით იმავე ტემპით, როგორითაც სამყაროს ამ შემზარავ ტრანსფორმაციამდე დაიარებოდა, მაგრამ კოცონები, რომელთა გასწვრივაც მივდიოდით, ჯოჯოხეთური სისწრაფით მიქროდნენ უკან. თითქოს რაღაც ბაქანზე

აუჩქარებლად მივსეირნობდით, თვით ბაქანს კი უხილავი მატარებელი მიაქროლებდა წარმოუდგენელი სისწრაფით, თანაც იქით მიექანებოდა, საითაც ბარონი აიღებდა გეზს. წინ ერთი კოცონი გამოჩნდა, თავიდან წერტილად, შემდეგ გამოექანა და ჩვენ წინ შედგა, რადგან ბარონმა გაჩერება ინება. კოცონს ორნი მისხდომოდნენ, დასველებულები და ნახევრად შიშვლები რომაელებს ჰგვანდნენ, ტანზე მოკლე ზეწრები შემოეხვიათ, ორივენი შეიარაღებულები იყვნენ, ერთს ნაგანი ეჭირა, მეორეს ორლულიანი თოფი და ორივეს ტანი მრავალრიცხოვან, შემზარავ, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულ ჭრილობებს დაეფარა. ბარონის დანახვაზე მიწას განერთხნენ და აუტანელი, ფიზიკურად ხელშესახები შიშისაგან აცახცახდნენ.
– ვინ ხართ? – ხმადაბლა ჰკითხა ბარონმა.
– სერიოჟა მონგოლოიდის მებრძოლები, – თქვა ერთ-ერთმა თავაუღებლად.
– აქ როგორ მოხვდით? – ჰკითხა ბარონმა.
– შეცდომით დაგვბრიდეს, უფროსო.
– მე თქვენი უფროსი არ ვარ, – უთხრა ბარონმა, – შეცდომით კი არავის არ ბრიდავენ.
– ნაღდად შეცდომით, – საწყალობლად თქვა მეორემ, – საუნაში. გვეგონა, მონგოლოიდი ხელშეკრულებას აფორმებდა.
– რა ხელშეკრულებას? – ჰკითხა იუნგერნმა და გაოცებულმა წარბები აზიდა.
– კრედიტი უნდა მიგვეცა. «ნეფტხიმპრომმა» შეუქცევად აკრედიტივზე მაყუთი დაგვისვა, ზედნადები კი ვეღარ გავაძვრინეთ. ჰოდა, ორი მოზვერი დაგვადგა «ულტიმა ტულედან»...
– შეუქცევადი აკრედიტივი? – შეაწყვეტინა ბარონმა, – «ულტიმა ტულე»

? გასაგებია.
დაიხარა და კოცონს სული შეუბერა, ისიც მყისვე რამდენჯერმე დაპატარავდა – მოგიზგიზე ალიდან პაწია, რამდენიმე სანტიმეტრზე აღმართულ მოციაგე ცეცხლის ენად გადაიქცა. ამან ორ ნახევრადშიშველ მამაკაცზე საოცარი ეფექტი მოახდინა – გახევდნენ და ზურგები მყისიერად დაეთრთვილათ.
– მებრძოლები, არა? – თქვა ბარონმა, – როგორ მოგწონთ? ამათ ვალჰალაში რა ესაქმებათ? სერიოჟა მონგოლოიდი... და მთელი ეს იდიოტიზმი ხმლის ხელში პყრობის შესახებ.
– რა დაემართათ? – ვკითხე.
– წესია ასეთი, – თქვა ბარონმა, – არ ვიცი, მაგრამ ნახვა შეგვიძლია.
მბჟუტავ მოცისფრო ცეცხლის ენას სული ერთხელაც შეუბერა და ალი ძველებურად აგიზგიზდა. ბარონი კოცონს რამდენიმე წუთის განმავლობაში თვალმოჭუტული მისჩერებოდა.
– მგონი, ხორცკომბინატში გამწესდნენ, მოზვრებად. ასეთი შემსუბუქება ამ ბოლო ხანებში ძლიერ გახშირდა. ნაწილობრივ, ბუდას უსაზღვრო სიკეთის გამო, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ რუსეთში მუდამ ხორცის დეფიციტია.
კოცონმა, რომლის ახლოდან შეთვალიერება ახლაღა მოვახერხე, საშინლად გამაოცა. კოცონიც არ იყო, ცეცხლი არც შეშას ეკიდა, არც ფიჩხს, მიწაში გათხრილი ხვრელიდან ამოდიოდა. ხვრელს ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფორმა ჰქონდა.
– მითხარით, ბარონ, ეს ცეცხლი პენტაგრამაზე რატომ ანთია?
– როგორ თუ რატომ, – თქვა ბარონმა, – ეს ხომ ბუდას უსაზღვრო სიკეთის მარადიული ცეცხლია. ხოლო ის, რასაც თქვენ პენტაგრამას უწოდებთ, სინამდვილეში

ოქტომბრის ვარსკვლავის ორდენის
ემბლემაა. აბა, სხვაგან სად უნდა ენთოს სიკეთის მარადიული ცეცხლი, თუ არა ამ ემბლემაზე?
– ოქტომბრის ვარსკვლავის ორდენი რა არის? – ვკითხე და თვალი მისი მკერდისკენ გავაპარე, – ეს გამოთქმა სრულიად განსხვავებულ ვითარებებში მსმენია, მაგრამ არც ერთ იმათგანს, ვინც ეს სიტყვები წარმოთქვა, ახსნა-განმარტებით თავი არ შეუწუხებია.
– ოქტომბრის ვარსკვლავი? – ჩამეკითხა იუნგერნი, – უბრალო ამბავია. შობასავით. კათოლიკეები დეკემბერში აღნიშნავენ, მართლმადიდებლები – იანვარში. აქაც ასეა – კალენდრის რეფორმები, გადამწერთა შეცდომები – მოკლედ, თუმც კი ითვლება, რომ იანვარში, მაგრამ სინამდვილეში ეს ამბავი ოქტომბერში მოხდა.
– რა ამბავი.
– ნუ მაოცებთ, პიოტრ. ეს ხომ დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ისტორიაა. დიდი ხნის წინათ იყო ერთი კაცი, რომელსაც სხვებივით ცხოვრება არ შეეძლო. ცდილობდა, გაეგო, თუ რა იყო ის, რაც ყოველდღიურად ემართებოდა და ვინ იყო ის, ვისაც ეს ყოველივე ემართებოდა. და, აი, ოქტომბრის ერთ ღამეს, ხის ქვეშ მჯდომმა ცას ახედა და კაშკაშა ვარსკვლავი დაინახა. იმავ წამს ყოველივეს ისე ღრმად ჩასწვდა, რომ იმ შორეული წამის ექო დღემდე…
ბარონი საჭირო სიტყვის მოსაძებნად გაჩუმდა და, ეტყობა, ვერ იპოვა.
– ჯობია, ჩაპაევს დაელაპარაკოთ, – დაასკვნა ბოლოს, – უყვარს ამ ამბის მოყოლა. მთავარი და არსებითი ისაა, რომ იმ წამის შემდგომ ყველა ცოცხალი არსების მიმართ აღძრული სიკეთის ცეცხლი მარად ანთია და მისი ჩაქრობა სამსახურებრივი აუცილებლობის გამოც კი შეუძლებელია.

მიმოვიხედე. ირგვლივ ჭეშმარიტად დიდებული პანორამა გადაშლილიყო. ვიფიქრე, ალბათ დედამიწაზე არსებულ ერთ-ერთ უძველეს სურათს ვუცქერი-მეთქი, თვალუწვდენელ ურდოს, ღამის გასათევად ველზე ჩამომხდარს, კოცონები გაუჩაღებია და თითოეულთან მებრძოლები დამსხდარან, ცეცხლს იმედიანად უმზერენ და მის ცეკვაში დასაპყრობი უცხო მიწების ოქრო, საქონელი და ქალები ელანდებათ. ოღონდაც ეს ურდო საით ლაშქრობდა, რომლის კოცონთა შორის მე და იუნგერნი დავიარებოდით? რის შესახებ დუმან აქ მსხდომი ადამიანები?
იუნგერნს მივუტრიალდი.
– მითხარით, ბარონ, ცალ-ცალკე რატომ სხედან? ერთმანეთს რატომ არ ეწვევიან?
– ადექით და ესტუმრეთ, – თქვა იუნგერნმა.
უახლოესი კოცონი ორმოცდაათიოდე ნაბიჯში ენთო. ირგვლივ ხუთი-ექვსი კაცი შემოსხდომოდა. იუნგერნს კითხვის თვალით მივაცქერდი.
– ჰო, მიდით, – გამიმეორა.
მხრები ავიჩეჩე და დავიძარი. განსაკუთრებულს და უჩვეულოს არაფერს ვგრძნობდი. ერთი-ორ წუთს ვიარე და უცებ მივხვდი, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში მანათობელ წერტილს ოდნავაც ვერ მივუახლოვდი. უკან მოვიხედე. იუნგერნი ცეცხლთან იდგა, სამიოდ მეტრში და დამცინავად მიმზერდა.
– მსგავსება ნუ გაფიქრებინებთ, – თქვა, – რომ თქვენთვის ნაცნობ სამყაროში იმყოფებით.
ის ორი გაქვავებული ფიგურა აღარსად ჩანდა – მათ ნაცვლად მიწაზე ორი მოგრძო ლაქა დარჩენილიყო.
– წავიდეთ აქედან, – მითხრა იუნგერნმა, – აკი ჩვენი ბიჭების მონახულებას ვაპირებდით.
სახელოზე მოვეჭიდე და ჩვენ გასწვრივ ისევ გაიქროლეს კოცონებმა, ისე სწრაფად ვმოძრაობდით,

რომ მანათობელ ზიგზაგებად და დატეხილ ხაზებად ჩანდნენ. დარწმუნებული ვიყავი, ეს რაღაც ილუზიაა-მეთქი: სახეში ქარი სრულებით არ მცემდა, რაც, წესით, ასეთი სიჩქარით სრბოლისას უეჭველად უნდა მეგრძნო – თითქოს, როცა ბარონი ისურვებდა, ჩვენ კი არა, თვით გარემო იცვლიდა ადგილს.
ორიენტაცია სრულიად დავკარგე და არ ვიცოდი, საით მივიწევდით. ხანდახან წამით ვყოვნდებოდით და ამ დროს უახლოეს კოცონთან მსხდომთა სახეების შეთვალიერებას ვასწრებდი. მეტწილად წვერმოშვებული თოფიანი კაცები იყვნენ, ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ, მივუახლოვდებოდით თუ არა, ძირს ემხობოდნენ. ერთხელ თოფების ნაცვლად შუბებსაც მოვკარი თვალი, მაგრამ ისე მცირე ხნით შევჩერდით, დაბეჯითებით ვერც კი ვიტყვი, არ ვცდები-მეთქი. მივხვდი, ეს გადანაცვლება რას მაგონებდა – სწორედ ასეთი გიჟური და უჩვეულო ზიგზაგებით ღამურები დაფრინავენ ღამის წყვდიადში.
– იმედია გესმით, პიოტრ, – ყურში ჩამიბუბუნა ბარონმა, – ახლა იქ ვიმყოფებით, სადაც ტყუილს არ ამბობენ. მხოლოდ სრული გულახდილობა...
– მესმის, – ვთქვი და თეთრ-ყვითელი ზოლების ციმციმისგან თავბრუ დამეხვა.
– ერთი რამ მინდა გკითხოთ, – თქვა ბარონმა, – ცხოვრებაში ყველაზე მეტად რა გსურთ?
– მე? – ვკითხე და ჩავფიქრდი.
ამ კითხვას სიცრუის გარეშე ძნელად თუ ვუპასუხებდი. დიდხანს ვიფიქრე და ვერაფერი მოვიფიქრე, მაგრამ პასუხი უცებ თვითონ დაიბადა.
– იღბალი.
ბარონმა გადაიხარხარა.
– ჩინებულია, – წარმოთქვა, – მაგრამ რა არის თქვენთვის იღბალი?

– იღბალი ისაა, – ვუპასუხე, – როცა აზრის განსაკუთრებული აღმაფრენა სიცოცხლის სილამაზეს დაგანახვებს. გასაგებად ვამბობ?
– ძალიან, – თქვა ბარონმა, – ნეტა ყველა ასე გასაგებად და არსებითად ლაპარაკობდეს. ასეთ დახვეწილ ფორმულირებას როგორ მიაგენით?
– სიზმრიდან, – მივუგე მე, – უფრო სწორად, კოშმარიდან. ეს უცნაური სიტყვები ზუსტად დავიხსომე. საგიჟეთში, ერთ დიდ რვეულში ეწერა, მე კი იმიტომ ვფურცლავდი, რომ ჩემ შესახებ იქ რაღაც მეტად მნიშვნელოვანი ჩანაწერი მეგულებოდა.
– ჰო, – თქვა ბარონმა და მარჯვნივ მოუხვია (ამ დროს ცეცხლის კარუსელმა რაღაცნაირი გვერდული ყირა გაჭიმა), – ძალიან კარგია, ამაზე ლაპარაკი თვითონვე რომ წამოიწყეთ. აქ სწორედ იმიტომ ხართ, რომ ჩაპაევმა მთხოვა, ერთი რამ აგიხსნათ. ვერ ვიტყოდი, რომ რაიმე განსაკუთრებულის განმარტება მთხოვა, რასაც თვითონ ვერ აგიხსნიდათ. ყველაფერი უკვე არაერთხელ გითხრათ, უკანასკნელად აქეთ გზობას. მაგრამ თქვენ რატომღაც ამ დრომდე გგონიათ, რომ თქვენი სიზმრების სამყარო ნაკლებად რეალურია, ვიდრე ის სივრცე, რომელშიც თქვენ და ჩაპაევი აბანოში ქეიფობთ ხოლმე.
– მართალი ბრძანდებით, – ვთქვი.
ბარონი მკვეთრად შეჩერდა და ცეცხლოვანი ცეკვაც მყის გაირინდა. კოცონებს რაღაც საგანგაშოდ მოწითალო ფერი დასდებოდათ.
– ჰოდა, მაინც რატომ გგონიათ?
– თუნდაც იმიტომ, რომ ბოლოს ისევ რეალობას ვუბრუნდები, – ვთქვი, – იქ, სადაც, თქვენი სიტყვით, ჩაპაევთან ერთად აბანოში ვქეიფობ. არა, ის, რასაც თქვენ გულისხმობთ, ინტელექტუალურ დონეზე მშვენივრად მესმის. მეტსაც გეტყვით – შემიმჩნევია,

კოშმარი, რომელიც მესიზმრება, იმდენად რეალურია, რომ სრულიად შეუძლებელია მიხვდე, მხოლოდ სიზმარი რომაა. გინდა საგნებს შეეხე, გინდა იჩქმიტე...
– მაშ, სიზმარს ცხადისგან რითღა განასხვავებთ? – მკითხა ბარონმა.
– იმით, რომ, როდესაც მღვიძავს, მომხდარს მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი აღქმა ახლავს. როგორც ახლა.
– ესე იგი ახლა ახლავს? – მკითხა ბარონმა.
– ზოგადად ასეა, – ვთქვი ოდნავ დაბნეულმა, – თუმცა სიტუაცია, გამოგიტყდებით, უჩვეულოა.
– ჩაპაევმა მთხოვა, წაიყვანეო, რათა ერთხელ მაინც აღმოჩენილიყავით ისეთ ადგილას, რომელსაც არც თქვენს საგიჟეთის კოშმარებთან აქვს რამე საერთო და არც თქვენს ჩაპაევიან კოშმარებთან, – თქვა ბარონმა, – აბა, ირგვლივ ყურადღებით მიმოიხედეთ. აქ ორივე თქვენი აკვიატებული სიზმარი ერთნაირად ილუზორულია. საკმარისია, კოცონთან მარტო დაგტოვოთ, იმწამსვე მიხვდებით, რასაც გეუბნებით. ბარონმა იყუჩა, თითქოს სურდა, ეს შემაძრწუნებელი პერსპექტივა გამეაზრებინა. თვალი ნელა მოვავლე უთვალავი მიუწვდომელი სინათლით სავსე უკუნეთს. მართალს ამბობდა. სად იყვნენ ჩაპაევი და ანა? სად იყო კაფელისკედლებიანი არამდგრადი, ღამეული სამყარო, სადაც არისტოტელეს ბიუსტები იმსხვრეოდა? ამჟამად – არსად. მეტიც. ვიცოდი, ზუსტად ვიცოდი, რომ არც ის ადგილი იყო სადმე, სადაც ეს ყველაფერი არსებობას შეძლებდა, რადგან მე, პირადად მე, ახლა ამ იდუმალი ადამიანის გვერდით მდგომი (ან კი, ადამიანის ვითომ?) გახლდით ის ერთადერთი შესაძლებლობა, რომელიც მთელ ამ საგიჟეთებსა და სამოქალაქო ომებს არსებობას ანიჭებდა. ეს ეხებოდა ამ პირქუშ ლიმბუსსაც მის დაზაფრულ ბინადრებსა და მის ტანმაღალ მკაცრ მცველსაც – ყველანი მხოლოდ ჩემი არსებობის

წყალობით არსებობდნენ.
– მგონი, – ვთქვი, – გავიგე.
იუნგერნმა ეჭვით შემომხედა.
– მაინც რა გაიგეთ?
უეცრად უკნიდან მხეცური ღრიალი გაისმა:
– მე! მე! მე! მე!
ერთდროულად შევტრიალდით.
ჩვენს სიახლოვეს – ასე ოცდაათ-ორმოც მეტრში – კოცონი ენთო. მაგრამ სხვებს არ ჰგავდა. ჯერ ერთი, ალი სხვა ფერისა იყო – მკრთალი, თანაც ბოლავდა. მეორეც, ცეცხლში რაღაც ტკაცუნობდა და ირგვლივ ნაპერწკლებს ფანტავდა. და მესამეც, ეს კოცონი ამოვარდნილი გახლდათ სხვათა სწორხაზოვნად დაგეგმილი რიგიდან – აშკარად იქ იყო, სადაც არ უნდა ყოფილიყო.
– აბა, ერთი ვნახოთ, რა ხდება, – ჩაიბურტყუნა იუნგერნმა და სახელოზე დამქაჩა.
კოცონთან მსხდომი ადამიანებიც არ ჰგავდნენ ბარონის დანარჩენ ხელქვეითებს. ოთხნი იყვნენ: ყველაზე მოუსვენარი გახლდათ ერთი მსუქანი ჯეელი, მყვირალა ვარდისფერი პიჯაკი ჩაეცვა, წაბლისფერი თმა მოკლედ აეჭრა და თავი პატარა ყუმბარას მიუგავდა. მიწაზე იჯდა და ტანზე ხელები ისე შემოეხვია, თითქოს საკუთარი თავის მიმართ უხამსი ვნებით აღძრულაო. გაბმულად გაჰკიოდა:
– მე! მე! მე!
წამოძახილთა ინტონაციას ცვლიდა – როცა მე და ბარონს პირველად მოგვესმა, მასში მხეცური ზარ-ზეიმი ჟღერდა, ხოლო როცა მივუახლოვდით, ეს «მე» შეკითხვას დაემსგავსა. მყვირალას გვერდით მჯდომ გამხდარ ტიპს თმა კოკის ფასონზე აეჭრა, მატროსის ბუშლატივით რაღაც ეცვა და ცეცხლს დამბლადაცემულივით მიშტერებოდა – ისე უძრავად,

მხოლოდ ტუჩების ცმაცუნზე შეატყობდით, მთლად უგონოდ რომ არ იყო. ეტყობოდა, ამ კომპანიაში მარტო სუფთად თავგადაპარსული, კოხტად წვერშეკრეჭილი მსუქანა იყო ჭკუაზე – მთელი ძალით აყრიდა მუჯლუგუნებს თავის ორივე მეგობარს, ეგებ აზრზე მოვიყვანოო. ნაწილობრივ, მიზანს მიაღწია კიდეც – გამხდარი ქერა კოკისთმიანი ოდნავ მოფხიზლდა და რწევა დაიწყო, თითქოს ლოცულობსო.
თავგადახოტრილი მსუქანა ახლა მეორე ძმაკაცსღა ანჯღრევდა, მაგრამ მერე დაგვინახა. სახეზე მყის საშინელება აღებეჭდა, მეგობრებს რაღაც დაუყვირა და წამოხტა.
ბარონმა ხმადაბლა შეიგინა. უცებ ხელყუმბარა გააჩინა, დამცველი რგოლი მოხსნა და კოცონში ჩააგდო – ლიმონკა მიწაზე ჩვენგან ხუთიოდ მეტრში დაეცა. მე რეფლექსურად ძირს გავიშხლართე, გავწექი და ხელები თავზე წავიფარე. რამდენიმე წამი გავიდა, მაგრამ აფეთქება არსად ჩანდა.
– ადექით, – მითხრა ბარონმა.
თვალი გავახილე და ჩემკენ გადმოხრილი ფიგურა დავინახე. ბარონს ვხედავდი, ოღონდ დეფორმირებული პერსპექტივით – მისი გამოწვდილი ხელის მტევანი სახის სიახლოვეს მქონდა, ყურადღებით მაცქერალი თვალები კი, რომლებშიც ურიცხვი კოცონის ანარეკლი შერწყმულიყო, აქაური ზეცის ორადორ ვარსკვლავს ჰგავდა.
– გმადლობთ, – ვთქვი და წამოვდექი, – მე თვითონ. არ აფეთქდა?
– როგორ არა, – თქვა ბარონმა, – ძალიან კარგადაც.
კოცონისკენ გავიხედე და განცვიფრებულმა აღმოვაჩინე, რომ აღარც ცეცხლი იყო სადმე, აღარც ხალხი და მიმწვარი ადგილიც კი აღარსად დარჩენილიყო.

– ეს რა იყო? – ვკითხე.
– ისეთი არაფერი, – თქვა ბარონმა, – ხულიგნები. შამანთა სოკოებით გასკდნენ. ვერც კი მიმხვდარან, სად იმყოფებიან.
– და თქვენ იმათ ასე...
– არა, არა, – თქვა ბარონმა, – ეგ არ იფიქროთ. უბრალოდ, გამოვაფხიზლე.
– თითქმის დარწმუნებული ვარ, – ვთქვი, – რომ ეს წვეროსანი მსუქანა სადღაც შემხვედრია. უფრო ზუსტად, თითქმის კი არა, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ.
– ეგებ სიზმრად.
– შესაძლოა, – მივუგე და ვიფიქრე, დიახ, ეგრეა-მეთქი, – ის თავხოტორა ვაჟბატონი თეთრი კაფელის კედლებსა და კანზე ნემსის ცივ შეხებას მახსენებდა, ჩემი კოშმარების ჩვეულ ატრიბუტებს. რამდენიმე წამის წინ მეგონა, მის სახელსაც გავიხსენებ-მეთქი, მაგრამ მერე სხვა ფიქრებმა წამიღო. ამასობაში იუნგერნი მდუმარედ იდგა, თითქოს სათქმელს წინასწარ წონისო.
– მითხარით, პიოტრ, – ალაპარაკდა ბოლოს, – რომელ პოლიტიკურ პლატფორმაზე დგახართ? თუ არ ვცდები, მონარქისტი უნდა იყოთ, არა?
– რა თქმა უნდა, – მივუგე, – განა არ მეტყობა?
– გეტყობათ, – თქვა ბარონმა, – უბრალოდ, ერთი მაგალითი მინდა მოგიყვანოთ, რომლის გააზრებაც მინდა სცადოთ. წარმოიდგინეთ გაუნიავებელი ოთახი, რომელშიც უამრავი ადამიანია თავმოყრილი. სხვადასხვაგვარ უბადრუკ ტაბურეტებზე სხედან, მონჯღრეულ სკამებზე, რაღაც ფუთებზე და მოკლედ, ვისაც რაზე მოუხერხებია. უფრო ყოჩაღები ორ-ორ სკამზე დასკუპებულან, მავანს სხვა წამოუგდია და მის ადგილას თვითონ დაბრძანებულა. ასეთ სამყაროში ცხოვრობთ. ამასთანავე, მათგან თითოეულს საკუთარი

სამეფო ტახტი აქვს, ვეება, ბრწყინვალე, ზეცად აჭრილი, ამ ქვეყნიერებას (და ყველა სხვა ქვეყნიერებასაც) ზემოდან რომ გადმოჰყურებს. ჭეშმარიტად სახელმწიფო ტახტია – მასზე ამსვლელი უსაზღვრო ძალაუფლებას მოიპოვებს და, რაც მთავარია, აბსოლუტურად ლეგიტიმური ტახტი გახლავთ – კანონით ნებისმიერ ადამიანს ეკუთვნის. მაგრამ მასზე ასვლა თითქმის შეუძლებელია, რადგან არარსებულ ადგილზე დგას. გესმით? არსად არ არის.
– დიახ, – ვთქვი დაფიქრებით, – გუშინ სწორედ ამაზე ვფიქრობდი, ბატონო ბარონო. ვიცი, რასაც ნიშნავს «არსად».
– მაშინ ახლა ამას დაუკვირდით, – უთხრა ბარონმა, – აქ, როგორც უკვე გითხარით, ორივე თქვენი აკვიატებული მდგომარეობა – ჩაპაევით და უჩაპაევოდ – ერთნაირად ილუზორულია. «არსად» რომ აღმოჩნდეთ და იმ უსაზღვრო თავისუფლებისა და ბედნიერების ტახტზე ახვიდეთ, საჭიროა, მხოლოდ ერთადერთი დარჩენილი სივრცეც მოიშოროთ, რომელშიც ახლა მე და თქვენ ვიმყოფებით. ჩემი შეგირდები სწორედ ამას ცდილობენ. მაგრამ შანსები მცირე აქვთ და გარკვეული დროის შემდეგ უგერგილო არსებობის ახალ წრეს იწყებენ. რატომ არ გინდათ «არსად» სიცოცხლეშივე აღმოჩნდეთ? გეფიცებით, სიცოცხლეში ამაზე უკეთესი არაფერია. მგონი, მეტაფორები უნდა გიყვარდეთ, ჰოდა, ეს იგივეა, რომ აიღოთ და საგიჟეთიდან გამოეწეროთ.
– მერწმუნეთ, ბარონ, – გრძნობით წამოვიწყე და ხელი გულზე დავიდე, მაგრამ არ დამამთავრებინა.
– და ეს იქამდე უნდა გააკეთოთ, ვიდრე ჩაპაევი თავის თიხის ტყვიამფრქვევს აამოქმედებდეს, რადგან მერე, მოგეხსენებათ, აღარაფერი აღარ იქნება, მათ შორის აღარც «არსად».
– თიხის ტყვიამფრქვევი? – ჩავეძიე, – ეგ რაღაა?

– ჩაპაევს არ უთქვამს?
– არა.
უინგერნი მოიღუშა.
– მაშინ ამ თემას ნუღა ჩავუღრმავდებით. მეხსიერებაში მხოლოდ ეს მეტაფორა დაიტოვეთ – საგიჟეთიდან გათავისუფლება და მაშინ ეგებ რომელიმე თქვენს კოშმარში ეს ჩვენი საუბარიც გაგახსენდეთ. ახლა კი დროა, ბიჭები გველოდებიან.
ბარონმა ხელი მომკიდა და ირგვლივ კვლავ სინათლის უთავბოლო ზოლები აციმციმდა. ამ ფანტასტიკურ სანახაობას უკვე მივჩვეოდი და თავბრუ აღარ მესხმოდა. ბარონი წინ მიმიძღოდა და უკუნეთს ყურადღებით ჩასცქეროდა, მისი ჩამოჭრილი ნიკაპის, ჟღალი ულვაშის და ტუჩებთან სევდიანი ნაოჭების შემხედვარე, ვფიქრობდი, ასეთი გარეგნობის გადამკიდემ ნეტავ ვინ უნდა შეაშინოს-მეთქი.
– მითხარით, ბარონო, თქვენი ყველას რატომ ეშინია? – ვეღარ შევიკავე თავი, – არ გეწყინოთ და, თქვენს იერსახეში, ჩემი აზრით, საშიში არაფერია.
– ყველა თქვენსავით როდი მხედავს, – მიპასუხა ბარონმა, – მეგობრებს, ჩვეულებრივ, პეტერბურგელი ინტელიგენტის სახით ვენახვები, რადგან ერთ დროს მართლაც პეტერბურგელი ინტელიგენტი გახლდით. ოღონდაც არ უნდა გეგონოთ, რომ მართლაც ასე გამოვიყურები.
– სხვები როგორს გხედავენ?
– დეტალებით არ გადაგღლით, – თქვა ბარონმა, – მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ექვსივე ხელში ხმალი მიჭირავს.
– და ნამდვილი სახე რომელია?
– ნამდვილი სახე, სამწუხაროდ, არ გამაჩნია, – მიპასუხა ბარონმა. უნდა გითხრათ, ბარონის ამ ნათქვამმა ჩემზე შთამბეჭდავად იმოქმედა, თუმცა, ალბათ ცოტა თუ

დავფიქრდებოდი, ამას თვითონვე მივხვდებოდი.
– ცოტაღა დაგვრჩა, – თქვა ბარონმა, თითქოს სააგარაკოდ მივემგზავრებოდით.
– მითხარით, – დავიწყე მე და გავხედე, – შავი ბარონი რატომ შეგარქვეს?
– აჰ, – გაიღიმა იუნგერნმა, – ალბათ იმის გამო, რომ მონღოლეთის ომში ცოცხალმა ბუდა ბოჰდო-ხეხენ ტუტუხტუმ შავ ტახტრევანში ჯდომის უფლება მომანიჭა.
– აბა, მაშინ მწვანე ტახტრევნით რატომ დაბრძანდებით?
– იმიტომ, რომ ზუსტად ასევე მწვანე ტახტრევნის უფლებაც მებოძა.
– აბა, მაშინ მწვანე ბარონს რატომ არ გეძახიან? იუნგერნი მოიღუშა.
– არ გგონიათ, რომ ძალიან ბევრ შეკითხვას მისვამთ? – თქვა, – ჯობია, მიიხედ-მოიხედოთ, რომ აქაურობა უკეთ დაიმახსოვროთ. აქ მეტად ვეღარასდროს მოხვდებით. უფრო ზუსტად, რა თქმა უნდა, შესაძლოა, კვლავ აქ აღმოჩნდეთ, მაგრამ გულწრფელად მინდა იმედი ვიქონიო, რომ ასეთი რამ არ დაგემართებათ.
მის რჩევას მივყევი. წინ ცეცხლი გამოჩნდა, სხვებზე უფრო დიდი. სხვა კოცონებივით სწრაფად როდი გვიახლოვდებოდა, ნელ-ნელა მოიწევდა, თითქოს ჩვეულებრივი ნაბიჯით გვევლოს. მივხვდი, ეს ჩვენი გასეირნების ბოლო პუნქტია-მეთქი.
– ამ დიდ კოცონთან თქვენი მეგობრები სხედან? – ვკითხე.
– დიახ, – მიპასუხა ბარონმა, – თუმცა მეგობრებს ვერ დავარქმევ, უფრო ჩემი ყოფილი თანამებრძოლები არიან. ერთ დროს მათი მეთაური ვიყავი.
– რა, ერთად იბრძოდით?
– დიახ, – თქვა ბარონმა, – ბრძოლებიც გადავიტანეთ. მაგრამ მთავარი სხვაა. თავის დროზე ჩვენ ირკუტსკში ერთად დაგვხვრიტეს, ვერ ვიტყვი, რომ ჩემ გამო,

მაგრამ მაინც... ამიტომაც მათ მიმართ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.
– მესმის, – ვთქვი, – მეც რომ უცებ ასეთ ბნელსა და უკაცრიელ ადგილას აღმოვჩენილიყავი, ალბათ ძალიან მომინდებოდა, რომ ვინმე ჩემ დასახმარებლად მოსულიყო.
– იცით, რა, – მითხრა ბარონმა, – ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ხართ. მთელი ეს სიბნელე და სიცარიელე, გარს რომ გაკრავთ, სინამდვილეში კაშკაშა ნათელია, ისეთი ნათელი, უფრო მეტი რომ არ არსებობს. აბა, ერთი შესდექით.
უნებურად დავემორჩილე და ბარონმა, თითქოს გასააზრებელ დროს არ მაძლევსო, სასწრაფოდ ხელი მკრა. მაგრამ ამჯერად სულ მთლად მოულოდნელად ვეღარ მოასწრო. და სანამ ჩემი სხეული მიწაზე დაეცემოდა, მოვასწარი, უკან, ჩვეულებრივ სამყაროში დაბრუნების თვალშეუვლები მომენტი გამეაზრებინა, ან, ეგებ, უკეთ რომ ითქვას, რახან გასააზრებელი არც იყო არაფერი, უბრალოდ, ამ დაბრუნების არსში ჩაწვდომა მოვასწარი. არ ვიცი, როგორ აღვწერო. თითქოს ერთი დეკორაცია აიღეს, მეორე კი დროულად ვერ დადგეს და მთელი წამის განმავლობაში ამ ორ დეკორაციას შორის დარჩენილ ღრიჭოში ვიჭვრიტებოდი. და ეს წამი მეყო იმ სიცრუის აღმოსაჩენად, რომელიც ჩემგან რეალობად აღქმული «რეალობის» მიღმა იმალებოდა, სამყაროს მარტივი და სულელური აგებულება დავინახე და რაც აქამდე ჩვეული და ნაცნობი მეგონა, იმისგან დაბნეულობის, წყენისა და სირცხვილის გარდა აღარაფერი შემომრჩა.
ბარონმა ისეთი ძალით მიბიძგა, უკანასკნელ წამს ძლივს მოვასწარი ხელების გაწვდენა, რომ მიწას შუბლით არ დავხეთქებოდი.
თავი რომ ავწიე, ჩემ წინ კვლავაც გადაშლილი იყო

ჩვეულებრივი ქვეყნიერება – სტეპი, ბინდშეპარული ზეცა და ბორცვიანი ქედი. ბარონის ზურგი წინ მიირწეოდა – მთელ მინდორზე ერთადერთი კოცონისკენ მიდიოდა, რომლისგანაც ცაში კვამლი ვერტიკალურ სვეტად აედინებოდა.
წამოვხტი, მუხლებდასვრილი შარვალი დავიფერთხე და მის კვალში ჩადგომა გავბედე. ბარონი კოცონთან მივიდა, დამცავი ფორმებითა და გაჩეჩილი, ყვითელი ფაფახებით მოსილი წვეროსანი ვაჟკაცები შეეგებნენ.
– ბიჭებს გაუმარჯოს! – ბოხად, მეთაურის რიხით შესძახა იუნგერნმა, – რა შვრებით?
– ვცდილობთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! ვართ, ვცოცხლობთ! მადლობა ღმერთს! – გაისმა საპასუხო პოლიფონია. ბარონს ირგვლივ ისე შემოეჯარნენ, აღარც კი ჩანდა. ეტყობა, უყვარდათ.
ჩემკენ მომავალი ყვითელფაფახიანი კაზაკი შევნიშნე. ისეთი მხეცური სახე ჰქონდა, წამით შევშინდი, მაგრამ ხელში ლურჯ-მწვანე თლილი ჭიქა რომ დავუნახე, დავწყნარდი.
– რაო, თავადიშვილო, – გამეკრიჭა, – დაიზაფრე?
– კი, – ვთქვი, – ცოტათი.
– ჰოდა, სული მოითქვი, – მითხრა კაზაკმა და ჭიქა მომაწოდა.
დავლე. ვოდკა იყო. მართლაც, უმალ თვალში გამომახედა.
– გმადლობ. სულზე მომისწარი.
– რა, – მკითხა კაზაკმა და დაცლილი ჭიქა ჩამომართვა, – ბარონს ემეგობრები?
– ისე, – პირდაპირ პასუხს თავი ავარიდე, – ნაცნობები ვართ.
– მკაცრია, – აღნიშნა კაზაკმა, – რეჟიმი უყვარს. ახლა იმღერებენ, მერე კითხვებს უპასუხებენ. ეგენი, თორემ მე ჩემი საქმე უკვე მოვათავე. დღეს მივემგზავრები.

სამუდამოდ.
დავაკვირდი – ახლოდან მხეცად აღარ მეჩვენა, უბრალოდ, სახის უხეში ნაკვთები ჰქონდა, მთის მზით დაშაშრული და გარუჯული. მეტიც, ამ სიუხეშის მიუხედავად, ფიქრიანი და ოდნავ მეოცნებე იერიც კი ედო.
– რა გქვია შენ? – ვკითხე კაზაკს.
– იგნატი, – მომიგო, – შენ კი პიოტრი ხარ, არა?
– ჰო, – ვთქვი, – შენ საიდან იცი?
იგნატმა ძლივსშესამჩნევად ჩაიღიმა.
– მე დონელი ვარ. შენ კი, ეტყობა, დედაქალაქელი.
– კი, – ვთქვი, – პიტერიდან.
– ჰო, მართლა, პიოტრ, ჯერ კოცონთან ნუ მიხვალ. ბატონ ბარონს არ უყვარს, როცა სიმღერას ხელს უშლიან. აქ დავსხდეთ და ვუსმინოთ. თუ რამეს ვერ გაიგებ, მე აგიხსნი.
მხრები ავიჩეჩე და მიწაზე ფეხმორთხმით დავეშვი. კოცონთან მართლაც უცნაური ამბავი ტრიალებდა. ყვითელფაფახიანი კაზაკები ნახევარწრედ დასხდნენ, ბარონი კი ნამდვილი ლოტბარივით წინ დაუდგა და ხელები აღმართა.
– ჯერ საღამო არ დამდგარა-ააა, – ამღერდა პირქუშ მამაკაცთა გუნდი, – ძილი არ მომკარებია...
– მიყვარს ეს სიმღერა, – ვთქვი.
– როგორ გიყვარს, ბატონიშვილო, თუკი არასდროს მოგისმენია? – მკითხა იგნატმა და გვერდში მომიჯდა.
– როგორ არ მომისმენია? ეს ხომ ძველებური კაზაკური სიმღერაა.
– არა, – თქვა იგნატმა, – გეშლება, – ეს სიმღერა ბატონმა ბარონმა სპეციალურად ჩვენთვის შეთხზა, რათა გვემღერა და გვეფიქრა. ხოლო იოლად რომ დაგვემახსოვრებინა, სიტყვები და მუსიკა იმ სიმღერისა დატოვა, შენ რომ ამბობ.

– თუ ეგრეა, მაშინ თვითონ რაღა შეთხზა? – ვკითხე, – გეკითხები, როგორ უნდა განასხვაო ერთმანეთისგან ძველი და ბატონი ბარონის შეთხზული სიმღერები, თუ სიტყვებიც იგივეა და მუსიკაც?
– ბატონი ბარონის შეთხზულ სიმღერაში სულ სხვა აზრია ჩადებული. ყური დაუგდე და აგიხსნი. გესმის, მღერიან: «ძილი არ მომკარებია, როცა სიზმარს ვხედავდი». ეს იცი, რას ნიშნავს? არ გძინებია, მაგრამ თითქოს სიზმარიაო, გესმის? ანუ სულერთია, გინდ გეძინოს, გინდ არა, ყველაფერი მაინც სიზმარია.
– გავიგე, – ვთქვი, – მერე?
იგნატი მეორე სტროფს დაელოდა.
– აი, – თქვა, – უსმინე. «დამესიზმრა, თითქოს რაში გავაჭენე, ვაჯირითე, გავაქროლე, გავაფრინე...» აქ საერთოდაც სიბრძნეა ჩამალული. განათლებული კაცი ხარ და, ალბათ, გაგეგონება – არის ასეთი ძველისძველი ინდური წიგნი – ებანიშადა.
– ვიცი, – ვთქვი და უმალ ჩემი და კოტოვსკის ამასწინანდელი საუბარი მომაგონდა.
– ჰოდა, იქ წერია, ადამიანისთვის გონება ისაა, რაც კაზაკისთვის ცხენიო. სულ მუდამ წინ გვეწევა. ოღონდაც ბატონი ბარონი ამბობს, ხალხმა ახლა სულ სხვაგან გაუბერაო. ამ თავის ცხენებს ვეღარ იმორჩილებენ, ჰოდა, ამიტომაც, ასე ვთქვათ, იმ ცხენებმა აიწყვიტეს, ჰოდა, ახლა მხედრები კი აღარ მართავენ ცხენებს, ცხენი იქით გარბის, საითაც უნდა და საითაც გული გააქროლებსო. ასე რომ, მხედრებმა ფიქრს თავი დაანებეს და აღარ იციან, საით მიაჭენებენო. ცხენის ჭკუაზე დაიარებიანო. ბატონი ბარონი დაგვპირდა, სპეციალურ წიგნს მოგიტანთ, «უთავო მხედარი» ჰქვიაო – თითქოსდა საგანგებო ნიმუშადაა დაწერილი. მაგრამ მოტანა სულ ავიწყდება. ძალიან დაკავებულია. ისედაც მადლიერები ვართ...

– მერე? – შევაწყვეტინე.
– მერე? რა მერე. «იასაული ჭკვიანი გვყავს, ახსნა ჩემი სიზმარიო, სულ მალე ჩამოგვარდება ეგ შენი გიჟი თავიო...» იასაული გასაგებია – ბარონმა სიმღერაში თავისი თავი გამოიყვანა, კარგად კი მოიფიქრა. თავების შესახებაც ნათელია – პირდაპირ ებანიშადანაა გადმოტანილი. ვინც ისე გამოსულელებულა, რომ აღარც კი იცის, საით მიაჭენებს, დაღუპვა უწერია. და კიდევ ერთი აზრიცაა. ამას წინათ თვითონ ბატონმა ბარონმა მიჩურჩულა. ის აზრი, რომ ბოლოს მაინც მთელი ადამიანური სიბრძნის აქ დატოვება მოგვიწევს, მაგრამ არ უნდა დავინანოთო, ბატონმა ბარონმა თქვა, იმიტომ რომ მთავარი ეს არ არისო. ამიტომაც მღერიან, შენ თვითონ კი არ დაიღუპები, მხოლოდ ეგ გიჟი თავი წაგძვრებაო. ჯანდაბამდე გზაც ჰქონია.
ჩაფიქრებული იგნატი სახით ხელებს დაეყრდნო და გაჩუმდა, სიმღერას მიუგდო ყური:
დაუბერა ავმა ქარმა
აღმოსავლეთიდანო,
ყვითელ ფაფახს ჩამომაგლეჯს
ამ გიჟი თავიდანო.
ერთხანს ამის კომენტარსაც ველოდი, მაგარამ ამაოდ. მაშინ თვითონ დავარღვიე დუმილი.
– აღმოსავლეთის ქარი ასე თუ ისე გასაგებია, – ვთქვი, – როგორც იტყვიან, ex orienta lux
– რომ არ მივეჩვიოთ.
– ფაფახი ყვითელი რატომღაა?
– ჩვენ ხომ გელუგპას მიმდევრები ვართ. ჰოდა, ამიტომ ყვითელი ქუდები გვახურავს. კარმაპას მიმდევრები რომ ვიყოთ, წითელი გვეხურებოდა. ხოლო თუ ბონ-პო ვიქნებოდით, როგორც დონისპირეთშია, მაშინ შავი. მაგრამ არსებითად სულერთია. თავი რომ წაგძვრება, რა მნიშვნელობა აქვს, ზედ რა ფერის ქუდი გეხურება?

მეორე მხრიდანაც თუ შევხედავთ, ასევეა – სადაც ნება იწყება, იქ ფერი არაფერია.
– ჰო, – ვთქვი, – ბარონს მშვენივრად გაუწვრთნიხართ, მაგრამ ბარემ ისიც ამიხსენი, ის მთავარი რა არის, მაშინ რომ დაიწყება, როცა თავი წაგძვრება?
იგნატმა მძიმედ ამოიხვნეშა.
– მთელი ფოკუსიც ესაა, – თქვა, – ბატონი ბარონი ყოველ საღამოს ამას გვეკითხება. ვერავინ პასუხობს, თუმც ძალიან კი ვცდილობთ. ის მაინც თუ იცი, რა ხდება ხოლმე, როცა რომელიმე ჩვენგანი ამ შეკითხვას სწორად პასუხობს?
– საიდან უნდა ვიცოდე? – ვთქვი.
– ბატონ ბარონს სასწრაფოდ ტიბეტის კაზაკთა საგანგებო პოლკში გადაჰყავს. ეს განსაკუთრებული სამხედრო შენაერთია. ასე ვთქვათ, აზიის ცხენოსანი დივიზიის მშვენება და ღირსება. მაგრამ, თუ დავუფიქრდებით, ასეთი პოლკის ადგილი კავალერიაში სულაც არ არის, რადგან ვინც იქ მსახურობს, ცხენზე კი არა, სპილოზე ზის.
გავიფიქრე, ეს ალბათ ერთ-ერთი ის ცრუპენტელა-თვითმარქვიათაგანია, ნებისმიერი ხარისხის წარმოუდგენელ ზღაპარს თვალდაუხამხამებლად რომ თხზავენ და შიგ რეალურ დეტალებს ისე უხვად ჩაურთავენ, წამით მაინც დაგაჯერებენ-მეთქი.
– ცხენიდან ხმალი როგორღა უნდა იქნიონ? – ვკითხე, – ცოტა უხერხული ხომ არ იქნება?
– იქნება, მაგრამ რას იზამ, სამსახური სამსახურია, – ჩაიცინა იგნატმა და თვალი თვალში გამიყარა, – არ გჯერა, თავადიშვილო? არ გჯერა და ნუ გჯერა. სანამ ბატონი ბარონის შეკითხვაზე პასუხს გავცემდი, არც მე მჯეროდა. ახლა კი დაჯერება რაღად მინდა, ისედაც ყველაფერი ვიცი.
– მაშ, შენ იმ კითხვას უპასუხე?

იგნატმა თავი მედიდურად დამიქნია.
– ახლა ამიტომაც ადამიანურად მინდორზე დავაბიჯებ, ცეცხლს კი არა ვარ მიტმასნილი.
– და მაინც რა უთხარი ბარონს?
– მე რაც ვუთხარი, შენ ის ვერ გიშველის, – მიპასუხა იგნატმა, – პასუხი პირიდან და თავიდან კი არ გამოდის. ერთხანს გავყუჩდით. იგნატი, ეტყობა, რაღაცას ფიქრობდა, უცებ თავი ასწია.
– აგერ, ბატონი ბარონი მობრძანდება. დროა, ერთმანეთს დავემშვიდობოთ.
გავიხედე და ბარონის ხმელი, მაღალი ფიგურა დავინახე. გვიახლოვდებოდა. იგნატი წამოდგა, მეც, ყოველი შემთხვევისთვის, მის მაგალითს მივბაძე.
– რაო, – ჰკითხა ბარონმა იგნატს, – მზად ხარ?
– არის, მზად ვარ! – უპასუხა იგნატმა.
ბარონმა ორი თითი პირში ჩაიდო და სრულიად ბანდიტურად დაუსტვინა. ამას ყოვლად მოულოდნელი და აბსოლუტურად წარმოუდგენელი რამ მოჰყვა. ჩვენ ზურგს უკან მდებარე დაბალი ბუჩქების ვიწრო ზოლის სიღრმიდან უცებ უზარმაზარი სპილო გამოვიდა. სწორედაც ბუჩქებიდან გამოვიდა, თუმცა სიმაღლით იმ ბუჩქებს ათჯერ მაინც აღემატებოდა და ამის ახსნა შეუძლებელი ჩანდა. ეგებ გამოსვლისას პატარა იყო და მერე, როცა გვიახლოვდებოდა, ზომა მრავალგზის მოემატა, ეგებ იმ უხილავი კედლიდან გადმოაბიჯა, იმ ზოლის გასწვრივ თვალს რომ ეფარებოდა. გამოჩენისთანავე სპილო უკვე ვეება იყო, არადა, იმ ბუჩქებში პატარა ბატკანიც კი ვერ დაიმალებოდა. ახლაც იგივე დამემართა, რაც რამდენიმე წუთის წინ – მომეჩვენა, სადაცაა, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს გავიგებ, სადაცაა რეალობის საფარს მიღმა დამალულ ბერკეტებს და ჭოჭონაქებს დავინახავ, რომლებიც ყოველივე არსებულს ამოძრავებენ-მეთქი, მაგრამ ამ

შეგრძნებამ გადამიარა, ხოლო უზარმაზარი თეთრი სპილო ჩვენ წინ იდგა.
ექვსი ეშვი ჰქონდა – სამ-სამი ორივე მხარეს. ვიფიქრე, ჰალუცინაციაა-მეთქი, მაგრამ მერე ვიაზრე, თუ ყველაფერი, რასაც ვხედავ, ჰალუცინაციაა, მაშინ ეს სპილო თავისი ბუნებით სხვა დანარჩენისგან დიდად არ განსხვავდება-მეთქი.
იგნატი სპილოს მიუახლოვდა და ერთმანეთის ქვეშ კიბისებურად განლაგებული ეშვებით მკვირცხლად ააცოცდა ზურგზე. თავი ისე ეჭირა, თითქოს ცხოვრებაში სხვათა წარმოსახვით მოლანდებულ ზეგნებზე ექვსეშვიანი თეთრი სპილოების ხედნის მეტი სხვა არაფერი უკეთებიაო – კოცონის მხარეს შეტრიალდა, სადაც ხაკისფერფორმიანი და ყვითელქუდიანი ფიგურები უხმოდ ისხდნენ, ხელი დაუქნია, მოტრიალდა და სპილოს გვერდებში ქუსლები შემოსცხო. ისიც დაიძრა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე კი უეცრად აელვებულ თვალისმომჭრელ ნათელში გაუჩინარდა. სიკაშკაშემ თვალი მომჭრა და თითქმის მთელი წუთის განმავლობაში ჩემი თვალის ბადურაზე აციმციმებული ყვითელი და იისფერი ანაბეჭდის გარდა ვეღარაფერს ვხედავდი.
– დამავიწყდა, რომ გაელვების შესახებ გამეფრთხილებინე, – თქვა იუნგერნმა, – მხედველობას ვნებს. ჩვენთან, აზიის ცხენოსან დივიზიაში, ასეთ დროს თვალებს შავი ნაჭრით აიკრავენ ხოლმე.
– ასეთი შემთხვევები ხშირია?
– უწინ იყო, – თქვა ბარონმა, – ზოგჯერ დღეში რამდენიმე. სიხშირის გამო დაბრმავებაც კი არ იყო გამორიცხული. ახლა ხალხი დაწვრილმანდა. აბა, გაგიარა? ხედავ?
საგნების გარჩევა შევძელი.
– ვხედავ, – ვთქვი.

– გინდათ, გიჩვენოთ, უწინ როგორ იყო?
– როგორ?
პასუხის ნაცვლად ქარქაშიდან ხმალი ამოიღო.
– დახედეთ.
ხმლისპირის კაშკაშა თეთრ ზოლზე, როგორც კინოეკრანზე, გამოჩნდა მოძრავი გამოსახულება: ქვიშის ბარხანი, რომელზეც ოფიცრების ჯგუფი იდგა, დაახლოებით ათი კაცი. ზოგს ჩვეულებრივი სამხედრო ფორმა ეცვა, ორ მათგანს კი კამუფლაჟის კაზაკურ ბალახონზე გულის ჯიბის ადგილას პატრონტაშები მიემაგრებინა და ფაფახებიც დაეხურათ. თითოეულს შავი სახვევი აეკრა თვალზე და თავი ერთი მიმართულებით მიებრუნებინა. უცებ ბორცვზე მდგომთა შორის ჩაპაევი შევიცანი – აკრული თვალების მიუხედავად. ბევრად ახალგაზრდა ჩანდა, საფეთქლებზე ჭაღარა სულ არ ჰქონდა. ცალი ხელით თვალსახვევზე საველე დურბინდი მიედო, მეორეში კი სტეკი ეჭირა და ჩექმაზე იცემდა. მის მახლობლად კაზაკისფორმიანი კაცი ბარონი იუნგერნი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი რიგიანად შეთვალიერება ვერ მოვასწარი, რადგან ხმლისპირი მოტრიალდა და ბორცვზე მდგომები გაუჩინარდნენ. ახლა მხოლოდ უდაბნოს უსაზღვრო სივრცეს ვხედავდი. შორს, ნათელი ცის ფონზე ორი სილუეტი მოძრაობდა. დავუკვირდი და ორი სპილოს კონტური გავარჩიე. ძალიან შორს იყვნენ და მხედრები თითქმის არ ჩანდნენ, მხოლოდ ოდნავ ამობურცულიყვნენ სპილოების ზურგებზე. უცებ ჰორიზონტი კაშკაშა ნათელმა აავსო და როდესაც ციაგი ჩანავლდა, ერთი სპილოღა დარჩენილიყო. ბორცვზე მდგომებმა ტაში დაუკრეს და მყის მეორედაც იელვა.
– ასე დავბრმავდები, ბარონ, – ვთქვი და ხმლისპირს თვალი ავარიდე.
იუნგერნმა ხმალი ქარქაშში ჩააგო.

– ეს ყვითელი რა გდია ბალახზე? – ვიკითხე, – თუ თვალები ამიჭრელდა?
– არ აგჭრელებიათ, – თქვა ბარონმა, – ეს იგნატის ქუდია.
– აღმოსავლეთის ავმა ქარმა ჩამოგლიჯა?
– სასიამოვნოა თქვენთან საუბარი, პიოტრ, – თქვა ბარონმა, – ყველაფერს ხვდებით. გინდათ, სახსოვრად დაიტოვოთ?
დავიხარე და მიწიდან ავიღე. ფაფახი ზუსტად მომერგო. ერთხანს ვფიქრობდი, ჩემსას რა ვუყო-მეთქი და უკეთესი რომ ვერაფერი მოვიფიქრე, უბრალოდ მიწაზე დავაგდე.
– სინამდვილეში ბევრ რამეს ვერ ვხვდები, – ვთქვი, – მაგალითად, ვერაფრით გამიგია, ამ გადაკარგულში სპილო სად იშოვეთ?
– ძვირფასო პიოტრ, – თქვა ბარონმა, – დამიჯერეთ, ჩვენ ირგვლივ აურაცხელი უხილავი სპილო დაიარება. რუსეთში სპილოები ყვავებზე მეტია, მაგრამ ახლა მინდა, სხვა თემაზე გადავიდეთ. უკვე დროა, დაბრუნდეთ, ასე რომ, ნება მიბოძეთ, საბოლოოდ ერთი რამ გითხრათ. შლოა, ყველაზე მთავარი.
– რა?
– იმის შესახებ, თუ სად მოხვდება ის, ვინც არსად მდებარე ტახტზე ასვლას მოახერხებს. ამ ადგილს ჩვენ «შიგნითა მონღოლეთს» ვუწოდებთ.
– ვინ თქვენ?
– ჩათვალეთ, რომ ჩემს თავსა და ჩაპაევს ვგულისხმობ, – ღიმილით მითხრა ბარონმა, – თუმცა, იმედია, დროთა განმავლობაში თქვენც შემოგვიერთდებით.
– და სად არის ეგ ადგილი?
– საქმეც ისაა, რომ არსად. გეოგრაფიული თვალსაზრისით ვერ იტყვი, სადმე მდებარეობსო. შიგნითა მონღოლეთს ასე იმიტომ ჰქვია, რომ მონღოლეთის შიგნითაა, იმათ შიგნით, ვინც

სიცარიელეს ხედავს. თუმცა ამ შემთხვევას სიტყვა «შიგნით» არცთუ სწორად ესადაგება. მონღოლეთიც რა შუაშია, უბრალოდ, ასე ითქმის. დიდი სისულელე იქნებოდა, ახლა რომ მე თქვენ ამის ახსნა მოგინდომოთ. სიტყვაზე ეს ერთი რამე მაინც დამიჯერეთ – ღირს, რომ მთელი სიცოცხლე იქით ვისწრაფოდეთ. იქ მოხვედრას ცხოვრებაში არაფერი სჯობია.
– სიცარიელე როგორ უნდა დაინახო?
– საკუთარ თავს უნდა შეხედო, – თქვა ბარონმა, – მაპატიეთ ეს უნებლიე კალამბური.
ერთხანს დავფიქრდი.
– გულახდილობის ნებას მომცემთ?
– ცხადია, – მიპასუხა იუნგერნმა.
– ის ადგილი, სადაც წეღან ვიყავით – კოცონებიან ბნელ სტეპს ვგულისხმობ – საკმაოდ პირქუში მხარეა. თუ შიგნითა მონღოლეთი, რომელზეც თქვენ ლაპარაკობთ, ასეთივეა, იქ მოხვედრას არ ვისურვებდი.
– იცით, რა, პიოტრ, – თქვა იუნგერნმა და ჩაიცინა, – როცა, მაგალითად, სადმე «მუსიკალურ სათუთუნეში» დებოშს აწყობდით, ალბათ იმავეს ხედავდით, რასაც სხვა იქ მყოფნი. თუმცა ესეც სადავო საკითხია. მაგრამ იქ, სადაც ჩვენ წეღან გახლდით, ყველაფერი ინდივიდუალურია. იქ არაფერია, რაც, როგორც იტყვიან, ნამდვილად არსებობს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ვინ რას უყურებს. ჩემთვის, მაგალითად, იქაურობა თვალისმომჭრელი სინათლით იყო აღსავსე. ეს ბიჭები კი, – კოცონის ირგვლივ მსხდომ ყვითელფაფახიანებზე მანიშნა, – ყველაფერს თქვენსავით ხედავენ. უფრო სწორად, თქვენ ხედავთ მათსავით.
– რატომ?
– ვიზუალიზაცია, იცით, რა არის? – მკითხა ბარონმა, –

როდესაც მორწმუნეთა დიდი რაოდენობა რომელიმე ღმერთის მიმართ ლოცულობს, ეს ღმერთი მართლაც აღმოცენდება ხოლმე, თან სწორედ იმ ფორმით, რომლითაც მორწმუნეებს ჰყავთ წარმოდგენილი.
– ეგ ვიცი.
– სხვა დანარჩენიც ასეა. სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ, კოლექტიური ვიზუალიზაციაა, რომლის შექმნასაც დაბადებიდანვე გვასწავლიან. კაცმა რომ თქვას, ეს ერთადერთი რამაა, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა. თუ ამ სტეპს, ბალახს, ზაფხულის ნიავს საკმაო რაოდენობის ადამიანი ხედავს, მათთან ერთად ჩვენც გვეძლევა ყოველივე ამის დანახვის საშუალება. მაგრამ რა ფორმებიც უნდა შემოგვთავაზოს წარსულმა, თითოეული ჩვენგანი მაინც მხოლოდ საკუთარი სულის ანარეკლს ხედავს და თუკი თქვენ ირგვლივ ჩალუსკუმებულ უკუნეთს აღმოაჩენთ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სწორედ თქვენი შინაგანი სივრცეა ჩამოღამებული. კიდევ კარგი, რომ აგნოსტიკოსი ხართ, თორემ ვინ მოთვლის, იმ სიბნელეში რამდენი ღმერთი და ეშმაკი შეგეფეთებოდათ.
– ბატონო ბარონო... – დავიწყე, მაგრამ იუნგერნმა შემაწყვეტინა:
– ოღონდაც ნუ იფიქრებთ, რომ ეს რითმე გამცირებთ. მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ გამოტყდნენ, ზუსტად ისეთები ვართ, როგორებიც სხვები არიანო. მაგრამ განა ეს ჩვეულებრივი, ადამიანური პოზიცია არ არის, ვიღაცის სიკეთითა და მოწყალებით დანთებულ კოცონთან იჯდე და საშველს ელოდე?
– შესაძლოა, მართალი ბრძანდებით, – ვთქვი, – მაგრამ მაინც რა არის ეს შიგნითა მონღოლეთი?
– შიგნითა მონღოლეთი სწორედ ის ადგილია, საიდანაც საშველი მოდის.
– და რა, – ვკითხე, – ყოფილხართ იქ?

– დიახ, – თქვა ბარონმა.
– მაშინ რაღად დაბრუნდით?
ბარონმა უსიტყვოდ კოცონისკენ მანიშნა.
– და თანაც, – თქვა, – სინამდვილეში იქიდან არც დავბრუნებულვარ. მე ახლაც იქ ვარ. პიოტრ, ახლა კი მართლა დაბრუნების დროა.
მიმოვიხედე.
– კაცმა რომ თქვას, სად უნდა დავბრუნდე?
– გიჩვენებთ, – თქვა ბარონმა.
ხელში მძიმე, შავი პისტოლეტი დავუნახე და შევკრთი. ბარონს სიცილი აუტყდა.
– კარგი, რა, პიოტრ, არ გრცხვენიათ? ასეთი უნდობლობა გაგონილა?!
მეორე ხელი ფარაჯის ჯიბეში ჩაიყო და ჩაპაევის მიცემული შეკვრა ამოიღო. გახსნა და სრულიად ჩვეულებრივი, შავსაცობიანი სამელნე დამანახვა.
– ყურადღებით დააკვირდით, – თქვა, – თვალი არ მოაშოროთ.
ამ სიტყვებით სამელნე აისროლა და დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლეზე რომ აფრინდა, ესროლა. ლურჯი წვეთების და ნამსხვრევების ღრუბელი წამით ჰაერში შეყოვნდა და მერე მაგიდაზე ჩამოეშვა. გადავქანდი და უეცარ თავბრუსხვევას რომ არ წავექციე, ხელით კედელს მივეყრდენი. ჩემ წინაშე მაგიდა იყო, რომელზეც უიმედოდ წახდენილი რუკა ეფინა, იქვე კი კოტოვსკის დაეღო პირი. იატაკზე გამსკდარი ლამპიდან გლიცერინი წვეთავდა.
– აბა, გრიშა, – თქვა ჩაპაევმა და აბოლებული მაუზერი შეათამაშა, – გაიგე, რა არის გონება?
კოტოვსკიმ სახეზე ხელები აიფარა, მოტრიალდა და გარეთ გავარდა. ეტყობოდა, საშინელ განცდებში იყო. სხვათა შორის, მეც იმავე დღეში გახლდით. ჩაპაევი მომიტრიალდა და ერთხანს ყურადღებით

მათვალიერებდა.
უცებ მოიღუშა და მითხრა:
– აბა, ამოისუნთქე!
დავემორჩილე.
– აჰა, წუთიც არ გასულა და უკვე ჩამსკდარხარ. ან ეს ყვითელი ქუდი საიდან მოიტანე? რატომაა ეს ქუდი ყვითელი, ჰა? შენ, რა, კატისშვილო, ტრიბუნალი მოგინდა?
– სულ ერთი ჭიქა...
– კრინტი! მოკეტე, მე შენ გეუბნები! აქ ამ დროს ფეიქართა პოლკი ჩამოვიდა, დასაბინავებლები არიან, შენ კიდევ მთვრალი დაბორიალებ. ფურმანოვის თვალში მარცხვენ. აბა, ახლავე დასაძინებლად მოუსვი! ერთხელაც ასე გნახავ და პირდაპირ ტრიბუნალზე გაგაგზავნი. ჩემი ტრიბუნალი კი, არ გინდა განახო, როგორია?
ჩაპაევმა მონიკელებული მაუზერი მომიღერა.
– არა, ვასილი ივანოვიჩ, – ვთქვი, – არ მინდა.
– საწოლისა-ა-კენ! – შემომძახა ჩაპაევმა, – და სანამ იქამდე მიაღწევ, არავის მიასუნთქო.
შემოვტრიალდი და კარისკენ გავემართე. მერე ერთხელაც მოვიხედე უკან. ჩაპაევი მაგიდასთან იდგა და მრისხანედ მიცქერდა.
– მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს, – ვთქვი.
– აბა, გისმენ.
– მინდა ვთქვა, რომ... დიდი ხანია ვიცი, რომ დროის ერთადერთი რეალური არსებობა «ახლაა», აწმყოა. მაგრამ ვერ გამიგია, როგორ შეიძლება ამ წამში შეგრძნებათა ასე გრძელი თანმიმდევრობა დაეტიოს? ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ერთი მომენტი, თუ მასში მართებულად განვთავსდებით და არც წარსულში, არც მომავალში არ გადავჩოჩდებით, მაშინ იმხელაზე გაიწელება, რომ იმგვარი ფენომენების საშუალებაც კი

გაჩნდება, როგორიც მე ახლახან გადავიტანე?
– მერედა, საით გინდა, რომ ეგ მომენტი გაწელო?
– სწორად ვერ აგიხსენით. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ საზღვარი წარსულსა და მომავალს შორის მდებარე მომენტი მარადისობის კარია?
ჩაპაევმა მაუზერის ლულა შეარხია და მეც ხმა გავიკმინდე. ერთხანს თითქოს უნდობლად მიმზერდა.
– თვით ეგ მომენტია, პეტკა, მარადისობა, კარი კი არა, ის... – თქვა, – ამიტომაც როგორ ამბობ, ეგ მომენტი როდისმე ხდებაო?! ეჰ, პეტკა, ნეტავ როდის გამოფხიზლდები...
– არასდროს, – ვუპასუხე მე.
ჩაპაევს თვალები შუბლზე აუვიდა.
– ხედავ, პეტკა, – გაოცებულმა წარმოთქვა, – როგორც იქნა, მიხვდი.
ჩემს ოთახში შევედი. ვფიქრობდი, რით დავმშვიდდე-მეთქი. გამახსენდა, ჩაპაევმა, კოშმარები ჩაიწერეო, რომ მირჩია და ჩემს ამასწინანდელ იაპონურ სიზმარს დავუფიქრდი. მასში დიდი გაუგებრობა და არეულობა სუფევდა, მაგრამ ყველაფერი დეტალურად მახსოვდა. დაიწყო იმით, რომ უცნაურ მიწისქვეშა მატარებელში შემდეგი სადგურის სახელწოდება გამოაცხადეს – ეს სიტყვა მახსოვდა და ისიც კი ვიცოდი, საიდან გაჩნდა: ცხადია, ცნობიერებამ სიზმრის სამყაროს რთული კოდექსით იხელმძღვანელა და გაღვიძებამდე წამით ადრე იმ ცხენის სახელი გამოიყენა, რომელსაც ჩემი ფანჯრის ქვეშ რომელიღაც მეომარი ეძახდა, თან ეს ძახილი ერთდროულად ორ სარკეში აირეკლა, როდესაც სადგურის გარდა ფეხბურთის იმ გუნდსაც დაერქვა, რომლის შესახებ საუბრითაც დასრულდა ჩემი სიზმარი. ის ნიშნავდა, რომ ამბავი, რომელიც ასე თანმიმდევრული და ხანგრძლივი მეგონა, წამზე მეტხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ ბარონ იუნგერნთან

დღევანდელი შეხვედრისა და ჩაპაევთან საუბრის შემდეგ ეს აღარ მიკვირდა.
მაგიდას მივუჯექი, ქაღალდის დასტა მოვიჩოჩე, კალამი მელანში ჩავაწე და ფურცლის ზედა ნაწილზე მსხვილი ასოებით დავწერე: «ფრთხილად, კარები იხურება! შემდეგი სადგური «დინამო»!
დიდხანს, რამდენიმე საათს ვმუშაობდი, მაგრამ, რაც მახსოვდა, იმის ნახევარიც კი ვერ ჩავიწერე. ქაღალდისა და კალმის შეხების წერტილებიდან დეტალები ცვიოდა და ისეთი დეკადანსით ციალებდნენ, რომ საბოლოოდ ვეღარც კი მივხვდი – მართლა სიზმარს ვწერდი თუ სიზმრის თემაზე იმპროვიზაციას. მოწევა მომინდა, მაგიდიდან პაპიროსი ავიღე და ეზოში ჩავედი.
იქ დიდი ალიაქოთი დამხვდა: ჩამოსული ჯარისკაცების ნაწილი მწკრივად ლაგდებოდა, ნეხვისა და ცხენის ხვითქის სუნი ტრიალებდა. მებრძოლთა რიგს უკან პატარა საპოლკო ორკესტრიც შევნიშნე – რამდენიმე დაჭყლეტილი საყვირი და ვეებერთელა დაფდაფი, რომელიც პეტრე პირველის მსგავს ტანმაღალ ყმაწვილს მხრებზე ეკიდა ღვედებით.
არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამ ორკესტრის დანახვამ გამოუთქმელი სევდა მომგვარა. ჯარისკაცების მწკრივად დაწყობას ის ხმლით სახენაიარევი კაცი ხელმძღვანელობდა, გუშინ ფანჯრიდან რომ დავინახე. თვალწინ დამიდგა სადგურის დათოვლილი მოედანი, ყუმაშგადაკრული ტრიბუნა, ჩაპაევი, ყვითელი კრაგით ჰაერს რომ აპობდა და ეს კაცი, მესერთან მდგარი, ჩაპაევის მიერ მებრძოლების დათოვლილ თავებზე გადმოფრქვეული წარმოუდგენლად უაზრო ფრაზების პასუხად თავს ფიქრიანად რომ აკანტურებდა. ეს, რა თქმა უნდა, ფურმანოვი გახლდათ. ჩემკენ გამოიხედა და სანამ მიცნობდა, კარს მოვეფარე. შინ ავბრუნდი,

საწოლზე მივწექი და ჭერს ავაშტერდი. კოცონთან მჯდომი თავგადახოტრილი, წვერმოშვებული მსუქანა და მისი გვარი მომაგონდა – ვოლოდინი. მეხსიერების სიღრმიდან კაფელიანი, აბაზანებიანი დარბაზი და ეს ვოლოდინი ამოტივტივდა, შიშველი და გალუმპული, იატაკზე გომბეშოსავით დატყეპებული. საცაა კიდევ რაღაც მომაგონდება-მეთქი, მაგრამ ამ დროს ეზოში საყვირებს ჩაბერეს, პოლკის დაფდაფმაც დაიბუხუნა და ფეიქრების გუნდმა, სარკინიგზო ღამეული მგზავრობიდან ჩემს მეხსიერებაში შემონახულმა, დააგუგუნა:

თეთრ არმიას და შავ ბარონს
უნდათ მეფე მოაბრუნონ.
მაგრამ წითლებს ორი ხელით
ვერაფერი მოუღუნონ!!!

– იდიოტები! – დავიჩურჩულე, კედლისკენ გადავბრუნდი და თვალებზე ამ სამყაროს მიმართ უძლური სიძულვილის ცრემლები მომადგა, ღმერთო ჩემო, რა იდიოტები არიან... იდიოტებიც არა – იდიოტების ჩრდილები... ჩრდილები უკუნში…

8

– მაინც რატომ მოგეჩვენათ, რომ ჩრდილებს ჰგავდნენ?

– იკითხა ტიმურ ტიმუროვიჩმა.

ვოლოდინი ნერვიულად შეფართხალდა, მაგრამ ამაოდ, რადგან ხელები და ფეხები ქამრებით გაროტაზე ჰქონდა მიბმული. შუბლი ოფლის მსხვილი წვეთებით დანამვოდა.

– არ ვიცი, – თქვა, – თქვენ მკითხეთ, იმ მომენტში რა იფიქრეო. ჰოდა, გეუბნებით, ვიფიქრე, ახლა რომ ვინმე გარეშე დამკვირვებელმა გვნახოს, რეალურები არ ვეგონებით, ლანდებისა და ცეცხლის ლაციცად მოვეჩვენებით-მეთქი. აკი მოგახსენეთ, იქ კოცონი გვენთო, თუმცა, ტიმურ ტიმუროვიჩ, ასეთ დროს,

არსებითად, ყველაფერი თვით იმ დამკვირვებელზეა დამოკიდებული.
კოცონი ჯერ კარგად არ იყო გაჩაღებული და ვერც ჩაბნელებულ გარემოს ანათებდა საკმარისად, ვერც ირგვლივ მსხდომთ. ადამიანები მუგუზლებისა და მიწის ბელტების ეკრანზე დაფენილ გადღაბნილ მოჩვენებებსა თუ აჩრდილებს ჰგავდნენ. ეგებ გარკვეული მაღალი აზრით ასეც იყო. მაგრამ, რადგანაც ადგილობრივმა ნეოპლატონიკოსმა სირცხვილის გრძნობა ჯერ კიდევ პარტიის XX ყრილობამდე დიდი ხნით ადრე დაკარგა და აღარ ეთაკილებოდა, სხეული რომ ჰქონდა, შესაბამისად, იმ მდელოს ირგვლივ ასი კილომეტრის რადიუსში არავინ იყო ისეთი, რომ ამგვარი ღრმა დასკვნა გამოეტანა.
ამიტომაც, მოდი, ასე ვთქვათ – ბინდბუნდში კოცონის ირგვლივ სამი სიფათი იჯდა. თან ისეთი სიფათები, რომ, თუკი ის ჩვენი ნეოპლატონიკოსი XX ყრილობას მთელი თავისი მომდევნო შედეგებიანად მშვიდობით გადაიტანდა და ტყიდან გამოსული, ამ უცხო ადამიანებთან ნეოპლატონიზმზე სასაუბროდ კოცონს მიუახლოვდებოდა, სავარაუდოდ, მძიმე დაზიანებებს მიიღებდა იმწამსვე, როგორც კი ღამის სიჩუმეს სიტყვა «ნეოპლატონიზმი» დაარღვევდა. ასეთი ვარაუდის საფუძველს არაერთი მინიშნება იძლეოდა.
ამ მინიშნებათაგან მთავარი ცეცხლის მახლობლად მდგარი ძვირად ღირებული იაპონური ამფიბია-ჯიპი «ჰარბორ პირლი» გახლდათ, მეორე მინიშნება კი იმავე ჯიპის ბამპერზე დამაგრებული, ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოვლად გამოუსადეგარი, მაგრამ ბანდიტების მანქანების ხშირი მშვენება – გრძელი, უზარმაზარი ჯალამბარი («ნუვო რუსების» შემსწავლელი ანთროპოლოგები მიიჩნევენ, რომ საქმის გარჩევისას ამ ჯალამბრებს ტარანისთვის იყენებენ,

ზოგიერთი მეცნიერი კი ამ ნივთის ასე ფართო გავრცელებას ნაციონალური სულიერების ნანინანატრი აღორძინების ირიბ დასტურად თვლის – მათი აზრით, ეს ჯალამბრები იმ მისტიკურ ფუნქციას ასრულებენ, რომელსაც ძველი სლავური საბრძოლო გემების ქიმზე დამაგრებული ფიგურები). მოკლედ, ნათელი იყო, რომ ჯიპით სერიოზული ხალხი მოსულიყო – ისეთი, რომელთა თანდასწრებითაც ზედმეტი ლაპარაკი არ არის რეკომენდებული.
ჩუმად მასლაათობდნენ.
– რამდენი ცალი უნდა, ჰა, ვოლოდინ? – იკითხა ერთ-ერთმა.
– გააჩნია, – მიუგო ვოლოდინმა და მუხლებზე დადებული ქაღალდის შეკვრა გახსნა, – მე, მაგალითად, ას ცალს ვჭამ, შენ კი გირჩევ, ოცდაათით დაიწყო.
– მეყოფა?
– გეყოფა, შურიკ, – თქვა ვოლოდინმა და პაკეტის შიგთავსი – რაღაც გამომშრალი და მყიფე სუბსტანციის მუქი გუნდა სამ არათანაბარ ნაწილად გაყო, – გეყოფა კი არა, ამ ტყეში სირბილსაც დაიწყებ, სად დავიმალოო. შენც გაგაქცევს, კოლიან.
– მე? – ბოხი ხმით იკითხა მესამემ, – ვითომ რატომ უნდა გავიქცე?
– საკუთარი თავი გაგაქცევს, კოლიან, საკუთარი თავი, – უპასუხა ვოლოდინმა.
– ჩემს სიცოცხლეში არავის გავქცევივარ, – თქვა კოლიანმა და თავის პორციას სათამაშო საბარგო ავტომანქანის ძარის მსგავსი უზარმაზარი ხელისგული შეუშვირა, – ჩემს თავს რატომღა უნდა გავექცე? რა სისულელეა?!
– ამის ახსნა მხოლოდ მაგალითით შემიძლია, – თქვა ვოლოდინმა.
– მიდი, მოიყვანე ეგ შენი მაგალითი.

ვოლოდინი ჩაფიქრდა.
– წარმოიდგინე, რომ ჩვენთან, ოფისში ვიღაც დამპალი მოვიდა, ხელებს გვიქნევს და წილს გვთხოვს. რას იზამდი?
– შუბლს გავუხვრეტდი.
– სად? პირდაპირ ოფისში? – ჰკითხა შურიკამ.
– მკიდია. ხელების ქნევა არ შერჩება.
შურიკამ კოლიანს მხარზე ხელი მოუთათუნა, ვოლოდინს მიუტრიალდა და დაამშვიდა:
– ცხადია, ოფისში არა. სტრელკას მივცემთ.
– კარგი, – თქვა ვოლოდინმა, – ესე იგი, სტრელკას არა? მერე? კოლიანმა მიპასუხოს.
– მერე რა? – შეეხმიანა კოლიანი, – მერე მივალთ და ის სირი რო გაიჩითება, ვეტყვი, ძმაო, აბა, ერთი გააიასნე, რა გინდა და ტრაკანს რო დაიწყებს, მაიცა ერთი წამით-მეთქი, ვეტყვი და გავაგორებ. დანარჩენებსაც, ვინც თან მოჰყვება, მივაყოლებ.
ხელისგულზე დაყრილ მუქ გროვას დახედა და იკითხა:
– ესევე პირდაპირ უნდა ჩავყლაპო?
– ჯერ გაღეჭე, – უთხრა ვოლოდინმა.
კოლიანმა ხელისგულზე დაყრილი სოკოები ერთბაშად ჩაიპირქვავა.
– სოკოს სუპის სუნი აქვს.
– ჩაყლაპე, – თქვა შურიკამ, – მე უკვე შევჭამე. ნორმალურია.
– ესე იგი გააგორებ, – დაფიქრებით თქვა ვოლოდინმა, – მაგრამ თვითონ იმათ რომ დაგადონ იარაღი?
კოლიანი ღეჭვა-ღეჭვით სათქმელს იაზრებდა, მერე გადაყლაპა და დაბეჯითებით წარმოთქვა:
– ვერა, ვერ დაგვადებენ.
– კარგი, – თქვა ვოლოდინმა, – შენ როგორ იზამ, პირდაპირ მანქანაში ჩაბრიდავ შორიდანვე თუ გადმოსვლას დააცდი?

– დავაცდი, – თქვა კოლიანმა, – მანქანაში სირები ხოცავენ. ნატყვიარები, სისხლი. მანქანაც ცოდვაა. საუკეთესო ვარიანტია, როცა მანქანიდან გადმოვა და მოახლოვდება.
– კარგი, იყოს საუკეთესო ვარიანტი. წარმოიდგინე, თავისი მანქანიდან გადმოდის, შენი მანქანისკენ მოდის, შენ უკვე სროლას აპირებ და უცებ... ვოლოდინი ცოტა ხანს მრავალმნიშვნელოვნად დადუმდა.
– უცებ ხედავ, რომ ეს ტიპი შენ თვითონ ხარ. შენ კიდევ დაბრედვას უპირებ. ჰოდა, ახლა მითხარი, ასეთი რამე არ გაგარეკინებს?
– გამარეკინებს.
– ჰოდა, გარეკილი გაქვს, დაზადვნა ხომ არ ტეხავს.
– არ ტეხავს.
– ჰოდა, თუ არ ტეხავს, ხო დაზადნავ.
– თუ არ ტეხავს, აბა, რას ვიზამ.
– ჰოდა, აი, გამოვა, რომ შენ თავს გაექეცი. გაიგე?
– ვერ გავიგე, – პაუზის შემდეგ თქვა კოლიანმა, – ის თუ, ის კი არა, მე ვარ, მაშინ მე სადღა ვარ?
– ის შენ თვითონ ხარ.
– და მე?
– შენ კიდევ – ის.
– ვერაფრით ვერ ვიგებ, – თქვა კოლიანმა.
– აი, უყურე, – თქვა ვოლოდინმა, – შეგიძლია წარმოიდგინო, რომ ირგვლივ არაფერი არ არის და მარტო შენ ხარ. ყველგან.
– შემიძლია, – თქვა კოლიანმა, – ერთი-ორჯერ მომსვლია ეგრე შავისგან თუ კოკნარისგან, ზუსტად არ მახსოვს.
– ჰოდა, როგორღა დაბრიდავ, თუ ირგვლივ მარტო შენ ხარ? ყველა ვარიანტში საკუთარ თავს გააგორებ. გარეკილი გაქვს? გაქვს. ჰოდა, სროლის მაგივრად დაითესები. ჰოდა, აბა, დაუკვირდი, გაგებაში რა

გამოდის. გამოდის, რომ საკუთარ თავს გაექცევი.
კოლიანი დიდი ხნით დაფიქრდა.
– შურიკა ისვრის, – თქვა ბოლოს.
– როგორ, თუკი მხოლოდ შენ ხარ.
– რატომ, – ჩაერია შურიკა, – მე ხომ არ გამირეკავს. ვისაც მინდა, იმას ვესვრი.
ამჯერად დიდი ხნით ვოლოდინი ჩაფიქრდა.
– არა, – თქვა, – ასე ვერ გიხსნით. ცუდი მაგალითია. სოკო რომ მოიტანს, მერე განვაგრძოთ.
მომდევნო რამდენიმე წუთმა დუმილში ჩაიარა – კოცონთან მსხდომებმა კონსერვის ქილები დახსნეს, ძეხვი დაჭრეს და არაყი დალიეს – უსიტყვოდ, თითქოს ასეთ დროს ჩვეულებრივ წარმოსათქმელი სიტყვები უმნიშვნელონი და წვრილმანნი გამხდარან იმ რაღაც პირქუშისა და გამოუთქმელის ფონზე, რაც აქ დამსწრეთ აერთიანებსო. სასმელს, ასევე უსიტყვოდ, თითო ღერი სიგარეტი დააყოლეს.
– საერთოდაც, ეს ბაზარი რატომ წამოვიწყეთ? – თქვა უცებ შურიკამ, – ეს, სტრელკაზე და გარეკვაზე.
– ვოლოდინი ამბობდა, სოკო რომ მოიტანს, ტყეში გაიქცევითო.
– აჰა, გასაგებია. მომისმინე, რატომ ითქმის ასე – «მოიტანსო», «მოვაო»? საიდან რა მოდის და მოაქვს?
– ამას მე მეკითხები? – შეუბრუნა ვოლოდინმა.
– თუნდაც შენ, – მიუგო შურიკამ.
– მე მგონი, შიგნიდან მოდის და მოაქვს.
– ანუ სულ მუდამ შიგ გვაქვს?
– ჰო, ეგრეა. შეიძლება ასე თქმა. ეს მარტო სოკოს არ ეხება. ჩვენ შიგნით მთელი მსოფლიოს კაიფია. როცა რამეს ყლაპავ, ან იკეთებ, ამით მის რაღაც ნაწილს გამოათავისუფლებ. კაიფი ნარკოტიკში კი არაა, უბრალო ფხვნილია, ანდა აგერ, სოკოებია... სეიფის გასაღებივითაა. გესმის?

– მაგარია, – ფიქრიანად თქვა შურიკამ და რატომღაც თავის ტრიალს მოჰყვა საათის ისრის მიმართულებით.
– მართლა მაგარია, – დაეთანხმა კოლიანი, და ერთხანს საუბარი ისევ ჩანავლდა.
– მომისმინე, – კვლავ შურიკა ალაპარაკდა, – იქ, შიგნით ეს კაიფი ბლომადაა?
– უსაზღვროდ ბევრია, – ავტორიტეტულად თქვა ვოლოდინმა, – უსასრულოდ და წარმოუდგენლად ბევრი. ისეთიც კი არის, აქ რომ ვერასდროს ვერ გასინჯავ.
– უხ, შენი... ანუ შიგნით სეიფია, სეიფში კი – კაიფი?
– უხეშად თუ ვიტყვით, ასეა.
– ამ სეიფის გატეხა თუ შეიძლება? სულ რომ აიღო, რაც შიგნითაა.
– შეიძლება.
– როგორ?
– ამას მთელი ცხოვრება უნდა მიუძღვნა. შენ რა გგონია, ხალხი მონასტერში რისთვის მიდის მთელი ცხოვრების გასატარებლად? ეგებ ფიქრობ, იატაკზე შუბლის საკაკუნებლადო? ისინი იქ მაგრა უბერავენ, აქ რომ ვერასდროს გაქაჩავ, ისე. თანაც მუდმივად, გაიგე? დილას, დღისით, საღამოს. ზოგიერთები – ძილშიც.
– და რაზე კაიფობენ? რა ჰქვია?
– სხვადასხვა სახელი აქვს. ზოგადად, სათნოება, ან სიყვარული.
– ვისი სიყვარული?
– უბრალოდ სიყვარული. როცა მას განიცდი, იმაზე აღარ ფიქრობ, თუ ვისია, რატოა, რისთვისაა. საერთოდაც, არაფერს აღარ ფიქრობ.
– შენ განგიცდია ეგ?
– კი, – თქვა ვოლოდინმა, – განმიცდია.
– როგორია? რას ჰგავს?
– ძნელი სათქმელია.

– დაახლოებით. შავს ჰგავს?
– არა, რას ამბობ, – მოიღუშა ვოლოდინი, – შავი მაგასთან შედარებით ნამდვილი ქაქია.
– აბა, ჰეროინს? თუ ვინტს?
– არა, შურიკ, არა. შედარებაც არ არის. აი, წარმოიდგინე, ვინტი გაიკეთე და წაგიღო, დავუშვათ, მთელი დღე-ღამე გაქაჩოს. ქალი მოგინდება, რამე, არა? შურიკამ ჩაიხითხითა.
– ერთი დღეც გამოსვლას მოუნდება და ზოგჯერ იმასაც ხომ ფიქრობ ხოლმე – ნეტა რა სირად მინდოდაო?
– კი, ხდება ხოლმე, – თქვა შურიკამ.
– ჰოდა, ეს კი, რომ შემოვა, აღარსად აღარ მიდის, აღარასდროს. აღარც ქალი გინდა, აღარც თოხლაობა. არც ოტხოდნიაკი
აქვს, არც ლომკა. გაიგე?
– და შავსაც უხურავს?
– ათასჯერ.
ვოლოდინი კოცონისკენ გადაიხარა და ტოტებს შეუჩიჩხინა. ცეცხლმა მყისვე იმატა, თითქოს ბენზინი დაასხესო. რაღაც უცნაური ალი იყო – ნაირფერ ულამაზეს ნაპერწკლებს ფანტავდა და ირგვლივ მსხდომთა სახეებზე დაფენილი სინათლეც უჩვეულოდ ფერადოვანი, რბილი და ღრმა იყო.
კოცონთან მსხდომები ახლა უკვე მკაფიოდ ჩანდნენ. ვოლოდინი ტანსრული, მრგვალთავა ორმოცი წლის კაცი გახლდათ, პირწმინდად თმაგადაპარსული, მომცრო კოხტა წვერით. ზოგადად, ცივილიზებულ ბასმაჩს ჰგავდა. შურიკა გამხდარი, ცქვიტი, ქერათმიანი ყმაწვილი იყო, განუწყვეტლივ რომ ცმუკავდა და უაზროდ ფაფხურობდა. ერთი შეხედვით, უძლურს ჰგავდა, მაგრამ მის ამ მუდმივ ტოკვასა და ძვრაში, რაღაც ისეთი შემაშინებელი გამოსჭვიოდა, რომ გაბრუებული კოლიანი მასთან შედარებით

მგელიგლეჯია ნაგაზის ლეკვს ჰგავდა. მოკლედ, შურიკა პიტერელ ბანდიტთა ელიტარულ ტიპს წარმოადგენდა, ხოლო კოლიანი ჭეშმარიტად იმ მოსკოველი ყეყეჩის ნიმუში იყო, რომლის გაჩენაც ასე გენიალურად იწინასწარმეტყველეს საუკუნის დასაწყისის ფუტურისტებმა. თითქოს უბრალო გეომეტრიული ფიგურების გადაკვეთებისგან შედგებაო – სფეროების, კუბებისა და პირამიდების, ხოლო მისი პაწია, გადაგლესილი თავი იმ ქვას წააგავდა, რომელიც, თუ მახარებელს დავესესხებით, მშენებლებს გადაუგდიათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ახლა ეს ქვა მაინც ახალი რუსეთის სახელმწიფოებრიობის ქვაკუთხედად ქცეულიყო.
–აი, – თქვა ვოლოდინმა, – დაიწყო სოკომ მოტანა.
– აბა, – დაუდასტურა კოლიანმა, – თანაც რა მაგრად. მთლიანად გავლურჯდი.
– ჰო, – თქვა შურიკამ, – ნაღდად ეგრეა. მისმინე, ვოლოდინ, სერიოზულად ამბობ?
– რას?
– აი, რომ ასეთი გრიალი შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე მოიწყო და სულ მაგრად იყო.
– მე არ მითქვამს, მთელი ცხოვრების მანძილზე-მეთქი. იქ სულ სხვა გაგებებია.
– ასე არა თქვი, სულ გათიშული იქნებიო.
– არც ეგ არ მითქვამს.
– კოლ, არ თქვა?
– არ მახსოვს, – ჩაიბუბუნა კოლიანმა. საუბრიდან გაპარულიყო და სადღაც სხვაგან იმყოფებოდა.
– აბა, რა თქვი? – ჰკითხა შურიკამ.
– არ მითქვამს, მუდამ-მეთქი, – თქვა ვოლოდინმა, – მე ვთქვი, ყოველთვის-მეთქი. ბაზარს ყურადღებით უნდა მიჰყვე.
– და რა განსხვავებაა?

– რა განსხვავებაა და, იქ, სადაც ეს კაიფი იწყება, – დრო საერთოდ არ არსებობს.
– აბა, რა არსებობს?
– სათნოება.
– კიდევ?
– მეტი არაფერი.
– რაღაც მაინც არ მესმის, – თქვა შურიკამ, – ეს სათნოება რა, სიცარიელეში კიდია?
– იქ არც სიცარიელე არაა.
– აბა, რა არის?
– ხომ გითხარი – სათნოება-მეთქი.
– მაინც ვერ გავიგე.
– ეგ არ იდარდო, – თქვა ვოლოდინმა, – მაგის გაგება ეგრე ადვილი რომ იყოს, ნახევარი მოსკოვი მუქთად იგრიალებდა. აბა, დაფიქრდი, გრამი კოკაინი ორასი დოლარი ღირს, ეს კიდევ უფასოა.
– ორას ორმოცდაათი, – თქვა შურიკამ, – არა, რაღაც ნაღდად არ ლაგდება. ძნელი გასაგებიც რომ იყოს, ხალხს მაინც ეცოდინებოდა და იგრიალებდნენ. სოლუტანისგან ვინტის გაკეთება ხომ მოიფიქრეს.
– აზრზე მოდი, შურიკ, – აბა, წარმოიდგინე, ვითომ კოკაინით მწვანე გრჩება და, დავუშვათ, თვეში ხუთასი გრამი გაყიდე. რამდენი იქნება?
– ორმოცდაათი, – თქვა შურიკამ, – ახლა წარმოიდგინე, ვიღაც დამპალმა ისე მოაწყო, რომ ხუთასი კი არა, სულ ხუთი გრამი გაგეყიდა. რა დაგრჩება?
შურიკამ ტუჩები ააცმაცუნა, რაღაც რიცხვები გათვალა.
– ჩემი ყ... – მიუგო.
– დიახ. მაკდონალდსში შესასვლელად გეყოფოდა, მაგრამ თვითონ რომ გაგეყნოსა – ამდენს ვეღარ გაქაჩავდი. იმ დამპალს, ვინც ეს გიქნა, რას უზამდი?
– გავაგორებდი, – თქვა შურიკამ, – სხვა რა უნდა მექნა?!
– ჰოდა, გაიგე ახლა, რატომ არავინ არაფერი იცის.

– შენ გგონია, რომ, ვინც საქონელს ასუხარებს, თვითონვე აკონტროლებს?
– საქმე ნარკოტიკში როდია, – თქვა ვოლოდინმა, – აქ ბევრად უფრო დიდი მაყუთი იჭრება. შენ თუ მარადიულ კაიფზე შეჯდები, აღარც მანქანა მოგინდება, აღარც ბენზინი, არც რეკლამა, არც პორნოგრაფია, არც ახალი ამბები. არც სხვებს. მაშინ რა იქნება?
– ყველაფერს დედა მოეტ...., – თქვა შურიკამ და ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, – მთელ კულტურას და ცივილიზაციას. დღესავით ნათელია.
– ჰოდა, ამიტომაც არავინ იცის მარადიული კაიფის შესახებ.
– და ვინ აკონტროლებს ამ ყველაფერს?
– ეს ავტომატურად ხდება. ბაზარი აკონტროლებს.
– ახლა არ დამიწყო ბაზარზე ბაზარი, – თქვა შურიკამ და მოიღუშა, – ვიცით. ავტომატურად. როცა საჭიროა, ავტომატურად, როცა არა, მაშინ ყველაფერს ერთეულები წყვეტენ და მაზანდასაც ზემოთ აგდებენ, თავის დასაზღვევად. ვიღაცას ცვეტი უჭირავს, მორჩა და გათავდა. მერე, ოდესმე ეგებ გავიგოთ კიდეც, ვის – ასე ორმოცი წლის შემდეგ, არა უადრეს.
– ვერასოდეს ვერ გავიგებთ, – თვალგაუხელლად თქვა კოლიანმა, – რას უბერავ. აბა, დაუფიქრდი. კაცს რომ ლიმონი მწვანე აქვს, უკვე მოყუჩებულია და თუ ვინმე გაბაზრებას მოუნდომებს, ეგრევე გააგორებს. ისინი კი, ვისაც ცვეტი უჭირავს, ან თუნდაც ძალაუფლება, რამდენად უფრო მაგრები არიან. ჩვენ რა, ვიღაც გამოსირებულს დავბრიდავთ ან ოფისს დავუწვავთ და მორჩა. ჯუნგლების სანიტრები ვართ. იმათ კიდე, თუ მოუნდებათ, ტანკების გამოყვანა შეუძლიათ, თუ ეს არ იკმარებს – თვითმფრინავებისაც. ატომურ ბომბსაც იხმარენ. ნახე, დუდაევს წამით ჩათვლიმა და როგორ იმწამსვე დაარტყეს, ჰა? ბოლო მომენტში აზრზე რომ არ

მოსულიყვნენ, დაბრედილი იყო. ანდა ის თეთრი სახლი გაიხსენე. ჩვენ «ნეფტტექპრომზე» ეგრე გადავლას შევძლებდით?
– რა წაიღე ტვინი მაგ შენი თეთრი სახლით, – უთხრა შურიკამ, – გაიღვიძა ბიჭმა. ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით. მარადიულ კაიფზე ვლაპარაკობთ... გვისმინე... თუმცა... ხო გადმოსცემდნენ ყუთით
, ხაზბულატოვი სულ გათიშული დაიარებაო. ეგებ მაგან და რუცკოიმ მარადიულ კაიფს ჩაავლეს? უნდოდათ, ხალხისთვის ტელევიზორით აეხსნათ, ოსტანკინოს აღება
მოინდომეს, მაგრამ კოკაინის მაფიამ არ დაანება... ახლა კი ნაღდად გავრეკე…
შურიკამ თავი ხელებში ჩარგო და დადუმდა. ირგვლივ გაურკვეველი წარმომავლობის ფერადოვანი სინათლით აელვარებული ტყე ციმციმებდა, მდელოს ზემოთ კი ცაზე ისეთი საოცარი სილამაზის მოზაიკა ლაგდებოდა, როგორსაც ადამიანი თავის მომქანცველ ყოველდღიურობაში ვერსად და ვერასდროს ვერ წააწყდებოდა. გარემო გადასხვაფერებულიყო – ბევრად უკეთ გააზრებული და გასულიერებული ჩანდა, თითქოს, როგორც იქნა, გასაგები გამხდარიყო, თუ რატომ იზრდება ბალახი, რატომ უბერავს ქარი და რატომ ანათებენ ვარსკვლავები. მაგრამ მეტამორფოზა არა მარტო სამყაროს, არამედ კოცონთან მსხდომებსაც განეცადათ. კოლიანი თითქოს საკუთარ თავს შეესრუტა, თვალდახუჭული იჯდა და მისი პაწია კვადრატული სახე, ჩვეულებრივ, პირქუშ წყენას რომ გამოხატავდა ხოლმე, ახლა სრულიად უგრძნობი გამხდარიყო და გაფუჭებული ხორცის ქონიან ნაჭერს დამსგავსებოდა. სტანდარტული ზღარბისებური ვარცხნილობაც თავზე რაღაცნაირად დაგლესოდა და უხარისხო ქუდზე შემოკერებულ ბეწვის ქობას მოგაგონებდათ. მისი

ორბორტიანი ვარდისფერი პიჯაკი კოცონის მოცეკვავე შუქზე რაღაც ძველთათრული საბრძოლო სამოსელივით, ხოლო ზედ დაკერებული ოქროსფერი ღილები კი ყორღანის არქეოლოგიურ გათხრებში ნაპოვნი არტეფაქტებივით გამოიყურებოდა.
შურიკა კიდევ უფრო დათხელებულიყო, აცქმუტებულიყო და გასაშიშებულიყო. დაფხავებული ფიცრებისგან შეკრულ კარკასს ჰგავდა. გეგონებოდა, ზედ დიდი ხნის წინ გასაშრობად ძონძები დაუკიდიათ და დავიწყნიათ, მერე კი ამ ძონძებში რაღაც სასწაულით სიცოცხლე აღმოცენებულა და ისე გაფართოებულა, არემარე გვარიანად შეუწუხებიაო. თუმცა ცოცხალი არსება ნაკლებად ეთქმოდა და ქაშმირის ბუშლატის გამოისობით მატროსის ელექტრიფიცირებულ ფიტულად თუ მიიღებდით.
ვოლოდინში მაინცდამაინც ბევრი არაფერი შეცვლილიყო. უხილავ საჭრეთელს თითქოს მისი მატერიალური გარსის ყველა მახვილი კუთხე და უსწორმასწორობა ჩამოეთალა. სახე ოდნავ გაფითრებოდა, სათვალის მინებში კი ცოტათი მეტი ნაპერწკალი ირეკლებოდა, ვიდრე კოცონს სცვიოდა. მოძრაობები მომრგვალებოდა, განარნარებოდა და დახვეწოდა – მოკლედ, მრავალი რამ მიანიშნებდა, რომ ამ კაცს სოკო აქამდეც არაერთხელ შეეჭამა.
– აუჰ, მაგარია! – დუმილი დაარღვია შურიკამ, – ძალიან მაგარი! კოლ, მაგრად ხარ?
– არანაირად არ ვარ, – თქვა კოლიანმა ისე, რომ თვალი არ გაუხელია, – რაღაც შუქებს ვხედავ და ეგაა.
შურიკა ვოლოდინს მოუტრიალდა და მას შემდეგ, რაც ეთერში მისი მკვეთრი მოძრაობებით აღძრული მაღალი სიხშირის რხევები მიწყდა, უთხრა:
– გესმის, ვოლოდინ? შენ თვითონ რა იცი, იმ მარადიულ კაიფში როგორ უნდა გაიჩითო?

ვოლოდინმა პასუხი არ გასცა.
– არა, გასაგებია, – თქვა შურიკამ, – მართლა გასაგებია, რომ არავინ იცის და გაბაზრება არ მოსულა, მაგრამ მარტო მე მითხარი, ჰა? ვიღაც სირი ხომ არა ვარ. ჩემთვის აგარაკზე ჩუმად ვიკაიფებ და მეტი არაფერი.
– შემეშვი, – თქვა ვოლოდინმა.
– შენ რა, ჩემი მართლა არ გჯერა? გგონია, პრობლემას გავაჩენ?
– არა, – თქვა ვოლოდინმა, – არ მგონია. მაგრამ ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოვა.
– მიდი, – თქვა შურიკამ, – ჩამოყაჭე.
ვოლოდინმა სათვალე მოიხსნა, მინები პერანგის კალთით საგულდაგულოდ გაწმინდა და ისევ გაიკეთა.
– მთავარი გაგებაა, – თქვა, – მაგრამ არ ვიცი, როგორ აგიხსნა... გახსოვს, შინაგან პროკურორზე რომ ვლაპარაკობდით?
– მახსოვს. აი, უწესობაზე რომ გაგსკვანჩავს. რასკოლნიკოვივით, ქალი რომ გაასაღა. ეგონა, შინაგანი ადვოკატი გააპრავებდა, მაგრამ გამაზა.
– ჰო, სწორედ ეგ. ჰოდა, აბა, შენი აზრით, ეგ შინაგანი პროკურორი ვინ არის?
შურიკა ჩაფიქრდა.
– არ ვიცი... ალბათ მე თვითონ ვარ, ჩემი რომელიღაც ნაწილია, სხვა ვინ უნდა იყოს?
– და შინაგანი ადვოკატი, რომელიც მისგან გიცავს?
– ალბათ ისიც მე ვარ. თუმცა უცნაურად კი გამოდის, რომ ჩემს თავს საქმეს მე თვითონ აღვუძრავ და თვითონვე ვიცავ.
– უცნაური არაფერია. მუდამ ასეა. ახლა წარმოიდგინე, რომ მაგ შენმა შინაგანმა პროკურორმა დაგაპატიმრა, ყველა შენმა შინაგანმა ადვოკატმა ჩაისვარა და საკუთარ ციხეში ზიხარ. ჰოდა, აბა, მოტვინე, ხომ დარჩა ამ დროს ვიღაც მეოთხე, რომელსაც არავინ არსად არ

მიათრევს, ვინც არც პროკურორია, არც ის, ვისაც პროკურორი საქმეს უკერავს, არც ადვოკატი, არამედ ის, ვის წინააღმდეგაც არასდროს არავითარი საქმეები არ აღიძვრება. მოკლედ, არც ძაღლია, არც შავი და არც ფრაერი.
– ვერ ვტვინავ.
– სწორედ ის მეოთხეა მარადიულ კაიფში განგრეული და ამის შესახებ არაფრის ახსნა არ სჭირდება. გაიგე?
– და ეს მეოთხე ვინღაა?
– არავინ.
– ვერ დაინახავ?
– ვერა.
– თუ ვერ დაინახავ, ეგებ შეიგრძნო მაინც.
– არც ეგ.
– გამოდის, რომ არ არსებობს.
– მართალი თუ გინდა იცოდე, – თქვა ვოლოდინმა, – სწორედ ის პროკურორები და ადვოკატები არ არსებობენ. არც შენ თვითონ. თუ შენში ვინმე არსებობს, ეგ არსებობს.
– მაგ შენ ბაზარს ვერ ვავლებ. მაგას მირჩევნია, ამიხსნა, რა უნდა გავაკეთო, რომ იმ მარადიულ კაიფში მოვხვდე.
– არაფერი, – თქვა ვოლოდინმა, – საქმეც ისაა, რომ არაფერი არ უნდა გააკეთო. როგორც კი რამის კეთებას დაიწყებ, ეგრევე საქმე იკერება. ასე არ არის?
– გაგებაში, მგონი, ეგრეა.
– ჰოდა, თუ ეგრეა, საქმე აღიძვრება თუ არა, ეგრევე – პროკურორები, ადვოკატები და ეგეთები....
შურიკა დადუმდა და გაირინდა. მისი ეგზალტირებული ენერგია მყისიერად კოლიანს გადაეცა – თითქოს გამოიღვიძაო, თვალები გაახილა, ვოლოდინს მტრული მზერა ჯიქურ მიაბჯინა და გაიკრიჭა, ოქროს კბილი გამოაბრწყინა.
– შენ კიდევ, ვოლოდინ, მაშინ მაგ შენი შინაგან

პროკურორზე ბლატაობით მაგრა დაგვგრუზე, – თქვა.
– ვითომ რატომ? – გაუკვირდა ვოლოდინს.
– იმიტომ. მერე ვოვჩიკ მალოიმ ერთი წიგნი მომცა, რომელშიც სწორედ მაგ ყველაფერზე მიდის ბაზარი, კარგი ბაზარია, ჯიგრული. ნიცშემ დაწერა. მამაძაღლი, ისე რთულად წერს, რომ ნარმალური კაცი ჩემ ფეხებს გაიგებს, მაგრამ ყველაფერი სწორია. ვოვჩიკმა სპეციალურად ერთი მშიერი პროფესორი დაიქირავა, ერთი ლაწირაკიც მიუსვა გვერდში, რომელმაც ადამიანური ლაპარაკიც იცის და ორივემ ერთ თვეში ისე აუხსნა, რომ ძმობაში ყველას წაგვეკითხა. ნორმალურ ენაზე გადმოთარგმნეს. მოკლედ, ეგ შენი შინაგანი ძაღლი უნდა დაბრიდო და მოათავო. მაშინ ვერავინ ვეღარ დაგითრევს.
– რას მიჰქარავ, კოლიან? – ალერსიანად და ვითომ საწყლად ჰკითხა ვოლოდინმა, – დაფიქრდი, რას ამბობ? ძაღლის მოკვლაზე რა ამბავი ატყდება, არ იცი? კოლიანი სიცილით გადაბჟირდა.
– ვინ ატეხავს? სხვა შინაგანი ძაღლები? ჰოდა, საქმეც ისაა, რომ ყველანი უნდა ამოჟუჟო.
– კარგი, – თქვა ვოლოდინმა, – დავუშვათ ყველა შინაგანი ძაღლი დახოცე, მაშინ ხომ შინაგანი ომონის ხელში ჩავარდები.
– შენი ბაზარი სულ წინასწარ ვიცი, – თქვა კოლიანმა, – მერე იტყვი, შინაგანი კაგებეო, შინაგანი «ალფა» ჯგუფიო და ასე შემდეგ. მე კიდევ გეუბნები, – ყველანი უნდა გააგორო და საკუთარი თავის შინაგანი პრეზიდენტი გახდე.
– კარგი, – უთხრა ვოლოდინმა, – დავუშვათ შენი შინაგანი პრეზიდენტი გახდი. თუ ეჭვი შეგიპყრობს, რას იზამ?
– არაფერს, – თქვა კოლიანმა, – ჩავახშობ და გზას გავაგრძელებ.

– მერე იმ ეჭვის ჩასახშობად შინაგანი ძაღლები ხომ მაინც დაგჭირდებიან? ხოლო თუ ბევრი ეჭვი შემოგესია, შინაგანი კაგებეც?
– ჰოდა, ჩემთვის იმუშავებენ, – თქვა კოლიანმა, – მე ხომ ჩემი თავის პრეზიდენტი ვიქნები. ოთხი ტუზი და, თამაში მოგებულია.
– ვოვჩიკ მალოის კარგად დაუმუშავებიხარ. კარგი, ვთქვათ, გახდი შინაგანი პრეზიდენტი, გყავს საკუთარი შინაგანი ძაღლობა და უზარმაზარი შინაგანი უშიშროების სამსახური თავისი ტიბეტელი ასტროლოგებიანად.
– დიახაც, – შეაწყვეტინა კოლიანმა, – ისეთი, რომ ახლოს ვერავინ მომეკაროს.
– და რას გააკეთებ?
– რასაც მინდა.
– მაგალითად?
– მაგალითად, ნაშას წავიყვან კანარის კუნძულებზე.
– მერე იქ რას იზამ?
– გეუბნები, რასაც მინდა-მეთქი. მომინდება, ვიცურავებ, მომინდება – ნაშას გავჟიმავ, მომინდება – დავბოლდები.
– აჰა, – თქვა ვოლოდინმა და სათვალეში ცეცხლის წითელი ენები გაუკრთა, – დაბოლდები. დაბოლება ტვინს გიხსნის?
– მიხსნის.
– ჰოდა, თუ პრეზიდენტი ხარ, შენს თავს ხომ სახელმწიფოებრივად უნდა ეთათბირებოდე?
– დავუშვათ, ეგრეა.
– ჰოდა, ახლა გეტყვი, რაც მერე მოხდება. როგორც კი პირველად დაბოლდები, შეიკრიბება ეგ შენი შინაგანი სათათბირო და მაგ შენ შინაგან პრეზიდენტს ერთ კარგ შინაგან იმპიჩმენტს გამოუცხადებს.
– დედას ვუტირებ, – თქვა კოლიანმა, – შინაგან ტანკებს შემოვიყვან.

– როგორ თუ შემოიყვან? შენ არ იყავი, რომ დაბოლდი, ტვინი გაგეხსნა და შინაგანი სათათბირო მოიწვიე? ესე იგი შენ შინაგან პრეზიდენტსაც იმპიჩმენტი შენ თვითონვე გამოუცხადე. ტანკებს როგორღა შემოიყვან?
კოლიანი გაჩუმდა.
– ეგრევე ახალი პრეზიდენტი გაგეჩითება, – თქვა ვოლოდინმა, – ჰოდა, რასაც იმ ძველს შინაგანი უშიშროების სამსახური დამართებს, ახალს რომ გაუსწოროს, იმის წარმოდგენაზეც კი შიშით გული მისკდება.
კოლიანი ჩაფიქრდა.
– მერე რა, – ყოყმანით თქვა ბოლოს, – იყოს ახალი პრეზიდენტი, დიდი ამბავი.
– ჰო, მაგრამ ის ყოფილი პრეზიდენტი შენ არ იყავი? ესე იგი შინაგან ლუბიანკაზე თირკმელებში შლანგი რომ მოხვდება, ის ვინ იქნება? არ ამბობ? შენ იქნები. ჰოდა, ახლა ისევ დაფიქრდი – რა სჯობია, დედაბრის მკვლელობისთვის შინაგანმა ძაღლებმა აგიყვანონ თუ, როგორც ყოფილი შინაგანი პრეზიდენტი, შინაგანმა კაგებემ დაგიჭიროს?
კოლიანი მოიღუშა, თითებგაფარჩხული ხელი წინ გაიწოდა – რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ეტყობა, თავში მოულოდნელად უსიამოვნო აზრმა დაჰკრა, თავი ჩაღუნა და ხმა გაიკმინდა.
– ჰო, ეგრეა, – თქვა, – თავის გამოდება არ ღირს. რთულია ეს ყველაფერი...
– აგერ, ხომ ხედავ, შინაგანმა ძაღლებმა გონს მოგიყვანეს, – დააჯამა ვოლოდინმა, – შენ კიდევ ნიცშე, ნიცშეო, დაგიჩემებია. თვითონ მაგ შენს ნიცშეს რა მოუვიდა, იცი?
კოლიანმა ჩაახველა, ტუჩებს ბულტერიერის მსგავსი ფურთხი მოსწყდა და კოცონში ისკუპა.
– ჩათლახი ხარ, ვოლოდინ, – თქვა, – ისევ ყველაფერი

ამირიე. ამას წინათ ვიდეოზე კინო ვნახე. «ფალფ ფიქშენ», ამერიკელ ძმებზე. ისე კარგად ვიყავი! მეგონა, მივხვდი, მერე როგორ უნდა მეცხოვრა. შენ კიდევ კაცი ვერ დაგელაპარაკება, იმ წუთში უკუნეთში ჩაუძახებ... აი, ასე გეტყვი – მე ჩემს შინაგან ძაღლებს არასოდეს შევხვედრივარ. თუ შემხვდებიან – ან დავბრიდავ, ან არადა, გავაფრენ.
– რატომ უნდა დაბრიდო? – ჩაერია შურიკა, – როცა შეგიძლია დაკერო.
– რა, შინაგანი ძაღლებიც იღებენ? – იკითხა კოლიანმა.
– აბა, არ იღებენ? – უპასუხა შურიკამ, – მესამე «ნათლია» არ გინახავს? გახსოვს დონ კორლეონე? თავისი შინაგანი ძაღლების დასაბმელად ექვსი ლიმონი მწვანე ვატიკანს ჩაურიცხა და მთელი თავისი «სველი» საქმეებიანად შინაგან პიროობებს შეეგუა.
მერე ვოლოდინს მიუბრუნდა.
– რას იტყვი, იღებენ შინაგანი ძაღლები თუ არა?
– რა მნიშვნელობა აქვს, იღებენ თუ არ იღებენ?
– სწორია, – თქვა შურიკამ, – ამაზე არც ყოფილა ბაზარი. ძაღლების დაკერვა კოლიანმა წამოიწყო. დაიცა, გავიხსენო. ჰო, მე და შენ მარადიულ კაიფზე ვბაზრობდით. ეგ არი. ვიღაც მეოთხეზე, რომელიც, სანამ შენ შინაგან პროკურორებს და ადვოკატებს ეჩალიჩები, განგრეული დაიარება.
– დიახაც. საქმე ისიც კი არ არის, ამ შენ შინაგან ძაღლობასთან საქმეს როგორ დაალაგებ – დაკერავ, დააჩმორებ თუ დანაშაულში გამოუტყდები. სინამდვილეში ხომ არც ეს ძაღლი და არც ის, ვინც მაყუთი გაუმაზა ან აღსარება ჩააბარა, არ არსებობენ. შენ თვითონ რიგრიგობით ეხვევი იმათ ტყავში. ეს, მგონი, უკვე გაგაგებინე.
– არც ისე კარგად.
– აბა, გაიხსენე, დემოკრატიამდე შენ და კოლიანი

რომ მუშაობდით. ეგ ვალუტას ყიდდა, შენ კიდევ ძაღლის მოწმობით მიდიოდი და კლიენტიანად იჭერდი. გახსოვს? შენ არ ამბობდი, ცოტა ხნით მაინც თუ თვითონ არ დაიჭერე, არც კლიენტი დაიჭერებს და ფეხს არ გადმოადგამსო? ესე იგი ძაღლის ტყავში ეხვეოდი.
– დავუშვათ, ვეხვეოდი.
– ეგებ ცოტა ხნით მართლა ძაღლი იყავი ხოლმე.
– ვალოდინ, – თქვა შურიკამ, – ძმაკაცი კი ხარ, მაგრამ სიტყვებს დაუკვირდი.
– ჩემს სიტყვებზე პასუხს ვაგებ. შენ, ჯობია, ყური დამიგდე. გაიგე, რა გამოდის? შენ თვითონ შეგიძლია, დროებით დაიჭერო, რომ ძაღლი ხარ. ახლა წარმოიდგინე, რომ მთელი სიცოცხლე ამას აკეთებ, ოღონდაც კლიენტს კი არა, საკუთარ თავს ატყუებ და თან ეს ტყუილი გჯერა კიდეც. ხან ძაღლი ხარ, ხან ის ტიპი, ვისაც ის იჭერს. ხან პროკურორი, ხან ადვოკატი. რატომ ვამბობ, სინამდვილეში არ არსებობენ-მეთქი. იმიტომ რომ, როცა პროკურორი ხარ, ადვოკატი სად არის მაშინ? და როცა ადვოკატი ხარ, პროკურორი სადღაა? არსად. ჰოდა, გამოდის, თითქოს გვესიზმრებოდნენ. მოტვინე?
– დავუშვათ, მოვტვინე.
– არადა, ამ ძაღლების გარდა კიდევ რამდენი უსაქმურია მანდ, რამდენი ფრაერი და ჩათლახი დგას რიგში და ელოდება, რომ მათი ტყავი გადაიცვა. ამასობაში ცხოვრება გადის. შიგნით იმხელა რიგი გიდგას, ეგეთი კომუნისტების დროს ძეხვზე არ მდგარა. ჰოდა, თუ მარადიული კაიფის გაგება გინდა, ეს რიგი უნდა მოტეხო, არავის ტყავში არ უნდა გაეხვიო, მორჩა და გათავდა. გაიგე? არც პროკურორის, არც ადვოკატის.
– აბა, როგორ?
– გეუბნები, არანაირად, სანამ რამეს მაინც რამენაირად

აკეთებ, ან პროკურორი ხარ, ან ადვოკატი. ჰოდა, ამიტომ არაფერი არანაირად არ უნდა აკეთო. გაიგე?
შურიკა ერთხანს ჩაფიქრდა.
– ერთი მაგისიც, – თქვა ბოლოს, – ამ გარეკვას ისევ ჯობია, ხუთი გრამი კოკაინი ავიღო. ეგებ მაგ მარადიულმა კაიფმა სულაც არ დამაკაიფოს – ბოლი კი, ვიცი მაინც, რომ მშვენივრად მაკაიფებს...
– ამიტომაც არავინ იცის მარადიული კაიფის შესახებ, – თქვა ვოლოდინმა, – სწორედ ამიტომ.
დუმილი ჩამოვარდა, ამჯერად ხანგრძლივი. ვოლოდინმა ფიჩხის მტვრევა და ცეცხლის გაღვივება წამოიწყო. შურიკამ ჯიბიდან ლითონის ბრტყელი მათარა დააძრო, ზედ რომ თავისუფლების ქანდაკება ჰქონდა ამოტვიფრული, რამდენჯერმე მოსვა და კოლიანს მიაწოდა. კოლიანმაც მოსვა და მათარა შურიკას დაუბრუნა, მერე კი მუგუზლებზე დროის თანაბარი ინტერვალებით ფურთხებას მოჰყვა.
ფიჩხი ჩუმად ტკაცუნობდა, ხან ერთხელ გაისროდა, ხანაც მთელ ჯერს მიაყოლებდა – თითქოს კოცონი ცალკე პატარა სამყაროა, სადაც ვიღაც პაწაწინა მოკრუნჩხული არსებები, რომელთა მკრთალი ჩრდილები ცეცხლის ენებს შორის კრთიან, ერთმანეთს ეომებიან მუგუზლებზე დაცემული ნაფურთხი ტერიტორიებისათვის, რათა თავი აუტანელი სიცხისგან თუნდაც სულ რამდენიმე წამით გადაირჩინონო. შავი ბედი ჰქონდათ ამ საწყლებს – მათ ლანდურ არსებობას ვინმე რომ მიმხვდარიყო კიდეც, განა გააგებინებდა, თქვენ სინამდვილეში ამ ცეცხლში კი არ ცხოვრობთ, არამედ სიგრილით აღსავსე ღამეულ ტყეში და საკმარისია, მუგუზლებზე ათუხთუხებული ბანდიტის ბუშტულებიანი ნერწყვისკენ სწრაფვას თავი ანებოთ, მყისვე მთელი თქვენი ტანჯვა-წამება სამუდამო წარსულს ჩაბარდებაო? ეგებ ვინმეს გაეგებინებინა

კიდეც, ეგებ ერთ დროს აქ, მახლობლად მცხოვრებ ნეოპლატონიკოსს ეს ამბავი კარგადაც გამოსვლოდა, მაგრამ მოკვდა საწყალი და ვეღარც კომპარტიის XX ყრილობას მოესწრო.
– ჭეშმარიტად, – სევდიანად თქვა ვოლოდინმა, – ეს სამყარო ალმოდებულ სახლს ჰგავს.
– რა ალმოდებული სახლი, – მყისვე შეაგება შურიკამ, – წყალდიდობისას ბარდაკში გაჩენილი ხანძარია.
– რას ვიზამთ? ხომ უნდა ვიცოცხლოთ, – თქვა კოლიანმა, – ერთი ეს მითხარი, ვოლოდინ, სამყაროს აღსასრულის გწამს?
– მკაცრად ინდივიდუალური საკითხია, – თქვა ვოლოდინმა, – დაგაყუმბარებს ვინმე ჩეჩენი და მორჩა, ეგაა შენი სამყაროს დასასრული.
– მაგასაც ვნახავთ, ვინ ვის დააყუმბარებს, – თქვა კოლიანმა, – მაგრამ შენ როგორ ფიქრობ, მართალია, ყველა მართლმადიდებელს ამნისტია შეეხებაო?
– ეგ როდის?
– საშინელ სამსჯავროზე, – ჩუმად და სწრაფად უპასუხა კოლიანმა.
– ეგ ფუფლო პონტი გჯერა? – უნდობლად ჰკითხა შურიკამ.
– არც კი ვიცი, მჯერა თუ არა, – თქვა კოლიანმა, – ერთხელ სველიდან ვბრუნდებოდი, გულზე დარდი მაწვა, ათასი ეჭვი მღრღნიდა – მოკლედ, სული დამისუსტდა. უცებ ჯიხურია ხატებით, ნაირ-ნაირი წიგნებით. ერთი ვიყიდე – «საიქიო ცხოვრება» ერქვა. წავიკითხე, რა ხდება სიკვდილის შემდეგ-მეთქი. ახალი ვერაფერი გავიგე. კაპეზე, სასამართლო, ამნისტია, ვადა, მუხლი. სიკვდილი იგივე ციხიდან ზონაზე გადასვლაა. სული გამანაწილებელ პუნქტში გადაჰყავთ, რომელსაც განსაწმენდელი ჰქვია. ყველაფერი ისეა, როგორც წესია, ორი კონვოი, მთელი ამბავი, ქვევით

კარცერი, ზევით ნიშტიაკი. ამ გამანაწილებელში საქმეს გიკერავენ – შენსასაც, სხვისასაც, შენ კი ყველა მუხლიდან თავი უნდა დაიძვრინო. მთავარია, კოდექსი იცოდე, მაგრამ, თუ ჯიგარი მოისურვებს, მაინც კარცერში გაგიშვებს. იმიტომ რომ მაგისი კოდექსით, ჯერ დაბადებულიც არა ხარ, რომ ნახევარზე მეტი მუხლი უკვე აკიდებული გაქვს. მაგალითად, იქ ერთი მუხლია – ბაზარზე პასუხს აგებ, ის კი არა, რომ სადმე რამე არასწორი უადგილოდ გიბაზრია. არა, საერთოდ, თითოეულ სიტყვაზე გაწვებიან, რაც კი სიცოცხლეში გითქვამს. გაიგე? სულ რომ იხოხო, გასასროკ მიზეზს მაინც გამოგინახავენ. სული თუ გაქვს, განსაცდელს რა გამოლევს? მაგრამ ჯიგარს შეუძლია სროკი შეგიმციროს, განსაკუთრებით მაშინ, თუ შენი პირით იტყვი, დიდი მძღნერი ვარო. ეგ ევასება. კიდევ გიჟდება, როცა მისი ეშინიათ. უნდა გეშინოდეს და თავს მძღნერად თვლიდე. თვითონ გაბარიტული ნათება აქვს, მარაოსავით ფრთები, პირადი დაცვა, მთელი ამბავი. გადმოგხედავს ზემოდან და, აბა, მძღნერო, ყველაფერი გასაგებია? ვკითხულობ ამას და მახსენდება, რომ ადრე, დიდი ხნის წინ, ჯერ შტანგაზე რომ დავდიოდი და პერესტროიკა რომ იყო, რაღაც ამდაგვარს «ოგონიოკშიც» აქვეყნებდნენ. გამახსენდა და ოფლმა დამასხა. გამოდის, რომ ადამიანი სტალინის დროს ისე ცხოვრობდა, როგორც ახლა სიკვდილის შემდეგ.
– ვერ მოვტვინე, – თქვა შურიკამ.
– უყურე, სტალინის დროს ათეიზმი იყო, ახლა ისევ რელიგიაა. აბა, მოტვინე, მაშინ როგორ იყო. ყველამ იცის, რომ ღამღამობით კრემლში ერთი განათებული ფანჯარაა, ფანჯრის მიღმა კი – ის. მას შვილივით უყვარხარ, შენ კი თან მისი შიშით იჯვამ და თან გულითაც უნდა გიყვარდეს. რელიგიაა, რა. სტალინი იმიტომ გამახსენდა, რომ ვფიქრობდი, როგორ უნდა

მოახერხო ერთდროულად ჩაჯამადე გეშინოდეს და გულით გიყვარდეს?
– და თუ არ გეშინია? – იკითხა შურიკამ.
– ესე იგი ღვთის შიში არ გქონია. ამაზე კარცერია.
– რა კარცერი?
– ცოტა ამაზეც ეწერა. მთავარი ისაა, რომ იქ სიბნელე და კბილთა ღრჭენაა. ეს რომ ამოვიკითხე, ნახევარ საათს ვფიქრობდი, ნეტავ სულს რანაირი კბილები აქვს-მეთქი. ლამის გავრეკე. მერე კითხვა გავაგრძელე. შევიტყვე, რომ, თუ თავს მძღნერად დროულად გამოაცხადებ და მართლა მიხვდები, რომ ყოველთვის ნაღდი მძღნერი იყავი, ამნისტია შეგეხება და სამოთხეში გაგიშვებენ, მაგასთან. იქ მთავარი კაიფი, როგორც მივხვდი, ისა, რომ სულ ჯიგარს უყურებ, როცა ტრიბუნაზე პარადს იბარებს. მეტი არაფერი, რადგან იქ ან ესაა, ან პარაშასთან კბილთა ღრჭენა. და მთავარი, ეს დედააფეთქებული, მთავარი მთელ ამ საქმეში ისაა, რომ სხვა არც არაფერი შეიძლება იყოს – ან ზედა ნარი, ან კარცერი. მოკლედ, მთელი სისტემა გავჩითე. ოღონდ იმას ვერ ჩავავლე, ეგრე თესლად ვინ მოიფიქრა ეს ყველაფერი? ვოლოდინ, შენ ვინ გგონია?
– გლობუსი გახსოვს? – ჰკითხა ვოლოდინმა.
– მერე ბანკირი რომ გახდა? მახსოვს, – მიუგო კოლიანმა.
– მეც მახსოვს, – თქვა შურიკამ და თავისი რელიეფიანი მათარიდან გადახუხა, – სიკვდილამდე მაგრა გაიქაჩა. «პორშაკზე»
ხუთკუსოკიანი ძეწკვები ეკეთა. ტელევიზორში აჩვენებდნენ – სპონსორიო, ჩემი სირიო და რამე.
– ჰო, – თქვა ვოლოდინმა, – იცი, პარიზში კრედიტისთვის რომ ჩავიდა, რა გააკეთა? იმათ ბანკირთან ერთად რესტორანში წავიდა ჯიგრულ ამბავში საბაზროდ. იქ გატყვრა, გეგონება, «სლავიანსკი ბაზარში» მჯდარიყო,

და აღრიალდა: «ოფიციანტ, ორი პედერასტი და სათლი ჩეფირი მომიტანეო!» თვითონ განა ცისფერი იყო, უბრალოდ, ზონაზე...
– მე მაგას რას მიხსნი. მერე?
– არაფერი. მოუტანეს. იქ ხომ საბაზრო ეკონომიკაა.
– კრედიტი მისცეს?
– მაგაში არაა საქმე, მისცეს თუ არა. თუ ასეთი გაგებით მოკვდა, გამოდის, რომ სინამდვილეში ზონიდან არც არასდროს გამოსულა. უბრალოდ, ისე გაიქაჩა, რომ «პორშაკზე» დაჯდა და ინტერვიუებს იძლეოდა. მერე ამ ზონას თავისი პარიზიც გამოუჩნდა. ჰოდა, ეს გლობუსი თავის ჩეფირიან-პედერასტებიანად იმქვეყნიურ ცხოვრებაზე რომ დაფიქრებულიყო, როგორ ფიქრობ, თავში რა მოუვიდოდა?
– მაგაზე ცხოვრებაში არ უფიქრია.
– არა, რომ ეფიქრა, მაშინ? თუ ზონის მეტი არაფერი იცოდა და მაინც, როგორც ყველა, მაღლა, ელიტისკენ იქაჩებოდა, მაშინ რას წარმოიდგენდა?
– არ მესმის, საით უბერავ, – უთხრა კოლიანმა, – რა ელიტა? პუგაჩოვა? თუ კირკოროვი? არანაირი უმაღლესი ელიტისკენ არასდროს არ გაქაჩულა, აი, უმაღლესი სასჯელი კი ყოველთვის ცხვირზე ედო.
– მივხვდი, – თქვა შურიკამ, – გლობუსს რომ საიქიოზე ეფიქრა, მაგ შენს ბროშურას ზუსტად შენსავით წარმოიდგენდა. განა მარტო გლობუსი. აბა დაფიქრდი, კოლ, ჩვენი ქვეყანა იმთავითვე ზონა იყო და იქნება კიდეც. ამიტომაც ღმერთიც ეგეთია, მიგალკებიანი. აქ სხვანაირს ვინ იწამებს?
– შენ, რა, ჩვენი ქვეყანა არ გევასება? – მკაცრად ჰკითხა კოლიანმა.
– რატომ, ალაგ-ალაგ მევასება.
კოლიანი ვოლოდინს მიუბრუნდა.
– მომისმინე. მაშინ გლობუსს პარიზში მისცეს კრედიტი?

– მგონი, კი, – თქვა ვოლოდინმა, – იმ ბანკირს ყველაფერი ძალიან მოეწონა. პედერასტებით იქ ვერავის გააკვირვებ, აი, ჩეფირი კი გასინჯული არ ჰქონდათ. მერე მოდაშიც კი შემოვიდა, ჩაი-ლა-რუს-ნუ-ვო-ს ეძახიან.
– მომისმინე, – თქვა უცებ შურიკამ, – იცი, რა ვიფიქრე... აუ, ჩემი... რა მაგარია...
– რა? – ჰკითხა კოლიანმა.
– ეგებ სულ სხვანაირადაა ყველაფერი. ეგებ ჩვენთან ღმერთი მიგალკებიან ბოსს იმიტომ კი არ ჰგავს, რომ ზონაზე ვცხოვრობთ, პირიქით – ზონაზე იმიტომ ვცხოვრობთ, რომ ღმერთად სირენებიანი ჯიგარი ჩვენ თვითონ ავირჩიეთ. მთელი ეს სირობა კბილებზე და სულებზე, ცეცხლზე, რომელშიც კომუნიაკებს წვავენ, ზეციურ კონვოიზე – ეს ხომ ბევრი საუკუნის წინ მოიგონეს! ზუსტი პროექტით ააშენეს. სამოთხე წამოჭიმეს და გაირკვა, რომ უჯოჯოხეთოდ არ მუშაობს, იმიტომ რომ უჯოჯოხეთო სამოთხე რა პონტია? მაშინ სამოთხე კი არა, ჩემი ყ... გამოდის. ანუ... არა, ამაზე ფიქრიც კი მაშინებს...
– ეგებ იქ, სადაც ადამიანები ნაკლებად იჯვამენ, ღმერთიც უფრო კეთილია. აი, შტატებში ანდა იაპონიაში, – თქვა კოლიანმა.
– რას იტყვი, ვოლოდინ? – ჰკითხა შურიკამ.
– რას ვიტყვი? რაც ზევით, ის ქვევით, რაც ქვევით, ის ზევით. ჰოდა, როცა ყველაფერი თავდაყირაა, მიდი და ახსენი, რომ არც ქვევით არსებობს და არც ზევით. იმიტომაც ამბობს რუსული ანდაზა, ბნელში ტრაკიც ბატონიაო.
– აუ, ტიპს რას აბაბანებს, – თქვა კოლიანმა, – შემშურდა კიდეც. რამდენი შეჭამე?
– შენ, რა, არ გაბაბანებს? – ჰკითხა შურიკამ, – ახლა არ იყო, მთელი საიქიო რომ მოიარე? და ჩვენც მოგვატარე?

შენ თურმე მარტო ძაღლი და ადვოკატი კი არა, მთელი შინაგანი სინოდიც გყოლია.
კოლიანმა ხელი გაიშვირა და ყურადღებით შეათვალიერა.
– აი, – თქვა, – ისევ გალურჯდა. ვერ გავიგე, ეს სოკო ყოველთვის რატომ მალურჯებს.
– სწრაფად ლპები და იმიტომ, – უთხრა შურიკამ და ვოლოდინს მიუბრუნდა, – მისმინე, რა ხდება. ჩვენი ბაზარი ჩვენზე უფრო მეტად მირეკავს. მარადიულ კაიფზე დავიწყეთ და სად ტრაკში ვართ.
– სად ტრაკში? – ჰკითხა ვოლოდინმა, – სადაც ვიჯექით, იქვე ვზივართ. აგერ კოცონი, მამლები ყივიან.
– რა მამლები? კოლიანის პეიჯერია.
– აჰა... არა უშავს, დაიყივლებენ...
შურიკამ ჩაიცინა და მათარა მოიყუდა.
– ვოლოდინ, – თქვა, – მე მაინც მინდა გავიგო, ვინ არის ის მეოთხე?
– ვინ?
– მეოთხე. დაგავიწყდა? საიდანაც დავიწყეთ – შინაგანი პროკურორიო, შინაგანი ადვოკატიო, და ის, ვინც შინაგან კაიფში გრიალებსო. ოღონდ ვერ გავიგე, მეოთხე რატომაა? ეგ ხომ მესამე გამოდის?
– შენ, რა, მსჯავრდებული დაგავიწყდა? – ჰკითხა ვოლოდინმა, – რომელსაც ეგენი ასამართლებენ? საკუთარი თავის პროკურორობიდან პირდაპირ საკუთარი თავის ადვოკატობაზე ხომ არ გადახტები. წამით მაინც მოგიწევს მსჯავრდებულად ყოფნა. ჰოდა, მესამეც ეგაა. მეოთხე კი მაგ რასკლადების აზრზეც არ არის. მარადიული კაიფის გარდა საერთოდ არაფერი არ უნდა.
– და მარადიულ კაიფზე საიდან იცის?
– ვინ გითხრა, იცისო?
– შენ.

– ეგ მე არ მითქვამს. მე ვთქვი, მარადიული კაიფის ახსნა არ სჭირდება-მეთქი. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს იცოდეს. თუ ეცოდინებოდა, – ვოლოდინმა ბოლო სიტყვას ხაზი გაუსვა, – მაშინ შენ შინაგან საქმეში მოწმედ იქნებოდი გამოძახებული.
– ესე იგი შიგნით მოწმეებიც მყავს? აბა, გამიიასნე.
– წარმოიდგინე, რომ ჩააჯვი. შინაგანი პროკურორი ამბობს, დამპალიაო, განსასჯელი კედელს უცქერის, შინაგანი ადვოკატი კი შენს მძიმე ბავშვობაზე რაღაცებს ბლატაობს.
– მერე?
– სხდომა რომ გაიხსნას, ის შენი ჩაჯმული საქმე ხომ უნდა გაიხსენო?
– ცვეტში.
– ჰოდა, აი, როცა იხსენებ, მაშინ მოწმედ გამოდიხარ.
– კაცმა რომ გისმინოს, – თქვა შურიკამ, – მთელი სასამართლო დარბაზი შიგ მაქვს.
– აბა, არ გაქვს შიგ?
შურიკა ერთხანს დუმდა, მერე ხელი მუხლებზე დაირტყა.
– ა! – წამოიყვირა, – ყველაფერს მივხვდი! მივხვდი, მარადიულ კაიფში როგორ უნდა მოვხვდე. ის მეოთხე უნდა გავხდე, ეგრე არაა? პროკურორი და ადვოკატი რომ ვხდები ხოლმე, ისე.
– სწორია. მაგრამ როგორ უნდა გახდე?
– არ ვიცი. ალბათ უნდა მოვინდომო.
– მეოთხედ გახდომას თუ მოინდომებ, სწორედ მაშინ ვერ გახდები. ის იქნები, ვისაც მეოთხედ გახდომა მოუნდება, ეს კი სულ სხვა ამბავია. პროკურორად მაშინ ხომ არ იქცევი, როცა მოგინდება, არამედ მაშინ, როცა შენს თავს ეუბნები, შურიკ, შენ ნამდვილი მძღნერი ხარო. ამის მერე კი შენი შინაგანი ადვოკატი ხვდება, ახლახან პროკურორი ვიყავიო.

– კარგი, – თქვა შურიკამ, – მაშინ მითხარი, მეოთხედ გახდომა ისე როგორ უნდა მოახერხო, რომ არც მოგინდეს.
– გინდა თუ არ გინდა, ეს არაა მთავარი. საქმე ისაა, რომ, თუ რამე გინდა, მეოთხე კი არ ხარ, ვიღაც სხვა ხარ. იმიტომ, რომ მეოთხეს არ შეუძლია, რაიმე უნდოდეს. რაში სჭირდება, როცა მარადიულ კაიფშია ჩაფლული.
– მისმინე, რას მაბოლებ? არ შეგიძლია, ნორმალურად ამიხსნა, მეოთხე ვინ არის?
– რასაც გინდა იმას აგიხსნი, მაგრამ რა აზრი აქვს.
– შენ მაინც სცადე.
– მაგალითად, შემიძლია გითხრა, რომ ძე არის ღვთისა. ამ სიტყვების წარმოთქმა იყო და კოცონის ირგვლივ მსხდომებს ყოველი მხრიდან მამლების ყივილი მოესმათ. კაცმა რომ თქვას, ძალიან უცნაური ამბავი იყო, რადგან XX ყრილობის შემდეგ იმ არემარეში ქათმისა და მამლის ჭაჭანება აღარ იყო. ამის მიუხედავად ყივილი ისმოდა და ისმოდა და ეს ადამჟამის დროინდელი ბგერები საშინელ ფიქრებს აღძრავდნენ – ჯადოქრობასა და ეშმაკებზე, ან კიდევ მოსკოვში შემოჭრილ დუდაევის მხედრებზე, რომლებიც «სტინგერებით» მოქროდნენ სტეპზე და თან მამლებივით ყიოდნენ, რომ სამხედრო დაზვერვა მცდარ კვალზე დაეყენებინათ. ამ ბოლო ვარაუდს ამაგრებდა ფაქტი, რომ ყოველ სამ დაყივლებას თითო პაუზა ახლდა. ეს ძალიან, ძალიან იდუმალი ამბავი გახლდათ. ერთხანს ყველანი მოჯადოებულებივით უგდებდნენ ყურს ამ მივიწყებულ მუსიკას, მერე კი ყივილი ან ჩანავლდა, ან კიდევ ისე შეერწყა ფონს, რომ ყურადღებას აღარ იპყრობდა. კოცონთან მსხდომებმა მართებულად გაიფიქრეს, სოკონაჭამზე კაცი რას არ გაიგონებსო. და საუბარი განახლდა.
– პირდაპირ ტვინი დამიკომპოსტირე, – თქვა შურიკამ, –

არ შეგიძლია, აიღო და თქვა, როგორ უნდა გახდე?
– ხომ აგიხსენი, ეგ რომ შესაძლებელი იყოს, ყველა გათიშული ივლიდა-მეთქი. საქმეც ისაა, რომ მეოთხედ გახდომის ერთადერთი გზა ის იქნება, თუ დანარჩენებად ყოფნას მოიშლი.
– აბა ვინ უნდა ვიყო, არავინ?
– არც არავინ არ უნდა იყო. ერთდროულად აღარავინ აღარ უნდა გახდე და აღარც არავინ აღარ უნდა იყო, გაიგე? და ეგრევე დაგაპრიხოდებს, გაგთიშავს. დაკვნესებასაც ვერ მოასწრებ. სამარადისოდ.
კოლიანმა ჩუმად დაიკვნესა. შურიკამ ალმაცერად გადახედა. უძრავად იჯდა, გაქვავებულივით. პირი სამკუთხა ხვრელად გადაქცეოდა, თვალები ამოეტრიალებინა.
– ძალიან დავიგრუზე, – თქვა შურიკამ, – ახლა გავრეკავ.
– გარეკე, ძალიანაც კარგი, – ნაზად თქვა ვოლოდინმა, – რატომაც არა?
– არა, ასე არ შეიძლება, – თქვა შურიკამ, – მე თუ გავრეკე, შენც გაგარეკინებ.
– ეგ როგორ? – ჰკითხა ვოლოდინმა.
– აბა, მე და კოლიანმა თუ გავრეკეთ, უჩვენოდ როგორღა იქნები? ასე არ არის, კოლიან?
კოლიანმა პასუხი არ გასცა.
– ეი, კოლიან! – დაუძახა შურიკამ.
კოლიანი კვლავაც დუმდა. კოცონთან იჯდა, გაჭიმულიყო და წინ იცქირებოდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იქ სწორედ შურიკა ეჯდა, ოდნავ მარცხნივ კი – ვოლოდინი, ცხადი გახლდათ, რომ მათ კი არა, არაფერს არ უყურებდა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მის თავს ზემოთ, მაღლა, შორეთში ნათლის სვეტი აღიმართა. თავდაპირველად ეს სვეტი ძაფივით წვრილად ჩანდა, მაგრამ, როგორც კი შურიკამ და ვოლოდინმა ყურადღება მიაპყრეს, უეცრად გაფართოვდა, აკაშკაშდა

და თან ყოვლად უცნაურად მდელოსა და კოცონის ირგვლივ მჯდომებს კი არ ანათებდა, არამედ მხოლოდ თავის თავს. ჯერ კოლიანის თავისხელა გახდა, მერე კოცონი და ოთხივე ირგვლივ მსხდომიც მოიცვა, ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ირგვლივ მხოლოდ ეს ნათელიღა იყო და სხვა აღარაფერი.
– ავოე! – ყოველი მხრიდან მოფრინდა შურიკას ხმა. კაცმა რომ თქვას, არანაირი ყოველი მხარე აღარ არსებობდა. აღარც ხმები. ბგერების ნაცვლად ერთგვარი მყოფობა დარჩენილიყო, რომელიც არსებობას იმგვარად აცხადებდა, რომ მიხვდებოდი, შურიკაა. ხოლო ამ განცხადების აზრი კი იმგვარი გახლდათ, რომ უკეთეს სიტყვას ვერ მოუძებნიდით – ავოე!
– ნაღდი ავოეა. ვოლოდინ, გესმის ჩემი?
– მესმის, – ყოველი მხრიდან გამოეხმაურა ვოლოდინი.
– ესაა მარადიული კაიფი?
– მე რას მეკითხები, თვითონ ვერ ხედავ? შენ ახლა ყველაფერი იცი და ყველაფერი გესმის.
– ჰო... ეს რაღაა ირგვლივ? აჰ, ჰო... რა თქმა უნდა. ყველაფერი სადღაც დაიკარგა?
– არსადაც არ დაკარგულა. ყველაფერი თავის ადგილზეა. უკეთ დააკვირდი.
– ჰო, მართალია. კოლიან, სად ხარ? როგორ ხარ?
– მე! – გაიჟღერა მანათობელმა სიცარიელემ, – მე!
– ეი, კოლიან, ხმა ამოიღე!
– მე!!! მე!!!
– მაინც სინამდვილეში როგორაა ეს ყველაფერი, ჰა? ვინ იფიქრებდა? – განაგრძობდა აღგზნებული და ბედნიერი შურიკა, – ვერასდროს ვერ ვიფიქრებდი. გესმის, ვოლოდინ, არაფერი არ მითხრა, თვითონ მივხვდები... ვერავინ ვერ იფიქრებდა... მაგრამ იცი, რას გეტყვი, უბრალოდ იმიტომ, რომ ამის შესახებ ფიქრი

შეუძლებელია. შანსი არ არი. შანსი არ არი, რომ ეს იფიქრო.
– მე!!! – გაიხმიანა კოლიანმა.
– და თან თურმე ამაზე საფარაჯა ქვეყანაზე არაფერია, – განაგრძო შურიკამ, – აბსოლუტურად არაფერი. ყველაფერი ვიცი, ყველაფერს ვხედავ. რასაც გინდა, დავინახავ და გავიგებ. აი, თუნდაც... ეგრეა... გესმის, კოლიან, ბრუციანი მაშინ სულ ტყუილად მივაწვინეთ, ის მაყუთი მაგის წაღებული ნაღდად არ ყოფილა... ის მაყუთი... ხომ შენ მოტეხე, კოლიან?
– მე!!! მე!!! მე!!! მე!!!
– მაგ ბაზარს შეეშვი, – ჩაერია ვოლოდინი, – თორემ ყველას დაგვხოცავს!
– ოხ, ეგ ნაბოზარი, – აყვირდა შურიკა, – ყველა გადაგვაგდო!
– გეუბნები, მოკეტე. რა დროს ეგაა. შენ თავს მიხედე.
– რომელ ჩემს თავს?
– აი, ახლა რომ ბლატაობს, აი, მაგას მიხედე.
– ჩემს თავს? ვაი... ჰო... ვაი...
– ხედავ? შენ კიდევ აგიჩემებია, ამაზე საფარაჯა ქვეყანაზე არაფერიაო.
– მართალი ხარ... ეგრეა... ვაიმე, ჩემი! გესმის, ვოლოდინ, ისე, მართლა საფარაჯაა. ძალიან საფარაჯა. მართლა ძალიან მეშინია. ვოლოდინ? გესმის? სინათლე სადღა გაქრა, ვოლოდინ? მეშინია!
– ხომ ამბობდი, ამქვეყნად არაფრის მეშინიაო, – თქვა ვოლოდინმა, თავი ასწია და გაფართოებული თვალებით სიცარიელეს შეხედა, თითქოს მასში ვიღაც დაინახაო.
– აბა, – თქვა ხმაშეცვლილმა, თან შურიკას და კოლიანს ხელი ჰკრა, – დავახვიეთ, სწრაფად!
– ვოლოდინ, შენი ხმა თითქმის აღარ მესმის! – ღრიალებდა შურიკა და აქეთ-იქით ირწეოდა, – ვოლოდინ, მეშინია! ეი, კოლიან, ხმა გამეცი, კოლიან!

– მე. მე. მე.
– ეი, კოლიან, მხედავ? მარტო შენს თავს ნუ უყურებ, თორემ სულ დაბნელდება, მხედავ, კოლიან?
– მე? მე?
– ტყეში გავიქცეთ, ჩქარა! – გაიმეორა ვოლოდინმა და წამოხტა.
– რომელ ტყეში? აკი სინამდვილეში არანაირი ტყე არ არსებობს?
– მთავარია, გაიქცე, ტყე თვითონ წარმოიქმნება. მიდი, დააწექი! შენც, კოლიან, დაითესე. კოცონთან შევიკრიბებით.
– მე? მე? მე?
– ტრაკში ყ...! გეუბნები, ტყეში გავიქცეთ! გვენძრევა! კიდევაც რომ დაგვეშვა, თითქოს კოცონი, რამდენიმე საათის განმავლობაში მდელოზე რომ გიზგიზებდა, ნამდვილად ჰაწია სამყარო იყოო, ახლა ამ სამყაროს არსებობა უკვე შეეწყვიტა და მისი ბინადრების მთელი სატანჯველი მასთან ერთადვე ჩაფერფლილიყო. მდელო ბნელი, ცარიელი და უსახური გამხდარიყო, მხოლოდ მსუბუქი კვამლი თრთოდა დამქრალ ნაღვერდლებზე.
უეცრად მანქანაში რადიოტელეფონი აწკრიალდა და წამსვე ბუჩქებში რომელიღაც ჰაწია დამფრთხალმა მხეცმა ჩაიშლიგინა. რადიოტელეფონი დიდხანს რეკავდა. დაახლოებით მეოცე ზუმერზე ეს გულმოდგინება, როგორც იქნა, სათანადოდ დაფასდა. ტყიდან ფიჩხის ტკაცატკუცი და სწრაფი ნაბიჯების ხმა გაისმა, ბუნდოვანი ლანდი მდელოს გავლით მანქანისკენ გაექანა და გაისმა:
– ალო! სააქციო საზოგადოება «ულტიმა ტულე» გისმენთ. გიცანი, რა თქმა უნდა, გიცანი. სერიოჟა მონგოლოიდს უთხარი, ნუ გამაბრაზებს. არავითარი გადარიცხვა. ქეში დეღეგეს გარეშე და ხელშეკრულება

დაიხევა. ხვალ კანტორაში, ათზე... არა, ათზე კი არა, თორმეტზე. მორჩა.
ეს ვოლოდინი გახლდათ. ყურმილი დაკიდა, მანქანის საბარგული ახსნა, კანისტრა მოძებნა და კოცონის ნარჩენს ბენზინი მიასხურა. არაფერი არ მომხდარა – ეტყობა, ცეცხლი ბოლომდე ჩამქრალიყო.
მაშინ ვოლოდინმა ასანთს გაჰკრა, მიწაზე დააგდო და წითელ-ყვითელი კაშკაშა ალი ზემოთ აიჭრა. კანისტრა საბარგულში ჩადო. რამდენიმე წუთის განმავლობაში მდელოზე ფიჩხს აგროვებდა და ცეცხლში ისროდა. ტყიდან სინათლეზე შურიკა და კოლიანი რომ გამოლასლასდნენ, კოცონი უკვე თავის ძველ ადგილას გიზგიზებდა.
რიგრიგობით გამოჩნდნენ. ჯერ კოლიანი გამოვიდა – მდელოზე სანამ შეაბიჯებდა, რატომღაც დიდხანს ბუჩქებში იჯდა და თითებს შორის ცეცხლს უცქერდა. მერე კოცონთან მიახლოება გაბედა და თავის წინანდელ ადგილზე უხმოდ დაეშვა.
შურიკა ათი წუთის შემდეგ მოვიდა – ხელში გრძელმაყუჩიანი «ტეტე» ეჭირა, მდელოზე გამობოდიალდა, კოლიანსა და ვოლოდინს დახედა და პისტოლეტი თავის ქაშმირულ ბუშლატში შეინახა.
– მე თუ ეს ნაგავი ჩემს სიცოცხლეში ერთხელ მაინც პირში ჩავიდო... – ყრუდ წარმოთქვა, – მილიონიც რომ მომცენ. ორი მჭიდი გავისროლე და ვის ვესროდი, აზრზე არა ვარ.
– არ მოგეწონა? – ჰკითხა ვოლოდინმა.
– თავიდან არა უშავდა, – მიუგო შურიკამ, – მაგრამ მერე... მისმინე, სანამ აფეთქდებოდა, რაზე ვლაპარაკობდით?
– რომელ აფეთქებაზე ლაპარაკობ? – ჰკითხა გაკვირვებულმა ვოლოდინმა.
– აი, ის... რაც ჰქვია...
შურიკამ ვოლოდინს შეხედა, თითქოს იმედოვნებს,

საჭირო სიტყვებს მიკარნახებსო, მაგრამ ვოლოდინი დუმდა.
– მოკლედ, – თქვა შურიკამ, – ჯერ მარადიულ კაიფზე ვბაზრობდით, ეს მახსოვს. მერე ბაზარმა სადღაც გაუხვია, აქეთური-იქითური, მერე სინათლემ დაგვცხო თვალებში... შენ თვითონ არ ყვიროდი, ტყეში დავითესოთო? აზრზე რომ მოვედი, თავიდან მეგონა, მანქანა აგვიფეთქდა, «ნეფტტეხპრომის» ვირიშვილებმა ალბათ ბომბი დაგვიდეს-მეთქი... მერე ვიაზრე, არა-მეთქი. ცეცხლი კი იყო, ცვეტში, მაგრამ ბენზინის სუნად არ ყარდა. ესე იგი ფსიქიკა იყო-მეთქი.
– კი, – თქვა ვოლოდინმა, – ფაქტია. ფსიქიკა იყო.
– ეგ, რა, ის შენი მარადიული კაიფი იყო? – ჰკითხა შურიკამ.
– ჩათვალე, რომ ეგ იყო.
– ყველას როგორ დაგვანახვე?
– ეგ მე არ მიქნია, – მიუგო ვოლოდინმა, – კოლიანმა ქნა. მაგან ჩაგვითრია.
შურიკამ კოლიანს გახედა. მან მხრები აიჩეჩა, ვერაფერი გამიგიაო.
– კი, – განაგრძო ვოლოდინმა, თან კოცონთან მიმოყრილ ნივთებს აგროვებდა და მანქანის ღია კარში ყრიდა, – ეგეთი ამბავია. შურიკ, ხედავ მაგ შენს ძმაკაცს? გაგებით არასოდეს ბრწყინავდა და აგერ, მასზე გარდამოვიდა. მართალს ამბობენ, ნეტარ არიან სულით გლახაკნიო.
– შენ, რა, წასვლას აპირებ? – ჰკითხა შურიკამ.
– ვაპირებ, – თქვა ვოლოდინმა, – დროა. თორმეტზე «ნეფტხიმპრომთან» სტრელი გვაქვს. სანამ ჩავალთ, ისა, ესა...
– მოკლედ, წესიერად არაფერი აღარ მახსოვს, – დააჯამა შურიკამ, – ოღონდაც რაღაც უცნაურად ვარ. ჩემს სიცოცხლეში პირველად რაღაც კარგი მინდა

გავაკეთო. ეგებ ვინმეს დავეხმარო, ან წვალებას გადავარჩინო. რომ ავიღო და ყველა, ყველა გადავარჩინო...
წამით ვარსკვლავიან ზეცას ახედა და მეოცნებე, ამაღლებული სახე გაუხდა. ჩუმად ამოიოხრა, მერე, ეტყობა, გონს მოვიდა, კოცონისკენ ნაბიჯი გადადგა, თავის ორივე თანამგზავრს ზურგი აქცია, ხელები ქამართან ააფათურა და ცეცხლის ალები აქაფებული ჭავლის მძიმე დარტყმისგან მყის დაიშრიტნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანა უკვე სოფლის შარას დასდგომოდა, გზაზე მეტად ტყეში გათხრილ არცთუ ღრმა სანგარს რომ მიაგავდა. კოლიანი უკანა სავარძელში ხვრინავდა, საჭესთან მჯდარი ვოლოდინი ფარებით გაჭრილ სიბნელეს გაჰყურებდა, ჩაფიქრებული შურიკა კი ქვედა ტუჩს იკვნეტდა.
– მომისმინე, – თქვა ბოლოს, – აი, რა ვერ გავიგე. ხომ თქვი, მარადიული კაიფი ერთხელ თუ დაიჭირე, აღარასოდეს აღარ დამთავრდებაო.
– არც დამთავრდება, – მიუგო ვოლოდინმა, მოიღუშა და საჭე მკვეთრად მოატრიალა, – თუ ნორმალურად მისვლას შეძლებ, კარიდან. ახლა კი ჩვენ, ასე ვთქვათ, სარკმლიდან გადავძვერით. ჰოდა, სიგნალიზაციაც ჩაირთო.
– მაგარი სიგნალიზაციაა, – თქვა შურიკამ, – მართლა მაგარია.
– ეგ რა არის, – თქვა ვოლოდინმა, – შეეძლოთ დავეჭირეთ კიდეც. აი, ის ნიცშე, კოლიანი რომ ბაზრობდა, სწორედ ეგრე ჩავარდა.
– რო იჭერენ, მერე სად მიყავთ? – მოწიწებით წარმოთქვა შურიკამ.
– ფიზიკურ დონეზე – საგიჟეთში, ხოლო ნატიფ დონეზე – არც კი ვიცი. გამოცანაა.
– მისმინე, – ჰკითხა შურიკამ, – შენ თვითონ იქ ასე

პირდაპირ შედიხარ ხოლმე? როცა გინდა?
– არა, – თქვა ვოლოდინმა, – მე... როგორ აგიხსნა... ვერ ვეტევი. ცხოვრებაში ძალიან ბევრი სულიერი სიმდიდრე დავაგროვე, ამისგან გათავისუფლება კი ბევრად ძნელია, ვიდრე დაჭრილი ლანჩიდან მძღნერის ამოწმენდა. ამიტომ, ჩვეულებრივ, წინ სულით გლახაკს ვაგზავნი ხოლმე, ჩემამდე ნემსის ყუნწში რომ გაეტიოს და კარი შიგნიდან გააღოს. როგორც ახლა. ოღონდაც რას ვიფიქრებდი, რომ თუ ორი სულით გლახაკი შეიყრებოდა, ასეთ შუხურს ასწევდნენ.
– რა შუხურს?
ვოლოდინმა პასუხი არ გასცა – გზის რთული მონაკვეთი უნდა გაევლო. მანქანა შეინჯღრა, მერე კიდევ. რამდენიმე წამის განმავლობაში ძრავა დაძაბულად ღმუოდა და აღმართ ბორცვზე მიფოფხავდა, მერე კი მოუხვია და უკვე ასფალტზე გადასულმა სიჩქარე აკრიფა. შემხვედრად ძველმა «ჟიგულიმ» ჩამოიქროლა, მერე რამდენიმე საბარგოსგან შემდგარმა სამხედრო კოლონამ. ვოლოდინმა რადიო ჩართო და წუთის შემდეგ მანქანაში მსხდომი ოთხეულის ირგვლივ ჩვეული, ნაცნობი და უკანასკნელ წვრილმანამდე გასაგები სამყარო შეიკრა.
– რა შუხურიო, რას ამბობდი? – გაიმეორა შურიკამ კითხვა.
– კარგი, – თქვა ვოლოდინმა, – მერე გავიაროთ. საშინაო სამუშაო გექნება. ჯერ ის ვიფიქროთ, «ნეფტხიმპრომს» რას ვეუბნებით.
– ეგ შენ იფიქრე, – თქვა შურიკამ, – ჩვენ, რა, ჩვენ სახურავი ვართ, სხვენი შენ ხარ.
ერთხანს იყუჩა.
– მაინც ვერაფრით ვერ მოვტვინე, – თქვა, – ბოლო-ბოლო მაინც ვინ არის ის მეოთხე?

«მართლაცდა, ვინ იყო ის მეოთხე? ვინ იცის. ეგებ ეშმაკი, მარადიული უკუნიდან ამოთრეული რამდენიმე წარწყმედილი სულის თან წასატანად. ან ეგებ ღმერთი, რომელიც, როგორც ამბობენ, ცნობილი მოვლენების შემდეგ მიწაზე გამოჩენას ინკოგნიტოდ არჩევს, რომ ირგვლივ მყოფებს მაინცდამაინც თვალში არ შეეჩხიროს და ძირითადად მაშვრალებსა და ცოდვილებს ეკონტაქტება. ან კიდევ – და ალბათ ასეცაა – კიდევ ვინმე სულ სხვა იყო, ვიღაც გაცილებით რეალური, ვიდრე კოცონთან მსხდომნი, რადგან არავითარი გარანტია არ გაგვაჩნია, რომ ვოლოდინი, კოლიანი და შურიკა თავისი მამლებიანად, ღმერთებიანად, ეშმაკებიანად, ნეოპლატონიკოსებიანად და XX ყრილობიანად ოდესმე საერთოდაც არსებულიყვნენ. არ გაგვაჩნია და არც არასდროს არ გვექნება ამის გარანტია, მაგრამ შენ, შენ თვითონ, ახლა კოცონთან რომ ზიხარ, შენ ხომ მაინც არსებობ სინამდვილეში და განა ეს არ არის უპირველესი მათ შორის, რაც რომ არსებობს და ოდესმე არსებულა?»
ჩაპაევმა ხელნაწერი სეკრეტერის სახურავზე დადო და ერთხანს კაბინეტის მომრგვალებულ ფანჯარაში იყურებოდა.
– ასე მგონია, პეტკა, შენში ლიტერატორს მეტისმეტად დიდი ადგილი უჭირავს, – თქვა ბოლოს, – ეს მიმართვა მკითხველისადმი, რომელიც სინამდვილეში არც კი არსებობს – საკმაოდ იაფფასიანი ხერხია. დავუშვათ, რომ ჩემ გარდა ამ გაუგებარ ისტორიას კიდევ ვინმე წაიკითხავს, მერწმუნე, საკუთარი არსებობის თავისთავად აშკარა ფაქტს კი არ დაუფიქრდებიან, არამედ ალბათ შენ წარმოგიდგენენ, ამ სტრიქონების ავტორს. და მეშინია...
– მე არ მეშინია არაფრის, – ნერვიულად შევაწყვეტინე

და პაპიროსს მოვუკიდე, – დიდი ხანია აღარ მადარდებს. უბრალოდ, ჩემი უკანასკნელი კოშმარი, როგორც შევძელი, ისე ჩავიწერე. ეს აბზაცი კი... როგორ გითხრათ... ინერციით... ბატონ ბარონთან საუბრის შედეგად გაჩნდა.
– ჰო, მართლა, რაო ბარონმა? – მკითხა ჩაპაევმა, – რაკიღა ყვითელი ფაფახით დაბრუნდი, ემოციური საუბარი გაგიმართავთ.
– ო, დიახ, – ვთქვი, – თუ განვაზოგადებთ, მირჩია, საავადმყოფოდან გაეწერეო. მუდმივი შფოთვითა და ვნებებით, არაფრის შესახებ ფიქრით, არსად გაქცევით აღსავსე ამქვეყნიურობა საგიჟეთს შეადარა, მერე კი, თუ სწორად გავიგე, ამიხსნა, რომ სინამდვილეში არც საგიჟეთი არსებობს, არც თვითონ, და არც თქვენ, ძვირფასო ჩაპაევ, არამედ მხოლოდ მე ვარ.
ჩაპაევს გაეცინა.
– აი, თურმე როგორ გაგიგია. საინტერესოა. ამ საკითხს მერე მივუბრუნდებით, პირობას გაძლევ. ხოლო რაც შეეხება საგიჟეთიდან გამოწერის რჩევას, ჩემი აზრით, ამაზე უკეთ ვერავინ ვერაფერს იტყოდა. არც ვიცი, მე თვითონ აქამდე რატომ აზრად არ მომივიდა... მართლაც, იმის ნაცვლად, რომ ყოველმა ახალმა კოშმარმა, შენი აღგზნებული ცნობიერება ღამღამობით რომ წარმოშობს, დაგზაფროს…
– მაპატიეთ, ვერ მივხვდი, – ვთქვი, – კოშმარს ჩემი აღგზნებული ცნობიერება ქმნის თუ თვით ცნობიერებაა კოშმარის პირმშო.
– ეგ სულერთია, – ხელი ჩაიქნია ჩაპაევმა, – ყველა ეს სინტაქსური კონსტრუქცია მხოლოდ იმად გვჭირდება, რომ მათვე თავი ერთხელ და სამუდამოდ დავაღწიოთ. სადაც უნდა ამოყო თავი, იმ სამყაროს კანონებით უნდა იცხოვრო, რომელშიც მოხვედრილხარ და თვით ეს კანონები საიმისოდ უნდა გამოიყენო, რომ მათგან

გათავისუფლდე. გამოეწერე საგიჟეთიდან, პეტკა.
– მგონი, მიგიხვდით მეტაფორას, – ვთქვი, – მაგრამ მერე რაღა უნდა მოხდეს? კიდევ შეგხვდებით?
ჩაპაევმა გაიღიმა და ხელები გულზე დაიკრიფა.
– სიტყვას გაძლევთ, – თქვა.
ზრიალი გაისმა და ფანჯრის მინის ზედა ნაწილი იატაკზე ჩამოიფშვნა. ქვა კედელს შეენარცხა და ბიუროს მახლობლად დაეცა. ჩაპაევი ფანჯარას მიუახლოვდა და ეზოში ფრთხილად გაიჭვრიტა.
– ფეიქრები? – ვკითხე.
ჩაპაევმა თავი დამიქნია.
– სულ გალოთდნენ, – თქვა.
– რატომ ფურმანოვს არ დაელაპარაკებით? – ვკითხე.
– არა მგონია, მაგათი მართვა მოახერხოს, – მიპასუხა ჩაპაევმა, – მეთაურად აქამდე მხოლოდ იმიტომ დარჩა, რომ სულ ისეთ ბრძანებებს იძლევა, როგორიც ფეიქრებს გაუხარდებათ. ერთი ფეხი რომ წაუცდეს, სიტუაციაზე კონტროლს დაკარგავს და მყის ახალ მეთაურს გაიჩენენ.
– გამოგიტყდებით, ეს ამბავი ძლიერ მაშფოთებს, – ვთქვი, – ასე მგონია, სიტუაცია უკვე აღარც კონტროლდება. არ გეგონოთ, პანიკას ვთესავდე, მაგრამ რომელიღაც ერთ მომენტში შეიძლება ცუდ დღეში ჩავცვივდეთ... გაიხსენეთ, ბოლო დღეებში რა ამბავი ტრიალებდა...
– დღეს ყველაფერი გაირკვევა, – თქვა ჩაპაევმა და გამჭოლად მომაცქერდა, – ჰო, მართლა, რაკიღა ამ მართლაც სამწუხარო პრობლემას შეუშფოთებიხარ, განზე რატომ უნდა დარჩე? საზოგადოების გართობაში დამეხმარე, ისე მოაჩვენე, თითქოს ამ ბაკქანალიაში ჩვენც ჩავერთეთ, მინდა იფიქრონ, ყველანი ერთ პირზე ვდგავართო.
– როგორ?

– დღეს ერთგვარი კონცერტი გაიმართება – მებრძოლები ერთმანეთს სხვადასხვაგვარ ეე... მასხრობებს უჩვენებენ, ვისაც რა შეეძლება. ჰოდა, ხომ არ გამოხვიდოდი, რაიმე რევოლუციური რომ წაგეკითხა? ისე, «მუსიკალურ სათუთუნეში» რომ ჩაატარე.
თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი.
– იცით, მთლად დარწმუნებული არ ვარ, რომ ამ კონცერტის სტილისტიკაში ჩავეწერები. მეშინია, რომ...
– წეღან არ ამბობდი, არაფრის არ მეშინიაო, – შემაწყვეტინა ჩაპაევმა, – მერე კიდევ, მოვლენებს ფართოდ გახელილი თვალებით უცქირე. ბოლოს და ბოლოს, შენც ჩემი ერთ-ერთი მებრძოლთაგანი ხარ და გავალებ, სხვებს დაანახვო, როგორი მასხრობა იცი. წამით მომეჩვენა, დამცინის-მეთქი, ისიც კი გავიფიქრე, ახლახან წაკითხულ ტექსტზე ამგვარად რეაგირებს-მეთქი. მაგრამ მერე მივხვდი, რომ სხვაგვარი ახსნაც არსებობდა. ეგებ, უბრალოდ, სურდა, დამენახა, რომ რეალური პერსპექტივის გადმოსახედიდან ყოველგვარი ადამიანური იერარქია ქრება და დიდი სხვაობა აღარაა პეტერბურგის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პოეტსა და ვიღაც მასხარა ჯარისკაცებს შორის.
– კარგი, – ვთქვი, – ვცდი.
– ძალიან კარგი, – თქვა ჩაპაევმა, – მაშ, საღამოს შევხვდებით.
სეკრეტერისკენ მიბრუნდა და ზედ გაწყობილ რუკას ჩაუღრმავდა. რუკაზე ქაღალდების დასტა იდო, რომელთა შორისაც რამდენიმე დეპეშა და ორი-სამი ლუქით დაბეჭდილი პაკეტი მოჩანდა. ქუსლები ერთმანეთს შემოვკარი (ჩაპაევმა ამ მოქმედებაში ჩაქსოვილი სარკაზმი ყურადღების ღირსად არ ჩათვალა) და კაბინეტიდან გამოვედი. კიბეზე დავეშვი და კარში ეზოდან შემოსულ ანას შევეფეთე. შავი

ხავერდის კაბა ეცვა, გულდახურული და მაღალსაყელოიანი, გრძელი, იატაკამდე დაშვებული კალთებით. აქამდე არც ერთი სამოსი ასე არ მოხდენია. კინაღამ დავეჯახე, ხელები ინსტინქტურად წინ გავიწვდინე და წამით უნებურად გულში ჩავიკარი, უხერხულად, მაგრამ მაინც ამაღელვებლად. მეორე წამსვე, თითქოს დენმა დამკრაო, უკან გავხტი, კიბის საფეხურზე წავიფორხილე და პირაღმა წავიქეცი. ალბათ ძალიან სასაცილო ვჩანდი, მაგრამ ანას არც კი გაუღიმია, პირიქით, სახეზე შიში აღებეჭდა.
– თავი ხომ არ დაგირტყამთ? – მკითხა, დაიხარა და ხელი მზრუნველად გამომიწოდა.
– არა, – ვთქვი, ხელი ჩავჭიდე და წამოვდექი, – გმადლობთ.
რომ წამოვდექი, ხელი არ წაურთმევია, წამით უხერხული პაუზა ჩამოვარდა და უეცრად, ჩემთვისვე მოულოდნელად ვუთხარი:
– ნუთუ არ გესმით, ეს მე კი არ ვარ ასეთი თავისთავად, არამედ თქვენ, თქვენ მხდით, ანა, ამქვეყნად ყველაზე დასაცინ არსებად.
– მე? რით?
– თითქოს ვერ ხედავდეთ... ღმერთმა თუ ეშმაკმა, არ ვიცი, რატომ, ჩემ სასჯელად გამოგაგზავნათ. სანამ გნახავდით, არც კი ვიცოდი, რა უშნო რამ ვარ. თავისთავად კი არა, იმ უმაღლეს და მიუწვდომელ სილამაზესთან შედარებით, რომლის სიმბოლოც ჩემს თვალში თქვენ ბრძანდებით... გავიხედე და, დავინახე... თითქოს სარკე ხართ, რომელშიც უფსკრული აღმოვაჩინე ჩემსა და ყოველივე იმას შორის, რაც ამქვეყნად მიყვარს, რაც მეძვირფასება და, საერთოდ, რასაც ჩემთვის რაიმე მნიშვნელობა და აზრი აქვს. და მხოლოდ თქვენ გესმით, ანა, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ დაუბრუნოთ ჩემს ცხოვრებას შუქი და აზრი,

რომელიც მას შემდეგ გაქრა, რაც პირველად დაგინახეთ იმ დალოცვილ მატარებელში! ჩემი ხსნა თქვენ ხელთაა, – ერთი ამოსუნთქვით ამოვარაკრაკე.
რაღა თქმა უნდა, ვიცრუე – არავითარი განსაკუთრებული უშუქობა და უაზრობა ანას დანახვას ჩემს ცხოვრებაში არ მოუტანია, იმიტომ რომ შუქი და აზრი იქ არც მანამდე ყოფილა, – მაგრამ იმწუთას, როდესაც ამას ვეუბნებოდი, თითოეული ჩემი სიტყვა წმიდათაწმიდა სიმართლედ მეჩვენებოდა. ანა მდუმარედ მისმენდა და სახეზე თანდათან უნდობლობა ეხატებოდა, განცვიფრებასთან შეზავებული – თითქოს რას, რას და, ამგვარი სიტყვების ჩემგან გაგონებას არასგზით არ ელოდაო.
– მე როგორ უნდა გიხსნათ? – მკითხა და წარბები შეყარა, – დამიჯერეთ, სიამოვნებით გიხსნიდით, მაგრამ საამისოდ რა უნდა მოვიმოქმედო?
მისი ხელი კვლავ ჩემსაში მეპყრა და უეცრად ვიგრძენი, როგორ გადამიარა გულზე გიჟური იმედის ცხელმა ტალღამ.
– იცით, ანა, – ვთქვი სასწრაფოდ, – სეირნობა ხომ გიყვართ? მე კოტოვსკის ბედაურები მოვუგე. აქ ახლომახლო უხერხული იქნება, ამიტომ მოდით საღამოს, რომ შებინდდება, ქალაქგარეთ გავისეირნოთ.
– რა? – მკითხა, – რისთვის?
– როგორ თუ «რისთვის»? მე მეგონა...
სახეზე დაღლა და მოწყენილობა მოაწვა.
– ღმერთო ჩემო, – თქვა და ხელი წამართვა, – რა უხამსობაა! ამას მერჩია, მაშინდელივით ხახვის სუნი აგსვლოდათ.
გვერდი ამიარა, კიბეზე სწრაფად აირბინა და ჩაპაევის კაბინეტში დაუკაკუნებლად შევიდა. ერთხანს ადგილზე დავრჩი, მერე სახის კუნთები დავიმორჩილე და ეზოს მივაშურე. მცირე ძიების შემდეგ ფურმანოვს მივაკვლიე

– შტაბის ფარდულში იმყოფებოდა, იქ იყო ჩაბუდებული. მაგიდაზე, მელნის ვეება ლაქის მახლობლად, ახლა სამოვარი დაედგათ მილზე ვოდევილურად ჩამოცმული ჩექმით – ეტყობოდა, ჩექმა ამ ადამიანებისთვის საბერველის დანიშნულებას ასრულებდა, სამოვართან, ჩვრებზე ქერცლგაცლილი ქაშაყი დაეჭრათ. ფურმანოვს ვუთხარი, ამ საღამოს კონცერტზე რევოლუციურ ლექსებს წავიკითხავ-მეთქი და ორ თანამეინახე ფეიქართან ერთად ჩაის სმაში ხელი მეტად აღარ შევუშალე (დარწმუნებული გახლდით, რომ მაგიდის ქვეშ არაყს მალავდა). ჭიშკარს გავცდი და გეზი ტყისკენ ავიღე.
უცნაურია, მაგრამ ჩემსა და ანას შორის ახლახან მომხდარ ამბავზე თითქმის არ ვფიქრობდი. ჩემს თავსაც კი მაინცდამაინც არ ვუბრაზდებოდი. მართალია, ერთი კი გამიელვა, ყოველ ჯერზე თითქოს შერიგებისკენ მიბიძგებს, მერე კი, როგორც კი ამ სატყუარას ჩავყლაპავ, აუცილებლად საშინლად საჩოთირო მდგომარეობაში მაგდებს-მეთქი, მაგრამ ეს აზრიც სრულიად ძალდაუტანებლად სადღაც გაქრა. ქუჩის აღმართს შევუდექი და აქეთ-იქით ვიცქირებოდი. მალე ქვაფენილი ავამთავრე, ცოტა კიდევ ვიარე და გზიდან გადავედი. ტყის პირას, ხის ქვეშ მოვიკალათე, ზურგით მივეყრდენი, მუხლებზე ორად გაკეცილი ფურცელი დავიდე და ფეიქართა მოსაწონი ტექსტი საკმაოდ სწრაფად დავწერე, ჩაპაევის თხოვნისამებრ, «მუსიკალური სათუთუნის» სულისკვეთებით, ანუ სონეტი სრულიად დანაწევრებული, თითქოს ხიშტებით დაფლეთილი რიტმითა და მინგრეულ-მონგრეული რითმებით. რომ მოვათავე, მერეღა მივხვდი, რომ მასში არანაირი რევოლუციური სიმბოლიკა არ შემეტანა და ფინალში რამდენიმე სტრიქონის გადაკეთება მომიხდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოვამთავრე, ხელნაწერი

გიმნასტურის ჯიბეში ჩავმალე და ის იყო, დაბრუნება
დავაპირე, რომ უცებ ვიგრძენი, იმ მცირედმა
ძალისხმევამ, ფეიქრებისთვის განკუთვნილი ამ პაწია
ლექსის დაწერას რომ დავახარჯე, დიდი ხნის წინ
მიძინებული შთაგონება გამოაღვიძა, უხილავი ფრთები
გამომესხა და სხვა დანარჩენის მიმართ აბსოლუტურად
განურჩეველი გავხდი. ხელმწიფის დაღუპვა გამახსენდა
(ეს მძიმე ამბავი ფურმანოვმა გვაცნობა) და ფურცლის
თეთრ სივრცეზე თავისდა უნებურად სუფთა, გამჭოლი
რითმებით გაჯერებული ანაპესტი გადმოიღვარა,
თითქოს წარსულის სასწაულებრივი ექოაო:
ორი მატროსი უსიერ ტყეში
მიუყვებოდა ბინდბუნდს ქარიანს,
და მიარღვევდნენ ტოტების ჯებირს
შავტყავიანი ძალუმი მხრებით.
მათი გულები ღრმად ჩაემარხა
ტყვიებით სავსე ჩანთებს ქამრიანს,
ხოლო ფეხები წყალს მიარღვევდნენ,
როგორც თევზები მდინარის წყლების.
გადაიღალა იმპერატორი,
ტყიდან არ მოჩანს შორი სოფლები,
მხარი მიურტყამს, სტკივა, უკვნესის,
მუხლიც აწუხებს, აწუხებს გულიც.
ბუჩქების მიღმა ხედავს სახეებს
სანიტრების და ვიღაც ოხრების,
და სხვა უღირსი პერსონაჟების,
შვილების, დამპალ რუსეთის სულის
ის ფიცის სიტყვებს ყურს აღარ უგდებს
და არც ყალბ რჩევას: თვალი დახუჭე...
არც მისი დედის ხშირ-ხშირ ხსენებას,
არც კონდახების მიწაზე ცემას.
ემშვიდობება იმპერატორი
ტყეს, მზეს ჩამავალს, ცარიელ ქუჩებს,

არ ენაღვლება, რას იტყვის ხალხი,
რაღას არ იტყვის ბოროტი ენა.
ამოიძახებს კუნძზე შემდგარი:
In the midst of this stillness and sorrow,
In these days of distrust
May be all can be changed — who can tell?
Who can tell what will come
To replace our visions tomorrow
And to judge our past?
სხვას ვერას გეტყვით, ხალხო, უკეთესს.
ის, რომ იმპერატორს ინგლისურად ვალაპარაკებდი, უცნაურად სულაც არ მეჩვენებოდა. ისღა აკლდა, სიკვდილის (ან კიდევ სხვა რამის, ზუსტად თვითონაც ვერ გამეგო) წინ სოვნარკომის დეკრეტებით წაბილწულ ენაზე ელაპარაკა. თუ რამე მიკვირდა, სანიტრები იყვნენ – წარმოდგენა არ მქონდა, ამ ლექსში რა ესაქმებოდათ. კაცმა რომ თქვას, საკუთარი ლექსების აზრი ბოლომდე არასდროს მესმოდა, დიდი ხნის წინ მივხვდი, რომ ავტორობა ბუნდოვანი რამაა და მას, ვინც კალამს ხელი მოჰკიდა და ფურცელს დაეღირა, მხოლოდ ის მოეთხოვება, რამენაირად სულში გაფანტული ჭუჭრუტანები ერთ რიგად ისე ჩაამწკრივოს, რომ ქაღალდს მოულოდნელად მზის სხივი დაეცეს. რომ დავბრუნდი, კონცერტი კარგა ხნის დაწყებული იყო. ეზოს კუთხეში ფეიქრებს დათლილი ღობის ფიცრებისგან სახელდახელოდ იმპროვიზებული ესტრადა აღემართათ, მებრძოლები ყოველი მხრიდან მოტანილ სკამებსა და სკამძელებზე დამსხდარიყვნენ და სცენაზე მიმდინარე მოვლენებს ყურადღებას არ აკლებდნენ. როცა მე მივედი, მაყურებლის ხარხარისა და სახუმარო რეპლიკების კორიანტელში სცენიდან აღვირით ცხენს მოათრევდნენ – ეტყობა, საბრალო ცხოველს რაღაცის ნიჭი ჰქონდა და მაყურებლის წინაშე

მისი დემონსტრირება აიძულეს. მერე ესტრადის კუთხეში ხმალშემორტყმული გამხდარი კაცი ავიდა, სახით სოფლის ათეისტს რომ ჩამოჰგავდა – როგორც შევატყვე, კონფერანსიეს მოვალეობას აღასრულებდა. ხმაურის ჩაცხრობას დაელოდა და საზეიმოდ წარმოთქვა:
– ორ ყ...იანი ცხენი რა უნდა იყოს. ახლა თქვენ წინაშე რიგითი სტრამინსკი წარდგება, მას თავისი ტრაკით რუსული სიტყვების წარმოთქმა შეუძლია და ხალხის გათავისუფლებამდე ცირკის არტისტად მუშაობდა. ჩუმად ლაპარაკობს, ამიტომ გთხოვთ, იყუჩოთ და არ იღრიალოთ.
სცენაზე სრულიად მელოტი სათვალიანი ახალგაზრდა ავიდა: გაოცებით აღვნიშნე, რომ ფურმანოვის ხალხის უმრავლესობისგან განსხვავებით, ინტელიგენტური, ყოვლად არამხეცური სახე ჰქონდა – ხშირი ჭინთვითა და ჭყანვით დანაოჭებული მარადიული მასხარას სახე. ანიშნა, ტაბურეტი მომაწოდეთო, ზედ ხელებით დაეყრდნო და დარბაზს გვერდულად დაუდგა, სახე კი მაყურებლისკენ მიაქცია.
– დიდო ნოსტრადამუს, – იკითხა, – მიპასუხე, მტრის სისხლიანი ჰიდრა წითელ არმიას წინააღმდეგობას კიდევ დიდხანს გაუწევს?
«ტრა» ისე მკაფიოდ და ხაზგასმით გამოკვეთა, რომ ამ სახელის წიაღში ჩაზმნავებულ პროლეტარული ფოლკლორის უსაყვარლეს სიტყვას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.
– უხილავმა ნოსტრადამუსმა მიუგო:
– დიდხანს არა.
– კი მაგრამ, მტრის ეს სისხლიანი ჰიდრა აქამდე როგორ ძლებს? – იკითხა პირმა.
– ანტანტა, – მიუგო უხილავმა მოსაუბრემ.
პასუხისას სცენაზე მყოფი პირს არ აღებდა,

სამაგიეროდ, გაშვერილ უკანალს მკვირცხლად ატრიალებდა. საუბარი პოლიტიკას შეეხო, ბელადის ჯანმრთელობას (ხმები დადიოდა, ლენინი მორიგი ინსულტით გორკში წევს და მასთან მხოლოდ დაცვის უფროსი შედისო) და დარბაზი მოჯადოებულივით გაირინდა.
მყისვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე. ერთხელ, დიდი ხნის წინ, ფლორენციაში მოხეტიალე მუცლით მეზღაპრე ვნახე, დანტეს სულს იხმობდა. სცენაზე მყოფი დაახლოებით იმავეს აკეთებდა, იმ განსხვავებით, რომ გაცემული პასუხების მიხედვით გამოდიოდა, რომ ევროპის ყველაზე ძველი მარქსისტი ნოსტრადამუსი იყო. იმას, რომ გამომსვლელი მუცლით მეზღაპრე გახლდათ, პასუხების განსაკუთრებული ჟღერადობა ადასტურებდა – ჩუმი, თითქოს მობუყბუყე და ოდნავ გაურკვეველი ბგერები. გაუგებარი ის გახლდათ, თუ რა საჭიროებას წარმოადგენდა ფეიქრების დარწმუნება, ამ ბგერებს უკანალით გამოვცემო.
ამ საშინლად საინტერესო საკითხის შესახებ თავდაპირველად ვიფიქრე, ალბათ წითელი ფეიქრებისთვის სულებთან საუბრის ჩვენება არ შეიძლება, რადგანაც, მათი შეხედულებით, არავითარი სულები არ არსებობენ-მეთქი. მაგრამ მერე დამკრა – მივხვდი, რომ საქმე ამაში სულაც არ გახლდათ. არა. გამომსვლელი, ეს სრამინსკი თუ რაღაცგვარი, ალღოთი მიმხვდარიყო, რომ ამ საზოგადოების ცნობისწადილს მხოლოდ რაიმე უხამსობის საშუალებით თუ მიიპყრობდა. თავისთავად, მისი უნარი სავსებით ნეიტრალური გახლდათ (რამდენადაც ვიცი, მუცლით მეზღაპრენი მართლა მუცლით კი არ ლაპარაკობენ, არამედ სამეტყველო ბგერებს დახურული პირით გამოსცემენ). ამიტომაც ამ ნიჭის უხამსად და საზიზღრად გამოყენება გახდა საჭირო.

ო, როგორ ვინატრე იმწამს, რომ გვერდში რომელიმე სიმბოლისტი მდგომოდა, მაგალითად, სოლოგუში აჯობებდა. ამაზე უფრო ღრმა სიმბოლოს სხვას რას ნახავდნენ. უფრო სწორად, ფართოს. აი, რა მოელის, დარდიანად ვფიქრობდი, ჩიხში შესულ ხელოვნებას, აი, ისტორიის ლოკომოტივი საით მიგვაქანებს-მეთქი. სადაც საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად ბალაგანის არტისტსა და მუცლით მეზღაპრეს ასეთი ხრიკების გამოგონება უწევდა, იქ პოეზიას რაღა დაემართებოდა? მისი ადგილი ახალ სამყაროში სულაც აღარ დარჩებოდა, ანდა, უფრო სწორად, ადგილი კი ექნებოდა, მაგრამ ლექსებს მხოლოდ მაშინ წაიკითხავდნენ, თუ ეცოდინებოდათ და დოკუმენტურადაც დადასტურდებოდა, რომ მათ ავტორს ორი ყ... აქვს, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, მათი ტრაკით წაკითხვა შეუძლია. რატომ, რატომაა-მეთქი, ვფიქრობდი, რომ ნებისმიერ სოციალურ კატაკლიზმას ამ სამყაროში ლექის აღზევება მოსდევს და გაბატონებული ნაგავი ყველა დანარჩენს აიძულებს, მისი დამპალი, კონსპირირებული კანონებით იცხოვროს?
ამასობაში მუცლით მეზღაპრემ კაპიტალის სამეფოს მალე დაღუპვა უწინასწარმეტყველა, მერე წვერიან ანეკდოტს მოჰყვა, რომელიც მაყურებელმა ვერ გაიგო და დასამშვიდობებლად ფიზიოლოგიური ხასიათის გრძელი ბგერები გამოუშვა, რომლებიც აუდიტორიამ კმაყოფილი სიცილ-ხარხარით გააცილა.
კონფერანსიემ ჩემი გამოსვლა გამოაცხადა. ჭრიალა საფეხურებს ავუყევი, სცენის კიდეზე დავდექი და დარბაზში შეკრებილთ მდუმარედ გადავხედე. უნდა ითქვას, უსიამოვნო სანახაობა გახლდათ. ზოგჯერ არის, რომ ტახის ან ირმის ფიტულებს შუშის თვალები თითქოს მეტყველად დაუჭყეტიათ და მნახველის

გონება მათ გარკვეულ გრძნობებსაც კი მიაწერს, თითქოს ცოცხლებივით იცქირებიანო, ყოველ შემთხვევაში, ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, ზუსტად ასე გამოიხედავდნენო. აქაც მსგავსი ვითარება იყო, ოღონდაც პირიქით – მართალია, ჩემკენ მომზირალი თვალთა სიმრავლე ცოცხალი იყო და მათში არეკლილი გრძნობებიც შეიცნობოდა, მე მაინც ვიცოდი, რომ სულ სხვა რამეს გამოხატავდნენ, ვიდრე მე მელანდებოდა და ცხოვრებაში ვერასოდეს ვერ ამოვშიფრავდი ამ თვალებში მოციმციმე აზრებს. თუმცა, არც ღირდა. ყველა როდი მიცქერდა – მთვრალი ფურმანოვი თავის ადიუტანტებს (მათ შემთხვევაში ამ თანამდებობის ეტიმოლოგია უეჭველად ჰადესთან მიგვიყვანდა) რაღაცას ელაპარაკებოდა; ერთ შორეულ რიგში ანა შევნიშნე – ქედმაღლური ღიმილით ჩალის ღეროს ღეჭავდა. ვფიქრობ, ეს ღიმილი მე არ მეკუთვნოდა – სცენისკენ არც კი გამოუხედავს. ისევ ის შავი ხავერდის კაბა ეცვა.

ბიჯი წინ წარვდგი, ხელები გულზე დავიკრიფე, მაგრამ კვლავინდებურად ვდუმდი, სადღაც გამჭოლად ვიცქირებოდი. მალე დარბაზი აჩოჩქოლდა, რამდენიმე წამში ჩოჩქოლი ღრიანცელად იქცა, სტვენა და ყიჟინა გაისმა. მაშინ საგანგებოდ ხმადაბლა ავლაპარაკდი:

– ბატონებო, ბოდიშს გიხდით, რომ პირით გელაპარაკებით, სამწუხაროდ, იმის დრო ვერ გამოვნახე, რომ ურთიერთობის აქ მიღებული ფორმები შემესწავლა...

ჩემი ეს პირველი სიტყვები არავის გაუგონია, მაგრამ ფრაზის დასასრულს ხმაური ისე ჩანავლდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით, არადა, ბლომად დაბზუოდნენ მაყურებელთა რიგებს.

– ამხანაგმა ფურმანოვმა მთხოვა, თქვენთვის ლექსები წამეკითხა, რაიმე რევოლუციური, – განვაგრძე მე, – მე,

როგორც კომისარმა, ამის თაობაზე ერთი რამ უნდა აღვნიშნო: ამხანაგი ლენინი გვაფრთხილებდა, ფორმებით ექსპერიმენტები ძალიან ნუ გაგიტაცებთო. ჩემ წინ გამოსულ ამხანაგს ნუ ეწყინება. დიახ, დიახ, თქვენ, ამხანაგო, ტრაკით რომ ლაპარაკობთ. ლენინი გვასწავლიდა, რომ რევოლუციურად ხელოვნებას გარეგნული უჩვეულობა კი არ ხდის, არამედ პროლეტარული იდეებით ღრმა, შინაგანი სისავსე. სამაგალითოდ ერთ ლექსს წაგიკითხავთ, რომელშიც ლაპარაკია ყველანაირ თავადებსა და გრაფებზე და რომელიც, იმავდროულად, პროლეტარული პოეზიის პატარა, მაგრამ ნათელი ნიმუშია.
რიგებში სრულმა და საბოლოო დუმილმა დაისადგურა.
თითქოს უხილავ კეისარს სამხედრო სალამს ვაძლევო, ხელი აღვმართე და ჩემი ჩვეული მანერით, ყოველგვარი ინტონირების გარეშე, მხოლოდ კატერნებს შორის მოკლე პაუზების დაცვით წავიკითხე:
– თავადის ქალს მეშჩერსკაიას ჰქონდა ერთი ერთობ დახვეწილი
კაბა შავი ხავერდის, ესპანური ღამის მსგავსი გახლდათ.
ჩაიცვა და გამოვიდა, რომ ენახა მეგობარი დიდი ხნით გადახვეწილი,
ის კი ქალის დანახვაზე აკანკალდა და მყის სადღაც გაქრა.
ო, რა საშინელებაა, როგორ მტკივა, ნეტავ რა მიშველის,
მოდი, ახლა ბრამსს დავუკრავ, კლავიშებზე თითებს ავაკუნტრუშებ,
მაგრამ ამ დროს ფარდის უკან მეგობარი დამალულა შიშველი,
ვნებიანად ჩამოიხევს გაშავებულ ფუნთუშებს
ამ ამბავს რას გაუგებენ დღევანდელი ბავშვები,
არ იციან, რომ ოდესღაც, გარდა გლეხთა და მუშათა კლასების,

გვყავდა კიდევ ერთი კლასი, ცოცხლად არგასაშვები კლასი ექსპლოატატორების, სისხლს რომ სვამდნენ მასების.
ჩვენს დროში კი უფლება აქვს ყველა მუშას თავადურად გაუყაროს შავ ფუნთუშას!
რამდენიმე წამის განმავლობაში მასების თავზე სიჩუმე იდგა, მერე კი უცებ იხუვლეს, ისეთი ტაში დაცხეს, ჩემი «მაწანწალა ძაღლისთვისაც» რომ არასოდეს დაუკრავთ. თვალის კიდე ანას ვკიდე – ადგა და გასასვლელს მიაშურა. გამოგიტყდებით, წარმატებამ გამაამაყა, რომ ამ პუბლიკის შესახებ ჩემი მჟავე აზრებიც კი გადამავიწყდა. ვიღაც უხილავს მუშტი მოვუღერე, ხელი ჯიბეში ჩავიყავი, ბრაუნინგი ამოვიღე და ჰაერში ორჯერ გავისროლე. პასუხად ლულათა ტყიდან ამოსროლილი კანონადა და აღფრთოვანებული ღრიალი მივიღე.
საზოგადოებას თავი ოდნავ დავუკარი, სცენიდან ჩამოვედი, ტაშის კვრით გართულ ფეიქრებს გვერდი ავუარე და შინისკენ გავწიე. წარმატებამ, ცოტა არ იყოს, თავბრუ დამახვია. ვფიქრობდი, ნამდვილი ხელოვნება, ყალბისგან განსხვავებით, გაუხეშებული გულებისკენ გზას თვითონ იკვლევს და შეუძლია, ადამიანები წამით მაინც ცაში აიყვანოს, იქ, სადაც ინფერნალური მსოფლიო ტრანსის უსასოო მსხვერპლნი თავისუფლების სრულ შეუზღუდავობას იგრძნობენ-მეთქი. თუმცა სულ მალე გონს მოველ – ჩემს თავმოყვარეობას მწარედ უჩხვლიტა მიხვედრამ, ტაში მარტო იმად დამიკრეს, რომ ჩემი ლექსი საკუთარი დაუსჯელობის კიდევ რამდენიმე გრადუსით გაფართოების ნებადამრთველ მანდატად მიიღეს: ლენინის მიერ დაშვებულ «ნაძარცვის ძარცვას» ახლა ზედ არცთუ მთლად გასაგები შავი ფუნთუშის წამოხევის უფლებაც დაემატა.
ჩემს ოთახში შევედი, დივანზე წამოვწექი, ხელები

თავქვეშ ამოვიდე და ჭერს ავაცქერდი. ვფიქრობდი, ყველაფერი, რაც ამ ბოლო ორი-სამი საათის განმავლობაში გადამხდა, რუსი ინტელიგენტის მარადიული, უცვლელი ბედის მშვენიერი ანარეკლია-მეთქი. წითელ დროშებზე ლექსების მალულად წერა და პოლიციის უფროსის დღეობისადმი მიძღვნილი ოდებით ფულის შოვნა ან, პირიქით, შინაგანი თვალით მეფე-ხელმწიფის უკანასკნელი ამოსუნთქვის შეგრძნება, ხმამაღლა კი არისტოკრატიული ფუნთუშების დაკოჟრებულ გენიტალიებზე წამოხევის შესახებ ლექსის წაკითხვა – მუდამ, მუდამ ასე იქნება, მაშინაც კი, თუკი, დავუშვათ, ამ საშინელ ქვეყანაში ხელისუფლებას ამჟამად მებრძოლი რომელიმე გუნდი კი არ მოიპოვებს, არამედ ის ისეთ თაღლითებსა და ქურდებს ჩაუვარდებათ ხელში, როგორებიც, მაგალითად, ნაირ-ნაირ «მუსიკალურ სათუთუნეებში» სხედან ხოლმე, მაშინაც კი რუსი ინტელიგენტი ძაღლის პარიკმახერივით შეკვეთის მისაღებად მათთან გაიქცევა-მეთქი.
ამ ყველაფერს ნახევრად მძინარე ვფიქრობდი, უცებ კარზე დაკაკუნებამ გამომაღვიძა.
– დიახ, დიახ, – დავიძახე. დივნიდან არც წამოვმდგარვარ, – მობრძანდით!
კარი გაიღო, მაგრამ არავინ შემოსულა. რამდენიმე წამს შევყოვნდი, მერე კი თავი ავწიე. ზღურბლზე იმავე შავ დახურულ კაბაში გამოწყობილი ანა იდგა.
– შეიძლება? – მკითხა.
– რასაკვირველია, – ვთქვი, – დაბრძანდით, გთხოვთ.
ანა სავარძელში ჩაეშვა, მე კი, როგორც კი წამით ზურგი მაქცია, იატაკზე დაგდებული დაფხრეწილი ფეხსახვევი ტერფის მარჯვე წაკვრით სასწრაფოდ საწოლქვეშ შევაცურე.
სავარძელში მჯდომმა ანამ ხელები მუხლებზე დაიწყო

და ერთხანს ჩაფიქრებული მიმზერდა, თითქოს რაღაც არცთუ ნათელ აზრს ბურუსში გაუხვევიაო.
– მოსწევთ? – ვკითხე.
თავი დამიქნია. პაპიროსი ამოვიღე და მაგიდაზე წინ დავუდე, იქვე საფერფლის შემცვლელი ფინჯანიც მივუჩოჩე და ასანთს გავკარი.
– გმადლობთ, – მითხრა, კვამლის წვრილი ჭავლი ზემოთ ააბოლა და ისევ გაყუჩდა. თითქოს თავის თავს ებრძოდაო. საუბრის წამოსაწყებად რაიმე ბანალურის თქმა დავაპირე, მაგრამ დროულად გამახსენდა, თუ რით მთავრდებოდა ხოლმე ჩემი ამგვარი წამოწყებები. თვით ანა ალაპარაკდა.
– ვერ გეტყვით, თქვენი ლექსი იმ თავადის ქალზე ძალიან მომეწონა-მეთქი, – თქვა, – მაგრამ კონცერტის დანარჩენი მონაწილეების ფონზე საკმაოდ შთამბეჭდავად გამოხვედით.
– გმადლობთ, – ვთქვი.
– ჰო, მართლა, წუხელ მთელი ღამე თქვენს ლექსებს ვკითხულობდი. გარნიზონის ბიბლიოთეკაში წიგნი ვიპოვე...
– რომელი?
– არ ვიცი, საწყისი გვერდები აკლია, ეტყობა, თამბაქოს შესახვევად ამოხიეს.
– ჩემი როა, როგორღა მიხვდით.
– რა მნიშვნელობა აქვს, ბიბლიოთეკარს ვკითხე. მოკლედ, იქ ერთი ლექსი იყო, პუშკინის ვარიაცია, როცა თვალს ვახელ, ირგვლივ მხოლოდ თოვლი, უდაბურება და ნისლიაო, მერე კი, მერე ძალიან ლამაზი სტრიქონებია. როგორ იყო... არა, მე თვითონ გავიხსენებ. აჰა. «გული სავსე გაქვს ვნებიან ფიქრით, შორს ჩაიქროლა მატარებელმა და არსაიდან არსაით მიქრის ცნობიერების ჭრელი პეპელა».
– მახსოვს, – ვთქვი, – მაგ წიგნს «მეს სამეფოს

სიმღერები» ჰქვია.
– რა უცნაური სათაურია. თვითკმაყოფილება გამოსჭვივის.
– არა, – ვთქვი, – ასე არაა. უბრალოდ, ჩინეთში იყო სამეფო, რომელსაც ერთმარცვლიანი სახელი ერქვა – ში. ყოველთვის მიკვირდა. გესმით, როცა ვამბობთ ტყე-ში, სახლ-ში, აქ კი უბრალოდ – ში. თითქოს რაღაც ისეთ ადგილს მიანიშნებს, სადაც სიტყვების მარაგი ამოწურულა და მხოლოდ შის თქმაღა შეიძლება. ში, მაგრამ კერძოდ რაში, გაუგებარია.
– ჩაპაევი უცილობლად გკითხავდათ, «მე»-ში რას გულისხმობო.
– მკითხა უკვე. წიგნს რაც შეეხება, უნდა გითხრათ, რომ იგი ჩემს ერთ-ერთ სუსტ კრებულად მიმაჩნია. როგორმე სხვებსაც წაგაკითხებთ. მათი განმარტება არ გამიჭირდება. ადრე ბევრს ვმოგზაურობდი და რომელიღაც მომენტში მივხვდი, სადაც არ უნდა წავიდე, სინამდვილეში მაინც ერთ სივრცეში ვიტრიალებ და ეს სივრცე მე თვითონ ვარ-მეთქი. ამიტომაც დავარქვი «მე», თუმცა ახლა, შესაძლოა, «შენ» დამერქმია, თუმცა ეს არ არის მთავარი.
– და სხვები? – მკითხა ანამ.
– სხვები? – ვკითხე მე.
– ჰო. სხვებზეც ხომ ბევრს წერთ. მაგალითად, – წარბები ოდნავ შეჭმუხნა, იხსენებდა, – თუნდაც ეს: «ძველ აბანოში შეგროვდნენ, ფეხზე ჩაიცვეს გეტრები, კედელზე შუბლის რტყმით თვალეს დღეებიც, კილომეტრებიც. ვერ ვიტან მაგათ სიფათებს, მორგის სუნი დგას მაგათთან, ჩემს სასიკვდილო ხიფათებს თავი თვით უნდა გავართვა. და მე...»
– საკმარისია, – ვთქვი, – მახსოვს. ვერ ვიტყვი, ჩემი საუკეთესო ლექსია-მეთქი.
– მე კიდევ მომწონს. საერთოდაც, პიოტრ, თქვენი წიგნი

ძალიან მომეწონა... მაგრამ თქვენ ჩემს კითხვას არ უპასუხეთ. სხვებს რა ვუყოთ?
– რას გულისხმობთ?
– თუ ყოველივე, რასაც ხედავთ, გრძნობთ და გესმით, თქვენშივეა, თქვენი «მეს» სამეფოში, მაშინ გამოდის, რომ სხვები არარეალურები არიან. მაგალითად, მე.
– მერწმუნეთ, ანა, – მხურვალედ წარმოვთქვი, – თუ სამყაროში ვინმე ჩემთვის რეალურია, ეს თქვენ ხართ. ისე განვიცდიდი ჩვენს... არ ვიცი, რა ვუწოდო, განშორებას, რომ...
– ჩემი ბრალია, – თქვა, – მართლა საძაგელი ხასიათი მაქვს.
– რას ბრძანებთ, ანა! ეს მე ვარ ასეთი. თქვენ ისეთი მოთმინების უნარი გამოამჟღავნეთ ჩემი სისულელეების მიმართ...
– მოდით, ერთმანეთს თავაზიანობაში ნუ შევეჯიბრებით. ჯობს, მითხრათ, მართალია, რომ თქვენთვის ისე მნიშვნელოვანი ვარ, როგორც რამდენჯერმე მითხარით?
– თქვენ ჩემთვის ყველაფერი ხართ, – სრულიად გულწრფელად მივუგე მე.
– რა კარგია, – თქვა, – თუ არ ვცდები, ეტლით გასეირნებას მთავაზობდით, ქალაქგარეთ. წავიდეთ?
– ახლა?
– რატომაც არა?!
მივუახლოვდი.
– ანა, ვერც კი წარმოიდგენთ...
– გემუდარებით, – თქვა, – აქ არა...
ჭიშკარს რომ გამოვცდით, ეტლი მარცხნივ მივმართე, ანა გვერდით მეჯდა, სახე შეფაკვლოდა და თვალს მარიდებდა; ვიფიქრე, ალბათ ნანობს ამ ამბავს-მეთქი. ტყემდე უსიტყვოდ ვიმგზავრეთ. როგორც კი თავს ზემოთ ტოტების მწვანე თაღი გადაგვეფარა და ცხადი

შეიქნა, რომ უცხოთა მზერას მივეფარეთ, ცხენები შევაჩერე.
– მისმინეთ, ანა, – ვთქვი და მივუტრიალდი, – მერწმუნეთ, მესმის თქვენი, მაგრამ, თუ ახლა სინანული შემოგეპარათ, მაშინ...
აღარ დამამთავრებინა, ხელები კისერზე მომხვია და ბაგე ბაგეზე მომაწება. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მე ჯერ კიდევ ვლაპარაკობდი, ის კი უკვე მკოცნიდა. ცხადია, ფრაზა, რომლის წარმოთქმასაც ვაპირებდი, არც იმდენად მიღირდა, რომ ქალისთვის ხელი შემეშალა. ამბორი მუდამ ადამიანური ურთიერთობის ერთობ უცნაურ ფორმად მიმაჩნდა. რამდენადაც ვიცი, კოცნა ცივილიზაციის მიერ მოტანილი ერთ-ერთი სიახლეა – როგორც ცნობილია, სამხრეთის კუნძულებზე მცხოვრები ველურები, ანდა აფრიკის ის მკვიდრნი, ჯერ რომ იმ ზღვარს არ გადასულან, რომლის გადალახვა პირველთაგან სწორედ ადამიანისთვის განკუთვნილი სამოთხის სამუდამო დაკარგვას ნიშნავს, ერთმანეთს არასოდეს კოცნიან. მათი სიყვარული სადა და მარტივია და ეგებ სიტყვა «სიყვარული» სულაც არ გამოხატავდეს იმას, რაც მათ შორის ხდება. სიყვარულს, არსებითად, მარტოობა წარმოშობს, როცა გვერდით ობიექტი არ გყავს და იმას კი არ მიემართება, ვინც გიყვარს, არამედ უფრორე გონებით აგებულ, ორიგინალის მცირედ მსგავს ხატებას. ნამდვილი სიყვარულის აღმოსაცენებლად ჯერ ქიმერების შექმნა უნდა შეგეძლოს; მე რომ მკოცნიდა, ანა სინამდვილეში იმ არარსებულ კაცს კოცნიდა, მისგან მოწონებული ლექსები რომ დაწერა. საიდან უნდა სცოდნოდა, რომ, როცა ამ ლექსებს ვწერდი, იმ კაცს მე თვითონ დავეძებდი და ყოველი ახლად დაწერილი სტრიქონი მარწმუნებდა, რომ ვერ ვიპოვიდი, რადგან არსად არ იყო. სიტყვები, რომლებსაც ქაღალდზე ტოვებდა,

ნაყალბევი გახლდათ და მონების მიერ გრანიტში გამოკვეთილ საფეხურებს ჰგავდა, რომლებითაც ბაბილონის მცხოვრებლები რომელიღაც ძველი ღვთაების დედამიწაზე გარდამოსვლის რეალურობას ამტკიცებდნენ. თუმცაღა ღვთაებები განა სწორედ ამგვარად არ ჩამოდიან? უკანასკნელი აზრი ანას ეხებოდა. მისი ათრთოლებული ენის წვერის შეხებას ვგრძნობდი, ნახევრად დახუჭულ წამწამებში ჩამალული მისი თვალები ისე ახლოს იყვნენ, მეგონა, მათ სველ ელვარებაში ჩაყვინთვას და სამუდამოდ გადნობას შევძლებდი. ბოლოს სუნთქვა აღარ გვეყო და ჩვენი პირველი კოცნა შეწყდა. სახე განზე მიატრიალა და ახლა მის პროფილს ვხედავდი, თვალები დახუჭა და ენით ზედა ტუჩები მოილოკა, თითქოს დაუშრაო – ყველა ეს პაწია მიმიკური მოძრაობა, სხვა სიტუაციაში სრულებით უმნიშვნელო და უაზრო რომ იქნებოდა, უჩვეულოდ მაღელვებდა. უცებ მივხვდი, რომ ერთმანეთისგან აღარაფერი გვყოფდა, რომ უკვე ყველაფერი შეიძლებოდა და ჩემი ხელი, ჩამოდებული მხარზე, რომელსაც წუთის წინ თითით ოდნავ რომ შევხებოდი, ჩემი საქციელი ლამის მკრეხელობად მომეჩვენებოდა, ახლა უბრალოდ და ბუნებრივად მის მკერდზე ჩაცურდა. ოდნავ უკან დაიხია, მაგრამ მყის მივხვდი – მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემს ხელს მეტი სამოქმედო სივრცე მისცემოდა.
– რას ფიქრობთ? – მკითხა, – ოღონდ მართალი მითხარით.
– რას ვფიქრობ? – ვთქვი და ხელები ყელზე ავუცურე, – ვფიქრობ, ბედნიერების უმაღლესი წერტილისკენ სწრაფვა მთაზე ასვლას საოცრად მიაგავს-მეთქი.
– ასე არა, კვანძი გახსენით. ასე არა, შეეშვით, მე თვითონ გავხსნი. მაპატიეთ, შეგაწყვეტინეთ.
– დიახ, რთულსა და რისკიან აღმასვლას ჰგავს. სანამ

ყველაზე სასურველი წინაა, თვით სწრაფვის პროცესი ყველა სხვა გრძნობას შთანთქავს. ყველა მორიგი ქვა, რომელსაც უნდა დაეჭინო, შამბის ყოველი ტოტი, რომელსაც უნდა მოეჭიდო... რა მშვენიერი ხართ, ანა... რას ვამბობდი... ჰო, სწორედ მიზანი აძლევს აზრს ამ ყოველივეს, მაგრამ მოძრაობის არც ერთ წერტილში თავს აბსოლუტურად არ ამჟღავნებს. არსებითად მიზნისკენ სვლა გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე თვით მიზანი. ერთი ოპორტუნისტი იყო, გვარად ბერშტაინი, ამბობდა, მოძრაობა ყველაფერია, მიზანი არაფერიო...
– ბერშტაინი კი არა, ბერშტეინი. ეს როგორ გაგიხსნათ... სად იშოვეთ ასეთი ქამარი?
– ო, ღმერთო, ანა, გინდათ, რომ გამაგიჟოთ...
– განაგრძეთ, – თქვა და წამით ამომხედა, – ოღონდ არ გეწყინოთ, თუ ერთხანს საუბარში ვერ ჩავებმები.
– დიახ, – განვაგრძე, თავი გადავაგდე და თვალები დავხუჭე, – მთავარი აქ ისაა, რომ მხოლოდ მწვერვალზე ასვლის შემდეგ, როდესაც მიზანი უკვე მიღწეულია, ის უგზო-უკვლოდ ქრება. არსებითად, როგორც გონებით შექმნილი ნებისმიერი ობიექტი, იგი მოუხელთებელია. აბა, თავად განსაჯეთ, ანა, როდესაც უმშვენიერეს ქალზე ოცნებობ, წარმოდგენაში მისი სილამაზე სრული სისავსით წარმოდგება, მაგრამ როდესაც მკლავებში მოიმწყვდევ, ეს ყველაფერი მეყსეულად ქრება და მარტივ, ხშირად ტლანქ შეგრძნებებზე დაიყვანება, რომელსაც, ჩვეულებრივ, სიბნელეში განიცდი... ო-ო-ო... მაგრამ როგორ ამღვრევენ სისხლს, სილამაზე, წუთის წინ რომ გიზიდავდა, ქრება და რაღაც ისეთით იცვლება, რისკენაც სწრაფვა სასაცილოდ გვეჩვენებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სილამაზე მიუწვდომელია. უფრო სწორად, მისაწვდომია, მაგრამ მხოლოდ თავის თავში, ხოლო ის, რასაც მის მიღმა ვნებით დამთვრალი გონება ეძებს, უბრალოდ, არ არსებობს. საწყისში სილამაზე...

არა, მეტი აღარ შემიძლია. აქ მოდით... აი, ასე. ჰო, ჰო. კარგია? ო, ღმერთო... როგორ მითხარით, როგორაა იმ კაცის გვარი, მოძრაობასა და მიზანზე რომ ლაპარაკობდა?
– ბერშტეინი, – ყურში ჩამჩურჩულა ანამ.
– განა მისი ეს მოსაზრება სიყვარულზეც არ ვრცელდება?
– ვრცელდება, – ჩაიჩურჩულა და ყურის ბიბილოზე მსუბუქად მიკბინა, – მიზანი არაფერია, მოძრაობა – ყველაფერი.
– ჰოდა, იმოძრავეთ, იმოძრავეთ, გემუდარებით.
– თქვენ კი ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ...
– რა ვთქვა?
– რაც გსურდეთ, ოღონდ ილაპარაკეთ. მინდა, იმ დროს თქვენი ხმა მესმოდეს.
– სიამოვნებით. მსჯელობა განვაგრძოთ... წარმოიდგინეთ, რომ ყველაფერი, რისი მოცემაც მშვენიერ ქალს შეუძლია, ასი პროცენტია.
– ნამდვილი ბუღალტერი ხართ...
– დიახ, ასი. აქედან ოთხმოცდაათს მაშინ იძლევა, როდესაც, უბრალოდ, ხედავ, ის დანარჩენი კი, რის გამოც ათასწლოვანი ვაჭრობაა გაჩაღებული, მარტოოდენ მცირედი ნაშთია. თან ეს პირველი ოთხმოცდაათი პროცენტი არანაირ შემადგენელ ნაწილებად არ იშლება, რადგან სილამაზე განუსაზღვრელი და განუყოფელია, მიუხედავად იმისა, თუ რას იცრუებს ამ თემაზე შოპენჰაუერი. რაც შეეხება დარჩენილ ათ პროცენტს, ეს, უბრალოდ, ნერვულ სიგნალთა ერთობლიობაა და გროში იქნებოდა მათი ფასი, წარმოსახვა და მახსოვრობა რომ არ დახმარებოდა... ანა, ერთი წუთით თვალი გაახილეთ, გთხოვთ... აი, ასე... დიახ, წარმოსახვა და მეხსიერება. იცით, მართლაც ძლიერი ეროტიკული სცენის დაწერა

რომ დამჭირდეს, რამდენიმე მინიშნებას გავაკეთებდი, დანარჩენს კი ბუნდოვანი საუბრით შევავსებდი, დაახლოებით... ო, ღმერთო, ანა... დაახლოებით ისეთით, ახლა რომ გაგვიბამს. რადგან აღსაწერი არაფერია – სურათი გონებამ უნდა შეავსოს. ტყუილი და ეგებ ქალურ საიდუმლოთაგან უმთავრესი ისაა, ო, ჩემო ალტაი-ვიდნიანსკელო ტკბილო გოგონავ... რომ სილამაზე ეტიკეტს ჰგავს, რომლის მიღმაც მასზე რაღაც განუზომლად მეტი, მასზე გამოუთქმელად უფრო სასურველი რამ უნდა იმალებოდეს, ის კი მხოლოდ მიანიშნებდეს. სინამდვილეში კი ეტიკეტს მიღმა განსაკუთრებული არაფერია... ცარიელ ბოთლზე მიკრული ოქროსფერი ეტიკეტია... მაღაზიაა, რომელსაც ბრწყინვალე ვიტრინა აქვს, ხოლო მის მიღმა მიმალულ ნაზ, ვიწრო, ვიწრო დარბაზში... გემუდარებით, სანატრელო, ასე ნუ ჩქარობთ... ჰო, ამ დარბაზში სიცარიელეა. გაიხსენეთ, ლექსი რომ წავუკითხე იმ უბედურებს. თავადის ქალზე და ფუნთუშაზე... აჰ, ანა... რაგინდ მიმზიდველიც უნდა იყოს, დგება მომენტი, როცა ხვდები, რომ ამ შავად შეღებილი ფუნთუშის შიგნით სიცარიელეა, სიცარიელეა-ა, სიცარი-ი-ე-ე-ლეა-ა-ა-ა!
– რა მოხდა? – წამოვიყვირე და ბალიშიდან თავი ავწიე.
– ჰუსტოტა! – ისევ გაბმით დაიძახეს კართან, – შეიძლება?
– Merde, – ჩავიბურტყუნე, წამოვჯექი და ოთახს გიჟური მზერა მოვავლე. ფანჯრიდან საღამოს ლურჯმა ბინდმა შემოიხედა, – რა ჯანდაბა გინდათ?
– შეიძლება შემოვიდე?
– შემობრძანდი.
კარი გაიღო. ზღურბლზე ქერათმიანი ფეხმონგრეული ჯეელი იდგა. ნომინალურად ჩემი დენშჩიკი გახლდათ (მგონი, სემიონი ერქვა, თუმცა დარწმუნებული არა ვარ),

მაგრამ ახლა, წითლების რამდენიმეკვირიანი გამხრწნელი გავლენის შემდეგ რას გაიგებდი, რა ედო გულში. ასე რომ, ღამით ჩექმებს თვითონ ვიძრობდი და მასთან ეზოში შეხვედრასაც ვერიდებოდი.
– გძინავს? – მკითხა და ოთახი მოათვალიერა, – გაგაღვიძე? მაპატიე. დღეს გაგვაკვირვე. ნახე, მებრძოლებმა რა გაჩუქეს.
ჩემ წინ საბანს რაღაც გაზეთში გახვეული საგანი დაებერტყა, რომელსაც განუსაზღვრელად ნაცნობი სუნი ასდიოდა. შეკვრა გავხსენი. შიგ ფუნთუშა აღმოჩნდა, ქალაქის მთავარ მოედანზე, საფუნთუშეში ნაყიდი, ოღონდაც სრულიად შავი, რადგან ზედ კუპრი ესვა, რომლითაც ჯარისკაცები ჩექმებს იპრიალებენ.
– რა, არ გაგიხარდა? – მკითხა დენშჩიკმა.
ერთი ავხედე და მყისვე მოუსვა იქიდან, ჯიბეში ბრაუნინგის მოსინჯვაც ვერ მოვასწარი, ისე აორთქლდა და მერე, როდესაც ღია კარის მართკუთხედში სამი ტყვია მივაყოლე, ისინი კორიდორში ქვითკირის კედლიდან ანგელოზური გალობით დარიკოშეტდნენ.
– ყველა ქალი ძუკნაა, – ხმამაღლა წარმოვთქვი და საწოლზე დავეგდე.
დიდხანს აღარავის შევუწუხებივარ. ფანჯრიდან მთვრალების ხორხოცი მოისმოდა, რამდენჯერმე გაისროლეს, მერე, მგონი, ხანგრძლივი ჩხუბიც ატყდა. ყურთასმენამდე მოღწეული ხმების მიხედვით ვასკვნიდი, რომ კონცერტი სრულ უსაქციელობაში გადაზრდილიყო, პეტერბურგელ ლიბერალებს თუ გამოთქმას დავესესხებით, ამ აბობოქრებულ სახალხო სტიქიას ქვეყნად ვერა კაცი ვეღარ გააკონტროლებდა. მერე კორიდორში, ღია კარიდან ჩუმი ნაბიჯების ხმა გავიგონე. წამით იმედმა გამიელვა – გრძნეული სიზმრებიც ხომ არსებობს-მეთქი, მაგრამ იმდენად სუსტი იმედი გახლდათ, რომ ზღურბლზე კოტოვსკის

მხარგანიერი ფიგურის დანახვაზე დიდად არ გამცრუებია, გულში გამეცინა კიდეც, ალბათ ისევ ცხენებისა და კოკაინის მოსავაჭრებლად მოსულა-მეთქი.
კოტოვსკი ყავისფრად შემოსილიყო, თავზე დარდიმანდული ფართოფარფლიანი შლაპა ეხურა, ორივე ხელში კი ტყავის ბაულები
ეჭირა. იატაკზე დააწყო და ორი თითი ქუდთან მიიტანა.
– საღამო მშვიდობისა, პიოტრ, – მითხრა, – კაცმა რომ თქვას, გამოსამშვიდობებლად მოვედი.
– მიემგზავრებით? – ვკითხე.
– დიახ, ან თქვენ რაღად რჩებით, – თქვა კოტოვსკიმ, – დღეს თუ არა, ხვალ მაინც ეს ფეიქრები აქაურობას გადაბუგავენ. არ ვიცი, ჩაპაევს რისი იმედი აქვს.
– დღესვე აპირებს პრობლემის გადაჭრას.
კოტოვსკიმ მხრები აიჩეჩა.
– იცით, რა, – თქვა, – პრობლემების გადაჭრა სხვადასხვაგვარად შეიძლება. ერთი მაგრად დათვრები და დროებით სულ გაქრებიან. მაგრამ მე მირჩევნია, იქამდე მოვუღო ბოლო, ვიდრე პრობლემები აქეთ არ მომიღებენ ბოლოს. მატარებელი საღამოს რვა საათზე გადის. ჯერ კიდევ დრო გაქვთ. ხუთ დღეში პარიზში ვიქნებით.
– მე ვრჩები.
კოტოვსკიმ ყურადღებით შემომხედა.
– იცით, გიჟი მგონიხართ, – მითხრა.
– რაღა თქმა უნდა.
– ბოლოს სამივეს დაგაპატიმრებენ და სათავეში ეს ფურმანოვი მოექცევა.
– მაგის არ მეშინია, – ვთქვი.
– მაშ, პატიმრობის არ გეშინიათ? ჰო, ბუნებრივია, რომ ჩვენ, რუს ინტელიგენტებს, საგიჟეთშიც კი შეგვრჩება ხოლმე a la Pushkine მალული თავისუფლება და ეგებ…

სიცილი ამივარდა.
– კოტოვსკი, ჩემი აზრების ამოცნობის გასაოცარი ტალანტი გაქვთ. დღეს სწორედ ამ თემაზე ვფიქრობდი, შემიძლია გიამბოთ კიდეც, თუ რა არის სინამდვილეში რუსი ინტელიგენტის ეგ მალული თავისუფლება.
– თუ ბევრ დროს არ წაგვართმევს, დიდი სიამოვნებით მოვისმენ, – მომიგო.
– ამ ერთი წლის წინ პეტერბურგში ერთობ საინტერესო ამბავი მოხდა. იცით, ვიღაც ინგლისელი სოციალ-დემოკრატები ჩამოვიდნენ და, ცხადია, ნანახმა თავზარი დასცათ. ბასეინაიაზე შევხვდით, პოეტთა კავშირის ხაზით. ალექსანდრ ბლოკიც იქ იყო და მთელი საღამოს განმავლობაში სტუმრებს სწორედ მაგ მალულ თავისუფლებაზე უამბობდა, რომელსაც ჩვენ, ყველანი, როგორც ბრძანა, პუშკინის მსგავსად ვუმღერით. უკანასკნელად მაშინ ვნახე, შავები ეცვა და წარმოუდგენლად უგუნებოდ გახლდათ. მერე წავიდა და ინგლისელები, რომლებმაც, ცხადია, ვერაფერი გაიგეს, შეეცადნენ, გაერკვიათ, მაინც რა არის ეს secret freedom . ვერავინ ვერაფერი ვერ აუხსნა, სანამ ვიღაც მათმა თანმხლებმა რუმინელმა არ თქვა, მე ვიცი, რაზეც არის ლაპარაკიო.
– გასაგებია, – თქვა კოტოვსკიმ და საათს დახედა.
– ნუ ღელავთ, ცოტაღა დამრჩა, – მან თქვა, რუმინულ ენაში არის იდიომა «ხაზ ბარაგაზ» თუ რაღაც ასეთიო. როგორ ჟღერს, ზუსტად ვერ დავიმახსოვრე. სიტყვასიტყვით «მიწისქვეშა სიცილს» ნიშნავსო. საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეებში რუმინეთს ხშირად ნაირ-ნაირი მომთაბარეები შეესეოდნენ ხოლმე და ამის გამო იქაური გლეხები ვეება მიწურებს აგებდნენ, მიწისქვეშა სახლებს, სადაც პირუტყვსაც კი მალავდნენ, თუ ვინიცობაა ჰორიზონტზე მტვრის ბუქი ავარდებოდა. თვითონაც იქვე ჩაილალებოდნენ და რადგანაც ეს

მიწურები დიდებულად ჰქონდათ შენიღბული, მომთაბარეები ვერაფერს პოულობდნენ. ცხადია, გლეხები მიწის ქვეშ სიჩუმეს იცავდნენ და მხოლოდ ხანდახან, როცა სიხარული აღავსებდათ, მტერი რა მარჯვედ გავაცურეთო, პირზე ხელს აიფარებდნენ და ჩუმად ხითხითებდნენ. ჰოდა, მალული თავისუფლებაც ისააო, თქვა იმ რუმინელმა, როცა აყროლებულ ცხვრებსა და თხებს შორის ზიხარ, თითს ზემოთკენ იშვერ და ჩუმად ხითხითებო. იცით, კოტოვსკი, ეს სიტუაცია ისე ზუსტად აღწერა, რომ იმ საღამოს რუსი ინტელიგენტი აღარ გახლდით. მიწისქვეშ ხითხითი მე გულზე არ მეხატება. თავისუფლების დამალვა შეუძლებელია.
– საინტერესოა, – თქვა კოტოვსკიმ, – საინტერესოა. მაგრამ უკვე ჩემი წასვლის დრო დადგა.
– ჭიშკრამდე მიგაცილებთ, – ვთქვი და წამოვდექი, – ეზოში დიდი არეულობაა.
– მეც მაგას ვამბობდი.
ბრაუნინგი ჯიბეში ჩავიდე, კოტოვსკის ერთ-ერთი ბაული ავიღე და ის იყო, კორიდორში უნდა გავყოლოდი, უცებ დამიარა უცნაურმა წინათგრძნობამ, რომ ამ ოთახს უკანასკნელად ვხედავდი. ზღურბლზე შევჩერდი და ყურადღებით მოვათვალიერე: ორი სავარძელი, საწოლი, მაგიდა და ზედ ჟურნალ «იზიდას» ცხრაას თხუთმეტი წლის აკინძული ნომრები – უფალო, ლამის მხიარულად გავიფიქრე, ასეც რომ იყოს, მერე რა, რომ აქ აღარასდროს მოვბრუნდები, მერე რა, რომ არ ვიცი, სად მივდივარ? განა ცოტაა ადგილი, საიდანაც სამუდამოდ წამოვსულვარ-მეთქი.
– დაგრჩათ რამე? – მკითხა კოტოვსკიმ.
– არა, – მივუგე, – ისე.
სახლის წინ გადაშლილი პანორამა რაღაც მოუხელთებელი ნიშნით ბრიულოვის ნახატს, «პომპეის

უკანასკნელ დღეს» ჰგავდა. აქ არ იყო ჩამონგრეული მარმარილოს სვეტები, არც ვულკანური ორთქლის ღრუბლები შავ ცაზე – უბრალოდ, ბნელში ორი დიდი კოცონი ენთო და ყველგან მთვრალი ფეიქრები დაბორიალებდნენ. მაგრამ ერთმანეთს მხრებზე ხელებს ისე უტყაპუნებდნენ, ისე ჩერდებოდნენ ყველას თვალწინ მოსაფსმელად ანდა ბოთლის მოსაყუდებლად, ნახევრად შიშველი დედაკაცები ისეთი ხითხითით დაძრწოდნენ ცეცხლის წითლად აგიზგიზებულ ათინათებს შორის, ამ ბაკქანალიას რომ დასთამაშებდა, აუცილებლად რაღაც მოლოდინის – მრისხანის, გარდაუვალის და უმოწყალოს – განცდა დაგეუფლებოდათ.
ჭიშკარს ჩუმად და სწრაფად მივაშურეთ: ერთ-ერთ კოცონთან მსხდომი შაშხანიანი კაცები ხელის ქნევით გვიხმობდნენ და რაღაც გაურკვეველს მოგვძახოდნენ. კოტოვსკიმ ხელი ფიცხლად ჯიბეში ჩაიყო. კიდევ კარგი, არავინ აგვკიდებია, მაგრამ გასასვლელამდე დარჩენილი ბოლო რამდენიმე მეტრი, როცა ჩვენი დაუცველი ზურგები ამ მთვრალი ჯოგისკენ გვქონდა მიქცეული, მეტად გრძლად მეჩვენა. ჭიშკარს გავცდით, ოციოდე ნაბიჯი გავიარეთ და გავჩერდი. სპირალურ დაღმართად დაშვებული ქუჩა ცარიელი გახლდათ, მხოლოდ რამდენიმე ფარანი ენთო და მათ მშვიდ შუქზე მკრთალად ელავდა ერთი სველი, ეული ლოდი.
– მე აქ დავრჩები, – ვთქვი, – აბა, ბედნიერად!
– თქვენც ასევე. ეგებ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს, – მითხრა უცნაური ღიმილით, – ერთმანეთის ამბავს ხომ მაინც გავიგებთ.
ხელი ჩამოვართვი, ორი თითი ისევ ქუდთან მიიტანა და ქუჩას უკან მოუხედავად დაუყვა. მის განიერ ზურგს იქამდე ვუცქერდი, ვიდრე მოსახვევში არ გაუჩინარდა, მერე კი ნელა უკან გამოვბრუნდი. ჭიშკართან გავჩერდი

და ფრთხილად შევიხედე. ჩაპაევის კაბინეტში ბნელოდა. უცებ გავასაცნაურე, თუ რატომ შემზარა წეღან ეზოში ნანახმა – ეს სურათი რაღაცით ბარონ იუნგერნის სამყაროს ჰგავდა. არანაირი სურვილი არ მქონდა, კოცონებისა და მთვრალი ფეიქრების სიახლოვეს გამევლო.
ვიაზრე, ჩაპაევი სადაც იქნებოდა. ღობის გასწვრივ ორმოცი მეტრი გავიარე და მიმოვიხედე. არავინ ჩანდა. შევხტი, ხელებით კედლის კიდეს ჩავეჭიდე, რის ვაი-ვაგლახით ავიწიე, გადავგორდი და ქვემოთ დავეშვი. ბნელოდა, კოცონთა სინათლეს სასახლის შავი მდუმარე სილუეტი ეფარებოდა. ხელის ცეცებით მივიკვლევდი გზას ამასწინანდელი წვიმით დასველებულ ხეებს შორის. ფერდობს მივაღწიე, ფეხი დამიცურდა და გულაღმა ჩავვარდი ხრამში. სადღაც მარჯვნივ უხილავი ნაკადული მოჩუხჩუხებდა. ხელები გავიწოდე და მის ხმას მივყევი. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ აბანოს განათებული ფანჯარა გამოჩნდა. დავაკაკუნე.
– შემოდი, პეტკა, – გამომძახა ჩაპაევმა.
ჩემთვის ნაცნობ ფიცრის მაგიდას მისჯდომოდა, ზედ სამოგონიანი ვეება ბოთლი დაედგა, იქვე მოჩანდა რამდენიმე ჭიქა, თეფში, ნავთის ლამპა და გატენილი საქაღალდე. ამოჩაჩული გრძელი თეთრი პერანგი ჭიპამდე ჩახსნოდა. გვარიანად მთვრალი ჩანდა.
– რას იტყვი? – მკითხა.
– მგონი, წითელი ფეიქრების პრობლემის მოგვარებას აპირებდით, – ვთქვი.
– ვაგვარებ კიდეც, – თქვა ჩაპაევმა და სამოგონი ორ ჭიქაში ჩამოასხა.
– ეტყობა, კოტოვსკი კარგად გიცნობთ, – ვთქვი.
– მართალია, – მიპასუხა ჩაპაევმა, – მეც კარგად ვიცნობ.
– ახლახან საღამოს მატარებლით პარიზში გაემგზავრა. მე მგონი, დიდი შეცდომა მოგვდის, მის მაგალითს რომ

არ მივდევთ.
ჩაპაევმა თვალები დახუჭა.
– გული სავსე გაქვს ვნებიან ფიქრით, – წაიმღერა მან, – შორს ჩაიქროლა მატარებელმა და არსაიდან არსაით მიქრის ცნობიერების ჭრელი პეპელა...
– თქვენც წაიკითხეთ? ძალიან დიდი პატივია, – ვთქვი და მყისვე სევდიანად გავიფიქრე, რომ «ც» ზედმეტი იყო, – მისმინეთ, ახლავე თუ წავალთ, კიდევ შეიძლება მატარებელს მივუსწროთ.
– იმ პარიზში რა დამკარგვია? – თქვა ჩაპაევმა.
– ის, რასაც აქ სულ მალე დავკარგავთ, – ვთქვი.
ჩაპაევს ჩაეცინა.
– აი, მაგას კი მართალს ამბობ, პეტკა.
– ჰო, მართლა, – ვთქვი შეშფოთებით, – ანა სად არის ახლა? აქ ყოფნა საშიშია.
– რაღაც დავავალე, – თქვა ჩაპაევმა, – საცაა გამოჩნდება. კარგადაა. მოდი, დაჯექი. გელოდები, ვერ ხედავ, ნახევარი ბოთლი უშენოდ დავლიე.
პირისპირ ჩამოვუჯექი.
– გაგიმარჯოს.
მხრები ავიჩეჩე. მეტი რაღა დამრჩენოდა?!
– თქვენ გაგიმარჯოთ, ვასილი ივანოვიჩ.
დავლიეთ და ჩაფიქრებული ჩაპაევი ნავთის ლამპის მკრთალ შუქს მიაჩერდა.
– ამ შენს კოშმარებზე ვფიქრობდი, – თქვა და ხელი საქაღალდეს მოჰკიდა, – რაც დაწერე, ყველა ამბავი წავიკითხე. სერდიუკზეც, იმ მარიაზეც, ექიმებზეც და ბანდიტებზეც. როდისმე ყურადღება თუ მიგიქცევია, მაგ რაღაცისგან როგორ გეღვიძება ხოლმე.
– არა, – ვთქვი.
– აბა, გაიხსენე.
ჩავფიქრდი.
– რაღაც მომენტში ვხვდები, რომ სიზმარია. ეგ არის და

ეგ, – გაუბედავად ვთქვი მე, – სიტუაცია გაუსაძლისი რომ ხდება, ამ დროს ხვდები, რომ საშიში არაფერია, რადგან...
– რადგან რა?
– საჭირო სიტყვას ვარჩევ. ასე ვიტყოდი – რადგან არსებობს ადგილი, სადაც შემიძლია გავიღვიძო.
ჩაპაევმა ხელი მაგიდას დაჰკრა.
– და სად გეღვიძება?
ამ კითხვის პასუხი არ მქონდა.
– არ ვიცი, – ვთქვი.
ჩაპაევმა შემომხედა და გამიღიმა. უცებ მომეჩვენა, რომ სრულიად ფხიზელი იყო.
– ყოჩაღ, – თქვა, – სწორედაც რომ იქ. როგორც კი სიზმრის დინება გაგიტაცებს, შენ თვითონაც მისი ნაწილი ხდები, რადგან ამ ნაკადში ყველაფერი ფარდობითია, ყველაფერი მოძრაობს და ხელჩასაჭიდი არაფერია. მორევი რომ გითრევს, ვერ ხვდები, რადგან წყალთან ერთად შენც მოძრაობ და ამიტომ უძრავი გგონია. ამგვარად სიზმარში რეალობის განცდა შემოდის, მაგრამ არის წერტილი, რომელიც ფარდობითად უძრავი კი არა, აბსოლუტურად უძრავია და ამ წერტილს «არ ვიცი» ჰქვია. როცა სიზმრად ამ წერტილში აღმოჩნდები, იღვიძებ, უფრო სწორად, თავიდან მასთან სიზმრად მიდიხარ, მერე კი, – ხელი ოთახს შემოატარა, – აქ.
კედელს მიღმა ტყვიამფრქვევი აკაკანდა, მერე რაღაც აფეთქდა და ფანჯრის მინა ააზრიალა.
– მაგრამ იგივე წერტილი ცხოვრებასაც აქვს, – განაგრძო ჩაპაევმა, – აბსოლუტურად უძრავი, რომელთან შეფარდებითაც მთელი ჩვენი სიცოცხლე ისეთივე სიზმარია, როგორიც ეგ შენი ისტორიები. ამქვეყნად ყველაფერი აზრების მორევია და სამყარო ჩვენ ირგვლივ რეალური მხოლოდ იმიტომაა, რომ ამ

მორევად თავად ვიქცევით. მხოლოდ იმიტომ, რომ... იცი. სიტყვა «იცი» ინტონაციით გამოყო.
ავდექი და ფანჯარას მივუახლოვდი.
– მისმინეთ, ჩაპაევ, მგონი, სახლს ცეცხლი წაუკიდეს.
– რას ვიზამთ, პეტკა, – თქვა ჩაპაევმა, – ეს ქვეყანა ისეა მოწყობილი, რომ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა ალმოდებულ სახლში გვიწევს.
– გეთანხმებით, – ვთქვი და ისევ პირისპირ დავუჯექი, – ეს ყველაფერი მშვენიერია, აზრების ორომტრიალი და ასეთები,... სამყარო ხან რეალურია და ხანაც არარეალური, ეს კარგად მესმის. მაგრამ ახლა აქ ერთობ უსიამოვნო პიროვნებები გამოგვეცხადებიან... გამიგეთ, იმის თქმა როდი მინდა, რეალურები არიან- მეთქი, მაგრამ თავიანთ რეალურობას ბოლომდე გვაგრძნობინებენ.
– მე? – მკითხა ჩაპაევმა, – გამორიცხულია. აი, ნახე. ბოთლი აიღო, პატარა ლურჯი ფინჯანი მიიჩოჩა და პირთამდე გაავსო. მერე იგივე ოპერაცია ჭიქასაც ჩაუტარა.
– ნახე, პეტკა, სამოგონს თავისთავად ფორმა არ გააჩნია. აი, ჭიქა, აი, ფინჯანი. ამ ორს შორის ნამდვილი რომელია?
– ორივე, – ვთქვი,– ორივე ნამდვილია.
ჩაპაევმა ნარნარად დალია ფინჯნიდან, მერე ჭიქიდან და ჯერ ერთი, მერე მეორე მთელი ძალით კედელს მიახეთქა. ფინჯანიც და ჭიქაც წვრილ-წვრილ ნამსხვრევებად იქცა.
– პეტკა, – თქვა, – შეხედე და დაიმახსოვრე, – შენ თუ ნამდვილი ხარ, სიკვდილიც ნამდვილად მოვა. ვერც ვერაფრით დაგეხმარები. კიდევ ერთხელ გეკითხები, აი, ჭიქები, აი, ბოთლი. ამ ფორმათაგან ნამდვილი რომელია?
– არ მესმის, რას გულისხმობთ?

– გაჩვენო?
– მაჩვენეთ.
გადაბარბაცდა, ხელი მაგიდის ქვეშ შეყო და თავისი მონიკელებული მაუზერი დააძრო. ხელი ვტაცე.
– კარგი, კარგი, ბოთლს მაინც ნუ მიახვრეტთ.
– სწორი ხარ, პეტკა, ჯობია, დავლიოთ.
ჭიქები შეავსო და ჩაფიქრდა. თითქოს საჭირო სიტყვებს ვერ პოულობსო.
– სინამდვილეში, – თქვა ბოლოს, – სამოგონისთვის არც ფინჯანი არსებობს, არც ჭიქა, არც ბოთლი. არის მხოლოდ თვითონ. ამიტომ ყველაფერი, რაც შეიძლება გაჩნდეს ან გაქრეს, იმ ცარიელი ფორმების გროვაა და სანამ სამოგონი ამ ფორმებს არ მიიღებს, არც არსებობენ. ფინჯანში ჩაასხამ – ჯოჯოხეთია, თასში ჩაასხამ – სამოთხეა. ჩვენ კი ჭიქებით ვსვამთ. ამიტომაც ადამიანები გვქვია, პეტკა, გაიგე?
გარეთ ისევ დაიგრუხუნა და ფანჯრის მინაში არეკლილი ხანძრის დანახვას ახლოს მისვლა აღარც უნდოდა.
– ჰო, რაც შეეხება ჯოჯოხეთს, – ვთქვი, – არ მახსოვს, გითხარით თუ არა. იცით, ეს ფეიქრები აქამდე რატომ არ გვერჩიან?
– რატომ?
– იმიტომ, რომ გულმხურვალედ სწამთ, ჩაპაევმა სული ეშმაკს მიჰყიდაო.
– მართლა? – გაუკვირდა ჩაპაევს, – საინტერესოა. სულს ვინ ყიდის?
– ვერ გავიგე?
– აი, ხომ ამბობენ, სული ეშმაკს მიჰყიდა, სული ღმერთს მიჰყიდაო. ჰოდა, ვინ არის ის, ვინც ყიდის? რასაც ყიდის, იმისგან განსხვავებული ხომ უნდა იყოს?
– იცით, რა, ჩაპაევ, – ვთქვი, – ჩემი კათოლიკური აღზრდა ასეთ თემებზე ხუმრობას მიკრძალავს.
– გასაგებია, – თქვა ჩაპაევმა, – ვიცი, ეს ჭორები

საიდანაც მოდის. მართლაც, აქ ერთი კაცი მეწვია, აინტერესებდა, ეშმაკს სული როგორ უნდა მივყიდოო. შტაბსკაპიტანი ოვეჩკინი. ხომ არ იცნობ?
– რესტორანში შევხვდი ერთხელ.
– ავუხსენი და მთელი რიტუალი დიდი სიზუსტით შეასრულა.
– მერე რა მოხდა?
– განსაკუთრებული არაფერი. ვერც ფული იშოვა, ვერც მარადიული სიჭაბუკე. ერთადერთი, რაც მოხდა, მთელ მის საველე დოკუმენტებში «ოვეჩკინის» ნაცვლად გვარი «კოზლოვი» გაჩნდა.
– ეგ რატომ?
– იმიტომ, რომ თაღლითობა არ შეიძლება. რაც არ გაქვს, იმის გაყიდვა სად გაგონილა?!
– რა გამოდის, – ვკითხე, – რომ ოვეჩკინს სული არ გააჩნია?
– ცხადია, არა, – თქვა ჩაპაევმა.
– თქვენ?
ჩაპაევმა წამით თითქოს საკუთარი არსების სიღრმეში ჩაიხედა და უარის ნიშნად თავი გააქნია.
– მე მაქვს? – ვკითხე.
– არა, – თქვა ჩაპაევმა.
როგორც ჩანს, სახეზე შეცბუნება შემატყო, რადგან ჩაიცინა და იდაყვი წამკრა.
– არა გვაქვს, პეტკა, არავითარი სული არც მე, არც შენ, არც შტაბსკაპიტან ოვეჩკინს. სულს ჰყავს ოვეჩკინი, ჩაპაევი, პეტკა. სულზე ვერ იტყვი, ყველას თავისი აქვსო, ვერც იმას, ყველას ერთიო. სულზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ არ არსებობს.
– ახლა უკვე მართლა ვეღარაფერი ვეღარ გავიგე.
– ეგეთი ამბავია, პეტკა... კოტოვსკიც შეცდა. გახსოვს ცვილიანი ლამპა?
– მახსოვს.

– კოტოვსკი მიხვდა, ფორმა არ არსებობსო, მაგრამ ცვილიც რომ არ არსებობს, ამას კი ვეღარ მიხვდა.
– რატომ არ არსებობს?
– იმიტომ, პეტკა, ყურადღებით მისმინე, იმიტომ რომ ცვილსაც, სამოგონსაც ნებისმიერი ფორმის მიღება შეუძლია, მაგრამ თვითონაც მარტოოდენ ფორმები არიან.
– რის ფორმები?
– მთელი საქმეც ესაა, ეს ისეთი ფორმებია, რომელზეც ვერ იტყვი, რამემ მიიღოო. ასე არ არის? გესმის თუ არა? ამიტომაც სინამდვილეში არც ცვილი არსებობს, არც სამოგონი. არაფერი არ არსებობს. თვით «არაც» არ არსებობს.
წამით მომეჩვენა, რაღაც ზღვარზე წონასწორობის დაცვას ვცდილობ-მეთქი, მერე კი მძიმე, მთვრალი სიჩლუნგე მომეძალა. აზრები ადგილიდან გაჭირვებით იძვროდნენ.
– ცვილი არ არის, – ვთქვი, – სამაგიეროდ, სამოგონი ნახევარი ბოთლი კიდევაა.
ჩაპაევმა მაგიდას ამღვრეული თვალებით დახედა.
– მართალია, – თქვა, – მაგრამ თუ მიხვდები, რომ არც ეგ არის, ორდენით დაგაჯილდოებ. ახლა არ მოგცემ, აქედან რომ გავალთ, მერე.
თითო ჭიქა კიდევ დავლიეთ და ერთხანს კედლის მიღმა ატეხილ ბათქაბუთქს ვაყურადებდი. ჩაპაევი სროლას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.
– მართლა სულ არ გეშინიათ? – ვკითხე.
– შენ, რა, პეტკა, გეშინია რამის?
– ცოტა.
– რისა?
– სიკვდილის, – ვთქვი, – უფრო სწორად, თვით მისი კი არა, არამედ... არ ვიცი. ჩემი ცნობიერების გადარჩენა მინდა.

ჩაპაევმა გაიცინა და თავი გააქნია.
– სასაცილო ვთქვი რამე?
– უბერავ, აი, პეტკა. შენგან არ ველოდი. ეგეთი აზრების პატრონი მტერს როგორ უტევდი? ეგ ხომ იგივეა, ფარნის ძირას გაზეთის ნაკუწი რომ ეგდოს და ფიქრობდეს, იმ სინათლის გადარჩენა მინდა, ზედ რომ მეფინებაო. მაინც რისგან გინდა შენი ცნობიერების გადარჩენა?
მხრები ავიჩეჩე.
– არყოფნისგან.
– განა არყოფნა ცნობიერების ობიექტი არ არის?
– ახლა ისევ სოფისტიკა დაიწყეთ, – ვთქვი, – გაზეთის ნაკუწიც რომ ვიყო, რომელიც ფიქრობს, იმ სინათლის გადარჩენა მინდა, ზედ რომ მეფინებაო, რა მერე, თუკი მაინც მართლა ეგრე ვფიქრობ და ეს ფიქრი ტკივილს მაყენებს?
– ნაკუწს ფიქრი არ შეუძლია. მასზე მხოლოდ კურსივითაა დაბეჭდილი: «მე მინდა ფარნის შუქი გადავარჩინო». იქვე კი მიწერილია: «ო, როგორ მტკივა, როგორ ვიტანჯები». ეჰ, პეტკა... როგორ აგიხსნა... ეს სამყარო ანეკდოტია, რომელსაც უფალი თავის თავს უყვება და თვით უფალი ღმერთიც იგივე ანეკდოტია.
კედლის სიახლოვეს აფეთქებამ ფანჯრის მინები ააზრიალა. მომესმა, როგორ ფხრეწდა ფოთლებს ჭურვის ნამსხვრევები.
– იცით, რა, ვასილი ივანოვიჩ, – ვთქვი, – მოდი, თეორიას შევეშვათ. ეგებ რამე პრაქტიკული მოიფიქროთ.
– პრაქტიკულად, პეტკა, გეტყვი, რომ შენ თუ გეშინია, მაშინ ორივე ჩვენგანის საქმე წასულია. იმიტომ რომ შიში მუდამ იმას იზიდავს, რისაც გვეშინია. მაგრამ თუ არაფრის არ გეშინია, მაშინ უხილავი ხდები. განურჩევლობა საუკეთესო საფარია. თუ მართლა განურჩეველი ხარ, მაშინ ვერავინ, ვისაც უნდა, ზიანი

მოგაყენოს, ვერც გაგიხსენებს და ფიქრშიც არ მოუხვალ. მაგრამ თუ ახლანდელივით სკამზე წრიალს განაგრძობ, ხუთ წუთში აქაურობა იმ ფეიქრებით გაივსება.
უცებ მივხვდი, რომ მართალს ამბობდა და ჩემი აღელვების შემრცხვა, განსაკუთრებით უსუსურად რომ ჩანდა მისი ბრწყინვალე უდარდელობის ფონზე. მე არ ვიყავი, წეღან კოტოვსკისთან ერთად გამგზავრებაზე უარი რომ ვთქვი? ამიტომაც ახლა აქ ვიმყოფებოდი და სიბრიყვე იყო სიფრთხილესა და შიშში სიცოცხლის ამ სავარაუდოდ უკანასკნელი წუთების ხარჯვა. ჩაპაევს შევხედე და ვიფიქრე, აქამდე ეს კაცი არსებითად ვერც კი შემიცნია-მეთქი.
– მითხარით, ჩაპაევ, ვინ ხართ სინამდვილეში?
– შენ, პეტკა, ჯობია, ის გაარკვიო, თვითონ ვინ ბრძანდები. მაშინ ამასაც მიხვდები. თორემ იმ შენი კოშმარისეული ბანდიტივით აგიჩემებია: «მე, მე, მე». რა არის «მე»? ვინ არის? თვითონ გაარკვიე.
– მინდა, რომ გავარკვიო, მაგრამ...
– თუ გინდა, მაშინ შენი თავის ნაცვლად მაგ «მეს», მაგ «მინდას», მაგ «გავარკვიოს», მაგ «მაგრამს» რატომღა ჩასციებიხარ?
– კარგი, – ვთქვი, – მაშინ მხოლოდ ჩემს კითხვას გაეცით პასუხი, შეგიძლიათ?
– კი, შემიძლია, – თქვა, – მაგრამ რა ხეირი.
– ვინ ხართ, ჩაპაევ?
– არ ვიცი, – მიპასუხა.
ფიცრის კედლებს ორი-სამი ტყვია მოხვდა, ნაფოტები გააყრევინა და ინსტინქტურად თავი მხრებში ჩავმალე. გარედან ხმადაბალი ლაპარაკი გაისმა – თითქოს ბჭობენო. ჩაპაევმა ორი ჭიქა შეავსო და მიუჭახუნებლად გამოვცალეთ. მცირე ყოყმანის შემდეგ მაგიდიდან ხახვის თავი ავიღე.

– მე მესმის, თქვენ რასაც გულისხმობთ, – ვთქვი და ხახვი ჩავკბიჩე, – მაგრამ ხომ შეგეძლოთ სხვაგვარადაც გეპასუხათ?
– შემეძლო, – თქვა ჩაპაევმა.
– ჰოდა, ვინ ხართ თქვენ, ვასილი ივანოვიჩ?
– მე? – ჩამეკითხა და შემომხედა, – ლამპის შუქის ბოთლზე არეკლილი ათინათი ვარ.
მომეჩვენა, რომ მის თვალებში გაელვებულმა სინათლემ სახეში შემომანათა. უცებ, ჩემდა მოულოდნელად, ყველაფერს მივხვდი და გამახსენდა. ისე ჩამცხო, თითქოს შუა ოთახში ჭურვი აფეთქდაო. მყისვე გონს მოვეგე. ხმამაღლა ლაპარაკი არ მინდოდა, მაგრამ აზრი სიტყვად ინერციით იქცა.
– საინტერესო ისაა, – ჩავიჩურჩულე, – რომ მეც.
– მაშ, ვინ არის ეს? – მკითხა და თითი მომაშვირა.
– პუსტოტა, – მივუგე.
– და ეს? – ახლა საკუთარ თავს მიაშვირა თითი.
– ჩაპაევი.
– დიდებულია! და ეს? – ხელები ოთახს შემოატარა.
– არ ვიცი, – ვთქვი.
მყისვე ტყვიით გახვრეტილმა მინამ დაიზრიალა, ჩვენ შორის მდგარი ბოთლი გასკდა და სამოგონის ნარჩენი გადაგვესხა. რამდენიმე წამს ერთმანეთს ჩუმად შევყურებდით, მერე კი ჩაპაევი წამოდგა, სკამძელთან მივიდა, სადაც მისი კიტელი იდო, ვერცხლის ვარსკვლავი მოხსნა და ოთახში გადაისროლა. მოძრაობა მკვეთრი და სწრაფი გაუხდა, ვერც კი დაიჯერებდით, ეს ის კაცია, წეღან მთვრალი, ტაბურეტზე მჯდარი რომ ირწეოდა და ბოთლს უაზროდ მისჩერებოდაო. მაგიდიდან ლამპა აიტაცა, დაშალა, ნავთი იატაკზე გადმოასხა და შიგ ცხელი პატრუქი ჩააგდო. ნავთთან ერთად დაღვრილი სამოგონიც აბრიალდა და ოთახი ხანძრის მრისხანე შუქმა გაანათა.

ჩაპაევის სახე, რომელსაც იატაკიდან ავარდნილი ალი ღრმა ჩრდილებს ჰფენდა, უეცრად ძველისძველ და უცნაურად ნაცნობ სახედ მეჩვენა. ერთი მოძრაობით მაგიდა ააყირავა, დაიხარა და ლითონის რგოლიანი ხის ლუკი ახადა.
– წავიდეთ აქედან, – თქვა, – აქ აღარაფერი დაგვრჩენია. კიბეს მივაგენი და ნესტიან სიბნელეში ჩავეშვი. ჭის ფსკერი იატაკიდან ორი მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა, თავიდან ვერ მივხვდი, ამ ორმოში რა უნდა გავაკეთოთ-მეთქი, მაგრამ მალე ჩემი ფეხი, რომლითაც კედლის მოსინჯვას ვცდილობდი, სიცარიელეს შეეჯახა. ჩემს კვალდაკვალ დაშვებული ჩაპაევის ჩექმა თავზე შემეხო.
– წინ! – მიბრძანა, – ცოცხლად!
კიბესთან ვიწრო, დაბალი გასასვლელი იყო, ხის ბიჯგებით გამაგრებული. გავხოხდი, თან ამაოდ ვცდილობდი, სიბნელეში რამე გამერჩია. გვარიანი ორპირის მიხედვით თუ განვსჯიდი, გასასვლელი სულ ახლოს უნდა ყოფილიყო.
– სდექ! – დაიჩურჩულა ჩაპაევმა, – ერთი წუთით უნდა შევყოვნდეთ.
ორი მეტრით ჩამომრჩებოდა. მიწაზე დავჯექი და ზურგით ერთ ბიჯგს მივეყრდენი. გაურკვეველი ყვირილი და ხმაური მომესმა, ერთხელ ფურმანოვის ხმაც გავიგონე ნათლად, ღრიალებდა: ნუ მიძვრები, შენი დედაც! დაიწვები! გეუბნები, აქ არ არიან, წავიდნენ-მეთქი! მელოტიც გაგექცათ?
ამ ადამიანებზე დავფიქრდი, გონების კოლექტიური დაბნელებისგან წარმოქმნილ უსახურ ქიმერებს შორის კვამლის ბლანტ ღრუბლებში რომ დაძრწოდნენ და სიცილი მომეძალა.
– ჰეი, ვასილი ივანოვიჩ! – ჩუმად გავძახე.
– რა იყო? – შემეხმიანა ჩაპაევი.
– ერთ რამეს მივხვდი, – ვთქვი, – თავისუფლება

მხოლოდ ერთია – როცა ყველაფრისგან, რაც გონებას შეუქმნია, თავისუფალი ხარ. ამ თავისუფლებას «არ ვიცი» ჰქვია. თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით. იცით, ერთი გამოთქმა არსებობს, «ყველა გამოთქმული აზრი სიცრუეაო». მაგრამ მე გეუბნებით, ჩაპაევ, რომ გამოუთქმელი აზრიც სიცრუეა, რადგან ყოველ აზრში გამონათქვამის დვრიტაა ჩადებული.
– მართლა გვარიანად ჩამოაყალიბე, პეტკა, – გამომეხმაურა ჩაპაევი.
– როგორც კი რაიმე ცოდნას ვიძენ, – განვაგრძე, – თავისუფლებას უმალ ვკარგავ. თავისუფლება საიდუმლოთა საიდუმლოა. იმათ, – ზემოთ მივუთითე, – უბრალოდ, არ იციან, თუ რარიგ თავისუფალნი არიან ყველაფრისგან. ისიც კი არ იციან, თვითონ ვინ არიან სინამდვილეში. მაგათ... – ყელში დაუდგრომელი ხარხარის სპაზმმა დამიარა, – მაგათ ჰგონიათ, რომ ფეიქრები არიან...
– ჩუმად, – თქვა ჩაპაევმა, – ცხენივით ნუ აჭიხვინდი, გაიგონებენ.
– არა, უფრო სწორად, ეგენი, – სიცილით გაგუდული სიტყვებს ძლივს ამოვთქვამდი, – ეგენი კი არ ფიქრობენ, ფეიქრები ვართო... მაგათ იციან, რომ ფეიქრები არიან...
ჩაპაევმა ჩექმა წამკრა.
– წინ! – თქვა.
დასამშვიდებლად რამდენჯერმე ღრმად ამოვისუნთქე და ხოხვა განვაგრძე.
გზის დარჩენილი ნაწილი უხმოდ გავლიეთ. ალბათ მიწისქვეშა კორიდორის სივიწროვემ მომაჩვენა, გრძელია-მეთქი. ნესტისა და რატომღაც თივის სუნი იდგა, თანაც თივისა ჭარბობდა.
ბოლოს, როგორც იქნა, წინ გაწვდილი ხელებით მიწის კედელი მოვსინჯე. წამოვიწიე, სწრაფად გავსწორდი და

თავი მწარედ ავარტყი რაღაც რკინას. სიბნელეში ხელები მოვაფათურე და დავასკვენი, ლითონით გადახურულ პატარა ორმოში ვდგავარ-მეთქი. მიწის ზედაპირსა და ამ სახურავს შორის ნახევარი მეტრი სიმაღლის ღრიჭო იყო დარჩენილი, შიგ გავძვერი, ორი-სამი მეტრი კიდევ ვიხოხე, თანაც თივით სავსე სივრცეს ხელებით მივარღვევდი და საბოლოოდ რეზინის განიერ ბორბალს დავეჯახე. მყისვე ის უზარმაზარი ზვინი გამახსენდა, რომელსაც ის ჩვენი სიტყვაძუნწი ბაშკირი დღედაღამ შაშხანით ხელში უდარაჯებდა და მივხვდი, სადაც დაემალა ჩაპაევს თავისი ჯავშნოსანი. წამის მერე იმ ზვინთან ვიდექი, ცალი მხრიდან თივა ჩამოცვენილიყო და გამოღებული მოქლონებიანი კარი მოჩანდა.

ადგილ-მამულს ცეცხლი ეკიდა. როგორც ყველა დიდი ხანძარი, ესეც დიდებული და მომხიბლავი სანახაობა გახლდათ. ჩვენგან ორმოცდაათ მეტრში, ხეთა შორის კიდევ ერთი შენობა იწვოდა – აბანო, სადაც სულ ცოტა ხნის წინ მე და ჩაპაევი ვსვამდით. მეჩვენებოდა, თითქოს მის ირგვლივ ადამიანებსაც ვხედავდი, თუმცა შესაძლოა ეს ხეთა დაჩეხილი ჩრდილებიც ყოფილიყო, რომლებსაც ქარის ყოველი წამოქროლვით გაღვივებული ცეცხლი არხევდა. მე ვხედავდი თუ არა, ადამიანები იქ მაინც იყვნენ – ხანძრების მხრიდან გიჟური ღრიალი და სროლა ისმოდა. რომ არ მცოდნოდა, რაც იქ სინამდვილეში ხდებოდა, ვიფიქრებდი, რომელიღაც რაზმებს ამ ღამით გააფთრებული ბრძოლა გაუმართავთ-მეთქი.

ჩემ მახლობლად რაღაც გაფაჩუნდა. მყის პისტოლეტი მოვიმარჯვე.

– მე ვარ, – თქვა ანამ.

გიმნასტურა, გალიფე და ჩექმები ემოსა, ხელში გაღუნული ლითონის ბერკეტი ეჭირა, ისეთი, ძრავებს

რომ ქოქავენ.
– მადლობა ღმერთს, – ვთქვი, – ვერ წარმოიდგენთ, უთქვენობას როგორ განვიცდიდი. იმის შესახებ უბრალო გაფიქრებაც კი, რომ ეს მთვრალი ხროვა...
– ხახვის სუნი ამოგდით, – მითხრა, – ჩაპაევი სადაა?
– აქ ვარ, – თქვა ჩაპაევმა და ჯავშნოსნის ქვეშიდან გამოძვრა.
– რატომ დაიგვიანეთ, – ჰკითხა ანამ, – უკვე ვღელავდი.
– პიოტრს არაფრის გაგება არ უნდოდა, – მიუგო მან, – ერთხნობას დარჩენასაც კი ვფიქრობდი.
– ახლა გაიგო? – იკითხა ანამ.
ჩაპაევმა შემომხედა.
– ვერაფერიც ვერ გაიგო, – თქვა, – უბრალოდ, იქ ისეთი ბათქაბუთქი ატყდა, რომ...
– ყური მიგდეთ, ჩაპაევ, – წამოვენთე მე, მაგრამ მბრძანებლური ჟესტით შემაჩერა.
– ყველაფერი რიგზეა? – ჰკითხა ანას.
– რიგზეა, – მიუგო ანამ და ბერკეტი მიაწოდა.
უცებ მივხვდი, რომ ჩაპაევი, როგორც ყოველთვის, მართალს ამბობდა: არაფერი იყო ისეთი, რაზეც ვიტყოდი, გავიგე-მეთქი.
ჩაპაევმა ჯავშნოსნის დამრეცი შუბლიდან თივა სწრაფად გადმოყარა, ბერკეტი რადიატორის ხვრელში ჩაამაგრა და მაგნეტო რამდენჯერმე ამოატრიალა. ძრავა ჩუმად და მძლავრად აგუგუნდა.
ანამ კარი გააღო და მანქანაში შეიმალა, მე და ჩაპაევიც მივყევით. ჩაპაევმა კარი მოხურა, ჩამრთველი გაატკაცუნა და მიწისქვეშეთის სიბნელის შემდეგ დამაბრმავებელ სინათლეში ნაცნობი ინტერიერი ვიხილე – ტყავგადაკრული ვიწრო დივნები, კედელზე ჭანჭიკებით მიხრახნილი პეიზაჟი და მაგიდა, ზედ მონტესკიეს პატარა ტომითა და «ირას» კოლოფით. ანა ხრახნილ კიბეს სწრაფად აუყვა და მეტყვიამფრქვევის

სატრიალო სკამზე დაჯდა, წელს ზემოთ კოშკში მიმალული.
– მზად ვარ, – თქვა, – ოღონდაც თივა მეფარება.
ჩაპაევი მძღოლთან დამაკავშირებელ ყურმილს დასწვდა (როგორც მივხვდი, საჭეს ბაშკირი დარაჯი უჯდა, მებრძოლები შინაურულად ბატიას რომ ეძახდნენ) და თქვა:
– ზვინი დაშალე! და ბორბალი ორმოში არ ჩაგივარდეს.
ჯავშნოსნის ძრავამ დაიღმუვლა, მძიმე მანქანა ერთი შეტორტმანდა, დაიძრა და რამდენიმე მეტრით წინ წაიწია. ზემოდან რაღაც მექანიკური ხმაური გაისმა – თავი ავწიე და დავინახე, რომ ანა თითქოს ყავას ფქვავდა, რაღაც სახელურს ატრიალებდა და კოშკურას სკამიანად, რომელზეც თვითონ იჯდა, ღერძის ირგვლივ აბრუნებდა.
– ასე უკეთესია, – თქვა.
– ფარები აანთე, – ჩასძახა ჩაპაევმა ყურმილს.
კარზე ამოჭრილ სათვალთვალო ხვრელს მივეტმასნე. ფარები, როგორც გაირკვა, ჯავშნოსანს მთელ პერიმეტრზე ეყენა და ანთებისთანავე გარემო ისე აელვარდა, თითქოს ბინდში ჩაძირული ბაღი ფარნებმა ააჩახჩახესო.
უცნაური ბაღი კი გახლდათ. ხეებზე დაფენილი ელექტროსინათლე ხანძრის შუქს ბევრად სჭარბობდა – ადამიანთა მსგავსი მოხტუნავე ჩრდილები გაუჩინარდნენ და ცხადი გახდა, რომ ირგვლივ არავინ იყო.
თუმცა ეს უკაცურობა დიდხანს არ გაგრძელებულა. სინათლის ზღვარზე შაშხანიანი ფეიქრები გამოჩნდნენ – დამაბრმავებელი სინათლისგან თვალებზე ხელებს იფარებდნენ და უჩუმრად გვიცქერდნენ. მოკლე ხანში ჯავშნოსნის ირგვლივ ლულააჯაგრული ცოცხალი ჯაჭვი შეიკრა. ლაპარაკის ნაწყვეტებიც მოისმა:

– აი, სად ყოფილან... სად წაგვივლენ... აქეთ მორბიან... ყუმბარა იქით გასწიე, დედაკაცო, ჩვენები არ ააფეთქო... ჯავშნოსანს რამდენჯერმე ესროლეს და ჯავშანმა ტყვიები ზუზუნით აისხლიტა. ერთი ფარიც გასკდა, რასაც ჯოგის ხმაშეწყობილი, აღფრთოვანებული ყიჟინა მოჰყვა.
– მოკლედ, – თქვა ჩაპაევმა, – ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. ანა, ყურადღება...
ანამ ტყვიამფრქვევს შალითა ფრთხილად მოაცილა. სათვალთვალო ხვრელის მახლობლად ჯავშანს ერთი ტყვია მოეხალა და ყოველი შემთხვევისთვის, გამოვერიდე. ტყვიამფრქვევზე დახრილი ანა სამიზნეს მიაკვდა და სახეზე ცივი მრისხანება შეეყინა.
– ცეცხლი! წყალი! მიწა! სივრცე! ჰაერი! – დაიყვირა ჩაპაევმა.
ანამ მოსაბრუნებელი სახელური სწრაფად დაატრიალა და კოშკურა ჩუმი ჭრიალით აიძრა ღერძის ირგვლივ. ტყვიამფრქვევი დუმდა და ჩაპაევს გაოცებულმა შევხედე. ხელით მანიშნა, დაწყნარდიო. კოშკურამ სრული წრე დაარტყა და შეჩერდა.
– რა მოხდა, გაიჭედა? – ვიკითხე.
– არა, – თქვა ჩაპაევმა, – უბრალოდ, მორჩა ყველაფერი. უეცრად შევამჩნიე, რომ აღარც სროლა მესმოდა, აღარც ლაპარაკი. გარედან შემომავალი აბსოლუტურად ყველა ბგერა გამქრალიყო. მხოლოდ ძრავას ჩუმი გუგუნიღა აღწევდა ყურთასმენას.
ანა კოშკურიდან ჩამოვიდა, გვერდით მომიჯდა და პაპიროსი გააბოლა. შევნიშნე, ხელები უთრთოდა.
– ეს თიხის ტყვიამფრქვევი იყო, – თქვა ჩაპაევმა, – ახლა უკვე შემიძლია გიამბო კიდეც, თუ რა არის თიხის ტყვიამფრქვევი. უბრალოდ, მრავალი ათასი წლის წინ, დიდი ხნით ადრე, ვიდრე ჩვენ სამყაროს ბუდა დიპანკარა და ბუდა შიკიამუნი ეწვეოდნენ, ცხოვრობდა

ბუდა ანაგამა. ახსნა-განმარტებისთვის დროს არ კარგავდა, მხოლოდ საგნებს მარცხენა ხელის ნეკს მიუშვერდა და მყისვე ამ საგნების ჭეშმარიტი ბუნება ცხადდებოდა. მთას თუ მიათითებდა, მთა გაქრებოდა, მდინარეს – და ისიც უჩინარდებოდა. ეს გრძელი ამბავია – მოკლედ, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ნეკი თავის თავს მიაშვირა და ამის შემდეგ გაქრა. მისგან მხოლოდ ეს ნეკი დარჩა, რომელიც მისმა მოწაფეებმა თიხის ნაჭერში შეინახეს. თიხის ტყვიამფრქვევი სწორედ თიხის ნაჭერია, რომელშიც ბუდას ნეკია შენახული. ძალიან დიდი ხნის წინ ინდოეთში ერთი კაცი ცხოვრობდა, რომელმაც მოინდომა, თიხის ეს ნაჭერი ქვეყნად ყველაზე მრისხანე იარაღად გადაექცია. მაგრამ, როგორც კი თიხა გახვრიტა, ნეკი მიეთითა და გაქრა. მას შემდეგ ნეკი დაკეტილ სკივრში ინახებოდა და აქეთ-იქით მოგზაურობდა, სანამ ერთ მონღოლურ მონასტერში არ მიიკარგა. და, აი, ახლა, მთელ რიგ გარემოებათა გამო, იგი ჩემს ხელში აღმოჩნდა. ლულა მივამაგრე და თიხის ტყვიამფრქვევი დავარქვი. ახლა კი გამოვიყენეთ.

ჩაპაევი ადგა, კარი გააღო და გარეთ გადახტა. მომესმა, როგორ დაეცა მიწაზე მისი ჩექმები. ანაც მიჰყვა. მე კი ისევ დივანზე ვიჯექი და კედელზე ინგლისურ პეიზაჟს ვუმზერდი. მდინარე, ხიდი, მოღრუბლული ცა და რაღაც გაუგებარი ნანგრევები – ნუთუ-მეთქი, ვფიქრობდი, ნუთუ-მეთქი.

– პეტკა, – დამიძახა ჩაპაევმა, – მანდ რას უზიხარ?!

ავდექი და გარეთ გავედი.

მიწის დაახლოებით შვიდმეტრიანი დიამეტრის მქონე იდეალურ წრეში ვიდექით, ირგვლივ თივა ეყარა, წრის მიღმა კი არაფერი იყო. არაფერი – მხოლოდ თანაბარი მკრთალი ნათელი, რომლის თაობაზეც ვერაფერს იტყოდით. წრიული მოედნის კიდეზე ნახევარი შაშხანა

ეგდო, ზედ მიმაგრებული ხიშტით. უცებ ბლოკის «ბალაგანჩიკიდან» ის ადგილი გამახსენდა, როცა არლეკინო ფანჯარაში ისკუპებს, ქაღალდს, რომელსაც შორეთი ახატია, გახევს და ნახევში რუხი სიცარიელე შემოანათებს. ჯავშნოსნის ძრავა ჯერ ისევ გუგუნებდა.
– ეს კუნძული როგორღა გადარჩა? – ვიკითხე.
– ბრმა ზონაა, – თქვა ჩაპაევმა, – ჩვენ ნეკი ყველაფერს მივუშვირეთ. რაც კი რამ იყო სამყაროში, ამ მოედნის გარეთ იყო. ლამპის სადგარის ჩრდილივითაა.
ნაბიჯი გადავდგი. ჩაპაევი მხარში მწვდა.
– საით? ტყვიამფრქვევს წინ ნუ დაუდგები.
ანას მიუბრუნდა.
– ანა, აბა... ყოველი შემთხვევისთვის...
ანამ თავი დაუქნია და ფრთხილად შევიდა ლულის ქვეშ.
– ყურადღებით უცქირე, პეტკა, – მითხრა ჩაპაევმა.
ანამ პაპიროსს კბილები დააჭირა, ხელში საიდანღაც პატარა მრგვალი სარკე გაუჩნდა, ზემოთ ასწია და სანამ მივხვდებოდი, რაც ახლა უნდა მომხდარიყო, ჯავშნოსანი გაქრა. ეს ისე წარმოუდგენლად იოლად და სწრაფად მოხდა, თითქოს ვიღაცამ ჯადოსნური ფარანი გამოთიშა და სურათიც უცებ ჩაქრაო. ბორბლების ოთხი ძლივსშესამჩნევი ნაკვალევიღა დარჩა და ჩანდა, როგორ სწორდებოდა ბალახი ამ ღრმულებში. სიჩუმესაც აღარაფერი არღვევდა.
– ესეც ასე, – თქვა ჩაპაევმა, – ეს სამყარო აღარ არსებობს.
– ფუი, – ვთქვი, – პაპიროსი დამრჩა იქ... მისმინეთ, და მძღოლი?
ჩაპაევი შეკრთა და ჯერ მე შემომხედა შეშინებულმა, მერე ანას.
– აუჰ, – თქვა, – სულ დამავიწყდა... ანა, შენ რაღა დაგემართა?
ანამ თავის გასამართლებლად ხელები გაშალა, მაგრამ

ეს ისე ყალბად გამოუვიდა, ვიფიქრე, სილამაზის მიუხედავად, ამისგან მსახიობი ვერ დადგებოდა-მეთქი.
– არა, ასე როგორ შეიძლება? – ვთქვი, – სად არის მძღოლი?
– ჩაპაევ, – თქვა ანამ, – მე აღარ შემიძლია. თქვენ თვითონ გაარკვიეთ.
ჩაპაევმა ამოიხვნეშა და ულვაში გადაიგრიხა.
– დამშვიდდი, პეტკა. სინამდვილეში არავითარი მძღოლი არ არსებულა. ხომ გინახავს ბეჭდიანი საგანგებო ქაღალდები, კუნძზე რომ აკრავენ და...
– აჰა, – ვთქვი, ესე იგი, გოლემი იყო. გასაგებია, ოღონდაც ნამდვილ იდიოტად ნუ ჩამთვლით, კარგი? დიდი ხანია შევამჩნიე, რა უცნაური ტიპიც იყო. იცით, ჩაპაევ, ასეთი ტალანტით პეტერბურგში ბრწყინვალე კარიერას გაიკეთებდით.
– მაგ შენს პეტერბურგში რა დამკარგვია, – თქვა ჩაპაევმა.
– დაიცა, და კოტოვსკი? – შეშფოთებით ვიკითხე მე, – ისიც გაქრებოდა?
– რამდენადაც არც არასოდეს არსებულა, – თქვა ჩაპაევმა, – შენს შეკითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, მაგრამ, თუ მისი ბედი ადამიანურად გაღელვებს, შეგიძლია, არ იდარდო. მერწმუნე, კოტოვსკის, ისევე როგორც მე, თავისუფლად შეუძლია, საკუთარი სამყარო შექმნას.
– მერე ჩვენ ვიქნებით იმ სამყაროში?
ჩაპაევი დაფიქრდა.
– საინტერესო კითხვაა, – თქვა, – ასეთი რამ აზრადაც არ მომივიდოდა. შესაძლოა ვიყოთ, თუმცა რა სახით, ამაზე ვერაფერს გეტყვი. საიდან უნდა ვიცოდე, კოტოვსკი იმ თავის პარიზში რანაირ სამყაროს შექმნის. ან, უფრო სწორად, როგორ პარიზს შექმნის იმ თავის სამყაროში.
– აჰა, – ვთქვი, – დაიწყო ისევ სოფისტიკა.

მოვტრიალდი და უფსკრულის კიდეს მივაშურე, მაგრამ ბოლომდე მისვლა ვერ შევძელი, როცა წრიული მიწის მიჯნამდე ორიოდ მეტრიღა რჩებოდა, თავბრუ დამეხვა და ძირს მოწყვეტილივით დავჯექი.
– შეუძლოდ ხართ? – მკითხა ანამ.
– ძალიან კარგად ვარ, – ვთქვი, – მაგრამ აქ რა უნდა ვაკეთოთ? ასე სამმა უნდა ვიცხოვროთ?
– ეჰ, პეტკა, – თქვა ჩაპაევმა, – გიხსნი და გიხსნი. ნებისმიერი ფორმა სიცარიელეა. ჰოდა, მერე რას ნიშნავს ეს?
– რას?
– იმას, რომ სიცარიელე ნებისმიერი ფორმაა. თვალები დახუჭე. ახლა გაახილე.
არც კი ვიცი, ის წამი სიტყვებით როგორ აღვწერო. ცისარტყელას ყველა ფერად მოციმციმე უსაზღვროდ განიერი მდინარის ნაკადი ვიხილე, უსასრულოობიდან რომ გადმოდიოდა და უსასრულობასვე ერთვოდა. გარს ერტყმოდა ჩვენს კუნძულს, სადამდეც თვალი გასწვდებოდა, მაგრამ ზღვა მაინც არ იყო, არამედ სწორედ მდინარე, რადგან აშკარად ჩანდა, თუ როგორ მიედინებოდა. კაშკაშა სინათლეს გვფენდა, მაგრამ არ გვაბრმავებდა, არც გვაშინებდა, რადგან იმავდროულად სათნოება და სიკეთეც იყო, ბედნიერებაც და უსაშველოდ ძლიერი სიყვარულიც – სიმართლე რომ ვთქვა, ლიტერატურასა და ხელოვნებაში ეს სიტყვები ისეა გაცვეთილი, მათი გამოყენებით აღარაფრის აღწერა აღარ ხერხდება. ამ მარადმედინი ფერადი სინათლისა და ათინათების მხოლოდ ჭვრეტაც კი კმაროდა, რადგან ყველაფერი, რის ფიქრი ან ნატვრაც შემეძლო, ამავე ფერადოვანი ნაკადის ნაწილი გახლდათ, უფრო სწორად, ეს ნაკადი იყო, რაც შემეძლო გამეგო და განმეცადა, ყველაფერი, რაც კი რამ შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა, რომ არსებულიყო და

იგი, – ეს დანამდვილებით ვიცოდი, – რაიმე ჩემგან განსხვავებული არ გახლდათ, ის მე ვიყავი, მე კი – ის. ყოველთვის ის ვიყავი და სხვა არაფერი.
– ეს რა არის? – ვიკითხე.
– არაფერი, – მითხრა ჩაპაევმა.
– მაგას არ გეკითხებით, – ვთქვი, – რა ჰქვია?
– ხან რა და ხან რა, – მიპასუხა ჩაპაევმა, – მე მას უპირობო რწმენის აბსოლუტურ ლოკაციას ვუწოდებ, შემოკლებით – «ურალს». ჩვენ ამად ვიქცევით, ის ჩვენად, ან კიდევ ნაირ-ნაირ ფორმებს ვიღებთ, მაგრამ სინამდვილეში არც ფორმები არსებობს, არც ჩვენ, და შენ წარმოიდგინე, არც ურალი.
– რატომ ვიქცევით ასე?
ჩაპაევმა მხრები აიჩეჩა.
– არ ვიცი.
– ადამიანურად ვერ მეტყვით?
– რაიმე ხომ უნდა ვაკეთოთ ამ მარადისობაში? – თქვა, – ჰოდა, აი, ჩვენც ვცდილობთ ურალის გადაცურვას, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს. ნუ გეშინია, პეტკა, შეცურე.
– რომ ვეღარ გამოვცურო?
ჩაპაევმა თავიდან ფეხებამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა.
– უკვე გამოგიცურავს, – თქვა, – რაკიღა აქ ხარ.
– მე ისევ მე ვიქნები?
– პეტკა, – თქვა ჩაპაევმა, – შენ როგორ იქნები, როცა აბსოლუტურად ყველაფერი ხარ, რასაც ყოფნა შეუძლია.
კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ ამ დროს ანამ პაპიროსი ჩაამთავრა, ნამწვი მიწაზე დააგდო, ფეხით კოხტად ჩააქრო, მერე კი ისე, რომ ჩვენკენ არც კი გამოუხედავს, გაიქცა და პირდაპირ ნაკადში გადაეშვა.
– აი, ასე, – თქვა ჩაპაევმა, – სწორია. მისაბაძი

საქციელია.
მუხანათური ღიმილით უკან-უკან დაიძრა, მოედნის კიდისკენ, თან თვალს არ მაშორებდა.
– ჩაპაევ, – შიშით ვუთხარი მე, – დაიცადეთ. მარტო ნუ დამტოვებთ. უნდა ამიხსნათ...
მაგრამ გვიანღა იყო. ფეხქვეშ მიწა ჩაეშალა, წონასწორობა დაკარგა, ხელები გაშალა და ფერად ნაკადში ზურგით გადავარდა – ნაკადი წამით წყალივით ჩაიზნიქა, მაგრამ მყისვე ამოიბურცა და ჩაპაევი უკვალოდ შთანთქა. მე მარტო დავრჩი.
რამდენიმე წუთის განმავლობაში გაოგნებული იმ ადგილს ვუცქერდი, სადაც ჩაპაევი გაუჩინარდა. მერე მივხვდი, რა საშინლად დავღლილვარ-მეთქი, მოედანზე მიმოფანტული თივა მოვაგროვე, ზედ წამოვწექი და უსაშველოდ მაღალ რუხ ცას მივაშტერდი.
უცებ აზრად მომივიდა, სამყაროს გაჩენიდან მოყოლებული, ასე ვწევარ ურალის პირას და ერთმანეთის მიყოლებით სიზმრებს ვხედავ, მერე ვიღვიძებ და კიდევ და კიდევ. მაგრამ ეს რომ მართლა ასე იყოს, ვფიქრობდი, აბა, მაშინ ცხოვრებაში რას ვაკეთებდი-მეთქი. ურალის მდინარებას გავხედე, ყოველმხრივ უსასრულობაში წარმავალს. კალამი, ბლოკნოტი და ყველა, ვისაც ქაღალდზე დაწერილი ნიშნების ამოკითხვა შეეძლო, ახლა, უბრალოდ, ფერად სინათლედ და ათინათებად ქცეულიყო, რომ ჩნდებოდნენ, ქრებოდნენ და ისევ ჩნდებოდნენ. ნუთუ ისევ ნაპირზე ვარ-მეთქი, ვიფიქრე და საკუთარ თავს მეტი ფიქრი აღარ ვაცალე, წამოვხტი და ურალში გადავეშვი.
თითქმის არაფერი მიგრძნია – ოღონდაც ახლა წყალი ყოველი მხრიდან გარს მერტყა და აღარც არანაირი ყოველი მხარე აღარ არსებობდა. ის ადგილი დავინახე, საიდანაც მდინარე სათავეს იღებდა და უმალ ვიაზრე,

ჩემი ნამდვილი სახლი ესაა-მეთქი. ქარს აყოლილი ფიფქივით გავექანე იმ წერტილისკენ. თავიდან მსუბუქად და უწონოდ ვმოძრაობდი, მერე კი უცნაური რამ დამემართა – მომეჩვენა, თითქოს რაღაც გაუგებარი ძალა წვივებსა და იდაყვებზე მექაჩებოდა და მაფერხებდა. სვლა ისე შევანელე, რომ გარემომცველმა ციალმა ქროება დაიწყო და იმწამს, როდესაც სრულიად შევჩერდი, ნათელი ჭერში დაკიდული ნათურის მკრთალმა ბჟუტვამ ჩაანაცვლა.
ხელ-ფეხით სავარძელზე ვიყავი დაბმული, თავი პატარა კუბოკრულ ბალიშზე მედო.
ბინდბუნდიდან ტიმურ ტიმუროვიჩის სქელი ტუჩები ამოცურდა, ჩემს შუბლს მოუახლოვდა და ხანგრძლივი სველი ამბორით ზედ დააკვდა.
– სრული კათარზისია, – თქვა, – გილოცავთ.

10

– კიდევ ეს მახსოვს, – თქვა სერდიუკმა, – მოკლედ, პეტკა და ვასილი ივანოვიჩი ურალში მიცურავენ და ჩაპაევს კბილებით პატარა ჩემოდანი უჭირავს...
– ვაიმე, – ამოვიკვნესე, – ნეტა ვინ მოიგონა ეს სისულელე...
– ჰოდა, მოკლედ, ლამისაა ჩაიძიროს და ჩემოდანს მაინც არ უშვებს. პეტკა უყვირის: ვასილი ივანიჩ, ჩემოდანი გადააგდე, თორე დაიხრჩობიო. ჩაპაევი კი ეუბნება, რას ამბობ, პეტკა, არ შეიძლება, შიგ შტაბის რუკააო. მოკლედ, გამოცურეს, როგორც იქნა. პეტკა ეუბნება, აბა, ვასილი ივანოვიჩ, ერთი ეგ რუკა მაჩვენე, რა არის ასეთი, მაგის გამო კინაღამ დავიხრჩეთო. ჩაპაევი ჩემოდანს აღებს. პეტკა შიგ იხედება და იქ კარტოფილი ყრია. ვასილი ივანოვიჩ, ეს რა რუკააო? ჩაპაევი ორ ცალ კარტოფილს იღებს, მიწაზე აწყობს და ეუბნება: აი, პეტკა, ეს ჩვენ ვარ, ეს კიდევ – თეთრებიო. ვოლოდინს გაეცინა.

– სრული უაზრობაა, – ვთქვი, – ჯერ ერთი, თუკი თქვენ, სერდიუკ, ათი ათას სიცოცხლეს რომ გაივლით, ამის შემდეგ მაინც მოგეცემათ ურალში დახრჩობის შანსი, ჩათვალეთ, რომ დიდ წარმატებას მიაღწევთ. მეორეც, ვერაფრით გამიგია, რატომ ახსენებენ გაუთავებლად ამ თეთრებს. მე მგონია, ამ საქმეში ძერჟინსკისა და მისი კანტორის
ხელი ერია. მესამეც, ეს ცნობიერების მეტაფორული რუკა იყო და არა მებრძოლთა განლაგების გეგმა. თანაც კარტოფილი კი არა, ხახვი იყო.
– ხახვი?
– დიახ, ხახვი. თუმცა, გარკვეული გარემოებიდან გამომდინარე, რას არ მივცემდი, რომ კარტოფილი ყოფილიყო.
ვოლოდინმა და სერდიუკმა ერთმანეთს გადახედეს.
– და ამას უნდა, რომ აქედან გაეწეროს?! – თქვა ვოლოდინმა, – ჰო, გამახსენდა. ჩაპაევი თავის დღიურში წერს: «ექვსი ივნისი. თეთრებს შევუტიეთ...»
– არავითარ დღიურს არ წერდა, – შევნიშნე მე.
– «შვიდი ივნისი. თეთრებმა შემოგვიტიეს. რვა ივნისი. მეტყევე მოვიდა და ყველა გაგვყარა».
– გასაგებია, – ვთქვი, – ეს ბარონ იუნგერნზეა. ოღონდაც, სამწუხაროდ, არ მოსულა. თანაც მეტყევე კი არ იყო, უბრალოდ, ამბობდა ხოლმე, ყოველთვის მინდოდა, მეტყევე გამოვსულიყავიო. მე, ბატონებო, ეს ყველაფერი ძალიან მიკვირს. ცუდად
ინფორმირებულები არ ხართ, მაგრამ ასე მგონია, რომ ვიღაც, ვინც სინამდვილე მშვენივრად უწყოდა, საგანგებოდ შეეცადა, ჭეშმარიტება ასე ჯოჯოხეთურად დაემახინჯებინა. ვერ გამიგია, რატომ, რა მიზნით. ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. ჩემს საქმეს ჩავუღრმავდი, ტიმურ ტიმუროვიჩთან მოსალოდნელ საუბარს ვიაზრებდი. მისი მოქმედების ლოგიკა აქამდე

ჩემთვის სრულიად გაუგებარი გახლდათ. მას შემდეგ, რაც არისტოტელეს ბიუსტი თავზე გადამალეწა, მარია ერთ კვირაში გაწერეს, ვოლოდინს კი, – არადა მასზე უფრო ნორმალური კაცი ცხოვრებაში არ შემხვედრია, – ამას წინათ ახალი ფარმაკოლოგიური კურსი დაუნიშნეს. ვფიქრობდი, არავითარ შემთხვევაში არანაირი პასუხების წინასწარ მოფიქრება საჭირო არ არის, რადგან შესაძლოა, მომზადებული პასუხების შესაბამისი არც ერთი შეკითხვა არ დამისვას და აუცილებლად რამე უადგილოს წამოვროშავ-მეთქი. მხოლოდ შემთხვევისა და იღბლის იმედი უნდა მქონოდა.

– კარგი, – თქვა ბოლოს ვოლოდინმა, – შეგიძლიათ, ამ დამახინჯებული ჭეშმარიტების ერთი მაგალითი მაინც დაასახელოთ? შეგიძლიათ, სიმართლე გვიამბოთ?

– კერძოდ, რა გაინტერესებთ? – ვკითხე, – თქვენგან ხსენებული რომელი ეპიზოდი?

– ნებისმიერი. ანდა სულაც რამე ახალი ავიღოთ. აი, მაგალითად, კოტოვსკიმ ჩაპაევს პარიზიდან წითელი ხიზილალა და კონიაკი გამოუგზავნა. ჩაპაევმა პასუხად მისწერა: «გმადლობთ. სამოგონი მე და პეტკამ დავლიეთ, თუმცა ბაღლინჯოს გემო დაჰკრავდა, ხოლო მურაბა სულ ვერ ვჭამეთ, თევზის სუნად ყარდაო». თავი ვეღარ შევიკავე და გადავიხარხარე.

– კოტოვსკის პარიზიდან არაფერი არ გამოუგზავნია. მაგრამ რაღაც ამდაგვარი კი მოხდა. რესტორანში ვისხედით, მართლაც კონიაკს ვსვამდით და წითელ ხიზილალას ვაყოლებდით. უცნაურად კი ჟღერს, მაგრამ რა უნდა გვექნა, თუ იქ შავი ხიზილალა არ ჰქონდათ?! ქრისტიანული პარადიგმის შესახებ ვლაპარაკობდით და საუბარში ტერმინებს ხშირ-ხშირად ვიყენებდით. ჩაპაევი სვედენბორგის
ერთ შეხედულებას განმარტავდა – ციური ნათლის სხივი

ჯოჯოხეთის ფსკერს ჩასწვდა და იქ მყოფ სულებს ბინძურ-აქოთებული ეჩვენა. მე ეს ისე გავიგე, თითქოს თვით სინათლე ტრანსფორმირდება, მაგრამ ჩაპაევმა თქვა, ნათლის ბუნება უცვლელია და ყველაფერი სუბიექტურ კარმაზეა დამოკიდებულიო. არ არსებობს ძალა, რომელიც ცოდვილ სულებს ჯოჯოხეთიდან ამოსვლას დაუშლიდა, მაგრამ იმათ თვითონ სურთ იქ ყოფნაო. ვერ გავიგე, ეგ როგორ-მეთქი, და ამაზე მითხრა, აი, ეგ ხიზილალა, ახლა რომ მიირთმევ, შესაძლოა, ფურმანოვის რომელიმე ფეიქარს თევზის სუნად აყროლებული მურაბა ეგონოსო.
– გასაგებია, – თქვა ვოლოდინმა და რატომღაც ფერი წაუვიდა.
მე კი მოულოდნელი აზრი მეწვია.
– დაიცა, დაიცა, – ვთქვი, – საიდან გამოგზავნეს კონიაკიო?
ვოლოდინმა პასუხი არ გამცა.
– მაგას რა მნიშვნელობა აქვს? – იკითხა სერდიუკმა.
– ის, რომ, – წარმოვთქვი დაფიქრებით, – მგონი, ვხვდები, საიდან მოდის ეს ყველაფერი. მართალია, ეს მისგან მოულოდნელიცაა და არც მის სტილში ჯდება, მაგრამ ყველა სხვა ვერსია იმდენად აბსურდულია, რომ...
– დაიცა, კიდევ გაიხსენე რამე, – თქვა სერდიუკმა, – მოკლედ, ასე. მოდის ჩაპაევი ანკასთან და ხედავს, შიშველი ზის...
– მოწყალეო ბატონო, – შევაწყვეტინე, – ხომ არ გეჩვენებათ, რომ ზღვარს გადადიხართ?
– ჩემი მოგონილი კი არაა, – ურცხვად მომიგო სერდიუკმა და ოთახში მომდევნო ქაღალდის ჩიტი გამოაფრინა, – მოკლედ, ეკითხება, შიშველი რატომ ხარ, ანკაო. კაბა არ მაქვსო.
ჩაპაევი კარადას გამოაღებს და, აბა, ეს კაბები არ

არისო, აგერ, ერთი კაბა, აგერ, მეორე, პეტკას გაუმარჯოს, აგერ მესამეო, აგერ, მეოთხეო».
– მაგ ლაპარაკისთვის ღირსი ხართ, სიფათი მოგინგრიოთ, მაგრამ ამავე დროს თქვენმა სიტყვებმა მელანქოლია მომგვარეს. სინამდვილეში საქმე სულ სხვანაირად გახლდათ. ანას დაბადების დღეზე საპიკნიკოდ გავემგზავრეთ. კოტოვსკი მალე დათვრა და დაიძინა, ჩაპაევი კი ანას უხსნიდა, ადამიანის პიროვნება იმ კაბებს ჰგავს, კარადიდან რიგრიგობით რომ გამოაწყობენო და რაც ნაკლებ რეალურია ადამიანი სინამდვილეში, იმ კარადაში მით მეტი კაბა კიდიაო. დაბადების დღეზე საჩუქრად უძღვნა ეს. ანუ, კაბები კი არა, ეს ლამაზი აზრი. ანა არ ეთანხმებოდა, უმტკიცებდა, შესაძლოა, ზოგადად ასეა, მაგრამ მე არ მეხება, რადგან მუდამ ის ვარ, რაც ვარ და არანაირ ნიღბებს არ ვატარებო. მაგრამ, რაც უნდა ეთქვა, ჩაპაევი ყველაფერზე ერთსა და იმავეს პასუხობდა: ეს ერთი კაბა, ეს ორი კაბა, ეს სამი კაბაო. გასაგებია? მერე ანამ ჰკითხა, ამ შემთხვევაში ამ კაბებს ვინ იცვამსო და ჩაპაევმა უპასუხა, ვისაც აცვია, ის არ არსებობსო. ანა მიხვდა, რამდენიმე წამს იყუჩა, მერე თავი დაუქნია და შეხედა. ჰოდა, ჩაპაევმა უთხრა: «გამარჯობა, ანა!» ეს ჩემთვის ერთ-ერთი უძვირფასესი მოგონებაა... ნეტა თქვენ რატომ გიყვებით?!
მოულოდნელად აზრების მთელი კორიანტელი დამეხვია. კოტოვსკის უცნაური ღიმილი გამახსენდა განშორებისას. ეს როგორ-მეთქი, ვფიქრობდი. ცნობიერების რუკის შესახებ შეიძლება სცოდნოდა, მაგრამ დანარჩენი? ბოლოს ხომ უკვე იქ აღარც იყო... და უცებ მომაგონდა, რაც ჩაპაევმა კოტოვსკის მომავალზე მითხრა. წამში ყოველივეს ნათელი მოეფინა. მაგრამ მან ერთი რამ ვერ გაითვალისწინა-მეთქი, ვიფიქრე და ვიგრძენი, ბრაზმა როგორ ამადუღა. ჰო, ვერ

გაითვალისწინა, რომ მეც შემიძლია იგივე დავუბრუნო და თუკი ამ კოკაინით გაჭყეპილმა ბედაურებისა და იდუმალი თავისუფლების მოყვარულმა საგიჟეთში გამომგზავნა, მაშინ მეც…
– ერთ ანეკდოტს მეც მოვყვები, – ვთქვი.
ეტყობა, შინაგანი გრძნობა სახეზე მეხატა, რადგან ვოლოდინმა და სერდიუკმა შეშინებულებმა გამომხედეს, ამასთან ვოლოდინი სკამიანად უკან ჩაჩოჩდა.
სერდიუკმა კი მითხრა:
– ოღონდ დაწყნარდი, კარგი?
– მისმენთ? – ვკითხე, – მაშ, ასე. ახლავე... აჰა, აი... პაპუასებმა კოტოვსკი დაიჭირეს და ეუბნებიან, ახლა შეგჭამთ და შენი მელოტი სკალპიდან ტამტამს გავაკეთებთო. ახლა შეგიძლია უკანასკნელი სურვილი გვითხრაო. კოტოვსკი ჩაფიქრდა და ეუბნება, ჩანგალი მინდაო. მისცეს ჩანგალი. ირჭო და ირჭო თავში, თან ყვირის: აი, თქვენ ტამტამი, აი, თქვენ ტამტამიო!
და მძვინვარედ ავხითხითდი. ამ დროს კარი გაიღო და ჟერბუნოვის დაქანცული სახე გამოჩნდა. ოთახი ფრთხილად მოათვალიერა და მზერა ჩემზე შეაჩერა. ჩავახველე და ხალათის საყელო შევისწორე.
– ტიმურ ტიმუროვიჩთან.
– მოვდივარ, – ვუპასუხე, სკამიდან წამოვდექი და სერდიუკის გამოფრენილი ჩიტებით სავსე მაგიდაზე შავი პლასტილინის ნახევრად გამოძერწილი ფუნთუშა ფაქიზად დავდე.
ტიმურ ტიმუროვიჩი ჩინებულ გუნებაზე იყო.
– პიოტრ, თქვენ ალბათ უკვე მიხვდით, რატომ ვუწოდე იმას, რაც ბოლო სეანსზე დაგემართათ, სრული კათარზისი.
მხრები ავიჩეჩე.
– გახსოვთ, – მითხრა, – ერთხელ აგიხსენით, რომ

გზააბნეულ ფსიქიკურ ენერგიას შეუძლია, ნებისმიერი მანიის ან ფობიის ფორმა მიიღოს-მეთქი. ჩემი მეთოდის თანახმად, ასეთ მანიას ანდა ფობიას მისი შინაგანი ლოგიკის ფარგლებში განვიხილავთ. უხეშად რომ ვთქვათ, თქვენ ამბობთ, ნაპოლეონი ვარო.
– მე მაგას არ ვამბობ.
– დავუშვათ. ჰოდა, იმის ნაცვლად, რომ გიმტკიცოთ, ცდებით, არ ხართ-მეთქი, ან ინსულინის შოკები დაგაყაროთ, მე გეუბნებით: ძალიან კარგი. ნაპოლეონი ხართ. თქვენ რაღას იზამთ? ეგვიპტეში ილაშქრებთ? კონტინენტურ ბლოკადას დააწესებთ? ან ეგებ ტახტზე უარს იტყვით და თქვენს კორსიკულ ჩასახვევს წყნარად დაუბრუნდებით? და მერე ამ კითხვებზე თქვენი პასუხების თანახმად იმოქმედებთ? ნახეთ, მაგალითად, თქვენი მეზობელი სერდიუკი. ის იაპონელები, რომლებმაც ვითომ მუცლის გამოფატვრა აიძულეს, მისი ფსიქიკური სამყაროს ყველაზე მდგრადი ნაწილია. იაპონელებს მაშინაც კი არაფერი ემართებათ, როცა თვითონ სერდიუკი სიმბოლურ სიკვდილს განიცდის, პირიქით, სერდიუკის წარმოდგენით, ისინი სიცოცხლეს მაშინაც კი განაგრძობენ, როცა თვითონ უკვე მკვდარია. ხოლო როცა გონს მოდის, ქაღალდის ჩიტებზე უკეთესი ვერაფერი მოუგონია. დარწმუნებული ვარ, ვიღაცამ ურჩია იმ თავის ჰალუცინაციურ სამყაროში. ანუ დაავადებამ ფსიქიკის იმდენად ვრცელი ზონები დააზიანა, ხანდახან ოპერატიული ჩარევის აუცილებლობასაც კი ვხედავ.
– ეგ რას ნიშნავს?
– ისე, არაფერს. სერდიუკი მხოლოდ შესადარებლად მოვიყვანე. ახლა კი თქვენს ამბავსაც გეტყვით. ეს ჩემი მეთოდის ჭეშმარიტი ტრიუმფია. მთელი ავადმყოფურად დაწვრილებითი სამყარო, რომელიც თქვენმა დაბინდულმა ცნობიერებამ წარმოქმნა, გაქრა,

შიგნითვე განიბნა, თან ექიმის ზეწოლით კი არა, საკუთარი კანონზომიერების თანახმად. თქვენმა ფსიქოზმა თავისი თავი ამოჭამა. გზააბნეული ფსიქიკური ენერგია ცნობიერების დანარჩენ ნაწილს შეერწყა. თუ ჩემი თეორია არ ცდება, – მე კი მსურს, რომ ასე მჯეროდეს, – თქვენ ახლა აბსოლუტურად ჯანმრთელი ბრძანდებით.
– დარწმუნებული ვარ, არ ცდება, – ვთქვი, – მართალია, ძირეულად ვერ ვერკვევი, მაგრამ...
– არც უნდა ერკვეოდეთ, – თქვა ტიმურ ტიმუროვიჩმა, – ისიც საკმარისია, რომ სადღეისოდ ამის საუკეთესო დასტური ბრძანდებით. დიდად გიმადლით, პიოტრ, რომ თქვენი ჰალუცინაციები ასე დაწვრილებით აღწერეთ. მადლიერების ამგვარი გრძნობა ბევრი სხვა ავადმყოფის მიმართ როდი მიჩნდება. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, თქვენი ჩანაწერების ფრაგმენტები ჩემს მონოგრაფიაში რომ გამოვიყენო?
– დიდ პატივად ჩავთვლი.
ტიმურ ტიმუროვიჩმა მხარზე ხელი ალერსით მომითათუნა.
– მოდი, ასე ოფიციალურად ნუ მომეპყრობით. ჩემთან თავს თავისუფლად მინდა გრძნობდეთ. მეგობრად მიგულეთ.
მაგიდიდან სქლად აკინძული ქაღალდის შეკვრა აიღო.
– ოღონდაც გთხოვთ, ეს ანკეტა მთელი სერიოზულობით შემივსეთ.
– ანკეტა?
– უბრალო ფორმალობაა, – თქვა ტიმურ ტიმუროვიჩმა, – ამ ჯანდაცვის სამინისტროში გაუთავებლად რაღაცებს იგონებენ – შტატები გაბერეს და საქმე არაფერი აქვთ. ამას სოციალური ადეკვატურობის შესამოწმებელი ტესტი ეწოდება. ნაირ-ნაირი კითხვებია, თითოეულს პასუხის რამდენიმე ვარიანტი აქვს მიწერილი. ერთი

სწორია, დანარჩენი – აბსურდი. ნორმალური ადამიანი წამში ერკვევა.
ანკეტა გადაფურცლა. ასე ოცი-ოცდაათი გვერდი იქნებოდა.
– ბიუროკრატიზმია, ცხადია, მაგრამ ცირკულარებს თავად ჩვენც ხომ გვიგზავნიან. გაწერისთვისაა აუცილებელი. ხოლო რადგანაც თქვენი აქ გაჩერების არანაირი მიზეზი აღარ არსებობს, აგერ თქვენ კალამი და საქმეს შეუდექით.
ანკეტა გამოვართვი და მაგიდას მივუჯექი. ტიმურ ტიმუროვიჩი დელიკატურად შეტრიალდა, წიგნის კარადას მიუახლოვდა და იქიდან რომელიღაც სქელი ტომი გამოიღო. ანკეტა რამდენიმე ნაკვეთად იყო დაყოფილი: «კულტურა», «ისტორია», «პოლიტიკა» და კიდევ სხვა რამეები. ალალბედზე «კულტურა» გადავშალე და ამოვიკითხე:
32. რომელი ფილმის ფინალში ებრძვის არამზადებს მთავარი გმირი ხელში მძიმე ჯვრით, რომელსაც თავზემოთ ატრიალებს?
ა) ალექსანდრ ნეველი
ბ) იესო ნაზარეველი
გ) ღმერთების დაღუპვა.
ვეცადე დაბნეულობა არ დამტყობოდა, ერთბაშად რამდენიმე გვერდი გადავფურცლე და ისტორიული ნაწილის შუაგულზე მოვხვდი.
74. რომელ ობიექტს ესროდა კრეისერი «ავრორა»?
ა) რაიხსტაგს
ბ) ჯავშნოსან «პოტიომკინს»
გ) თეთრ სახლს
დ) პირველად თეთრი სახლიდან ისროლეს
მყისვე ოქტომბრის ის საზარელი ღამე გამახსენდა, როცა «ავრორა» ნევის შესართავში შემოვიდა. საყელოაწეული ხიდზე ვიდექი, ნერვიულად ვაბოლებდი

და კრეისერის შავ შორეულ სილუეტს გავყურებდი – ერთიანად ჩაბნელებული გახლდათ, მხოლოდ ფოლადის წვრილი ანძის წვერზე ციმციმებდა გადღაბნილი ელექტრონათება. ორი გვიანი გამვლელი შეჩერდა ჩემ მახლობლად – საოცარი სილამაზის გიმნაზისტი გოგონა და მისი თანმხლები ჩასუქებული გუვერნანტი ქალი, სააფიშე ტუმბას რომ მიაგავდა.
– Look at it, missis Brown!– შესძახა გოგონამ და თითი შემზარავ შავ ხომალდს მიაშვირა, – This is Saint Elmo’s fires!
– You are mistaken, Katya, – ჩუმად მიუგო გუვერნანტმა ქალმა, – There is nothing saintly about this ship.
ცერად გამომხედა.
– Let’s go, – თქვა, – Standing here could be dangerous.
მოგონებების მოსაშორებლად თავი გავიქნიე და ისევ ანკეტა გადავფურცლე.
102. ვინ შექმნა სამყარო?
ა) ღმერთმა
ბ) ჯარისკაცთა დედების კომიტეტმა
გ) მე
დ) კოტოვსკიმ
ანკეტა ფაქიზად დავკეცე და ფანჯარას გავხედე. არყის ხის დათოვლილი კენწერო დავინახე, ზედ ყვავი იჯდა, კლანჭები მოინაცვლა და ტოტიდან თოვლი ჩამოყარა. მერე ქვემოთ რაღაც ძრავა აღრიალდა და შეაშინა. ფრთები მძიმედ აიქნია, ხეს მოსწყდა და საავადმყოფოს გაშორდა – ვუცქერდი, სანამ ძლივსშესამჩნევ შავ წერტილად არ იქცა. მერე ნელა ავიხედე და ტიმურ ტიმუროვიჩის დაყურადებულ მზერას წავაწყდი.
– მომისმინეთ, საერთოდ რისთვისაა ეს ანკეტა? ვითომ რა მოუგონიათ?
– საიდან უნდა ვიცოდე, – მიპასუხა, – თუმცა, ცხადია,

გარკვეული აზრი აქვს კიდეც. ხომ არსებობენ ცბიერი ავადმყოფები, გამოცდილი ექიმის გაცურებაც კი იოლად რომ შეუძლიათ. ასე რომ, როცა ნაპოლეონი დროებით განაცხადებს, გიჟი არ ვარო, რათა საშუალება მიეცეს, საავადმყოფოს თავი დააღწიოს და ასი დღე მოაწყოს...
უეცრად თვალებში შიშიანი აზრი გაუკრთა, მაგრამ მყის ქუთუთოებით დამალა.
– თუმცა, თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით, – თქვა და სწრაფად მომიახლოვდა, – ახლაღა მივხვდი, რომ აქამდე სულ ავადმყოფად გთვლიდით. გამოდის, რომ საკუთარ თავს არ ვენდობოდი. სისულელეა, მაგრამ პროფესიული ჩვევაა.
ანკეტა გამომტაცა, შუაზე გადაფხრიწა და სანაგვე კალათში ჩააგდო.
– მიდით, ჩაალაგეთ, – თქვა და ფანჯარას გახედა, – საბუთები უკვე გავაფორმეთ. ჟერბუნოვი სადგურამდე მიგაცილებთ. თუ რამე მოხდება, ჩემი ტელეფონი გაქვთ.
ჟერბუნოვის მოცემულ ლურჯ ბამბის შარვალსა და შავ სვიტერს მტვრის და საკუჭნაოს სუნი ასდიოდა: განსაკუთრებით ის არ მომეწონა, რომ შარვალი დაჭმუჭნილი იყო და ზედ რაღაც ჰქონდა ჩამოწუწული, მაგრამ, ჟერბუნოვის თქმით, სამნეო ბლოკში უთო არ ჰქონდათ.
– ეს სამრეცხაო არ არის, – თქვა გაავებით, – და არც კულტურის სამინისტრო.
მრგვალი ბეწვის ქუდი დავიხურე, სქელძირა, მაღალყელიანი ფეხსაცმელი და მაუდის პალტო ჩავიცვი, რომელიც ელეგანტურიც კი იქნებოდა, ზურგზე ამომწვარი ნახვრეტი რომ არ ჰქონოდა.
– გატყვრებოდი და რომელიმე შენი ძმაკაცი სიგარეტს მოგაქრობდა, – კომენტარი დაურთო ნახვრეტს ჟერბუნოვმა და ჭყეტელა მწვანე კაპიუშონიანი ქურთუკი

ჩაიცვა.
საინტერესო ის გახლდათ, რომ ეს ტუტუცური გამოხტომები, რის უფლებაც პალატაში თავისათვის არასოდეს მიუცია, შეურაცხყოფად სულ არ ჟღერდა. პირიქით, ჯადოსნურ მუსიკად ჩამესმოდა, რადგან თავისუფლებას აღნიშნავდა. არსებითად, კი არ უზრდელობდა, უბრალოდ, ადამიანებთან საუბრის ასეთი მანერა ჰქონდა. სამსახურებრივი ეთიკის ნორმები ჩემზე აღარ ვრცელდებოდა – მე პაციენტი აღარ გახლდით და ყველაფერი, რაც ერთმანეთთან გვაკავშირებდა, კედელში ალმაცერად ჩაჭედებულ ლურსმანზე მისი თეთრი ხალათის გვერდით ეკიდა.
– და საკვოიაჟი? – ვკითხე.
ყალბი გაოცებით თვალები დაიმრგვალა.
– არავითარი საკვოიაჟი არ ყოფილა, – თქვა, – ტიმურ ტიმუროვიჩთან გაარკვიე. აი, შენი საფულე, როგორც იდო შიგ ოცი ათასი, ისევ ისე დევს.
– გასაგებია, – ვთქვი, – აქ სიმართლეს ვინ მაღირსებს.
– იმედი გქონდა?
კამათი აღარ გამიბამს. ამაზე ლაპარაკიც კი სისულელე იქნებოდა; იმითღა დავკმაყოფილდი, რომ ქურთუკის ჯიბიდან შეუმჩნევლად მუდმივი კალამი ამოვაცალე. თავისუფლების კარი ისე ყოფითად გაიღო, რომ გარკვეული იმედგაცრუებაც კი ვიგრძენი. კარს მიღმა უკაცური დათოვლილი ეზო აღმოჩნდა, შემოფარგლული ბეტონის ღობით, რომელშიც პირდაპირ ჩვენ გასწვრივ დიდი მწვანე ლითონის ჭიშკარი იყო დატანებული, და რომელიც რატომღაც წითელი ვარსკვლავებით დაემშვენებინათ. იქვე გასასვლელი პატარა ნაგებობა აღმართულიყო, რომლის სახურავიდან ამოჩრილ მილს მსუბუქი კვამლი ასდიოდა. კაცმა რომ თქვას, ეს ყველაფერი ფანჯრიდანაც არაერთხელ დამინახავს. ზღურბლს გადავაბიჯე, მოვტრიალდი და

საავადმყოფოს თეთრ შენობას ახლოდან ავხედე.
– ჟერბუნოვ, მითხარი, ჩვენი პალატის ფანჯარა რომელია?
– მესამე სართულზე, კუთხიდან მეორე, – მიპასუხა ჟერბუნოვმა, – აგე, ხედავ, ხელს გიქნევენ.
ფანჯარაში ორი მუქი სილუეტი დავლანდე. ერთმა ხელისგული მინას მიადო. საპასუხოდ ხელი მეც დავიქნიე, მაგრამ სახელო ჟერბუნოვმა უხეშად ჩამომქაჩა.
– წამოდი, მატარებელზე დაგაგვიანდება.
მოვტრიალდი და ჭიშკრისკენ გავყევი.
ვიწრო გასასვლელში ცხელოდა. მწვანექუდიანმა მოსამსახურემ, რომელსაც კოკარდაზე გადაჯვარედინებული თოფები ჰქონდა გამოსახული, და სარკმლის მიღმა იჯდა, ხოლო სარკმლის წინ წითლად შეღებილი ლითონის მილებისგან დამზადებული შლაგბაუმის შემოკლებული ვარიანტი ჰქონდა მოწყობილი, ჟერბუნოვის მიწოდებულ საბუთებს დიდხანს უკირკიტა, რამდენჯერმე მზერა ფოტოსურათიდან ჩემს სახეზე გადმოიტანა და პირიქით, მერე მან და ჟერბუნოვმა ორიოდ ხმადაბალი ფრაზა გაცვალეს და, როგორც იქნა, შლაგბაუმი ასწია.
– ძალიან სერიოზული გაგვიხდა, – თქვა ჟერბუნოვმა, როდესაც გარეთ გავედით, – ადრე საიდუმლო ყუთში – გასაგებია, – ვთქვი, – საინტერესო შემთხვევაა. და ტიმურ ტიმუროვიჩმა ეგეც განკურნა?
ჟერბუნოვმა ალმაცერად გამომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.
ჭიშკრიდან ვიწრო დათოვლილი ბილიკი იწყებოდა, ჯერ არყის ხეების მეჩხერ ტყეში მიიკლაკნებოდა, მერე ათი წუთის სავალზე ტყისპირს მიუყვებოდა და ბოლოს ისევ ტყისკენ ტრიალდებოდა. ირგვლივ ცივილიზაციის არავითარი ნიშანწყალი არ შეინიშნებოდა, მსხვილ

მავთულებს თუ არ ჩავთვლიდით, რომლებიც იმ ერთნაირ ლითონის ანძებს შორის გაეშათ, ბუდიონურებით თავდამშვენებული უზარმაზარი წითელარმიელების ჩონჩხებს რომ ჰგავდა.
ტყე უცებ შეწყდა და რკინიგზის ბაქანთან აღმოვჩნდით, რომელსაც ხის კიბე ჰქონდა მიდგმული. ბაქანზე ერთადერთი აგურის ხუხულა იდგა, სახურავზე ზანტად მბოლავი მილით. საავადმყოფოს გასასვლელს ჰგავდა ძალიან. ისიც კი ვიფიქრე, ეტყობა, ეს ამ უცხო სამყაროში გაბატონებული არქიტექტურული სტილია-მეთქი, მაგრამ ამ თემაზე ფართოდ განზოგადებული დასკვნების გამოსატანად გამოცდილება არ მყოფნიდა. ჟერბუნოვი ჯიხურის სარკმელს მიუახლოვდა და ბილეთი ამიღო.
– აბა, – თქვა, – აგერ მატარებელიც. იაროსლავლის ვაგზლამდე თხუთმეტი წუთის სავალია.
– ძალიან კარგი, – მივუგე.
– თავისუფლებაზე რა გეგმები გაქვს?
ამ შეკითხვამ, ცოტა არ იყოს, შემაცბუნა. ჯარისკაცებთან ხანგრძლივმა ურთიერთობამ მასწავლა, რომ ცხოვრების ინტიმური მხარეების ურცხვ განხილვას საზოგადოების დაბალი კლასებისათვის იგივე ფუნქცია აქვს, რაც ელიტისთვის ამინდის შესახებ საუბარს. თან ჟერბუნოვს, ეტყობა, ერთი სული ჰქონდა, ნიუანსებში გარკვეულიყო და ყველაფერი დაწვრილებით განეხილა. მხრები ავიჩეჩე.
– ვერ გეტყვი, ეგ თქვენი თანამოქალაქეები ძალიან მენატრებიან-მეთქი, ჟერბუნოვ.
– ვითომ რატომ? – მკითხა ჟერბუნოვმა.
– იმიტომ, – მივუგე, – რომ ყველა ქალი ძუკნაა.
– ეგრეა, – თქვა და ამოიოხრა, – მაინც რის კეთებას აპირებ? რამედ ხომ უნდა იმუშაო?
– არ ვიცი, – მივუგე, – ლექსებს დავწერ, ესკადრონის

მეთაურობაც შემიძლია. ვნახოთ.
ელექტრომატარებელი ჩამოდგა და კარები შიშინით გაიღო.
– აბა, კარგად, – თქვა ჟერბუნოვმა და მარწუხივით ხელი გამომიწოდა, – პოკედოვა.
– მშვიდობით, – ვთქვი, – და თუ შეიძლება, პალატის მეზობლებს ჩემი საუკეთესო სურვილები გადაეცით.
ხელს რომ ვართმევდი, მტევანზე მოულოდნელად სვირინგი შევნიშნე, რომელიც აქამდე თვალში არ მომხვედროდა. გაცრეცილი ღუზა, რომლის ზემოთაც გაჭირვებით იკითხებოდა – «ბალტფლოტი» – ასოები ისე მკრთალად და ბუნდოვნად ჩანდა, თითქოს მათი წაშლა უცდიათო.
ვაგონში შევედი და ხის ხმელ სკამზე დავჯექი. მატარებელი დაიძრა; სარკმლის გასწვრივ ჟერბუნოვის ჯმუხი ფიგურა აცურდა და სამუდამოდ გაუჩინარდა არყოფნაში. როდესაც ვაგონმა ბაქნის კიდეს ჩაუარა, მესრის ორ ბოძზე დამაგრებული დაფა დავინახე, წარწერით: «სადგური ლოზოვაია».
მას შემდეგ, რაც არ მენახა, ტვერის ბულვარი თითქმის არ შეცვლილიყო – კვლავ თებერვალი იდგა, ავდარი და ბინდი, რომელიც დღის შუქსაც კი რაღაც უცნაურად ერთვოდა. სკამძელებზე უძრავად ისხდნენ დედაბრები და ჭრელაჭრულა სამოსში გამოწყობილ ბავშვებს უდარაჯებდნენ, იმათ კი, თავის მხრივ, გუნდების ომი ჰქონდათ გაჩაღებული. ზემოთ, მავთულების ბადის თავზე, ლამის დედამიწამდე ძირს დაშვებული ცა ჩანდა. თუმცა, შეიმჩნეოდა სხვაობაც, რომელიც ბულვარის ბოლოში გასულმა აღმოვაჩინე. ბრინჯაოს პუშკინი გამქრალიყო და იმ ადგილზე წარმოქმნილი სიცარიელის ელვარება, სადაც უწინ იდგა, ყოვლად უცნაურად ყველა შესაძლო ძეგლზე ბევრად უკეთეს ძეგლად მეჩვენებოდა. იქაც, სადაც უწინ ვნების

მონასტერი აღმართულიყო, ახლა გამხმარი ხეებითა და უგემოვნო ფარნებით ოდნავ შევსებულ სიცარიელეს დაესადგურებინა.
უხილავი ძეგლის პირდაპირ სკამძელზე ჩამოვჯექი და სიგარეტი გავაბოლე, რომელსაც მოკლე ყვითელი მუნდშტუკი ჰქონდა და რომელიც იქვე ჩემ გვერდით მჯდომმა, რაღაც საოპერეტო ფორმაში გამოწყობილმა ოფიცერმა თავაზიანად შემომთავაზა. სიგარეტი ბიქფორდის ზონარივით სწრაფად ჩაიწვა და პირში ძლივსშესამჩნევი გვარჯილის გემო დამიტოვა. ჯიბეში რამდენიმე წვრილი კუპიურა მედო – შესახედავად ჩემთვის კარგად ნაცნობი სათათბიროსეული ჭრელი ასიანებისგან დიდად არ განსხვავდებოდა, ოღონდაც ზომა გვარიანად შეემცირებინათ. ვაგზალშივე დავადგინე, რომ ეს ფული იაფფასიან რესტორანში ერთ სადილს გასწვდებოდა. დიდხანს ვიჯექი სკამძელზე და ვფიქრობდი, რა უნდა ვქნა-მეთქი.
ჩამობნელდა და ნაცნობი სახლების სახურავებზე (ასეთი ირგვლივ საკმაოდ ბევრი იდგა) უზარმაზარი ელექტროწარწერები აინთო, რაღაცნაირ ველურ ენაზე, ვოლაპიუკის
მსგავსზე – SAMSUNG, COCA-COLA, OLBI. ამ ქალაქში წასასვლელი არსად მქონდა, თავს იმ სპარტელად ვგრძნობდი, გაუგებარი მიზეზის გამო მარათონიდან ათენში რომ მოერბინა.
– ხომ ვერ მიბრძანებდით, მოწყალეო ბატონო, რა ჰქვია ამას, როცა წასასვლელი არსად აღარ გაქვს? – ჩუმად ჩავიბუტბუტე ცაზე ანთებული სიტყვების შემყურემ და გავიცინე, რადგან ქალად ქცეული მარმელადოვა გამახსენდა «მუსიკალური სათუთუნედან». და უცებ მივხვდი, ახლა რაც უნდა მექნა. ავდექი, ქუჩა გადავჭერი, ტროტუარის კიდეზე დავდექი და რომელიმე ავტომობილის გასაჩერებლად ხელი ავწიე.

თითქმის უმალვე ჩემს მახლობლად წვეთის ფორმის მქონე მოთუხთუხე, თოვლიან ტალახში ერთიანად ამოთხვრილი მანქანა გაჩერდა. საჭეს წვეროსანი ბატონი უჯდა, რაღაცით გრაფ ტოლსტოის რომ მოგაგონებდათ, ოღონდ ამას ბევრად უფრო მოკლე წვერი ჰქონდა.
– საით? – მკითხა ბატონმა.
– იცით, – ვთქვი, – ზუსტი მისამართი აღარ მახსოვს, მაგრამ იმ ადგილს «მუსიკალური სათუთუნე» ჰქვია. კაფეა. სადღაც აქვეა – ქვემოთ ბულვარზე და მერე მარცხნივ. ნიკიტსკის კარიბჭესთან ახლოს.
– გერცენზეა?
მხრები ავიჩეჩე.
– ეგეთი კაფე არ გამიგია, – თქვა წვეროსანმა ბატონმა, – ალბათ ახლახან გაიხსნა.
– არა, რატომ, – ვთქვი, – დიდი ხანია.
– ათი ათასი, – თქვა, – წინასწარ.
კარი გამოვაღე და გვერდით მივუჯექი. მანქანა დაიძრა. მძღოლს მალულად გავხედე. მისი პიჯაკი ფასონით იმ სამხედრო ფრენჩებს ჰგავდა, ბოლშევიკი ბობოლები რომ ატარებდნენ ხოლმე, მაგრამ რაღაც ლიბერალურად კუბოკრული მაუდისგან იყო შეკერილი.
– კარგი ავტომობილი გყოლიათ, – ვთქვი.
ჩემი სიტყვები აშკარად ეამა.
– დაძველდა, – მომიგო, – თორემ ომის მერე «პობედაზე» უკეთესი მანქანა მსოფლიოში არ იყო.
– ომის მერე?
– არა, რა თქმა უნდა, ომის მერე სულ კი არა, – თქვა, – ასე ხუთი წლის განმავლობაში. ახლა კი ყველაფერს დედა მოუტ...ნეს. კომუნისტები ხომ ხელისუფლებაში ამისთვის მოვიდნენ.
– ოღონდაც პოლიტიკაზე ნუ ვილაპარაკებთ, – ვთქვი, – აბსოლუტურად ვერ ვერკვევი და სულ რაღაცას ვურევ.

მსწრაფლ შემომხედა.
– ამიტომაც დაიქცა ქვეყანა, ახალგაზრდავ, რომ თქვენ და თქვენისთანები პოლიტიკაში ვერ ერკვევით. პოლიტიკა რაა? პოლიტიკა ისაა, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ. ყველა რომ რუსეთის კეთილმოწყობაზე ფიქრობდეს, მაშინ არავითარი კეთილმოწყობა აღარ დაგვჭირდებოდა. ასეთია, ასე ვთქვათ, დიალექტიკა.
– და ეგ თქვენი დიალექტიკა სად უნდა დაკიდოთ? – ვკითხე.
– რა ბრძანეთ?
– არა, – ვთქვი, – არაფერი.
ბულვარის დასაწყისში შევჩერდით. წინ გზა არ იყო – იქიდან განგაშის მაუწყებელი საყვირების კივილი მოისმოდა და ფარები წითლად ციმციმებდნენ. წვეროსანი ბატონი დადუმდა და ვიფიქრე, ალბათ ჩემმა ნათქვამმა გაანაწყენა-მეთქი. გადავწყვიტე, უხერხულობა ჩამეფარცხა.
– იცით, – ავლაპარაკდი, – ისტორია თუ რამეს გვასწავლის, იმას გვასწავლის, რომ ყველამ, ვინც რუსეთის კეთილმოწყობა მოინდომა, რუსეთისგან კეთილმოწყობა იქით მიიღო. თანაც, ასე ვთქვათ, არცთუ საუკეთესო ესკიზების მიხედვით.
– სწორია, – თქვა ბატონმა, – და სწორედ ამიტომ ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდეს.
– პირადად ჩემზე თუ მიდგება საქმე, – ვთქვი, – მშვენივრად ვიცი, თუ როგორ უნდა მოვაწყო რუსეთი.
– მართლა? და როგორ?
– ძალიან უბრალოდ. მუდამ, როცა კი ცნობიერებაში რუსეთის ცნება და სახე ამოტივტივდება, საკუთარ ბუნებრიობაში ჩადნობის საშუალება უნდა მივცეთ. ხოლო რამდენადაც ცნებასა და სახეს არანაირი საკუთარი ბუნება არ გააჩნია, შედეგად, სრულად კეთილმოწყობილ რუსეთს მივიღებთ.

ყურადღებით შემომხედა.
– გასაგებია, – თქვა, – ამერიკელ სიონისტებსაც სწორედ ეგ უნდათ. ამიტომაც ამოუტრიალეს ტვინები მთელ თქვენს თაობას.
მანქანა დაიძრა და ნიკიტსკიზე ჩაუხვია.
– თქვენს აზრს ბოლომდე ვერ ჩავწვდი, – ვთქვი, – მაგრამ ასეთ შემთხვევაში ის ამერიკელი სიონისტებიც უნდა კეთილმოვაწყო.
– ეგ როგორ უნდა მოახერხოთ?
– ზუსტად ისევე. კეთილმოწყობა ამერიკასაც სჭირდება. და საერთოდაც, რად გვინდა ეს დაწვრილმანება. თუ კეთილმოწყობაა, მთელ სამყაროს უნდა მივხედო.
– სამაგისოდ რა უნდა მოიმოქმედოთ?
– დღეს სწორედ ამის განხორციელებას ვაპირებ, – ვთქვი.
ბატონმა თავი შემწყნარებლურად დამიქნია.
– ცხადია, თქვენთან სერიოზულად ლაპარაკი სისულელეა, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ პირველი არ ხართ, ვინც ამ ბოდვას უბერავს. სამყაროს რეალურობაში დაეჭვება თვით ამ რეალობიდან გაქცევის ყველაზე სამარცხვინო გზაა. ნამდვილი საცოდაობა, მართალი თუ გნებავთ. თავისი აბსურდულობის, სისასტიკისა და უაზრობის მიუხედავად ეს სამყარო მაინც არსებობს. განა არა? არსებობს თავისი პრობლემებიანად, რომლებიც ასევე მის წიაღში არსებობენ.
მე ვდუმდი.
– ამიტომაც მთელი ეს საუბრები სამყაროს არარეალურობის შესახებ მაღალ სულიერებაზე კი არ მიუთითებს, არამედ სრულიად საპირისპიროზე. ქმნილების უარყოფით თავისთავად შემოქმედსაც უარყოფთ.
– მართალი გითხრათ, კარგად არ მესმის, რა არის

«მაღალი სულიერება», – ვთქვი, – რაც შეეხება ამ სამყაროს შემოქმედს, მას საკმაოდ ახლოს ვიცნობ.
– მართლა?
– დიახ. მას გრიგორი კოტოვსკი ჰქვია, პარიზში ცხოვრობს და, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც თქვენი მანქანის ფანჯრებიდან მოჩანს, ისევ კოკაინზეა შემჯდარი.
– სხვას არაფერს დაუმატებთ?
– დავუმატებ იმას, რომ ამჟამად თავზე სალბუნი აქვს დაკრული.
– გასაგებია. ნება მომეცით, გკითხოთ, რომელი ფსიქიატრიულიდან გამოიპარეთ?
ჩავფიქრდი.
– მგონი, მეჩვიდმეტეა. კი, სწორია, კარებზე ლურჯი აბრა ეკიდა და ზედ ციფრებით ჩვიდმეტი ეწერა. და კიდევ საჩვენებელი საავადმყოფოაო.
მძღოლმა დაამუხრუჭა.
ფანჯრიდან გავიხედე. კონსერვატორიის შენობასთან ვიყავით. «სათუთუნეც» სადღაც აქვე უნდა ყოფილიყო.
– მომისმინეთ, – ვთქვი, – მოდი, გზა გავიკითხოთ.
– მე თქვენ აღარ წაგიყვანთ, – თქვა ბატონმა, – მანქანიდან გადადით და ჯანდაბამდე გზა გქონიათ.
მხრები ავიჩეჩე, კარი გამოვაღე და მანქანიდან გადმოვედი. წვეთისმაგვარი ავტომობილი ადგილს მოსწყდა და კრემლისკენ გაქროლდა. მეწყინა, ჩემს წრფელ და გულახდილ ლაპარაკს ასეთი შედეგი რომ მოჰყვა. თუმცა, სანამ კონსერვატორიის კუთხემდე მივიდოდი, იმ წვეროსანი ბატონის ჯანდაბაში კეთილმოწყობა წარმატებით დავასრულე.
მიმოვიხედე. ამ ქუჩას ნამდვილად კარგად ვიცნობდი. ორმოცდაათი მეტრი გავიარე და მარჯვნივ შესახვევი დავინახე. იქვე ის ეზოც შევნიშნე, სადაც ფონ ერნანმა ზამთრის იმ დაუვიწყარ ღამეს მანქანა შეაჩერა. ზუსტად

ისეთივე იყო, როგორიც მაშინ, ოღონდაც, მგონი, სახლი გადაეღებათ. და კიდევ, ეზოს შესასვლელთან ათასგვარი მოყვანილობის ნაირფერი მანქანები ჩაემწკრივებინათ.
ეს წარმოუდგენლად დამთრგუნველი ეზო სწრაფად გადავჭერი და იმ კარის წინ აღმოვჩნდი, რომელსაც მინისა და ფოლადისგან დამზადებული ფუტურისტული აბრა ამშვენებდა. ზედ ეწერა:
«ივან ხარი»
John Bull Pubis International
კარის მეზობლად გაჭრილი რამდენიმე ფანჯრიდან, ნახევრად მიხურული ვარდისფერი დარაბებიდან სინათლე გამოდიოდა და რაღაც გაურკვეველი ინსტრუმენტის გულის გამაწყალებლად მექანიკური ჟღერა მოისმოდა.
კარი გამოვაღე. მოკლე კორიდორი ქურქებითა და პალტოებით იყო სავსე; ბოლოში გასაოცრად უხეში ლითონის კარი ჩანდა. ჩემ შესახვედრად ტაბურეტიდან ვიღაც ბოროტმოქმედის მსგავსი კაცი წამოიმართა, ოქროსღილებიანი იადონისფერი პიჯაკი ეცვა, ხელში ტელეფონის მავთულმოწყვეტილი, უცნაური ყურმილი ეჭირა. მართალია, მოწყვეტილი მავთული ყურმილს დუიმ-ნახევრის სიგრძეზეღა შერჩენოდა, მაგრამ, მომკალით და, ჩემ შესვლამდე ის კაცი სწორედ იმ ყურმილით ვიღაცას ელაპარაკებოდა, თან ფეხს აღელვებით იქნევდა, ყურმილი კი არასწორად ეჭირა ხელში, მავთულის ნაკუწი ზევით იყო მოქცეული. საკუთარ ფანტაზიებში ჩაძირვის ამ გულისამაჩუყებლად ბავშვურმა უნარმა, რაც ამგვარ ახმახს სულაც არ შეშვენოდა, მის მიმართ გარკვეული სიმპათიაც კი აღმიძრა.
– ჩვენთან მხოლოდ კლუბის წევრების შესვლაა ნებადართული, – თქვა.

– მისმინეთ, – ვთქვი, – სულ ახლახან აქ ორ მეგობართან ერთად ვიყავი, არ გახსოვთ? აი, კონდახი მუცელში რომ ჩაგცხეს.
იადონისფერი ბატონის ავ სახეზე დაღლილობა და ზიზღი გამოიხატა.
– გახსოვთ? – ჩავეძიე.
– მახსოვს, – თქვა, – ხომ გადავიხადეთ უკვე?
– ფული არ მინდა, – მივუგე, – მინდა დავჯდე. მერწმუნეთ, დიდხანს არ დავყოვნდები.
იადონისფერმა ბატონმა საწყლად გაიღიმა, რკინის კარი გააღო, მის უკან დაკიდებული ხავერდის ფარდა გასწია და ნახევრად ბნელ დარბაზში შემიშვა.
აქაურობა სულ ოდნავ შეცვლილიყო – ისევ საშუალო კლასის რესტორანს ჰგავდა, მდიდრულს რომ უნდათ მიამსგავსონ. პატარა კვადრატულ მაგიდებს კვამლის სქელ ბურუსში გახვეული ჭრელი საზოგადოება მისხდომოდა. მგონი, ვიღაც ჰაშიშს ეწეოდა. ამ ყველაფერს უცნაური შესახედაობის დიდი ჭაღი ანათებდა – ღერძის ირგვლივ ნელა ტრიალებდა და დარბაზში მკრთალ ათინათებს დააცურებდა. ჩემთვის ზედ არავის შემოუხედავს და შესასვლელთან ცარიელ მაგიდას მივუჯექი.
დარბაზის ბოლოს ესტრადა ჩახჩახებდა, პატარა კლავიშებიან ორღანს შუახნის შავწვერგაბურძგნილი კაცი მისჯდომოდა და საძაგელი ხმით მღეროდა:
არა კაც კლაო და – არავინ მომიკლავს,
არავინ გასცეო, – არავინ გავეცი.
არ დაინანოო, – სულს არ დავიშურებ,
არ მოიპაროო, – რას ამბობს, ან როგორ მიბედავს,
მე მაგას დავეცი...
ეს მისამღერი გახლდათ. ეტყობა, სიმღერაში ქრისტიანულ მცნებებზე იყო ლაპარაკი, თუმცა ერთგვარად უცნაურ ჭრილში განიხილებოდა. ჩემთვის

ყოვლად უჩვეულო სიმღერის მანერა შეკრებილთათვის აშკარად ჩვეული უნდა ყოფილიყო – ყოველ ჯერზე, როცა ეს გაუგებარი «მე მაგას დავეცი» მეორდებოდა, დარბაზს შრიალა ტაში გადაურბენდა ხოლმე და მომღერალი, ისე რომ თავის ვეება ხელებით ინსტრუმენტის ფერებას არ წყვეტდა, საზოგადოებას მადლობის ნიშნად თავს უკრავდა.
სევდა მომეძალა. მუდამ მეამაყებოდა ხელოვნებაში უახლესი ტენდენციის გაგება და იმ უცვლელის, მარადიულის მოხელთება მემარჯვება, რაც მოულოდნელი და დახვეწილი ფორმის სიღრმეშია-მეთქი ჩაწნული. მაგრამ ახლა ჩემს ჩვეულ გამოცდილებასა და იმას შორის, რასაც ვისმენდი თუ ვხედავდი, ღრმა უფსკრული გაწოლილიყო. თუმცა ამის ახსნა იოლად შეიძლებოდა – ვიღაცამ მითხრა, სანამ ჩაპაევს გაიცნობდა, კოტოვსკის კრიმინალობამდე აღარაფერი უკლდაო და ეგებ სწორედ ეს გახლდათ იმის მიზეზი, რომ ამ უცნაურ კულტურას, რომლის გამოვლინებებსაც ჯერ კიდევ საგიჟეთში ყოფნისას ჩიხში შევყავდი, ვერც ახლა ვშიფრავდი ვერაფრით.
შემოსასვლელთან ფარდა შეირხა და იადონისფერ პიჯაკში გამოწყობილმა კაცმა გამოყო თავი. ხელთ კვლავ ის ტელეფონის ყურმილი ეპყრა. თითები გაატკაცუნა და ჩემს მაგიდაზე ანიშნა. მყისვე ცხვირწინ შავპიჯაკიან-ბაფთიანი ოფიციანტი ამესვეტა. ხელში შავ ყდაში ჩასმული მენიუ ეჭირა.
– რას მიირთმევთ? – მკითხა.
– ჭამა არ მინდა, – ვუპასუხე, – აი, ვოდკას კი სიამოვნებით დავლევ. გავიყინე.
– სმირნოფი? სტალიჩნაია? აბსოლუტი?
– აბსოლუტი, – მივუგე, – და კიდევ... თუ შეიძლება... როგორ გითხრათ... რამე მოსადუნებლად...
ოფიციანტმა ყოყმანით შემომხედა, მერე იადონისფერი

ბატონისკენ მიტრიალდა და რაღაც შულერულად ანიშნა. იადონისფერმა ბატონმა თავი დაუქნია. მაშინ ოფიციანტი დაიხარა და ყურში მიჩურჩულა:
– ფსილოციბები? ბარბიტურატები? ექსტაზი?
ერთი-ორი წამის განმავლობაში ამ იეროგლიფებს გონებაში ვშიფრავდი.
– იცით, რა? აიღეთ ექსტაზი და «აბსოლუტში» გახსენით. სწორედ ის გამოვა, რაც მინდა.
ერთხელაც მიუტრიალდა იადონისფერ ბატონს, მხრები ძლივსშესამჩნევად აიჩეჩა და თითი საფეთქელთან დაიტრიალა. იმან მრისხანედ დაუბღვირა და თავი ერთხელაც დაუქნია.
ჩემს მაგიდაზე საფერფლე და ხელსახოცებიანი ლარნაკი გაჩნდა. ამ უკანასკნელმა ძლიერ გამახარა. ჯიბიდან ჟერბუნოვისგან აწაპნილი კალმისტარი ამოვიღე და ის იყო, წერა უნდა დამეწყო, რომ უცებ შევნიშნე, კალმისტარს კალმის მაგივრად ნახვრეტი ჰქონდა, გადაჭრილი ლულის მსგავსი. დავშალე და მაგიდაზე პატარა შავტყვიიანი ვაზნა გადმოგორდა, დაახლოებით იმგვარი, «მონტე-კრისტოს» თოფებს რომ ტენიან. ამ მახვილგონივრულმა ტექნიკურმა სიახლემაც სიხარული მომგვარა – უბრაუნინგო შარვალში თავი ვიღაც შარლატანი მეგონა. ვაზნა ადგილზე ფაქიზად ჩავამაგრე, კალმისტარი დავხრახნე და ოფიციანტს ვანიშნე, რაიმე საწერი მოწყობილობა მომიტანე-მეთქი. ოფიციანტი ლანგრით გამომეცხადა, ზედ ჭიქა იდგა.
– თქვენი შეკვეთა, – თქვა.
ვოდკა ერთბაშად გადავკარი, იადონისფერ ბატონს ავტოკალამი გამოვართვი და საქმეს შევუდექი. თავიდან სიტყვები გამიჯიუტდნენ, მაგრამ ნელ-ნელა ორგანის გულისგამაწვრილებელ ბგერებს გავყევი, გავქანდი და შესაბამისი ტექსტი ზუსტად ათ წუთში მზად გახლდათ. ამასობაში წვეროსანი მომღერალი გაუჩინარებულიყო.

სცენიდან როდის ჩამოვიდა, არ შემინიშნავს, რადგან მუსიკა არ შეწყვეტილა. განსაცვიფრებელი ამბავი იყო – სულ ცოტა, ათი ინსტრუმენტისგან შემდგარი უხილავი ორკესტრი უკრავდა, მუსიკოსები კი არსად ჩანდნენ. თანაც აშკარაა, ეს არც რადიო გახლდათ, რომელსაც საავადმყოფოში ძლიერ შევეთვისე, არც გრამოფონის ჩანაწერი – ბგერები ერთობ წმინდად ჟღერდა, ეჭვი არ იყო, ცოცხლად. დაბნეულობამ მყისვე გამიარა, როგორც კი ვიაზრე, ოფიციანტის მიერ შეზავებული ხსნარი ამოქმედებულა-მეთქი. მუსიკას ყური მივუგდე და უცებ მკაფიოდ გავარჩიე ინგლისური ფრაზა, რომელიც ზედ ჩემს ყურთან ვიღაცამ ჩაიღიღინა:

– You had to stand beneath my window

With your cookie and your drum

While I was waiting for the miracle –

For the miracle to come...

შევკრთი.

ეს სწორედ ის ნიშანი იყო, რომელსაც ველოდი. სიტყვები «miracle»

, «drum»

.... მართალია, მომღერალს ინგლისური კარგად არ უნდა სცოდნოდა, რადგან «cookie»-ს ისე გამოთქვამდა, რომ «cootie»-ს

აღარც ამ გაბუღულ დარბაზში ჯდომას ჰქონდა აზრი. ავდექი და დარბაზის მოლივლივე აკვარიუმში სცენისკენ გავცურე.

ბედზე, მუსიკაც დროულად ჩაჩუმდა. ესტრადაზე ავედი და ორგანს დავეყრდენი, რაზეც იგი უსიამოვნო ტემბრის მქონე გრძელი ნოტით გამეპასუხა. დაძაბულ დუმილში დანთქმული დარბაზი მოვათვალიერე. ყოვლად ჭრელი საზოგადოება შეკრებილიყო, მაგრამ უპირატესად, როგორც კაცობრიობის ისტორიას სჩვევია, დინგიანი სპეკულანტები და მდიდრულად

შემოსილი ბოზები ჭარბობდნენ. თითოეულის სახე ერთ მთლიან სახედ შენივთდა, სახედ, რომელიც თან ქლესაც იყო და თან უტიფარიც, ზედ შეყინული პირმოთნე თვითკმაყოფილების ღვლარჭნილი ღიმილით. და ეს სახე, ყოველმიზეზგარეშე, მევახშე დედაბრის სახე გახლდათ, წაშლილი, მაგრამ ჯერ მაინც ცოცხალი. გასასვლელში, ფარდასთან რამდენიმე სიცივისგან სახეაწითლებული ახალგაზრდა გამოჩნდა. გადაცმულ მატროსებს ჰგავდნენ; იადონისფერი ბატონი სხაპასხუპით ელაპარაკებოდა, თან ჩემკენ ანიშნებდა. აყმუვლებული ორგანიდან იდაყვი ავიღე, თვალებთან ნაწერით აჭრელებული ხელსახოცი მივიტანე, ჩავახველე და ჩემი ჩვეული მანერით, სრულიად უინტონაციოდ, კატერნებს შორის ჩასმული მოკლე პაუზებით, წავიკითხე:

ხან ფორმები იცვალა, ხან გაქრა, ხან გამოჩნდა
ათასგვარი იერით,
ხერხა ციხის გისოსი ბოლო შვიდას წელიწადს
ტანჯვითა და დარდით,
და ჰა, ნომერ ჩვიდმეტი ფსიქიატრიულიდან
ვინმე სიცარიელე,
გვარად სიცარიელე, გიჟი საგიჟეთიდან
გაიქცა და გარბის...
დრო არა აქვს სარბენი, არც ადგილი არა აქვს
და ეს იცის თვითონაც,
გზებიც, ყველა უკლებლივ, არსაითკენ მიდიან,
თუმც გზა არის ბევრი...
მაგრამ ეს წვრილმანია, მთავარი კი ისაა,
თვით მას ვერვინ იპოვის,
ვინც არ უნდა ეძებოს, ვერასდროს და ვეღარსად
ვეღარ ნახავს ვერვინ.
შეიძლება ითქვას, რომ გისოსების გახერხვა
ჭეშმარიტად არისო,

თუმცა ისიც ითქმება, არ არისო არც არა
გისოსების ხერხვა.
ამიტომაც პუსტოტას მუდამ ხელში უჭირავს
ლურჯი საანგარიშო
და ვერ იტყვის ვერაფერს, რაც რომ რამე შეკითხვის
საპასუხოდ ეთქვას,
რადგან ამ სამყაროში, ჩვევად რომ აქვს გაქრობა,
ვერას იტყვი მყარად
და, უბრალოდ, ჯობია, მუდამ წყვილად წარმოვთქვათ:
«ჰო... ჰო... არა... არა...»
ამ სიტყვებით ჟერბუნოვის კალმისტარი ავწიე და ჭაღს
ვესროლე. ნაძვის ხის სათამაშოსავით გასკდა და
ჭერთან ელექტროსინათლემ დამაბრმავებლად იელვა.
დარბაზი უკუნმა შთანთქა და მყისვე კართან, სადაც
იადონისფერი ბატონი და ლოყებღაჟღაჟა ბიჭები
იდგნენ, იარაღებიდან ცეცხლი გამოიფრქვა. ოთხზე
დავეცი და ესტრადის კიდისკენ გავხოხდი, თან უწყვეტი
ბათქაბუთქისგან განუწყვეტლივ ვკრთოდი. სროლა
დარბაზის მოპირდაპირე მხარესაც ატყდა, თანაც
ერთდროულად რამდენიმე იარაღიდან და რკინის კარმა
რიკოშეტით დარბაზს მხიარული საახალწლო
ნაპერწკლები დააყარა. ვიაზრე, ესტრადის ნაპირს კი არ
უნდა გავყვე, კულისებისკენ უნდა გავხოხდე-მეთქი და
ოთხმოცდაათი გრადუსით შემოვტრიალდი. რკინის
კართან კვნესა გაისმა, დაჭრილი მგლის ყმუილის
მსგავსი. ტყვიამ სადგარიდან ორგანი გადმოაგდო და
ჩემ მახლობლად დაანარცხა. როგორც იქნა, როგორც
იქნა, ჭაღს მოვარტყი-მეთქი, ვფიქრობდი. ღმერთო
ჩემო, განა ეს არ არის ერთადერთი რამ, რისთვისაც
მუდამ მოწოდებული ვიყავი – ამ ყალბი სამყაროს
სარკეებიანი ბურთისთვის ავტოკალმით მესროლა-
მეთქი? რა ღრმა სიმბოლოა, ვფიქრობდი, და, რა
სამწუხაროა, რომ დარბაზში მსხდომთაგან ამის

დამფასებელი არავინაა, თუმცა, ვინ იცის-მეთქი. კულისებშიც ისევე ბნელოდა, როგორც დარბაზში – ეტყობა, დენი მთელ სართულზე გამოირთო. ჩემს დანახვაზე ვიღაც კორიდორისკენ გაქანდა, წაიფორხილა, დაეცა, მაგრამ აღარ ამდგარა და სიბნელეში გაირინდა. ავდექი, ხელები გავიწვდინე და უხილავ კორიდორს გავუყევი. გაირკვა, რომ უკანა გასასვლელი გზა მშვენივრად მხსომებოდა. დაკეტილი დამხვდა. ბოქლომი წუთით ვაწვალე, გავხსენი და ქუჩაში აღმოვჩნდი.
სუსხიანი ჰაერის რამდენიმე ყლუპმა გონს მომიყვანა, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც კედელს ვეყრდნობოდი – კორიდორის გავლა საშინლად დამქანცველი აღმოჩნდა. შესასვლელი კარი, რომლისგანაც ხუთი მეტრი დათოვლილი ასფალტი მაშორებდა, გაიღო და გარეთ ორი კაცი გამოვარდა. გრძელ შავ ავტომანქანასთან მიირბინეს და საბარგული ახადეს. მათ ხელში რაღაც შემზარავი შესახედაობის იარაღი დავინახე. საბარგული არც კი დაუხურავთ, უკანვე გაცვივდნენ – იფიქრებდით, ამქვეყნად ყველაზე მეტად იმის ეშინიათ, ემანდ იმ აურზაურში მონაწილეობას არ გამოვრჩეთო. ჩემკენ არც კი გამოუხედავთ.
რესტორნის ჩაბნელებულ ფანჯრებში ერთიმეორის მიყოლებით სულ ახალ-ახალი ნახვრეტები ჩნდებოდა. გეგონებოდათ, ერთდროულად რამდენიმე ტყვიამფრქვევი ისვრისო. ვიფიქრე, ადამიანები ამაზე უფრო კეთილები არც ჩემს დროს ყოფილან, მაგრამ ზნე-ჩვეულებები შესამჩნევად უფრო მსუბუქი ჰქონდათ-მეთქი. წასვლის დრო იყო.
ბანცალით გავიარე ეზო და ქუჩაში გავედი.
ჩაპაევის ჯავშნოსანი სწორედ იქ იდგა, სადაც ველოდი და კოშკურასაც თოვლის ქუდი ისე ეხურა, როგორც უნდა ხურებოდა. ძრავა გუგუნებდა და ფოლადის ირიბი

ქიმის გადაღმა კვამლის ბუღი ტრიალებდა. კარამდე მივაღწიე და დავაკაკუნე. კარი გაიღო და შიგ შევძვერი. ჩაპაევი სულ არ შეცვლილიყო, მხოლოდ კისერზე ჩამოცმული შავი ტილოს ლენტით მარცხენა ხელი ჰქონდა ჩამოკიდებული, მტევანი დაბინტული, ნეკის ნაცვლად კი მრავალკეცად დახვეულ მარლაში სიცარიელე დამალულიყო.
სიტყვის დაძვრაც კი არ შემეძლო – უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და სავარძელზე დავეცი. ჩაპაევი მყის მიხვდა, რაც მჭირდა, ყურმილში ხმადაბლა ჩაილაპარაკა და ჯავშნოსანი ადგილს მოსწყდა.
– როგორაა საქმე? – მკითხა.
– არ ვიცი, – ვუთხარი, – ცხოვრების შინაგან წინააღმდეგობათა გამებისა და ფერების კორიანტელში გარკვევა მიჭირს.
– გასაგებია, – თქვა ჩაპაევმა, – ანამ მოგიკითხა. მთხოვა, შენთვის ეს გადმომეცა.
დაიხარა, საღი ხელი სავარძლის ქვეშ შეყო და მაგიდაზე ცარიელი ბოთლი ჩამოდგა, ფოლგის კვადრატული ეტიკეტით. ბოთლიდან ყვითელი ვარდი ამოჩრილიყო.
– ასე მითხრა, თვითონ მიხვდებაო, – თქვა ჩაპაევმა, – და კიდევ, რაღაც წიგნებს შეჰპირებიხარ.
თავი დავუქნიე, მოვტრიალდი და სათვალთვალო ხვრელს მივეკარი. თავიდან მხოლოდ ფარნების ლურჯ წერტილებს ვხედავდი, გაყინულ ჰაერს რომ მოაპობდნენ, მაგრამ სიჩქარეს ვუმატეთ და მალე, სულ მალე ირგვლივ ქვიშა აშრიალდა და ჩემი გულის სანატრელი შინაგანი მონღოლეთის წყალვარდნილებმაც იჩქეფეს..